ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

შრომები
XIII

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2017

БАТУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ШОТА РУСТАВЕЛИ
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

ТРУДЫ
XIII

БАТУМИ– 2017

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

TRANSACTIONS
XIII

BATUMI-2017

UDC(უაკ) 94+902+39+81/82+34+614+05/07+316+796.5+502.17(479.223)
Შ-873

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების XIII ტომი მთლიანად ეძღვნება ხულოს მუნიციპალიტეტს. მასში შესწავლილია მუნიციპალიტეტის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის საკითხები, რომლებიც ინსტიტუტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით დამუშავდა.

ტომს ერთვის ილუსტრაციები და რეზიუმეები უცხო ენებზე. იგი განკუთვნილია მეცნიერ მკვლევართა და ფართო მკითხველისათვის.

სარედაქციო კოლეგია:

ნარგიზ ახვლედიანი, ბიჭიკო დიასამიძე (რედაქტორი), ***ჯემალ ვარშალომიძე, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე*** (მთავარი რედაქტორი), ***ამირან კახიძე, თამილა ლომთათიძე, როინ მალაყმაძე*** (თავმჯდომარე), ***უჩა ოქროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე*** (რედაქტორი), ***ელზა ფუტკარაძე, ნაილა ჩელებაძე, მერაბ ხალვაში, ნანა ხახუტაიშვილი, ოლეგ ჯიბაშვილი.***

რეცენზენტები: ***სერგო დუმბაძე*** – ემერიტუსი პროფესორი
რამაზ ხალვაში – პროფესორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ***ეთერ ხეციოიძე***

ISSN 1512-4991
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2017

ს ა რ ჩ ე ვ ი

ისტორია და არქეოლოგია

ბიჭიკო დიასამიძე - ხულოს მუნიციპალიტეტი, ზოგადი ცნობები, ბუნებრივი პირობები 7
Bichiko Diasamidze - History of Khulo Municipality since ancient time until 20-yy. Of XX century 28

უჩა ოქროპირიძე - ხულოს მუნიციპალიტეტი 1921-1991 წლებში 35

ოთარ თურმანიძე - ხულოს მუნიციპალიტეტის სამეურნეო-ეკონომიკური დახასიათება 1921-1990 წლებში 77
Otar Turmanidze - Economic description of Khulo municipality 109

ირინე ვარშალომიძე - სამაროვნები ხულოს მუნიციპალიტეტიდან 112

მაია ჭიჭილეიშვილი - ხულოს მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობა 117
Maia Tchitchileishvili - Cultural Heritage Monuments of Khulo municipality 137

ირინე ვარშალომიძე - ნუმიზმატიკური მასალა ხულოს მუნიციპალიტეტიდან 140
Irine Varshalomidze - Ilkhante's Coin from the Skhlata 142

ეთნოლოგია

ნოდარ კახიძე - მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფა (ხულოს მუნიციპალიტეტი) 143
Nodar Kakhidze - Traditional industries and economic life (Khulo municipality) 179

ნაილა ჩელებაძე - განათლება და კულტურა ხულოს რაიონში 187
Naila Chelebadze - Culture and education in Khulo 203

თამილა ლომთათიძე - ხულოს მუნიციპალიტეტის მუსიკალური და საცეკვაო ფოლკლორი 213
Tamila Lomtatidze - Musical and choreographic folklore of Khulo's municipality 229

ჯემალ ვარშალომიძე - საცხოვრებელი ნაგებობანი და ხითხუროობის ტრადიციები ხულოს მუნიციპალიტეტში 234
Джемал Варшаломидзе - Жилые сооружения и традиции обработки дерева в Хулойском муниципалитете 264

რუსლან ბარამიძე - ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 279
Ruslan Baramidze - Population of Khulo Municiplaity 299

ფოლკლორი და დიალექტოლოგია

ელზა ფუტკარაძე, ნაილე მიქელაძე - ხულოს ხალხური პოეზია 301
Elza Putkaradze, Naile Mikeladze - Folk Poetry of Khulo 323

შუშანა ფუტკარაძე - აჭარული დიალექტის ზემოაჭარული კილოკავის ხულოს მხარის მეტყველების (თქმის) თავისებურებანი 326
Шушана Путкарадзе - Речевые особенности жителей Хулойского края 377

ნანული ნოღაიდელი - ხულოს მკვიდრთა ლექსიკის დახასიათებისათვის 379
Нанули Ногаидели - К лексике жителей хулойского муниципалитета 392

ნარგიზ ახვლედიანი - ხულოს ტოპონიმია 393

შოთა ზოიძე - გენიალური გაუჩინარება წიგნიდან „ანა დედოფალი“ 400

ნანი გუგუნავა - ხულოში მცხოვრებ ქალთა ფერიცვალება 407

ნაილე მიქელაძე - წმინდა ანდრია პირველწოდებული და მასთან დაკავშირებული თქმულებები 414
Naile Mikeladze - St. Andrew the First-Called and Legends Connected to Him 420

ბიჭიკო დიასამიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ხულოს მუნიციპალიტეტი, ზოგადი ცნობები, ბუნებრივი პირობები

ხულოს მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველაზე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია. იგი მდებარეობს არსიანის და მესხეთის ქედების კალთებზე, ზღვის დონიდან 400-3007 მეტრი სიმაღლეზე (უმაღლესი წერტილია ყანლის მთა–კენჭიანი, ზღვის დონიდან 2992 მეტრი, სხვა ვერსიით – 3007 მეტრი). მუნიციპალიტეტის ფართობია 710 კვ. კმ, მოსახლეობა – 23327 კაცი (2014 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხულო 1,1 ათასი მცხოვრებით (დაბის სტატუსი 1964 წლიდან). იგი ზღ. დონიდან 923 მეტრ სიმაღლეზეა. მანძილი დაბა ხულოდან თბილისამდე – 463 კმ-ია, ბათუმამდე – 87 კმ, უახლოეს რკინიგზის სადგურამდე – 89 კმ. ხულოს მუნიციპალიტეტი ესაზღვრება თურქეთის რესპუბლიკას (საზღვრის სიგრძე – 20 კმ), შუახევის მუნიციპალიტეტს (საზღვრის სიგრძე – 60,5კმ), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს (საზღვრის სიგრძე 19,5 კმ), ოზურგეთის მუნიციპალიტეტს (საზღვრის სიგრძე 1კმ), ადიგენის მუნიციპალიტეტს (საზღვრის სიგრძე-28,8 კმ) **(კომახიძე, 2006:47**).

კლიმატი კონტინენტურია, საშუალო წლიური ტემპერატურა 10,1 გრადუსი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1200-1500 მმ.

ხულო ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება, როგორც **ხულა.** როგორც ჩანს, ადრე ამ დასახლებას ხულა ერქვა. ხულა, სულხან საბას განმარტებით, არის „სახლი სავაჭროს სადები“ **(სულხან საბა...1949:470**), რაც სავაჭრო სახლს ნიშნავს და სამცხესკენ მიმავალ მთავარ სავაჭრო გზაზე მდებარე დასახლებისათვის სწორედ სავაჭრო სახლები (ხულა) იქნებოდა დამახასიათებელი. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ აქედან დარქმეოდა ამ დასახლებას ეს სახელი.

ხულოს მუნიციპალიტეტი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით გამოირჩევა. მის ტერიტორიაზე ძირითადად ორი ნიადაგური ზონაა: მთა-ტყისა

და მთა-დელოს ნიადაგები **(ფალავანდიშვილი, 2005:136,137**). მდიდარი და მრავალფეროვანია მცენარეული საფარი, ძირითადად, გავრცელებულია ფოთლოვანი და წიწოვანი მცენარეები. **ფლორის** იშვიათი წარმომადგენლებიდან აქ გავრცელებულია: სამეფო გვიმრა, უთხოვარი, ქართული ნეკერჩხალი, არმაზის ნარჩიტა, ხარიშუბლა, წაბლი, მუხა, კაკლის ხე, კოლხური ყოჩივარდა, ფურისულა, ვერხვი, ცაცხვი, თელა და სხვა. მუნიციპალიტეტი მდიდარია ხილით (სხვადასხვა ჯიშის ვაშლი, მსხალი, ქლიავი...) და სამკურნალო მცენარეებით: ასკილი, მოცვი, ნეგო, ხარიშუბლა, კატაბალახა და სხვა). **ფაუნა** წარმოდგენილია კავკასიური ირმით, კავკასიური მურა დათვით, ბექობის არწივით, დურუჯით, კავკასიური შურთხით, მცირე აზიური ტრიტონითა და კავკასიური სალამანდრით.

მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ბუნებრივი რესურსით: სასარგებლო წიაღისეულით (სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები, გაქვავებული ხის მარაგი), მინერალური წყლებით (ხიხაძირის წყალი, დანისპარაულის წყალი, საანის წყალი, დიოკნისის წყალი და სხვა).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები: **აჭარისწყალი, სხალთა, ღორჯომი, დიაკონიძეები** მათი შენაკადებით **(კომახიძე, 2006: 9,10).** აქვე მდებარეობს ულამაზესი მწვანე და შავი ტბები. ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა მთის კლიმატური კურორტი ბეშუმი (ზღ. დონიდან 1850-2010 მეტრი). მიმდინარეობს სამთო სათხილამურო კურორტის მშენებლობა გოდერძის უღელტეხილზე (ზღ. დონიდან 2025მ).

ისტორია

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია და მოსახლეობა უძველესი დროიდან XI საუკუნემდე

აჭარისწყლის ხეობა, კერძოდ, მისი მთიანი მხარე ადრიდანვე იქცევდა მკვლევართა ყურადღებას. მთიანი აჭარის მცხოვრებთა წარსულის, ეთნოგრაფიული ყოფის, მატერიალური კულტურის ძეგლების, ბუნების (ფლორა, ფაუნა, წყლები, წიაღისეული) შესასწავლად არაერთი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი ყოფილა ამ მხარეში. კერძოდ, თანამედროვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიას მე-19 საუკუნეში სტუმრობდნენ: **ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, თედო სახოკია, ზაქარია ჭიჭინაძე...** უცხოელები: ინგლისელი **ჯიფორდ პალგრევი,** რუსი **პრასკოვია უვაროვა,** გერმანელი პოეტი და დიპლომატი **ნორდმანი**, იტალიელი ბოტანიკოსი **ემილ ლევიე,** ანთროპოლოგი **სტეფან სომიე** და სხვები.

დღეისათვის ცნობილია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი ძველი ქვის ხანიდან (პალეოლითი) ჩანს. არსიანის ქედის დავაკებულ თხემზე ზღ. დონიდან 2000-2200 მ. სიმაღლეზე, ადგილ ბულულას სერზე, მიკვლეულია ძველი ქვის ხანის ძეგლი, სადაც აღმოჩნდა ანდეზიტ-ბაზალტისაგან ნაკეთები იარაღ-ანატკეცები. ძეგლს 300-დან 200 ათასი წლით ათარიღებენ. სადგომი უნდა ეკუთვნოდეს ზაფხულში ალპურ საძოვრებზე ასულ ბალახის მჭამელ ცხოველებზე მონადირე პირველყოფილ ადამიანებს **(სდსინ, 2007:111,112).**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია **ნეოლითური** ხანის ძეგლებიც. ახალი ქვის ხანაში საფუძველი ჩაეყარა მწარმოებლურ მეურნეობას და დაიწყო საზოგადოების ფორმირება, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა. ნეოლი-თური ხანის მასალა მოპოვებულია არსიანის მთის ფერდობზე, ბეშუმის საძოვ-რების მიდამოებში (ზღ. დონიდან 1830 მ), სხალთის ხეობის სათავეებში, ნაჩად-რევის იალაღებზე (ზღ. დონიდან 2000 მ), ხიხაძირში, წაბლანაში და დანისპა-რაულის მიდამოებში. მიგნებულია სპილენძის ხანის (**ენეოლითი**) ძეგლებიც იაილა ჯანჯღნარში (ზღ. დონიდან 2000 მ). აქ ნახულია თიხის ჭურჭელი, ძვლის სახვრეტები, კაჟისა და ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები, შურდულის ქვები, ბრინჯაოს ნაკეთობა და სხვა. ჯანჯღნარის მასალები ადრეულ სპილენძის ხანას (ენეოლითს) მიეკუთვნება და ხასიათდება თვითმყოფადი თავისებურებებით. პირველ რიგში, აღსანიშნავია სამეთუნეო ნაწარმი, რომელთაგან ზოგიერთი მთლიანადაა დაცული. ამიერკავკასიასა და მის მოსაზღვრე რაიონებში ჯანჯღნარის კერამიკას უშუალო პარალელები არ ეძებნება. მკვლევრები თვლიან, რომ შეიძლება საქმე გვქონდეს საყოველთაოდ ცნობილ შულავერ-შომუთეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურების ახალ ლოკალურ ვარიანტთან. ჯანჯღნარის კერამიკული ნაწარმი თარიღდება მეხუთე ათასწლეულის ბოლო და მეოთხე ათასწლეულის პირველი ნახევრით. მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევარში **ბრინჯაოს** ხანა იწყება, რომელიც დაახ. 2000 წელს გაგრძელდა. ადრე ბრინჯაოს ხანის ლითონის ნაწარმის უძველესი ნიმუში აღმოჩენილია სოფელ ნაომარში (ღორჯომის მახლობლად). აქ შემთხვევით მოპოვებულ ყუადაქანებულ ცულს აქვს ფერდებშეწეული ყუა, მრგვალი სატარე ხვრელი, ორწახნაგა, სოლისებური შედარებით თხელი ტანი, ოდნავ ფართო და მომრგვალებული, ორმხრივ წამახვილებული პირი. აღიარებულია, რომ ამ ტიპის ცულებმა ამიერკავკასიის გზით შეაღწია ჩრდილო კავკასიაში და უფრო შორს დუნაისპირეთამდეც გავრცელდა **(სდსინ, 2007:138).**

გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ე.წ. ,,მდნობელთა განძები“ ხულოს მუნი-ციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია თაგოში, დიდაჭარაში, ვერნებსა და

ხიხაძირში. ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში ,,ხევების“ წარმოქმნის ხანადაა ცნობილი. ერთ-ერთი ასეთი დიდი ხევი თუ ხეობა უნდა ყოფილიყო აჭარისწყლის ხეობა, რომელიც ორად –ზემო და ქვემო აჭარად იყოფოდა. აქ ზემო აჭარაში უნდა ჩამოყალიბებულიყო მეტალურგიული განვითარების კერა – ცენტრით დიდაჭარაში.

ძვ. წ. აღ. X-VII ს.ს რკინა-ფოლადის ათვისების, ქართველთა სამეურნეო საქმიანობაში რკინის საბოლოო დამკვიდრების და ბრინჯაოს გამოდევნის ხანაა. ამავე დროს იწყება სამეთუნეო ჩარხის მასობრივი გამოყენება. ჩნდება პირველი წერილობითი ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა, მესხეთი) მცხოვრები მოსახლეობის შესახებ. აქ უკვე არის მოსახლეობის დიდი გაერთიანებები დიაოხისა (ტაოხი, ტაო) და კოლხას (კოლხეთი) ადრეკლასობრივი სახელმწიფოების სახით, რომელთა შესახებ ცნობები გვხვდება ძვ.წ აღ. XII-IX საუკუნეების ასურულ და VIII საუკუნის ურარტულ-ლურსმულ წარწერებში. სავარაუდოა, რომ დღევანდელი აჭარა სწორედ ამ გაერთიანებაში უნდა ყოფილიყო.

ძვ.წ. აღ-ის პირველი ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღებული სოფელ კალოთას ღია ცისქვეშა ტიპის სამლოცველო და აქ ნახული მასალები საინტერესო ინფორმაციას შეიცავს აქ მცხოვრებთა შესახებ, დადასტურებულია მსხვერპლთშეწირვა. აქ ნახული ქვის ფალოსის კარგად შენახული ნაშთები და პატარა ზომის ორი კერპი ამ წარმართული სალოცავის დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს. აღნიშნული სამლოცველო მეგალითური კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია საქართველოს ტერიტორიაზე.

ძვ. წ. აღ VIII საუკუნის II ნახევრიდან აჭარის ტერიტორია კოლხეთის სამეფოს ფარგლებშია, რომელიც მალე დაეცა და მე-6 საუკუნიდან იგი ახალ კოლხურმა სამეფომ შეცვალა. ძვ. წ. აღ. IV საუკუნის დასასრულიდან აჭარა ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაშია, მაგრამ მეორე საუკუნეში იგი კოლხეთის სამეფოში ჩანს. ამ საუკუნის დასასრულიდან კოლხეთი პონტოს სამეფომ დაიპყრო და ძვ. წ. აღ-ის 65 წლამდე მის სატრაპიას წარმოადგენდა. როგორც, ჩანს აჭარაც პონტოს დაქვემდებარებაშია. პონტოს სამეფოს განადგურების შემდეგ (ძვ. წ. აღ. 63 წ.), აჭარის ტერიტორია რომის გავლენის ქვეშ მოექცა. ქართლის სამეფოს გააქტიურების შემდეგ, ახ. წ. აღ. I საუკუნეში ფარსმან პირველის დროს (36-66 წწ) აჭარა ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია, II საუკუნეში ოძრხეს საერისთავოს ნაწილია. ჯერ სტრაბონი (ძვ.წ.აღ.64 -ახ.წ.აღ.24), შემდეგ ფლავიუს არიანე (ახ. წ. აღ-ს 30-იანი წლები) აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებად ასახელებენ ბიძერებს და ძიდრიტებს, რომლებიც მიჩნეული არიან ქართულ ტომებად და შესაბამისად, თანამედროვე აჭარლების ეთნოგრაფიული ჯგუფის წინაპრებად განიხილებიან.

აჭარაში ქრისტეს მოძღვრებას პირველ საუკუნეში გაეცნენ უშუალოდ ქრისტეს მოციქულებისაგან. ,,ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ანდრია პირველწოდებულს სოფელ დიდაჭარაში უქადაგია, დაუნიშნავს ღვთისმსახურები, ღვთისმშობელ მარიამის სახელზე აუგია ეკლესია და აქედან სამცხეში წასვლამდე, ადგილობრივთა თხოვნით, მათთვის ღვთისმშობლის ხატი გაუკეთებია, რომელიც პატივით დაუსვენებიათ ახლად აშენებულ ეკლესიაში. ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც, გადმოცემის თანახმად, ეს ეკლესია იყო აგებული. აქ მართლაც აღმოჩნდა ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ჯერ კიდევ არაა შესწავლილი.

მეორე-მესამე საუკუნეთა მიჯნაზე აჭარა ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. ამ პერიოდიდან მოყოლებული, მეექვსე საუკუნის 10-იან წლებამდე, თანამედროვე ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია, როგორც ოძრხის საერისთავოს ნაწილი, ქართლის სამეფოს ფარგლებშია. 326 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქართლში. ამ დროს უნდა მოქცეულიყო აჭარაც, როგორც ქართლის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია, ცენტრით დიდაჭარაში. მართალია, ადრეფეოდალური ხანის ზემო აჭარის ისტორიის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ საეჭვო არაა, რომ იგი ცხოვრობდა იმავე პრობლემებით და მონაწილე იყო იმ მოვლენებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა ქართლის სამეფოში.

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია
და მოსახლეობა XI-XV საუკუნეებში

XI საუკუნიდან აჭარისწყლის ხეობა, **შიდამთიანი აჭარა** საერისთავოა და მის სათავეში აბუსერისძეები ჩანან. ამ საუკუნის შუა ხანებში ერისთავ იოვანეს შვილი აბუსერი არის ,,ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხიჯუარისა და აწყვერისა ციხის პატრონი“ **(ქ.ც,1955:300).** ამიერიდან საერისთავოს ცენტრი დიდაჭარიდან სხალთა-ხიხანის ხეობაში გადადის, რადგან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები და შესაბამისად მაგისტრალური გზებიც სამცხესთან ერთად არტაან-შავშეთ-კლარჯეთისკენ ინაცვლებს. ეს ის პერიოდია, როცა ,,ხევთა“ ადგილს ფეოდალ-აზნაურთა საბატონო „ქვეყნები“ იკავებენ **(სდსინ, 2007:94).** ასეთი ,,ქვეყნების“ რეზიდენციებად ჩანს ჭვანის (ტაკიძეების), დარჩიძეების, ცინარეთის, შუახევის (ოქროპილაურის), ხიხანის, ბეგოშვილების, დიდაჭარის, ვარციხის და სხვა ციხე -კოშკები. ამ პერიოდში აჭარა აბუსერისძეთა ხელმძღვანელობით ერთიანი საქართველოს შემადგენლობაშია და ყველა იმ ღონისძიების და რეფორმის ერთგული მონაწილეა, რომელთაც XI-XIII საუკუნის

პირველ ნახევარში საქართველოს მეფეები ატარებენ. მათი თაოსნობითა და ხელშეწყობით განხორციელდა ის დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა, რომელსაც მოჰყვა ეკლესია-მონასტრების (სხალთა, თხილვანა, ხიხანი, ვერნები, კალოთა...), თაღიანი ხიდების, ციხე-კოშკების, სავაჭრო გზების მშენებლობა. ამ ფეოდალური საგვარეულოს მშვენებაა აბუსერისძე ტბელი, დიდი მწერალი და მოაზროვნე, მეცნიერი, შოთა რუსთაველის უმცროსი თანამოკალმე.

ტბელი საქართველოს „ოქროს ხანის“ ბოლო მოღვაწეა, რომლის შემოქმედებაშიც აისახა მისი დროის ბრწყინვალება და მიღწევები და ამავე დროს, წარმოჩნდა ის ტკივილები, რომლებიც წინ უსწრებდა მონღოლთა ასწლიან ბატონობას, ჩვენი ისტორიის „დიდ ღამეს“.

ტბელ აბუსერისძის, როგორც მწერლისა და მეცნიერის შემოქმედებაში მკვლევრები განსხვავებული რაოდენობის თხზულებას განიხილავენ. 1998 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის და ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეგიდით გამოცემულ აბუსერისძე ტბელის თხზულებებში, რომელიც მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, განხილულია სამი თხზულება: „გალობანი სამთა იოვანეთა“, „ახალნი სასწაულნი წმინდისა გიორგისნი“ და „ქრონიკონი სრული მისითა, საუწყებლითა განგებითა“.

უფრო ადრე კ. კეკელიძე და ი. სიხარულიძე ვარაუდობდნენ მხოლოდ „გალობანის“ და „ქორონიკონი სრული მისითა, საუწყებლითა განგებითა“ ტბელისეულობას, ხოლო მკვლევარი რ. ხალვაში თვლის, რომ დასახელებული სამი თხზულების გარდა ტბელს ეკუთვნის „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“ და „გალობანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი“ **(ხალვაში, 2006: 10)** ასე რომ, დღეისათვის ცნობილია ტბელის ხუთი თხზულება.

ტბელის თხზულებათაგან გამორჩეულია აგიოგრაფიულ ნაწარმოებად მიჩნეული „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“, რომელიც პირველად 1941 წელს გამოსცა კომენტარებითურთ ლ. მუსხელიშვილმა სათაურით „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე“, ხოლო 1981 წელს ი. სიხარულიძემ სათაურით „ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა“.

ტბელის ეს თხზულება იქმნებოდა XIII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველომ ბრძოლა გადაიხადა მარბიელ მონღოლებთან და საშინელი მარცხი და აოხრება იწვნია ხვარაზმელთაგან. ამიტომ ეს ნაწარმოები თავისი პათოსითა და მიზანდასახულობით არსებითად განსხ-

ვავდება ბედნიერი და ძლიერი საქართველოს პირობებში შექმნილი თხზულებებისაგან. ავტორი მისი დროის მოვლენებში ღრმად ჩახედული მოღვაწეა, რომელიც ფიქრობს ქვეყნის ბედზე და ცდილობს ახსნას მომხდარი უბედურებების მიზეზები. იგი უბედურებაგამოვლილი კაცის აზროვნებით აფასებს მოვლენებს და ეკლესიის მშენებლობისას ქვითხურო ბასილის მიერ გამოჩენილი თავგანწირვისა, თუ წმიდა გიორგის სასწაულების ჩვენებით, თანამედროვეებს ქვეყნის გადარჩენის რწმენასაც უნერგავს **(დიასამიძე, 2007:56-57).**

XIII საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში ტბელი ძმების – ერისთავ ერისთავების აბუსერისა და ვარდანის დავალებით ხიხანშია და ციხისა და ეკლესიის მშენებლობის საქმეს უძღვება. იმ მძიმე პერიოდში, როცა ქვეყანამ განიცადა მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევები, როცა მოსახლეობის ბრძოლისა და თავდაცვის მთავარი საყრდენი ციხეები იყო, ხიხანის ციხის გამაგრება მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ტოლფასი იყო და ამასთან, იმათ მხარში დგომასაც ნიშნავდა, ვისაც თავიანთი მდგომარეობით ევალებოდათ ქვეყნის, საკუთარი საერისთავოს და მისი მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფა. მისი უფროსი ძმა აბუსერი ხომ ერისთავთერისთავი იყო. მაგრამ XII საუკუნის 60-იანი წლებიდან სამცხე **,,ხასინჯუდ“** (მონღოლებზე დაქვემდებარებული პროვინცია) იქცა. აჭარაც სამცხის ათაბაგთა სამფლობელოში ჩანს. “ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: **,,...მაშინ ბექამან დაიპყრა ქვეყანა ტასისკარითგან კარნუ-ქალა-ქამდის: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალის ხევი, არტანუჯი, თორმეტნი უდაბნონი, კულა, კარნეფოლა და ორივე არტაანი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“ (ქ. ც. 1959:273**). შესაბამისად, ზემო აჭარა, რომლის ტერიტორიასაც მოიცავს მოგვიანებით შექმნილი ხულოს მუნიციპალიტეტი (რაიონი) ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში იყო გაერთიანებული[1].

მე-13 საუკუნის 40-ანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლები გაბატონდნენ. ,,ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. ვერც ზემო აჭარა გადაურჩა მათგან აოხრებას. ჩრდილოეთის და სამხრეთის ულუსების დაპირისპირება დიდ ზიანს აყენებდა ამ მხარეს. 60-იან წლებში აბაღა ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული მონღოლი უფლისწული თეგუდარი არსიანის მთის მიდამოებში დამარცხებულა. გაქცეული ჯარის ერთი ნაწილი (1000 კაცი) მეწყერს ჩაუტანია, მეორე ნაწი-

[1] ქვემოთ ,,ხულოს მუნიციპალიტეტის“ ნაცვლად გამოვიყენებთ ,,ზემო აჭარას“.

ლით კი უფლისწული აჭარისწყლის ხეობისა და გურიის გავლით ქუთაისში მეფე დავით ნარინთან ჩასულა.

ზემო აჭარა ოსმალთა ბატონობის ხანაში

აჭარისწყლის ხეობის ზემო და ქვემო აჭარად დაყოფა შენარჩუნებული იყო ოსმალთა ბატონობის ხანაშიც, რაც აშკარად ჩანს სულთან სელიმ II ზეობის ხანაში (1566-1574 წ.წ.) შედგენილ ,,ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთრის" მიხედვით **(აჭარის ლივის...2011:12-21).** მათში მოცემულია აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობისა და ქონების აღწერა, სოფლების, მათში მცხოვრები კომლების, შემოსავლებისა და გადასახადების ჩვენებით. დოკუმენტის მიხედვით, ზემო აჭარის ლივა (სანჯაყი, სადროშო) ორ ნაჰიედ (რაიონად) იყოფოდა და მოიცავდა მთელ აჭარისწყლის ხეობას ჭოროხთან შესართავამდე. ახლანდელი ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორია ზემო აჭარის ნაჰიეში შედიოდა. როგორც ჩანს, ოსმალური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ასეთი დაყოფა ეფუძნებოდა უფრო ადრინდელ ქართულ ფეოდალურ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას, რაც ხშირ შემთხვევაში საეკლესიო ეპარქიულ საზღვრებს ემთხვეოდა. ამ დებულების მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს XVI საუკუნის დასაწყისის ერთი საეკლესიო დოკუმენტი ,,სამცხე-სათაბაგოს მღვდელ-მთავარნი და მწყემსნი," სადაც ჩამოთვლილია ცალკეულ ეპარქიებში შემავალი ტერიტორიები. დოკუმენტის მიხედვით მტბევარის სამწყსოში შედიოდა ტერიტორიები: ,,დახატუალას ზედათი, ანაკერთს აქეთი, სულა-შავშეთი მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოზის, იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა. აჭარა დანდალოს ზეითი მას ქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა" **(ბაქრაძე, 1987:77).** როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, დანდალოს ზეით აჭარა ტბეთის საეპისკოპოსოში შედიოდა, დანდალოს ქვემოთ კი ქუთაისის ეპარქიაში. ე. ი აჭარისწყლის ხეობა ოსმალთა შემოსვლამდეც (XVI საუკუნე) ორ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ და საეკლესიო ერთეულად იყოფოდა: ,,დანდალოს ზემოთი და დანდალოს ქვემოთი" (ზემო და ქვემო აჭარა). ზემოხსენებული ოსმალური დოკუმენტების (აჭარის ვრცელი და მოკლე დავთრები) მიხედვით, სულ აჭარისწყლის ხეობაში 95 დასახლებული პუნქტი ყოფილა: 60 – ზემო აჭარის ნაჰიეში, ხოლო – 35 ქვემო აჭარის ნაჰიეში.

ზემო აჭარის ნაჰიეს ტერიტორია 1952 წლამდე (შუახევის რაიონის გამოყოფამდე) შედიოდა ხულოს რაიონში. ამდენად, 1952 წლამდე ყველა მონაცემი ამ ტერიტორიისა და მისი მოსახლეობის შესახებ, ხულოს რაიონში განიხილება.

ზემო აჭარის ნაჰიეს დასახლებული პუნქტები (სოფლები) დოკუმენტში ასეთი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: სოფელ იორამის (შუბანი) ციხის

რაბათი, სოფლები: ჭა, მელიქწმინდა, სხალთა, წაბლანა, ჭერი, ზემო კურძა, თა-გო, ჩაო, ფურტიო, ნენია, დაბაძველი, ლაჰორი, დანისპარაული, კვატია, ოშქანა, საქაშთაო, ქუდგაური, მაწყვალთა, თხილვანა, ბუღაური, ტბეთი, შუანაღვარი, ჭურთა, კონანა, კალოთა, ქოჩახი, მაქვთა, რაგთა, სოფელი ხიხაძირის ციხის რაბათი, სოფელი გუდნა, ხულა, ღორჯომი, დიდი აჭარა, ბეღლეთი, ფოცხო, ქვედა კურძა, ალმე, ნიგაზეული, ჩანჩხალო, ქვემო მალდაშალი, ჭვანა, წყაროთა, უჩამბა, ბარათაული, სოფელი ტბეთის ციხის რაბათი, სოფელი ახალდაბა, ქარაფეთა, კავიანის ციხის რაბათი, სამხლისი, ტაბახმელა, შუა კალო, ქორეთი, ამალდიური, ზემო მალდაშლი, ბორდოყანა, დიოკნისი და ,,აჭარის ლივის მოკლე დავთარში“ მოხსენიებული სოფლები ელვაური და ოხლაური, რომ-ლებიც გამორჩენილი იყო ,,ვრცელ“ დავთარში **(აჭარის ლივის... 2011:18).**

ვინც ზემო აჭარის სოფლების დასახელებას და მათ ადგილმდებარეობას იცნობს, აშკარად დაინახავს, რომ წყაროში ჩამოთვლილი სოფლების უმრავლე-სობა დღესაც არსებობს, თუმცა მათი გეოგრაფიული მდებარეობის თანმიმდევ-რობა დარღვეულია ბევრ შემთხვევაში. არადა, აღრიცხულია მოსახლეობისაგან დაცლილი და 2 და 3-კომლიანი სოფლებიც. დასახლებათა ჩამონათვალში ვხვდებით ციხეების რაბათებსაც (იორამის (შუბანი), ხიხაძირის, კავიანის, ტბე-თის, ოთალთას). ამრიგად, წყაროში წარმოდგენილი მასალით, XVI საუკუნის 70-80-იანი წლების ზემო აჭარაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად ჩანს ნაჰიე, სოფელი და ციხის რაბათები.

განსაკუთრებით საინტერესოა დავთარში დასახელებული ციხის რაბათების სტატუსი. არქიტექტურულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, რაბათი თურქული სიტყვაა და განმარტებულია, როგორც ვაჭარ-ხელოსანთა დასახლება შუა საუკუნეების ქალაქის ან მონასტრის კედლებთან, ხოლო მ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, რაბათი არაბული სიტყვაა, ნიშნავს ქალაქის ხელოსნებითა და ვაჭრებით დასახლებულ გარეუბანს VII-VIII საუკუნეების შუა აზიასა და სპარსეთში. IX-X საუკუნეებში იგი აღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი იყო **(ჭაბაშვილი, 1989).** რამდენადაც დავთარი ოსმალური მოხელეების მიერაა შედგენილი, იგულისხმება, რომ ზემო აჭარის ნაჰიეს ტერიტორიაზე არსებული ციხეთა რაბათებიც (ხიხაძირის, იორამის (შუბანი), ტბეთის, კავიანის, ოთოლთას) ამ დანიშნულების იყო. ზემოთ ხსენებული ოსმალური წყარო საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საშუალებას იძლევა გავეცნოთ იმ დროის ზემო აჭარის სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. ჩანს, რომ ყველა სოფელში მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ფეტვი, კანაფი, ჰყავთ ღორები, ცხვარი, მისდევენ მეფუტკრეობას. ყველაფერ ამაზე ოსმალებს გადასახადები აქვთ გაწერილი.

შედარებით ხალხმრავალ სოფლებად ჩანს: ხულა – 37 კომლი, ღორჯომი – 32 კომლი, ჭვანა – 20 კომლი, სხალთა – 15 კომლი, ბეღლეთი – 14 კომლი და სხვა.

XVII საუკუნის დასაწყისში (1611 წელი) აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სტრუქტურაში ცვლილება ჩანს: თუ XVI საუკუნის 70-იანი წლების დავთრით აჭარისწყლის ხეობა ზემო აჭარის ლივად მოიხსენიება, რაც ქვემო აჭარის ლივის არსებობასაც გულისხმობს, 1611 წლის ოსმალეთის იმპერიის აღწერის მასალებში აჭარისწყლის ხეობა (შიდამთთიანი აჭარა) უკვე სანჯაყადაა მოხსენიებული, რომელიც გაერთიანებულია ჩილდირის ანუ ახალციხის ვილაიეთში **(სვანიძე, 1960:46-47),** ბათუმის სანჯაყი კი ტრაპიზონის ვილაიეთში. არაა საეჭვო, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზემო აჭარის სანჯაყში შედიოდა. ახალციხის ვილაიეთში შეყვანამ ზემო აჭარის ადმინისტრაციული ცენტრის ცვლილება გამოიწვია. იგი სხალთა-ხიხანის ხეობიდან სამცხეში გადასასვლელ უმოკლეს გზაზე მდებარე ხულოში გადავიდა და XIX საუკუნის 20-იან წლებში ზემო აჭარის ცენტრი ხულოშია, ხოლო ქვემო აჭარისა – ქედაში **(ცინცაძე, 1980:58).** ამიტომაა, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში გიორგი ყაზბეგი ხულოს ,,ზემო აჭარის დედაქალაქად“ მოიხსენიებს **(ყაზბეგი,1995:37).**

XIX საუკუნემდე აჭარაში ოსმალური მმართველობა ნომინალური იყო და ისლამის გავრცელებასაც, განსაკუთრებით, მოსახლეობის დაბალ ფენებში, ფართო ხასიათი არ მიუღია. ამას თავისი ახსნა აქვს: 1) ვიდრე ოსმალები ფართო დაპყრობით ომებს ეწეოდნენ, ცდილობდნენ შედარებით ლოიალურად მოქცეოდნენ დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობას მათი წინააღმდეგობის შენელების მიზნით; 2) დაპყრობითი ომები დიდძალ სახსრებს მოითხოვდა, ამიტომ მათთვის ამ ეტაპზე მთავარი იყო რაც შეიძლება მეტი გადასახადების ამოღება; 3) დაპყრობილ ქვეყნებში და მათ შორის აჭარაში მოსახლეობის არაერთ გამოსვლას, აჯანყებას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, აჭარაში აჯანყებები მოხდა 1668, 1685, 1697, 1739-1740, 1770-1781, 1815, 1830, 1845, 1852 წლებში **(იაშვილი, 1948: 103-117),** ასევე, 1685 წელს ლიგანის ხეობაში, 1690 წელს შავშეთ-იმერხევში, 1697 წელს სამხრეთ საქართველოში **(ახვლედიანი, 1956: 103-117).** ყველაფერი ეს დამპყრობელს აიძულებდა ფრთხილად ემოქმედა, მისთვის მოსახერხებელ დროს დალოდებოდა და დაკმაყოფილებულიყო დიდგვაროვნების გამუსლიმანებით, რომლებზე დაყრდნობითაც მართავდა დაპყრობილ მხარეებს. ამის პარალელურად, იგი დაშინებით, ფულით, საჩუქრებით, პრივილეგიებით და სოციალური სტატუსის ამაღლებით დაბალ ფენებშიც ნახულობდა საყრდენს. როგორც ჩანს, ეს პროცესი მიმდინარეობდა წინა ორ საუკუნეში. ამიტომაა, რომ XIX საუკუნეში, ერთი შეხედ-

ვით, სწრაფი ტემპით განხორციელდა აჭარის მოსახლეობის გამუსლიმანების პროცესი **(დიასამიძე, 2012:45).**

XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაპყრობილ ტერიტორიებზე გავლენის განმტკიცების მიზნით სახელმწიფო და ეკონომიკური მმართველობის მოქნილი სისტემის შექმნა, რომელიც აიძულებდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას ისლამის რწმენის მიღებასა და სახელმწიფოს მოთხოვნებისადმი მორჩილებას. მართლაც, თუ XIX საუკუნის 30-იან წლებამდე აჭარის ტერიტორიაზე სულ რამდენიმე მეჩეთი იყო აშენებული (ახოს, დაგვისთავის, თხილვანის, ხიხაძირის, ფუშრუკაულის), მომდევნო ათწლეულებში მათი რიცხვი ასეულებს აღწევდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებში მთლიანად აჭარაში 200-მდე მეჩეთი და 207 მედრესე მოქმედებდა **(ახვლედიანი, 1956:44).** 1877-1878 წლების ომის შემდეგ მეჩეთების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან საკუთარი სალოცავი სოფლისთვის პრესტიჟის საკითხად მიიჩნეოდა რუსეთის მმართველობისას **(ქართველი მუსლიმები.., 2010:16).**

ზემო აჭარა ამ დროს შედიოდა ტრაპიზონის ვილაიეთის ლაზისტანის სანჯაყში. ამ დროის და მომდევნო პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით აჭარის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ ხიმშიაშვილთა გვარის ცნობილი წარმომადგენლები: სელიმი, ახმედი, ქორხუსეინი, შერიფი, ჯემალი....

ხიმშიაშვილების გვარს იმ პერიოდში მოუწია აჭარის მმართველობა, როცა მუსლიმან დამპყრობლებთან (ირანი, ოსმალეთი...) ბრძოლაში დაუძლურებულმა საქართველომ თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა და ამ უკანასკნელმა, როგორც „მფარველმა“, საბოლოოდ გამოაჩინა თავისი ჭეშმარიტი მიზნები. აჭარის ხელისუფალთ, რომლებიც ამ დროს ოსმალებს ემორჩილებოდნენ, ორმაგი თამაში უწევდათ იმ მამულიშვილური ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის, რასაც „გამოხსნა-აღდგომას“ ვუწოდებთ და რომლის საბოლოო მიზანი ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო.

სელიმ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით თავგანწირულმა ბრძოლამ ხელი შეუწყო ოსმალთა ბატონობის შესუსტებას, მოსახლეობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას და განმათავისუფლებელი ბრძოლის გაფართოება-გაძლიერებას. ამიტომაა, რომ ხალხმა იგი გმირად შერაცხა.

ხიმშიაშვილების გვარის აღზევება XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო და თითქმის საუკუნის განმავლობაში ისინი განაგებდნენ აჭარის ბედს. ამ პერიოდის რუსეთ-თურქეთის ომებში ყოველთვის იდგა დღის წესრიგში ოსმალ-

თა მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების გამოხსნა-დაბრუნება. სელიმ და ახმედ ხიმშიაშვილების იდეალი იყო დამოუკიდებელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ადრინდელი სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში, რაც იმ დროის საქართველოში მიღებული ლოზუნგის გამოხსნა-აღდგომის პირველი ნაწილის ,,გამოხსნის" დასაწყისი იქნებოდა **(დიასამიძე, 2016:342**), ხოლო შერიფ ხიმშიაშვილი ივანე კერესელიძესთან საუბარში 1870 წელს ოცნებობდა აჭარის დანარჩენ საქართველოსთან ერთიანობაზე. მას ეკუთვნის სიტყვები **„მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს".** ამ იდეის განხორციელებას მხარს უჭერდა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი, მაგრამ ომების მსვლელობისას იმ მოტივით, რომ აჭარელთაგან ზოგიერთი იძულებით თუ სხვა მიზეზით მხარს უჭერდა ოსმალებს, ჯერ 1829 წლის აგვისტოში გენერალმა ოსტენ-საკენმა ააოხრა ხულო და ახლომდებარე სოფლები, ხოლო შემდეგ, 1854 წლის მაისში, გენერალმა კოვალენსკიმ გადაწვა ბაკო, ციმერმანმა—ზედა და ქვედა თხილვანა და პოლკოვნიკმა დავიდოვმა —მთისუბანი.

შერიფ ხიმშიაშვილი პეტერბურში 1892 წ. გარდაიცვალა. ანდერძისამებრ, სამშობლოში გადმოუსვენებიათ და საზაფხულო რეზიდენციაში – ქოჩახში დაუსაფლავებიათ. მის მრავალრიცხოვან შვილთაგან (ოცს ასახელებენ), საზოგადოებისათვის უფრო ცნობილნი არიან მურთაზი, ჯემალი და თემური. მურთაზი 1876 წელს, 27 წლის ასაკში, გაურკვეველ სიტუაციაში დაიღუპა და მამასაც დასდეს ამაში ბრალი (ვფიქრობთ, უსამართლოდ). ჯემალსა და თემურს ოსმალეთის ხელისუფლებამ ფაშის და შესაბამისად, გენერლის წოდებები უბოძა. თემურმა თავისი ცხოვრება თურქეთში გაატარა, ჯემალი კი ყველა იმ კატაკლიზმების მონაწილე იყო, რაც მისმა სამშობლო მხარემ გამოიარა გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში. მართალია, ჯემალ ბეგის მოღვაწეობას მკვლევრები არაერთგვაროვნად აფასებენ, მაგრამ ყველაზე მძიმე, თურქთა თუ ინგლისელთა ოკუპაციის წლებში, ჯემალ ხიმშიაშვილს ღირსეულად ეჭირა თავი, ასრულებდა სამშობლოს დავალებებს ახალციხეში და იცავდა ქვეყნის ინტერესებს. იგი გაზეთ ,,ერთობაში" გაგზავნილ დეპეშაში წერდა: ,,კუკ-კოლისი (ინგლისელი გენერალი) აშინებს ხალხს და ჰკრებს ხმებს, რომ აჭარა არ შეუერთდეს საქართველოს. მე ვამტკიცებ, რომ აქაურ მცხოვრებლებს სულით და გულით სურთ საქართველოს ჯარების შემოსვლა." მკითხველი აშკარად მიხვდება, რომ ეს სიტყვები არ შეიძლება ოსმალთა ერთგულ გენერალს ეკუთვნოდეს, რომ ამ სიტყვების ავტორი საქართველოს პატრიოტია. ჯემალ ხიმშიაშვილის პოზიცია მისი დროის მოვ-

ლენებისადმი კარგად ჩანს მის ერთ პუბლიკაციაში, სადაც იგი აცხადებს: „აჭარას არ სურს ავტონომია, იგი საქართველოს უერთდება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი“ **(ხიმშიაშვილი, 1920).** ხოლო დამფუძნებელი კრებისადმი გაგზავნილ დეპეშაში იგი აცხადებდა: „მიუხედავად ინგლისელი აფიცრების ინტრიგებისა, რომ აეჯანყებინათ ზემო აჭარის მცხოვრებლები ჩვენი ჯარის წინააღმდეგ, მიუხედავად სანგრებისა ხულოს გარშემო და სხვა დემონსტრაციებისა, საქართველოს ჯარის შესვლას ხულოში მცხოვრებლები პურ-მარილით შეეგება, რასაც აღტაცებით გილოცავთ; ჩვენ დარწმუნებული ვართ, არავითარი ინტრიგები არ შეარყევენ აჭარის ხალხის სიხარულს მშობლიურ საქართველოსთან შეერთებით გამოწვეულს“ **(ხიმშიევი,1920).** ჯემალ ბეგი 1924 წელს გარდაიცვალა თურქეთის რესპუბლიკის ქ. არტაანში.

1829 წლიდან, როცა ახალციხის საფაშო გაუქმდა, აჭარა ტრაპიზონის ვილაიეთში შეიყვანეს. ტრაპიზონის ვილაიეთი ოთხ სანჯაყად იყოფოდა (ლაზისტანის, ტრაპიზონის, ჯანიკის და გიუმიშხანეს). თანამედროვე აჭარის დიდი ნაწილი ლაზისტანის სანჯაყში შედიოდა (ბათუმის კაზა, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა (ულია), ქვემო აჭარა (სუფლია). მაჭახელი ლივანას კაზაში შედიოდა, გონია კი არხავეს კაზაში **(პალგრევი, 2012:52-62**). პალგრევის ცნობით, XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ზემო აჭარის კაზაში 1827 კომლი იყო 11620 სულით (გვ.18). XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, ვ. პალგრევის (ინგლისის კონსული ტრაპიზონში 1867-1872 წწ) ცნობით, ლაზისტანის სანჯაყი მოიცავდა ტერიტორიას შეკვეთილიდან ქალაქ რიზეს ფარგლებამდე და იყოფოდა სამ საკაიმაკამოდ: ლაზისტანის, რომელშიც შედიოდა ტერიტორია შეკვეთილიდან ჭორახამდე, **არხავეს** და **ლივანას** საკაიკამოები. მთლიანად სანჯაყი აერთიანებდა 446 სოფელს 220449 მოსახლეობით **(პალგრევი, 2012:50).** ლაზისტანის საკაიმაკამო აერთიანებდა 4 კაზას: ბათუმის, ჩურუქ-სუს, ზემო აჭარის და ქვემო აჭარის. ქალაქ ბათუმის ჩაუთვლელად აქ ცხოვრობდა 70088 კაცი და მასში შედიოდა 176 სოფელი **(პალგრევი, 2012:50-63**). თანამედროვე ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზემო აჭარის კაზას მოიცავდა.

ოსმალთა ბატონობის ხანაში, ისე როგორც მთელ ოსმალთა იმპერიაში, დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებზე შეიქმნა შესაბამისი ადმინისტრაციული-ტერიტორიული მმართველობის სტრუქტურა. სოფელი არ იყო იურიდიული ერთეული. აქ გადასახადებს კრეფდა მუხტარი (მამასახლისი), რომელსაც ჯამაგირი არ ეძლეოდა, იგი სოფლის რწმუნებულად ითვლებოდა. შედარებით მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო ნაჰიე (მაზრა, კაზა) და მას კაიმაკამი მართავდა. ნაჰიე ლივაში (სანჯაყი, ოლქი) შედიოდა. ლივას მუთესერიფი მართავდა. ლივა ერთიანდებოდა ვილაიეთში (გუბერნიაში) და მას

ვალი მართავდა. სანჯაყს, მართალია მუთესერიფი ედგა სათავეში, მაგრამ სასამართლო საქმეებს ყადი განაგებდა, რელიგიის საკითხებს, კი მუფთი. ამ უკანასკნელის ფუნქცია შარიათის კანონების დაცვა იყო. ჩამოყალიბებული იყო წარმომადგენლობითი ორგანოების მსგავსი სტრუქტურებიც: სანჯაყის—ოლქი მეჯლისი (საბჭო), კაზის— (მაზრა, რაიონი) კაზა მეჯლისი, სოფლის-იხტარ მეჯ-ლისი (მოხუცთა საბჭო). იყო, აგრეთვე ვილაიეთის მეჯლისი—იდარიე ვილაიეთი **(ახვლედიანი, 1944:22)**.

ზემო აჭარა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შედეგად შემოერთებულ ქართულ ტერიტორიებზე რუსეთის ხელისუფლებამ ორი ოლქი ჩამოაყალიბა: ყარსის და ბათუმის. ბათუმის ოლქში შევიდა აჭარა (ზემო და ქვემო), მაჭახელი, ბათუმ-ქობულეთი, ლივანა, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ლაზისტანი: გონი, სარფი, მაკრიალი, ლიმანი **(სდსინ, 2008:55).** 1878 წლის სექტემბერში დამტკიცდა დროებითი დებულება, რომლის მიხედვით ბათუმის ოლქი დაიყო 3 ოკრუგად (ბათუმის, აჭარის, ართვინის) და 9 საპოლიციო უბნად. აჭარის ოკრუგში შევიდა ქვემო აჭარის, ზემო აჭარის და მაჭახლის საპოლიციო უბნები. ასე, რომ ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფითაც ხულოს მუნიციპალიტეტი ზემო აჭარის საპოლოციო უბანს მოიცავდა. ოლქის გუბერნატორად ქართველი არცერთხელ ყოფილა, ხოლო ოკრუგებისა და საპოლიციო უბნების უფროსებად-იშვიათად. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ზემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსებად მუშაობდნენ: გ. ბერიძე, ს. ჯაფარიძე, მეფისაშვილი, ხოლო 1910-1912 წლებში – ჯემალ შერიფის ძე ხიმშიაშვილი **(სდსინ, 2008:59).**

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან, იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ, ქვეყანაში პოლიტიკური რეაქცია გაძლიერდა. კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა შეიცვალა მთავარმართებლით, თუმცა, მალე ისევ ძველი თანამდებობა (მეფისნაცვლის) აღდგა. 1883 წელს გაუქმდა ბათუმის ოლქი და შეიქმნა 2 ოკრუგი ბათუმის და ართვინის, რომლებიც ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. განსხვავებული იყო ქალაქ ბათუმის მართვა-გამგეობის სისტემა. 1878 წელ ბათუმი თავისუფალ ქალაქად—პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა და ასე დარჩა 1886 წლამდე, იგი ოკრუგის შემადგენლო-ბაში არ შედიოდა და საკუთარი ბიუჯეტი ჰქონდა. 1900 წლამდე შემოერთებული ტერიტორიების სოფლებში რუსული მმართველობის წესები არ შემოუღიათ.

XIX საუკუნის 80-იანი წლების ბათუმის ოლქის, კერძოდ, ზემო აჭარის სოფლებისა და მოსახლეობის (კომლი, კაცი, ქალი) რაოდენობის შესახებ საინტერესო სტატისტიკური ცნობებია მოცემული რუსი სამხედრო პირის ვ. ლისოვსკის წიგნში ,,ჭოროხის მხარე“ **(ლისოვსკი, 2015:167:182)**. ასევე, საყურადღებოა ცნობილი ეთნოგრაფის თედო სახოკიას ცნობები XIX საუკუნის-90-იანი წლების ზემო აჭარის მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების (სოფლები) შესახებ. ამ ინფორმაციის მიხედვით ზემო აჭარაში 1889 წელს ცხოვრობდა 2609 კომლი, 17579 სულით. 1890 წელს – 2609 კომლი – 17802 სულით. 1891 წელს 2615 კომლი – 18196 სულით, 1892 წელს – 2615 კომლი – 18468 სულით, 1893 წელს – 2615 კომლი – 18779 სულით, 1894 წელს 2644 კომლი – 19158 სულით, 1895 წელს 2645 კომლი – 19313 სულით, 1896 წელს – 2645 კომლი – 19465 სულით **(სახოკია, 1985:206).**

წარმოდგენილი მასალის მიხედვით 1889-1896 წლებში ზემო აჭარის მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილა მხოლოდ – 37 კომლით (1206 სული). ამავე ინფორმაციით, სოფლების რაოდენობა – 64-ია, თუმცა ავტორი ფიქრობს, რომ შეიძლება 10-15 სოფელი გამორჩენილი იყოს. იგი ასახელებს შემდეგ სოფლებს: აგარა, ალმათე (ალმე), ახალდაბა, ბაკო, ბარათაული, ბეღლეთი, ბუთურაული, გოგაძე, გუდასხევი, გორხანაული, დიდაჭარა, დიაკონილი, დიაკონიძე, დარჩიძე, დოვანი, ვაკე, ვერნები, ვარდისციხე, ვარჯანაული, ზემო ხევი, თხილვანა, იკაობიძე, კალოთა, კვატია, კარაპეტა, კვიახიძე, კვიწინაძე, ლომანაური, ლაკლაკიძე, მანიაკეთი, მახალაკიძე, მოფრინეთი, მაწყვალთა, ნადაბური, ნიგოზეული, ნანოშვილები, ნამონასრები, ოქროპილარი, ოთანახევი, ოლადაური. ორთამელე, პაქსიძე, პაპაშვილები, რიყეთი, სხალთა, ტაბაძველი, ტაკიძე, ტბეთი, ფაჩხა, ფურტიო, ღორჯომი, ღორჯომელაძე, ყადიოღლი, ჩავო, ცინტარიძე, წინარიძე, წყლისაყარი, წაბლანა, ჭედლური, ჭვანა ხულო, ხიხაძირი ხაბელაშვილები, ჯაბნიძე **(სახოკია, 1895:206,209**).

1900 წლის ზაფხულში ყოფილი ყარსისა და ბათუმის ოლქებში ჩატარდა სასოფლო მმართველობის რეფორმა. რეფორმის დებულებით სასოფლო მმართველობა ორსაფეხურიანი იყო. პირველი სასოფლო საზოგადოება იყო, რომელშიც ერთი ან რამდენიმე დასახლებული პუნქტი შედიოდა, მეორე კი, სასოფლო ოკრუგი, რომელშიც რამდენიმე ან ერთი დიდი სოფელი ერთიანდებოდა. 1903 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს 17 მარტის დადგენილებით 1 ივლისიდან აღადგინეს ბათუმის ოლქი, რომელიც ორ ოკრუგად (ბათუმის და ართვინის) და 7 საპოლიციო უბნად დაიყო. ბათუმის ოკრუგში ოთხი საპოლიციო უბანი (კინტრიშის, გონიოს, ქვემო აჭარის, ზემო აჭარის) შედიოდა, ართვინის ოკრუგში სამი (ართვინის, არტანუჯის, შავშეთ-იმერხევის). ზემო აჭარის საპოლიციო უბანში შედიოდა თანამედროვე ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორია.

იგი ოთხ სასოფლო ოკრუგად იყოფოდა: ჭვანის, ხულოს, სხალთის და დღვანის **(ქუთაისის... 1900-1901:11,12,15,17).**

ქვემოთ წარმოგიდგენთ ზემო აჭარის საპოლიციო უბანში შემავალ სასოფლო ოკრუგებსა და საზოგადოებებს მათში შემავალი სოფლების მოსახლეობის რაოდენობის ჩვენებით.

ზემო აჭარის საპოლიციო უბანი				
№	სასოფლო ოკრუგების და საზოგადოებების დასახელება	კომლი	კაცი	ქალი
I.	**ჭვანის სასოფლო ოკრუგი**	643	1866	1757
	1. დუზ-ჭვანის სასოფლო საზოგადოება	**266**	**576**	**533**
	სოფლები: ცივამეები	16	49	35
	დუზ-ჭვანა	32	85	79
	ცხემლისი	30	77	82
	ახალდაბა	26	84	81
	ტაკიძეები	22	52	54
	ვარჯანაული	12	36	32
	ჭალა	38	107	130
	წყაროთა	30	66	60
	2. ინწკირვეთის სასოფლო საზოგადოება	**228**	**615**	**623**
	ცეკვა	10	36	30
	ბრილი	22	64	64
	ჟანივრი	14	40	35
	ინწკირვეთი			
	ხაბელაშვილები	78	233	230
	ნაღვარევი			
	ბარათაული	50	130	128
	ცენტერაძეები	16	46	48
	ვანი	19	39	36
	გომარდული	19	57	52
	ზემოხევი	**103**	**319**	**272**
	3. შუახევის სასოფლო საზოგადოება	13	38	35
	სოფლები: ყაია-ბაში	15	55	42
	ორთა-მეჰელე	4	10	8
	გორხანაული	12	37	32
	ოქროპილაური	20	55	38
	დაბაძველი	15	45	45
	სხეფელა	13	52	40
	ბერსელ-ოღლაური	11	27	32
	კოლოშნარი	**106**	**326**	**329**
	4. ჩანჩხალო-ნიგაზეული სასოფლო საზ-ბა	68	190	202
		38	136	127

	სოფლები: ჩანჩხალო ნიგაზეული			
II.	**1.ხულოს სასოფლო ოკრუგი**	**1017**	**3667**	**3542**
	ხულოს სასოფლო საზოგადოება	360	1254	1211
	სოფლები: ალმე	59	206	186
	ხულო	33	122	130
	ძირკვაძეები	20	97	92
	ყადიოღლები	27	83	80
	გუდასახვევი~	7	46	40
	დუაძეები	12	54	45
	უჩხო	15	45	42
	გორგაძეები	7	25	30
	ელელიძეები	7	20	18
	ოქრო-ოღლაური	23	66	68
	ქედლები	44	149	153
	საბაური	9	22	18
	ჩავო	17	61	55
	რიჟვაძეები	13	43	43
	მელაძე	21	64	59
	თაგო	12	54	56
	აბულაძეები	34	101	96
		172	**621**	**589**
	2. აგარის სასოფლო საზოგადოება	48	166	150
	სოფლები: აგარა	32	105	95
	საციხური	24	84	90
	ვანაძეები	12	46	44
	მეკეიძეები	7	69	18
	ხოზრევანიძეები	10	41	42
	ბუღაური	21	96	92
	მახალაშვილები	18	64	60
	ვაშაყმაძეები	229	897	869
	3. დიდაჭარის სასოფლო საზოგადოება	18	75	69
	სოფლები: გობაძეები	14	607	100
	ხუციაშვილები	25	64	165
	შავაძეები	29	134	148
	ტუნაძეები	37	80	69
	გორგაძეები	10	35	32
	ირემაძეები	11	42	40
	სტეფანაშვილები	12	62	89
	მუთიძეები	23	83	81
		30	110	106

	ლობსიძეები	30	105	100
	დავლაძეები	**256**	**895**	**873**
	წინწკალაშვილები	18	66	62
	ადაძეები	10	67	19
	4. ბეღლეთის სასოფლო საზოგადოება	14	55	62
	სოფლები: დანისპარაული	20	72	71
	ინუსოღლები	34	101	92
	ტაბახმელა	27	74	78
	დიოკნისი	33	102	106
	ბეღლეთი	20	76	70
	ბოძაური	10	50	42
	რიყეთი	10	50	46
	მანიაკეთი	12	66	62
	ღორჯომელაძეები	8	40	33
	ღურტა	23	43	79
	კორტოხო	17	54	51
	მგელაძეები			
	პაქსაძეები			
	იაკობაძეები			
III.	**სხალთის სასოფლო ოკრუგი**	**428**	**6643**	**1619**
	1. სხალთის სასოფლო საზოგადოება	290	1205	6683
	სოფლები: ფუშრუკაული	17	80	72
	ვერნები	12	58	50
	რაქვთა	16	83	92
	კვატია	17	80	93
	მახალაკაური	6	27	27
	ხიხაძირი	43	177	162
	კალოთა	14	37	36
	ოშანახევი	3	9	10
	სკვანა	15	61	66
	თხილვანა	25	117	122
	ბაკო	17	56	50
	სხალთა	6	12	9
	გურძაულო	8	31	30
	ძმაგულა	8	29	22
	ყინჩაური	18	57	60
	ჭერი	15	44	42
	ფაჩხა	20	73	21
	წაბლანა	30	674	169
	2. ფურტიო-ნენიის სასოფლო საზოგადოება	138	438	436
		31	113	110

	სოფლები: ფურტიო	6	19	34
	ფოთელაური	8	30	32
	მჭედლაური	48	147	150
	ნენია	15	86	38
	გუნდაური	22	83	82
	ბუთურაული			
IV.	**დღვანის სასოფლო ოკრუგი**	**582**	**2035**	**206**
	1.დარჩიძეების სასოფლო საზოგადოება	191	796	755
	სოფლები: ჯუმუშაური	8	35	32
	პაპოშვილები	16	64	66
	ოლადაური	14	72	76
	კარაპეტი	15	66	60
	მაწყვალთა	19	86	79
	მახალაკიძეები	22	94	92
	ტომაშეთი	12	50	43
	გუნდაური	6	23	18
	შუბანი	16	63	56
	კობალთა	12	50	44
	იაკობაური	8	25	31
	დარჩიძეები	31	152	146
	წელათი	4	16	12
	2. დღვანის სასოფლო საზოგადოება	**182**	**595**	**580**
	სოფლები: ქიზინიძეები	39	104	106
	ჯაბნიძეები	46	150	147
	დღვანი	51	174	171
	გოგინაური	15	56	53
	ლომანაური	16	50	54
	კვიახიძეები	15	61	45
	3. ტბეთის სასოფლო საზოგადოება	**209**	**694**	**681**
	სოფლები: ტბეთი	42	136	180
	გოგაძეები	21	60	55
	ორთა-მეჰელე	23	68	89
	ლომსიანიძეები	9	23	23
	ვახტანგიძეები	11	36	34
	წაბლანა	22	84	83
	სამოლეთი	12	43	45
	მოფრინეთი	21	73	71
	ლაკლაკეთი	26	88	90
	ცინარიძეები	22	83	81

ამრიგად, ზემო აჭარის საპოლიციო უბანში იყო 133 დასახლებული პუნქტი (სოფელი), რომლებიც გაერთიანებული იყო 4 სასოფლო ოკრუგსა და 13 სასოფლო საზოგადოებაში (მოსახლეობის რაოდენობა – 2670 კომლი, 18195 სულით). ბათუმის ოლქის ზემოთ ნაჩვენები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შენარჩუნებული იყო 1917 წლამდე.

დაძაბული პოლიტიკური მოვლენებით იყო დატვირთული XX საუკუნის 10-იანი წლები, რომელთა შორის გამორჩეული იყო პირველი მსოფლიო ომის ის ოთხი წელიწადი, როცა უმძიმესი ზარალი (მატერიალური, ადამიანთა მსხვერპ-ლი) განიცადა მთლიანად სამხრეთ-დასავლეთმა საქართველომ და მისმა ნა-წილმა – ზემო აჭარამ. ომმა აქაურ მოსახლეობას არა მარტო მატერიალური ზარალი და ახლობელთა დაკარგვით უმძიმესი ტკივილი მიაყენა, არამედ დიდი მორალური შეურაცხყოფაც—შეთითხნილი ე.წ. ,,აჭარელთა სახელმწიფო ღალა-ტის“ ბრალდებით.

ამ ბრალდების უსაფუძვლობა არგუმენტირებულადაა დასაბუთებული რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატ აკაკი ჩხენკელისადმი აჭარლებისა და ბათუმისა და ყარსის ოლქების სხვა მუსლიმანთა დამცველი ჯგუფის მიერ შედ-გენილ მოხსენებით ბარათში, რომელიც რუსულიდან თარგმნეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს დ. ჭუმბურიძემ და ხ. ქოქრაშვილმა **(დ. ჭუმბურიძე..., 2016:617-625).**

ომის დაწყებამდე და შემდეგაც, როგორც რუსეთი, ისე თურქეთი ადგილობ-რივი მოსახლების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდნენ. თურქეთის მთავარ-სარდლობამ ბათუმზე შეტევის წინ გაავრცელა დეზინფორმაციული ცნობა, თითქოს თურქეთი მთავარ შეტევას ერზრუმის მიმართულებით განახორციე-ლებდა. რუსეთის მთავარსარდლობამ ეს ირწმუნა და მთავრი ძალები ერზრუმის მიმართულებით გადაიყვანა. ბათუმ-ართვინის მიმართულებით თურქების 14 ბატალიონის წინააღმდეგ რუსთა, მხოლოდ ექვსი ბატალიონი დარჩა. გაუმაგრე-ბელი და დაუცველი იყო საზღვრებიც, რამაც თურქეთის დივერსიული ჯგუფე-ბი, პროვოკატორები და დეზინფორმატორები გააქტიურა. ზემო აჭარის გავ-ლენიანმა და აქტიურმა წარმომადგენლებმა **(ალი აღა სირაძემ-დიდაჭარიდან, მამულაძემ-თხილვანიდან, ქელეშა გაბაიძემ-სკვანიდან, მოლა სინან სურმანიძემ-ხიხაძირიდან, ხასან მახალაკიძემ-დარჩიძეებიდან, თუფან თავდგირიძემ -ჭვანი-დან, შახველედ აბდიოღლი დიასამიძემ-ჩანჩხალოდან, ინუს აღა ბერიძემ-ფურ-ტიოდან, სულეიმან ბოლქვაძე-აბულაძეებიდან, ემინ ეფენდი ქარცივაძემ-ოლა-დაურიდან და კიდევ სხვა სამმა პირმა)** ომის დაწყების წინა დღეებში ხულოს უბნის უფროს ნიკოლსკის მიართვეს თურქულ ენაზე დაწერილი წერილი მთავ-რობისათვის გასაცნობად. წერილში ნათქვამი იყო: **,,ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან**

გავიგეთ თურქეთის განზრახვა აჭარაში ჩეთნიკების შემოსევის შესახებ, რასაც თან უნდა მოჰყვეს დიდძალი ჯარის შემოჭრა, ჩვენ აჭარის გლეხობამ საჭიროდ ვცანით ვაუწყოთ მთავრობას ამის შესახებ, რომ დროულად იქნეს მიღებული ზომები საზღვრების გასამაგრებლად. ამ ზომების გატარებაში ჩვენც მზად ვართ. თუ მთავრობამ ვერ შეძლო თავის დროზე ამ საკითხის მოგვარება, შემდეგ ჩვენ ვერას გავხდებით" (ქემხაძე, 1958:15).

საზღვრები სათანადოდ არ გამაგრდა, არც მებრძოლთა რაოდენობა იყო საკმარისი, რაც კარგად გამოიყენეს თურქებმა და 1914 წლის ნოემბრის ბოლოს შეაღწიეს აჭარისწყლის ხეობაში. დაიკავეს ქედა, დეკემბრის დასაწყისში – ხულო (1000-კაციანი რაზმით), ჩეთეს რაზმები გაიჭრნენ ჩაქვის მიმართულებით, ბათუმს ზღვიდან 15-მდე ჭურვი ესროლეს. ყველაფერ ამას ახლდა ადგილობრივთა მსხვერპლი, აწიოკება, ძალადობა. ამას მოგვიანებით დაემატა რუსი გენერლების მხრივ ადგილობრივთა აწიოკება, სოფლების გადაწვა, თითქოს ამათი ხელშეწყობით მოიპოვეს თურქებმა პირველ ეტაპზე წარმატებები. საუბედუროდ ამით არ დასრულებულა აჭარელთა უსამართლო დასჯა. 3 ათასამდე კაცი იყო შეყვანილი ბრალდებულთა სიაში. მარტო 1915-1916 წლებში 27 სასამართლო პროცესი გაიმართა. ბრალდებულთა შორის იყვნენ ისინიც, რომლებმაც ხელისუფლებას გამაფრთხილებელი წერილიც მიართვეს. ამათგან ორი – **შახველედ აბდიოღლი დიასამიძე** და **თოფან თავდგირიძე** 1914 წლის 14 დეკემბერს ხიჭაურში ასობით ადგილობრივთა თვალწინ სიკვდილით დასაჯეს (ჩამოახრჩეს). გათვალისწინებული იყო სხვა ,,დამნაშავეთა" ჩამოხრჩობაც, მაგრამ ზემო აჭარის საპოლიციო უბნის სხალთის სასოფლო ოკრუგის კანცელარიის მწერლის სტეფანე ქემხაძის ვაჟკაცობამ და გამბედაობამ (შეახსენა და წარუდგინა ხელისუფლებას გლეხობისაგან გამაფრთხილებელი წერილი), იხსნა დანარჩენი ათობით სასიკვდილოდ განწირული ადამიანი.

რეპრესიები გრძელდებოდა და მხოლოდ ქართული საზოგადოების პროტესტმა და განსაკუთრებით, რუსეთის სახელმწიფო დუმის (სათათბიროს) ქართველი დეპუტატის აკაკი ჩხენკელის უკომპრომისო გამოსვლებმა დუმაში შეაცვლევინა აზრი ხელისუფლებას ამ საკითხზე. თუმცა, ე. წ ,,მოღალატეთა" წინააღმდეგ კამპანია ოფიციალურად მხოლოდ 1918 წლის 26 იანვრის ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილებით შეწყდა და მისი ინიციატორი იყო ამ მთავრობის შინაგან საქმეთა კომისარი აკაკი ჩხენკელი. ხელისუფლება ათეული წლების შემდეგაც იხსენებდა ამ ბრალდებას მისთვის მიუღებელი პიროვნებების თავიდან მოსაშორებლად.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, 2 მარტს შეიქმნა დროებითი კოალიციური მთავრობა (თავმჯდომარე ჯერ გ. ლვოვი, შემ-

დეგ მ. კერენსკი). პარალელურად ფუნქციონირებდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო (თავჯდომარე კ. ჩხეიძე). ასე რომ, რუსეთში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. დროებითმა მთავრობამ გააუქმა კავკასიის მეფისნაცვლის ინსტიტუტი, შეამცირა ოლქის საზღვრები და იგი შემოფარგლა ამიერკავკასიით. ამიერკავკასიის მმართველობისთვის შექმნა წარმომადგენლობითი ორგანო-ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (,,ოზაკომი“) და შესაბამისი რწმუნებით თბილისში გამოგზავნა. ,,ოზაკომში“ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები იყვნენ ამიერკავკასიიდან. მათ შორის ქართველი სოციალ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო შეიცვალა სოციალ-დემოკრატ ა. ჩხენკელით. ,,ოზაკომის“ მიერ შემუშავებული დებულების საფუძველზე აჭარაში დაიწყო ადგილობრივი ორგანოების – კომისარიატების ჩამოყალიბება. პარალელურად, ოლქის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში იქმნებოდა აღმასრულებელი კომიტეტი. 1917 წლის 14-20 მაისს ბათუმში ჩატარებულმა ოლქის აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა ყრილობამ ცვლილება შეიტანა ოლქის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში. გააუქმა ბათუმის და ართვინის ოკრუგების მმართველობა და დატოვა 7 საპოლიციო უბნის მმართველობა. დაადგინა ართვინისა და არტანუჯის თვითმმართველობის შემოღება **(სდსინ, 2008:401).** ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზემო აჭარის საპოლიციო უბანში იყო მოქცეული.

1917-1921 წლებში საქართველოსა და კერძოდ ბათუმის ოლქში მნიშვნელოვან მოვლენებს ჰქონდა ადგილი: ოსმალთა, გერმანელთა და ინგლისელთა თარეში, აჭარის განთავისუფლება უცხოელთაგან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, 1921 წლის თებერვალში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია და საბჭოთა წყობილების დამყარება... მაგრამ არსებითი ცვლილება ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სტრუქტურაში არ განხორციელებულა.

Bichiko Diasamidze

History of Khulo Municipality since ancient time until 20-yy. Of XX century

Summary

The work with the confirmation of material, written resources and scientific literature, deals with the history of Khulo Municipality since ancient time until Soviet period. It is seen that, the life step of human on the territory of the municipality appears since ancient

Stone Age, and since Neolith- early Bronze Age, here the human has been residing continuously. The activity results of the first mediators of Jesus in this area is clearly shown, also Christian religious monuments, works of Abuserisdze family and namely the Abuserisdze are shown, according to Ottoman resources of XVI century, Upper Adjara is explained in the beginning of XIX century, the work also deals with the reasons of Islam spread in short period of time, the administrative management structure of Adjara and the units including in it is shown before and after of 1877-1878 yy. War. The population of upper Adjara at the beginning of XX century according to villages and communities, the unreasonable essence so called "state treason by Ajarian people" spreading at the beginning of the First World War etc. are shown too.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აბუსერისძე, 1998**: აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნ. გოგუაძემ, გ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ. ბათუმი.

2. **ახვლედიანი, 1944:** ახვლედიანი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათუმი.

3. **ახვლედიანი, 1956:** ახვლედიანი ხ., სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი.

4. **აჭარის ლივის... 2011:** აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტო მასალები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბილისი.

5. **ბაქრაძე, 1987:** ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, ბათუმი.

6. **დიასამიძე, 2007:** დიასამიძე ბ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და აჭარა ტბელ აბუსერისძის ხანაში (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა), კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათუმი.

7. **დიასამიძე, 2012**: დიასამიძე ბ., მეჩეთები ნაეკლესიარებზე-რელიგიური ვითარება XIX საუკუნის აჭარაში. კრ. ,,ჩვენი სულიერების ბალავარი", თბილისი.

8. **დიასამიძე, 2016:** დიასამიძე ბ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლნი (სელიმ ხიმშიაშვილი და მისი შთამომავლები).-კრ. ისტორიული ეტიუდები, II, ბათუმი.

9. **იაშვილი, 1948:** იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი.

10. **კომახიძე, 2006:** კომახიძე თ., ხულოს რაიონი, წიგნი I, ბათუმი.

11. **ლისოვსკი, 2015 (167-182):** ლისოვსკი ვ., ჭოროხის მხარე, თარგმნა და ავტორის ბიოგრაფია, კომენტარები, შენიშვნები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.

12. **პალგრევი, 2012:** პალგრევი ვ. ჯ., ტრაპიზონის პროვინცია, ლაზისტანის სანჯაყი (1867-1869 და 1872 წლის ანგარიშები). თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, კომენტარები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.

13. **სვანიძე, 1960:** სვანიძე მ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ისტორიიდან XVII საუკუნის დამდეგს, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, IV, ბათუმი.

14. **სდსინ, 2007:** სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბათუმი.

15. **სახოკია, 1985:** სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი.

16. **ფალავანდიშვილი, 2005:** ფალავანდიშვილი შ., აჭარის ბუნება და სოფლის მეურნეობა, ბათუმი.

17. **ქც[1],1955:** ქართლის ცხოვრება, ტ.I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

18. **ქც,[2] 1959:** ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

19. **ქართველი მუსლიმები..,** 2010: ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი.

20. **ქემხაძე, 1958**: ქემხაძე ს., მოგონებანი, ბათუმი.

21. **ქუთაისის...1900-1901:** ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდი №130, ს. №298, ქუთაისის გუბერნიის ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ადმინისტრაციული დაყოფა (რუსულ ენაზე).

22. **ყაზბეგი, 1995:** ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში. ნაშრომი თარგმნეს შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი.

23. **ცინცაძე, 1980:** ცინცაძე ი., ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XX საუკუნის დასაწყისში. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები (სდსძ), IX, თბილისი.

24. **ჭაბაშვილი, 1989:** ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო მიხეილ ჭაბაშვილმა, მესამე შესწორებული გამოცემა, თბილისი.

25. **ჭუმბურიძე...,2016:** ჭუმბურიძე დ, კიკვაძე ვ, ქოქრაშვილი ხ, სარალიძე ლ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით). წიგნი II. თბილისი.

26. **ხალვაში, 2006:** ხალვაში რ., ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და ღვაწლი, ბათუმი.

27. **ხიმშიაშვილები, 2003:** ხიმშიაშვილები (წყაროები, ლიტერატურა, პუბლიკაცია), წიგნი I, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და საძიებლები დაურთო იოსებ ხიმშიაშვილმა, ბათუმი.

28. **ხიმშიაშვილი, 1920:** ხიმშიაშვილი ჯემალ ქართული არმიის პოლკოვნიკი, გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ივლისი.

29. **ხიმშიევი, 1920:** ჯემალ ფაშა ხიმშიევი, გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, №321.

სელიმ ხიმშიაშვილი

შერიფ ხიმშიაშვილი



სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი

სხალთის თაღოვანი ხიდი

უჩხოს ქვის თაღოვანი ხიდი



სხალთის ტაძარი

ხიხანის ციხე

ტბელ აბუსერისძე

უჩა ოქროპირიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი

ხულოს მუნიციპალიტეტი 1921-1991 წლებში

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

გასაბჭოების პირველ წელს თითქმის უცვლელად დარჩა ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. „წითელი მეჯლისის 1921 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით, რომელიც მიღებული იყო მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში შედიოდა ერთი ქალაქი (ბათუმი)და ხუთი მაზრა – ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, აჭარისწყალი, ბათუმისა და ქობულეთის მაზრები (RKAB, (Mart 1921– Januar 1922 g.),Cbornik... 1963, 293). უცვლელი დარჩა ცარიზმის დროინდელი სასოფლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა XX საუკუნის 20-იანი წლებში. ამ მიმართულებით პირველი რეფორმა 1923-1924 წლებში განხორციელდა. შეიცვალა მაზრებისა და სასოფლო თემების სახელწოდებები, მათი ადმინისტრაციული ტერიტორიების საზღვრები და მოსახლეობის რიცხოვნება. ძველი საპოლიციო უბნების გადანაწილების ხარჯზე შეიქმნა ჭოროხისა და აჭარისწყლის მაზრები. ზემო აჭარას ეწოდა ხულოს მაზრა, ქვემო აჭარას – ქედის, კინტრიშისას – ქობულეთის; სასოფლო ოკრუგებს ეწოდა სასოფლო თემები (სდსინ, 2012, 64).

ხულოს მაზრა აერთიანებდა 118 სოფელს, სადაც ცხოვრობდა 3517 კომლი 24 689 სულით. იგი იყოფოდა 7 სასოფლო თემად. დიოკნისის სასოფლო თემში შედიოდა 13 სოფელი (291 კომლი, 2529 სული), სხალთის – 23 სოფელი (830 კომლი 5694 სული), ოლადაურის – 14 (468 კომლი, 2792 სულით), ღორჯომის _ 18 სოფელი (513 კომლი, 4130 სულით), უჩამბის, – 13 სოფელი (391 კომლი, 2595 სულით), ჭვანის – 24 სოფელი (588 კომლი, 3986 სულით), ხულოს თემი – 13 სოფელი (436 კომლი, 2863 სულით (იქვე,გვ. 65). რეფორმების ჩატარებამდე კი, როგორც აჭარისტანის შ/ს სახალხო კომისარიატის საიდუმლო მოხსენებაშია

აღნიშნული, ხულოს მაზრის 127 სოფელში ცხოვრობდა დაახლოებით 2720 კომლი 19 584 კაცით (აცსა, ფ. რ-75, ან 1, ს.1, ფურც.27-28).

1922-1929 წლებში მაშინდელ ხულოს მაზრაში მმართველობის ძირითად რგოლს წარმოადგენდა ხულოს მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, ანუ, როგორც მას ოფიციალურად ეწოდებოდა, ხულოს მაზრაღმასკომი. 1929 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით, ხულოს მაზრაღმასკომი გაუქმდა და მის ადგილზე დადგენილი იქნა ხულოს რაიონის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების რაიონული აღმასკომი (აცსა, ფ. რ. 4, ან. 1. ს. 60), რომელიც ფუნქციონირებდა 1930-1937 წლებში, 1938 წლიდან კი მას ეწოდებოდა ხულოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 1).

აღნიშნული დოკუმენტი გვამცნობს, რომ ხულოს მაზრაში პირველი პარტიული უჯრედი (კომუჯრედი) შეიქმნა 1924 წლის 24 თებერვალს. 1930 წლიდან მას ეწოდა კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხულოს რაიონული კომიტეტი, რომელიც უკანასკნელ ხანებამდე მოქმედებდა და ლიკვიდირებული იქნა მხოლოდ 1991 წლის აგვისტოში კომუნისტური პარტიის გაუქმებასთან დაკავშირებით (აცსა, ფ პ-12, ან 1, ს. 288, ფურც. 1).

1930 წლის 14 ოქტომბრის აჭარის ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით ხულოს რაიონში შეიქმნა 10 სასოფლო საბჭო, სახელდობრ – ღორჯომის, დეკანაშვილების, დიდაჭარის, დიოკნისის, ოლადაურის, სხალთის, ხიხაძირის, უჩამბის, ჭვანის და ჟანივრის სასოფლო საბჭოები.

ხულოს რაიონი მისი შექმნის მომენტისათვის (1930 წ.) უკვე აერთიანებდა, როგორც დოკუმენტი გვიჩვენებს, 130-მდე სოფელს, 4104 კომლსა და 29 538 სულ მოსახლეობას (კომლზე გამოდის დაახლოებით 7,2 კაცი).

1930 წლისთვის ხულოს რაიაღმასკომი შედგებოდა შემდეგი სტრუქტურული ერთეულისაგან – საერთო განყოფილება, საგეგმო-სტატისტიკური ნაწილი, საადგილ-მამულო, საფინანსო, სოცილურ-კულტურული და ადმინისტრაციული განყოფილებები, მუშათა და გლეხთა ინსპექცია (აცსა, ფ. რ-2, ან.1, ს.834, ფურც.112; აცსა, ფ. რ-2, ს. 834, ფურც. 293).

ხულოს რაიაღმასკომმა თავის სტრუქტურულ ნაწილში შემდგომ წლებში განიცადა ცვლილებები, მაგრამ იგი ყოველთვის წარმოადგენდა რაიონის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობდა რაიონის მთლიან სახალხო სამეურნეო საქმიანობას და სასოფლო საბჭოების მუშაობას. ხულოს რაიაღმასკომი უშუალოდ ექვემდებარებოდა აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს (იქვე).

1922 წლისთვის ხულოს მაზრის სოფლებში იყო მხოლოდ ცხენით სასიარულო გზები, სატელეფონო კავშირი კი მათთან საერთოდ არ არსებობდა. ამასთან, მაზრაში გახსნილი ყოფილა მხოლოდ 11 ქართული და თათრული სკოლა, რომელთა შენობები ყველგან შესაკეთებელი ყოფილა, სწავლა კი არსად არ იყო დაწყებული. ხალხის დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობის მიმართ მაზრაღმასკომის მოხსენებაში არადამაკმაყოფილებლად არის შეფასებული და ეს ახსნილია მაზრაში პოლიტიკური მუშაობის უკმარისობით, თუმცა ისიცაა აღნიშნული, რომ მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები არ ყოფილა.

ამავე პერიოდში მაზრაში დაფიქსირებულია კომკავშირული ორგანიზაცია (ხელ-ლი რიზა ხოზრევანიძე) და მისი 63 წევრი. აქვე აღრიცხულია სულ 4 პოლიტმუშაკი მთელს მაზრაში, ისინიც ბათუმის პარტკომიდან გამოგზავნილნი.

ამავე მოხსენების მიხედვით, ხულოს მაზრაში ხშირი ყოფილა ძარცვა და მკვლელობანი, რის გამოც საჭიროდ მიუჩნევიათ ცხენოსანი მილიციის შექმნა. აქვე აღნიშნულია ჭლექის გავრცელების შესახებ და ნათქვამია, რომ მაზრაში არის მხოლოდ ერთი ექიმი, ფერშალი – თემებში კი საჭიროდაა მიჩნეული სამედიცინო პუნქტების დაარსება. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მაზრაში საქმის წარმოება ხდება სახელმწიფო ქართულ ენაზე. აქედანვე ირკვევა, რომ მაზრაღმასკომი არასისტემატიურად ღებულობდა ჟურნალ-გაზეთებს. განსაკუთრებით გაზეთი „მოამბე“, ადგილობრივი გაზეთები კი თითქმის მიუწვდომელი იყო, ხოლო არცერთი აღმასკომში საქმეები არარის სათანადო დონეზე დაყენებული, რადგან არ იყვნენსათანადოდ მომზადებული საქმის მწარმოებლები და სხვა (აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 1,ფურც. 27-28). როგორც ხულოს სამაზრო, ისე მისი თემების კანცელარიები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ საკანცელარიო ნივთებს (აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 1, ფურც. 10). ამავე დოკუმენტში დასმულია საკითხი ბათუმსა და ხულოს შორის კორესპონდენციების გასაგზავნად მოტოციკლეტებით მიმოსვლის ორგანიზებისა და ადგილობრივი ხულოს მაზრის თემებისათვის 5 ტელეფონისა და 60 ვერსი მავთულის გამოყოფის შესახებ (იქვე). როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში ფაქტობრივად საკომუნიკაციო ქსელი საერთოდ არ არსებობს და მისი შექმნა ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

1923წლის მარტის თვეში მაზრაში სიმშვიდეა. აქ მუშაობა დაუწყია აღნიშნული თვის პირველ რიცხვში გახსნილ საინფორმაციო განყოფილებას. ამავე წლის 28 მარტს ხულოში გახსნილა ხულოს უბნის სასამართლო და მისი სახელმწიფო საგამომძიებლო კამერა, რომლებიც მოთავსებული ყოფილა ჯემალ ხიმშიაშვილის სახლში. აქ ჩამოსულ საავადმყოფოს გამგეს საჭირო ინვენტარისა და ნივთების უქონლობის გამო საავადმყოფოს გახსნა ჯერჯერობით ვერ მოუხერხებია, მაგრამ აჭარის ასსრ შ/ს სამინისტროსადმი გაგზავნილ ამავე მოხსენებაში

აღნიშნულია, რომ უკვე ყველა თემებში არის საექიმო-საფერშლო პუნქტები საჭირო მედიკამენტებით. ამავე მოხსენებიდან ჩანს ისიც, რომ ხულოს სამაზრო ხელისუფლებას უცდია ყველა თემის ჯამეთა ხოჯების გამოყენება საკუთარი მიზნების მისაღწევად. მათაც გამოუთქვამთ „სურვილი მუშურ-გლეხურ მთავრობასთან ერთად ემუშავათ ფუხარა ხალხის სასარგებლოდ“ (აცსა, ფ. რ-75, ან 1, ს. 2, ფურც. 18-19). 1923 წლის ივნის-ივლისში შ/ს სახალხო კომისარისადმი შედგენილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ხულოს მაზრაში კვლავ სიწყნარეა, ბოროტმოქმედებას ადგილი არ ჰქონია და მისი მცხოვრებნი უკვე დადებითად უყურებენ საბჭოთა ხელისუფლებას. იმედს გამოთქვამენ, რომ ის არის და იქნება ფუხარა ხალხის ინტერესების დამცველი. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ხელისუფლება ხულოს მაზრაში საჭირო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად ცდილობდა ყველა რესურსის მობილიზებას, რისთვისაც სასწრაფოდ დაუწყია გზების მშენებლობა, ხულოში კი კლუბის მოწყობა; კლუბისათვის გამოუყვიათ ყოფილი ეკლესიის შენობა, შეუქმნიათ მთის დამცველი, ოცი კაცისაგან შემდგარი, მილიცია, იალაღებზე დაუნიშნავთ 5-5 კაციანი დამცველი რაზმები, თუმცა უჯამაგიროდ. ზომები მიუღიათ მთაში გაჩენილი თურქულასა და ციმბირის წყლულის წინააღმდეგ, ასევე აუკრეფიათ ნატურალური გადასახადი, რომელიც ინახებოდა სამაზრო ხაზინაში (აცსა,. რ-75, ან. 1. ს. 2, ფურც. 29). როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, აღნიშნულ პერიოდში დიდაჭარის, სხალთისა და ხიჭაურის თემებს არ ჰქონიათ შენობები აღმასკომისა და სკოლისათვის და მთელს ხულოს მაზრაში არსებულა მხოლოდ სამი სკოლა, რომლებიც ასევე შენობის არქონისა თუ სხვა მიზეზების გამო ვერ ფუნქციონირებდა. მოხსენებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ „სწავლა-განათლებას ხალხი გაურბის და ოჯახური საჭიროების გამო მეცადინეობა ხშირად თვითნებურად წყდება“ (იქვე, ფურც. 32-34). მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა შეუპოვრად გრძელდებოდა და 1923 წლის ბოლოსთვის ხულოს მაზრაში უკვე ფუნქციონირებდა 5 სკოლა: დიდაჭარაში, ხულოში, ბარათაულში, ჭვანასა და უჩამბაში. ამავე პერიოდში ხულოს მაზრაში სულ ყოფილა 6 ქართულისა და 9 თურქული ენის მასწავლებელი. სასწავლო ნივთების, მასწავლებელთა ჯამაგირების და სწავლებასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემათა მიუხედავად, აღნიშნულ სკოლებში მეცადინეობა მაინც მიმდინარეობდა (იქვე, ფურც.44).

არსებული პრობლემების მიზეზად ხულოს მაზრის კომუჯრედისათვის გაკეთებულ მოხსენებაში 1924 წლის 31 მაისს მაზრაღმასკომის მდივანი კალანდაძე მაზრაში პარტიული მუშაკების ნაკლებობას თვლიდა და აღნიშნავდა, რომ „მთელ მაზრაში 2 თუ 3 პარტიული ამხანაგია, მოსამსახურეთა უმრავლესობა კი მენშევიკები არიან, რომელთაც არ აინტერესებდათ საბჭოთა ინტერესების დაც-

ვა. „აქვე ნათქვამია, რომ მაისის თვეში ადგილი ჰქონია ხიჭაურის თემში მასობრივ გამოსვლას, სადაც ცხრა სოფელმა უარი განაცხადა გზის სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობაზე. მათ განუმარტავთ, რომ ნიკოლოზის მთავრობა უკეთესი იყო, რადგან თუ გზას გვაკეთებინებდა, დღიურად 3 მანეთს გვაძლევ-დაო. ამის გამო 100 კაცამდე ბათუმში წასულან მთავრობასთან საჩივლელად (აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 4, ფურც. 83). ალბათ, ასეთი ქმედებისათვის, აღნიშნული სოფლის მცხოვრებლებზე სახელის გასატეხად, მათ პარტიული მუშაკი კონტრაბანდისტობას აბრალებს. თუმცა ამავე წლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ხულოს მაზრაში მიმდინარეობს 6 ახალი სკოლის მშენებლობა და დაწყე-ბულია 5 სკოლის შენობის შეკეთება, ხოლო მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია 14 ახალი სკოლის გახსნა და ხულოში 200 ბავშვისათვის პანსიონის დაარსება. ამავე პერიოდისთვის, ხულოს მაზრა უკვე საკმაოდ უზრუნველყო-ფილი ჩანს ჟურნალ-გაზეთებით, წიგნებითა და ბროშურებით, რომლითაც სარგებლობდა სოფლის მოსახლეობა. სოფელ ოლადაურში უკვე გახსნილია საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით მომარაგებული მედპუქტი, ხოლო ხულოში მშენებარე 25 საწოლიანი საავადმყოფოს აშენებისა და მისი საჭირო ინსტრუმენტებით მომარაგების თანხა გათვალისწინებულია 1924 წლის ბიუ-ჯეტში. ამავდროულად, როგორც ირკვევა, მედპუნქტები უნდა გახსნილიყო სოფ. დღვანში, ხიხაძირში, რიყეთსა და ადაძეებში. ამ დროს უკვე დამთავრებუ-ლია ჭვანისა და ღორჯომის შოსე-გზების, ხოლო გრძელდებოდა სხალთის გზის მშენებლობა. აიგო 3 ხიდი, გაყვანილია 25 ვერსის სიგრძის გზები, 18 ვერსის სარწყავი და სასმელი წყლის არხები. მითითებულია თემების საკანცელარიო განყოფილებების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე, რომლის მიზეზად და-სახელებულია პირადი შემადგენლობის სამსახურისადმი გულგრილობა (აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 12, ფურც. 1-2).

1924-1925 წლების გამოძახილი ხულოს რაიონში

საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას, ხულოს სამაზრო ხელისუფ-ლება ასე ეხმაურება: „საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში მენშევიკების გამოსვ-ლების დროს მაზრაში სრული წესრიგი სუფევდა და ოდნავადაც არ დარღვეულა მყუდროება“.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „28 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე მაზრის აღმასკომის მმართველობა მაზრაში არსებულ ადმინისტრაციულ უწყებათა და თემაღმასკომების მთლიანი შემადგენლობის დახმარებით, აჭარის ფუხარა ხალხთან ერთად, იარაღით ხელში აქტიურად იბრძოდა საქართველოს მენ-შევიკური ბანდიტური ამბოხების წინააღმდეგ. ხულოს მაზრის გლეხკაცობა

განმსჭვალულია საბჭოთა ხელისუფლების სიყვარულით, ერთსულოვნად მუშაობდნენ ხსენებული ავანტიურისტების წინააღმდეგ და მათ მიუძღვით ღვაწლი მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დაცვაში“ (აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 12, ფრც. 11). მაგრამ ზემოთ აღნიშნულ სრულ წესრიგსა და მყუდროებაზე არ უნდა მეტყველებდეს ამავე დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტი, რომ „ერთ-ერთ საექიმო პუნქტში ამა წლის 28 აგვისტოდან არ არის გამგე, რომელიც დაპატიმრებულია საქართველოს მენშევიკურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღების გამო“ (იქვე, ფურც. 13).

როგორც ირკვევა, კვლავ პრობლემატურად რჩებოდა თემების მაზრასთან და მაზრის ცენტრებთან დაკავშირების საკითხი (იქვე, ფურც. 16). ამასთან, ხულოს მაზრის კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლები ათასგვარ სიყალბესა და ტყუილს იგონებდნენ საქართველოში მენშევიკური მმართველობის მუქ ფერებში წარმოსაჩენად და მათთვის სახელის გასატეხად. ამ დემაგოგიის სიღრმე და ავანტიურიზმი რომ წარმოვიდგინოთ, აქვე მოვიყვანთ ამისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ყველაზე მეტყველ მაგალითს, რომ თითქოს „...მენშევიკები ეტყოდნენ აჭარლებს, ქართველის გვარი გაქვს, ძველად ქართველი ყოფილხართ და სისხლიც და ხორციც ქართველის გაქვს და უნდა გაქართველდეო. დღეს ამას ვერავინ არ ეტყვის, არავინ აღარ გააქართველებს...“ (იქვე, ფურც. 21). მართლაც, მათი საკადრისი ნააზრევი და სტილია და მთელი ეს ე. წ. აგიტაცია-პროპაგანდაც მათ გონებრივ არარაობასა და სიმწირეზე მიუთითებს.

ხულოს მაზრაში სათანადო, გამართული ინფრასტუქტურის შექმნისათვის გაჩაღებულია აქტიური მუშაობა. 1924 წლის იმავე პერიოდისათვის დამთავრებულია ხულოს ფოსტა-ტელეგრაფის შენობის რემონტი, გაცხარებით მიმდინარეობს მუშაობა სხალთის გზაზე მთავარი გზიდან სარიჩარაიმდე 38 ვერსის მანძილზე გზის მშენებლობაზე. სოფ. ნიგაზეულში გაკეთებულა 5 ვერსის სასოფლო გზა, დამთავრებულა სასმელ-სარწყავი წყლის არხის მშენებლობა სოფ. კვაშტაში და სხვა. ამასთან აგებულა ხიდები სოფ. ტომაშეთში ჩირუხის წყალზე, რაქვთაში. აუშენებიათ კორდონები წითელარმიელებისათვის სოფ. კვიახიძეებში, მახალაკიძეებში და ჩირუხში, ხოლო ანალოგიური მუშაობა მიმდინარეობდა ხიჭაურისა და დიდაჭარის თემებში. (იქვე, ფურც. 14, 14 მ.მ.). აქვე აღვნიშნავთ, რომ ამავე პერიოდში საერთოდ არ ფუნქციონირებდა ხულოს მაზრაში მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერი (მმაჩი) განყოფილებები, ამასთან, ადგილი ჰქონია ანტისახელისუფლებო პროპაგანდას „ფუხარა“ ხალხთა შორის (იქვე, ფურც. 15, 15 მ. მ.).

რაც შეეხება 1925 წლის 12 ოქტომბერს ქედაში გამართულ აჭარის ცაკ-ის მესამე სესიის გამოძახილს ხულოს მაზრაში, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი თახსიმ ხიმშიაშვილი წარმოშობით ხულოს მაზრიდან იყო, მაზრის მოსახლეობის სხვა აქტივობა აღნიშნული სესიის მუშაობაში დოკუმენტებიდან არ ჩანს და ამის შესახებ არც „სამხრეთ-დასვლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა)“ მეოთხე ტომშია რაიმე ნათქვამი.

ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ პერიოდში ქალთა ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაშიც მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა ე. წ. სადელეგატო კრებებს. პირველი ასეთი კრება აჭარაში შეიქმნა საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტში მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებასთან. ამ მხრივ გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებენ აგრეთვე ქალთა კლუბები, რომელიც ბათუმში 1924 წლის 18 ივნისს გაიხსნა. იგი მოინახულა და მის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა ამავე წლის ოქტომბერში ბათუმში ჩამოსულმა მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ კლარა ცეტკინმა.

1925 წელს ქალთა კლუბები ხულოშიც შეიქმნა. საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო ორგანიზაციის მეათე კონფერენციის შეფასებით, „ქალთა კლუბები აჭარელ ქალთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის საუკეთესო კერა გახდა“. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრეთვე ქალთა ჭრა-კერვის სკოლები. პირველი ასეთი სკოლა ხულოში 1924 წლის სექტემბერში გაიხსნა (სდსინ, 2012, 104). ასეთი ნაბიჯებით, როგორც ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა ქალთა საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ჩაბმასა და მისი ახალ საფეხურზე აყვანისთვის ნიადაგის შემზადებას, მაგრამ როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, ეს პროცესი არცთუ ისე წარმატებით მიმდინარეობდა.

ხულოს 1929 წლის აჯანყება

1928 წლის ივნისის მეორე ნახევარში ხულოსა და ქედის რაიონების სოფლებში დაიწყო წარსულის ერთ-ერთი მწვავე გადმონაშთის – ჩადრის ახდის რთული კამპანია; ჩადრის ახდის თაობაზე მაჰმადიან ქალთა განწყობილების შესწავლას მიეძღვნა სრულიად საქართველოს მაჰმადიან ქალთა პირველი ყრილობა, რომელიც ქ. ბათუმში 1929 წლის 8-11 თებერვალს გაიმართა (იქვე). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კამპანიის ჩატარების დროს დაშვებული იქნა მთელი რიგი შეცდომები, როდესაც 1928-1929 წლებში ერთი ხელის მოსმით მოინდომეს ამოეძირკვათ რეგიონში დიდი ხნის მანძილზე დანერგილი ადათ-წესები და რელიგიური მრწამსი, რასაც მოყვა გამოსვლები და 1929 წლის მარტში შეიარაღებული აჯანყება ხულოს მაზრაში.

საქმე ისაა, რომ 1927, 1928, 1929 წლებში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტი, საქართველოს კპ ცკ-თან შეთანხმებით, ღებულობს რიგ გადაწყვეტილებებს, რომელთა საფუძველზე აჭარაში აიკრძალა რელიგიური დღესასწაულები, შარიათი, მაჰმადიანური რელიგიური სკოლები. მიიღეს დადგენილება ჩადრის ახდის, მუსლიმანური სალოცავების აკრძალვისა და მათი მიწების კონფისკაციის შესახებ.

1928 წლის ნოემბერში საქართველოს კპ ცკ-მა სპეციალური მოწოდებით მიმართა პარტიისა და კომკავშირის ყველა მუსლიმ წევრს, მოსამსახურეებს, რათა გამოეჩინათ ინიციატივა და პირველ რიგში ჩადრი აღარ ეტარებინათ მათ ცოლებს, ქალიშვილებსა და დებს, გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინათ ხოჯების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ადრე, 1928 წლის მაისში მიღებული იქნა აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილება, რომელიც ავალდებულებდა კომუნისტური პარტიის, კომკავშირის წევრებს, ჩადრი აეხადათ თავიანთი ცოლებისთვის, დებისა და ოჯახის წევრებისათვის. ვინც არ შეასრულებდა აღნიშნულ დადგენილებას, გარიცხული იქნებოდნენ კპ-ისა და კომკავშირის რიგებიდან (იქვე, გვ. 171; აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 79, ფურც. 30).

1928 წლის ივლისის დასაწყისში აჭარაში შეიქმნა „ახალი ყოფისათვის მებრძოლი საზოგადოება“. აჭარელი ქალების მონაწილეობით გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები და კრებები, სადაც ქალებს ავალდებულებდნენ იქვე მოეხადათ ჩადრი და კოცონზე დაეწვათ იგი. შეიქმნა საერთო ძალმომრეობის ატმოსფერო, როდესაც კრებების დროს რევოლვერებით ემუქრებოდნენ გლეხებს და აიძულებდნენ კრებებზე მოეყვანათ ავადმყოფი ქალებიც კი. პარტიის ხულოს სამაზროკომიტეტის მდივანმა ა. კალანდაძემ დააპატიმრა გლეხების ჯგუფი, რომლებმაც ვერ შესძლეს კრებაზე მოეყვანათ თავიანთი ცოლები (იქვე, გვ. 172; აცსა, პპოგ, ფ. 1, ან. 1258, ფურც. 35).

ჩადრის ძალით ახდის კამპანია ხულოს მაზრაში 1928 წლის დეკემბერში დაიწყო, რომლის დროსაც მორწმუნეებს შეურაცხყოფდნენ, ხოჯებსა და მოლებს აშინებდნენ, მათ პირში რევოლვერის ლულებს ჩრიდნენ და სხვა. კრებებზე ა. კალანდაძე, ხულოს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე რ. ხოზრევანიძე და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები საჯაროდ აცხადებდნენ: ჯამეები და მედრესეები გარყვნილების ბუდეაო. ამავე პერიოდში დახურეს მაზრაში სასულიერო სასწავლებლები, ახალგაზრდა მოლების კურსები, რომლებიც მაზრის ცენტრალური სოფლების ჯამეებთან მოქმედებდა, რამაც ხალხში დიდი აღშფოთება გამოიწვია (იქვე).

1928 წლის ბოლოსა და 1929 წლის დასაწყისში აჭარის ცალკეულ სოფლებში გამოსვლები და მღელვარება დაიწყო, რაც 1929 წლის მარტში ხულოს მაზრაში

შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებულთა პირველი მოთხოვნა იყო „საბჭოები კომუნისტების გარეშე“.

1929 წლის 6 იანვარს დიდაჭარის სკოლაში შეიჭრა 60-მდე ქალი და დაარბია იგი. 7 იანვარს ხელკეტებით შეიარაღებულმა 100-მდე ქალმა დაარბია სოფელ პაქსაძეების სკოლა, ხოლო ცულებით შეიარაღებულმა გლეხებმა ერთ-ერთი კრებიდან გააძევეს კომუნისტები, რის გამოც 45 გლეხი დააპატიმრეს. ცენტრიდან ხულოში გაიგზავნა კომისია აჭარის ა.რ. ცაკ-ის თავმჯდომარის მოედინ სურმანიძის ხელმძღვანელობით. მაგრამ ის სოფელ დიოკნისში ტრიბუნიდან ჩამოაგდეს და მოსთხოვეს დაპატიმრებული გლეხების გათავისუფლება. მ. სურმანიძის მოთხოვნით კიდევ 13 გლეხი დააპატიმრეს, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა.

აღნიშნული გამოსვლები 1929 წლის აჯანყების სიგნალი აღმოჩნდა. 1929 წლის 7 მარტს ხულოს მაზრის ჭვანის თემში ჩატარებულმა კრებამ მხარი არ დაუჭირა აჭარის საბჭოების ყრილობაზე სტუმრად ქალების გაგზავნას, რის შედეგადაც დაწყებული დაპირისპირება ცემა-ტყეპაში გადაიზარდა. ამის შესახებ ცნობა ელვისებურად მოედო თემის სოფლებს. დაიწყო აჯანყება. აჯანყებულებმა დააკავეს ჭვანაში სპეციალურად ასული აჭარის ცაკ-ის თავმჯდომარე, მთავრობის წევრები თანმხლები პირებითურთ და მეცხოველეობის ფერმაში ჩაკეტეს. აჯანყება ხულოს მაზრას მთლიანად მოედო და მას გამოუჩნდა ხელმძღვანელებიც – ალისულთან ბოლქვაძე, აბდულ ტაკიძე და სხვ. მათ მოკლეს ღორჯომის თემის თავმჯდომარე, მდივანი, მილიციელი და სხვა თანამდებობის პირები. აღადგინეს ძველი ურთიერთობები და მოიწვიეს ისინი, ვინც ადრე განაგებდა სოფლებს, თემებს თუ მაზრას. გამოსვლა თანდათან გადაიზარდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში. ისინი მოითხოვდნენ საბჭოების თავისუფალ გადარჩევას კომუნისტების გარეშე, საბჭოთა სკოლების დახურვას, შარიათისა და ხალიფატის აღდგენას, საქართველოსაგან გამოყოფას, მეჯლისის შექმნას და სხვა. აჯანყება საბჭოთა ჯარის ნაწილების გამოყენებით სასტიკად იქნა ჩახშობილი (იქვე, გვ. 174-176). აჯანყებულთა მიერ გაგზავნილი დეპეშის შინაარსმა, რომ „დირექტივების შესაბამისად, მოსახლეობამ მოაწყო აჯანყება და შეასრულა ყველა დავალება“ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ იგი მართულ ხასიათს ატარებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ბ. სტალინის მითითება, აჭარაში ძალა არ გამოეყენებინათ, არ შესრულდა. აჯანყების მეთაურთა ნაწილი სასტიკად დაისაჯა, ნაწილმა კი საზღვარგარეთ გაქცევა მოახერხა (იქვე).

1929 წლის 5-8 აპრილს ჩატარებულმა საქართველოს კპ ცკ-ისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა აღიარა აჭარის მი-

მართ დაშვებული შეცდომები და გააუქმა საქართველოს კპ ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება ჩადრის ახდის შესახებ, ასევე, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე დაიშვა მუსლიმანური სასულიერო სასწავლებლებიც, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თურქული ენის სწავლება და ა. შ. (იქვე. გვ. 177).

1929 წლის ივნისში აჭარის პარტიული ორგანიზაციების კონფერენციამ დაადგინა: „არ დავუშვათ რაიმე ადმინისტრაციული ზომების მიღება და ძალდატანება. უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ და მხოლოდ დარწმუნების მეთოდით...“ (იქვე, გვ. 177-178).

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები არნახულ დათმობებზე წავიდნენ, რაც აჯანყების დამსახურებად და მთავრობის შემადგენლობაში გონივრული აზრის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

1928-1937 წლები (საკოლმეურნეო მოძრაობა, რეპრესიებამდე)

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე 1928 წლისთვის ხულოს მაზრა დაყოფილია 6 თემად და 1 რაიონად, რომელიც აერთიანებს 118 სოფელს, 3 650 კომლსა და 27 652 მცხოვრებს (აცსა, ფ. რ-75. ან 1, ს. 95, ფურც. 2). საკმაოდ ინტენსიური ხასიათი აქვს მაზრიდან საზღვარგარეთ გასვლის მსურველთა რაოდენობის ზრდას, რომელთაც ამისათვის მოწმობები მოუთხოვიათ (462 კაცი). ამ დროისათვის ფუნქციონირება აქვს დაწყებული მმაჩის ბიუროს და მასში სულ გატარებულია 24 შემთხვევა, მათ შორის – დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება და განქორწინება. მთავარი ყურადღება კვლავ მიპყრობილია მაზრაში გზების, ხიდების, სასმელი და სარწყავი წყლის გაყვანასა და სახაზინო შენობების შეკეთების საქმეზე. ამავდროულად, ხულოში დამთავრებულია 7-წლიანი შრომის სკოლის შენობა და სწრაფად მიდის ხულოს მუშათა და გლეხთა კლუბის მშენებლობა (იქვე, ფურც. 3 მ. მ.). დაწყებულია ყალნიდან ბეშუმისკენ მიმავალი გზის სამშენებლო სამუშაოები, რომელზეც ხულოს მაზრიდან გაუყვანიათ 700-მდე მუშახელი. ხულოს აღმასკომის ამავე მოხსენებაში ნათქვამია, რომ დაწყებულია მეფუტკრეთა მესაქონლეთა და სხვათა კოლექტიური ამხანაგობების ჩამოყალიბება სოფლებში – დღვანში, ღორჯომში, ტბეთში, ჭვანაში, ინწკირვეთში, გუდასახოში. კერძო მეურნეთ კი ამ მიმართულებით ეწევათ სათანადო აგიტაცია (იქვე, ფურც. 4-5).

რაც შეეხება მაზრის საავადმყოფოს, ამ პერიოდისათვის მას უკვე ჰყავს შესაფერისი ექიმები, გახსნილია აფთიაქი, რომელსაც განაგებდა სათანადოდ მომზადებული კადრი, ხოლო ყველა თემში არსებობდა საექიმო პუნქტები, სულ 7, მათ შორის, ერთი სხალთის თემში, სოფ. ხიხაძირში არის აჭარისტანის

წითელი მთავრობის კომიტეტისა. სამაზრო საავადმყოფოს საშტატო განრიგით ჰყოლია 12 კაცი, საექიმო პუნქტებს კი ემსახურებოდა 21 თანამშრომელი. შტატის შემცირების გამო ხულოს საავადმყოფოში გაუუქმებიათ კბილის ექიმის, 1 მესასთუმლისა და 1 სანიტრის შტატი (აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 95, ფურც. 5-6). მაგრამ, როგორც ხულოს მაზრის მთავარი ექიმის მაზრის აღმასკომისადმი 1928 წლის 10 ნოემბრის მოხსენებიდან ჩანს, ჯანდაცვის საქმე აქ განიცდიდა მთელ რიგ სირთულეებს, ამასთან, მისი თანამშრომლები ცუდად იყვნენ უზრუნველ-ყოფილი როგორც ჯამაგირით, ასევე სურსათ-სანოვაგით (აცსა, ფ. რ-75, ან.1, ს. 47, ფურც. 194-195).

ამავე წელს ხულოს მაზრაში მოქმედი 18 საგლეხო გლეხკომი აერთიანებდა 400 წევრს 300 მანეთი წლიური გადასახადით, საიდანაც გაიცემოდა სხვადასხვა დახმარება და ყოველთვიური პენსია ეძლეოდა აღრიცხვაზე აყვანილ 25 პენსიონერს. ამის გარდა, მაზრაში არსებობდა მუშათა და გლეხთა კლუბი და 6 ქოხსამკითხველო. კლუბში ჩამოყალიბებული ყოფილა გაზეთის ხმამაღლა მკითხველთა და საცნობარო მაგიდა, სასოფლო-სამეურნეო, ლიტერატურული და დრამატული წრეები. ფუნქციონირებდა მობურთავეთა და მომღერალთა წრეები. მაზრაში არსებულ 29 შრომის სკოლასთან მუშაობდა ლიტერატურული სკოლები 916 მსმენელით, რომელთაგან პარტიული იყო 57, კომკავშირელი – 93, უპარტიო ახალგაზრდები – 758 კაცი. აქვე არსებულა ქალთა უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. მაგრამ, როგორც ჩანს, აღნიშნული მუშაობა პროპა-განდისტულ-სააგიტაციო მუშაობის კამპანიურ ხასიათს ვერ გასცდა და ამიტო-მაც მისი ეფექტიანობა ძალიან დაბალი იყო (აცსა, ფ. რ-75, ან. 1 ს. 95, ფურც. 6-7).

1928 წელსვე ხულოს მაზრაში აღურიცხავთ 1862 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ ბევრმა თავი აარიდა იარაღის აღრიცხვას და იგი გადამალა (იქვე, ფურც. 7 მ. მ.).

როგორც დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, განხილულ პერიოდში ხუ-ლოს მაზრაში ფართო ხასიათის სააგიტაციო-პროპაგანდისტული ღონისძიებანი ტარდებოდა, მაგრამ მათი, ხშირ შემთხვევაში, მოუმზადებელი და კამპანიური ხასიათი ვერ უზრუნველყოფდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მაზრაში დასახულ ამოცანათა განხორციელებას და ჩანს, მდგომარეობა თანდათანობით იძაბებოდა, რამაც ასახვა ჰპოვა XX საუკუნის 30-იან წლებში სრულიად საქართ-ველოში და, რა თქმა უნდა, ხულოს მაზრაში განვითარებულ მოვლენებში.

ამ პერიოდის დასაწყისის დოკუმენტებში აშკარადაა საუბარი ანტისაბჭოთა და კულაკური ელემენტების „ყოველგვარი წინააღმდეგობებისა და მათი გავ-ლენის წინააღმდეგ გამანადგურებელი ბრძოლის ნიშნის ქვეშ დათვალიერებათა ჩატარების“ შესახებ. ამავე დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ამ დათვალიერე-

ბებმა, თითქოსდა ნათელყო მთელი რიგი წარმატებები, რომელსაც სოციალისტურმა საბჭოებმა მიაღწიეს. აქვე მითითებულია ამ პოლიტიკის გატარებაში მოჯამაგირე, კოლმეურნე და ღარიბი საშუალო გლეხობის დარაზმვისა და გააქტიურების შესახებ. მითითებულია საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ორგანოების, ხელმძღვანელი პოლიტიკური როლის ამაღლებაზე, კულაკური ელემენტის როლის შევიწროებასა, სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და სოციალისტურად გარდაქმნაზე (ამ დროისათვის ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა 36,4 პროცენტი კოლმეურნეობებში გაერთიანებულა), „სასოფლო საბჭოების შემადგენლობის კლასიური სიწმინდის დაცვით და ამასთან უმოქმედო ანტისაბჭოთა და კულაკური ელემენტების გავლენის ქვეშ მყოფთა სისტემატიურად შეცვლის გზით“ (აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 21, ფურც. 6-7). აქვე გარკვევით ისახება იმდროინდელ საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესების, ადგილებზე განვითარების ტენდენცია. ლაპარაკია, რომ „ხულოს მაზრაში უნდა უზრუნველყოფილი იქნას სოფლის საბჭოების გარშემო მშრომელი მოსახლეობის და განსაკუთრებით კოლმეურნეობების შემოკრება, მათი დარაზმვა „მემარცხენე“, „მემარჯვენე“ გადახრების ცალკეული შემთხვევების წინააღმდეგ და კულაკების მიმართ პარტიის პოლიტიკის ურყევად გატარება“ (იქვე, ფურც. 10).

ხულოს რაიონის სასოფლო საბჭოების დათვალიერების შესახებ 1931 წლის 20 სექტემბრის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამ დროს სოფელ დიდაჭარის მოსახლეობა დაყოფილია 4 ფენად – ღარიბები, საშუალო და შეძლებული. მათგან ცალკე არიან გამოყოფილი კულაკები. დიდაჭარის სასოფლო საბჭოს 328 კომლიდან ღარიბია 131, საშუალო – 175, შეძლებული კი – 17, აქედან 4 კულაკი. აქ ცალ-ცალკე არსებობდა მეთამბაქოეთა, მეკარტოფილეთა, მეფუტკრეთა კოლექტივები და მათში სულ გაერთიანებული ყოფილა 120 მოსახლე (იქვე, ფურც. 56 მ. მ.). რიყეთის სასოფლო საბჭოში გაერთიანებული 475 კომლიდან ღარიბი ყოფილა 30, საშუალო – 160, შეძლებული – 32, მათგან 3 კულაკი (მონაცემები, როგორც ჩანს, არასრულია და მოიცავს აღნიშნული სოფლ საბჭოს ნაწილს – უ. ო.).

დათვალიერებაზე რიყეთის სოფლ საბჭოს მოსახლეობას წინ წამოუწევია საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერება და მის სათავეში ჩადგომა. ჩამოყალიბებულა 16 კოლმეურნეობა 220 წევრით (იქვე, ფურც. 72). ჩამოთვლილია ღონისძიებანი საკოლმეურნეო მშენებლობის უფრო ფართოდ გასაშლელად, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილ აქვს დათმობილი კულაკური ელემენტების წინააღმდეგ „შეტევას“ (იქვე, ფურც. 76 მ. მ.). ხოლო რა ფორმა მიიღო ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად გაღვივებულმა კლასობრივმა ბრძოლამ ხულოს

რაიონში, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1934 წლის 2 იანვრის სკკპ (ბ) ხულოს რაიკომის საანგარიშო მოხსენება მე-7 პარტიული კონფერენციისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „კოლმეურნეობათა ზრდა ხდებოდა კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტების პროვოკაციასთან გააფთრებული ბრძოლის წარმოებით... აღსანიშნავია 1932 წლის გაზაფხული, როდესაც კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები ეწეოდნენ მოსახლეობაში პროვოკაციას, რომ „სულ მოკლე ხანში მოხდება და საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა, მიწები, ვისაც კოლმეურნეობაში აქვთ შეტანილი დაეკარგებათ“-ო. ახალ პირობებში „... კოლმეურნეობების წინააღმდეგ გალაშქრებულმა კლასიურმა მტერმა შესცვალა ტაქტიკა და დაიწყო კოლმეურნეობებში შეძრომა მისი შიგნიდან დარღვევის მიზნით... შეპარულმა მტერმა შეძლო კოლმეურნეობებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება“- აღნიშნულია დოკუმენტში (აცსა, ფ. პ-12, ან. 2, ს. 47, ფურც. 8). აქვე ნათქვამია, რომ „მიმდინარე წლის განმავლობაში კულაკების მიერ ჩატარებული იყო ტერორისტული აქტებიც... ხულოს პარტორგანიზაცია კულაკების შევიწროვებისა და თავდასხმის საკითხს ბოლშევიკურად ატარებს ცხოვრებაში“ (იქვე. ფურც. 11). როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს, ხულოს რაიონში წარმატებით ხდება იმ დროისათვის დამახასიათებელი, არაფრისმთქმელი ბოლშევიკური ფრაზეოლოგიის ათვისება. ამასთან, შეინიშნება ჯანდაცვის საქმისადმი გაზრდილი ყურადღება. უკვე ფუნქციონირებს ხულოს 25-საწოლიანი სავდმყოფო თავისი განყოფილებებით და აფთიაქით, 12 სათემო საექიმო პუნქტი, თუმცა მოიკოჭლებს მათი შესაბამისი შტატებით უზრუნველყოფა. არცერთ საექიმო პუნქტში არ იყო ექიმი, შეინიშნებოდა მათში ფერშლების, სანიტრების თუ სხვათა ნაკლებობა, თვით რაიონის საავადმყოფოში შტატით გათვალისწინებული 5 ექიმის ნაცვლად , ნამდვილად მუშაობდა 1 ექიმი (იქვე, 19, 20, 21).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა, ხულოს რაიონის პარტიული მუშაკები მაინც რიხით მოახსენებენ საქართველოს კპ (ბ) აჭაროლქკომის მაღალჩინოსანს, ამხანაგ გეურქოვს მათ მიერ მოპოვებული წარმატებების შესახებ. მოხსენებაში დროისათვის დამახასიათებელი ტრაფარეტული ტერმინოლოგიის გამოყენებით ჩამოყალიბებული აზრის ანალიზის შედეგად, ძნელია გარკვევა თუ რა წარმატებებზე შეიძლება აქ ლაპარაკი, მაგრამ კომუნისტები და კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატები რომ ხულოს რაიონში საკმაოდ მომრავლებულან, ეს უკვე ნათლად ჩანს. მისი 129 წევრი და წევრობის კანდიდატი დაყოფილია 15 პარტიულ უჯრედად, რომელთაგან 2 საკოლმეურნეო უჯრედია. ამავე მოხსენების მიხედვით, 1933 წელს რაიონის კოლმეურნეობებს შემატებია 264 საუკეთესო მშრომელი, ხოლო კოლმეურნეობებიდან გაუძევებიათ ზარმაცები, დეზორგანიზატორები, ხოჯა-მოლები, სულ 127 კაცი (იქვე).

1934 წელს 1933 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილ შრომადღეზე ანაზღაურების ფასი და შესაბამისად 1. 30 მანეთიდან 3-4 მანეთამდე ასულა. შეინიშნება სასკოლო მშენებლობის გაძლიერება და საყოველთაო სავალდებულო სწავლების პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე ზრუნვა, წერა-კითხვის სალიკვიდაციო სამუშაოების გაძლიერება, რაიონის ცენტრში უკვე მოწყობილია თეატრი და სხვა (აცსა, ფ. 263, ან.1, ს. 69. ფურც. 19). 1935 წლისთვის მიღებულია დავალება 30 სასკოლო შენობის აგებისათვის (იქვე, ფურც, 27; გაზ. „კოლექტიური შრომა“,# 51(73), 1934, სტატია „უკანასკნელი დღე“). გადაწყდა დღვანსა და ხიხაძირში 1935 წლისთვის სატელეფონო ხაზების გაყვანა და დაისახა ღონისძიებები ბეშუმის კურორტად გადაქცევისათვის (იქვე, ფურც. 11-12).

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან აჭარაში კვლავ გაძლიერდა მუშაობა აჭარელ ქალთა შორის ჩადრის ახდისა და მათი სამოღვაწეო ფერხულში ჩაბმის მიზნით. ხულოს რაიონში ამ მუშაობის შესახებ აჭარისტანის ცაკ-ის თავმჯდომარის ზ. ლორთქიფანიძის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ხულოს რაიონის სასოფლო საბჭოების ცენტრში ჩატარდა პარტიული და კომკავშირული აქტივის კრებები, ხოლო ქალთა ბრიგადების მიერ სოფლად ინდივიდუალური და ჯგუფური საუბრები. 15 სექტემბერს ჩატარდა რაიონის აქტივის კრება პარტიულებისა და კომკავშირელების ცოლებთან და დებთან ერთად, რის შემდეგ გაიშალა სოფლად მუშაობა ქალთა კრებების ჩასატარებლად რაიონული კონფერენციის და საოლქო ყრილობისათვის დელეგატების ასარჩევად... კრებებს დაესწრო 1150 ქალი და მათ მიერ წამოყენებული იქნა 132 კითხვა... კრების მიერ რაიონული კონფერენციისათვის არჩეული იქნა 103 ქალი, ხოლო საოლქო ყრილობისათვის 32 დელეგატი (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 136, ფურც. 1).

ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაშლილი სტახანოვური მოძრაობის პროცესი აისახა ხულოს რაიონის იმდროინდელ ცხოვრებაზეც და ამ მოძრაობის ადგილობრივი წარმომადგენლების პროგრესულობის აღსანიშნავად, მათ შრომით წარმატებებთან ერთად მიჩნეულია ის, რომ მათ „სახლი მოაწყვეს კულტურულად, მუშაობენ თავის თავზე, სწავლობენ პარტიულ სკოლაში, გამოწერილი აქვთ გაზეთები – „კომუნისტი“, „აჭარა“, „კოლექტიური შრომა“, ამასთანავე რამდენიმე მათგანს სახლში აქვს „პათეფონი“. საყურადღებოა, რომ ყველა მათგანის ეროვნების გრაფაში მითითებულია ეროვნება „აჭარელი“ (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 153, ფურც. 14-16, 22, 24, 29, 32-33, 39, 49), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოს კპ-ის (ბ) ხელისუფლება კვლავ აგრძელებდა ადრინდელ მიმართულებას და 1936 წლისთვისაც აჭარლებს არაქართველებად მიიჩნევდა და ამით აგრძელებდა მათი ქართველი ერისაგან ხელოვნურად გამოცალკევების პოლი-

ტიკას. ამის კიდევ ერთი დასტურია ასეთი დეფინიცია – „ქალი 4“, „აჭარელი ქალი 3“ (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 134, ფურც. 14-15).

სტალინური კონსტიტუცია

აღნიშნული პერიოდის ეპოქის სულის გასაგებად მეტად საჭირო მასალას იძლევა ხულოს რაიონში სტალინური კონსტიტუციის სახალხო განხილვის შედეგები. როგორც მასალებიდან ირკვევა, ხულოს რაიონში მის განსახილველად რაიაღმასკომს მიუცია სპეციალური დავალებები. აღნიშნული საკითხის დამუშავების წესად მიუღიათ კონსტიტუციის პროექტის წაკითხვა მასებში, ჯგუფური და ინდივიდუალური სახით. ამ მიზნით კრებები უნდა ჩატარებულიყო ცალკეულ სოფლებში, კოლმეურნეობებში, მუშა-მოსამსახურეთა და ყველა დარგის მშრომელთა სექციებში; მათ უნდა დასწრებოდნენ კოლმეურნეები, ერთპიროვნული მეურნეები, მუშა-მოსამსახურეები, ინტელიგენციისა და ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები, სულ 7 589 კაცი; დაესწრო – 6923, მათ შორის 439 ქალი (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 165, ფურც. 12).

„სტალინური კონსტიტუცია“ განიხილეს და როგორც იმდროს იყო მიღებული, მთლიანად მოიწონეს ხულოს რაიონის სასოფლო საბჭოების პლენუმებმა (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 196, ფურც. 7, 12-13, 19, 21), ხოლო რაიონის აღმასკომის პლენუმის შემაჯამებელმა სხდომამ მისასალმებელი წერილები გაუგზავნა სსრ კავშირის, საქართველოს ცკ-სა და აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს. მათში ნათლად არის ასახული საბჭოთა იმპერიაში არსებული ეპოქის სულისკვეთება. აქ ნათქვამია, რომ „რაიონის გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის სახელით მხურვალე სალამს გიძღვნის თქვენ სოციალიზმის მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებათა დიად სულის ჩამდგმელს და ორგანიზატორს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენერალურ მდივანს, მასწავლებელსა და მეგობარს...“ შემდეგ იქვე ლაპარაკია პირსისხლიან ფაშიზმზე, უძლეველ წითელ არმიაზე, „კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ-ზინოვიევურ არამზადებსა და გამცემლებზე“ და სხვა. იგი მთავრდება მოწოდებით: „გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად უძლეველ დროშას! გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას!“ (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 201, ფურც. 3-4).

იგივე პათოსია საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის და ლ. ბერიასადმი გაგზავნილ მიმართვის ტექსტშიც (იქვე, ფურც. 4). მაგრამ განსაკუთრებული პრიმიტივიზმით გამოირჩევა ანალოგიური მიმართვის ტექსტი საქართველოს კპ (ბ) აჭარის ოლქკომის მდივან არტაშ გეურქოვისა და აჭარის ცაკ-ის მდივან ზექერია ლორთქიფანიძისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ხულოს რაიონი ერთ დროს ჩამორჩენილი სიბნელისა და უკულტურობის ბურუსით მოცული, დღეს

გადაიქცა აჭარის ერთ-ერთ მოწინავე რაიონად; სწავლა-განათლებამ განდევნა საუკუნეობრივი სიბნელე, საკოლმეურნეო შრომამ შორს გააძევა სიღარიბე... არც თუ ისე დიდი დროა მას შემდეგ, რაც ხულო ბეგების ბუნაგს და საბრძანებელს წარმოადგენდა; ვინ მოთვლის, რამდენი მშრომელის ზურგი დახეთქილა მათი მათრახის ქვეშ... რაიონში იყო მხოლოდ მედრესეები, სადაც ბავშვებს სწავლის ნაცვლად გონებას უჩლუნგებდნენ, სოფლებს სტანჯავდა უგზოობა, სიღარიბე, სიბნელე, მშრომელები შრომობდნენდა მაინც შიმშილობდნენ“ და ა. შ. შემდეგ კი ჩამოთვლილია მათი „მიღწევები“ და ამის შემოქმედად მიჩნეულია სტალინური ეპოქა, რომელშიც ისინი შევიდნენ „ამხ. ლავრენტი ბერიას... თქვენი, ამხ. არტაშ და ზექერია – ცოცხალი, ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით.“ ბოლოს კი მიმართვა ასე მთავრდება: „გაუმარჯოს ჩვენი ეპოქის უდიდეს ადამიანს, საბჭოთა კავშირის ხალხთათვის საამური და სასიხარულო ცხვრების შემოქმედს, დიდ სტალინს!“ (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 165, ფურც.24-25).

როგორც ვხედავთ, მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში ხულოს რაიონის კომუნისტურ ხელმძღვანელობას კარგად აქვს ათვისებული აღნიშნული ეპოქისათვის დამახასიათებელი დემაგოგიურ-მაამებლური სტილი და თვითგამოხატვის საშუალებანი, რომელიც კიდევ უფრო დაიხვეწა და განვითარდა „სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის“ ბრძოლის პერიოდში, ხოლო საბოლოო, დრამატული სახე „განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის“ ეპოქაში მიიღო. მანამდე კი, ხულოს რაიონში კვლავ მიმდინარეობს ბრძოლა კოლექტივიზაციისათვის და 1937 წლის პირველი იანვრისათვის მას ასეთი სახე აქვს მიღებული: რაიონში კოლმეურნეობების რაოდენობა შეადგენს 107-ს, რომელშიც გაერთიანებულია 9979 შრომისუნარიანი მშრომელი. მათ განსაზოგადოებული ჰქონდათ 1 015 ჰა სახნავ-სათესი და ვარგისი მიწა. მაგრამ დოკუმენტების ანალიზიდან ირკვევა, რომ ეს პროცესი ძალიან მტკივნეულად მიმდინარეობდა და მისთვის დამახასიათებელი იყო მძაფრი, შინაგანი ბრძოლის ამსახველი სიუჟეტები. 1938 წ. 7 აპრილის ხულოს რაიონის დეპუტატთა საბჭოების პლენუმის მასალებში აღნიშნულია, რომ „ბოლშევიკები ებრძვიან ხალხის მტრებს, ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდას და საზიზღარი ფაშიზმის გაცოფებულ ძაღლებს... რომლებსაც უნდოდათ წაერთმიათ საბჭოთა ხალხისათვის ბედნიერი და საამური ცხოვრება... რათა ტროცკისტ-ბუხარინელების არცერთ ნაბოლარას და ძაღლის ლეკვებს არ მივცეთ საშუალება ოდნავ ხელი შეგვიშალოს არჩევნების საქმეში... სასამართლო ორგანოებმა ერთხმად დააკმაყოფილა ხალხის სამართლიანი მოთხოვნილება და ყველა ქვეწარმავალი აღიგავა პირისაგან მიწისა“,(ამის დამწერი მართლაც გაცოფებული უნდა ყოფილიყო -უ. ო.), და ა. შ. და ა. შ. (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 223, ფურც, 14, 23, 35).

1937 წლის რეპრესიები

„კომუნისტური პარტიის ცალკეულ დაჯგუფებებს შორის გაჩაღებული იდეურ პოლიტიკური და ორგანიზაცული ბრძოლა ღვარძლიან დაპირისპირებასა და ბოროტმოქმედებაში გადაიზარდა“ (სდსინ, 2012, 178), რამაც ასახვა ჰპოვა 1937 წლის რეპრესიებში. მან, რა თქმა უნდა, თავი იჩინა ხულოს რაიონშიც.

როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ო. თურმანიძე აღნიშნავს, „საბჭოთა კავშირში შენდებოდა ყაზარმული სოციალიზმი, რომლის დროსაც ადამიანების პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო... სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციას ადამიანთა უფლებების აღიარებით მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერად...(იქვე, 179). 1937-1938 წლებში აჭარაში სუკ-ის ორგანოების მიერ შეთითხნილი იყო 400 ათასი ყალბი საქმე იარლიყით: „ანტისოვეტჩიკი“, „ტერორისტი“, „მავნებელი“, „შპიონი“, „კონტრრევოლუციონერი“ და სხვა... აჭარის მოსახლეობა, 1939 წლის 1 იანვრის აღწერით, 200,1 ათასს კაცს შეადგენდა. გამოდის, რომ ერთსა და იმავე მოქალაქეზე რამდენჯერმე იყო შედგენილი ყალბი, მაკომპრომეტირებელი მასალები (იქვე, 180).

1937 წლის პირველ ნახევარში აჭარაში სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს საფინანსო, სამეურნეო და სავაჭრო დარგის, განათლებისა და კულტურის მუშაკების ერთი ნაწილი. მათ შორის იყო ხულოს პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი ა. დარჩია, ამავე რაიონის განათლების განყოფილების გამგეები ო. ხუციშვილი და კ. ჭეიშვილი, მასწავლებელი ვ. ბენდელიანი და სხვები.

განსაკუთრებით რეზონანსული ხასიათი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ზ. ლორთქიფანიძისა და ე. წ. აჭარელთა საქმემ, რომელთა მიმართ მათი დაპატიმრებიდან ერთი კვირის შემდეგ საქართველოს კპ (ბ) ბათუმის საქალაქო აქტივის კრებამ „პროლეტარული სასამართლოსაგან“ მოითხოვა სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება. საბრალდებო დასკვნა მთლიანად ფალსიფიცირებული იყო შემდეგი ბრალდებით – „აჭარის კონტრრევოლუციური სააჯანყებო,ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციაში მონაწილეობა. ზექერია დურსუნის ძე ლორთქიფანიძესთან და აჭარის სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად გაასამართლეს ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სულეიმან უსუფის ძე ბეჟანიძე, სოფელ ვანაძეების აღმასკომის თავმჯდომარე ოსმან თერჯანალის ძე ვანაძე.

სასამართლო პროცესი გაიმართა 1937 წლის 24-28 სექტემბერს. მასალების მიხედვით, ზ. ლორთქიფანიძე და მისი თანამოაზრეები თითქოს ცდილობდნენ

აჭარაში ერთპიროვნული კულაკური მეურნეობისა და თავისუფალი ვაჭრობის აღდგენას, სასულიერო პირების მიმართ შეზღუდვების მოხსნას, აჭარის თურქეთთან შეერთებას. სასამართლოზე საზოგადოებრივ ბრალმდებლებად მოწვეულნი იყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, ბრიგადირები, სტახანოველები. წინასწარ დაწერილი სცენარი სასამართლო სხდომაზე არ შეცვლილა და განსასჯელთაგან 8 კაცს – ზ. ლორთქიფანიძეს, ჯ. ქიქავას, გ. რამიშვილს, ი. მეგრელიძეს, გ. ლაღიძეს, ქ. ბასილაძეს, ს. ბეჟანიძეს და ო. რომანაძეს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, ხოლო დანარჩენებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა, მათ შორის ო. ვანაძეს 8 წლით (სდსინ,2012, 184-187; გაზ. „კომუნისტი“, 26. 09. 1937). განაჩენი იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში. ასეთივე აბსურდული ბრალდებით გამოასალმეს სიცოცხლეს ხულოს რაიონიდან მ. სურმანიძე, რ. ხოზრევანიძე, მ. თურმანიძე, ხოლო 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ზ. ლორთქიფანიძის მეუღლეს ესმა ლორთქიფანიძეს (იქვე, გვ. 188). მაგრამ უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ პიროვნებებს მიუძღოდათ მნიშვნელოვანი წვლილი სამართლიანობის სახელით ამოქმედებული რეპრესიული მანქანის ჩამოყალიბებაში.

დ. მამულაძეს 30-იანი წლების რეპრესიების შესახებ გამოაქვს დასკვნა, რომ ეს იყო დიდი ბოროტება, რომელიც გამოიწვია ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე მოკალათებულთა ერთი ნაწილის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ და ხელისუფლების პირველ პირთა მიერ ამ პროცესისადმი წაყრუებამ (დიასამიძე, 318-319).

როგორც ნაშრომში ამ მასალიდან ჩანს, მაღალგანვითარებულია და აღმატებითი ხარისხისაკენ მიილტვის მტრობისა და სიძულვილის ენა, რისი გამომწვევი მიზეზებიც, ჩვენი აზრით, სამომავლოდ შეიძლება განსაკუთრებული კვლევის საგნად იქცეს. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს, მთელ მაშინდელ საბჭოთა იმპერიის სივრცეში ინტელიგენციის უდიდესი ნაწილის განადგურების, აზროვნების ახლად გამომუშავებული რუსული სტერეოტიპების, საბჭოთა კავშირის რეგიონებსა და მათ შორის, საქართველოში უკრიტიკო კალკირებაგადმოღების, უშუალო შედეგს წარმოადგენდა; თორემ საქართველოს ჩვეულებრივ პროვინციაში და, მით უმეტეს, ხულოს რაიონში, წარმოუდგენელია ეს ენა თავისით წარმოშობილიყო და სახელმწიფოებრივი აზროვნების „სტატუსი“ შეეძინა.

განათლება და კულტურა ომის წინა პერიოდში

1937-1938 წლებში ხულოს რაიონში უკვე აღრიცხულია 104 დაწყებითი და 8 არასრული საშუალო სკოლა, პედ. სასწავლებელი, ერთი საბავშვო ბაღი, რომ-

ლებშიც სულ 5212 მოწაფე სწავლობდა, მათ შორის 2030 გოგონა. ამავდროულად, რაიონში არსებობდა 1 საკოლმეურნეო თეატრი, 11 სასოფლო კლუბი, 5 სამკითხველო, 1 სოციალისტური კულტურის სახლი. ხულოს ცენტრში მუშაობდა საავადმყოფო – 41, ხოლო სამშობიარო სახლი – 6 საწოლით; პოლიკლინიკის ტიპის კაბინეტები – თერაპევტიული, ვენერიული, ქირურგიული, კბილის ლაბორატორია და სხვა. 1937 წელს ჯანდაცვისათვის ხულოს რაიონში ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 662 500 მანეთი (აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 223, ფურც. 41, 42, 43).

ხულოს რაიონის მშრომელები 1940 წლის აპრილშიც ყველა წარმატებას კვლავ უმადლიან ლენინ-სტალინის პარტიას, ხალხთა საყვარელ ბელადს, მასწავლებელსა და კოლმეურნეთა განუყრელ მეგობარს – დიდ სტალინს და ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, ერთგულ სტალინელს ამხ. ლ. ბერიას. აქვე აღნიშნულია, რომ „პროგრესული მსოფლიოს უდიდესი გენიის ამხ. სტალინის... ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით ხულოს რაიონის დაბეჩავებული, დაქუცმაცებული მეურნეობა გადაიქცა სოციალისტურ მეურნეობად...საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარის ყველა მშრომელებთან ერთად ბედნიერად და თავისუფლად ცხოვრობენ ხულოს რაიონის მშრომელები...რომლებმაც გაანადგურეს ხალხის საზიზღარი მტრები, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები...და სხვა (აცსა, იქვე, ს. 265’ ფურც. 5, 6, 7). დოკუმენტში განსაკუთრებით ხაზგასმულია ხულოს რაიონის წარმატებები და აღნიშნულია, რომ დიდ თანხებია გამოყოფილი სოციალისტური კულტურის განვითარებაზე (1940 წელს 3 336 000 მანეთი განათლებაზე, 800 100 მანეთი ჯანდაცვაზე; (აცსა, იქვე, ფურც. 50).

მეორე მსოფლიო ომი

1939 წლის 1 ოქტომბრისთვის, ანუ მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროს ხულოს რაიონის მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა 34 284 სულს.

საბჭოთა ხელისუფლების დადებითი იმიჯის შესაქმნელად ამგვარი აგიტაცია-პროპაგანდა, როცა მეორე მსოფლიო ომი დაწყებულია და ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე საკმაოდ რეალურია, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის...და როგორც ადრე განხილული მასალიდანაც ჩანს, ფაშისტებისაგან მტრის ხატის შექმნა ადრიდანვე მიმდინარეობდა.

გერმანიასთან ომის გამოცხადებისთანავე, ოფიციალურად მობილიზაციის დაწყების შემდეგ ხულოს სამხედრო კომისარიატს ფრონტზე გაწვევის მოთხოვნით მიმართეს – ნ. ბერიძემ, ა.ძირკვაძემ, მ. ბერიძემ, მ. დავითაძემ, შ. ხარაბაძემ, ო. ძირკვაძემ, ს. ბერიძემ, სულ რაიონიდან 300-მდე ახალგაზრდამ, რომელთაგან 224 კავკასიისა და ყირიმის მისადგომებთან ბრძოლებში დაიღუპა (სდსინ, 193).

თუმცა, უნდა აღინიშნოს 1941 წლის სექტემბრის ბოლოს ხულოს კომისარიატში მობილიზაციით დაბარებულთა მასობრივი არგამოცხადება.

დ. მამულაძის აზრით: „უხეშობა, აჩქარება, დაშინება და ადამიანებისადმი უპატივცემულობა მიზეზი გახდა ცალკეული პიროვნებების ე. წ. დაუმორ-ჩილებლობისა. უმაღლესმა ხელისუფლებამ მდგომარეობა სწორად შეაფასა და დამნაშავეებს აპატია, მობილიზაცია შეაჩერა და აქაურ მოსახლეობას დაევალა თურქეთთან საზღვრის გამაგრება (დიასამიძე, 2016, 319).

ფაშისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომის დაწყების შემდეგ პირველი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული მოვლენა აისახა, არის მშრომელთა დეპუტატების ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის და საქართველოს კპ (ბ) ხულოს რაიკომის ბიუროს 1941 წლის 5 ივლისის # 501 დადგენილება, რომელშიც განსაზღვრულია „ომიანობის დროსრიგითი შემადგენლობის, უმცროსი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის დანიშვნის და მიცემის ორგანიზაციის შესახებ“, რომელშიც სხვასთან ერთად აღნიშნული იყო, რომ... დაევალოს რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების დამნიშვნელ კომისიას... უზრუნველყოს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების სწორედ დანიშვნა და მისი თავის დროზე მიცემა.

ხულოს რაიონის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო 1942 წლის 23 თებერვალს გამართული მშრომელთა დეპუტატების ხულოს რაისაბჭოს პირველი მოწვევის მე-7 საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა წითელი არმიის შექმნის 24 და საქართველოს გასაბჭოების 21 წლისთავს. სწორედ ამ სესიაზე აირჩიეს პირველად საპატიო პრეზიდიუმში სსრ კავშირის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები სტალინის ხელმძღვანელობით, რაც შემდგომში საბჭოთა სახელმწიფოში დამკვიდრდა მლიქვნელობის უმაღლესი საფეხურის ჩვეულებრივ პრაქტიკად. ამავე სესიიდან გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა „საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის ბელადს ამხ ი. ბ. სტალინს“, რომელშიც მისდამი ჩვეულებრივი დითირამბების მიძღვნის შემდეგ, სრულიად გაყალბებულია საქართველოს გასაბჭოებისა და მისი შემდეგდროინდელი ისტორია, რასაც მოსდევს ტრაგიკომიკური პასაჟი, რომ „ძვირფასო ამხ. სტალინ, აჭარელი მშრომელი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ფიცსა სდებს სამშობლოს წინაშე... დავაჩქაროთ ჰიტლერის ტილიანი არმიის განადგურების დღე. სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს... გაუმარჯოს ჩვენს გმირულ წითელ არმიას, რომელიც იცავს ჩვენი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“... (სცსა., ფ. 263, ან. 1, ს. 294, ფურც. 1, 2). უნდა ითქვას ისიც, რომ ხულოს რაიონიდან გაწვეულთ თავი გამოუჩენიათ გერმანია-საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ფრონტზე. ორგზის

ორდენოსანი და ლენინგრადის დაცვის მონაწილე ყოფილა მემედ დავითაძე, თავი გამოუჩენია გვარდიელ მებრძოლს ხასან გორგილაძეს, წითელი ვარსკვლავის ორდენით დაუჯილდოებიათ სნაიპერი ხასან ქამადაძე, წითელი დროშის ორდენით – ლეიტენანტი აბდულ დიასამიძე და მაიორი ხიმშიაშვილი, მედალოსანი მებრძოლები ყოფილან ფუტკარაძე, ირემაძე და სხვა (აცსა, ფ. 263, ან. 1. ს. 324, ფურც. 16).

1944 წლის 2 ნოემბრის ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის მე-13 სესიის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ხულოს რაიონში 1940 წელს იყო 95 დაწყებითი, 31 არასრული საშუალო, 3 საშუალო სკოლა და 2 პედაგოგიური სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობდა 5525 მოსწავლე, 43 ახალგაზრდა კი უკვე სწავლობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. აქვე ფუნქციონირებდა საავადმყოფო, პოლიკლინიკა, დედათა და ბავშვთა კონსულტაცია, 18 საექიმო უბანი და სხვა (იქვე, ფურც. 19, 20), თუმცა ხშირად ექიმების გარეშე. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების – „ორსული ქალების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების“ – მიმართულებით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის1 აგვისტოს დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების შესახებ (იქვე, ფურც. 3). დოკუმენტიდან ირკვევა, სსრ კავშირის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 ივნისის დადგენილების მიხედვით, მრავალშვილიან დედებზე 1936 წლიდან 1944 წლამდე სულ გაცემულია 3 285 000, ხოლო მათ მხოლოდ 1941-1944 წლებში მიუღიათ 1 578 000 მანეთი. ეს დახმარება ხულოს რაიონში სულ მიუღია 459 მრავალშვილიან დედას (7156 მანეთი თითოეულზე), მათ შორის 7-შვილიანი იყო 320, 8-შვილიანი – 63, 9-შვილიანი – 45, 10-შვილიანი – 30 და 11-შვილიანი – 1 დედა.

1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით, კიდევ უფრო გაიზარდა დედასა და ბავშვებზე ზრუნვა და გადიდდა მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე დახმარება. მაგალითად დედებს, რომელთაც ჰყავდათ 2 შვილი, მესამე შვილზე ეძლეოდათ 400 მანეთი ერთდროული დახმარება, 3-შვილიანებს მეოთხე შვილის დაბადებისას 1300 მანეთი ერთდროულად და 80 მანეთი ყოველთვიურად, 4-შვილიანებს მეხუთე შვილს დაბადებისას 1700 მანეთი ერთდროულად და 120 მანეთი ყოველთვიურად და ა. შ. 10-შვილიან დედებს ყოველი მომდევნო შვილი დაბადებისას ეძლევა 5000 მანეთი და 300 მანეთი ყოველთვიურად. ყველა მრავალშვილიან დედაზე გათვალისწინებული იყო აგრეთვე მრავალი შეღავათი მუშაობისა და ცხოვრების პირობების შესამსუბუქებლად, ხოლო უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირე ოჯახიანი მოქალაქეებისთვის აღნიშნული დად-

გენილებით დაწესდა გადასახადები და სხვა (იქვე, ფურც. 4-8), რაც მართლაც შთამბეჭდავია.

ეპოქისათვის დამახასიათებელი სტილი და მუშაობის მეთოდები, რომელშიც უმთავრესი ადგილი ეკავა უსაზღვრო პანეგირიზმსა და მაამებლობას, ახალ ფაზაში შედის ხულოს რაიონის ხელისუფალთა საქმიანობაშიც და ისინი აღარ ჯერდებიან სსრ კავშირის უმაღლეს ხელისუფალთა მარტო ქება-დიდებას და სერიოზულ მუშაობას ატარებენ ბელადის ისტორიული ნაშრომის – სამამულო ომის უძვირფასესი დოკუმენტის შესწავლისათვის. ამასთან, პარტიულ ორგანიზაციებს ზრდიან იმ ადამიანთა ხარჯზე, რომლებმაც ომის დროს „თავი გამოიჩინეს თავიანთი პრაქტიკული საქმიანობითა და უსაზღვრო ერთგულებით ლენინ-სტალინის პარტიისადმი...“ (აცსა, ფ. 12, ან. 2, ს. 57-63). როგორც ვხედავთ, უკვე სრულად არის ჩამოყალიბებული „არქიფო სეთურისა და თაბაგარის“ ცნობილი სისტემა, რომელშიც ყოველი დღე იწყება მამა-მარჩენალის მიმართ ლოცვით: „მომძღვნელმან ჩვენი პურისა...“

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი

ამ ფონზე, ნათლად რომ წარმოვიდგინოთ საბჭოთა პერიოდში კპ-ის ორგანოების მაღალი ეშელონებიდან მომდინარე ადამიანური თვალთმაქცობისა და სიყალბის სიღრმე, აქვე მოვიტანთ დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში დამკვიდრებულ უპრინციპობისა და ქვეგამხედველურ სულისკვეთებას. ამის უთვალსაჩინოესი მაგალითია ე. წ. სტალინის კულტის გარშემო საბჭოთა პარტიულ ორგანოებში გაჩაღებული საქმიანობა, რომელიც საქართველოს კპ-ის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნისადმი (დავით მამულაძე) ხულოს რაიკომის მიერ გაგზავნილ 1956 წლის 6 აპრილის ინფორმაციაში ასე აისახა: „საქართველოს კპ-ის ხულოს...რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში განხილული იქნა სკკპ ცკ-ის მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშოვის მოხსენება პარტიის მე-20 ყრილობაზე – „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“ ...ადგილებზე ამ დოკუმენტის განხილვას (კომუნისტები) დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ...ამავე კრებაზე შემოსულა საკითხთან არავითარ კავშირში მყოფი ფარისევლური შეკითხვები, რაც საერთო სურათს უფრო დასრულებულ სახეს აძლევს.

აქ ყველაფერი ნათელია. რა თქმა უნდა, ხულოს რაიონიც ვერ დარჩებოდა იმ მოვლენებს მიღმა, რომელმაც მთელი მაშინდელი საბჭოთა კავშირი მოიცვა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთიც; ამ, თითქოსდა გულუბრყვილო შეკითხვების უკან, კარგად ჩანს გამოკვეთილი „ქართველი ჰომოსოვეტიკუსის“ უკვე ჩამოყალიბებული, მონუმენტური სახე, – თავისი უპასუხისმგებლობით, თვალშეუდ-

გამი ცინიზმით, „გაბედულების“ დასაშვები დოზის დემონსტრირებით და სერვილური პირმოთნეობის სრული ნაზავით. მაგრამ აქვე ჩანს იმის ნათელი სურათიც, თუ რა უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ყოველდღიური შიშის ქვეშ უწევდათ ადამიანებს ცხოვრება ამ ე. წ. სტალინური ეპოქის პერიოდში.

სწორედ ამის შესახებაა საუბარი საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის დავით მამულაძის 1956 წლის აგვისტოს მოხსენებით ბარათში, რომელშიც ნათქვამია: „17 აგვისტოს ჩატარდა ხულოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება... მოისმინა და განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. ალ. ქონიაძის მოხსენება – „სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის 1956 წლის 10 ივლისის დადგენილება, საქართველოს კპცკ-ის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ“. მასში აღნიშნულია, რომ ვ. ბაქრაძის და ცხოვრებაშვილის პარტიის რიგებში ყოფნა შეუთავსებელია, რადგან 14937-1938 წლებში პატიოსანი ადამიანების დახვრეტაში მიუძღვით ბრალი.

აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად ბეჭვაიას მუშაობის პერიოდში აჭარის „სოფლის მეურნეობა, კერძოდ, მაღალმთიანი რაიონების...მხოლოდ ქაღალდზე ვითარდებოდა...ბევრი საუკეთესო მუშაკი დაუმსახურებლად დაისაჯა...აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილის გასახლების ჩატარებისათვის ბეჭვაიას მთავრობის ჯილდოც კი მისცეს. 1952 წელს „ბეჭვაიას არასწორი განკარგულებით კარტოფილის მოსავალს ვიღებდით მაშინ, როცა... კარტოფილის ფართობებში ერთ მეტრზე მეტი თოვლი იყო... – მოვითხოვთ... საქართველოს კპ ცკ-მა კიდევ ერთხელ გადახედოს ბეჭვაიას საქმიანობას აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად მუშაობის პერიოდში“– ნათქვამია დოკუმენტში (აცსა, ფ. პ-12, ან. 15, ს. 81, ფურც. 37-38). აქვე აღნიშნულია, რომ პიროვნების კულტმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. სარგებლობდა რა ხალხის მტრის ბერიას მფარველობით, მისი დამქაშები ნოე მატუა, ვართუნოვი უმოწყალოდ აპატიმრებდნენ უდანაშაულო ადამიანებს – ნოე მატუას შეთითხნილი მასალების შედეგად დაპატიმრებული იქნა ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ახმედ ბოლქვაძე, მოაწყვეს ისმაილ ქარცივაძისა და თოფუზ შარაშიძის მკვლელობა იმ მოტივით, რომ ისინი თითქოს გაქცევას აპირებდნენ...მოუთმენელია...ვართუნოვის სისხლიანი დანაშაული უამრავი საბჭოთა ადამიანების დაპატიმრებასა და წამებაში...ასევე შეიძლება ითქვას დემურალი მსახურაძეზე...რომელიც პირადი ინტერესების საფუძველზე ხელს უწყობდა პატიოსანი ადამიანების დაპატიმრებასა და მათ წამებას... საჭიროა მატუას, ვართუნოვის, მსახურაძის და სხვათა მიმართ მიღებული იქნას საჭირო ზომები...“ (იქვე, ფურც. 39). ამავე მოხსენებაში ხულოს რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ი. აბულაძე ასეთ სურათს გვიხატავს: „მატუამ, რომელიც ხალხის ვერაგი მტრის ბერიას საფარველქვეშ მოქმედებდა, დიდი

ზიანი მიაყენა ხულოს მშრომელებს... ბევრი პატიოსანი ოჯახი გარყვნა... მშრომელები კერძო ინტერესების საფუძველზე მოსპო...ასევე შავ საქმეს აკეთებდნენ ხულოში ორგანოს მუშაკები ვართუნოვი, პ. მოისწრაფიშვილი და ილიას ქარცივაძე, რომლებმაც ორი ამხანაგი ყოველგვარი დანაშაულის გარეშე დახვრიტეს (იქვე. ფურც. 40-41)... განასკუთრებით ავანტიურისტული და აღმაშფოთებელი იყო ვართუნოვის აღვირახსნილი მოქმედება, რომელიც აჭარელ ხალხს თათრებად თვლიდა და მათ ანგარიშს უსწორებდა თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტის (დროს – უ. ო.) განაწყენებულობის გამო“. სხვა სიტყვით გამოსულებმა „ ყურადღება გაამახვილეს პიროვნების კულტის მავნე შედეგებზე“ – აღნიშნულია დოკუმენტში (იქვე, ფურც. 43). საერთოდ, პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის თაობაზე საბჭოთა კავშირის კპ ცკ-ის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილების ხულოს რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში განხილვის შედეგებზე შედგენილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ „სკკპ ცკ-ის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილება „პიროვნების კულტისა და მისი დაძლევის ღონისძიებების შესახებ“ ყველა პ/პარტიული ორგანიზაციის კრებაზე მოწონებული იქნა ერთხმად... კამათში გამოსულმა კომუნისტებმა აღნიშნეს პიროვნების კულტის მავნე შედეგები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხულოს რაიონის სინამდვილეში ზოგიერთი უღირსი პიროვნების მიერ“ (აცსა, ფ. პ-12, ან. 15, ს. 80, ფურც. 24-31).

ცხადია, ყველას აქვს უფლება ამა თუ იმ საკითხზე ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება და მიმდინარე ისტორიული მოვლენებიდან მოიწონოს, ან დაიწუნოს, შეაქოს, ან კიდევ გააკრიტიკოს ესა თუ ის ისტორიული პროცესი და ესა თუ ის პიროვნება, მაგრამ საბჭოთა სისტემაში ეს წარმოუდგენელი იყო ისტორიული მოვლენებისა და პიროვნების შეფასებისას, მისთვის დამახასიათებელი ტოტალიტარული აზროვნებისა და მმართველობის აბსოლუტურად ტოტალიტარული სისტემის გამო, სადაც აბსოლუტური თავისუფლებით სარგებლობდა მხოლოდ სახელისუფლებო პირამიდის სათავეში მდგარი ავტორიტარი – დანარჩენები კი მისი აზრის გამხმოვანებელ ექოს წარმოადგენდნენ და მათი პასუხისმგებლობაც იმაში მდგომარეობდა, რომ იდეური და გონებრივი შემოსაზღვრულობის იქეთ არ გაქცეოდათ საზოგადოებრივი აზრის მიმოქცევის სადავეები. იგი ბოლომდე ავტორიტარისგამოძახილ ექოდ უნდა დარჩენილიყო და იმის იქით წასვლის უფლება არ ჰქონდა. ამის დამადასტურებელია საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელი ისტორია და, რა თქმა უნდა, მისგან თავის დაღწევას ვერ შესძლებდა ვერც საქართველო და ვერც რომელიმე მისი რეგიონი... ხულოს რაიონიც, მისდა უნებურად, გახდა საბჭოთა კავშირში წამოწყებული იმ ტოტალიტარული ექსპერიმენტის მსხვერპლი, რომელიც კომუნისტური საზოგადოების აშენების მცდელობად ინათლებოდა.1957 წელს აქ უკვე

საუბრობენ იმაზე, რომ ეს წელი „ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა, როგორც მსოფლიო ისტორიული მოვლენებით განსაკუთრებით მდიდარი წელი“. მათ შორის ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი 40 წლისთავი.

აქვე ლაპარაკია კომუნიზმის აშენების არცთუ შორეულ მიზანზე, ხოლო პარტიის მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებებში უკვე „მოცემულია კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტული პროგრამა“ – ნათქვამია დოკუმენტში. შემდეგ კი აქ გამოთქმული მოსაზრების უტყუარობის საბუთად მოყვანილია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, სადაც ეს „კრემლის დიადი მეოცნების“ უმცროსი თანამედროვე ამბობს: „კომუნიზმი აღარ არის შორეული მომავალი, მისი დიდებული შენობა სულ უფრო მკაფიოდ ისახება ხალხების თვალწინ. იგი იზრდება, სულ უფრო სრულყოფილ ფორმებს მიიღებს“... და ა. შ. საბჭოთა კავშირის კომპარტიის – იმჟამინდელი ქურუმის ამ პათოსს ხმას უერთებს მოხსენების ხულოელი ავტორიც – „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა წინ მიიწევს კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ. კომუნისტების პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად დაგმეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის გამთიშველი ფრაქციული საქმიანობა... სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად იქცა, წარმოიქმნა სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც აშენებენ სოციალიზმს“, – აღნიშნავს იგი (აცსა, ფ. პ-12, ან. 17, ს. 1, ფურც. 39-40).

როგორ ექცათ სსრ კავშირის კპ-ის პარტიულ ბოსებს კომუნიზმის აშენება აუხდენელ ოცნებად, ეს საყოველთაოდ ცნობილია და ჩვენც ეს მასალა მოვიყვანეთ ზემოთ ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების დასტურად. ამ სახელმწიფოში, ყველანი ერთად და ერთხმად უარყოფდნენ, ან კიდევ ასევე ერთად და ერთხმად უჭერდნენ მხარს ყველაფერს, რასაც პარტიის „უმაღლესი ქურუმი“ უქადაგებდა. თვალთახედვის არედან არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი მოვლენებიც, რომელთაც შეეძლოთ დადებითი როლი შეესრულებინათ ხულოს რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე (იქვე, ან. 19, ს. 67, ფურც. 16-17), აღსანიშნავია რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის გააქტიურება.

1959 წლის ბოლოსათვის ხულოს რაიონში ფუნქციონირებდა 4 კულტურის სახლი, 24 სასოფლო კლუბი, 21 ბიბლიოთეკა, 4 მოძრავი და 12 სტაციონალური კინოდანადგარი და ერთი კინოთეატრი...თუმცა, აქვე უნდა ითქვას: ხულოსა და საერთოდ, ამ დაწესებულებებში ბევრს ლაპარაკობენ „კომუნისტური სულისკვეთებით განმსჭვალული ახალი ადამიანების აღზრდაზე“, გაშლილი კომუნისტუ-

რი მშენებლობის პროგრამაზე, მეცნიერული კომუნიზმის იდეების, მარქსის-ტულ-ლენინური თეორიის არაფრისმომცემ პროპაგანდაზე და ამ მხრივაც გაძლიერებულია მუშაობა (აცსა, . პ-12, ან. 22, ს. 1, ფურც. 4,15, 56). 1961 წელს კი ხულოს რაიონში დიდი ენთუზიაზმით იხილავენ „სკკპ პროგრამის ახალ პროექტს“ და საქართველოს კპ ხულოს რაიონული ორგანიზაციის მე-17 კონფე-რენცია, ერთსულოვნად იწონებს მას. კონფერენციის რეზოლუციაში აღნიშნუ-ლია, რომ ახალი პროექტი „ჩვენი ეპოქის დიდი პოლიტიკური, თეორიული და მარქსიზმ-ლენინიზმის უბადლო დოკუმენტია“...მასში „წამოყენებულია კომუ-ნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტუ-ლი გზები“ (აცსა, ფ. პ-12, ან 27, ს. 1, ფურც. 45). ხოლო მოხსენებაში სკკპ პროგრამის შესახებ ამავე კონფერენციაზე ნათქვამია, რომ „პარტიის პროგრამა, რომელსაც სკკპ XXII ყრილობა მიიღებს – პარტიისა და ხალხის მზის მანათო-ბელი შუქურა გახდება. იგი ჩვენს ქვეყანას წაიყვანს სანუკვარი მიზნისკენ – კომუნიზმისკენ“ (იქვე, ფურც. 86). დაბოლოს, ეს ყველაფერი მთავრდება ჩვეუ-ლებრივი ყალბი პათოსით, რომ „მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხულოს რაიონის მშრომელი მოსახლეობის სიხარული, აღფრთოვანება, მთელი ძალების მობილიზება გამოიწვია სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებამ პარ-ტიის ახალი პროგრამისა და წესდების ერთსულოვნად მოწონებისა და საყოველ-თაო განხილვისათვის გამოქვეყნების შესახებ“(იქვე, ფურც. 98).

ასეთ ფონზე სამედიცინო დაწესებულებისა და პუნქტების მომრავლების მიუხედავად, ეს დარგი განიცდის კადრების დეფიციტს. ხულოს რაიონს აკლდა 36 ექიმი, 48 ექთანი და ეს პრობლემა საკმაოდ ხელშესახები და შთამბეჭდავია. მაგრამ ხულოს რაიონის პარტიული ხელმძღვანელობა მაინც „გრანდიოზულ, დიდ მიღწევებსა და გამარჯვებებზე – საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენე-ბასა და ახალი კომუნისტური საზოგადოების“ მშენებლობაზე საუბრობს (აცსა, ფ. პ-12, ან. 29, ს. 1, ფურც. 83-90; იქვე, ან . 31, ს. 1, ფურც. 38). ემზადება რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის, აღნიშნავს: „კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი კვლავ და კვლავ გამოხატავენ თავიანთ სიყვარულს ვ. ი. ლენინისადმი, რომელმაც თავისი ძალები, გენიალური გონება მოახმარა რევოლუციის საქმეს, მშრომელი ადამიანების ბედნიერებისათვის ბრძოლას. ოქტომბრის რევოლუციამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად ბო-ლო მოუღო დედამიწის 1/6 ნაწილში მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობას – და როგორც მომხსენებელი აღნიშნავს – დაამსხვრია ექსპლოტატორული წყო-ბილება და პროლეტარიატის დიქტატურა...“ (ასე წერია – უ. ო.)[აცსა, ფ. პ-12, ან. 33, ს. 1, ფურც. 49]. როგორც ჩანს, მომხსენებელს წარმოდგენაც არა აქვს, რაზე ლაპარაკობს, ეტყობა, ასეთივე მდგომარეობაშია მისი მსმენელიც, რადგან მისი

ნათქვამი უცვლელად შეუტანია სხდომის ოქმში და იქვე იმავე პათოსით განაგრძობს: „ოქტომბრის რევოლუციის შედეგია ის, რომ დამკვიდრდა ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთა ურყევი სოციალისტური ძმობა...ყველა ერი და ეროვნება გაერთიანდა სსრ ურყევ კავშირად და ერთობლივი მეცადინეობით ააშენეს სოციალიზმი“ (იქვე, ფურც. 51) მართლაცდა „ნეტარ არიან მორწმუნენი“... სოციალიზმის აშენება კი ხულოს რაიონში იმაში გამოიხატა, რომ „აქ 1966 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა კომუნალური მეურნეობის ხაზით ერთი რვაბინიანი, ხოლო განათლების სპეციალისტებისათვის ერთი 2-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. 1967 წელს მობინადრეებს ბინებში დაედგათ15 გაზქურა და სხვა (აცსა, ფ. პ-12, ან. 34, ს. 2, ფურც. 1). და ეს ყველაფერი ხულოს უკვე რამდენიმეათასიან მოსახლეობაზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მომდევნო პერიოდში საკმაოდ ძლიერდება და მტკიცდება საგანმათლებლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; მარტო უკანასკნელი 5 წლის მანძილზე აიგო 33 საკოლო შენობა, მათში მოეწყო ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის ახალი კაბინეტ-ლაბორატორიები, მარტივი სახის სპორტული მოედნები და სხვა. რაიონში 700-მდე პედაგოგიდან უმაღლეს დამთავრებული იყო 412, საშუალო-სპეციალური განათლებით – 183 მასწავლებელი (აცსა, ფ. პ-12, ან. 34, ს. 1, ფურც. 6).

სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შედეგად, – დოკუმენტს თუ დავუჯერებთ – „მოპოვებულია თვალსაჩინო, უდიდესი წარმატებანი ჩვენი ქვეყნის განმტკიცებისა და წინსვლის, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და თანმიმდევრული ლენინური პოლიტიკის განხორციელების საქმეში“ (იქვე, ფურც. 49). ამაზე ლაპარაკობენ 1968 წელს, როდესაც „პრაღის გაზაფხულის“ სისხლიანი ტრაგედია მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული და საბჭოთა ტანკების ჩეხოსლოვაკიაში შეჭრამ არნახული მსხვერპლი და ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კრიზისი გამოიწვია. აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დაჯილდოვდნენ ლენინის ორდენებით (იქვე). მეტად საინტერესო ფაქტია, რომ 1967-1968 წლებში ხულოს რაიონიდან სხვადასხვა სახის უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობილა 36 კაცი. მათ შორის ხულოს საშუალო სკოლიდან – 7, ხიხაძირიდან – 13, ყინჩაურიდან – 3 კაცი და ა.შ. თუმცა გაიხსნა საწრაფო დახმარების ახალი პუნქტი და ჯანდაცვის სხვა დაწესებულებანი, მაგრამ კვლავ არასაკმარისია ექიმთა და დამხმარე პერსონალის კადრები, ამასთან, ავარიულ მდგომარეობაშია ხიხაძირის საავადმყოფოს შენობა, არადამაკმაყოფილებელია სატელეფონო მომსახურება და სხვა (აცსა, ფ. პ-12, ან 35, ს. 1, ფურც. 45, 46, 48). ასეთ ფონზე კი გაცხარებით მომდინარეობს მზადება ვ. ი. ლენინის 100 წლისთავის იუბილისადმი, რისთვისაც შეიმუშავეს ღონისძიებანი და უნდა მოეწყოთ ლენინური კითხვები თემებზე: „ვ.

ი. ლენინი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი და მასწავლებელი“, „ლენინური კოოპერატიული გეგმა მოქმედებაში“ და სხვა ამგვარი დემაგოგიურ, „სულის მაცხოვნებელ“ საკითხებზე. ასეთი არაფრის მომცემი აგიტაცია-პროპაგანდის ფონზე თამბაქოს წარმოების დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის 1969 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საგამოფენო კომიტეტის მიერ ხულოს რაიონი 1968 წლის შედეგების მიხედვით დაჯილდოვდა ბრინჯაოს მესამე ხარისხის დიპლომით, ხოლო 1970 წელს ლენინის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით 1228 პიროვნება დააჯილდოვეს საიუბილეო მედლით (აცსა, ფ. პ-12, ან. 36, ს. 2, ფურც. 37). 1972 წლის აპრილში კი ხულოს რაიონის მშრომელები იწონებენ და ენთუზიაზმით ხვდებიან სკკპ ცკ-ის დადგენილებას – „სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი მზადების შესახებ“ (აცსა, ფ. პ-12, ან. 3, ფურც. 78); ხოლო 1973 წლის 22 დეკემბერს საქართველოს კპ. ხულოს რაიონული ორგანიზაციის XXII კონფერენციის ანგარიშში მითითებულია, რომ „საჭიროა მტკიცედ ვიხელმძღვანელოთ დეკემბრის პლენუმის დადგენილებით, პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლით და თითოეულ კომუნისტს...“ და ა. შ. შემდეგ კი მომხსენებელი ხულოს რაიონის კომუნისტების სახელით აცხადებს: „ნება მომეცით აქ დამსწრე კომუნისტების სახელით დავარწმუნო საქართველოს კპ ცკ-ი, რომ ხულოს რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი ახალი ენერგიით, ძალების მობილიზებით დაირაზმებიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის და თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობაში“ (აცსა, ფ. პ-12, ან. 39, ფურც. 127,128). აქ და შემდეგაც, შეიძლება შეიცვალოს სკკპ ყრილობათა რიგითი ნომერი, დანარჩენი უმნიშვნელო ცვლილებებით, იგივე განმეორდებოდა, რადგან ეს იყო საბჭოთა კომუნისტური ხელმძღვანელობის მიერ ჩამოყალიბებული მუშაობის ყალბი სტილის ჩვეულებრივი ყალბი სიტყვიერი სამოსელი, რომელთაც ხანდახან წაემატებოდა ხოლმე კომუნისტური კამპანიური ღონისძიებების ამსახველი ასეთივე ზოგადი ფრაზეოლოგია: „კონფერენცია პარტიის რაიკომისაგან, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მშრომელთა შორის ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა წარსულის მავნე გადმონაშთებისა და რელიგიის რეაქციულობის შესახებ. მიაღწიონ იმას, რომ ათეისტურ პროპაგანდას ჰქონდეს სისტემატური, მიზანსწრაფული და შემტევი ხასიათი. ამ მუშაობას მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებით – „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“; „საქარველოსკპ ხულოს რაიონული ორგანიზაციის XXIII კონფერენცია მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ხულოს პარტიული ორგანიზაციები, კომუნის-

ტები მჭიდროდ დარაზმავენ რაიონის მშრომელებს პარტიის დიადი წინასწარ-დასახულობათა განხორციელებისათვის“ (იქვე, ან. 11, ს. 3. ფურც. 76-77).

უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში ხულოს რაიონის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეს ემსახურებოდა 80 ზოგადსაგანმა-ნათლებლო სკოლა 9594 მოსწავლით. მათი აღზრდის საქმეში ჩაბმული იყო 750-მდე მასწავლებელი. იმავე 1975 წელს სახელმწიფო სახსრებით აიგო 3 საშუალო, ერთი რვაწლიანი სკოლა 1520 მოსწავლეზე, 3 სკოლა-ინტერნატი 160 მოსწავ-ლეზე და სხვა. ხუთწლედის მანძილზე საღამოს დაუსწრებელ სწავლების გზით საშუალო განათლება მიიღო 1200-მდე ახალგაზრდამ (აცსა, ფ. რ. 263, ან1, ს. 1528, ფურც. 12, 13, 14). როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, მიუხედავად უსწავლელო-ბის ლიკვიდაციისათვის გატარებული კამპანიური ღონისძიებებისა, ხულოს რაიონში ამ დროს საკმაოდ ყოფილან ახალგაზრდები საშუალო და არასრული საშუალო განათლების გარეშე; აღარაფერს ვამბობთ ამ ე. წ. საღამოს სკოლებში სწავლების ტრადიციულ ფორმალურ ხასიათზე, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ აღნიშნულ წელს 205 პროცენტით შესრულებულა ეს კონტინგენტი.

მაგრამ ძალზე საინტერესო სურათს იძლევა იმის ანალიზი, თუ რას ემსახურებოდა მაშინდელი საბჭოური სკოლა და მთელი საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიკა. აქ, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, „განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი, მათი კომუნისტური აღზრ-დის საკითხებს... მიზნობრივი ღონისძიებები მოეწყო სამეცნიერო ათეისტური პროპაგანდის გაძლიერების მიზნით“ (იქვე, ფურც. 15).

რა სიკეთის მოტანა შეეძლო ჩვენ მიერ ნაშრომში წარმოჩენილ, კომუნის-ტური სიყალბით აღზრდასა და ათეისტურ პროპაგანდას, ამის შედეგებს ჩვენი ქვეყანა დღემდე იმკის. მაგრამ საქმე მარტო ამით არ ამოიწურებოდა. „საბჭოთა სკოლას აკისრია პასუხისმგებლობა... რომ მისი კედლებიდან გამოვიდნენ პოლიტიკურად წიგნიერი, იდეურად მტკიცე მებრძოლნი კომუნიზმის საქმისა-თვის. სკოლა არასოდეს მდგარა და არც შეიძლება იდგეს განზე პოლიტიკისაგან, კლასთა ბრძოლისაგან“(იქვე, ფურც. 16), რაც კომუნისტური დიქტატურის პირო-ბებში იმას ნიშნავდა, რომ მას უნდა აღეზარდა კაცობრიობის უდიდესი ნაწილის მოძულე, მსწრაფლწარმავალი იდეალებისათვის თავშეწირული, ყოველგვარი ეროვნული გრძნობებისაგან დაცლილი ისეთივე ფარისეველი, როგორიც შეიძ-ლება ამ სიტყვების დამწერი ყოფილიყო: „რაიონის სახალხო განათლების ორგა-ნოები, სასოფლო საბჭოები, მთელი საზოგადოებრიობა, სრულყოფილად გამოი-ყენებენ პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ მზრუნველობას ახალგაზრდო-ბის კომუნისტურად აღზრდისათვის და ამით ბრწყინვალედ გადაწყვეტენ ახა-ლია ადამიანის აღზრდის ამოცანას“ (იქვე, ფურც. 21). აქვე არ უნდა დავივიწყოთ

საქართველოს და კერძოდ, რაიონების სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის დასახული ღონისძიებებიც, რაც 1978 წლის აპრილში საქართველოში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმების მცდელობით დაგვირგვინდა. აღარაფერს ვამბობთ ე. წ. „წარსულის მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ“ საქართველოში გაჩაღებულ ბრძოლაზე, რომელშიც უმთავრესად ქართული ეროვნული თვითმყოფადობისა და ცხოვრების ტრადიციული წესის წინააღმდეგ ბრძოლა იგულისხმებოდა, და რამაც ხულოს რაიონშიც ჰპოვა გამოვლინება (აცსა, ფ. რ-263, ან. 1, ს. 1812, ფურც. 2). ამავდროულად, სახელმწიფო ნეგატიურადაა განწყობილი და სახავს ღონისძიებებს შინამრეწველ ხელოსნური საქმიანობის, ანუ ე. წ. შინამრეწველთა წინააღმდეგ (აცსა, ფ. რ-263, ან. 1, ს. 2055, ფურც. 26).

ამ ე. წ. შევარდნაძის ეპოქის დასახასიათებლად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კიდევ ერთხელ მივმართოთ დ. მამულაძის მემუარულ თხზულებაში დაფიქსირებულ პოზიციას, სადაც ის ამბობს – „კანონისადმი უპატივცემულობამ, უკონტროლობამ, პასუხისმგებლობის დაქვეითებამ ხელი შეუწყო ჩვენს საზოგადოებაში კორუფციას, მექრთამეობას, უპატიოსნებას, არაშრომითი შემოსავლების ზრდას. ამის მოთმენა ყოვლად დაუშვებელია“ (დიასამიძე, 323; მამულაძე, 160), და რადგან მის მოგონებებს ჰქვია „რწმენით გავლილი გზა“, უფლებას ვიტოვებ მას და მის მსგავსთ ვკითხო: სად ჩანს აქ „რწმენით გავლილი გზა?!“ და ზოგიერთებსაც ვურჩევ, რომ თავი გაანებოს ასეთი გზით, უკვე წარსულში დარჩენილი ყალბი იდეალების პროპაგანდას (ჩვენში, ისტორიკოსთა ძველი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, მხოლოდ ამით არიან დაკავებულნი) და მომავალი თაობის შეცდომაში შეყვანას.

მაგრამ მოცემული ნეგატიური სურათის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ხულოს რაიონი ქართულ სპორტულ ცხოვრებაში გამოირჩევა საკმაოდ მაღალი და სტაბილური მაჩვენებლებით. აღსანიშნავია, რომ 1982 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებულ საოლქო III სპორტულ თამაშებში წარმატებით გამოვიდნენ ხულოს რაიონის კლასიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, ტყვიის მსროლელები, ხოლო საქართველოს III ახალგაზრდულ სპარტაკიადაში კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა მოიპოვეს 2 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალი (ლევან მეხეშიძე და ჯამბულ ბოლქვაძე – ჩემპიონები, თამაზ შავაძე მესამე ადგილი). აჭარის მე-8 სპარტაკიადაზე კი ამავე წელს კლასიკურ ჭიდაობაში მოიპოვეს 9 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი. პირველი ადგილი აიღეს მაგიდის ჩოგბურთელმა გოგონებმაც და სხვა (აცსა, ფ. რ-263, ან. 1, ს. 2055, ფურც. 1-4). სასიხარულოა, რომ ხულოს რაიონში მოჭიდავეთა წარმატებების ტრადიცია დღესაც გრძელდება.

ხულოს რაიონში ამავე პერიოდში დიდ ყურადღება ეთმობოდა გმირი და მრავალშვილიანი დედებისადმი უკვე ტრადიციულად ქცეული „ დედის დღის“ ჩატარებას. 1988 წლისთვის რაიონში აღრიცხული ყოფილა 106 გმირი და 1388 მრავალშვილიანი დედა, აქვე დაფიქსირებულია ორცოლიანობის 14 შემთხვევაც (აცსა, ფ. რ-12, ან. 57, ს. 1, ფურც. 187).

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე პერიოდი

საქართველოს XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელი ბრძოლის მძლავრი გაქანება აისახა ხულოს რაიონის ცხოვრებაზეც; მაგრამ მის საწყის ეტაპზე აქ ეროვნულ ძალთა სისუსტის გამო, საქართველოში მიმდინარე მოვლენების შეფასებაში მონოპოლიური მდგომარეობა უკავია ხულოს რაიონის კპ-ისა და მისი აქტივის პოზიციას, რომლის წარმომადგენელ-მაც 1988 წლის 11 დეკემბრის ხულოს რაიონის პარტიული-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღნიშნა: „რესპუბლიკაში ექსტრემისტულად განწყობილ პირთა მოქმე-დების შედეგად, რომელსაც აშკარად გამოხატული ანტისაზოგადოებრივი, ნაციონალური და ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს, მნიშვნელოვნად გაარ-თულა პოლიტიკური და იდეოლოგიური ვითარება.

დაძაბულობა უმთავრესად გამოწვეულია მართლსაწინააღმდეგო აქციებით, არასანქცირებული მიტინგებით, მსვლელობებით, დემონსტრაციებით, რომელ-საც აწყობენ ექსტრემისტულ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერები... ხელს უშლის საზოგადოების კონსოლიდაციის, შემდგომი დემოკრატიზაციის, საჯა-როობის... განვითარება ექსტრემისტული დაჯგუფებანი... გადადიან აქტიურ, მი-ზანმიმართულ მოქმედებაზე, რომლის მიზანია გამოიწვიონ ვითარების დესტა-ბილიზაცია, დაიწყოს აშკარა პოლიტიკური ბრძოლა ძალაუფლების მისაღწე-ვად... მიმართავს აშკარა ცილისწამებას“ (აცსა, ფ. პ-12, ან. 57, ს. 4, ფურც. 3-4). იქვე ნათქვამია, რომ „ექსტრემისტულ დაჯგუფებათა ლიდერებმა (ე. წ. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მეოთხე დასი და სხვა) და მათმა მომხრეებმა აშკარად დაიწყეს ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური და ნაციონალური ლოზუნგების გამოცხადება. შეურაცხყოფდნენ საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოებრივ წყობილებას, მოუწოდებდნენ მოსახლეობას გაეწიათ მოქალაქეობრივი დაუმორ-ჩილებლობა, მასობრივად ჩაებარებინათ პარტიული და კომკავშირული ბი-ლეთები, გაისმოდა მუქარა პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების მისა-მართით... ექსტრემისტები აყენებდნენ...საკუთარი კონსტიტუციის შექმნას, ერო-ვნული არმიის ჩამოყალიბებას, ძალაუფლების ე. წ. საქართველოს ედპ-სთვის გადაცემას, რესპუბლიკის სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებ-ლობას, სსრ კავშირიდან გასვლას, გაისმოდა მოწოდებები „გარუსების“, „გასომ-

ხების“ და „გათათრების“ წინააღმდეგ საბრძოლველად, იყენებენ მენშევიკურ დროშებს, სიმბოლიკას, რელიგიურ ატრიბუტებს“ – თუთიყუშივით იმეორებს ხულოს რაიონული კომუნისტური ორგანიზაციის ლიდერი ეროვნული მოძრაობის ძალთა ქმედებების საქართველოს ცენტრალური კომუნისტური ხელისუფლებისაგან მომდინარე შეფასებებს, შემდეგ კი აქვე იმეორებს იმავე წყაროდან მომდინარე დასკვნას, თითქოსდა „საზოგადოების აღშფოთებას იწვევს ის, რომ ექსტრემისტული ჯგუფის ლიდერებმა მასობრივი ტერორი გააჩაღეს მშობლების, პედაგოგების, საზოგადოების წარმომადგენელთა წინააღმდეგ... მთავრობის სახლის სახურავზე საქართველოს სახელმწიფო დროშის შეურაცხყოფა ვინმე ისაკაძის მიერ“ (იქვე, ფურც. 5) – ამბობს საქართველოს კპ ხულოს რაიონული ორგანიზაციის პარტიული „ბოსი“ და იქვე განაგრძობს – „ექსტრემისტები აგრძელებენ რა პროვოკაციებს, მას ავრცელებენ რესპუბლიკის რეგიონებში, განსაკუთრებით ავტონომიურ ფორმირებებში. ამის მაგალითია 20 ნოემბერს ქ. ბათუმში გამართული მიტინგი, ასევე 3 დეკემბერს მოწყობილი ცდები არეულობა პროვოკაციულად გამოეწვიათ ქალაქებში ქუთაისსა და სოხუმში“ (იქვე, ფურც. 6)

კომუნისტური პარტიის აქტივთან შეხვედრისას წარმოთქმული მოხსენებიდან ამ ფართო ამონარიდის მოტანა საჭიროდ ჩავთვალეთ, რათა თვალნათლივ წარმოგვეჩინა ხულოს კომუნისტური მმართველობის მაღალ ეშელონებში შექმნილი იმჟამინდელი ვითარების შეფასების მთელი ტრაგიკომიკურობა, რათა შემდეგ ასევე ნათლად წარმოვაჩინოთ საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობასთან ერთად მისი მნიშვნელოვანი ევოლუცია და ამით ცხადვყოთ, მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კეთილისმყოფელი გავლენა ისეთ კონსერვატიულ და საქართველოში თავისი ხასიათითკოლაბორაციონისტულ ორგანიზაციაზე, როგორიც საქართველოს კპ და მისი ხულოს რაიონული ორგანიზაცია იყო. მანამდე კი, სანამ ეს მოხდებოდა, ადგილობრივი კომუნისტური ნომენკლატურის თავკაცი, ისევ ჩვეული დემაგოგიითა და ფარისევლური წიაღსვლებით ცდილობს ფონს გასვლას და ზემოთ მის მიერვე აღწერილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს ილუზორულ წარმოდგენებში, რომ თითქოსდა კომუნისტური მმართველობის პერიოდში „ახალი შინაარსი შეიძინა სახალხო დღესასწაულმა „შუამთობამ“, „ტბელობამ“. ეწყობა შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, წვევამდელთა საზეიმო გაცილება და სხვა (იქვე, ფურც. 8). მისი აზრით, „საჭიროა პარტიულმა ორგანოებმა ხელში აიღონ მშრომელთა სამხედრო და ინტერნაციონალური აღზრდა... სამართალდამცავმა ორგანოებმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში... უნდა განიხილონ ღონისძიებანი კანონიერებისა და მართლწესრიგის დასაცავად. არასანქცირებული მიტინ-

გების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების აღსაკვეთად“ (იქვე, ფურც. 16). ხოლო, მისივე აზრით – „ექსტრემისტთა ერთი ჯგუფი, როცა აჭარის ავტონომიის გაუქმებას მოითხოვს, ბევრი დუმილს ამჯობინებს და არ ებმება პაექრობაში, არადა თვითმარქვია მქადაგებლებს უნდა გავცეთ საკადრისი პასუხი... და თუ მისი გაუქმების საჭიროება შეიქმნება, აჭარის რესპუბლიკას ჰყავს ინტელიგენცია, რომელმაც უკეთ იცის მისი საქმე.

ქ. ბათუმში 20 ნოემბერს გამართული მიტინგის ვიდეოჩანაწერებმა აღაშფოთა ყველა. ვაი პედაგოგმა, ვინმე გოგოლაძემ შეურაცხყოფა მოგვაყენა, ამის საპასუხოდ კი არავის შეუწუხებია თავი...აჭარაში განა ვინმეს სჭირდება იმის შეხსენება, რომ ქართველია? რომ აჭარა საქართველოა?.. აჭარის ავტონომიური სტატუსის გაუქმება არამკითხე მოამბეთა საქმე არ არის. ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს“ (იქვე, ფურც. 17).

1988 წლის 11 დეკემბერი იყო სწორედ წინა დღე ქ. ბათუმში იმავე წლის 12 დეკემბერს გამართული კომუნისტური პარტიისა და მისი აქტივის კრებისა, რომელმაც უფრო ფართო მასშტაბებითა და ჩვეული თავხედობით გაიმეორა ყველა ის პოზიცია და დებულება, რაც ხულოს რაიონის პარტიული და მისი აქტივის კრებაზე წინა დღით მსჯელობის საგანი იყო. ეს გვაფიქრებინებს და საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მიერ მიღებული მუშაობის პრაქტიკაც იმას გვკარნახობს, რომ ყველაფერი ეს ერთი პულტიდან იმართებოდა, რომლის სათავე კრემლში იდო; ხოლო ხულოსა თუ აჭარის სხვა რაიონებში ჩატარებული წინმსწრები ღონისძიებანი ბათუმის 12 დეკემბრის პროვოკაციის შემამზადებელ რეპეტიციას წარმოადგენდა. თუმცა აღვნიშნავ იმასაც, რომ ბათუმის საზოგადოებამ საკადრისი პასუხი გასცა ამ პროვოკაციას და აღკვეთა აჭარის მაშინდელ ხელისუფალთა მიერ მოვლენების, მართლაცდა ექსტრემისტულად, ქართული ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ განვითარების შესაძლებლობა, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო რეგიონის ინტელიგენციის პროგრესულმა ნაწილმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ მართლაც „უკეთ იცის მისი საქმე“, ვიდრე ეს აჭარის ხელისუფლების კომუნისტური ნომენკლატურის ზოგიერთ წარმომადგენელს წარმოედგინა.

სანამ სხვა, უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ ვცანით აღგვენიშნა, თუ რამდენ კომუნისტს აერთიანებდა საქართველოს კპ ხულოს პარტიული ორგანიზაცია 1989 წლის 1 იანვრისთვის. აღმოჩნდა, რომ იგი ამ პერიოდში თავის რიგებში აერთიანებდა 2452 სკკპ წევრსა და 104 სკკპ წევრობის კანდიდატს, სულ 2556 კომუნისტს (აცსა, ფ. პ-12, ან. 57, ს. 232, ფურც. 78), ხოლო იმავე წლის სექტემბერში ხულოს 124 პ/კომკავშირული ორგანიზაცია აერთიანებდა 8635 ქალიშვილსა და ჭაბუკს (იქვე, ს. 234, ფურც. 7). ამავე დოკუ-

მენტში საქართველოს კპ ხულოს რაიკომის პირველი მდივნის ბ. დ. შაინიძის მოხსენებაში ნათქვამია, რომ – „ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა თითოეულისათვის უნდა გადაიქცეს მთავარ ღირებულებად“ (იქვე, ფურც. 3). და თუ ადრე აღნიშნული საქმე ექსტრემიზმად და დანაშაულად ეთვლებოდათ ახალგაზრდებს, ახლა ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ „საქმით უნდა გამოვიჩინოთ ახალგაზრდობისადმი სრული პოლიტიკური ნდობა, შევცვალოთ ახალგაზრდობასთან თვით ურთიერთობის ტიპი – „ჭკუის სწავლებამ“ ადგილი უნდა დაუთმოს ურთიერთობა-დიალოგს და ვისწავლოთ მასთან ლაპარაკი, როგორც თანასწორთან, გულახდილი, პატიოსანი და ამასთან გვახსოვდეს, რომ მხოლოდ სიმართლე გვიშველის, რადგან რამდენი სიმართლეცაა, იმდენი რწმენაა“ (იქვე, ფურც. 3-4) – ამბობს იგი.

როგორც ჩანს, ქართული ეროვნული მოძრაობის უდიდესმა გაქანებამ გარკვეული გარდატეხა შეიტანა თვით ქართული კომუნისტური ნომენკლატურის შეგნებაში, მაგრამ ჯერჯერობით არა იმდენი, რომ რადიკალური ცვლილებები შეიტანონ თავიანთი მიზნის მიღწევის ძირითად სტრატეგიაში და ისინი ისევ აგრძელებენ წარმავალი იდეალებით დემაგოგიურ მანიპულაციას; რომ „ვასწავლოთ ახალგაზრდობას იყოს თავდადებული ჩვენი იდეებისათვის ბრძოლაში. დღესაც მთავარია ლენინური ორიენტირები – მოამზადოს ახალგაზრდა იმისათვის, რომ გახდეს კომუნისტი“ (იქვე, ფურც. 5), რაც ძირშივე გამორიცხავს ზემოთ მის მიერვე ნაქადაგებ „ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის გადაქცევას თითოეულის მთავარ ღირებულებად“. ამას ვერანაირად ვერ შეუწყობდა ხელს ვერც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მესამე დღეს, 12 აპრილს მიღებული საქართველოს კპ ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილება ლენინის 119-ე წლისთავის, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის 1 მაისის და გამარჯვების დღის 9 მაისის ზეიმით აღნიშვნის შესახებ, რომლებშიც ერთი სიტყვითაც არსად იყო ნახსენები ქართველი ხალხზე თავს დამტყდარი უდიდესი ტრაგედია (აცსა, ფ. პ-12, ან. 57, ს. 246, ფურც. 14-18, მომხსენებელი ეთერ დეკანაძე). პირიქით, ეს იყო მათი ცინიკური დამოკიდებულების გამოხატულება ქართველი ხალხის ბედისა და მისი სასიცოცხლო ინტერესებისადმი. იგივე უნდა ვთქვათ 1989 წლის 15 აპრილის ამავე დონის დადგენილებაზე კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ (იქვე, ს. 247, ფურც. 24-25). მაგრამ ქართველი ხალხის სულიერ ერთობას, რაც კიდევ უფრო აღორძინდა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი აღმავლობის ფონზე, ვერაფერი დააკლო საქართველოს კპ ხულოს რაიონული ნომენკლატურის მიერ ქვეყნის საერთო სატკივარისადმი გამოვლენილმა ამ გულგრილობამ და როდესაც ხულოს რაიონის მოსახლეობას 1989 წლის 19 აპრილს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება,

„რაიონის მშრომელებს გაჭირვების ჟამს ერთი წუთითაც არ უგრძნიათ მარტოობა. მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილის ტრაგედიით შეძრწუნებული იყო მთელი საქართველო“. 29 რაიონში მოხდა მათი გეგმური ჩასახლება. 1989 წლის ივნისისათვის სხვადასხვა რაიონებში საცხოვრებლად გადასული იყო 3214 ოჯახი 13516 მცხოვრებით (აცსა, ფ. პ-12, ან. 57, ს. 233, ფურც. 13); ხოლო 1977-1988 წლებში სხვა რაიონებში ზემომთიანი აჭარიდან ჩასახლდა 12000-ზე მეტი მცხოვრები (იქვე, ფურც. 14).

ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მოსახლეობის კომუნალური, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, სატრანსპორტო, საფოსტო მომსახურების დონე სრულიად ვერ პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს. კვლავ მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, აუცილებელია ჯანდაცვის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, კონტროლი და მოთხოვნა უნდა ამაღლდეს სოფლის საფერშლო-საბებიო პუნქტების მუშაობისადმი. დაბალია ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა კვალიფიკაცია და მათი მოსახლეობისადმი მომსახურების კულტურა“ (იქვე, ფურც. 20). კოლმეურნეობებში მომუშავე ბუღალტრების მხოლოდ 48 %-ს აქვს საშუალო სპეციალური განათლება, ეკონომისტთა 65 %-ს კი საერთოდ არა აქვს სპეციალური განათლება (იქვე, ფურც. 22). როგორც ჩანს, ხელისუფლების მიერ ოფიციალურ დოკუმენტებში ხულოს რაიონის საყოფაცხოვრებო და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში დაფიქსირებული წარმატებების უკან იმალებოდა საკმაოდ სავალალო სურათი და კომუნისტური მმართველობის ბოლო პერიოდშიც კი, მას საკმაოდ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა გააჩნდა. მაგრამ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მისი წარმატების უცილობელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ხულოს რაიონში უკვე კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი აღიარებენ ეროვნული მოძრაობისადმი მხარდაჭერას და ამ მიმართულებითთავის პოზიციასაც აფიქსირებენ. მაგალითად, 1990 წლის 4 აპრილს საქართველოს კპ ხულოს რაიონული კომიტეტის პლენუმზე სხალთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ა. სურმანიძემ პირდაპირ განაცხადა, „მე, როგორც კომუნისტი, მხარს ვუჭერ ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ ჩემი მრწამსი ყოველთვის იქითკენაა, რომ ამ გზაზე ყველაზე მისაწვდომი პარლამენტური...გზაა“ (იქვე, ს. 358, ფურც. 13).

ამავე წლის 21 აპრილს კი გაიმართა ხულოს პარტიული ორგანიზაციების XXIX კონფერენცია, რომელზედაც საქართველოს კპ ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. შაინიძემ, თუ ადრე 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას პარტიული ნომენკლატურა ექსტრემისტული ძალების ანტისაბჭოთა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების შედეგად ასაღებდა, ახლა მას ასეთი

შეფასება მისცა: „პარტია იზიარებს და მხარს უჭერს ხალხის ამ სამართლიან მოთხოვნებს. საზოგადოების განახლების პროცესი გვარწმუნებს იმ ჭეშ-მარიტებაში, რომ თუ პარტია არ გაერკვა, არ გაითავისა ის ეროვნული სატკი-ვარი, რომელიც ხალხს აწუხებს, მას უფლება არ ექნება იმუშაოს და იმოქმედოს ხალხის სახელით“...უთუოდ უნდა მივაღწიოთ რესპუბლიკაში არსებული მთელი ძალების შეთანხმებას და კონსოლიდაციას, მათ საერთო სახელმწი-ფოებრივ და ეროვნულ პოზიციებზე გაერთიანებას. მხოლოდ ეს გვიხსნის გა-თიშულობისაგან, დაქსაქსულობისა და მტრობისაგან, რომლებმაც შეიძლება ძალზე მძიმე შედეგებამდე, კატასტროფამდეც კი მიგვიყვანოს“ – ამბობს იგი და შემდეგ ჩამოთვლის საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მიერ გა-დადგმულ იმ ნაბიჯებს, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაო-ბამ თავისი უდიდესი ძალისხმევითა და თავგანწირული ბრძოლით აიძულა მას გადაედგა (აცსა, ფ. პ-12, ან. 57, ფურც. 7-9). მომხსენებელი აქვე მიუთითებს, რომ „კომუნისტურმა პარტიამ დათმო მონოპოლიური მდგომარეობა, ჩვენ საჭიროდ ვცნობთ არა მარტო აზრთა პლურალიზმს, არამედ პოლიტიკურ პლურალიზმ-საც. მზად ვართ დიალოგის, პოლიტიკური პლურალიზმისთვის“. მაგრამ შემდეგ ეხება რა თვით კომუნისტური პარტიის შიგნით არსებულ ვითარებას, აღნიშნავს, რომ „ზოგიერთმა რწმენაც დაივიწყა და პოზიციაც, საერთოდ მიატოვა პარტია და ჩვენს ოპონენტებზე უფრო ენერგიულად დაუწყო ლანძღვა-გინება თავის ყოფილ თანამოაზრეებსაც და საერთოდ პარტიასაც. ...მამა-პაპათა ნამოღვაწარი არაფრად მიაჩნიათ, საქილიკოდ გაუხდიათ, თვითონ კი ამის სანაცვლოდ არაფერი შეუქმნიათ. პირადი განდიდების მიზნით არ ერიდებიან ეროვნული თვითშეგნების შელახვას, ახალგაზრდობას ქაოსისა და ანარქიისაკენ უბიძგებენ. სწორედ ასეთი მიმდინარეობების თაოსნობით მოხდა რესპუბლიკის რამდენიმე რაიონში ლენინის ძეგლების ვანდალური დემონტაჟი. სამწუხაროდ, მათი მიბაძვით, ქურდულად, ღამის საათებში ჩვენს რაიონშიც ახალგაზრდების მცირე ჯგუფმა განახორციელა ანალოგიური აქცია“...[იქვე, ფურც. 11, 17, 19)[ჩვენს მიერ მიღებული სარწმუნო ინფორმაციის თანახმად, ეს მოხდა საქართველოს კპ ხულოს რაიკომის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით და მომხდარი ფაქტი ამ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად რესტორანში აღნიშნეს ადგილობ-რივი ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმაც. ამ დროს ხულოში,აღნიშნულ აქციაში მონაწილეობის მისაღებად, მეც ვიყავი მიწვეული და ხულოს ცენტრში დაგვიანებით ასულს, ასე მომახსენეს].

მომხსენებელი აქვე ეხება ხულოს რაიონში არსებულ სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც და ამბობს: „რაიონის ისტორიაში სისხლიან ფურცლად ჩაიწერა 19 აპრილის ტრაგიკული დღე. ბუნების სისასტიკემ შეიწირა სრულიად უდანაშაუ-

ლო 23 ადამიანის სიცოცხლე...სასიხარულოა, რომ ასეთ რთულ პირობებში ჩვენს გვერდით დადგა სრულიად საქართველო...37 რაიონმა შეიფარა მეწყერ და ზვავ-საშიშ ზონებში მყოფი ჩვენი რაიონის მოსახლეობა... რაიონიდან ამოწერილია და გადასულია საცხოვრებლად 4200-მდე ოჯახი". ასევე აღნიშნავს, რომ „სეპარატის-ტულად განწყობილმა ერთმა ჯგუფმა მოახერხა... აეყოლიებინა აჭარის მაღალ-მთიანი რაიონის მოსახლეობის ნაწილი, რომელთაც ბარის რაიონებში ვანდალუ-რად დაიკავეს მიწები"...ისარგებლეს რა საჯაროობისა, დემოკრატიის სიკეთით, ჩვენი კუთხის „ვაიშვილებმა" შეძლეს თანამზრახველების შემოკრება და შეუდგ-ნენ რაიონში მტრის მიერ თავსმოხვეული რელიგიის, ისლამის აღორძინებას"-ამბობს იგი და იქვე განაგრძობს – „არ გვაქვს უფლება ხნოვანი ხალხის მცირე ჯგუფს მივცეთ საშუალება რაიონის აბსოლუტური უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ... ყველა, პარტიული და უპარტიო, დიდი თუ პატარა ერთ მტკიცე პოზიციაზე უნდა დავდგეთ, რათა ხალხი, ბოლოს და ბოლოს, გავათავისუფ-ლოთ ჩვენთვის მიუღებელი, უცხო რელიგიის ბანგისაგან" (იქვე, ფურც. 20-21). დაბოლო, კომუნისტური პარტიის ნომენკლატურული მაღალჩინოსანი აკეთებს რა საქართველოში იმ დროსათვის შექმნილი ვითარების შეჯამებას, გამოაქვს დასკვნა, – „პრაქტიკა მოწმობს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მოწყვეტამ ეროვნული მოძრაობისაგან, რომელიც ყველაზე შესამჩნევ როლს ასრულებს ახალ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ძალებს შორის, შეიძლება გამოიწვიოს პარტიული ორგანიზაციების გარიყვა, პოლიტიკური ინიციატივის დაკარგვა...ყრილობის დელეგატებს განაწესად უნდა მივცეთ ის, რომ იბრძოლონ რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ისეთი სტატუსის მინიჭების, პროგრამისა და წესდების შექმნისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს პარტიას იდგეს მყარ ეროვნულ საფუძველზე" (იქვე, ფურც. 22).

დოკუმენტიდან ამ ვრცელი ამონარიდის ნაშრომში მოტანა საჭიროდ ვცა-ნით იმისათვის, რომ ნათლად გვეჩვენებინა საქართველოში ეროვნულ-განმათა-ვისუფლებელი ბრძოლის გარკვეულ ეტაპზე, არა მარტო უბრალო ადამიანების, არამედ კომუნისტური ნომენკლატურის უმაღლესი ფენების შეგნებაში მომხ-დარი ევოლუციის გავლილი გზა. თუ სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ განმარტებასაც გავითვალისწინებთ, ხულოს რაიონში ლენი-ნის ძეგლის დემონტაჟთან დაკავშირებით, ამ ევოლუციის სიღრმე საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგივე დოკუმენტი სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ – ამ კასტამ საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხა თავი დაეღწია პროკომუნისტური სტერეოტიპული აზროვნებისა და განცდები-სათვის. ამის დამადასტურებელია საქართველოში პირველი მრავალპარტიული

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მის მიერ გადადგმული ნაბიჯები და გამოვლენილი პოზიცია.

დადგენილებაში ხულოს რაიონში საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ღონისძიებების შესახებ, ვკითხულობთ: „საჭიროა ყველა კომუნისტმა, თითოეულმა მოქალაქემ გამოავლინოს მაქსიმალური პასუხისმგებლობა, გააკეთოს სწორი არჩევანი და ხმა მისცეს ყველაზე ღირსეულ კანდიდატს“. რომელშიც ისინი, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს გულისხმობდნენ. ამასთან იქვე აღნიშნულია, რომ „დაევალოს პ/პარტიულ ორგანიზაციებს გააქტიურონ ორგანიზაციულ-პოლიტიკური და სააგიტაციო მუშაობა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების წინა პერიოდში, უზრუნველყონ მასში ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა... კომუნისტი ხელმძღვანელების მონაწილეობით შეიქმნას კანდიდატების მხარდამჭერი ჯგუფები“ (აცსა, ფ. პ-12, ან. 57, ს. 371, ფურც. 5-8).

1989 წლის გაზაფხულზე ხულოს რაიონში განსაკუთრებით გააქტიურდა ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა აქტივისტთა ჯგუფი ბადრი მელაძის, ვალერი რიჟვაძის, ვახტანგ აბულაძის, ბადრი შანთაძის, გულიკო გაბაიძისა და სხვათა შემადგენლობით, რომელთა ნაწილმა იმავე წლის ზაფხულში ჩამოაყალიბა საქართველოს სახალხო ფრონტის ხულოს რაიონული ორგანიზაცია, ნაწილი კი სხვადასხვა პარტიებში გადანაწილდა. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების წინ ჩამოყალიბდა საქართველოს სახალხო ფრონტი-რადიკალური კავშირის ხულოს რაიონული ორგანიზაცია ბადრი მელაძის ხელმძღვანელობით.

როგორც ცნობილია, 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში აჭარაში, გარდა ქალაქ ბათუმისა, ყველა რაიონში და მათ შორის ხულოშიც, კომუნისტებმა გაიმარჯვეს. მაგრამ საქართველოს სხვა ძირითად რეგიონთა უდიდეს ნაწილში კომუნისტების სრული მარცხის ანარეკლი მაინც გამოსჭვივის 1990 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კპ ხულოს რაიკომის ბიუროს დადგენილებაში (იქვე, ს. 372, ფურც. 4), რაც, ჩვენი აზრით, საქართველოში კომუნისტური მმართველობის დროს ჩამოყალიბებული ტრადიციის ინერციის შედეგი უნდა იყოს, რომლის ძალითაც ქვეყნის ცენტრალური პარტიული ორგანიზაციების განწყობილებანი აუცილებელ ასახვას პოულობდა ყველა რეგიონულ და რაიონულ დონეზე, მიუხედავად იმისა პასუხობდა თუ არა იგი ადგილებზე არსებულ რეალობას. ეს იყო ადგილობრივი პარტიული მსახურეული ნომენკლატურის ცენტრალური პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობისადმი ჩვეულებრივი მაამებლური დამოკიდებულების გამოხატულება, რაც, სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება.

მთელ საქართველოში ეროვნულ ძალთა შთამბეჭდავი გამარჯვების მიუხედავად, აჭარის რეგიონში და კერძოდ, ხულოს რაიონში, გარკვეულ დრომდე, კვლავ შენარჩუნებული იქნა კომუნისტური ხელისუფლება; სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს 1991 წლის 23 იანვარს, უკვე საქართველოს დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიად გარდაქმნილი, ხულოს რაიკომის ბიუროს #43 ოქმი, რომელშიც ვკითხულობთ: „რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე შემცირდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი 7 ერთეულით... რიგ პარტიულ ორგანიზაციებში გამოცხადდა დეპოლიტიზაცია და დეპარტიზაცია... 1990 წლის განმავლობაში სკკპ რიგებიდან გავიდა 52 კაცი...გასულები ძირითადად არის შინაგან საქმეთა ორგანოების, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების, გაზეთის რედაქციის თანამშრომლები, აგრეთვე, განათლების დარგის მუშაკები, შემცირდა რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა რაოდენობა 320 კაცით და 1991 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 2 172 კაცს, რომლებიც გაერთიანებული იყო 123 პ/პარტიულ ორგანიზაციაში“ (იქვე, ს. 400, ფურც. 4), ეს შეიძლება ითქვას, იყო მხოლოდ შეუქცევადი პროცესის დასაწყისი, რომელიც აჭარაში ახალი პლურალისტული საზოგადოებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯს წარმოადგენდა, რომლის გაღრმავებისა და განვითარებისაკენ მიმავალი გზა დღესაც გრძელდება.

შეიძლება ითქვას, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის 1921-1991 წლების ისტორიაზე აისახა საქართველოში აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე ყველა ისტორიული პროცესი, 1921 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვიდან, 1991 წელს მის ხელახალ აღდგენამდე. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს გზა ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ მთელ ქართველ ხალხთან ერთად გაიარა.

ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები სამშვიდობო მისიებსა და რეგიონალური ხასიათის ომებში

ხულოს მუნიციპალიტეტიდან ე.წ. ინტერნაციონალური ვალი საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ომის დროს (1979-1990 წწ) მოიხადა 25 მებრძოლმა, რომლებიც მაშინ საბჭოთა არმიის რიგებში იყვნენ გაწვეულნი, ერთი მათგანი სოფელ რიყეთიდან მ. შავაძე ბრძოლის ველზე დაიღუპა.

დღევანდელ პერიოდში ამავე მუნიციპალიტეტიდან ავღანეთის ე. წ. სამშვიდობო მისიაში მონაწილეობდა 22 მებრძოლი, ერაყის სამშვიდობო მისიაში – 37, კოსოვოში – 3 მებრძოლი. აფხაზეთის გამო რუსეთ-საქართველოს ომში ხულოს მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდა 2 კაცი.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში ხულოს მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდა 24 მებრძოლი.

ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს დაიღუპა მელაძე რუსლან როლანდის ძე, დაბადებული 1991 წლის 20 სექტემბერს, მცხოვრები ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში. მსახურობდა მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონში ჯარისკაცად. დაიღუპა 2012 წლის 21 თებერვალს საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაიღუპა ჭელიძე მერაბ თამაზის ძე, დაბადებული 1975 წლის 15 ოქტომბერს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეებში. 2008 წლის გაზაფხულზე კონტრაქტის საფუძველზე მუშაობა დაიწყო მეხუთე ქვეით ბრიგადაში სამხედრო ექიმად.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. სამხრეთ-დასვლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. 4, ბათუმი, 2012;
2. კომახიძე თ., ხულოს რაიონი, ბათუმი, 1998;
3. მამულაძე დ., რწმენით გავლილი გზა, გამომც. „აჭარა“, 1997;
4. დიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, ბათუმი, 2016;
5. ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნა, თბილისი, გამომც „უნივერსალი“, 2011;
6. ოქროპირიძე უ., კიდევ ერთხელ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულების შესახებ, საქ. ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, #1, 2017, გვ . 161-171;
7. ოქროპირიძე უ., კიდევ ერთხელ ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების შესახებ, კრ., ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, ბათუმი, 2016, გვ. 176-195;
8. სურმანიძე რ., ქართულ-გერმანული ურთიერთობანი, ბათუმი, 2017;
9. ჩავლეიშვილი მ., მემედ აბაშიძე და აჭარის ავტონომია, ბათუმი, 1993;
10. Сборник документов Іматериялов, Сухуми, 1963;
11. აჭარის ასსრ 40 წლისთავი, ბათუმი, 1961;
12. გაზ. „კოლექტიური შრომა“, #51 (73), 30 ნოემბერი, 1934;
13. გაზ. „კომუნისტი“, 26 სექტემბერი 1937;
14. აცსა, ფ. რ-4, ან 1. ს. 60;
15. აცსა, ფ. 263, ან. 1, ს. 1;
16. იქვე, ფურც. 6-7, 10, 56, 72, 76;
17. იქვე, ს. 69, ფურც. 19;
18. იქვე, ს. 136, ფურც.1;

19. იქვე, ს. 153, ფურც. 14-16, 22, 24, 29, 32-33, 39, 49;
20. იქვე ს. 134, ფურც. 14-15;
21. იქვე, ს. 165, ფურც. 12, 24-25;
22. იქვე, ფ. 196, ფურც. 7, 12-13, 19, 21;
23. იქვე, ს. 210, ფურც. 3-4;
24. იქვე, ს. 223, ფურც. 14, 23, 35-36, 38, 41-43;
25. იქვე, ს. 265, ფურც. 5-7, 50;
26. იქვე, ს.293, ფურც. 52;
27. იქვე, ს. 294, ფურც. 1-2;
28. იქვე, ს. 324, ფურც. 4-8, 16, 19-20;
29. იქვე, ს. 1578, ფურც. 12, 13-15, 21;
30. იქვე, ს. 1812, ფურც. 2;
31. იქვე, ს. 2055, ფურც. 1-4, 26;
32. აცსა, ფ. პ-12, ან. 1, ს. 288, ფურც. 1;
33. იქვე, იქვე, ან. 2, ს. 47, ფურც. 8, 11, 19-21, 45-46;
34. იქვე, ს. 154, ფურც. 53-67;
35. იქვე, ან. 15, ს. 81, ფურც. 14-15, 37-41, 43;
36. იქვე, ს. 80, ფურც. 24-31;
37. იქვე, ან. 17, ს. 1, ფურც. 39-40;
38. იქვე, ან. 19, ს. 67, ფურც. 16-17;
39. იქვე, ან. 22, ს. 1, ფურც. 4, 15, 19, 56;
40. იქვე, ან. 27, ს. 1, ფურც. 45, 86, 98;
41. იქვე, ან. 29, ს. 1, ფურც. 83-90, 126;
42. იქვე, ან. 31, ს. 1, ფურც. 38;
43. იქვე, ან. 33, ს. 1, ფურც. 49. 51;
44. იქვე, ან. 34, ს. 1, ფურც. 6;
45. იქვე, ან. 35, ს. 1, ფურც. 45-46, 48;
46. იქვე, ან. 36, ს. 2, ფურც. 37;
47. იქვე, ან. 12, ს. 3, ფურც. 78;
48. იქვე, ან. 39, ს. 2, ფურც. 127-128;
49. იქვე, ან. 11, ს. 3, ფურც. 76-77;
50. იქვე, ან. 57, ს. 1, ფურც. 187;
51. იქვე, ს. 4, ფურც. 3-6, 8, 16-17;
52. იქვე, ს. 232, ფურც. 78;
53. იქვე, ს. 234, ფურც. 3-5, 7;
54. იქვე, ს. 246, ფურც. 14-18;
55. იქვე, ს. 233, ფურც. 13-14, 20, 22;
56. იქვე, ს. 258, ფურც. 13;
57. იქვე, ს. 356, ფურც. 7-9, 11, 17, 19-22;
58. იქვე, ს. 371, ფურც. 5-8;

59. იქვე, ს. 372, ფურც. 4;
60. იქვე, ს. 400, ფურც. 4;
61. აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 834, ფურც. 112, 293;
62. იქვე, ს. 79, ფურც. 30;
63. აცსა, ფ. რ-75, ან. 1, ს. 1, ფურც. 1-2, 10, 18-19, 27-29, 32-34, 44, 83;
64. იქვე, ს. 95, ფურც. 5-7;
65. იქვე, ს. 47, ფურც. 194-195;
66. აცსა, პპოგ, ფ. 1, ან. 1 ს. 1258;
67. იქვე, ს. 1257;

ოთარ თურმანიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი
თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ხულოს მუნიციპალიტეტის სამეურნეო-ეკონომიკური დახასიათება 1921-1990 წლებში

1. სოფლის მეურნეობა

1.1. აგრარული რეფორმა და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები XX საუკუნის 20-30-იან წლებში

აჭარის გასაბჭოებისას ხულოს მაზრაში ორი ტიპის მეურნეობა არსებობდა: ფეოდალური და გლეხური. მაზრაში არ იყო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები. მოსახლეობა ძირითადად დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში. მაგრამ გლეხობა ნაყოფიერი მიწების უკმარისობას განიცდიდა. 1923 წლის აღწერით ხულოს მაზრის 142168 დესეტინა საერთო ფართობიდან სავარგულები 8473 დესეტინას შეადგენდა (დესეტინა უდრის 1,09 ჰექტარს). მაზრაში ითვლებოდა 119 სოფელი, სადაც 3552 კომლი (24725 სული) ცხოვრობდა. ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 2,4 დესეტინა, ხოლო თითო სულზე – 0,3 დესეტინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო მთლიანად საქართველოში (ო. თურმანიძე, 2012:339). მიწები არათანაბრად იყო განაწილებული. მათ დიდ ნაწილს ხიმშიაშვილები ფლობდნენ, შემდეგ–შეძლებული გლეხები (აღები).

მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობის შედეგად მიწის სავარგულები შემცირდა. ასეთ პირობებში აგრარული პროგრამის განხორციელება აუცილებლობას წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პროგრამის განხორციელება ხულოს მაზრაში გასაბჭოებიდან იწყება. მას საფუძვლად ედო დეკრეტი მიწის შესახებ, რომელიც საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 6 მარტს დაამტკიცა. დეკრეტით მიწა სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. აიკრძალა მიწის ყიდვა-გაყიდვა, იჯარა, გასხვისების სხვა ფორმები. ხულოს მაზრაში აგრარული რეფორმის პირველ ეტაპზე (1922-1927 წლები) განხორციელდა ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია. მაზრაში მსხვილი მიწათმფლობელი იყო ხიმშიაშვილების საგვარეულო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხიმშიაშვილებს კერძო საკუთრებაში ჰქონდათ 8295 დესეტინა, რომელიც რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ შერიფ ხიმშიაშვილის მემკვიდრეებს 1912 წლის 25 აპრილს დაუმტკიცა (ო. თურმანიძე, სდს, 2013:45).

ამ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი არტაანის ოკრუგში მდებარეობდა, რომელიც 1921 წლიდან თურქეთის მფლობელობაში აღმოჩნდა. აჭარაში ხიმშიაშვილების საკუთრებაში იყო 5450 დესეტინა. მათგან სახნავ-სათესი – 184 დესეტინა, საძოვრები – 2949, ტყე–1896, გამოუსადეგარი – 451 დესეტინა. ხიმშიაშვილების მიწების კონფისკაცია 1923-1927 წლებში მოხდა. ადგილ-მამულები გადაეცა ხულოს მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებას. სახნავ-სათესი მიწები კი ადგილობრივ გლეხებს გაუნაწილეს, ხოლო საზაფხულო საძოვრები და ტყეები სახელმწიფო ფონდში გადავიდა (ო. თურმანიძე, 2012:343-344).ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის შედეგად გლეხობა განთავისუფლდა ფეოდალური კაბალისაგან, რაც მნიშვნელოვან პროგრესს მოასწავებდა.

ხულოს რაიონში აგრარულ რეფორმის მეორე ეტაპი 1929 წლიდან დაიწყო. რეფორმა შეეხო მოსახლეობის ძირითად მასას–გლეხობას. მთავარი ამოცანა იყო გლეხური მეურნეობის გადაყვანა კოლექტიურ საწყისებზე. კოლექტივიზაციის პროგრამა ითვალისწინებდა სოფლად სამი ფორმის საწარმოო კოოპერატივის შექმნას (კომუნა, მიწის საზიაროდ დამამუშავებელი ამხანაგობა და სასოფლო-სამეურნეო არტელი). ხულოს რაიონის სოფლად კომუნა არ შექმნილა. გლეხობის წინააღმდეგობის გამო ხულოს რაიონში XX საუკუნის 30-იანი წლების პირველ ნახევარში მხოლოდ **მიწის საზიაროდ დამამუშავებელი ამხანაგობები** ჩამოაყალიბეს. ამ ფორმის კოლმეურნეობებში მხოლოდ შრომა იყო განზოგადოებული. ცხადია, გლეხი ამითაც უკმაყოფილო იყო, ამიტომ იძულებით ხდებოდა კოლმეურნეობების შექმნა. მიწის საზიაროდ დამამუშავებელ ამხანაგობაში თავდაპირველად ოჯახის ერთი წევრი შედიოდა თავისი წილი მიწით, პირუტყვისა და შრომის იარაღით. ოჯახის დანარჩენი წევრები საკუთრებაში ინარჩუნებდნენ ადგილ-მამულსა და პირუტყვს, სამიწათმოქმედო ტექნიკას.

აჭარის საბჭოების X ყრილობაზე (1931 წლის თებერვალი) ხულოს რაიონის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გლეხს კოლმეურნეობის მიმართ რწმენა არ გააჩნია. იგი ფიქრობს, „თუ ყველაფერს გავაერთიანებ კოლმეურნეობაში, დავიღუპები“ (ო. თურმანიძე, 2012:356). გლეხობის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას კურსი აღებული ჰქონდა კოლმეურნეობის მარტივ ფორმაზე, სადაც მხოლოდ შრომა იქნებოდა განსაზოგადოებული. ხულოს რაიონში პირველი კოლმეურნეობა შეიქმნა 1926 წელს **სოფელ სტეფანაშვილებში,** რომელშიც 11 მეურნე გაერთიანდა. 1929 წელს შეიქმნა წინკალაშვილებისა და **ლაბაძეების** კოლმეურნეობები. პირველში გაერთიანდა 6 მეურნე, ხოლო მეორეში – 18. 1935 წელს ზემოთ აღნიშნული 3 კოლმეურნეობა გაერთიანდა 35 წევრით (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 646, ფურც. 19). თავდაპირველად კოლმეურნეობები შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო

დარგების მიხედვით. მაგალითად, ხულოს რაიონში შეიქმნა მეთამბაქოებისა და მეფუტკრეობის კოლმეურნეობები. მომდევნო წლებში კოლმეურნეობები მრავალდარგოვანი გახდა.

ხულოს რაიონში, როგორც საერთოდ საქართველოში, გლეხობა სოციალურ ფენებად იყოფოდა. მცირემიწიანობის გამო მოსახლეობის უმრავლესობას ღარიბი გლეხები შეადგენდნენ. მოჯამაგირეები თითო-ოროლა იყო. საშუალო გლეხი სოფლის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდა. 1931 წლის დასაწყისში ხულოს რაიონში 24 კულაკური მეურნეობა ითვლებოდა, რაც გლეხთა საერთო რაოდენობის 0,62%-ს უდრიდა. მაგრამ მიწას ძირითადად კულაკები და საშუალო გლეხები ფლობდნენ. ამიტომ ისინი კოლექტივიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რადგან კოლმეურნეობებში გაწევრიანების შედეგად კარგავდნენ მიწას, გამწევ ძალას (ხარ-კამეჩს), ძირითად სამიწათმოქმედო იარაღებს.

თავდაპირველად კოლმეურნეობებში მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები შედიოდნენ, რადგან მათ დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ. საშუალო გლეხები ძალდატანებით შეჰყავდათ კოლმეურნეობებში. 1930 წლის მაისის ცნობით ხულოს რაიონის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 342 კომლი. მათგან მოჯამაგირე იყო ერთი, ღარიბი–231, საშუალო გლეხი–104, დანარჩენები–6 კომლი. ამრიგად, მოჯამაგირეები და ღარიბები შეადგენდნენ კოლმეურნეთა 66,6%-ს, საშუალო გლეხები – 30%-ს (ბსისმკა, 1980:412). გლეხობის წინააღმდეგობის მიუხედავად, კოლმეურნეობების ჩამოყალიბება მაინც მიმდინარეობდა. 1936 წლის დასაწყისში ხულოს რაიონში 115 კოლმეურნეობა ითვლებოდა, რომელთაგან სასოფლო-სამეურნეო არტელი იყო მხოლოდ 2 სოფელში (სხალთა და ალმე). დანარჩენები მიწის საზიაროდ დამამუშავებელ ამხანაგობას წარმოადგენდა (ბსმსრდა, 1986:179).

ხულოს რაიონში ჩაკეტილი ხეობებია და მცირედასახლების სოფლები განფენილია ფერდობებზე. ამიტომ კოლმეურნეობები მიწის ფართობით და წევრთა რაოდენობით წვრილ ერთეულებს წარმოადგენდნენ. მაგალითად, სხალთის კოლმეურნეობა, რომელიც 1930 წელს ჩამოაყალიბეს, აერთიანებდა 24 მეურნეს 16,5 ჰექტარი სავარგულით და 35 სული მუშა პირუტყვით. 1934 წელს გადაიყვანეს სასოფლო-სამეურნეო არტელზე. მთლიანად ხულოს რაიონში საშუალოდ ერთ კოლმეურნეზე მოდიოდა 63 შრომადღე. თითო შრომადღის ანაზღაურება 2 მანეთს უდრიდა. ამის მიხედვით კოლმეურნის წლიური შემოსავალი 126 მანეთს შეადგენდა, ხოლო ყოველთვიური – 15 მანეთს (ბსმსრდა, 190,192-193). ცხადია, ამ ოდენობის ფულადი შემოსავლით გლეხი ვერ იცხოვრებდა. ფაქტობრივად, გლეხს კოლმეურნეობა არ აწყობდა და საბჭოთა ხელისუფლების საკოლმეურნეო პოლიტიკით უკმაყოფილო იყო.

მთაგორიანი რელიეფის პირობებში კოლმეურნეობების მართვა გაძნელებული იყო, ხოლო ხარჯები–ზედმეტად გაბერილი. ამიტომ კოლმეურნეობების გამსხვილება სისტემატურად მიმდინარეობდა. გამსხვილების შედეგად 1938 წლისათვის ხულოს რაიონში 85 კოლმეურნეობა ითვლებოდა, რომელშიც გაერთიანებული იყო 1600 კომლი. ამ დროისათვის მხოლოდ 12 სასოფლო-სამეურნეო არტელი იყო. 1937-1938 წლების რეპრესიების შედეგად გლეხები დაშანტაჟებული იყო, რის გამოც საზიაროდ დამმუშავების ამხანაგობის სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადაყვანას ნაკლებად უწევდა წინააღმდეგობას. დევნისა და შანტაჟის მიუხედავად გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის წინ ხულოს რაიონში ძირითადად დამთავრდა გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია. **1941 წლის პირველი იანვრისათვის რაიონში ითვლებოდა 83 კოლმეურნეობა 6084 კომლით.** ყველა კოლმეურნეობა თავისი ფორმით წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო არტელს, რომელშიც, შრომასთან ერთად, განსაზოგადოებული იყო წარმოების ძირითადი საშუალებები. კოლმეურნეობის გარეშე დარჩენილი იყო 52 კომლი. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მაჩვენებელი 99,3%-ს შეადგენდა (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 646, ფურც. 19; ბსმსრდა, 1986:232).

პირველი გამსხვილების მიუხედავად, ხულოს რაიონის კოლმეურნეობები წვრილი საწარმოები იყო. 1940 წელს თითო კოლმეურნეობაზე მოდიოდა 769 ჰექტარი სავარგული, 114 კომლი, 136 შრომისუნარიანი მომუშავე, 42, 3 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი. კოლმეურნეობათა სანიმუშო წესდების (1935 წელი) საფუძველზე და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით დაადგინეს ახალი ტიპის საწარმოთა მართვის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმები, განსაზღვრეს საკარმიდამო მეურნეობის როლი და სიდიდე. ხულოს რაიონში საკარმიდამო მეურნეობის ფართობის მაქსიმუმი დაწესდა 0,75 ჰექტარი, საქართველოს დანარჩენ რეგიონებში არსებული ერთი ჰექტარის ნაცვლად.

საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მარცვლეული კულტურები, მეცხოველეობა და მეხილეობა. მართალია, მეთამბაქოებას გასაბჭოებამდეც მისდევდნენ, მაგრამ მისი ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის საერთო სტრუქტურაში მნიშვნელოვანი არ ყოფილა. მეთამბაქოებას მეტი ყურადღება დაეთმო XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან. მონოპოლიური მწარმოებლები კოლმეურნეობები იქცნენ.

მარცვლეული კულტურები, მეცხოველეობა და მეხილეობა რაიონის სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგებია. მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავდათ **სიმინდი,** ხორბალი, ქერი და სხვა. ძირითადი იყო სიმინდის კულტურა,

რომელიც ხულოს რაიონში XVII საუკუნეში გავრცელდა. მოსახლეობას, წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებით, შემუშავებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ხალხური ტექნოლოგია. მაგრამ ნაყოფიერი მიწების სიმცირე მარცვლეული კულტურების, მეცხოველეობისა და მეხილეობის ფართო მასშტაბით განვითარების შესაძლებლობას არ იძლეოდა. საგრძნობი დეფიციტი არსებობდა წარმოებასა და მოხმარებას შორის. 1930 წელს მარცვლეული კულტურების ფართობი 4158 ჰექტარს, ხოლო მოსავალი 2140 ტონას შეადგენდა. 1931 წელს შესაბამისად: 4383 ჰექტარსა და 2149 ტონას, საშუალო საჰექტარო მოსავალი 5-დან 6 ცენტნერამდე აღწევდა. ჩვენი გაანგარიშებით საშუალოდ ერთ სულზე მოდიოდა 4,1 და 5,0 ფუთი სიმინდი და ხორბალი. სპეციალისტების გამოთვლით ერთი მაცხოვრებელი წლიურად საშუალოდ მოიხმარდა 13 ფუთ მარცვლეულს (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 146, ფურც. 233; ფ.რ- 96, ან. 1, ს. 14, ფურც. 14).

ხელისუფლების მონაცემებით XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე ხულოს რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო იყო 369 ათასი ფუთი სიმინდი, ადგილზე საშუალოდ აწარმოებდნენ 241 ათას ფუთს. მოსახლეობის ნაწილი შიმშილობდა და მთავრობისაგან დახმარებას მოითხოვდა. 1926 წელს გაზეთ „ფუხარაში“ დაიბეჭდა სტატია „უსიმინდობა სოფელს აწუხებს“, სადაც წერია: „სოფელ ღორჯომის თემის გლეხობას ამ ბოლო დროს სიმინდის უქონლობამ არაქათი გამოაცალა“ (გაზ. „ფუხარა“, 1926, 14 მაისი). 1935 წლამდე საბჭოთა კავშირში მოქმედებდა პურის განაწილების საბარათო სისტემა. სახელმწიფოს არ ჰქონდა პურის აუცილებელი რესურსები მოსახლეობის ნორმალურად უზრუნველყოფისათვის.

ამის მიუხედავად სახელმწიფო ფონდებიდან ხულოს რაიონში 1929 წელს შეიტანეს 8000 ფუთი სიმინდი, 1931 წელს – 67 ათასი, ხოლო 1932 წელს–39,4 ათასი ფუთი. მაგრამ ამ ოდენობის მარცვლეული არასაკმარისი იყო მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ხულოს რაიონის ხელმძღვანელობა ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისაგან მოითხოვდა 100 ათასი ფუთი მარცვლეულის მიწოდებას, მაგრამ მაშინ ვერ შეძლეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება (აცსა, ფ.რ-178, ან. 1, ს. 119, ფურც. 14; ფ. პ-1, ან. 3, ს. 144, ფურც. 98; ს. 152, ფურც. 15). მოსახლეობის ნაწილი ისევ შიმშილობდა. 1932 წლიდან სიმინდის წარმოება კოლმეურნეობებმაც დაიწყეს. მაგალითად, რაიონში არსებული სიმინდის საერთო ფართობის 4000 ჰექტრიდან და მოსავლის 2278 ტონიდან კოლმეურნეობებზე მოდიოდა 1100 ჰექტარი და 63 ტონა (აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს. 627, ფურც. 1; ს. 382, ფურც. 35). ერთი სიტყვით, სიმინდის ძირითადი მწარმოებელი საკარმიდამო სექტორი იყო.

ცხადია, სიმინდის წარმოების ხვედრითი წილი უმნიშვნელო იყო. მაგრამ გლეხური მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის შედეგად კოლმეურნეობების ხვედრითი წილი სიმინდის წარმოებაში გაიზარდა. 1940 წელს მარცვლეული კულტურების საერთო ფართობი 4,5 ათას ჰექტრამდე, ხოლო მოსავალი 6300 ტონამდე გაიზარდა (აცსა, ფ. რ-84, ან.1, ს. 1444, ფურც. 27). აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი კოლმეურნეობებზე მოდიოდა. ამის მიუხედავად ხულოს რაიონის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფა პრობლემად რჩებოდა.

ხულოს რაიონის მიწათმოქმედების მეორე უმნიშვნელოვანესი დარგი **მეთამბაქოება** გახდა. მართალია, თამბაქოს კულტურამ სასაქონლო მნიშვნელობა ცარიზმის მფლობელობის დროს შეიძინა, მაგრამ მაშინ სუსტად იყო განვითარებული. გასაბჭოების პირველ წლებში მნიშვნელოვნად დაქვეითდა. მაგალითად, 1924-25 სამეურნეო წელს მთლიანად აჭარაში თამბაქოს კულტურა 55 ჰექტარს, ხოლო მოსავალს 34 ტონას შეადგენდა. მეთამბაქოებას ძირითადად ქედისა და ხულოს მაზრებში ეწეოდნენ. 1927-28 სამეურნეო წელს აჭარაში არსებული 199,5 ჰექტარი თამბაქოს ფართობიდან ხულოს მაზრაში იყო 76 ჰექტარი (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 175, ფურც. 18; ფ. რ-2, ან. 1, ს. 777, ფურც. 57).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა რეგიონის მთიანეთის ეკონომიკის ამაღლების შესაძლებლობას მეთამბაქოების განვითარებაში მოიაზრებდა. ხელისუფლების მიერ ოფიციალური გამოთვლით, მაშინდელი ფასების მიხედვით, ჰექტარზე საშუალოდ სიმინდის ფულადი შემოსავალი 25-30 მანეთს უდრიდა, ხოლო თამბაქოს კულტურისა–118 მანეთს (ბსისმკა, 1980: 369). მაშინ არცკი დასმულა კითხვა თამბაქოს კულტურის ანტიჰიგიენურობისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის შესახებ. თავდაპირველად ხულოს რაიონში მეთამბაქოების სპეციალური კოლმეურნეობები შეიქმნა, მომდევნო წლებში მრავალდარგოვან მეურნეობებად გარდაიქმნა. თანდათანობით იზრდებოდა თამბაქოს კულტურის როგორც ფართობი, ისე მოსავალი. 1930 წელს ხულოს რაიონში თამბაქოს კულტურას 114, ხოლო 1931 წელს 310 ჰექტარი ეკავა. ამ ოდენობის ფართობიდან კოლმეურნეობებზე მოდიოდა 73 და 200 ჰექტარი. მოსავალი 81,3 და 237 ტონა. ხვედრითი წილის მიხედვით კოლმეურნეობებზე მოდიოდა თამბაქოს ნედლეულის წარმოების 67,3% და 60%. დანარჩენს კერძო მეურნეები აწარმოებდნენ (აცსა, ფ.რ-84, სს. 382, 627).

გლეხები გაურბოდნენ საკარმიდამო ნაკვეთებზე თამბაქოს მოყვანას, რადგან სახელმწიფო შესყიდვის ფასები შრომის ანაზღაურების შეუსაბამო იყო. 1933 წელს ხულოს რაიონში თამბაქოს წარმოების სახელმწიფო გეგმა შესრულდა 47%-ით. გლეხებმა გადამალეს თამბაქოს ნაწილი. ამის გამო ხელისუფლებამ ეგზეკუცია მოაწყო სოფლებში, რის შედეგად დააპატიმრეს 30 კოლმეურნე და 37 ერთპი-

როვნული გლეხი, იძულებით ამოიღეს გადამალული თამბაქოს ნედლეული. მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების შედეგად, როდესაც მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადაიყვანეს, მეთამბაქოეებას მხოლოდ კოლმეურნეობებში ეწეოდნენ. 1940 წელს ხულოს რაიონში თამბაქოს კულტურის ფართობი 400 ჰექტარს, მოსავალი– 381 ტონას, ხოლო საშუალო საჰექტარო მოსავალი 8,6 ცენტნერს შეადგენდა (აცსა, ფ.პ-1, ან. 3, ს. 830, ფურც. 38, 53; ს. 163, ფურც. 85). ამასთან, აიკრძალა საკარმიდამო ნაკვეთებზე თამბაქოს გაშენება და აგრარულ ბაზარზე თავისუფლად გაყიდვა. თამბაქოს მონოპოლური შემსყიდველი სახელმწიფო იყო.

მეხილეობიდან ხულოს რაიონში განვითარდა თესლოვანი, კურკოვანი და კაკლოვანი ხეხილი. მევენახეობიდან – მაღლარი ვენახი. ხეხილის ჯიშებს შორის აღსანიშნავია ვაშლი, მსხალი, ტყემალი, ბალი, ქლიავი, ჟოლი, ბერძნული ნიგოზი და სხვა. ძირითადი იყო ვაშლი და მსხალი. მაგრამ ომამდელ პერიოდში მას დაბალი სასაქონლო მნიშვნელობა ჰქონდა. ხილს ძირითადად ოჯახში მოიხმარდნენ. შედარებით დიდი სასაქონლო მნიშვნელობა გააჩნდა ბერძნულ ნიგოზს, მაგრამ კოლექტივიზაციის შემდეგ ნიგვზის ხეები კოლმეურნეობების საკუთრებაში აღმოჩნდა და მოსახლეობამ შემოსავალი დაკარგა. 1934 წლის აღწერით ხულოს რაიონში ითვლებოდა 73979 ძირი ხეხილი (591,6 ჰექტარი), 10498 ძირი კაკალი (209,2 ჰექტარი). ვაშლი შეადგენდა საერთო რაოდენობის 31,2%-ს (19454 ძირი), მსხალი – 22,4% (23290 ძირი) ხეხილის ნარგავებით გამოირჩეოდნენ უჩამბის, სხალთის, რიყეთის, ხულოს , ხიხაძირის სასოფლო საბჭოები.

1934 წლის აღწერის მიხედვით ხულოს რაიონში იყო 6693 ძირი მაღლარი ვენახი (31 ჰექტარი). დაფიქსირდა 39 ჯიშის მაღლარი ვენახი. 1940 წელს მათი რაოდენობა 11,8 ათას ძირამდე გაიზარდა (აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს. 689, ფურც. 6,40). მაღლარი ვენახიდან აღსანიშნავია ადესა, ჩხავერი და სხვ. ყურძენს ძირითადად ოჯახში მოიხმარდნენ. ღვინოს არ აყენებდნენ. მაღლარი ვენახი გაშენებული იყო თხემლისა და ლეკის ხეებზე. კოლექტივიზაციის შემდეგ მაღლარი ვენახის რაოდენობა თანდათანობით შემცირდა.

მეცხოველეობას ხულოს რაიონის ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისტორიულად იგი მიწათმოქმედებასთან იყო დაკავშირებული. მაშინდელ პირობებში ამ ორი დარგის დამოუკიდებლად განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში მეცხოველეობის საკვებით უზრუნველყოფა გაძნელდა, რადგან კოლექტივიზაციის შედეგად ნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი თამბაქოს კულტურამ დაიკავა, სათიბებიც არასაკმარისი იყო. 1932 წელს ხულოს რაიონში ბუნებრივ სათიბებს

2804 ჰექტარი ეკავა. მომდევნო წლებში მისი ფართობი საგრძნობლად შემცირდა. ამიტომ მოსახლეობა ვეღარ აწარმოებდა პირუტყვისათვის საჭირო უხეშ საკვებს (ჩალა და თივა). პირუტყვის ნაწილი ნეკრითა და ფიჩხით იკვებებოდა. საზაფ-ხულო საძოვრებიც შემცირდა, რამდენადაც ყარსის ხელშეკრულების თანახმად (1921 წლის ოქტომბერი) 20 ათასი ჰექტარი საზაფხულო საძოვარი ოსმალეთს გადაეცა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარას გადმოეცა ოზურგე-თის მაზრის 6604 ჰექტარი საზაფხულო საძოვრები, რომლებიც აჭარა-გურიის მთიან ზოლში მდებარეობდა. ამის შედეგად აჭარის საზაფხულო საძოვრები 34542 ჰექტრამდე გაიზარდა. აქედან ხულოს რაიონში მდებარეობდა 30117 ჰექტარი, ე.ი. საერთო რაოდენობის 87,1%. XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში საზაფხულო საძოვრების სარგებლობა უფასო იყო. 1925-26 სამეურნეო წელს საძოვრები გადაეცა სატყეო მეურნეობის უწყებას და მისი სარგებლობა ფასიანი გახდა. საზაფხულო საძოვრები სამ კატეგორიად იყოფოდა: პირველი კატეგორიის ერთ ჰექტარზე გადასახადი 1 მანეთსა და 10 კაპიკს შეადგენდა, მეორე კატეგორიის – 75 კაპიკს, ხოლო მესამე კატეგორიის საძოვრებზე – 45 კაპიკს. ხულოს რაიონის საზაფხულო საძოვრები მეორე და მესამე კატეგორიისა იყო (აცსა, ფ. რ-84, ან.1, ს. 327, ფურც. 207; ფ.რ-96, ან. 2, ს. 1, ფურც. 47).

საზაფხულო საძოვრებისა და ბუნებრივი სათიბების ფართობის სიმცირის მიუხედავად მოსახლეობა მაინც ახერხებდა პირუტყვის სულადობის სტაბილუ-რად შენარჩუნებას. ისტორიულად ხულოს რაიონის პირუტყვის საერთო სტრუქ-ტურაში შედიოდა მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხენი და სახედარი. ძირითადი იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. საბჭოთა ხელისუფ-ლების ომამდელ პერიოდში პირუტყვის საერთო სულადობისა და სტრუქტურის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის 1-ლი ცხრილი (წლის ბოლოსათვის; აცსა, ფ.რ-178, ან. 1, სს. 48, 188, 336, 718).

ცხრილი 1

წლები	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი				ცხვარი	თხა	ცხენი	სახედარი
	სულ	ფური	კამეჩი	მუშა ხარი				
1922	19991	6292	85	4129	1999	1810	604	–
1931	49144	18020	2734	7234	8188	8221	1196	105
1935	55290	19551	3005	7829	5378	10687	1279	214
1940	43394	18428	2414	218	3449	14157	1065	173

პირველი მსოფლიო ომისა და უცხოელების ინტერვენციის შედეგად მეცხოველეობა ხულოს რაიონში მნიშვნელოვნად დაქვეითდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღმასვლას ჰქონდა ადგილი. პირველ ათწლეულში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა თითქმის 2,5-ჯერ, ცხვრის–4,0-ჯერ, თხის–4-ჯერ და მეტად გაიზარდა. მომდევნო წლებში ცვლილებები შესამჩნევია, მაგრამ მაინც სტაბილური იყო. პირუტყვის სულადობის სტრუქტურში საგრძნობი ხვედრითი წილი ჰქონდა მუშა ხარსა და ცხენს. მათი მეშვეობით ხდებოდა ნიადაგის დამუშავება და ტვირთის გადატანა.

XX საუკუნის 20-იან წლებში მეცხოველეობას მხოლოდ მოსახლეობა მისდევდა. 30-იან წლებში სურათი რამდენადმე შეიცვალა. 1930 წელს ხულოს რაიონში დაარსდა მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობა, რომლის მიზანს შეადგენდა რაიონის პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება და რძის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიის დანერგვა. 1935 წელს სახელმწიფო მეურნეობაში ითვლებოდა 71 სული პირუტყვი, მათ შორის 40 ფური, 10 მოზარდი, 4 ბუღა-მწარმოებელი და 11 ხბო. 1936 წლისათვის პირუტყვის სულადობა 106 სულამდე გაიზარდა. მეურნეობაში დასაქმებული იყო 8 მომუშავე (პირუტყვის მომვლელები, მწველავები, რძის მიმღები და გადამმუშავებელი). ხულოს რაიონის მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობა ზარალიანი აღმოჩნდა. მას არ შეუტანია არსებითი წვლილი რაიონის პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობისა და რძის გადამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში. 1937 წელს ხულოს მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობა გაუქმდა და პირუტყვი გადაეცა დიოკნისის კოლმეურნეობას (ნბიშ, 2014:18).

კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარება 1931 წლიდან იწყება. პირუტყვი მხოლოდ ზოგიერთ კოლმეურნეობას ჰყავდა. 1932 წელს ხულოს რაიონის კოლმეურნეობებში 63 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ითვლებოდა, მათ შორის 42 ფური. 1935 წლის ბოლოს კოლმეურნეობების პირუტყვის სულადობა 462 სულამდე გაიზარდა. მათგან 148 სული იყო ფური (აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 188, ფურც. 15; ს. 336, ფურც. 1-20). პირუტყვი გლეხების მიერ კოლმეურნეობებზე იძულებით იყო გადაცემული. ფაქტობრივად მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმები შექმნილი არ იყო და პირუტყვი მოსავლელად ისევ კოლმეურნეების ოჯახებში რჩებოდა. 1938 წელს 85 კოლმეურნეობიდან მეცხოველეობის ფერმა მხოლოდ 11 კოლმეურნეობას გააჩნდა (აცსა, ფ. რ- 263, ან. 1, ს. 223, ფურც. 1), 1940 წლისათვის ხულოს რაიონში დამთავრდა მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების შექმნა. რაიონის კოლმეურნეობებში 70 ფერმა ითვლებოდა. მათგან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის – 40, მეცხვარეობის – 8, მეთხეობის–29, მეღორეობის–3 ფერმა. მეცხოველეობიდან ფულადი შემოსავალი

257847 მანეთს შეადგენდა (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 1264, ფურც. 21-28). წლის ბოლოს საკოლმეურნეო ფერმებში პირუტყვის რაოდენობა 14524 სულს შეადგენდა, რაც რაიონის საერთო სულადობის 22,4%-ს უდრიდა (აცსა, ფ.რ-178, ან. 1, ს. 718, ფურც. 40-45).

პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების პირველი ნაბიჯები საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში გადაიდგა. ხულოს რაიონში შვედური ჯიშის 31 სული ბუღა-მწარმოებელი პირველად 1937 წელს შემოიყვანეს. მომდევნო წლებში უშობელი დეკეულებიც შემოიყვანეს. 1939 წლისათვის ხულოს რაიონში 139 სული შვედური ჯიშის პირუტყვი ითვლებოდა (აცსა, ფ.პ-1, ან.15, ს.5, ფურც. 20-24; ფ.რ-263, ან. 1, ს. 223, ფურც. 40). მაგრამ ამ ღონისძიებას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში. პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა ისევ დაბალ დონეზე იდგა. არადამაკმაყოფილებელი იყო მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურება. ომამდელ წლებში ხულოს რაიონის მეცხოველეობას ემსახურებოდა ერთი ვეტექიმი და ერთიც ვეტფერშალი. 1929 წელს სოფელ ბაკოში გაიხსნა საკარანტინო-სავეტინარო პუნქტი. ცხადია, ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მთაგორიანი რელიეფის პირობებში და საავტომობილო ტრანსპორტის არარსებობის დროს ვეტერინარული მომსახურება არასაკმარისი აღმოჩნდა.

1.2. სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა ომისა და ომისშემდგომ პერიოდში

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის წინ ხულოს რაიონის კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო არტელზე ახლად იყვნენ გადაყვანილი. კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე რჩებოდა. მათ არ ჰქონდათ საკმარისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. 1940 წელს რაიონში ითვლებოდა 1353 ცალი ქარხნული წარმოების გუთანი, 16 რკინის ფარცხი და 27 ფოცხი, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. ამიტომ ნიადაგის დასამუშავებლად ძირითადად გამოიყენებოდა შუასაუკუნეების დროინდელი შრომის იარაღები. ტრაქტორები საერთოდ არ ჰქონდათ. 1940 წელს მხოლოდ 6 კოლმეურნეობას ჰქონდა თითო სატვირთო ავტომობილი (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 1423, ფურც. 1-88). ტვირთის გადასატანად და მგზავრთა გადაადგილებისათვის ისევ ხარს, ცხენსა და სახედარს იყენებდნენ. სპეციალისტებიც არასაკმარისი იყო. 1940 წელს ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობაში 26 სპეციალისტი ითვლებოდა. მათ შორის უმაღლესი განათლებით იყო: 6 აგრონომი, 3 ზოოტექნიკოსი და 3 ვეტექიმი, დანარჩენები

იყვნენ საშუალო სპეციალური განათლებით (აცსა, ფ. რ-84, ან.1, ს. 1325, ფურც. 99).

მოსახლეობას სარწყავი არხების მშენებლობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა. 1933 წლისათვის ხულოს რაიონში 117 სარწყავი არხი ითვლებოდა 323 გრძივი კილომეტრით. მათი მეშვეობით 4955 ჰექტარი სავარგული ირწყვებოდა. 30-იან წლებში გაიყვანეს ჭვანის, ხიხაძირის, შუახევის, დაბაძველის, ჯაბნიძეებისა და ახალდაბის სარწყავი არხები. 1950 წელს სარწყავი არხების საერთო სიგრძე 512 კმ-ს შეადგენდა, რომელთა საშუალებით 3495 ჰექტარი ირწყვებოდა. 60-იან წლებში გაიყვანეს ფაჩხის, ირემაძეების, კორტოხის, დეკანაშვილების, დიდაჭარის სარწყავი არხები. 1960 წელს მოირწყო 2796 ჰექტარი სავარგული, ხოლო 1970 წელს – 3260 ჰექტარი (აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 1394, ფურც. 14-18; ს. 1849, ფურც. 2).

ომის წლებში სამეურნეო-ეკონომიკური ვითარება გაუარესდა. მოსახლეობა შიმშილობდა. მიუხედავად ამისა, ხულოს რაიონის მოსახლეობა თავდადებულად შრომობდა და ფრონტს აწვდიდა აუცილებელ პროდუქციას. ომისშემდგომი აღდგენითი წლებიც მძიმე იყო. ამ წლებში ხულოს რაიონის სამეურნეო-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებისათვის სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა. ძირითადი ამოცანა იყო კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება. უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ცდილობდნენ გლეხობის წარმოდგენაში საკოლმეურნეო წყობის იმიჯის ამაღლებას ადმინისტრაციული და პროპაგანდისტული მეთოდებით, რაც ხულოს რაიონში პრაქტიკულად მნიშვნელოვან შედეგს არ იძლეოდა. საკარმიდამო მეურნეობას თითქმის ყურადღება არ ექცეოდა. არადა ხორცის, ხილის და ზოგიერთი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფო დამზადების დიდი ნაწილი მაინც საკარმიდამო მეურნეობაზე მოდიოდა.

სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური მონაცემებით, ომის პირობებში (1941-1945 წლები) საკოლმეურნეო საკუთრებამ საგრძნობი ზარალი განიცადა. მიწების, ფულადი სახსრების, მატერიალური საშუალებების ნაწილი თვითნებურად მიითვისეს იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა. ანალოგიური ვითარება იყო ხულოს რაიონშიც. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ განხორციელების შედეგად ხულოს რაიონის კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 108 ჰექტარი მიწა, 253 სული პირუტყვი, 98491 მანეთი (გაზ. საბჭოთა აჭარა, 1948, 11 თებერვალი).

ხულოს რაიონში საკოლმეურნეო სახსრების არაკანონიერად ხარჯვის ინიციატორად ზოგჯერ რაიონის ხელმძღვანელობა გამოდიოდა. მაგალითად, 1951 წლის თებერვალში ხულოს რაიკომისა და რაიაღმასკომის დავალებით ოთხი კოლმეურნეობის 10000 მანეთი გამოიყენეს სპორტულ ღონისძიებებზე–ფეხბურთის გუნდის შენახვისა და სათხილამურო გზის გაყვანისათვის. ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, 1952 წლის 24 ივლისის დადგენილებით, გაათავისუფლა რაიკომის მდივანი დ. ლეკვეიშვილი, ხოლო საყვედური გამოუცხადეს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ა. ქონიაძეს (აცსა, ფ.პ-1, ან. 19, ს. 6, ფურც. 12). ანალოგიური დარღვევები სხვა დროსაც იყო. რაიონის ხელმძღვანელთა ასეთი ქმედება დანაშაულად იმიტომ ჩაითვალა, რომ კოლმეურნეობებს არ გააჩნდათ აუცილებელი ფინანსური საშუალებები წარმოების განვითარებისა და შრომადღეების ანაზღაურებისათვის.

ომისშემდგომ აღდგენით წლებში ხულოს რაიონის კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების ღონისძიებები ითვალისწინებდა საწარმოთა გამსხვილებას, ადმინისტრაციული შტატებისა და ხარჯების შემცირებას. სააგიტაციო მუშაობის გაძლიერებას, მორალური ფაქტორის ფართოდ გამოყენებას, უნარიანი საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით მეურნეობათა დაკომპლექტებას და სხვა. კოლმეურნეობების გამსხვილების შედეგად, რომელიც 1951 წელს განხორციელდა, ხულოს რაიონში 81 კოლმეურნეობას ნაცვლად დარჩა 52. კოლმეურნეობების გამსხვილების შედეგად ადმინისტრაციული შტატი 192 ერთეულით შემცირდა, რაზედაც 44150 შრომადღე იხარჯებოდა. ბრიგადების რაოდენობა 347-დან 271-მდე შემცირდა. საგრძნობი ცვლილებები აღინიშნა კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრების თვისებრივ შემადგენლობაშიც. თუ 1950 წელს კოლმეურნეობების თავმჯდომარეები არ იყვნენ უმაღლესი განათლებით, 1951 წელს ამ კატეგორიის 15 კაცი ითვლებოდა (აცსა, ფ. პ-1, ან. 17, ს. 6, ფურც. 43; ს. 65, ფურც. 8-11).

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თვისებრივ-რაოდენობრივი შემადგენლობაც ომამდელ პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა. შტატით გათვალისწინებული 70 სპეციალისტის ნაცვლად რაიონში მუშაობდა 57 კაცი. მათგან უმაღლესი განათლებით–18, ხოლო საშუალო სპეციალური განათლებით–20 სპეციალისტი (აცსა, ფ. პ-2, ან. 17, ს. 3, ფურც. 111-112). სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ხულოს რაიონში 1946 წელს 437 აგიტატორი მუშაობდა (გაზ. საბჭოთა აჭარა, 1946, 14 მაისი). საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილების „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ თანახმად მომუშავეთა მორალურ წახალისებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

1947-1950 წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მაღალი მაჩვენებლებისათვის ხულოს რაიონის ხელმძღვანელობა და წარმოების მუშაკები სახელმწიფოს ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს. ყველაზე უფრო გამორჩეულებს მიენიჭათ „სოციალისტური შრომის“ გმირის წოდება. ცხადია, ამ ღონისძიებას მნიშვნელობა ჰქონდა წარმოების განვითარებისათვის. მაგრამ ძირითადად პრობლემას – ეკონომიური ურთიერთობის გარდაქმნას: პროდუქტის სახელმწიფო შესყიდვის ფასების შრომის შესაბამისად დაწესებას, მატერიალური დაინტერესების პრინციპის ფართოდ გამოყენებას საჭირო ყურადღება არ ექცეოდა. ამიტომ შრომა კოლმეურნეობებში ისევ ბეგარად რჩებოდა. მართალია, 1950 წლისათვის ომამდელ დონესთან შედარებით ხულოს რაიონის კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 2,3-ჯერ გაიზარდა (351 ათასიდან 805 ათას მანეთამდე; ყველგან ფულის 1961 წლის მასშტაბით), მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა. ამას მოწმობს შრომის ანაზღაურების მაჩვენებლებიც. 1950 წელს ერთი შრომადღის ღირებულება 17 კაპიკს შეადგენდა (1940 წელს იყო 12 კაპიკი) (აცსა, ფ. რ. 84, ან. 1, სს. 1423, 1878).

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან პარტიისა და მთავრობის აგრარულ პოლიტიკაში ახალი ცვლილებები დაიწყო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დასასრულებამდე გაგრძელდა. მას სათავე დაუდო საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. მაგრამ დადგენილებები ბოლომდე არ განხორციელებულა. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შედეგად ხელისუფლების აგრარულ პოლიტიკამ ახალი ცვლილებები განიცადა, მაგრამ ამ ღონისძიებებს არსებითი გარდაქმნა არ მოუტანია. პარტიისა და მთავრობის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისევ დრომოჭმული სტერეოტიპებით ხელმძღვანელობდა. მიუხედავად ამისა მიღწევები თვალსაჩინო იყო. თუმცა ისინი მოპოვებულია მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით, არსებული სამეურნეო-ეკონომიკური წყობის შენარჩუნების პირობებში.

ხულოს რაიონში XX საუკუნის 50-80-იან წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა აგრარულ სექტორში წარმოებისა და ეკონომიკური ურთიერთობების, პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასების, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, მართვის ფორმების სრულყოფას, სპეციალისტებისა და საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების თვისებრივ-რაოდენობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. 1958 წელს გაუქმდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოზე სავალდებულო ჩაბარების გეგმები და შემოიღეს შესყიდვა. შესამჩნევად გადიდდა

თამბაქოს, ხორცის, კვერცხის სახელმწიფო შესყიდვის ფასები, რაც ხულოს რაიონსაც შეეხო. მაგრამ იგი იმდენად დაბალი იყო, რომ მას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. გამონაკლისი იყო თამბაქოს ნედლეული. 1971 წელს თამბაქოს სახელმწიფო შესყიდვის ფასები 42,2%-ით გაიზარდა და ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად აამაღლა დარგში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვაში საყურადღებო წარმატებები იყო XX საუკუნის 60-80-იან წლებში. თუ 1949 წელს ხულოს რაიონში 2 ცალი ტრაქტორი აღირიცხა (ერთი ეკუთვნოდა სატყეო მეურნეობას, მეორე – შუახევის აგურ-კრამიტის ქარხანას), მომდევნო წლებში სურათი შეიცვალა. 1959 წელს ხულოს რაიონის კოლმეურნეობებს ჰქონდათ 8 ცალი ტრაქტორი. 1970-1989 წლებში მათი რაოდენობა 40-დან 157-მდე, თითქმის 4-ჯერ გაიზარდა. ამის შედეგად შემცირდა გამწევი ძალის გამოყენება ნიადაგის დამუშავებისათვის. 1950 წელს ხულოს საკოლმეურნეო სექტორში 20 ცალი სატვირთო ავტომობილი ითვლებოდა, რაც 3-ჯერ დ მეტად აღემატებოდა 1940 წლის მაჩვენებელს. 1965-1989 წლებში მათი რაოდენობა 88-დან 287-მდე (3,3-ჯერ) გაიზარდა. სატვირთო ავტომობილების გაზრდით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტვირთის გადატანა და ადამიანების გადაადგილება, საბოლოოდ – წარმოებისა და შრომის პროცესები.

XX საუკუნის 50-80-იან წლებში კოლმეურნეობების გამსხვილება პერიოდულად მიმდინარეობდა. მართალია, გამსხვილების შედეგად ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდა, მაგრამ მთაგორიანი რელიეფის პირობებში ამ ღონისძიებას უარყოფითი მხარეც ჰქონდა. შუახევის რაიონში ცალკე ადმინისტრაციული ერთეულად ჩამოყალიბების შედეგად ხულოს რაიონში დარჩა 34 კოლმეურნეობა. 1960-1974 წლებში 36 კოლმეურნეობა ითვლებოდა. ახალი გამსხვილების შედეგად 1975 წელს მათი რაოდენობა 18-მდე, ხოლო 1976 წელს–14-მდე შემცირდა. ამ ღონისძიებით ადმინისტრაციული ხარჯებიც მნიშვნელოვნად ნაკლები იყო. ამასთან, ფინანსებისა და სამიწათმოქმედო ტექნიკის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობაც შეიქმნა. კოლმეურნეობებში ჩამოყალიბდა შტატიანი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტები. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ შრომითი კოლექტივის ორგანიზაციაში, საწარმოო გეგმების შესრულებასა და სოციალურ-კულტურული პრობლემების გადაწყვეტაში.

XX საუკუნის 40-60-იან წლებში ხულოს რაიონში სერიოზულ პრობლემად რჩებოდა საკოლმეურნეო კადრებისა და სპეციალისტებით კოლმეურნეობების უზრუნველყოფა. დაბალი ანაზღაურების პირობებში უმაღლესი განათლებით ადამიანები უარს აცხადებდნენ კოლმეურნეობების თავმჯდომარის თანამდებო-

ბაზე. 1975 წლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ხულოს რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლესი განათლებით იყო. საშუალო სპეციალური განათლებით იყვნენ ფერმის გამგეებისა და ბრიგადირების უმრავლესობა.

ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ხულოს რაიონის კოლმეურნეობების უმრავლესობა ზარალიანი და ნაკლებად რენტაბელური იყო. ზოგიერთი კოლმეურნეობის შემოსავალი გასავლის ხარჯებს ვერ ფარავდა. 1955 წელს შრომადღის საშუალო ღირებულება 30 კაპიკს შეადგენდა. მართალია, 1960 წელს 1 მანეთსა და 10 კაპიკამდე გაიზარდა, მაგრამ არასაკმარისი და ამავე დროს არასტაბილური იყო. 1965 წელს შრომადღის ანაზღაურებამ 0,99 კაპიკი შეადგინა. იყო ისეთი წლები, როდესაც კოლმეურნის შრომის ანაზღაურება კიდევ უფრო მცირეს შეადგენდა. 1967 წელს ზარალიანი იყო 36-დან 35 კოლმეურნეობ. ანალოგიური ვითარებას ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებშიც. ამიტომ საკავშირო უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებით 1966 წელს შემოიღეს შრომის გარანტირებული ანაზღაურება, რომელიც გაუთანაბრდა სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობების მუშათა შრომის საზღაურს. შრომადღე შეიცვალა კაცდღით. გარანტირებულმა შრომის ანაზღაურებამ ვერ გაამართლა და იგი გაუქმდა.

ცხადია, 1966-1970 წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღწევებიც იყო. 1970 წელს ხულოს რაიონის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 3572 ათას მანეთამდე, ხოლო კაცდღის ანაზღაურება 1 მანეთსა და 80 კაპიკამდე გაიზარდა, რაც 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა 1965 წლის მაჩვენებლებს. ამის მიუხედავად რაიონის კოლმეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ ზარალიანი და ნაკლებ რენტაბელური იყო. სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით. ერთ-ერთი მათგანია ნაყოფიერი მიწის სიმცირე. 1970 წლის ცნობით ხულოს რაიონის კოლმეურნეობების საკუთრებაში ითვლებოდა 50964 ჰექტარი სავარგული. მათგან სახნავი იყო 2087 ჰექტარი, სათიბი –4617, ხოლო საძოვრები – 14306 ჰექტარი, საკარმიდამო ნაკვეთებს ეკავათ – 1881 ჰექტარი (აცსა, ფ. რ-84, ან.1, ან. 1, ს. 2429, ფურც. 130-131). 1956 წლის შემდეგ თითო კომლს დამხმარე მეურნეობის სახით მოზომილი ჰქონდა 0,25-დან 0,5 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი. მეორე ფაქტორია მთაგორიანი რელიეფი. დიდი გრადუსით დაქანებული ფერდობების გამო ტექნიკის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა ნაკლები იყო. მესამე ფაქტორია მოსახლეობის სიჭარბე და სიმჭიდროვე. 1886 წელს ზემო აჭარის (ხულოსა და შუახევის რაიონები) მოსახლეობა 15,8 ათას, 1926 წელს–29,5 ათას, 1939 წელს–38,5 ათას, 1959 წელს–34,3 ათას, ხოლო 1979 წელს–38,8 კაცს შეად-

გენდა. ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის სიმჭიდროვე 1886 წელს 12,1 -დან 1979 წელს 55 ადამიანამდე გაიზარდა (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 231, ფურც. 5; სასწ. 1981:11,13).

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება რესპუბლიკის მთიანი და მთისწინა რაიონების კოლმეურნეობების ეკონომიკის ამაღლებას შეეცადა არა-მართებული გზით. საქმე ეხება დოტაციის მიცემით ფულადი შემოსავლების ხელოვნურად გაზრდას. 1972 წლიდან ხულოს რაიონის კოლმეურნეობებს ბარის რაიონების ხარჯზე დოტაცია ეძლეოდათ. ამის შედეგად ფულადი შემოსავალი 1989 წელს 8740 ათას მანეთამდე, ხოლო ერთი კაცდღის ანაზღაურება 4 მანეთსა და 67 კაპიკამდე გაიზარდა (აცსა, ფ.რ-84, ან.1, ს. 146, ფურც. 233; ს. 625, ფურც. 122). დრომოჭმული სტერეოტიპებისადმი ბრმა ერთგულების გამო ცენტრა-ლურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მეურნეობრიობის ახალ წესზე გადასვლა, მთის, მათ შორის ხულოს რაიონის განტვირთვა ჭარბი მოსახლეობისაგან, მცირე მექანიზაციის დანერგვა...

მართალია, ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანი იყო, მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში ძირითადი დარგები იყო მეთამბაქოება, მევენა-ხეობა და მეცხოველეობა. ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში მეთამბა-ქოებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მარცვლეულისა და კარტოფილის კულტურებს, რადგან პურზე საბარათო სისტემა არსებობდა, ხოლო კარტოფილზე ქალაქად დიდი მოთხოვნილება იყო. 1946-1950 წლებში ხულოს რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობებში მარცვლეულის (ძირითა-დად სიმინდი) ფართობი 5531-5958 ჰექტარს შორის მერყეობდა. აქედან კოლ-მეურნეობებზე მოდიოდა 55%. საშუალო საჰექტარო მოსავალი 14-17,5 ცენტრს შორის მერყეობდა (აცსა, ფ.რ-178, ან. 1, სს. 855, 888, 921, 1685). სარეკორდო მოსავალს იღებდა ზოგიერთი კოლმეურნე. მაგალითად, მურად დეკანაძემ (დეკანაშვილების კოლმეურნეობა) ჰექტარზე საშუალოდ მოიწია 83,5 ცენტნერი სიმინდი, რამიზ ბერიძემ (სტეფანაშვილების კოლმეურნეობა) – 72 ცენტრი, ხასია ვანაძემ (დიდაჭარის კოლმეურნეობა) –71,8 ცენტერი. სიმინდის მაღალი საჰექტა-რო მოსავლის მიღებისათვის მათ მიანიჭეს „სოციალისტური შრომის“ გმირის წოდება.

პურზე საბარათო სისტემის გაუქმების და ხულოს რაიონის მოსახლეობის ხორბლის ფქვილით, უზრუნველყოფის შედეგად კოლმეურნეობებმა მინიმუმამ-დე შეამცირეს სიმინდის წარმოება. 1955 წელს სიმინდის ფართობი 998 ჰექტარს 1970 წელს–316, 1975 წელს–111 ჰექტარს შეადგენდა. მოსავალიც თანდათანობით ნაკლები იყო და 1980 წელს 46,7 ტონა შეადგინა. 80-იან წლებში სიმინდის მწვანე მასას იღებდნენ, რომელსაც სასილოსედ იყენებდნენ. სიმინდის წარმოება შეი-

ნარჩუნეს საკარმიდამო ნაკვეთებზე. 60-80-იან წლებში საშუალოდ წლიურად იღებდნენ 2500-3000 ტონა სიმინდის მარცვალს. ჩალა კი საქონლის საკვებად გამოიყენებოდა (ასმსმ).

კარტოფილის წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში (1941-1952). ამ ხანაში ქ. ბათუმი სახელმწიფო ფონდებიდან საჭირო კარტოფილს ვერ იღებდა. ამიტომ ამ სახის პროდუქციით ძირითადად ხულოს რაიონი ამაგრებდა. ცხადია, კარტოფილის ფართობი და მოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1941 წელს ხულოს რაიონში კარტოფილის ფართობი 1401, ხოლო 1943 წელს 2130 ჰექტარს შეადგენდა. 1944-1951 წლებში მისი ფართობი 2051-2170 ჰექტარს შორის მერყეობდა. მოსავალი კი 83 ათასი ტონიდან 131 ათას ტონამდე აღწევდა. მაღალი მოსავალი მოიწიეს 1941 წელს (9344 ტონა), 1945 წელს (11993), 1947 წელს (13124) შუახევის რაიონის გამოყოფის შემდეგ ხულოს მუნიციპალიტეტი აჭარაში კარტოფილის ძირითად მაწარმოებლად დარჩა.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ხულოს რაიონში კარტოფილის ფართობი და მოსავალი შემცირდა. 1957, 1960 და 1970 წლებში საკავშირო ხელისუფლებამ სპეციალური დადგენილებები მიიღო კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების გადიდების შესახებ. ამის შემდეგ აჭარა იაფფასიანი კარტოფილით რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსის რესპუბლიკებიდან მარაგდებოდა. 1960-1988 წლებში ხულოს რაიონში კარტოფილის ფართობი 480-დან 524 ჰექტარს შორის მერყეობდა. საშუალო წლიური მოსავალი შეადგენდა: 1961-1965 წლებში – 183 ტონას, 1966-1970 წლებში–380, 1971-1975 წლებში – 1108, 1976-1980 წლებში – 886, 1981-1985 წლებში – 384 ტონას. 1988 წელს 730 ტონა შეადგინა (ასმსმ).

მართალია, ხულოს რაიონის საკოლმეურნეო სექტორში კარტოფილის კულტურა შესაძლებლობის მიხედვით ვერ განვითარდა, მაგრამ იგი რენტაბელურ დარგს წარმოადგენდა. 1980 წელს ხულოს რაიონის კოლმეურნეობების ფულად შემოსავალი კარტოფილის რეალიზაციიდან 364 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო მოგება 93 ათას მანეთს უდრიდა (აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 3154, ფურც. 272-273, 282). 1989 წლიდან ხულოს რაიონის კოლმეურნეობების დაშლის პირას იდგნენ და სახელმწიფო გეგმებიც აღარ არსებობდა. კოლმეურნეობებში კარტოფილის წარმოება შეწყდა (აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 3572, ფურც. 18-19).

ხულოს რაიონი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით სპეციალიზებცული გახდა მეთამბაქოეაში, რამდენადაც კოლმეურნეობების ფულადი შემოსავლის დიდი ნაწილი თამბაქოზე მოდიოდა. XX საუკუნის 40-50-იან წლებში თამბაქოს წარმოება მონოპოლიზებული იყო კოლმეურნეობებში. 1960

წლიდან სახელმწიფომ ნება დართო სოფლის მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთებზე თამბაქოს წარმოების შესახებ. მაგრამ ძირითადი მწარმოებელი კოლმეურნეობები დარჩნენ. თამბაქოს ფართობისა და მოსავლის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მე–2 ცხრილი (აცსაბ ფ.რ-84, ან.1, ს. 2429, ფურც. 138; ს. 3154, ფურც. 282, ასმსმ).

ცხრილი 2

წლები	ფართობი ჰექტრობით		მოსავალი ტონობით		საშუალო საჰექტრო მოსავალი (ცენტნერობით)
	სულ	მათ შორის კოლმეურნეობები	სულ	მათ შორის კოლმეურნეობები	
1940	400	400	381	381	8,6
1950	600	600	624	624	10,1
1960	500	400	705	691	14,2
1970	548	548	1,90	1109	21,5
1980	548	450	1308	1109	20,5
1985	550	–	1552	1082	
1986	550	–	1761	–	
1987	550	–	1877	–	–
1989	395	395	804,5	804,5	21

1953 წლიდან, შუახევის რაიონის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ, თამბაქოს ფართობი და მოსავალი ბუნებრივად შემცირდა, მაგრამ ახალი ნაკვეთების გამოძებნის შედეგად ხულოს რაიონის დარჩენილ ტერიტორიაზე მაინც მნიშვნელოვანი იყო. მოსავალი ძირითადად გაიზარდა შრომის ნაყოფიერების ხარჯზე. კოლმეურნეობებს გარდა, თამბაქოს წვრილი ნაკვეთები ჰქონდათ მოსახლეობას და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებას ცხოველმრეწვს. მაგალითად, 1960 წელს საკარმიდამო ნაკვეთებზე მოიწიეს 14 ტონა, ხოლო 1970 წელს – 81 ტონა თამბაქოს ნედლეული. ცხოველმრეწვმა 1985 წელს აწარმოა 18 ტონა (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 421, ფურც. 1).

მართალია, მეთამბაქოეობაში შრომის პირობები უმძიმესი იყო, მაგრამ მაშინ ხულოს რაიონში სხვა უკეთესი დარგი ვერ გამოიძებნა, რომელიც მნიშვნელოვან ფულად შემოსავალს მისცემდა მოსახლეობას. ამიტომ კოლმეურნეთა ნაწილი თავდადებულად შრომობდა. 1947-1949 წლებში თამბაქოს მაღალი მოსავლის მიღებისათვის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს 71 კოლმეურნე, მათგან ლენინის ორდენით–4, „შრომის წითელი დროშის“ ორდენით-20 ადამია-

ნი). „სოციალისტური შრომის“ გმირის წოდება მიანიჭეს ფაჩხის კოლმეურნეობის მერგოლურს ხასია სურმანიძეს. თვალსაჩინო წარმატებისათვის 60-70-იან წლებში ორდენებითა და მედლებით, ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს ნაზი გორაძე (დიდაჭარა), იზოლდა ირემაძე (ირემაძეები), გულნარა ბერიძე (კვატია), სურიე შავაძე (სულო), მერიემ შავაძე (ყინჩაური), ნადია აბულაძე (ვაშლოვანი), ლეილა მახარაძე, უმიან ბოლქვაძე (ფაჩხა) და სხვები (აცსა, ფ.პ-1, ან. 15, ს. 250, ფურც. 6; სა, 1950, 12 ივნისი, 15 ივლისი).

ომისშემდგომ პერიოდში ხულოს რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებისათვის. დაბლარი ვენახის გაშენება კოლმეურნეობებში დაიწყეს, რომლის ფართობი 1937 წელს 0,2 ჰექტარს შეადგენდა. 1940 წელს –4, 1950 წელს– 52, 1952 წელს კი 65,5 ჰექტარი ეკავა. შუახევის რაიონის შექმნის შემდეგ ვენახის ფართობი ბუნებრივად შემცირდა. მაგრამ ხულოს რაიონში 1953 წლის შემდეგ ახალი ნარგავების გაშენებით ვენახის ფართობი 1960 წელს 125 ჰექტარს აჭარბებდა. პასპორტიზაციის შედეგად, რომელიც 1962 წელს ჩატარდა, ჩამოიწერა ახლად გაშენებული და მეჩხერიანი ვენახის მნიშვნელოვანი ნაწილი. 1970 წლისათვის მისი ფართობი 58 ჰექტარს, ხოლო 1980 წელს 62 ჰექტარს შეადგენდა. დაბლარი ვენახის ჯიშებიდან ხულოს რაიონში გააშენეს საწური, ალიგოტე, ცოლიკაური და ჩინური (საოწ. 1961:67). ადგილობრივ პირობებს ყველაზე კარგად შეეგუა ცოლიკაური. მაღალ საჰექტარო მოსავალს იღებდა სოფელ ვაშლოვანის კოლმეურნეობა, სადაც 1947 წელს ჰექტარზე მოიწიეს 77 ცენტნერზე მეტი ყურძენი, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა რაიონის საშუალო საჰექტარო მოსავალს. მევენახე დემურალი მელაძემ 1949 წელს 3 ჰექტარი ვენახიდან მოიწია 316,3 ცენტნერი ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 165 ცენტნერის ნაცვლად. ამ მიღწევებისათვის დემურალ მელაძეს „სოციალისტური შრომის“ გმირის წოდება მიანიჭეს (გაზ.“საბჭოთა აჭარა“, 1950, 8 აპრილი).

ყურძნის მოსავალი ცვალებადი იყო, რამდენადაც იგი დამოკიდებულია კლიმატური პირობების ცვალებადობასთან. ამის გათვალისწინებით 1961-1990 წლებში ყველაზე დაბალი მოსავალი მიიღეს 1964, 1972, 1988-1989 წლებში. ყურძენს სახელმწიფო ყიდულობდა მტკიცე ფასებში. ხულოს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიყიდეს: 1961-1965 წლებში-721 ტონა ყურძენი, 1966-1970 წლებში-629, 1971-1975 წლებში–664, 1976-1980 წლებში-989, 1981–1985 წლებში–754 ტონა. ყურძნის რეალიზაციიდან კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი მნიშვნელოვანი არ ყოფილა. 1980 წელს 93 ათასი მანეთი მიიღეს. ხოლო მოგებამ 20 ათასი მანეთი შეადგინა. 1986-1990 წლებში ხელისუფლების მხრიდან ყურადღების შესუსტების შედეგად მოიწიეს 294 ტონა ყურძენი. აქედან

1988 წელს–33 ტონა, 1989 წელს–39, ხოლო 1990 წელს–21, 1991–6 ტონა (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 3154, ფურც. 27-273). მომდევნო წლიდან სახელმწიფოს მიერ შესყიდვა გაუქმდა, რამდენადაც კოლმეურნეობების ლიკვიდაცია განხორციელდა, მიწები მოსახლეობის კერძო საკუთრებაში გადავიდა, სადაც ვენახის ნაწილი აჩეხეს.

ომისშემდგომ პერიოდში ხეხილს ისევ გაფანტული წესით აშენებდნენ. მიწის სიმცირის გამო მეხილეობის სპეციალური ბაღები არ შექმნილა. მრავალ-წლიანი ხეხილის ნარგავები, რომლებიც კოლექტივიზაციის შედეგად კოლმეურ-ნეობების საკუთრებაში მოექცა, თანდათანობით ნადგურდებოდა. 1945 წელს ხულოს რაიონში აღირიცხა 118,8 ათასი ძირი ხეხილი. მათგან ნაყოფის მომცემი იყო 81,8 ათასი ძირი. 1952 წლისათვის შესაბამისად 96,2 ათასამდე და 55,8 ათასამდე შემცირდა. 60-70-იან წლებში დაწინაურდა საკარმიდამო მეხილეობა. ამის შემდეგ ხულოს რაიონში 1970 წელს ხეხილის ფართობი 461 ჰექტარს შეადგენდა. აქედან საკარმიდამო მეურნეობაზე მოდიოდა 247 ჰექტარი. 1975 წელს ხეხილის ფართობი 651 ჰექტარს უდრიდა. მართალია, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების ხეხილის ფართობს შორის დიდი სხვაობა არ ყოფილა, მაგრამ ხილის ძირითადი მწარმოებელი საკარმიდამო მეურნეობები იყვნენ 1965 წელს ხულოს რაიონმა სახელმწიფოს მიყიდა 547 ტონა ხილი; 1970 წელს –1763, 1975 წელს–1706 ტონა. 1976-1980 წლებში საშუალოდ წლიურად სახელმწიფოს მიეყიდა 1337, 1981-1985 წლებში–2357 ტონა. 1989-1990 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა (აცსა, ფ.რ-178, ან.1, ს.3572, ფურც. 7-8, 15-16). ამ შემცირების ძირითადი მიზეზია ეკონომიკური კრიზისი, რომელიც საერთოდ საბჭოთა კავშირში წარმოიქმნა. რაც შეეხება მებოსტნეობას, ხულოს რაიონში ამ დარგს დაბალი სასაქონლო მნიშვნელობა ჰქონდა. ბოსტნეულის დამზადების გეგმები მახინჯი წესებით სრულდებოდა და ხვედრითი წილი საკოლმეურნეო ფულად შემოსავალში სათვალავშიც მისაღები არ იყო.

ომისშემდგომ პერიოდში მეცხოველეობა ხულოს რაიონის სოფლის მეურ-ნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგად რჩებოდა. მაგრამ დარგის განვითარები-სათვის პრობლემები არსებობდა, რომელთა გადაწყვეტისათვის ხელისუფლებამ არაერთი ღონისძიება განახორციელა. ძირითადი პრობლემა იყო პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფა, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, პრო-დუქტიულობის ამაღლება, ვეტერინარული მომსახურების ძირეულად გარდაქმ-ნა.

მეცხოველეობისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ამაღლების მიზნით საქართველოში, მათ შორის აჭარაში 1947 წელს შეიქმნა მეცხოველეობის სამინისტრო. ამის პარალელურად არსებობდა სოფლის მეურნეობისა და ტექ-ნიკური კულტურების სამინისტროები. ეს ღონისძიება არასწორი აღმოჩნდა,

რამდენადაც სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მართვის ერთიანი სისტემა დანაწილდა. ფაქტობრივად ახალი სიძნელეები წარმოიქმნა. ამიტომ ორი წლის შემდეგ გაუქმდა მეცხოველეობის სამინისტრო, ხოლო 1952 წელს – ტექნიკური კულტურების სამინისტრო.

საკავშირო და საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1949 წლის 29 ივნისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ (1949-1951). ამ დადგენილებით ხულოს რაიონის კოლმეურნეობებში, როგორც საერთოდ ქვეყნის მასშტაბით, იქმნებოდა სამი სახის ფერმა: მსხვილფეხა რქიანი საქონლის, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა და მეფრინველეობის. 1950 წლისათვის ხულოს რაიონის კოლმეურნეობებში ითვლებოდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 81 ფერმა, მეცხვარეობის–26, მეთხეობის–55, მეღორეობის–1, მეფრინველეობის–66 (აცსა, ფ.რ-178, ან, 1, ს. 915, ფურც. 38). მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა ხულოს რაიონისათვის არარეალური იყო. რაიონს არ გააჩნდა მეცხვარეობის განვითარების ბუნებრივი პირობები – არ იყო საზამთრო საძოვრები, რომლებიც ცხვრის ფარისათვის გამოიყენებოდა. მეფრინველეობას არარენტაბელური დარჩა, რადგან საკვებით უზრუნველყოფა პრობლემად რჩებოდა.

ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევები იყო მეცხოველეობის ვეტერინარულ მომსახურეობაში. ხულოს რაიონში XX საუკუნის 60-80-იან წლებში ფუნქციონირებდა ცხოველთა დაავადებასთან მებრძოლი სადგური, სასოფლო საბჭოებში–ვეტერინარული უბნები, ფუშრუკაულსა და ხიხაძირში – საკარანტინო და სასაზღვრო-საკარანტინო პუნქტები. მაგრამ პირუტყვის დაავადებას მაინც სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რის გამო დიდძალი პირუტყვი იხოცებოდა. მაგალითად, 1950 წელს კოლმეურნეობებში დაეცა–1772 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი (საერთო რაოდენობის 6,64%), 2428 სული წვრილფეხა რქიანი პირუტყვი, 22 სული ცხენი (აცსა, ფ.პ-1, ან. 17, ს. 65, ფურც. 17). 1952 წელს დაეცა 1100 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1223 ცხვარი, 884 თხა (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 1025, ფურც. 2). მეტნაკლებად ანალოგიური ვითარება იყო მომდევნო წლებშიც. მაგალითად, 1980 წელს დაეცა 216 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი (აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 3154, ფურც. 289).

XX საუკუნის 50-იან წლებში საკავშირო პროგრამის მიხედვით ე.წ. საზოგადოებრივ სექტორს უნდა დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებით. ამიტომ იზღუდებოდა მოსახლეობის საკუთრებაში არსებული პირუტყვის სულადობა. ამ მიმართულებით შეზღუდვები

მოიხსნა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შედეგად. ომისშემდგომ პერიოდში ხულოს რაიონში პირუტყვის საერთო სულადობისა და სახეების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-3 ცხრილი (პირველი იანვრისათვის) (აცსა, ფ. რ-178, ან. 1, სს. 793, 2021, 1389, 1851, 2547, 3314).

ცხრილი 3

წლები	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი				ცხვარი	თხა	ღორი	ცხენი	სახედარი
	სულ	ფური	მუშა ხარი	კამეჩი					
1946	44412	16568	7601	2215	6305	13528	48	762	159
1951	45222	13008	8651	2017	5076	15183	41	134	–
1952	46802	14559	8244	2062	5979	14377	86	793	144
1960	28929	10898	3441	1614	6079	6292	299	447	164
1971	36954	13715	3319	2177	2338	3971	1	540	138
1980	43436	14635	3450	2210	3244	2867	–	243	47
1981	41752	15624	3190	77	3602	2905	29	330	67
1986	44323	14874	3525	2278	232	2930	–	254	56

პირუტყვის სულადობის დიდი ნაწილი საკარმიდამო მეურნეობებზე მოდიოდა. მაგალითად, 1982 წელს ხულოს რაიონში არსებული 49,4 ათასი სული პირუტყვიდან მოსახლეობის საკუთრებას შეადგენდა 41 ათასი სული (84%), 1985 წელს შესაბამისად 51 ათასი სული სულიდან 42 ათასი სული (82%). მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ ომისშემდგომ პერიოდში, როგორც მანამდე, პირუტყვის საერთო სულადობაში წამყვანი მდგომარეობა ეკავა მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ფური (ძროხა), ხარი და კამეჩი. 1946-1952 წლებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შესამჩნევად გაიზარდა. მაგრამ ფურის რაოდენობა საგრძნობლად დაბალი იყო, რაც უარყოფითად მოქმედებდა რძის წარმოებაზე. 1953 წლიდან პირუტყვის შემცირება დაკავშირებულია ხულოს რაიონიდან შუახევის რაიონის გამოყოფასთან. მიუ-

ხედავად ამისა, 70-იანი წლებიდან პირუტყვის სულადობა გაიზარდა და 80-იან წლებში 1946 წლის მაჩვენებელს თითქმის გაუტოლდა, როდესაც ხულოს რაიონი გაყოფილი არ იყო.

მართალია, 70-იანი წლებიდან ნიადაგის დასამუშავებლად ტრაქტორებსაც იყენებდნენ, მაგრამ მუშა ხარი მაინც ინარჩუნებდა თავის მდგომარეობას. 1953 წლიდან მუშა ხარის შემცირება ასევე გამოწვეულია ხულოს რაიონის გაყოფასთან. 1960 წლის შემდეგ ცხვრისა და თხის სულადობის შემცირება განპირობებული იყო იმით, რომ კოლმეურნეობებს მოუხსნეს წვრილფეხა რქიანი პირუტყვის გეგმები და ისინი მეცხვარეობასა და მეთხეობას აღარ მისდევდნენ. ცხენისა და სახედრის სულადობა 1970 წლის შემდეგ ასევე მნიშვნელოვანად შემცირდა, რამდენადაც საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების შედეგად მათი გამოყენება აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა. მეღორეობა საერთოდ ვერ განვითარდა. ღორები მცირე ოდენობით მხოლოდ კოლმეურნეობებს ჰყავდათ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ხულოს რაიონში გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფა. რაიონის კოლმეურნეობებს არ ჰქონდათ ფინანსური საშუალებები სხვა რესპუბლიკებიდან შემოეტანათ პირუტყვის საკვები. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არაერთხელ შეეცადა უზრუნველყო ხულოს რაიონის მეცხოველეობა საკუთარი წარმოების საკვებით, მაგრამ ამ მიმართულებით ყველა ცდა წარუმატებლობით დამთავრდა, რადგან რაიონში არ იყო საამისო რეზერვები. მაგალითად, XX საუკუნის 80-იან წლებში, ხელისუფლების გამოთვლით, ხულოს რაიონის მეცხოველეობისათვის აუცილებელი იყო 57,8 ათასი ტონა საკვები, ადგილზე აწარმოებდნენ 51,6 ათას ტონას. საზოგადოებრივი ფერმები მოიხმარდნენ 12,5 ათას ტონას, ადგილზე შესაძლებელი იყო 11,1 ათას ტონის დამზადება (აცსა, ფ.რ-84, ან, 1, ს. 53, ფურც. 39).

მოსახლეობა გაჭირვებით ინახავდა პირუტყვს, სიმნელეებს კოლმეურნეობებიც განიცდიდნენ. ასეთ პირობებში 1976 წელს შეიქმნა აჭარის „ცხოველმრეწვის“ რაიონული გაერთიანება, რომელსაც პირუტყვის სასუქი ფერმები ჰქონდა რიყეთში, დიოკნისში, დანისპარაულში, თხილვანაში. 1980 წელს აჭარის „ცხოველმრეწვის“ ხულოს გაერთიანებას ჰყავდა 917 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1986 წელს–10053 სული. „ცხოველმრეწვი“ ფინანსურად წამგებიანი გაერთიანება იყო. იგი დოტაციაზე არსებობდა. 1988 წელს „ცხოველმრეწვის“ ხულოს სარაიონო გაერთიანების პირუტყვის სულადობა 389-მდე შემცირდა. 1989 წლიდან გაერთიანება გაუქმდა (ასსსმ). ომისშემდგომ პერიოდში ხულოს

რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობისა და სახეების შესახებ მსჯელობა შეიძლება მე-4 ცხრილის მიხედვით (პირველი იანვრისათვის).

ცხრილი 4

წლები	მსხვილი რქიანი პირუტყვი				ცხვარი	თხა	ღორი	ცხენი	სახედარი
	სულ	ფური	მუშა ხარი	კამეჩი					
1946	13933	2126	7596	324	4384	6516	48	195	2
1952	18295	3924	8093	270	4277	5867	59	361	22
1960	8645	2100	3347	100	6	–	295	55	–
1971	9161	2342	3319	100	–	–	–	29	–
1981	8310	2390	2065	–	–	–	–	3	–
1986	8719	2222	2216	23	–	–	–	5	–

ომისშემდგომ პერიოდში ხულოს საკოლმეურნეო მეცხოველეობის სტრუქ-ტურაში შედიოდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვარი და თხა, ღორი, ცხენი და სახედარი. მაგრამ ძირითადი იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, რომელთა სულადობა 1946-1952 წლებში 1,3-ჯერ და მეტად გაიზარდა. მართალია, რაიონის გაყოფის შემდეგ თითქმის განახევრდა, მაგრამ 1960 წლიდან მოყოლებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა მეტნაკლებად სტაბილური იყო. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის სტრუქტურაში დაბალი იყო ფურების ხვედრითი წილი, რომლის მაჩვენებელი 1946-1952 წლებში 15,3% და 21,5% შორის მერყეობდა. 1960 წელს 16% შეადგინა, 1971-1985 წლებში 25%-დან 27,6%-მდე აღწევდა. მუშა ხარის, როგორც გამწევი ძალის, ხვედრითი წილი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სტრუქტურაში გაცილებით მაღალი იყო. 1946 წელს აღნიშნული მახასიათებელი 54, 3%, 1952 წელს 44%-ს შეადგენდა. ნია-დაგის დასამუშავებლად ტრაქტორების გამოყენების შედეგად მუშა ხარის გამოყენების კოეფიციენტი შემცირებული იყო. მიუხედავად ამისა, მთაგორიანი რელიეფის პირობებში მუშა ხარი თავის როლს მაინც ინარჩუნებდა. 1960-1985 წლებში მუშა ხარის ხვედრითი წილი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შემადგენ-ლობაში 25%-დან 48%-მდე აღწევდა. ამასთან, მუშა ხარები ძირითადად კოლ-

მეურნეობებში იყო კონცენტრირებული, რადგან მოსახლეობას უჭირდა მათი შენახვა.

XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც კოლმეურნეობებს მოუხსნეს წვრილფეხა რქიანი პირუტყვის გეგმები, მეცხვარეობასა და მეთხეობას აღარ მისდევდნენ. ამრიგად, 60-იანი წლებიდან ხულოს რაიონის საკოლმეურნეო მეცხოველეობის ძირითად სახედ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი დარჩა. ომისშემდგომ პერიოდში გაგრძელდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება და პროდუქტიულობის ამაღლება. შვედური და მეგრული ჯიშის საქონლის ნაცვლად დაიწყეს უკრაინიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან კარპატული და კავკასიური ჯიშის წაბლისფერი პირუტყვის შემოყვანა. მაგალითად, 1978-1981 წლებში შემოიყვანეს 102 სული ჯიშიანი პირუტყვი. ძირითადად შემოჰყავდათ ბუღა-მწარმოებელი და დეკეულები (აცსა, ფ.რ-84, ან. 1, ს. 141, ფურც. 10; ს. 3669, ფურც. 9). მიუხედავად ამისა, ხულოს რაიონის კოლმეურნეობების პირუტყვის ჯიშობრივ შემადგენლობაში არსებითი გარდატეხა არ მომხდარა.

კოლმეურნეობებში პირუტყვის ნამატის შენარჩუნება არადამაკმაყოფილებელი იყო. ამიტომ პირუტყვის სულადობის გეგმებს შესყიდვით ასრულებდნენ, რისთვისაც დიდძალი თანხები იხარჯებოდა. მაგალითად, 1949 წელს პირუტყვის შეძენაზე დახარჯეს 2122934 მანეთი, 1951-1952 წლებში 1433544 მანეთი (აცსა, ფ. პ-1, ან.15, ს. 5, ფურც. 20-24; ან. 27, ს.9, ფურც. 78). 1958-1961 წლებში იყიდეს 1501 სული პირუტყვი (გაზ. სა, 1962, 23 იანვარი). 1970 წელს 450 სული პირუტყვის შეძენაზე დახარჯეს 110 ათასი მანეთი. 1976-1980 წლებში იყიდეს 3479 სული პირუტყვი, რაზედაც დახარჯეს 1823 ათასი მანეთი (აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 2429, ფურც. 15, 142). ცხადია, ამ და სხვა ფაქტორების გამო საკოლმეურნეო მეცხოველეობა წამგებიანი დარგი იყო XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საკოლმეურნეო პირუტყვი ოჯახურ იჯარაზე გადაიყვანეს, მოსახლეობას დაუნაწილეს მოსავლელად.

ხულოს რაიონში მეფუტკრეობის რესურსები საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოუყენებელი დარჩა. XX საუკუნის 20-იან წლებში ხულოს რაიონში შეიქმნა მეფუტკრეობის ამხანაგობები, თუმცა ფორმალურად არსებობდნენ. ომისშემდგომ პერიოდში მეფუტკრეობას ხელი მოკიდეს კოლმეურნეობებმაც. 1960 წელს ხულოს რაიონში ითვლებოდა 1073 ფუტკრის ოჯახი. აქედან კოლმეურნეობებში –798. არასაკმარისი ყურადღების გამო 1970 წელს 120, ხოლო 1975 წელს 64-მდე შემცირდა (საოწ. 1960:91, ასმ, 1976:110; აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 2405, ფურც. 23). XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ხულოს რაიონის საკოლმეურნეო სექტორში მეფუტკრეობას საერთოდ აღარ მისდევდნენ.

2. მრეწველობა და ტრანსპორტი

ხულოს რაიონში მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა. მანამდე განვითარებული იყო შინამრეწველობა და ხელოსნობა, რომლის პროდუქცია ადგილზე მოიხმარებოდა. საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში შეიქმნა ხე-ტყის სახერხი, ხის დამამუშავებელი, ჰიდროენერგეტიკის, პურ-ფუნთუშეულის საწარმოები, სტამბა-ლითოგრაფია. ხე-ტყის პირველი ქარხანა 1925 წელს გაიხსნა რიყეთის სასოფლო თემის სოფელ ტაბახმელაში, სადაც 23 მომუშავე ითვლებოდა (3 მოსამსახურე და 20 მუშა). ქარხანა ამზადებდა წიწვიანი ხე-ტყის მორებსა და დახერხილ მასალას. ქარხანა ომამდე ცნობილი იყო „ფუხარის“ სახელწოდებით და შედიოდა გაერთიანება „აჭარტყეში“. საწარმო სეზონურად მუშაობდა. 1946 წელს იმუშავა 210 დღე და დაამზადა 900 მ^3 საქმიანი მერქანი (მორები), 4440 მ^3 დახერხილი მასალა. ქარხნის საერთო პროდუქცია 13 683 მანეთს შეადგენდა (1927-1928 წლის ფასებით). 1955 წელს ქარხანამ მაწარმოა 3452 მ^3 დახერხილი მასალა, ხოლო 1960 წელს – 6419 მ^3. ამის შემდეგ ხე-ტყის მარაგი ამოიწურა და ტაბახმელას სახერხი ქარხანა დაიხურა (აცსა, ფ.რ-178, ან. 1, ს. 801, ფურც. 82; ს. 1133, ფურც. 7; ფ. რ-170, ან, 1, ს. 2409, ფურც. 2; ბსისმკა, 1980:43-90).

ხენ-ტყის მეორე სახერხი ქარხანა 1940 წელს გაიხსნა ხიჭაურში. იმავე წელს ქარხანასთან გაერთიანდა ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ 20-იან წლებში შეიქმნა. ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაცია ჭვანის ხეობაში მორებს ამზადებდა წიწვიანი და წიფლის ხის ჯიშებისაგან. მორები მდინარე ჭვანისწყალზე დაცურებით ხიჭაურამდე ჩამოჰქონდათ და დახერხვის შემდეგ მასალას ბათუმის საწარმოებსა და ორგანიზაციებს აწვდიდა. ხიჭაურის სახერხი ქარხანა წვრილი საწარმო იყო, სადაც 1940 წელს დასაქმებული იყო 24 კაცი (22 მუშა და 2 მოსამსახურე). ამ წელს დაამზადა 3501 მ^3 დახერხილი მასალა, რაც გაცილებით ნაკლები იყო დაგეგმილზე. ომის წლებში (1941-1945) ხიჭაურის სახერხი ქარხანა სოფელ ჭვანაში გადაიტანეს და დაექვემდებარა ხულოს რაიონის სამრეწველო კომბინატს. 1946 წელს ქარხანამ 187 დღე იმუშავა, დაამზადა 15000 მ^3 ხის მორები. საერთო პროდუქციამ 11 600 მანეთი შეადგინა (აცსა, ფ. რ-170, ან. 1, ს. 1073, ფურც. 9, 27-28; ფ. რ-178; ან. 1, ს. 801, ფურც. 83). 1948 წელს ჭვანის სახერხი ქარხანა დაიხურა.

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში ხულოს რაიონში შეიქმნა შედარებით მსხვილი ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაცია, რომელშიც დასაქმებული იყო 240 მომუშავე. ორგანიზაცია სამასალე ხე-ტყეს ამზადებდა ხულოს მაზრის ნაბახტრევის ტყის მასივში. 100 კაცი მუშაობდა ხე-ტყის ჭრაზე, 40 ადამიანი–გამოზიდვაზე, ხოლო კიდევ 100 კაცი მტკვარზე აცურებდა მორებს

ხაშურამდე, შემდეგ კი მატარებლით ბათუმამდე ჩამოჰქონდათ (ბსისმკა, 1980:78). 1934 წელს ხულოს რაიონში დაარსდა სადურგლო სახელოსნო, სადაც მერქნის დამუშავება მიმდინარეობდა, 1944 წელს – აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც თიხისაგან აგურს, კრამიტს, თიხის მილებსა და სხვა ნაკეთობას აწარმოებდა. მათ ბაზაზე 1945 წელს ხულოს რაიონის სამრეწველო კომბინატი შეიქმნა.

კომბინატში 8-დან 10-მდე საწარმო შედიოდა. იგი აწარმოებდა 376,4 ათასი-დან 3430 ათასამდე მანეთის პროდუქციას. ასორტიმენტში შედიოდა: ღვინო, არაყი, ლითონისა და ხის ნაკეთობანი, ფეხსაცმელი, სამკერვალო ნაწარმი, უალკოჰოლო სასმელები, აგურ-კრამიტი, დახერხილი მასალა, საქმიანი მერქანი და სხვა. მომუშავეთა რაოდენობა 1945 წელს 134 კაცს შეადგენდა, მათ შორის: 55 მუშა და 18 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი (აცსა, ფ.რ- 170, ან. 1, ს. 1442, ფურც. 4,5, 12, 13; ს. 2409, ფურც. 1). კომბინატში 1955 წელს საერთო პერსონალი 64 კაცს ითვლიდა, ხოლო 1960 წელს–60-ს. მომუშავეთა შემცირება იმით იყო განპირო-ბებული, რომ ზოგიერთი საწარმო დაიხურა. ამასთან, ტექნიკური პროგრესის შედეგად ბუნებრივად შემცირდა მომუშავეთა რიცხოვნობა.

ხულოს რაიონის სამრეწველო კომბინატში შედიოდა შუახევის აგურ-კრა-მიტის ქარხანა. იგი მუშაობდა ადგილობრივი თიხის ბაზაზე. შუახევის აგურ-კრამიტის ქარხანაში 1946 წელს დასაქმებული იყო 26 კაცი ქარხანამ. ამ წელს აწარმოა 168 ათასი ცალი აგური, 1000 ცალი კრამიტი, 137 ცალი თიხის მილი, 1400 ცალი სხვა კერამიკული ნაწარმი. საერთო პროდუქცია 13500 მანეთს შეად-გენდა (1927-28 წლების ფასებით). მომდევნო წლებში წარმოებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. 1950 წელს ქარხანამ აწარმოა 165,8 ათასი ცალი აგური, 21,5 ათასი ცალი კრამიტი (აცსა, ფ.რ-170, ან.1, ს. 1782, ფურც. 83; ს. 2150, ფურც. 15, 28; ს. 2420, ფურც. 86). 1954 წლიდან ქარხანა შუახევის რაიონის სამრეწველო კომბინატის დაქვემდებარებაში გადავიდა.

ხულოში არსებობდა სადურგლო სახელოსნო, რომელშიც 1946 წელს 19 მომუშავე ითვლებოდა. სახელოსნოში აწარმოებდნენ სხვადასხვა დანიშნულე-ბის კარადებს, მაგიდებს, სკამებს, სკის ჩარჩოებს, ხის სეიფებს და სხვა. საერთო პროდუქცია 55620 მანეთს შეადგენდა (1927-28 წლების ფასებით). სახელოსნო ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას არ გააჩნდა ხის მასალის საშრობი. ამიტომ ნედლი ხის მასალისაგან დამზადებული ნაწარმი არადამაკმაყოფილებელი იყო და მწყობრიდან მალე გამოდიოდა. 1955 წელს სადურგლო სახელოსნოში დასაქმებული იყო 26 მუშა, 1960 წელს მათი რაოდენობა 61-მდე გაიზარდა, ხოლო საერთო პროდუქცია 28426 მანეთს უდ-

რიდა (აცსა, ფ.რ-178, ან. 1, 801, ფურც. 84; ფ.რ-96, ან.1, ს. 977, ფურც. 21; ფ.რ-170, ან.1, ს. 2150, ფურც. 15, 28; ს. 2409, ფურც. 1).

ხულოს რაიონში 1933 წელს გაიხსნა სტამბა, რომელიც 1945 წლიდან რაიონის სამრეწველო კომბინატში გაერთიანდა. სტამბაში იბეჭდებოდა რაიონული გაზეთი „კოლექტიური შრომა“, იგი ასრულებდა სხვა დაკვეთებსაც. სტამბაში სულ 5-დან 8 კაცი მუშაობდა და საერთო პროდუქცია 7600 მანეთს შეადგენდა. 1955 წელს სტამბა დაექვემდებარა გაზეთ „კოლექტიური შრომის“ რედაქციას. მისი სიმძლავრეები და მომუშავეთა რაოდენობაც გაიზარდა. 1984 წელს ხულოს სტამბაში დასაქმებული იყო 13 კაცი (აცსა, ფ.რ-178, ან. 1,ს. 801, ფურც. 88; ს.2998, ფურც.3).

კვების მრეწველობის დარგებიდან ხულოს რაიონში განვითარდა ღვინოს, არაყის, ლიმონათის, პურ-ფუნთუშეულის და სხვა წარმოება. ღვინო-არაყის საწარმომ 1946 წელს აწარმოა 630 დეკალიტრი ღვინო, რომლის საბაზრო ღირებულება 126 000 მანეთს უდრიდა. შემდგომში ღვინის წარმოება შეჩერდა და 1955 წელს განახლდა. ლიმონათს ადგილობრივი ხილის წვენებისაგან ამზადებდნენ. 1960 წელს დაამზადეს 4016 ბოთლი ლიმონათი, რომლის საბაზრო ფასი 505 ათას მანეთს შეადგენდა (აცსა, ფ.რ-170, ან. 1, ს. 1, 1442, ფურც. 12-13).

პურის პირველი საცხობი დაარსდა რიყეთში 1936 წელს, სადაც აცხობდნენ 20 ტონა ხორბლის პურს. 1939 წელს ხულოში გაიხსნა ახალი ფურნე, სადაც 1684 ტონა ხორბლის პურს აწარმოებდნენ (აცსა, ფ.რ-178, ან. 1, 801, ფურც. 90). 1939-1940 წლებში თონეები გაიხსნა ხულოს რაიონის უმეტეს სასოფლო საბჭოების ცენტრებში. მაგრამ ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში შეჩერდა. პურის საცხობები XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში აღადგინეს და ამასთან ახალი თორნეებიც გახსნეს. პურის საცხობები იყო წვრილი საწარმოები, სადაც ორი თუ სამი კაცი მუშაობდა.

მსუბუქი მრეწველობიდან აღსანიშნავია ფეხსაცმლისა და სამკერვალო წარმოება. ომამდე, ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში ადგილობრივი წარმოების ფეხსაცმელსა და სამკერვალო ნაწარმზე დიდი მოთხოვნილება იყო, რადგან სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობას ამ სახის საქონლით. 1940 წელს ხულოს რაიონის ფეხსაცმლის სახელოსნოში 6 მუშა მუშაობდა, რომელიც 721 წყვილ ტყავის ფეხსაცმელს უშვებდა, 1955 წელს–479 წყვილს. სამკერვალო სახელოსნოში 1940 წელს დასაქმებული იყო 8 მუშა და გამოშვებული იქნა94 ათასი მანეთის პროდუქცია. მომდევნო წლებში სამკერვალო საამქრო, რომელიც რაიონის ადგილობრივი სამრეწველო კომბინატში შედიოდა, მცირე რაოდენობის ნაწარმს ამზადებდა. 1955 წელს სამკერვალო საამქროში 4

მომუშავე ითვლებოდა (აცსა, ფ.რ-178, ან. 1,ს. 691, ფურც. 6; ფ.რ-170, ს. 2150, ფურც. 15, 28).

ელექტროენერგეტიკის საწარმოებიდან, რომლებიც ხულოს რაიონში დაარსდა, აღსანიშნავია ჰიდროელექტროსადგურები. 1933 წელს სოფელ დიაკონიძეებში ააშენეს 80 კილოვატიანი სიმძლავრით ჰიდროელექტრო სადგური. დასაწყისში ხულოჰესი ელექტროენერგიით აკმაყოფილებდა ხულოს რაიონულ ცენტრსა და ახლომდებარე სოფლებს. ხულოჰესი დამოუკიდებელ ბალანსზე იყო, სადაც 9 კაცი მუშაობდა. რაიონის ცენტრის მოსახლეობის გაზრდის შემდეგ ხულოჰესი ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. ამიტომ 1946 წლიდან ხულოს რაიონში დაიწყო საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამასთან, ხულოს ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 1950 წლისათვის 192 კილოვატამდე გაიზარდა. გარდა ამისა, 1946-1950 წლებში ხულოს რაიონში მწყობრში ჩადგა 10 საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური. ჰიდროელექტროსადგურები ააგეს ირემაძეების, ხულოს, კალოთის სამოლეთის, შუახევის, დღვანის,გოგაძეების, წაბლანის, თხილვანის, სკვანის სოფლებში (აცსა, ფ. რ–178, ან. 1, ს. 874, ფურც. 2, 22; ს. 877, ფურც. 4). მათი საერთო სიმძლავრე 294 კილოვატს შეადგენდა. XX საუკუნის 60-იან წლებში ხულოს რაიონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა ცენტრალურ ელექტროსისტემაზე გადაიყვანეს. ამის შემდეგ დაიხურა საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურები. დღევანდელი გადასახედიდან საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურების დახურვა შეცდომა იყო. რეგიონებისათვის სასარგებლო იქნებოდა მათი ტექნიკური გადაიარაღება, სიმძლავრეების გაზრდა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება. ამით რაიონს არა მარტო ექნებოდა საკუთარი ელექტროენერგია, არამედ ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა.

ხულოს რაიონის სამრეწველო განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბათუმის სამკერვალო ფაბრიკისა და ელექტრომექანიკური ქარხნის ფილიალების გახსნა. სამკერვალო ფაბრიკის ფილიალი გაიხსნა 1969 წელს, რომელშიც ძირითადად დასაქმებული იყვნენ ქალები. პირველი პროდუქცია ფილიალმა 1970 წელს გამოუშვა (686 ათასი მანეთის ოდენობით). 1975 წელს ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ხულოს ფილიალში დასაქმებული იყო 356 ადამიანი (მათ შორის მუშები–321), ხოლო გამოშვებული პროდუქცია 1668 ათას მანეთს უდრიდა. 1980 წელს სასაქონლო პროდუქციამ 2354 ათასი მანეთი შეადგინა. მუშათა საშუალო თვიური ხელფასი 103 მანეთს უდრიდა. 1984 წელს ფილიალში დასაქმებული იყო 470 ადამიანი. მათ შორის 416 ქალი. 1985-1990

წლებში მომუშავეთა რაოდენობამ 500-ს აღემატებოდა, ხოლო სასაქონლო პროდუქციამ 3 მილიონ მანეთს აჭარბებდა. ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ხულოს ფილიალის სასაქონლო პროდუქციის ასორტიმენტში შედიოდა ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, საწოლის თეთრეული და სხვა. ხარისხი დამაკმაყოფილებელი იყო. მისი ძირითადი მომხმარებელი იყო აჭარაში დისლოცირებული სამხედრო ნაწილები. 1984 წელს ხულოს რაიონში გაიხსნა ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ფილიალი, რომელიც 1991 წლამდე ფუნქციონირებდა. ფილიალში დასაქმებული იყო 32 კაცი, რომლებმაც სპეციალური მომზადება მიიღეს სათანადო კურსებზე. ფილიალში აწარმოებდნენ ელექტროკარების დეტალებსა და კვანძებს და აწვდიდნენ სათავო საწარმოს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ფილიალმა შეწყვიტა მუშაობა.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ხულოს რაიონში ძირითადად ადგილობრივი, ტრადიციული ხალხური ტრანსპორტი მუშაობდა. მათგან აღსანიშნავია ურემი, მარხილი, საზიდარი და სხვა. XX საუკუნის 40-იან წლებში ამ სახის ტრანსპორტი მზადდებოდა. წარმოებას კოლმეურნეობებიც ეწეოდნენ. მაგალითად, ფაჩხის კოლმეურნეობაში 1946 წელს სპეციალური სახელოსნო მუშაობდა, სადაც ურემს, მარხილს, საზიდარს ამზადებდნენ. პირველი საავტომობილო ტრანსპორტი ხულოს რაიონში XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში გამოჩნდა. 1940 წელს ხულოს რაიონში ითვლებოდა 19 ავტომობილი (18 სატვირთო, 1 მსუბუქი). თუმცა, საავტომობილო გზები არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში ორი გზატკეცილი არსებობდა: ბათუმი-გოდერძი და ბათუმი-გურია. სოფლები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო საცალფეხო გზებითა და მდინარეებზე გადასასვლელი ხის ტრადიციული ხიდებით, რომლებიც წყალდიდობის დროს ზიანდებოდა და ზოგჯერ ადამიანთა მსხვერპლს იწვევდა. ამის არაერთი ფაქტია დაფიქსირებული იმდროინდელ პერიოდიკასა და საარქივო დოკუმენტებში. ამიტომაც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა გზებისა და ხიდების მშენებლობისადმი. კაპიტალური გზებისა და ხიდების მშენებლობა 1922 წლიდან დაიწყო. ძირითად სამუშაოს მოსახლეობა ასრულებდა უსასყიდლოდ. სახელმწიფო გასამრჯელოს მხოლოდ სპეციალისტებს უხდიდა. ხულო-ღორჯომის საავტომობილო გზის მშენებლობაზე ყოველდღიურად 800-900 კაცი მონაწილეობდა, ხოლო ჭვანის გზის მშენებლობაზე – 750-800 კაცი. 1925-1927 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა ღორჯომის (8 კმ), ჭვანის (7,7 კმ), უჩამბის (8 კმ) ზომლეთ-სხალთის (8 კმ) საავტომობილო გზები. მათი მშენებლობისათვის სახელმწიფო

დაფინანსება 67 ათას მანეთს აღემატებოდა. 1929-30 წლებში გაიყვანეს სხალთა-ბაკოს, ყარადერე-ჩირუხის, ღორჯომი-ბახმაროს, ცხემლის-ნაღვარევის საავტო-მობილო გზები. როგორც ადრე, ისე ამჯერადაც საგზაო მშენებლობის ძირითადი სამუშაო მოსახლეობამ უსასყიდლოდ შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ყარადერეს საავტომობილო გზა, რომელიც მარეთის ხეობაში გადიოდა მდინარე ჩირუხის-წყლის გასწვრივ, 22 კმ-ს უდრიდა, ღორჯომ-ბახმაროსი–24 კმ, ცხემლის–ბახმა-როს-26 კმ, ხოლო სხალთა ბაკოს საავტომობილო გზა 28 კმ-ს (აცსა, ფ.რ- 96, ან. 1, ს. 15, ფურც. 13-15; ს. 122, ფურც. 1-5; თურმანიძე ო. ნბიშკ, 2010:113).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სიმცირის მიუხედავად, ამ გზების მშენებლობისათვის დაიხარჯა 1984 ათასი მანეთი. კაპიტალური ხიდებიდან, რომლებიც XX საუკუნის 20-30-იან წლებში ააგეს, აღსანიშნავია შუახევის (მდინარე აჭარისწყალზე). იგი უჩამბისა და ყარადერეს გზების ბათუმ-გოდერძის ცენტრალურ გზატკეცილთან დამაკავშირებელი იყო. ამ წლებში ექსპლოატაციაში შევიდა ფურტიოს ხიდი აჭარისწყალზე, სხალთის (სხალთისწყალზე), უჩამბის (ყალაბონის ციხესთან), ყარადერე-ოლადაურთან, რიყეთის ხიდი ხულო-რიყეთის გზაზე. საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებ-ლობისა და მოვლა-პატრონობისათვის ხულოს რაიონში შეიქმნა საგზაო გან-ყოფილება. სოფლის ყველა გზას ემსახურებოდა ერთიდან ორი მუშახელი. 1945 წლისათვის ხულოს რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე 155 კმ-ს შეადგენდა. 1946 წელს რაიონის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისათვის გათვალისწინებული იყო 807,5 ათასი მანეთი, ამ წელს გაიყვანეს 7,5 კმ სიგრძის საავტომობილო გზა და ააგეს 4 ახალი ხიდი (აცსა, ფ.რ-2, ან, 1, ს. 1520, ფურც. 9). XX საუკუნის 50-იან წლებში ხულოს რაიონის თითქმის ყველა სოფელში გაყვანილი იყო საავტომობილო გზა, რასაც ეკონომიკურთან ერთად დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში, საავტომობილო ტრანსპორტის განუვითა-რებლობის გამო, მოსახლეობა რაიონულ ცენტრში ფეხით დადიოდა. ბათუმში კი ტვირთი ჩაჰქონდათ ურმის მეშვეობით. ამ საქმეს სპეციალური მეურმეები ემსახურებოდნენ და დაწესებული იყო მგზავრობის გადასახადი. 1940 წელს ხულოს რაიონში ითვლებოდა 25 ავტომობილი (19 სატვირთო და 6 მსუბუქი). სატვირთო ავტომობილები ეკუთვნოდათ სახელმწიფო საწარმოებსა და კოლ-მეურნეობებს. რაიონში არ არსებობდა საერთო სარგებლობის ავტოსაწარმო (აცსა, ფ.რ-176, ან. 1, ს. 690, ფურც. 281). ომამდე და აღდგენით წლებში (1940-1950) ბათუმიდან ხულოს ცენტრამდე მხოლოდ ერთი ავტობუსი მოძრაობდა.

ცხადია, იგი მინიმალურად ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას.

ხულოს რაიონის საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საერთო სარგებლობის ავტოგარაჟის დაარსება. იგი გაიხსნა 1960 წელს, რომელიც მოგვიანებით ავტოსაწარმოდ გარდაიქმნა. საწარმოში თავდაპირველად ითვლებოდა 32 ავტომობილი (19 სატვირთო, 4 ავტობუსი, 9 ტაქსი). საწარმოში 1961 წელს დასაქმებული იყო 51კაცი (მათ შორის 40 მძღოლი, 3 ინჟინერ-მექანიკური მუშაკი და 8 მოსამსახურე). 1961 წელს ხულოს ავტოსაწარმომ გადაიტანა 22 ათასი ტონა ტვირთი, გადაიყვანა 33,1 ათასი მგზავრი, შეასრულა 853, 7 ათასი ტონა კილომეტრი 1690,9 ათასი მგზავრ კილომეტრი (აცსა, ფ. რ-508, ან, 1 სს. 22,36).

ხულოს რაიონის ავტოსაწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომუშავეთა რიცხოვნობა და მომსახურების მასშტაბი წლითიწლობით იზრდებოდა. 1980 წლის ბოლოს საწარმოს განკარგულებაში იყო 77 ავტომობილი (40 სატვირთო, 22 ავტობუსი და 15 მსუბუქი) გადატანილია 131,9 ტონა ტვირთი, გადაყვანილია 576, 2 ათასი მგზავრი, შესრულებულია 3266,1 ათასი ტონა – ტვირთი კილომეტრი და 15025,1 ათასი მგზავრი კილომეტრი. საწარმოში მომუშავეთა რაოდენობა 136-მდე გაიზარდა. 1990 წლის ბოლოს ხულოს ავტოსაწარმოს ავტომობილების რაოდენობა 124-ს უდრიდა (57 სატვირთო, 54 სამგზავრო და 13 მსუბუქი ტაქსი). მომსახურების მასშტაბი რამდენჯერმე გაიზარდა. XX საუკუნის 80-იან წლებში ხულოს რაიონის ყველა მსხვილ დასახლებაში რეგულარულად მოძრაობდა სამგზავრო ავტომობილები.

ხულოს რაიონის სატრანსპორტო განვითარებაში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა ხულო-თაგოს 3 კილომეტრი სიგრძის საბაგირო გზა. იგი აჭარაში რიგით მეორე საბაგირო გზა იყო, რომელიც ექსპლოატაციაში 1985 წელს შევიდა. დაგეგმილი იყო ახალი საბაგირო გზების მშენებლობა, მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გამო დასახული მშენებლობაც შეჩერდა.

ამრიგად, ხულოს რაიონის ეკონომიკამ 1921-1990 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ამ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც 20-იან წლებში განხორციელდა, იყო ფეოდალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ლიკვიდაცია, გლეხობის განთავისუფლება ბატონყმური კაბალისაგან. მეორე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა ეკონომიკის მართვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა და წარმოებაში მანქანური ინდუსტრიის გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანი იყო საგზაო მშენებლობა და საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება, რის შედეგად ქალაქს, დაბასა და

სოფლებს შორის დამყარდა ფართო კავშირურთიერთობა. უარყოფითად ფასდება გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია. ფაქტობრივად სასოფლო-სამეურნეო არტელი გლეხობის ექსპლუატაციის შენიღბულ ფორმას წარმოადგენდა. კოლექტივიზაციის შედეგად გლეხმა დაკარგა თავისუფლება, მას აღარ შეეძლო მეურნეობის ფორმის თავისუფლად არჩევა.

ხელისუფლების სურვილისა და მცდელობის მიუხედავად, ხულოს რაიონში 1921-1990 წლებში ვერ განხორციელდა რეგიონისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. საქმე ეხება რაიონის განტვირთვას ჭარბი შრომითი რესურსებისაგან, ბუნებათსარგებლობის გაუმჯობესებას, ბათუმის მსხვილი სამრეწველო საწარმოების ფილიალის გახსნას. მცდარი ღონისძიება იყო ზარალიანი და ნაკლებად რენტაბელური კოლმეურნეობების ეკონომიკის გაჯანსაღება ბარის მაღალშემოსავლიანი კოლმეურნეობების ხარჯზე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხულოს რაიონის ეკონომიკა ახლებურ მიდგომასა და გააზრებას მოითხოვდა.

Otar Turmanidze

Economic description of Khulo municipality
(1921-1990 years)

Summary

The article discusses natural and labor resources of Khulo municipality.Land use forms.It is mentioned that the Khimshiashvili family was the largest landowner in Khulo municipality.As a result of the agrarian reform, they were deprived of the local lands, many of which were transferred to state ownership, and the rest were distributed to the peasants and the poor.

The article covered the collectivization of peasant farming, which began at the end of the 20th century and ended up before the Soviet Union – Germany war(1940).In the Khulo municipality there were two types of farming: individual (homestead) and collective (agricultural farm).The article describes agricultural economic and financial status of agricultural farm. The paper deals with the main fields of agricultural production: grains, farming, viticulture, potato culture and breeding.

The paper also studied industry and transport. From the industrial fields of Khulo municipality developed timber, light and food industry. Each field is characterized briefly. The conclusion is based on research – the main areas of search.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-2, ანაწერი 1, საქმეები 176, 199, 777 (აცსა, ფ. ან. სს.).
2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-84, ანაწერი 1, საქმეები 53, 141, 146, 175, 188, 231, 327, 382, 421, 625, 627, 646, 689, 1025, 1325, 1423, 1444, 2429, 3154, 3669.
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-96, ანაწერი 1, საქმე 14; ანაწერი 2, საქმე 1.
4. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ–178, ანაწერი 1, საქმეები 48, 119, 188, 336, 690 691, ,718, 793, 801, 855, 874, 877, 888, 915, 921, 1021, 1089, 1349, 1394, 1685, 1849, 1851, 2547, 2998,3314, 3572.
5. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ–263, ანაწერი 1, საქმე 223.
6. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ–1, ანაწერი 3, საქმეები 144, 152, 163, 718, 830.
7. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-1, ანაწერი 15, საქმეები 5, 200, 250.
8. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. რ-170, ან. 1, საქმეები 1073, 1442, 1782, 2150, 2409, 2420.
9. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-96, საქმეები 15, 122, 811, 977.
10. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-508, ანაწერი 1, საქმეები 22, 36.
11. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ–1, ანაწერი 17, საქმე 65.
12. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ–1, ანაწერი 27, საქმე 9.
13. ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში, დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1926-1932 წწ. ბათუმი, 1980 (ბსისმკა).
14. ბრძოლა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1933–1941 წწ. ბათუმი, 1986 (ბსმსრდა).
15. საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1961 (საოწ.)
16. საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1981 (სასწ.).
17. აჭარის სოფლის სამინისტროს მონაცემები (ასმსმ).
18. სტატისტიკის აჭარის სახელმწიფო სამმართველოს მონაცემები (სასს).

19. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 1946, 14 მაისი .

20. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 1948, 11 თებერვალი

21. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 1950, 8 აპრილი, 12 ივნისი, 15 ივლისი

22. ო. თურმანიძე, აჭარის პოლიტიკური და ეკონომიური ისტორია (1921-1940). ბათუმი, 2012 (ო. თურმანიძე, 2012).

23. ო. თურმანიძე, შერიფ ხიმშიაშვილის მემუარული მეურნეობა. კრ. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) აჭარის საარქივო სამმართველო. III. თბილისი, 2013 (ო. თურმანიძე–სდს).

24. ო. თურმანიძე, სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობა აჭარაში (1921-1940 წწ.), ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ტ. X. ბათუმი, 2014 (ნბიშ).

ირინე ვარშალომიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და
არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის დოქტორი

სამაროვნები ხულოს მუნიციპალიტეტიდან

სამაროვნების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონისა თუ ქვეყნის ისტორიის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, სოციალური თუ რელიგიური მდგომარეობის შესწავლისათვის. ხულოს მუნიციპალიტეტში გამოვლენილი არის სხვადასხვა ეპოქის სამაროვნები. ყველაზე ადრეული მიეკუთვნება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას. ესაა ფუშრუკაულის სამაროვანი. სოფელ ფუშრუკაულიდან 1954 წელს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში შევიდა შემთხვევით ნაპოვნი სამარხეული მასალა: ბრინჯაოსა და რკინის ცულები, რკინის შუბისპირი, სალესი, ყუამილიანი დოქები, ორი თასი და სხვ. 1977 წელს განხორციელებული საველე სამუშაოების შედეგად დადასტურდა, რომ ეს ადგილები რკინის ფართო ათვისების ხანაში გამოყენებული ყოფილა სამაროვნად (მამულაძე, 1979:162-172; დავითაძე, 1979:32- 37; კახიძე, მამულაძე, 1993:36-41).

სამარხების მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფი განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება: ვერნები (1977-78 წწ. მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები), თხილვანა (1998-79 წწ.), თიკანაური (1980 წ.), სხალთა (1981-82 წწ.), ვანაძეები (1985 წ), კალოთა (1988 და 1991 წ.). პროფესორმა შოთა მამულაძემ სამარხები დააჯგუფა ტიპების მიხედვით: 1. ორმოსამარხები; 2. ქვის სამარხები, ანუ ქვაყუთები; 3. ამოშენებულ კედლიანი სამარხები; 4. აკლდამა.

ზემოთ ჩამოთვლილთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი (180-დან 169) ორმოსამარხებია. ეს ტიპი ერთ-ერთი ძირითადი და გავრცელებული სახეა აქაურ მკვიდრთა დაკრძალვის რიტუალში. იგი გამოიყენება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხების გამართვის დროს. ყველა სამარხი ორმო დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. დასავლეთ საქართველოს მსგავსი სამაროვნები ჯერჯერობით არაა სათანადოდ შესწავლილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (თხილვანა) მონაცემების მიხედვით კი ჩანს, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში დომინირებს ორმოსამარხები (მამულაძე, 1998:8-9). ქვის სამარხები ხულოს მუნიციპალიტეტში მეტად მცირეა, სულ 8 სამარხი (კალოთა). ისინი შეკრულია 4 ან 6, კარგად დამუშავებული, შირიმის ქვით. ქვაყუთები საოჯახო განსასვენებელი უნდა ყოფილიყო. დამხრობა აქაც

ტრადიციულია – დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ქვაყუთები სხვაგან უცნობია. აღმოსავლეთში კი წამყვანი ადგილი უკავია. აქ გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ქვის სამარხები. ხულოს მუნიციპალიტეტში კი ისინი მხოლოდ კოლექტიური დაკრძალვისთვისაა განკუთვნილი.

ამოშენებულკედლიანი სამარხები – სულ აღმოჩენილია ამ ტიპის 4 სამარხი (ვერნები, სხალთა). მსგავსი სამარხების გვერდითი კედლები მშრალი, ან აქა იქ დუღაბნარევი, დაუმუშავებელი, მოზრდილი ქვებითაა ამოშენებული. ისინი კოლექტიური დაკრძალვისათვისაა განკუთვნილი. მსგავსი სამარხები დასავლეთ საქართველოსთვის უცნობია. აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

ერთადერთი აკლდამა აღმოჩნდა სხალთის მცირე ეკლესიის ტერიტორიაზე. მისი იატაკი მიწის ზედაპირიდან 2,4 მეტრზეა. გვერდები კარგად დამუშავებული თლილი ქვებითაა ამოშენებული. იატაკის დონიდან 1,3 მეტრის სიმაღლეზე გაკეთებულია თარო, რომელსაც ეყრდნობა აკლდამის სახურავი. სამარხში აღმოჩნდა 25-მდე ადამიანის ძვლები და სხვადასხვა კერამიკული მასალა. აღნიშნული სამაროვნების შესწავლა შ. მამულაძეს აძლევს საშუალებას წარმოგვიდგინოს ადგილობრივი მოსახლეობის დამარხვის წესები და რწმენა-წარმოდგენები მთელი განვითარებული შუასაუკუნეების მანძილზე. ორმოსამარხები ძირითადად კოლექტიური დაკრძალვებისთვისაა გამოყენებული. მისი მრავალჯერადი გამოყენება საკვლევი ტერიტორიის ერთ-ერთი თავისებურებაა. სავარაუდოდ საგვარეულო და საოჯახო სამარხებისთვის გამოყოფილი იყო მიწის გარკვეული ტერიტორია. პირველ მიცვალებულს კრძალავდნენ შედარებით ღრმად. მეორადი გამოყენებისას ჩონჩხის ძვლებს მიაწყობდნენ რომელიმე კუთხეში. ან კიდევ, პირველ და მეორე მიცვალებულებს შორის ტოვებდნენ მიწის შრეს. გვხვდება ხშირად მესამე დონეც. მსგავსი დაკრძალვების გზით წარმოიქმნებოდა საოჯახო თუ საგვარეულო სამარხები. გვხვდება ინდივიდუალური ორმოსამარხებიც. ხულოს მუნიციპალიტეტის და საერთოდ აჭარისწყლის ხეობის დაკრძალვის წესები სრულ შესატყვისობაშია საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული კანონიკური წესებისა (მამულაძე,1998:11). სამარხებში მიცვალებულები წვანან გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. საციხურისა და კალოთის სამარხებში მიცვალებულებს სახის არეში რომელიმე ჭურჭლის ნატეხი, ან ჯამი აქვთ დაფარებული. სამარხებზე დაკვირვებით ჩანს, რომ მათთვის ძირითადად გამოყენებული იყო ეკლესიის შიდა და მიმდებარე აღმოსავლეთი თუ სამხრეთი ტერიტორიები. ეს ადგილები გამოირჩევა სამარხების სიმრავლით, სიმჭიდროვითა და მრავალფენიანობით.

ანალოგიური სურათია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ხულოს მუნიციპალიტეტის შუასაუკუნეების სამარხების უმრავლესობა შეიცავდა ინვენტარს: სასმისებს, ჯამებს, ჯვრებს, ბალთას, მონეტას, ბეჭედს, მინის ნაწარმს და სხვ. (მამულაძე,1998:13). სხალთის, ვერნების, საციხურის ზოგიერთ სამარხში დაფიქსირდა ოქრას (წერნაქის) ნარჩენები. პროფესორ შოთა მამულაძის აზრით, ეს შეიძლება იყოს მიცვალებულზე წითელი ფერის ოქრას მოყრის უძველესი წესი, რომლის მიხედვითაც მიცვალებული აღდგენადი, შობადი იყო.

განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ალმეში ნაპოვნი ქვის კუბოც, რომელიც 1938 წელს გადაიტანეს აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და დღემდე იქ ინახება. კუბო წარმოადგენს მთლიანი ტუფის ყუთს, რომლის სიგრძე 192 სმ, სიგანე 51/45 სმ, სიმაღლე 27, 5 სმ. კუბოს ძირში თავთან აქვს ამაღლებული ნაწილი სასთუმლად, კუბოს ნაპირი ამორანდულია იმ მიზნით, რომ მასზე ხუფი კარგად დაიხუროს. შემდგომში იგი გამოუყენებიათ აბდესის წყლისთვის, რის გამოც 6 ნახვრეტი აქვს. მას აქვს 2 ნაწილისაგან შემდგარი თაღოვანი ხუფი, რომელიც გაფორმებულია ცხოველებითა და ჯეირნებით. ხუფის პირველ ნაწილს, თავზე, რგოლში ჩასმული, თანაბარტოტიანი ჯვარი აქვს ამოკვეთილი. მსგავსი კუბოები საქართველოში რამდენიმეა ნაპოვნი. ალმეს კუბოს სავარაუდო თარიღად გ. ჩიტაიას X-XIV საუკუნეები მიაჩნია (ჩიტაია,1940:2-10).

ხულოს მუნიციპალიტეტში გვხვდება ოსმალური ხანის სამარხებიც. მათ შორის დიდ ინტერესს იწვევს სოფელ დეკანაშვილებში გამოვლენილი ბეგების სასაფლაო, რომელიც შესწავლილია ნ. მგელაძისა და თ. ტუნაძის მიერ (მგელაძე, ტუნაძე, 2009; მგელაძე, ტუნაძე, 2014). აღნიშნული სასაფლაო მეცნიერთა თვალსაწიერში ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში მოხვდა. თედო სახოკიამ აღწერა იგი და მიუთითა, რომ აქ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ნათესავები არიან დაკრძალულიო. ბეგების სასაფლაო წერილობით წყაროებში 1874 წლიდან გვხვდება. თუმცა, რა დროიდან აქციეს ხიმშიაშვილებმა იგი საგვარეულო სასაფლაოდ უცნობია. საფლავები განლაგებულია როგორც შენობაში, ისე მის გარეთაც. მეცნიერთა აზრით ბეგების სასაფლაო ხიმშიაშვილთა გვარის წარმომადგენელთა სამარხებითაა შევსებული. ნაგებობის გარეთაც არსებული ორი სასაფლაო ხიმშიაშვილთა კუთვნილება უნდა ყოფილიყო. შენობაში განლაგებული სასაფლაოები ძირითადად ერთნაირია – ოთხკუთხა ფორმის. ისინი თლილი ქვებითაა ნაგები. გვხვდება როგორც დიდი, ისე მცირე ზომის, რაც ბავშვების დაკრძალვაზეც მიუთითებს. განსხვავება მხოლოდ საფლავის ქვების შემკულობასა, ქვის ჯიშებსა და მიწის ზედაპირიდან მათ სიმაღლეში მდგომარეობს. თითქმის ყველა მათგანს მოვლებული აქვს კარნიზი. ყველა საფლავზე ორივე

მხარეს საფლავის ქვები მდგარა. სამარხები დასავლეთისკენაა დამხრობილი. ერთ-ერთი საფლავი გამოირჩევა ქვის დამუშავების ორიგინალობითა და შემკულობით. იგი გადმოცემის მიხედვით სამხედრო პირის იყო. საფლავი ოთხკუთხა ფორმისაა. მიწის ზედაპირიდან მისი სიმაღლე 1,80 აღწევს. ნაგებია მონაცრისფრო ადგილობრივი ქვით. კედლები ორნამენტირებულია და კარნიზი შემოუყვება. საფლავის ორივე მხარეს კარნიზებში სტელის ჩასამაგრებელი ბუდეებია ამოკვეთილი. საფლავზე მიცვალებულის ფეხების მხარეს ორნამენტირებული, ხოლო მის მოპირდაპირედ კი ანთროპომორფული სახის, ანუ ქუდიანი სტელაა აღმართული. ამგვარი ქუდი, ანუ ფესი ისლამური სამყაროს ზედაფენისათვის ფართოდ იყო დამახასიათებელი. სულთან მაჰმუდ II დროს, 1832 წლიდან სახელმწიფო მოხელეებისათვის ფესის ტარება სავალდებულო გახდა. ნ. მგელაძეს და თ. ტუნაძეს ლოგიკურად მიაჩნიათ, რომ ეს სასაფლაო ფესის ტარების უფლების მქონე წარჩინებულ პირს, სახელმწიფო მოხელეს ეკუთვნოდა, რომლის გარდაცვალებაც 1832 წლის შემდეგაა სავარაუდებელი. სტელის წარწერა დაზიანებულია და ამოკითხვა შეუძლებელია (მგელაძე, ტუნაძე, 2014:185). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ საფლავის აღმოსავლეთ მხარეს აღმართული სტელა. იგი 1,6 მეტრი სიმაღლისაა. მასზე რელიეფურად მოცემულია ვაზის სტილიზებული გამოსახულება. ვაზის ღეროები ქვემოთკენ თანდათან მრავლდება და ფართოვდება. მტევნები სამკუთხედის ფორმაზეა განლაგებული.

ამრიგად, ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილ სამაროვნებზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან არსებობს დასახლებული პუნქტი. განვითარებულ შუა საუკუნეებში ფართოდ ყოფილა დასახლებული, მოსახლეობა განვითარების მაღალ საფეხურზე მდგარა, ჰქონიათ გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, დაკრძალვის წესები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია სინქრონული ხანის საქართველოს ქრისტიანულ კანონიკურ წესებთან. ოსმალურ პერიოდის ბეგების სასაფლაო ზემო აჭარის ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია და გვიანი შუასაუკუნეების ხიმშიაშვილთა ფეოდალური საგვარეულოს ესთეტიური გემოვნებისა და ქართული ქვითხუროობის მაღალ დონეს გვიდასტურებს. იგი მდიდარი ინფორმაციის მატარებელია ხიმშიაშვილთა გვარისა და ამ კუთხის ისტორიის შესწავლისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

დავითაძე, 1979:32-37-ი.დავითაძე, გრავირებული ცული სოფელ ფუშრუკაული-დან.-სდსძ, 8, 1979

კახიძე, მამულაძე, 1993:36-41- ა. კახიძე, შ.მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები,ბათ.1993 შ.

მამულაძე, 1979:162-172 -შ. მამულაძე, აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული სოფელ ფუშრუკაულში შემთხვევით აღმოჩენილი მასალები.-სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი,1979

მამულაძე, 1998:8-9-შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების სამაროვნები, ბათ. 1998

მგელაძე, ტუნაძე, 2009 – ნ. მგელაძე, თ.ტუნაძე, ,,ბეგების სასაფლაო“ ხიმშიაშვილთა ფეოდალური საგვარეულოს საძვალე დაბა ხულოში, ეთნოგრაფიული კრებული, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების პერიოდული გამოცემა, მატიანე, თბ. 2009

მგელაძე, ტუნაძე, 2014:185 – ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე, ქართულ-ოსმალური ურთიერთობის შესწავლის მატერიალური წყაროები (მაჰმადიანური საფლავის ქვები), აკად. მ. ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო, საერთაშორისო კონფერენცია,, ისტორიული რეპრეზენტაცია:თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები“, მასალები, თბ.2014

ჩიტაია,1940:2-10 – გ.ჩიტაია, ქვის კუბო ქვემო ალმედან, ენიმკის მოამბე, ტ.VIII, 1940

მაია ჭიჭილეიშვილი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ხულოს მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობა

საეკლესიო ხუროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება:

საქართველოს ძირძველი კუთხე-აჭარა, ქრისტიანობას ჩვ.წ. პირველი საუკუნიდან ეზიარა, აქ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ ქრისტეს მოციქულები – წმინდა ანდრია პიველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა. აქვე აიგო პირველი ქრისტიანული ტაძრები.

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისა და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად ძველი ქართული კულტურის არაერთი ძეგლია გამოვლენილი. წერილობითი წყაროები და გადმოცემები მოწმობენ, რომ ხულოს რაიონი, ისევე, როგორც მაღალმთიანი აჭარის სხვა რეგიონები, გამოირჩეოდა მაღალი სამშენებლო ტრადიციებით.

შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის განვითარების მხატვრული თავისებურებანი სრული სახით საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში აისახა. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში საერო თუ საფორტიფიკაციო ძეგლებს, უმეტესად, საეკლესიო ნაგებობები სჭარბობენ. ამ მხრივ კი განსხვავებული სურათაია აჭარაში. აქ, ისტორიული ძნელბედობის გამო, საკულტო არქიტექტურის დიდი ნაწილი განადგურებულია, თუმცა ეკლესიათა ნაშთები თითქმის ყველა სოფელში შემორჩა. მათი ნაკვალევი შემოინახა ტოპონიმებმა – ჯვარი, ჯვართანი, საყდარი, ნასახტრალი, ნაეკლისევი, ნაქილისვარი, ნამონასტრევი და სხვა. არქეოლოგიურმა გათხრებმა კი საშუალება მოგვცა კვლავ გვეხილა თუ რა დიდი გულმოდგინებითა და ოსტატობით იგებოდა ტაძრები, იქმნებოდა ქრისტიანული ხელოვნების უნიკალური ნიმუშები.

წერილობითი წყაროები, გადმოცემები და არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ აჭარა, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეები, მდიდარი კულტურული და სამშენებლო ტრადიციების მხარე იყო. ამას ადასტურებს XIII ს-ის მოღვაწის – აბუსერისძე ტბელის თხზულებაში – ”ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე” – დაცული ცნობები (მუსხელიშვილი, 1941). წერილობითი წყაროები და ლაპი-

დარული წარწერები მოწმობენ, რომ ეკლესიებისა და ციხესიმაგრეების ძირითადი ნაწილი აქ სწორედ აჭარის ერისთავების – აბუსერისძეთა სახლის წევრების მიერ იგებოდა. ამ გვარის წარმომადგენლები განსაკუთრებული სიქველითა და ღვთისმსახურებით გამოირჩეოდნენ. აღსანიშნავია ტბელის ძმის აბუსერის ღვთისმოსაობა: "პატრონმან ძმამა ჩემმან აბუსერ მრავალი კარგი ხატნი დაასუენა დიდრუანნი: ერთი წმიდისა გრიგოლ პართეველისა**ი** და მეორე წმიდისა დიმიტრისი, მესამე წმიდისა გიორგისი, მეოთხე წმიდისა იოვანე ოქროპირისა**ი,** რომელსა ზედა წმიდა**ი** მოწაფე მისი პროკლე ხატავს სახითა მთავარდიაკონობისა**ი**თა მსახურებად მადლისა მღვდელმთავრობითისა ჯუარის აღპყრობისა მისისა; მეხუთე ხატი საღმრთო**ი**სა პირისა**ი** და მეექუსე ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა**ი** ჩ(ვილედი). ტბელის ძმები – აბუსერი და ვარდანი თავისი დროის მეცენატებიც იყვნენ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მაშინდელ ქართველ მოაზროვნეთა შორის. ამას მოწმობს XIII ს-ის მოღვაწის, არსენ ბულმაისძის მიერ მათდამი გაგზავნილი ეპისტოლე. არსენ ბულმაისძის ბევრი თხზულება – "სვინაქსარი იამბიკური ოთხთა თთუეთანი", "უფალო ღაღატვყავსი", "აქებდითი" ხელთუქმნელისა ხატისა, "ძლისპირნი ზესთგამოთქუმისა **ხ**ელთუქმნელისა ხატისანი", სწორედ აბუსერისა და ვარდანის დაკვეთით დაიწერა. "ეს სამი პირი, ეროვნული ინტერესებით გამსჭვალულნი, აღტყინებული პანეგირისტები არიან ქართველთა სამეფოს სიმტკიცისა და დამოუკიდებლობისათვის"- აღნიშნავს კ. კეკელიძე. გამორჩეული ფიგურაა ტბელის და დიოფალ-დიოფალი ვანენი, რომალმაც „აღაშენა" იოანე მახარებლის (თხილვანის) ეკლესია (კეკელიძე, 1960; ჭიჭილეიშვილი, 2014:145-152).

ტბელის ნაშრომი აჭარაში მდიდარი სამშენებლო ტრადიციების არსებობას ადასტურებს. უდავოა, რომ სამშენებლო კულტურის მაღალ დონეს აქ ხელოსნობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებიც განსაზღვრავდა. კალატოზობა, ხელოსნობა აჭარაში ფართოდ გავრცელებული საქმიანობა იყო. ცნობილია, რომ ოსტატები აქედან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მიეშურებოდნენ სამუშაოდ, რაც მათ თანამედროვე მხატვრული თუ კონსტრუქციული სიახლეების გაცნობის საშუალებას აძლევდა.

სხალთისწყლის ხეობის სათავეებთან, სოფელ **თხილვანაში,** ხიხანის ციხიდან 5 კმ-ის დაშორებით, მდებარეობდა იოანე მახარებლის ეკლესია, რომელიც ტიმპანის წარწერის თანახმად ერისთავთ-ერისთავს აბუსერსა და დედოფალ ვანენს აუგიათ – "წმინდაო იოვანე მახარებელო, დაიცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დიოფალ-დიოფალი ვანენი

და ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათი და მოხაიშნე ექმენ. დღესა მას სასჯელისასა ნუ დასჯი. ამინ.”

თხილვანის ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ ორსაფეხურიანი ცოკოლი და კედლების წყობის ნაშთები. შესაძლებელია, რომ ტაძარი, თავდაპირველად, სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენდა. უგუმბათო ეკლესიის ეს ტიპი ქართული არქიტექტურის ორიგინალური ქმნილებაა და მას ბიზანტიურ სამყაროში ანალოგი არ მოეპოვება. ბაზილიკური ეკლესიები ქართულ ხუროთმოძღვრებაში, ძირითადად, XI საუკუნემდე გვხვდება. თხილვანის ეკლესია სამეკლესიანი ბაზილიკის ერთადერთი გამოვლენილი ნიმუშია აჭარაში (მამულაძე, 1993:87-89,112-114). ასეთ შენობებში ერთმანეთისაგან კედლებით იზოლირებული სამი დამოუკიდებელი სამლოცველო იყო გაერთიანებული. თხილვანაშიც თითქმის კვადრატული გეგმის მქონე (ზომები 13 ხ 11,5) ნაგებობის ნავები აღმოსავლეთით აფსიდებით სრულდებოდა. შუა ნავი გვერდითებზე ორჯერ განიერი იყო. გარედან ტაძარს სწორკუთხა მოხაზულობა ჰქონდა. არქიტექტურული დეტალების მიხედვით ჩანს, რომ ეკლესია ქართული ხუროთმოძღვრების მეორედ აყვავების პერიოდშია აგებული. ცხოველხატული სტილის ძეგლების მსგავსად გრძივი კედლები კამარის საბჯენი თაღების პროფილირებული პილასტრებით იყო დანაწევრებული. შემორჩენილი ნაშთები მაღალი სამშენებლო კულტურის მანიშნებელია.

თხილვანის ეკლესიის ტიმპანის ქვა წარმოადგენს თაღოვანი ფორმის მონოლითურ ფილას, რომელსაც ჰორიზონტალურად განთავსებული შვიდსტრიქონიანი წარწერა და ორნამენტული არშია ამკობს. წარწერებითა და ორნამენტული ჩუქურთმით მორთული ასეთი ტიმპანები, უმეტესად, X-XI სს-ში გვხვდება (ქორეთის ღმრთაების ეკლესია, იშხანი, დოდოთი – X ს., დიდი კლდეისი- XI ს. და სხვ.). ტიმპანის ჩუქურთმა კონცენტრული წრეებისა და სოლისებური ფოთლის მოტივისაგან შედგება. ორნამენტის ეს სახე, თავისი მცენარეული და გეომეტრიული ვარიაციებით X-XI საუკუნეებშია გავრცელებული (ნიქოზი, დოდოთი, ტბეთი, იშხანი, დიდი დიღომი, ზედა ვარძია, ეხვევი, სავანე, კაცხი და სხვ.) და XI ს-ის შუა ხანებიდან თითქმის აღარ გვხვდება. ეს მოტივი ხშირად გამოიყენება პორტალთა დამაგვირგვინებელი არშიების, კარნიზების, თავსართების და სხვა დეტალების შესამკობად. თხილვანაში წარმოდგენილია ამ მოტივის გეომეტრიული ვარიანტი სამრიგა წრეებითა და გრძელი სოლებით. ჩუქურთმისა და თაღოვანი არშიის დამრეცი ზედაპირის ჰარმონიული შეხამება გამომსახველობას ანიჭებს ტიმპანის კომპოზიციას.

თხილვანის ტაძრის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, ეკლესიის ტიპი, სამშენებლო ტექნიკა, არქიტექტურული დეტალები მიუთითებენ, რომ იგი XI საუკუნეზე გვიან არ უნდა იყოს აგებული. ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული საერო პირები ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დიოფალ-დიოფალი ვანენი, სავარაუდოდ, XI ს-ში მოღვაწეობდნენ. XI ს-ის პირველ ნახევარში აბუსერ ერისთავი საკმაოდ გავლენიანი მმართველი გახლდათ, ამ დროისათვის მის მფლობელობაში არტანუჯის, ხიხანის, ციხისჯვარისა და აწყურის ციხეები შედიოდა (სიხარულიძე, 1979: 9-10). აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან ირკვევა, რომ იოანე მახარებლის ეკლესია აბუსერისძეთა საგვარეულო სამკვიდრებელს წარმოადგენდა. მის შემდგომ ”აღშენებასა” და აღდგენაში დიდი წვლილ მიუძღვის მწერლის დას – ვანენს ”რომელმან ეკლესიაი აღაშენა წმინდისა იოვანე მახარობლისაი და ღმრთისმეტყველისაი, სამკვიდრებელი ჩუენი და აღავსო საწყაული კეთილი...” (სიხარულიძე, 1981:13). ტბელის და – ვანენი, ისევე როგორც ამ საგვარეულოს არაერთი სხვა წევრი, გამოირჩეული იყო თავისი ღვთისმოსაობით, სიმხნევითა და სა-ხელგანთქმულებით. იგი გახლდათ მეუღლე ბოცო ბოცოსძე ჩუხჩარეხისა, რომელიც 1226 წელს, ხვარაზმელთა შემოსევების დროს, ძმასთან – მემნა ჯაყელთან ერთად მონაწილეობდა თბილისის დაცვაში. ქალაქის მცხოვრებმა სპარსელებმა მემნა მოკლეს, თბილისის დამცველნი კი ბოცოს მეთაურობით ისანში გამაგრდნენ. 1227 წლის შემდეგ ბოცო ისტორიაში აღარ იხსენიება. ვანენი, რომელმაც აღავსო იოანე მახარებლის ეკლესია ”აღშენებითა” და საბოძვრის გაცემით, მეუღლის სიკვდილის შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა და სახელადაც თავისი წინაპრის ”პაპის პაპისდის” სახელი – ნისიმე იწოდა (სიხარულიძე 1981:13). ამდენად, წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მონაცემების, საფუძველზე ჩანს, რომ თხილვანის ეკლესია გამორჩეული იყო არა მარტო თავისი ისტორიული, არამედ არქიტექტურული და მხატვრული მნიშვნელობით.

ბაზილიკის ტიპის ამ ერთეული ნიმუშის გარდა, განვითარებული შუა-საუკუნეების აჭარაში, სალოცავების ძირითად ნაწილს დარბაზული ეკლე-სიები შეადგენდნენ. მარტივი კონსტრუქციის ამ პატარა შენობებში ნათლად აისახებოდა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ყველა ეტაპის მხატვრული თავისებურებანი. დარბაზული ეკლესიების პოპულარობას გან-საზღვრავდა ტაძრის გეგმისა და კონსტრუქციების სიმარტივე, სამშენებლო მასალის ეკონომიურობა და ის, რომ მისი მშენებლობა მისაწვდომი იყო თითქმის ყველა სოციალური ფენისათვის (ჭიჭილეიშვილი, 2009:3-16).

დარბაზული სალოცავები მდინარე აჭარისწყლის ხეობის, კერძოდ კი, მისი შენაკადების, სხალთისწყლისა და ღორჯომისწყლის ხეობებში IX-X საუკუნეებიდან გვხვდება. აღნიშნული ფაქტი, განვითარებულ შუასაუკუნეებში მაღალმთიანი აჭარის დაწინაურებასა და აქტიურ კულტურულ ცხოვრებაზე მეტყველებს. ეს ბუნებრივია, რადგან ისტორიული პირობები, საქართველოს ერთ-ერთ ძლიერ კუთხესთან – ტაო-კლარჯეთთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობები ხელს უწყობდა ამ პატარა რეგიონის აყვავებას და მის ჩართვას აქტიურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ პროცესებში. მიუხედავად ამისა, კუთხის ასეთი დაწინაურება არ გამოიხატა მასშტაბური ტაძრებისა და მონასტრების მშენებლობაში. მაღალმთიან აჭარაში აქცენტი, ძირითადად, მცირე სალოცავებზე კეთდება, რაშიც მთის რეგიონებისათვის (სვანეთი, რაჭა, სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო – შავშეთ-იმერხევი) დამახასიათებელი ტენდენცია ჩანს.

1980 წელს არქეოლოგიური გათხრების შედაგად გამოვლენილ დარბაზულ სალოცავებს შორის შედარებით ადრეული უნდა იყოს **თიკანაურის ეკლესია**, რომელიც სოფ. ხიხაძირთან ახლოს, მდ. სხალთისწყლის მარცხენა მხარეს იყო აღმართული (მამულაძე, 1993:85-86.). ეკლესიისათვის შერჩეულ მაღალ ადგილს მოსახლეობა "ნასაყდრალს" უწოდებს. ეკლესია საძირკვლის დონემდეა დანგრეული, თუმცა კედლებს აქა-იქ მაინც ემჩნევა მოსაპირკეთებელი კვადრების წყობის რიგები. ეკლესია წარმოადგენდა მცირე ზომის "უაფსიდო" ნაგებობას შესასვლელით სამხრეთიდან (ზომით 7,7 X 5,1 მ.). გადახურული იყო ორფერდა, ქვის ლორფინებიანი სახურავით. კარგად გათლილი პერანგის ქვები და სახურავის ლორფინები სამშენებლო ტექნიკის მაღალ დონეზე მიუთითებენ. ეკლესია, სავარაუდოდ, არქეოლოგიური მასალებისა და სამშენებლო ტექნიკის გათვალისწინებით, IX-X სს-ის მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.

ქრონოლოგიურად ამავე პერიოდს უკავშირდება **საციხურის** ანუ "ჯვართნის" ეკლესია, რომელიც ღორჯომისწყლის ხეობაში, დაბა ხულოდან 15 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ბორცვს, სადაც ტაძარი იდგა მოსახლეობა "ჯვართანს" უწოდებს (მამულაძე, 1993:91-96; მამულაძე, 2000:91-93). ეკლესია პერანგშემოცლილი კედლებისამარაა დარჩენილი. ნაგებობა საკმაოდ მოზრდილი ქვებით საგულდაგულოდ მომზადებულ საძირკველზეა აღმართული (ზომები 8 x 5). შესასვლელი კარი სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთშია გაჭრილი. დარბაზის ნავს აღმოსავლეთით ნახევარწრიული საკურთხეველი ერთვის, რომლის ცენტრში ერთი სარკმელია გაჭრილი, ხოლო გვერდებზე მცირე ნიშებია მოწყობილი. დარბაზის გრძივი კედლები პილასტრების გარეშეა. ინ-

ტერიერი, როგორც ჩანს, ბათქაშით იყო შელესილი, გამოვლენილია მოხატულობათა ნაშთები. ეკლესიის გარე მოხაზულობა სწორკუთხაა. ორსაფეხურიანი ცოკოლი სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული ქვებითაა ნაგები. ცოკოლი და კედლები მოწითალო ტუფის კვადრებით იყო მოპირკეთებული. ისეთი სახასიათო ნიშნები, როგორიც არის ინტერიერის გრძივი კედლების თაღოვანი ნიშებისა და პილასტრების გარეშე წარმოდგენა და ექსტერიერის გადწყვეტაში შეტანილი ფერადოვანი აქცენტები, საციხურის ეკლესიის თარიღს, სავარაუდოდ, IX-Xსს-ით განსაზღვრავს.

ღორჯომისწყლის ხეობაში საეკლესიო ნაგებობებისათვის ადგილის შერჩევის გარკვეული ტრადიციაც იკვეთება. სალოცავების უმეტესობა – ქურდული, ვანაძეები, გელაური, საციხური, ნამონასტრევი და სხვ. მთის ქედების ყველაზე ცხოველხატულ და შემაღლებულ ადგილებზეა აგებული. ისინი, როგორც ციხესიმაგრეები, ერთმანეთთან გადაბმულ ჯაჭვს ქმნიან, ზევიდან გადმოჰყურებენ ხეობას და მთის ფერდობებზე შეფენილ სოფლებს. მთის "მწვერვალებზე" ეკლესიების განთავსების ტენდენცია, შესაძლოა, არა მარტო ღორჯომისწყლის ხეობის სივიწროვითა და მთაგორიანობით, არამედ სტრატეგიული და, გარკვეულად, მხატვრული მოსაზრებებითაც იყო განპირობებული.

X-XI სს-ის ქართული არქიტექტურის თავისებურებანი – აზიდული პროპორციები, ინტერიერის გრძივი კედლების დინამიკური გადაწყვეტა, ფასადების შედარებით მდიდარი დეკორატიული გაფორმება, ჩუქურთმისა და რელიეფური ქანდაკების როლის ზრდა, ნათლადაა გამოხატული **კალოთის** ეკლესიის ხუროთმოძღვრებაში. ეკლესია სხალთისწყლის ხეობის სოფელ კალოთაში მდებარეობს (მამულაძე, 1993:90-91; მამულაძე, 2000:73-76; ჭიჭილეიშვილი, 2009:198-205, 190-197). მისგან ამჟამად მხოლოდ საკურთხევლის კედლისა და კონქის ნაწილია დარჩენილი. ეკლესიის ზომები 8,2 x 4,6 მეტრია. აფსიდის ცენტრში ერთი სარკმელია გაჭრილი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კუთხეებში კი სწორკუთხა ნიშები იყო მოწყობილი. დარბაზის კამარა კედლებსა და ერთ წყვილ პილასტრზე გადადებულ საბჯენ თაღს ეყრდნობოდა. გრძივი კედლების დასანაწევრებლად პილასტრების ასევე ერთ წყვილს ვხვდებით X-XI სს-ის ძეგლებში: გოსტიბე – X-XI სს-ის მიჯნა, კაბერი, ეხვევის "დედა ღვთისა", წეროვანი – XI ს. და სხვ. (Меписашвили, 1979:57-63, 46-57; ბერიძე, 1942:41-48; Чубинашвили ,1976). სამხრეთით კალოთის ეკლესიის ფასადს გასდევდა გრძელი მინაშენი, რომელშიც შესასვლელი, დასავლეთ ნაწილში, ეკლესიის კარის ღიობის პარალელურად, იყო გაჭრილი. X-XI სს-ის მიჯნიდან აჭარისწყლის ხეობაში შეინიშნება დარბაზული ეკლესიების

დაგეგმარების განვითარების ტენდენცია, რაც სამხრეთი ფასადის გასწვრივ გრძელი მინაშენის დაკანონებაში გამოიხატება. განვითარებული შუასაუკუნეების შემდგომ ეტაპზე აქ აგებულ ყველა ტაძარს (კალოთა, სხალთის მცირე ეკლესია, ვერნები, ვანაძეები, სხალთის ღვთისმშობლის ეკლესია) ეკვრის მინაშენი, რომელიც, უმეტესწილად, ეკვდერის ფუნქციას ასრულებს.

კალოთის ეკლესიის ფასადებს, ორნამენტულ ჩუქურთმასთან ერთად, ფიგურული რელიეფებიც ამკობდა. ქვის ფილა ჯვრის წინაშე ხელაპყრობილი ოსტატის გამოსახულებით ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებით იგი X-XI სს-ის მიჯნით შეიძლება დათარიღდეს. ცნობილია, რომ საქართველოში მონუმენტური ქანდაკება აღმავლობას X ს-დან განიცდის. ამ მხრივ კი განსაკუთრებით მდიდარია საქართველოს სამხრეთი რეგიონები: ჯავახეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო. კალოთის ეს რელიეფიც აჭარის ამ მახლობელი კუთხეებისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციის გამოხატულებაა.

XI-XIII სს-შიც, როდესაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ყველაზე დიდი გუმბათოვანი ტაძრები აშენდა, მაღალმთიან აჭარაში სალოცავის უმთავრეს ნაგებობად კვლავ დარბაზული ეკლესია რჩება. ამ პერიოდის ტაძრებს, მეტ-ნაკლებად, ახასიათებს შენობათა მასშტაბებისა და ზომების ზრდა, ინტერიერის დინამიკური გადაწყვეტა, კედლების დანაწევრება თაღოვანი ნიშებითა და კამარის საბჯები თაღების პილასტრებით, მდიდარი დეკორატიული მორთულობა – თაღედების, კარნიზების, კარ-სარკმელთა სახეების მრავალფეროვნება, ჩუქურთმის ფართო რეპერტუარი, სიფაქიზე და არტისტიზმი. სამწუხაროდ აჭარაში სრული სახით არც XI-XII სს-ის დარბაზული ეკლესიები შემორჩა.

XI ს-ის შუა ხანებში უნდა იყოს აგებული **ვერნების** ეკლესია, რომელიც მდინარე სხალთისწყლის მარჯვენა მხარეს, სოფლის ცენტრში ”მადიძირის” ბორცვზე იდგა. მისგან შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი, საფეხურებიანი ცოკოლი და კედლების წყობის რამდენიმე რიგი. ტაძრის სიგრძე სიგანეს თითქმის ორჯერ აღემატება (ზომები 13,5 x 7,5 მ). სამხრეთის ფასადს აქაც გასდევს სტოა. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს – სამხრეთიდან და დასავლეთიდან, რაც ეკლესიის სივრცის მოცულობის გაზრდით იყო განპირობებული. ინტერიერი გრძივი კედლების ორი წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრებითა და კამარის საბჯენი თაღებით სამ მონაკვეთად იყოფოდა. კედლების ასეთი დინამიკური გადაწყვეტა ახასიათებდა განვითარებული შუასაუკუნეების დარბაზულ ტაძრებს (სოხთა – X-XI სს., სავანე – XI ს., ხცისი – 1002 წ. და სხვ.). ეს დეკორატიულ-კონსტრუქციული ელემენტები, ერთის

მხრივ, კედლის სისქის შემსუბუქებას, ნაგებობის მდგრადობასა და, მეორეს მხრივ, ინტერიერში ცხოველხატული ეფექტების შექმნას უწყობდა ხელს. გარედან ეკლესიას სწორკუთხა ფორმა ჰქონდა. საძირკველზე დაშენებულია ორსაფეხურიანი ცოკოლი, რომელიც მოგრძო ზომის კარგად დამუშავებული ქვებითაა ნაგები. კედლები ტრადიციულად მოპირკეთებულია თლილი ქვის კვადრებით, რომელთა წესიერი თარაზული წყობა მაღალი სამშენებლო ოსტატობის მაჩვენებელია. იმპოსტების, კარნიზების, კარ-სარკმელთა მორთულობის ორნამენტული დეტალები მოწმობენ, რომ ვერნების ეკლესია მდიდარი დეკორატიული შემკულობით ხასიათდებოდა (ჭიჭილეიშვილი, 2009:.198-205).

ყურადღებას იქცევს ვერნების ეკლესიის ბალავარის ქვა, რომლის მარცხენა თაღოვან არეზე გამოსახული ასომთავრული წარწერა გვამცნობს, რომ ეკლესია ერისთავებს გრიგოლს, აბუსერს, გიორგის და მათ მემკვიდრეებს აუგიათ. ვერნების ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებებისა და ლაპიდარული წარწერის მონაცემებით უნდა ვიფიქროთ, რომ კალოთის ეკლესიის ერთ-ერთი ქტიტორი იყო ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული გრიგოლ ერისთავი, რომელიც 1046 წელს მონაწილეობდა ღრტილას საეკლესიო კრებაში და მოხსენიებულია ათონის მონასტრის აღაპებში. აღსანიშნავია ერთი საინტერესო დეტალი: ვერნების ეკლესიის ბალავარის ქვაზე წარწერის გარეშე დატოვებულია მარჯვენა თაღოვანი არე, რაც მოწმობს, რომ ოსტატმა პორტალის კომპოზიციის დასრულება ვერ მოასწრო ან მომავლისათვის გადადო. თუმცა უდავოა, რომ ეს სიბრტყე მას უთუოდ წარწერისათვის ჰქონდა განკუთვნილი. ეს მოვლენა შესაძლოა განპირობებული იყო XI ს-ის II ნახევარში მომხდარი ისტორიული ცვლილებებით, რომელსაც აბუსერისძეთა სამფლობელოების – არტანუჯის, ციხისჯვარისა და აწყურის დაკარგვა და, შესაბამისად, მათი გავლენის შესუსტება მოჰყვა (ჭიჭილეიშვილი, 2009:.198-205).

ქრონოლოგიურად შემდგომ პერიოდს უკავშირდება **ვანაძეების** ეკლესია. ეს სალოცავი ზოგჯერ აგარის ეკლესიის სახელით მოიხსენიება, რადგან ძველად ეს სოფელი ღორჯომისწყლის ხეობის აგარის თემში შედიოდა. ეკლესია სოფ. ვანაძეების სამხრეთით საყდრიქედის ბორცვზე იდგა (მამულაძე, 1993: 96-100,117; ჭიჭილეიშვილი, 2009:198-205). ამ ადგილს დღეს ”ნასაყდრალი” ეწოდება. ვანაძეების (აგარის) ეკლესია წარმოადგენდა საშუალო ზომის ნაგებობას გარედან სწორკუთხედში ჩაწერილი საკურთხევლითა და უფრო გვიან აგებული სამხრეთის ორნაწილიანი მინაშენით. საკურთხეველი ერთი სარკმლით ნათდებოდა, დარბაზის კამარა ერთ წყვილ პილასტრზე გადადე-

ბულ საბჯენ თაღს ეყრდნობოდა. მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების საფუძველზე ვანაძეების საყდარი XII-XIII სს-ის მიჯნით თარიღდება. ეკლესიის გაწმენდისას აღმოჩენილი პილასტრების, კაპიტელების, საგულდაგულოდ დამუშავებული ქვის ლორფინების, იატაკის ფილების დეტალები, კარ-სარკმელთა მორთულობისა და ჩუქურთმის ფრაგმენტები მიუთითებენ, რომ ტაძარი მტკიცე სამშენებლო ტრადიციებითა და მდიდარი შემკულობით გამოირჩეოდა. დეკორატიული ტენდენციების გაძლიერების მიმანიშნებელია ორმაგი ლილვით შემკული ცოკოლიც, რომელიც ფართოდაა გავრცელებული XII-XIII სს-ის მიჯნის არქიტექტურაში, კერძოდ კი, ბეთანია-ქვათახევის ჯგუფის ძეგლებში (ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ლამაზი საყდარი, მაღაალაანთ ეკლესია და სხვ.).

სამწუხაროდ, დაკარგულია ვანაძეების (აგარის) ეკლესიის უნიკალური კანკელიც, რომელიც XIX ს-ის 80-იან წლებში პ. უვაროვას ექსპედიციის მიერ იქნა გატანილი სანკტ-პეტერბურგში. კანკელი წარმოადგენდა დეკორატიული ნახევარკოლონებით გამოყოფილ ტიხარს ხუთმალიანი თაღედით და ცენტრში გახსნილი აღსავლის კარით. კანკელის მორთვის სისტემა ყოველი ეპოქის მხატვრულ მოთხოვნათა საერთო მიმართულებებით განისაზღვრება, ამიტომ მისი ისტორია განუყოფელია ქართული ხუროთმოძღვრების, რელიეფური პლასტიკის, ორნამენტის განვითარების ისტორიისაგან. აგარის ეკლესიის კანკელი ხასიათდეობოდა მდიდარი დეკორატიული შემკულობით. მისი ყოველი დეტალი მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით შედგენილი კომპოზიციებით და ორნამენტული ჩუქურთმით არის მორთული. დეკორის სისტემაში ერთადერთი სიმბოლური სახე ტოლმკლავა ჯვარია. ვანაძეების (აგარის) კანკელის მხატვრული გაფორმების ხასიათი, ძირითადად, XII-XIII სს-ის მიჯნის ტრადიციებს ემყარება. მისი მორთულობისათვის დამახასიათებელი სწრაფვა ხაზგასმული დეკორატიულობისაკენ ეპოქის მხატვრულ გემოვნებას შეესატყვისება. კანკელზე წარმოდგენილი მცენარეული თუ გეომეტრიული ფორმები ამავე ეტაპის ქართული არქიტექტურის ძეგლებზე გამოსახული ჩუქურთმის მოტივებიდანაა აღებული. მცენარეული დეკორის გამომსახველობა, ჩუქურთმის ჭრის ხასიათი ორნამენტის პლასტიკური ბუნების წარმოჩენას ემსახურება და მაღალი გემოვნებით, შესრულების არტისტიზმით იქცევს ყურადღებას. ვანაძეების (აგარის) ეკლესიის კანკელის აგებულება, დეკორის მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებანი ამ მცირე ხუროთმოძღვრული ფორმისა და ეკლესიის თანადროულობას ამტკიცებს (ჭიჭილეიშვილი, 2009:190-197).

ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ XIII ს-ის 30-იან წლებში აიგო **ხიხანის ციხის წმ. გიორგის ეკლესია**. ტაძრის მშენებლობის შესახებ აბუსერისძე ტბელი მოგვითხრობს. მისი ცნობით ამ ადგილას უკვე დაშლილი "ძველი სახლოვანი" მდგარა. "ეკლესიის მცირობამ და ერისა ვერდატევამან" აიძულა აბუსერისძენი აქ ახალი ქვის ტაძარი აეშენებინათ. ეკლესიის მშენებლობას ტბელი ძმების – აბუსერისა და ვარდანის "ბრძანებით" შეუდგა. იგი უშუალოდ მეთვალყურეობდა სალოცავის მშენებლობას და შესთხოვდა უფალს მიენიჭებინა მისთვის ეკლესიის სრულქმნის უნარი. ხატოვანია ავტორის თხრობა ტაძრის აგებასთან დაკავშირებული სასწაულების, ფათერაკებისა და სირთულეების შესახებ, რაც, უმთავრესად, ციხის მდებარეობის, მიუვალობის, მასალის დიდ სიმაღლეზე ატანის სიძნელეებით იყო გამოწვეული. ეკლესიის მშენებლობაში დიდი წვლილი სოფელ ბაკოს მცხოვრებლებს გაუღიათ. ავტორის თქმით მათ "მეტის-მეტად მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა **ხ**ელვყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვანებითა აღშენებაი". 1233 წლისათვის, როდესაც აბუსერისძე ტბელის თხზულება დაიწერა, კლესიის მშენებლობა დასრულებული არ იყო. ხიხანის ციხის ეკლესია მასშტაბითა და სიდიდით ბევრად ჩამოუვარდება აჭარისწყლის ხეობის სხვა დარბაზულ სალოცავებს, რადგან იგი, ძირითადად, მძლავრი თავდაცვითი კომპლექსის აუცილებელ დანამატს წარმოადგენდა და მცირე სამლოცველოს ფუნქციას ასრულებდა. საძირკვლის დონემდე დანგრეული ეკლესიის დღევანდელი სახე ხუროთმოძღვრული გადაწყვეტისა და დეტალების შესახებ წარმოდგენას არ იძლევა (ჭიჭილეიშვილი, 2009:198-205).

სხალთის ღვთისმშობლის შობის სამონასტრო კომპლექსი ქართული ხელოვნების საგანძურში ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. იგი მდებარეობს ხულოს რაიონში, მდინარე სხალთისწყლის ხეობაში, ბათუმიდან 100 კმ. დაშორებით. კომპლექსის შემადგენლობაში შედის ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძარი, "მცირე ეკლესია", ჩრდილო აღმოსავლეთით მოთავსებული მარანი-სატრაპეზო და განახლებული ეზოს გალავანი

კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სხალთის მცირე ეკლესია თავდაპირველად X-XI სს-ის მიჯნასზე ააგეს (მამულაძე, 1993:79-82; მამულაძე, 2000: 89-90; ჭიჭილეიშვილი, 2010). იგი წარმოადგენდა მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიას სამხრეთის მინაშენითა და აფსიდის გვერდით განთავსებული ღრმა ნახევარწრიული ნიშებით, რომლებიც სამკვეთლოსა და სადიაკვნოს როლს ასრულებს (ზომები 9,9 x 6,6). საუკუნეების განმავლობაში ნანგრევების სახით შემორჩენილი ეკლესია ამჟამად აღდგენილია.

სხალთის ღვთისმშობლის შობის მთავარი ტაძარი ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოღწეული საეკლესიო არქიტექტურისა და მონუმენტური მხატვრობის ერთადერთი ნიმუში ისტორიულ აჭარაში. საუკუნეების განმავლობაში უმოქმედოდ მიტოვებული ტაძარი, ჟამთა სიავისა თუ გარეშე მტრის ხელყოფისაგან, საგრძნობლად დაზიანდა. ფრესკებზე დაცულ წარწერებსა და ისტორიულ წყაროებში მისი აშენებისა და მოხატვის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ხალხური გადმოცემა კი სხალთის აგებას თამარის სახელს უკავშირებს.

სხალთის ეკლესია სამეცნიერო ლიტერატურაში XIX საუკუნიდან მოიხსენიება. პირველ ცნობებს მის შესახებ დ. ბაქრაძე გვაწვდის. მან 1873 წელს იმოგზაურა აჭარაში. ამ დროისათვის სხალთის ეკლესია ბედის ანაბარა იყო მიტოვებული. დ. ბაქრაძის ცნობით გალავნის დასავლეთით კვადრატულ საძირკველზე აღმართული ქვის სამრეკლო მდგარა. ეკლესიას სახურავი და ქვის პერანგი შემოძარცვოდა, ხოლო სამხრეთის ეკვდერი და დასავლეთის კარიბჭე შერჩენილი ჰქონდა. გალავნის გარეთ კი ძველი საეკლესიო ნაგებობისა და მიწაში ჩაფლული ქვევრების ნაშთები იყო დარჩენილი. დ. ბაქრაძემ სხალთის ეკლესიის აგება "ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საუკეთესო ეპოქას" სახელდობრ X-XIII საუკუნეებს დაუკავშირა. ამავე თარიღს ასახელებენ XIX საუკუნის სხვა მკვლევარ-მოგზაურებიც – გ. ყაზბეგი, პ. უვაროვა, თ. სახოკია, ზ. ჭიჭინაძე და სხვ., რომლებიც სხალთის შესახებ ძალზე მწირ ცნობებს იძლევიან.

თ. სახოკიას მოგზაურობის ჩანაწერებით ჩანს, რომ ცხრაასიანი წლების ბოლოს 1897 წელს ნგრევას გადარჩენილი სალოცავი მგზავრთა და მწყემსთა სასტუმრო თავშესაფრად იყო ქცეული. ავტორი საუბრობს იმ თქმულებებსა და ლეგენდებზე, რომლებმაც მოსახლეობას ტაძრისადმი შიში და კრძალვა ჩაუნერგეს. მკვლევარ-მოგზაურთა ცნობებით (დ. ბაქრაძე, ზ. ჭიჭინაძე) XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეკლესია მეჩეთად ყოფილა გადაკეთებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც, ღვთის რისხვით აქ მოლა დაღუპულა, ტაძარი გადაწვეს. ცეცხლმა დააზიანა ქვედა კედლების ფრესკები, ზედა კი მჭვარტლით დაფარა. მიუხედავად ამისა სხალთის მხატვრობას მაინც აღფრთოვანებაში მოჰყავდა მკვლევარნი. აი რას წერს მის შესახებ ზ. ჭიჭინაძე: "ეკლესია მთლიანად დაფარულია შესანიშნავის ხელოვნურის მხატვრობით. უმეტესი ნაწილი მხატვრობისა დაფარულია ოქროს ფერად. მხატვრობის ხელოვნებას განცვიფრებაში მოჰყავს კაცი ... ეს ძვრიფასი განძი ჩვენის წარსულისა, ძვირფასი საკუთრება ჩვენის მამა-პაპის ხელოვნურის მხატვრობისა დღესაც

კი ცხადად მოწმობს და ნათლად ამტკიცებს ქართველთა ჩინებულს და დიდებულს წარსულს" (ჭიჭინაძე, 1913;173-175; ჭიჭილეიშვილი, 2010:16).

სხალთის ეკლესია საგანგებო მზრუნველობისა და მეცნიერული კვლევის საგანი გასული საუკუნის შუა ხანებიდან გახდა. მის მეცნიერულ შესწავლასა და შენარჩუნებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს – ისტორიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებსა და რესტავრატორებს (რ. მეფისაშვილი, ი. სიხარულიძე, თ. ყაუხჩიშვილი, ი. ჭიჭინაძე, ლ. ხიმშიაშვილი, ლ. ოთარაშვილი, გ. ჭეიშვილი და სხვ.). ისტორიული აჭარის მიწა-წყალზე სრული სახით დაცული წარსულის ეს ერთადერთი ქმნილება მართლაც გამორჩეულია თავისი შესანიშნავი არქიტექტურითა და და კედლის მხატვრობით.

ეკლესია მდინარე სხალთისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მთის მოვაკებულ ტერასაზეა აღმართული. იგი დარბაზული ტიპის არქიტექტურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნიმუშია. აჭარისწყლის ხეობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ეკლესიებისაგან განსხვავებით სხალთის ეკლესიის თავისებურებას შვერილი შვიდწახნაგოვანი აფსიდი და სამხრეთის კარიბჭე წარმოადგენს.

სხალთის ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – სამხრეთისა და დასავლეთის. სივრცე, რომელსაც მაღალი, განიერი, სწორკუთხა ნავი და ღრმა აფსიდი შემოსაზღვრავს, ხალვათია და ერთიანი. საერთო კომპოზიციური გადაწყვეტის ხასიათი, ხუროთმოძღვრულ ფორმათა გამომსახველობა, დინამიკურობა, სისადავე, სიზუსტე მონუმენტურობას ანიჭებს ინტერიერს. შენობის შიგა კედლები თანაბარი ზომის, კარგად გათლილი ქვის კვადრებითაა მოპირკეთებული. გრძივ ღერძზე განთავსებული პროფილირებული პილასტრები, კედლებისა და კამარის საყრდენი თაღები დარბაზულ ნაწილს სამ მონაკვეთად ყოფს. საკურთხეველი შედარებით მძიმე, წაკვეთილი ფორმის პილასტრებზე ამოყვანილი განიერი თაღით არის გამოყოფილი. აფსიდის გვერდით ნაწილებში მცირე ზომის სადგომებია გაჭრილი, რომელთა თავზე სათავსო თუ სამალავია მოწყობილი. ღრმა სადგომები გვერდითი სათავსოების გადაგვარებულ სახეს იძლევიან, ზომების სიმცირისა და დამუშავების ხასიათის გამო მათ ნიშები შეიძლება ეწოდოს. საკურთხევლის კედელი დანაწევრებულია კონქის კარნიზით, ჰორიზონტალზე მოთავსებული სამი განიერი სარკმლისა და ნიშების რიგით. საკურთხევლის სამსარკმლიანი კომპოზიცია გარეთ გაზიდული აფსიდის მოტივით უნდა იყოს განპირობებული, რადგან, ტრადიციისამებრ, შვერილ აფსიდებზე სამი სარკმელია მოთავსებული. ასეთივე გადაწყვეტას ვხვდებით XIII ს-ის გუდარეხის, ბოსლების სამების, ლიხაურის ერთნავიანი ეკლესიების აფსიდებზეც, რაც დარბა-

ზულ ნაგებობებში გუმბათოვანი ტაძრების მოტივთა შეჭრით უნდა იყოს გამოწვეული. კედლები ტრადიციულად მოპირკეთებულია თლილი ქვით, კამარის შუაგულში კი გამოყენებულია რიყის ქვა. ქვის წყობა, ოსტატურად გამოყვანილი ფორმები წარმოაჩენს მასალის კონსტრუქციულ და მხატვრულ შესაძლებლობებს. ჩრდილოეთის მხარეს ეკლესიას მცირე მინაშენი გააჩნდა. სხალთის ინტერიერის ხუროთმოძღვრული კომპოზიცია და კედლების თლილი ქვით მოპირკეთება გვაფიქრებინებს, რომ ქტიტორებს ეკლესიის ფრესკებით შემკობა თავიდანვე განსაზღვრული არ ჰქონდათ.

სხალთის ინტერიერის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა XIII ს-ის ქართული არქიტექტურის თავისებურებებს ავლენს. კამარის ქუსლის ჰორიზონტალური სარტყელი, პილასტრთა შვერილები, წახნაგოვანი კაპიტელები ლოგიკურ აქცენტს ქმნიან ფორმათა ურთიერთდაპირისპირებისა და გაწონასწორებისათვის. ვერტიკალური ღერძის შესუსტების ტენდენცია ქართულ არქიტექტურაში XIII საუკუნის შუა ხანებიდან ძლიერდება და ცხოველხატული სტილის გვიანდელი ეტაპის ძეგლებისათვის საერთო მახასიათებლად გვევლინება. სხალთაში ცხოველხატული სტილის დამამთავრებელი საფეხურის ჯერ მხოლოდ ადრეული ნიშნებია გამოვლენილი.

ექსტერიერის კომპოზიცია რამდენადმე მოკლებულია შიდა სივრცისათვის დამახასიათებელ ძიებებსა და ცხოველხატულობას. ეკლესიის გარეგნული ფორმები მასიური და მძიმეა. ტაძარი ორსაფეხურიან ბაზისზეა აღმართული. დარბაზული ნაწილი ორქანობაა გადახურული, ხოლო აფსიდი კონუსური ფორმის სახურავით. ფასადების კომპოზიცია გამოირჩევა სისადავით. მის მორთულობას კარ-სარკმელთა ორნამენტული დეკორი შეადგენს. შენობის მხატვრულ სახეში დიდი როლი ენიჭება თლილი ქვის კედელს, გლუვ ზედაპირს, დეკორატიული ელემენტების "ფერადოვან" აქცენტებს. ჩუქურთმა შედარებით მშრალია და დაქუცმაცებული, ნახატი კი მჭიდრო. სამხრეთის კარიბჭე, რომელიც რამდენადმე უფრო გვიანაა მიშენებული, თავდაპირველად სამი ნაწილისაგან შედგებოდა და მთელ სიგრძეზე გასდევდა ფასადს. კარიბჭეები და ჩრდილოეთის მინაშენი ამჟამად აღდგენილია.

სხალთის არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტაძარს შუალედური ადგილი უჭირავს XIII ს-ის პირველი მესამედისა და XIII-XIV საუკუნის მიჯნის ძეგლებს შორის. თამარისა და მის მემკვიდრეთა მეფობის ხანაში ქართული არქიტექტურის მეორედ აყვავების პერიოდი (X საუკუნის დასასრული – XIII საუკუნის პირველი ნახევარი) დასრულდა. ცხოველხატული სტილის განვითარების დამამთავრებელი საფეხური XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე იკვეთება. XIII საუკუნის შუა ხანებიდან

ქართულ არქიტექტურაში თავს იჩენს ზოგი ახალი თავისებურება: ეკლექ-ტიზმი, მხატვრული მთლიანობის რღვევა, პროფესიული დონის დაქვეითება; აზიდულ პროპორციებს ადგილს უთმობს ზომიერება, ფორმათა მასიურობა და სიმძიმე, დეკორატიული შემკულობის სისადავე; ორნამენტი კარგავს პლასტიკურობასა და სიცხადეს. სხალთა იმ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებშიც ჩანს ძველი ნორმების რღვევისა და ახლის ძიების ნიშნები. მას ანალოგები ამ ორ საფეხურს შორის გარდამავალი ხასიათის ძეგლებში მოე-პოვება. სამშენებლო ოსტატობის ტრადიციები სხალთაში ჯერ კიდევ მყარია. ეპოქისათვის დამახასიათებელი ახალი ნიშნები, უმთავრესად, ძეგლის პროპორციების ხასიათსა და ორნამენტული დეკორის შესრულებაში ვლინ-დება. სხალთის არქიტექტურა თავის ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი ნიჭისა და დახვეწილი მხატვრული გე-მოვნების გამოხატულებაა (ჭიჭილეიშვილი, 2010).

ტაძარი კარიბჭითურთ მთლიანად იყო მოხატული. დღეისათვის ფრეს-კები ძირითადად საკურთხეველში, კამარასა და დასავლეთ კედელზე შე-მორჩა. მხატვრობა ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით არის მოღწეული, თუმცა ალაგ-ალაგ დარჩენილი ფრესკების დეტალები მეტ-ნაკლებად სრული სისტემის აღდგენის საშუალებას გვაძლევს.

საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია „ვედრების" კომპოზიცია – საყ-დარზე მჯდომარე მაცხოვრის, ცეცხლოვან ბორბლებზე გამოსახული სერა-ფიმისა და ტეტრამორფის, ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მა-ვედრებელი ფიგურებით. „ვედრება" უფლის დიდების, მეორედ მოსვლის, ქომაგობის იდეას გამოხატავს. სხალთის საკურთხევლის კონქში ამ სცენის გამოსახვა ქართული ტრადიციებისადმი ერთგულების დამადასტურებელია. საკურთხევლის აფსიდის მეორე რეგისტრში გამოსახულია უფლის მადიდე-ბელი ანგელოზები, ქვემოთ კი მედალიონებში წარმოდგენილი წმინდანები. აფსიდის შუა სარტყელი „ზიარების" სცენას ეთმობა. აქ შემორჩენილია მოციქულთა რამდენიმე ფიგურა შესაბამისი ქართული ასომთავრული წარ-წერებით. იკონოგრაფიურლი ტრადიციის თანახმად, ქვედა მეოთხე რიგში გამოსახულნი არიან მღვდელმთავრები. სატრიუმფო თაღზე წარმოდგენილია „ჯვრის ამაღლების" კომპოზიცია. დარბაზის კამარაზე მოხატულობა სამ რე-გისტრად ნაწილდება. „ზეციურ ზონაში" გამოიყოფა საუფლო დღესასწაუ-ლის ოთხი სცენა: „ხარება", „ფერისცვალება", „ამაღლება", „სულიწმინდის მოფენა". კამარის ჩრდილოეთსა და სამხრეთ კალთებზე კი გამოსახულია ისტორიული თანმიმდევრობით წარმოდგენილი ქრისტეს ცხოვრების სცენე-ბი: „შობა", „მირქმა", „ნათლისღება", „ლაზარეს აღდგინება", „იერუსალიმს

შესვლა", „საიდუმლო სერობა", „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში", „ოცდაათი ვერცხლი იუდასათვის", „იუდას ამბორი", „ქრისტე კაიაფას წინაშე", „ჯვრის ზიდვა", „ჯვრის აღმართვა", „ჯვარცმა", „გარდამოხსნა", „დატირება", „ჯოჯოხეთად შთასვლა", „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა". კამარის საბჯენ თაღებზე იკითხება მამამთავართა და წინასწარმეტყველთა რამდენიმე ფიგურა. ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია „ჩვილთა მოწყვეტისა" და „ღვთისმშობლის მიძინების" კომპოზიციათა ფრაგმენტები. სამხრეთის კედლის ნიშში გამოსახულია სცენები იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებიდან: „ანგელოზის გამოცხადება ზაქარიასადმი", „ანგელოზის მიერ ყრმა იოანეს უდაბნოში წაყვანა". დასავლეთის კედელი მთლიანად „დღე განკითხვის" გრანდიოზულ კომპოზიციას ეთმობა, რომელსაც ორგანულად ერთვის კარის თავზე გამოსახული „ვედრების" სცენა.

იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები სხალთის მოხატულობას XIV-XV საუკუნეების პალეოლოგოსთა სტილის ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშებთან აკავშირებს. ბიზანტიიდან მომდინარე პალეოლოგოსთა ხელოვნების ნიშნები ქართულ მხატვრობაში XIII საუკუნის დასასრულისა და XIV-XV საუკუნეების პირველი ნახევრის ძეგლებში იჩენს თავს. თუმცა ახალი სტილის ნიშნებთან ერთად, ამ ეტაპის ქართული ფერწერის თავისებურებებს მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი ტრადიციებიც განსაზღვრავს.

სხალთის მხატვრობაში წარმოდგენილი ქრისტეს ცხოვრების სცენების გარკვეული ნაწილი XI-XIII სს-ის ქართულ ხელოვნებაში დამკვიდრებულ და ფართოდ გავრცელებულ იკონოგრაფიულ ვერსიებს ემყარება, ხოლო ბევრი მათგანი პალეოლოგოსთა ხელოვნების სიახლეებით საზრდოობს.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა "ქრისტეს შობის" კომპოზიცია, რომელიც განსხვავდება XI-XIII ს-ის ქართულ ფერწერაში დამკვიდრებული ლაკონური და კომპაქტური რედაქციებისაგან. „ქრისტეს შობის" სცენა აერთიანებს ღვთისმშობლისა და ჩვილის, ანგელოზთა დასის, იოსების ფიგურებს, მოგვთა მოგზაურობის – მსვლელობისა და გამგზავრების, მოგვთა თაყვანისცემის, მწყემსთა ხარების, სალომეს სასწაულის, ჩვილის განბანებისა და ეგვიპტედ ლტოლვის ეპიზოდებს. მოგზაური მოგვების ფიგურები ქართული კედლის მხატვრობაში XIV ს-დან გვხვდება (სორი – XIV ს., გელათის წმ. გიორგი- XVI ს., ხონი, ნიკორწმინდა –XVII ს.), თუმცა სხალთისაგან განსხვავებით, უმთავრესად, გამოისახება მხოლოდ მოგვთა მოგზაურობა და არა მათი მოსვლა და გამგზავრება. იაკობისა და ფსევდო მათეს აპოკრიფული სახარების თანახმად სხალთის "შობის" კომპოზიციაში ჩართული მსახუ-

რი ქალების მსვლელობის ეპიზოდი, რომელიც სალომეს ურწმუნოების გამო მოხდენილ სასწაულს გადმოგვცემს, იშვიათია ბიზანტიურ ხელოვნებაში, ხოლო ქართული მონუმენტური ფერწერის ძეგლებში დადასტურებული არ არის. ქართული რედაქციებისათვის ასევე უცხოა „შობის“ კომპოზიციაში “ეგვიპტედ ლტოლვის” ეპიზოდის ჩართვაც.

ამდენად, თვალსაჩინოა, რომ კანონიკური და აპოკრიფული ტექსტებით გავრცობილ სხალთის კომპოზიციაში წარმოდგენილია ქრისტეს შობის თითქმის მთელი ციკლი, რომელიც განვითარებულია მოხატულობის დასავლეთ ნაწილში – ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილი „ჩვილთა მოწყვეტისა“ და სამხრეთ-დასავლეთის ნიშში გამოსახული იოანე ნათლისმცემლის ბავშვობის სცენებით. „შობის“ ციკლს სხალთის მხატვრობაში უჭირავს ისეთივე მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც შობის ლიტურგიას საეკლესიო ღვთისმსახურებაში. ტაძარში განფენილი სცენები, თავის მხრივ, წარმოადგენენ შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საკითხავების ერთგვარ ილუსტრაციას.

სხალთის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამის თავისებურებას, ასევე, ძალზე იშვიათი რედაქციებით გამოსახული კომპოზიციები განსაზღვრავს. ასეთია „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში“ და „ჯოჯოხეთად შთასვლა“, რომელთაც ქართულ ხელოვნებაში ანალოგები არ მოეპოვებათ. ასევე იშვიათია ქართულ მონუმენტურ ფერწერაში იოანე ნათლისმცემლის ბავშვობის ციკლის გამოსახვაც.

აღნიშნული მაგალითები მოწმობენ, რომ სხალთის მომხატველი ოსტატები მრავალფეროვანი იკონოგრაფიული წყაროებით საზრდოობდნენ. იცნობდნენ იმდროინდელი ქართული და ბიზანტიური ფერწერული სკოლების ნიმუშებს, მონუმენტური კედლის მხატვრობის ძეგლებს, ხელნაწერთა მინიატურებს, იკონოგრაფიული სცენებისათვის განკუთვნილ სპეციალურ დედნებს, თუმცა არ ახდენდნენ მათ კოპირებას. სხალთის მოხატულობაში წარმოდგენილი კომპოზიციების იშვიათი იკონოგრაფიული რედაქციების ზუსტი ანლოგების არარსებობა მხატვრობის ორიგინალობასა და თვითმყოფადობაზე მეტყველებს.

სხალთის მოხატულობის სისტემაში საგანგებოდ შერჩეული ყველა ელემენტი გარკვეული იდეური არსის მატარებელია და ტრადიციული თემების მწყობრი, პოლიფონიური სისტემით გამოსახვის პრინციპს ემყარება. სხალთის მხატვრობის ძირითადი იდეა უკავშირდება უფლის გამოცხადება – მეორედ მოსვლასა და ხსნას. ქრისტოლოგიური ციკლის კომპოზიციებში ცხადდება ქრისტიანული მრწამსის – უფლის განკაცების, ვნების, აღდგომის,

სამოციქული ეკლესიის დაფუძნების, მეორედ მოსვლის დოგმატები. ქრისტიანული მრწამსის სრული განფენა ტაძარში უფლის ტრიუმფის, საშინელი სამსჯავროს მოლოდინითა და სამოციქული ეკლესიის საიდუმლოების – ზიარების გზით ადამიანთა ხსნის იდეისაკენ წარმართავდა მლოცველის გონებას. სხალთის ღვთისმშობლის ეკლესიის მხატვრობაში სამყაროს აღსასრულის იდეის განსაკუთრებული გამოყოფა შესაძლოა განპირობებული იყო არა მარტო ამ ეპოქის მსოფლმხედველობით, არამედ ამ კუთხის სულიერი შვილის – აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობითაც, რადგან ესქატოლოგიური შეხედულება ნათლად ვლინდება – მის თხზულებაში „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა და განგებითა". სხალთის მხატვრობაში, ასევე, გამოხატულებას პოვებს ისიხაზმის შეხედულებები, რაც „ ფერისცვალების" კომპოზიციის განსაკუთრებულ აქცენტირებაში, წმინდანთა და მარტვილთა ფიგურების სიმრავლეში, იდუმალი ღიმილითა და ნეტარებით გასხივოსნებულ სახეებში იჩენს თავს.

სხალთის მოხატულობის მხატვრულ გადაწყვეტაში გამოვლინდა XIV-XV სს-ის ქართული მონუმენტური ფერწერის თავისებურებები: მონუმენტურობის შესუსტება, სცენების, ცალკეული ფიგურებისა და ორნამენტის განთავსების „ხალიჩისებური" პრინციპი, საერთო სტუქტურის თავისუფლება და დინამიურობა, სივრცობრივი ამოცანებისადმი ინტერესი და სხვა. ფიგურებს ახასიათებს მცირე ზომები, დაგრძელებული პროპორციები, პატარა თავები, ნაზი კიდურები, თავისუფალი, მსუბუქი მოძრაობები. სახეებისა და ტანისამოსის წერის მანერა „ფერწერულ" ხერხებს ეფუძნება. ფერთა ლაქების დამატებითი ტონებით დამუშავება მოცულობრივ ფორმებს გამოავლენს და ფრესკებს სადაფისებურ ელვარებას ანიჭებს. მხატვრულ სახეთა ემოციურობის თავშეკავებული გადმოცემა, მოხატულობის ნათელი, მაგრამ შედარებით ცივი კოლორიტი, ნახატისა და ხაზის ხასიათი სხალთის მხატვრობის თარიღს XIV-XV საუკუნეების მიჯნით განსაზღვრავს და სიახლოვეს ამავე პერიოდის ნიმუშებთან (წალენჯიხისა, ხობის ვამეყ დადიანის ეკვდერი – 1384-1396 წწ.; ნაბატევი – 1412-1431 წწ. და სხვა) ამჟღავნებს.

მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები და ფრესკებზე გამოსახული ქართული ასომთავრული წარწერები, თავის მხრივ, მიუთითებენ, რომ ტაძრის მომხატველი ოსტატები ნიჭიერი ქართველი მხატვრები იყვნენ, რომელთაც, შესაძლოა, გარკვეული კავშირი ჰქონდათ ბიზანტიური სამყაროს სხვა კულტურულ ცენტრებთან.

სხალთის მოხატულობის გააზრებული თეოლოგიურ-იკონოგრაფიული პროგრამა, მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტა, კოლექტიურად შეთანხმე-

ბული ამქრის მუშაობა, ოსტატთა პრიფესიული დონე მიუთითებს, რომ სხალთის ფერწერული ანსამბლის დამკვეთნი სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებული საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. სხალთის მოხატულობის დამკვეთად, ისევე, როგორც აღმშენებლებად, აბუსერისძეთა სახლის წარმომადგენლები უნდა ვიგულოთ. მითუმეტეს, რომ ამის საფუძველს გვაძლევს თვით მხატვრობის თეოლოგიური პროგრამა, რომელშიც ჩანს არა მარტო ეპოქის სულისკვეთება, არამედ ტბელის მემკვიდრეობისა და მსოფლმხედველობის ანარეკლი.

ამდენად, სხალთის ეკლესიის ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის მაგალითზე ნათელია, რომ აჭარას – საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს, თავისი წვლილი შეჰქონდა ქართული ქრისტიანული კულტურის საგანძურში, ხულოს შემოგარენი კი განსაკუთრებულად დაწინაურებული რეგიონია შუა საუკუნეებში.

მუსლიმური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:

აჭარაში შემორჩენილი მეჩეთები ქართული ხალხური ხითხუროობის უნიკალური ძეგლებია. გასული საუკუნის დასასრულიდან ინტენსიურად მიმდინარეობს მათი განახლება, რის გამოც ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღემდე მოქმედი ხის მეჩეთების უმეტესობა მხოლოდ ნაწილობრივ ინარჩუნებს პირველქმნილ ელემენტებს. ჯამეების არქიტექუტრაში ხალხური ხელოსნობის ტრადიციების შესუსტება შედარებით მარტივი და მხატვრულობას მოკლებული თანამედროვე ფორმების დამკვიდრებაში ვლინდება. გვხვდება ისეთი უნიკალური ნუმუშები, რომლებშიც ნათელ გამოხატულებას პოვებს ქართული ჯამეების არქიტექტურული სივრცის ხასიათი, ხეზე კვეთილი ჩუქურთმის მრავალფეროვანი მოტივები, შიდა სივრცის საინტერესო ფერწერული დეკორი. ქვით ნაგებ მეჩეთებშიც მნიშვმელოვან როლს ხის დეკორატიული შემკულობა ასრულებს.

აჭარული ხის მეჩეთები ქართულ ტრადიციებთან ღრმად დაკავშირებული ფენომენია, მათი გადაწყვეტა ეფუძნება ისლამის საკულტო არქიტექტურის კანონიკასა და ქართულ, ადგილობრივ ტრადიციებს. ამასთანავე, ჯამეები მხატვრულ-კონსტრუქციული თავისებურებებით დიდადაა დავალებული მისი წინამორბედი ეკლესიებისა და საცხოვრებელი სახლების არქიტექტურისაგან (ვარშალომიძე, 2010:423).

თვალსაჩინოა ჯამეებისათვის ადგილის შერჩევისა და ბუნებასთან შერწყმის ტრადიცია. ისინი აგებულია საზოგადოებრივი თავშეყრისათვის ხელსაყრელ ადგილებში. შენობის ირგვლივ, თითქმის ყველგან, დაცულია

მწვანე საფარი, ეზო. ჯამეს გარეგნული იერი აჭარული ტიპის "ოდა-სახლის" მსგავსია. ქვის საძირკველზე აღმართული ხის ორი ან სამსართულიანი ჯამეს შენობა, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ხასიათდება ერთგვარი ავტონომიურობით. კამერული მასშტაბის მიუხედავად მაღალი ქვის ცოკოლზე დამყარებული ნაგებობა, ვერტიკალური მოცულობრივი სტრუქტურით, გარემოსთან დამაკავშირებელი აივნით, ფიცრული კედლის სიბრტყეებით, ხალვათად განაწილებული ფანჯრის ღიობებით, დახურული სივრცით აჭარული საცხოვრებელი სახლებისათვის დამახასიათებელი მცირე "ციხესიმაგრის" შთაბეჭდილებას ტოვებს. საცხოვრებელი შენობების ასეთი ერთგვარი "ჩაკეტილობა" ისლამური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ნიშანია (Гараканидзе, 1959:81-82), თუმცა ეს თავისებურება შესაძლოა მთის რეგიონის სპეციფიკითაც იყოს განპირობებული. აჭარის მეჩეთების ექსტერიერი, ფასადების გადაწყვეტა ხასიათდება უბრალოებითა და სიცხადით. წაბლის ან სხვა ჯიშის ხის მუქი მონაცრისფრო ან მოყავსიფრო-შავი ტონების ფერადოვნება, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ძელების მჭიდრო წყობა, ასიმეტრიულად გაჭრილი სწორკუთხა ფანჯრები, "გადმოფენილი" სახურავი და მისგან დაცემული ჩრდილი რამდენადმე "იდუმალ", ასკეტურ იერს ანიჭებს ნაგებობას.

მეჩეთები ძირითადად გათლილი ან დაუმუშავებელი ქვის საძირკველს ეფუძნება. კვადრატული ფორმის შენობა გადახურულია საცხოვრებელი სახლებისათვის დამახასიათებელი კარვისებური, ოთხფერდა სახურავით, რომლის კიდეები ზოგჯერ ძლიერ შვერილია. ინტერიერი ხასიათდება ნათელი სივცრულ-მოცულობრივი სტრუქტურით, მეტ-ნაკლებად მდიდარი დეკორატიული შემკულობით. ინტერიერის გადახურვის მრავალფეროვანი ფორმები (გუმბათი, გვირგვინი, "ხონჩისებური"- ბრტყელზედაპირიანი გადახურვა), რომლის ძირითად ბირთვს შეადგენს კვადრატებად დაყოფილი უჯრედები და მხატვრულ-კონსტრუქციულად აქცენტირებული ცენტრალური ნაწილი, ავლენს ქართული ხითხუროობის უძველეს ტრადიციებს. ჯამეების ფერწერულ შემკულობაში წარმოდგენილია მცენარეული, ასტრალური და გეომეტრიული ორნამენტული მოტივები, არაბული წარწერები, რომელთა ორნამენტული სტრუქტურა შესანიშნავად ეხამება სარიტუალო ფორმების დეკორატიულ მორთულობას. მცენარეული სახეებიდან ფართოდ გავრცელებულია შროშანის მოტივი, რომელიც საქართველოში ადრეული შუა საუკუნეებიდან გვხვდება და აღორძინებისა და სიცოცხლის სიმოლოდაა მიჩნეული (ვარშალომიძე, 2010:439).

ქართული ხითხუროობის ტრადიციები თვალსაჩინოა მეჩეთების სვეტების, ინტერიერის ორნამენტული ჩუქურთმის ხასიათში, რომლებშიც გვხვდება შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისა და ხეზე კვეთილობის ნიმუშებში დადასტურებული მოტივები. მაგალითად, მეჩეთების დეკორის ფერწერულ თუ გამოკვეთილ ორნამეტებს შორის გვხვდება საქართველოში გავრცელებული სამეურნეო კულტურები: ვაზი, სიმინდი, ბროწეული, ვაშლი და სხვ. გვიანი ხანის აჭარაში მეჩეთების, საცხოვრებელი სახლების, ხეზე კვეთილობის ნიმუშების ორნამენტულ დეკორში დადასტურებული ჯვრის მოტივები ტრადიციული სიმბოლიკის, რწმენა-წარმოდგენებისა და წეს – ჩვეულებების გამძლეობას მოწმობს. ჯამეების აგება და მის დეკორში გამოყენებული მაღალმხატვრული დონის კვეთილი და ჭვირული ჩუქურთმები ადგილობრივი და უმთავრესად ლაზი ოსტატების ხელოვნებასთანაა დაკავშირებული.

მუსლიმური სამლოცველოების მშენებლობა ინტენსიურ ხასიათს XIX საუკუნეში იღებს. ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული მეჩეთების დიდი ნაწილი XIX და XX საუკუნის დასაწყისშია აგებული (ბეღლეთი, დანისპარაული, რიყეთი, პაქსაძეები, ფუშრუკაული, თხილვანა, ხიხაძირი, ჩაო, თაგო, საციხური, ღორჯომი, დიდაჭარა და სხვ.).

ხულოს ქვის მეჩეთი აშენებულია XX საუკუნის დასაწყისში, ადრინდელი, XIX საუკუნეში აგებული თავდაპირველი შენობის ადგილას. მისი ექსტერიერი განსხვავდება ტრადიციული ხის მეჩეთებისაგან. ერთსართულიანი ქვის შენობის შელესილ ფასადებზე მკვეთრად გამოიყოფა ქვის წყობით მოპირკეთებული კუთხეები და თაღოვანი სარკმლები, ხის მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტებით მორთული ინტერიერი სახეცვლილია თანამედროვე კონსტრუქციული ფორმებით.

ღორჯომის მეჩეთი აგებულია 1902 წელს ლაზი ოსტატის, ომერ უსტას მიერ. იგი ხასიათდება უხვი დეკორატიული და ფერწერული შემკულობით. ღორჯომისა და ნიგაზეულის მეჩეთებში გვხვდება სიმინდის მოტივები (ვარშალომიძე, 2010:433), რაც აჭარაში მოგზაური ლაზი ხუროების ემბლებას წარმოადგენდა. ამავე ტრადიციას უნდა უკავშირდებოდეს საზღვაო გემის გამოსახულება ღორჯომის, ასევე დღვანის, გოგაძეების (შუახევის მუნიციპალიტეტი) საკულტო ნაგებობათა ფასადებზე. მუსლიმურ საკულტო ძეგლებში მრავლად დადასტურებული ვაზის მტევნის ორნამენტი ჩანს ღორჯომის, თხილვანის, აგარის, ასევე შუახევის სოფლების ჯამეებში, რაც გარკვეულწილად ქართული ტრადიციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ (ვარშალომიძე, 2010:436-437)

ლაზი ოსტატების მიერაა აგებული 1831-1832 წლებში სოფელ საციხურის, XIX საუკუნის დამდეგს სოფელ პაქსაძეების, XX საუკუნის დასაწყისში კი, ბეღლეთის, რიყეთის, დანისპარაულის ხის მეჩეთები. შავშეთიდან მოწვეული ოსტატების ნახელავია ფუშრუკაულის ჯამე. XX საუკუნის დასაწყისში, ადგილობრივი ოსტატების მიერაა ნაგები სოფელ თაგოს, ჩაოს მეჩეთები (ბარამიძე, მუსლიმური საკულტო ძეგლები, 2010:78-103).ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი გააჩნია ბეღლეთისა და დიდაჭარის ჯამეებს. აჭარაში დაცული ხის ჯამეები ქართული ხალხური ხითხუროობის უნიკალური ძეგლებია, რომელთაც საგანგებო კვლევა სჭირდება.

Maia Tchitchileishvili

Cultural Heritage Monuments of Khulo municipality

Summary

Manuscripts and Cultural Heritage Monuments located on the territory of Khulo municipality confirm that Adjara, as well as other parts of Georgia, was a part of rich cultural traditions. Medieval churches were mainly ordered by the Eristavis-Abuserisdzes of Adjara. In medieval Adjara, the most important temples are prevalent. The main part of the ecclesiastical architecture (Tkhilvani, Kalotha, Vernebi, Vanadzeebi, Sacikhuri, Khikhani, Skhalta and other churches) dates back to X-XIII centuries.

Frescoes of Skhalta Church performed at the crossing of XIV-XV cc are among the distinguishing patterns of the medieval Christian art. Artistic stylistic peculiarities and frescoes of Georgian asomtavruli inscriptions, in turn, indicate that the master craftsmen were talented Georgian artists, who might have some connection with the Byzantine world with other cultural centers.

Mosques (Adjara) are Interesting monuments of Georgian folklore. Large part of historical mosques located in the territory of the Khulo municipality are built at the beginning of the XIX – XX century (Berleti, Danisparapuri, Riketi, Paksadzes, Tkhilvana, Khikhadziri etc.).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამია, ი. ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში, ძეგლის მეგობარი, 1967, 12, გვ. 3-12.

2. ბარამიძე, რ. მუსლიმური საკულტო ნაგებობანი, ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010.

3. ბარამიძე რ. , მუსლიმური საკულტო ძეგლები, ბათუმი, 2010.

4. ბერიძე ვ., ეხვევის ტაძარი "დედა ღვთისა", "ქართული ხელოვნება", №1, თბ., 1942.

5. ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე, ბათუმი, 1979.

6. ვარშალომიძე ჯ., მუსლიმანური საკულტო ნაგებობების ტრადიციული დეკორი, ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010, გვ. 417-431.

7. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1960.

8. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.

9. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები (გზამკვლევი), თბ., 2000.

10. მუსხელიშვილი ლ., ტბელ აბუსერისძე, ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, თბ., 1941.

11. სიხარულიძე ი., ნათელი დაუღამებელი, ბათუმი, 1979.

12. სიხარულიძე ი., ტბელ აბუსერისძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათუმი, 1981.

13. სუმბაძე ლ., გადავარჩინოთ ხუროთმოძღვრების ძეგლები, გვ. 66-78, საბჭოთა ხელოვნება, 1982, № 11, გვ. 66 -79.

14. სუმბაძე ლ., ჩუქურთმა ხეზე ხალხურ ხუროთმოძღვრებაში, ძეგლის მეგობარი, 1967, 12, გვ. 54-65.

15. ჭიჭილეიშვილი მ., საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში, ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, II,2009, 3-16.

16. ჭიჭილეიშვილი მ,. საეკლესიო ხუროთმოძღვრება აჭარაში განვითარებულ ფეოდალურ ხანაში.სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), II, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტი. ბათუმი. 2009. გვ. 198-205.

17. ჭიჭილეიშვილი მ., ხელოვნება აჭარაში განვითარებულ ფეოდალურ ხანაში. სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), II, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტი. ბათუმი. 2009.გვ.190-197.

18. ჭიჭილეიშვილი, მ., სხალთის ეკლესიის მოხატულობა, თბილისი, 2010.

19. ჭიჭილეიშვილი მ., მეჩეთების მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურებანი, ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010, გვ. 445-458.

20. ჭიჭილეიშვილი მ., ქართული ხითხუროობის ტრადიციები აჭარის საკულტო ძეგლებში (ჯამეები), საერთაშორისო კონფერენციის – „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“ მასალები, ბათუმი, 2015, გვ117-125.

21. ჭიჭილეიშვილი მ., აბუსერისძეთა კვალი ქართულ კულტურულ მემკვიდ-რეობაში, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, X, ბათუმი, 2014.

22. ჭიჭინაძე ზ., მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფი-ლისი., 1913.

23. Гараканидзе М., Грузинское деревянное зодчество, Тбилиси, 1959.

24. Меписашвили Р. С., Памятники архитектуры X-XI веков в. селе Кабери и Гостибе, "ქართული ხელოვნება", № 8, თბ., 1979.

25. Чубинашвили Г., Церовани, Тб., 1976

ირინე ვარშალომიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და
არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის დოქტორი

ნუმიზმატიკური მასალა ხულოს მუნიციპალიტეტიდან

XIII საუკუნის 60-იანი წლებისათვის ერთიანი მონღოლთა იმპერია დაიშალა. ჰულაგუ ხანმა (1256-1265) შექმნა მონღოლთა იმპერიის მეხუთე ულუსი ე.წ. ილხანთა სახელმწიფო, რომელიც დიდმა ყაენმა 1261 წელს სცნო. ჰულაგუ ხანი და მისი მემკვიდრეები ატარებდნენ ,,ილხანის“ ტიტულს. ილხანთა სახელმწიფო მოიცავდა მთელს ირანსა და დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიას, აზერბაიჯანს, ერაყს ბაღდადითურთ, არანსა და შირვანს, ქურთისტანს, ჯეზირეს (მესოპოტამიის ზემო ნაწილი), რუმის სასულთნოს დასავლეთ ნაწილს. ჰულაგუიდების ვასალებად ითვლებოდნენ კონიის რუმის სელჯუკთა სასულთანო, საქართველო, ტრაპიზონის ბერძნული სამეფო, კილიკია და კვიპროსის სამეფო. საზღვრები დროდადრო იცვლებოდა. დაპყრობილი ქვეყნებიდან შეიქმნა მეფის სანაცვლოები. საქართველო, სომხეთი, არანი, შირვანი და აზერბაიჯანი შეადგენდნენ ერთ სამეფისნაცვლოს. XIII საუკუნის ბოლოს ილხანთა ირანი კრიზისმა მოიცვა. სახელმწიფოს სადავეები ყაზან ყაენის ხელში აღმოჩნდა (1295-1304). მან მიიღო მაჰმადიანობა და ქვეყანაში ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამიერიდან იგი ყოველგვარ კავშირს წყვეტდა მონღოლთა ულუსთან. პოლიტიკას თან მოჰყვა თავისი ეკონომიკური ურთიერთობები.

ამ კუთხით უდავოდ საინტერესოა 1981 წელს, არქეოლოგიური გათხრების დროს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთაში აღმოჩენილი ილხანთა ფული.

სულეიმანი (1339-1343 წწ.). ილხანთა სულთანი.
ორიანი დირჰემი. მოჭრილია თებრიზში. წონა 1,41 გრ. ზომა 18-17 მმ.

შუბლი: ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ფიგურული ელიფსი. შუაში, პირველ და მესამე ხაზზე არაბულად: **السلطان / خلد ملكه**,,სულთანი, განიგრძოს მეფობა მისი“. მეორე ხაზზე უიღურულად ,,სულეიმანი“. ზემოთ ელიფსსა და ჩვეულებრივ არშიას შორის ზარაფხანის სახელი: **ضرب تبرز فى سنه** ქვემოთ: **ثلاث اربعين سعميه**

ზურგი: ჩვეულებრივ არშიაში ჩასმულ წრეში მოთავსებულია რწმენის სუნიტური ფორმულა لا اله الا الله محمد رسول الهه ,,არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მისი მოციქულია მუჰამადი“. გარშემო წრიულად 4 იმამის სახელი: ابوبكر عمر عثمان على,,აბუბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი“ *[ლომოური, 2005: 108, №774].*

XIV საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ილხანების სახელით გამოშვებულ ფულს. ამ მონეტების გავრცელების გეოგრაფიული არეალი შემოიფარგლება ძირითადად აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველოთი. უფრო ფართოდ ეს მონეტები წარმოდგენილია სამხრეთ საქართველოში, სადაც სამონეტო (ფოკას, პატარა გომარეთის, ყარაჯაღის, ქოდალოს) განძების თავმოყრა ბუნებრივია, რადგან იგი დაკავშირებულია ამ მხარეში გამავალ დიდ სავაჭრო მაგისტრალთან *[ღვამბერიძე, 1986: 121].* დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდში მიმოიქცევა ტრაპიზონის ასპრები, კირმანეული თეთრი *[დუნდუა,დუნდუა, 2015: 144-145]* და სელჩუკური მონეტები (ციხისძირში გასული საუკუნის ბოლოს შემთხვევით აღმოჩნდა 150 სელჩუკური მონეტისაგან შემდგარი განძი. გამოუქვეყნებელია) ილხანთა ფული დასავლეთ საქართველოში არაა ნაპოვნი. საინტერესო ფაქტია, რომ XIII საუკუნის ანონიმური ყაანური ცნობილია მხოლოდ სოფელ ფურტიოდან *[ვარშალომიძე, 2012: 143-125]*

ამ კუთხეს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა. მასზე გადიოდა მოსაზღვრე ხეობებთან თუ სხვადასხვა (იმერხევის, შავშეთის, არტანუჯის, არტაანის, მესხეთ-ჯავახეთისა და სხვა) რეგიონებთან დამაკავშირე-ბელი ძველი გზები. ასევე ხიხანის, სოფ. ბაკოს და ხეობის გავლით ზღვისპირე-თისკენ მიემართებოდა უმოკლესი საქარავნო გზა არტაანიდან და ახალციხიდან. ჩვენი აზრით, როგორც ფურტიოში, ასევე სხალთაში, მონეტების გამოვლენა უნდა უკავშირდებოდეს აქ გამავალ მნიშვნელოვან სავაჭრო საქარავნო გზებს.

Irine Varshalomidze

Ilkhante's Coin from the Skhlata

(Summary)

In 1981 during the Archaeological Expedition in Skhlata there were found Ilkhante's coins. They were minted after the name of Suleiman I. Ilkhanet's coins were circulated widely in East and South Georgia. In West Georgia they were found only in Skhalta.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

დუნდუა, 2015 – დუნდუა თ., დუნდუა გ., ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი, III ნაწილი, თბილისი.

ვარშალომიძე, 2012 – ვარშალომიძე ი., XIII საუკუნის ანონიმური ყაანური სოფელ ფურტიოდან, კრ.: აჭარა წარსული და თანამედროვეობა (2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები), ბათუმი.

ლომოური, 2005 – ლომოური თ., ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, თბილისი.

ღვამბერიძე, 1986 – ღვამბერიძე ც., საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელეირთა სახელმწიფოსთან, თბილისი.

ნოდარ კახიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფა (ხულოს მუნიციპალიტეტი)

ხულოს მუნიციპალიტეტი, რომელიც 1952 წლამდე დღევანდელი შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიასაც მოიცავდა, აჭარის ყველაზე დიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულია როგორც მეურნეობრივი, ისე მოსახლეობის რიცხოვნების თვალსაზრისით. იგი ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტია. ამავე დროს, ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მაღალმთიანი და მთაგორიანი რეგიონია, რომლის დიდი ნაწილი მოქცეულია სუბალპურ და ალპურ ზონაში (ნიჟარაძე, ჯიბუტი, 1957:36). ეს გარემოება თავისებურ გავლენას ახდენდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სიმბიოზური ფორმით არსებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებაზე. მიწათმოქმედების გონივრული წარმართვა შეუძლებელი იყო მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების გარეშე. ამ სიმბიოზში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანაფარდობა ანუ ხვედრითი წილი მთისა და ბარის ზონაში განსხვავებული იყო. ხულოს მუნიციპალიტეტში წამყვანი მაინც მესაქონლეობა იყო, რაც კარგად ჩანს XIX საუკუნის 40-70-იანი წლების მონაცემებით. სახელდობრ, ხულოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში შემავალ ათ თემში (ხულო, ბეღლეთი, ხიხაძირი, სხალთა, ფუშრუკაული, დიდაჭარა, ალმე, ღორჯომი, აგარა, ღურტა) სათიბ-საძოვრებს ეჭირა 13.030 დესეტინაზე მეტი, სახნავ-სათეს და ხეხილნარ მიწებს – 2781 დესეტინა (ავალიანი 1960:119-123). ეს მაჩვენებლები თვით თემებს შორის ასეთ სურათს იძლევა: ხულოს თემში სახნავ-სათეს და ხეხილნარ მიწებს 181 დესეტინა ეჭირა, სათიბ-საძოვრებს – 2307 დესეტინა, ღორჯომისა და აგარის თემებში კი ერთად აღებულ სახნავ-სათესებს ეჭირა 550 დესეტინა, სათიბ-საძოვრებს – 9540 დესეტინა (ავალიანი 1960:119-123). ე.ი. ამ ორ თემში სახნავ-სათეს და ხეხილნარ მიწებს დაახლოებით 17-ჯერ ნაკლები მიწა ეჭირა, ვიდ-

რე სათიბ-საძოვრებს, რაც მესაქონლეობის განვითარებისთვის შედარებით ფართო შესაძლებლობას ქმნიდა. 1960-იანი წლების მონაცემებითაც კარგად ჩანს, რომ ხულოსა და შუახევის რაიონებში რთული რელიეფური პირობების გამო დამუშავებული მიწის ფართობი 7%-ს არ აღემატებოდა. აჭარის მაგალითზე კი ეს მაჩვენებელი 13,5%-ს, მთლიანად საქართველოს მასშტაბით – 17%-ს უტოლდება (გველესიანი, ნეიძე, 1962:14).

აღნიშნული მონაცემებითაც ცხადი ხდება, რომ მიწათმოქმედების (მემინდვრეობის) განვითარებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში (და მთლიანად ზემო აჭარაში შუახევის მუნიციპალიტეტის ჩათვლით) ხელსაყრელი პირობები ქვედა აჭარის მუნიციპალიტეტებთან შედარებით შეზღუდული იყო. ამ გარემოებამ სათანადო დაღი დაასვა რეგიონის სამეურნეო განვითარებას.

მიუხედავად ამისა, ხულოს მუინიციპალიტეტის და საერთოდ მთელი მთიანი აჭარის მოსახლეობა წარსულში მუდამ ცდილობდა მესაქონლეობის პარალელურად განევითარებინა მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა-მეხილეობა, რათა ოჯახის საარებო პირობები სრულად დაეკმაყოფილებინა.

<u>მემინდვრეობა</u>. ტრადიციული მეურნეობის ეს დარგი მესაქონლეობასთან კავშირში ვითარდებოდა. მემინდვრეობაში წამყვანი ადგილი მარცვლეული კულტურების მოყვანას ეჭირა. ამაზე ცნობებს გვაწვდის არა მარტო ეთნოგრაფიული, ანუ ხალხში დაცული ზეპირსიტყვიერი მასალები, არამედ ტოპონიმიკური და სხვა ხასიათის მონაცემები. ამ მონაცემებიდან, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს XVI საუკუნის ოსმალური წერილობითი წყაროები (ოსმალური საგადასახადო სიები), რომლებიც ზემო და ქვემო აჭარის ლივებს (ოლქებს) შეეხება.

საგადასახადო სიებში ხულოს დღევანდელი მუნიციპალიტეტის სოფლებიდან მოხსენიებულია სხალთა, თაგო, ჩაო, დანისპარაული, დიდაჭარა, ალმე, ღორჯომი, სადაც XVI საუკუნეში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი (შაშიკაძე, 2001:51-81). პირველი სამი ყველა სოფლის აღწერაში ფიგურირებს, მეოთხე კი ერთჯერ და ისიც დანისპარაულის აღწერაში.

სიებში პირველად ხორბალი სახელდება, შემდეგ ქერი, ფეტვი და ჭვავი. სიების შედგენის მიზანი იყო ჩამოთვლილ სოფლებში შემოსავლის სახეობების დადგენა ქილებში და გადასახადების გაწერა ახჩებში. ამის მიხედვით ირკვევა, რომ ჩამოთვლილ 7 სოფელზე შეწერილი ყოფილა 4550 ქილა ხორბალი, 5800 ქილა ქერი, 850 ქილა ფეტვი, რისთვისაც მოსახლეობა იხდიდა 8250 ახჩას (შაშიკაძე, 2001:51-81). საგადასახადო სიიდან ისიც ჩანს, რომ დასახელებულ სოფლებში შედარებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ქერი, შემდეგ ხორბალი. ამ მხრივ სოფლებიდან გამოირჩეოდა ალმე, ღორჯომი,

სხალთა და დიდაჭარა. ალმესა და ღორჯომში თითოეულში გაწერილი ყოფილა ხორბალი 1200, ქერი – 1500, ფეტვი 50 ქილის ოდენობით. ამ მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ მაშინდელ ზემო აჭარაში, რომელშიც დღევანდელი ხულოს მინიციპალიტეტის სოფლები შედიოდა, ხორბალი, ქერი, ფეტვი და ჭვავი ყოველდღიური საკვები პროდუქტები ყოფილა.

ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემებით, ზემო და მთელი აჭარისათვის ასევე უძველესი მარცვლეული კულტურებია დიკა, ასლი, ოსპი, ღომი. ნ.კეცხოველის დახასიათებით, დიკა ზედგამოჭრილი მცენარეა აჭარისწყლის ხეობისათვის (კეცხოველი, 1976:106). დიკა ეკოლოგიურადაც მთის კლიმატურ პირობებს შეგუებული მცენარეა და სიცხე-სიცივის ამტანობითაც ხასიათდება. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ იგი მთიან აჭარაშიც საკმაოდ გავრცელებული კულტურა იყო. ხიხაძირისა (რაქვთა, გორგაძეები) და შუახევის რაიონის მარეთის ხეობებში (ოლადაური, ლომანაური) ნადიკვარისა თუ ნადიკორის სახელწოდებით ტოპონიმებიც გვხვდება (სიხარულიძე, 1958), რაც აქ დიკას მოვლა-მოყვანაზე მიუთითებს. ეთნოგრაფიულად კი აჭარაში თეთრი, წითელი და შავფეხა დიკაც დასტურდება (ჩიჯავაძე, 1969:25-27). ოსპისა და დიკას ნაკვალევი ზემო აჭარაში ჭვანის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება (მამულაძე, 1993:146).

ამავე არქეოლოგიური მონაცემებით, რომლებიც XI-XIII საუკუნეებით თარიღდება, ზემო აჭარაში ღომის გარდა მოჰყავდათ აგრეთვე ჭვავი, ხორბალი, მათ შორის დოლის პური (მამულაძე, 1993:146). ამ მარცვლეულ კულტურებს, ისე როგორც ქერს, მთიან აჭარაშიც და მათ შორის დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მნიშვნელობა დაკარგული არ ჰქონდა სიმინდის კულტურის გავრცელებამდე. ეთნოგრაფიული მონაცემებით ქერის კულტურის სიძველესა და მის პოპულარობაზე ზემო აჭარაში ნათლად მიუთითებს ტერმინი ქერობა. ხალხური ახსნით, ქერობა ქერთან დაკავშირებული ტერმინია და საგაზაფხულო ხვნა-თესვის პერიოდის აღმნიშვნელია (ჩიჯავაძე, 1971:37; მგელაძე, 1965:145). სტეფანე მენთეშაშვილის მონაცემებით, ზემო აჭარაში ითესებოდა როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო ქერი და მას კეჟერა ქერი ეწოდებოდა (მენთეშაშვილი, 1937:153).ღორჯომის ხეობის სოფლებში ქერობა ძველი სტილით აპრილის თვეში იწყებოდა და მაისის პირველ დეკადამდე გრძელდებოდა.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ზემო აჭარაში და მათ შორის ხულოს ზონის სოფლებში სიმინდი გაბატონებულ მონოკულტურად გადაიქცა და მოსახლეობის ყოველდღიურ საკვებადაც სიმინდის მჭადი გახდა. ქერი,

ხორბალი და ჭვავი კი შედარებით უმნიშვნელოდ მოჰყავდათ. ეს ფაქტი სიმინდის კულტურის მაღალი მოსავლიანობით აიხსნება. გ. ყაზბეგი შენიშნავდა, რომ სიმინდი საშუალოდ ერთი ოცად, ერთი ოცდაათად, ხშირად ერთი ორმოცდაათად და კიდევ მეტად მოდიოდა, ხორბალი კი ერთი ათად, რადგან სახნავ-სათესი მიწები ცოტა იყო (ყაზბეგი, 1960:85). თ.სახოკიას მონაცემებით, მთელ ზემო აჭარაში 1884 წელს დაუთესიათ 91.840 ფუთი სიმინდი და მოუყვანიათ 183680 ფუთი. ხოლო პური დაუთესიათ 26.035 ფუთი და მოსავალი მიუღიათ 78.105 ფუთი (სახოკია, 1950:169).

ეთნოგრაფიული მონაცემებით 1930-იან წლებში ზემო აჭარაში (იგულისხმება დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებიც) 10-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის სიმინდი მოჰყავდათ, რომელიც უკეთ იყო შეგუებული აქაურ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. ეს ჯიშებია: ალაზანა, ალთუნა, ბროლა, აბაშურა, ქორიბუდე, გოდორა, ლენტკეცურა, ცეცხლა, წვიტა ანუ შვიდკვირა, ქუთაისური, წონიარისული და სხვ. (მენთეშაშვილი, 1937:155-157; ჩიჯავაძე, 1971:26-32). მუნიციპალიტეტის შედარებით მაღალმთიან ღორჯომის ხეობაში თავდაპირველად მხოლოდ წვიტა ანუ შვიდკვირა სიმინდი ითესებოდა და შემდეგ, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, აქ ფეხს იკიდებს სიმინდის სხვა ჯიშები (ცეცხლა, ალაზანა, აბაშურა, ჯორიელა, ბროლა, ქორიბუდე).

მიუხედავად იმისა, რომ ზემო აჭარაშიც სიმინდი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაბატონებულ მარცვლეულ კულტურად გადაიქცა და აქაური მოსახლეობის ყოველდღიურ აუცილებელ საკვებად იქცა, იგი მაინც ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ზემო აჭარის, განსაკუთრებით, ღორჯომის ხეობის სოფლების დიდ ნაწილს მათ მიერ მოყვანილი სიმინდი წლიდან წლამდე გაჭირვებით ჰყოფნიდა. თ.სახოკიას ცნობით, ღორჯომიდან სიმინდის საყიდლად XIX საუკუნის ბოლოს გურიაში, ძირითადად ოზურგეთის რაიონში, გადიოდნენ და რძის პროდუქტებზე (ერბო, ყველი) ცვლიდნენ ან ფულად ყიდულობდნენ. ფუთ სიმინდში სამ აბაზს იხდიდნენ. ეს ხერხდებოდა გაზაფხულის პერიოდში, როდესაც ცხენით მიმოსვლა თავისუფლად შეიძლებოდა. ღორჯომელები ზოტიყელიდან ბახმაროზე გავლით სოფელ ვაკიჯვარში ჩადიოდნენ.ამ გზის დაფარვას ოთხი-ხუთი დღე სჭირდებოდა (სახოკია, 1950:169).

ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ტრადიციულად პურეულის ზოგიერთი ჯიშის მოვლა-მოყვანა სიმინდის პარალელურად მნიშვნელობას არ კარგავდა. ამ პერიოდში ჯერ კიდევ ითესებოდა საშემოდგომო და საზაფხულო ჯიშის ხორბალი. პირველს „სართ-

ლო“ ეწოდებოდა და შემოდგომაზე, ენკენისთვეში ანუ სექტემბერშითესავდ-ნენ, მეორეს კი „საზაფხულო“ ერქვა და ითესებოდა გაზაფხულზე, ანუ მარტის ბოლომდე. შემოდგომის პურეულიდან ითესებოდა კერძოდ დოლაი პური, ნიქსარულა, ტრედისფერი და ყირმიზი ანუ წითელი პური. საგაზაფ-ხულო პურეულიდან მნიშვნელობა არ ჰქონდა დაკარგული დიკას, რომელიც კარგად იყო შეგუებული ზემო აჭარის ბუნებრივ პირობებს და კარგ მოსა-ვალს იძლეოდა. ნამცხვრის გარდა, მისგან კორკოტსაც ამზადებდნენ (ჩი-ჯავაძე, 1969:25-26).

ზემო აჭარაში (მათ შორის ხულოს მუნიციპალიტეტში) შემავალ სოფ-ლებსა და ხეობებში არაერთგზის დაფიქსირდა კევრები, რომლითაც პური ილეწებოდა. კევრით პურის ლეწვის პრაქტიკა XX საუკუნის 40-იან წლებამ-დე იყო შემორჩენილი ხულოს რაიონში.

ხორბლის კევრით ლეწვაზე ზემო აჭარაში პირველად ყურადღება მიაქ-ცია დიმიტრი ბაქრაძემ 1873 წელს აქ მოგზაურობის დროს, როდესაც იგი პირადად შესწრებია ამ შრომით პროცესს (ბაქრაძე, 1987:55). ასევე პურის ლეწვის დროს მოუხდა მოგზაურობა ხულოს რაიონის სოფელ ყადიღლებნში (დღევანდელი სოფელი განახლება) თედო სახოკიას 1897 წელს. იგი წერდა: „ის იყო კალო ჩაეშალათ და უღელ-ხარ შებმულ კევრს შუახნის კაცი გარ-შემო დაასრიალებდა. ლეწვა იმნაირადვე სცოდნიათ, როგორც ქართლში. სალეწავი იარაღიც იგივეა, კევრს ქვემოდან იგივე კაჟები და ქვებია ჩასმუ-ლი“ (სახოკია, 1950:195). ხულოში პურს ლეწდნენ ეზოში მოწყობილ კალოზე, რომელიც საგანგებოდ იყო მოწმენდილ-მოლამაზებული. გალეწილ პურს საბ-ძელში ინახავდნენ (მენთეშაშვილი, 1937:165).

ხულოს მუნიციპალიტეტის მემინდვრეობაში დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის მოყვანას. ასეა საერთოდ აჭარის ბარისა და მთის ზონის სინამდვილეში, მაგრამ ხულოს რაიონი ამ მხრივ გამორჩეულია. განსაკუთრებით აღსანიშ-ნავია აქ მოყვანილი მთის ბოსტნეული: ხახვი, ნიორი, მაკიდო, ქინძი, პრასა, პილპილი, მხალი, ჭარხალი, ბოლოკი, კიტრი.

სიმინდისა და პურეულის შემდეგ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ლობიოსა და კარ-ტოფილის მოყვანა. ლობიო ძირითადად სიმინდის ყანებში, კარტოფილი კი ცალკე ნაკვეთებზეც ითესება. კარტოფილის კულტურა ხულოს მუნიციპალი-ტეტის, ისე როგორც მთლიანად აჭარის სინამდვილისათვის, ახალია. იგი აქ ფეხს იკიდებს XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან და მალე სოფლის მეურ-ნეობის მაღალშემოსავლიან დარგად გადაიქცა (ბადრიშვილი, 1963:59). 1964

წელს ღორჯომის ხეობის სოფელ გელაურაში მცხოვრები 80 წლის მ.ბოლქ-ვაძის გადმოცემით, მამამისს კარტოფილი ადიგენის რაიონის სოფელ უდე-დან ჩამოუტანია და გაუვრცელებია (მგელაძე, 1965:151). თ.სახოკიას ცნობი-თაც, ხულოს მაზრის მოსახლეობას XIX საუკუნის 90-იან წლებში კარტოფი-ლის კულტურა ახლად გაცნობილი ჰქონიათ (სახოკია, 1950:171).

XX საუკუნის 50-60-იან წლებიდან კარტოფილის მოყვანა ზემო აჭარის, მათ შორის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებს გასცდა და საკმაოდ დიდი რაოდენობით ითესება ყიშლებსა და ალპური საძოვრების (გოდერძის უღელ-ტეხილისა და ბეშუმის მიდამოები) ზონაში.

დღეისათვის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებიდან კარტოფილი დი-დი რაოდენობით მოჰყავთ ღორჯომისა და ხიხაძირის ხეობებში, დიდაჭარა-ში, რიყეთში, დანისპარაულში. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ პირ-ველი „ტოზები“ (მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობები) ღორ-ჯომის ხეობის აგარის თემის სოფლებში (გელაურა, პანტნარი) შეიქმნა. ორი სოფელი ერთ ტოზს ქმნიდა და მასში 12 კომლი ერთიანდებოდა თავიანთი მიწებით (მგელაძე, 1965:139).

ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის შემოსავლების მხრივ ხუ-ლოს მუნიციპალიტეტს ბოლო წლებშიც წამყვანი ადგილი ეჭირა აჭარის მასშტაბით. 2004-2006 წლებში აქ წარმოებული იყო: ბოსტნეული – 7 000, კარტოფილი – 68400 ტონა (აჭარის..., 2007:34).აჭარის სხვა მუნიციპალიტე-ტებში კი აღნიშნულ წლებში წარმოებული იყო: ქობულეთში – 1350, ხელვა-ჩაურში – 1145, ქედაში – 4172, შუახევში – 9438 ტონა კარტოფილი (აჭარის..., 2007:34).სურათი ნათელია. ხულოს მუნიციპალიტეტი აჭარაში კარტოფილის ძირითადი მაწარმოებელია და მას შემდგომშიც სახელმწიფოებრივი მხარ-დაჭერა სჭირდება. მეკარტოფილეობის განვითარება აჭარაში ადგილობრივი მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების მთავარი ამოცანა უნდა გახდეს და ამ საქმეში ხულოს მუნიციპალიტეტს მთავარი როლის შესრულება შეუძ-ლია.

ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში მინდვრის კულტურებიდან ჩამოთვლილ ბოსტნეულთან ერთად საყოველთაოდ იყო გავრცელებული ლობიოსა და ფხლის მოყვანა, ურომლისოდაც არცერთი ოჯახი არ არსებობს. ლობიოს ჯიშებიდან გავრცელებულია როგორც ძირა, ისე ხაშრის ლობიო. ძირა ლობიო მიწა-ლობიოს სახელითაა ცნობილი, დანარჩენის სახელები კი შემდეგია: პაპაყურა, მისირულა, ყურშუმა, შვიდკვირა, სურუნჯა, ხანუმა, ხისტა ანუ გრძელპარკა ლობიო. ლობიოს ეს ჯიშები პირველად თ.სახოკიამ აღწერა. მისი მონაცემებით, რომელიც 1894 წლის სტატისტიკურ მასალებზეა

აგებული, ამ წელს ზედა აჭარაში დაუთესიათ 7136 ფუთი და მოუყვანიათ 35695 ფუთი ლობიო (სახოკია, 1950:171). ლობიოსჩამოთვლილი ჯიშები ზემო აჭარაში დღესაც გავრცელებულია.

ღორჯომის ხეობის ეთნოგრაფიული მასალებით ყურადღებას იქცევს ლობიოს სიმინდის ნათესებში გამოთესვის პრაქტიკა, რაც საყოველთაოდ გავრცელებული წესი ჩანს არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებში (რუხაძე, 1964:72).სიმინდისა და ლობიოს შერევით თესვის პრაქტიკა ძველი წესია მიწთმოქმედებაში, რომელსაც მისდევდნენ სამხრეთ ამერიკის ბინადარი ტომები – ინკები და აცტეკები. სწორედ ინკებისა და აცტეკების ქვეყნიდან შემოიტანეს და გაავრცელეს ეს კულტურები ევროპაში ამერიკის დამპყრობმა ევროპელებმა. ბუნებრივია, ამ დროიდან იკიდებს ფეხს სიმინდისა და ლობიოს ერთად თესვის პრაქტიკა, რომელიც შემდეგ ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (კობახიძე, 1965:69). ივ.ჯავახიშვილმა წერილობითი წყაროების მიხედვით გაარკვია, რომ ლობიოს არსებობა საქართველოში (სამეგრელო, იმერეთი, გურია) XVII საუკუნის შუა ხანებიდან დასტურდება, საიდანაც იგი საქართველოს სხვა კუთხეებშიც გავრცელდა. დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის ზოლში კი ლობიოს კულტურა ოსმალეთის გზით უნდა შემოსულიყო (ჯავახიშვილი, 1934:54). ბუნებრივია, ამ პერიოდშივე უნდა დამკვიდრებულიყო აჭარაში ლობიოს კულტურა და მისი სიმინდთან შერევით თესვის პრაქტიკაც, რასაც ურთიერთსასარგებლო აგროკულტურული უპირატესობაც გააჩნია.

მინდვრის კულტურებიდან ლობიოს შემდეგ მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა მხლის კულტურას. მხლისაგან დამზადებული კერძები და მწნილი ზემო აჭარელის საოჯახო ყოფაში ფართო მოხმარების საკვები იყო. მხალიც სიმინდის ნათესებში ირგვებოდა, რომლის ჩითილები ბოსტანში გამოჰყავდათ. მხალთან ერთად საკვებად ხმარობდნენ ტყიურ მცენარეულობას (მოლოქა, ჭინჭარი, დონდოლი, ოლენა, სვინტრი, ღომა და სხვ.). ამ მცენარეულის საკვებად გამოყენებაზე ადრე თ.სახოკიაც ამახვილებდა ყურადღებას (სახოკია, 1950:172).

ხულოს მუნიციპალიტეტის ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის დასტურდება ტყიური საკვები მცენარეულის – ჭარბადელოსა და დვარულას მრავალმხრივი გამოყენების ფაქტი. სოფელ დიდაჭარასა და დიდაჭარის იაილებში (საზაფხულო საძოვრების ზონა) ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, შუამთობის სახალხო დღესასწაულის დღეებში ადრე თითქმის მასობრივი ხასიათი ჰქონდა აღნიშნული მხალეულის შეგროვებას, რომელიც აქაური ალპური საძოვრების ზონაში მოიპოვებოდა. დვალურა-

საგან რძით მზადდებოდა წვნიანი კერძი, რომელსაც შორვა ეწოდებოდა. როგორც შორვას, ისე თვით მცენარეს, სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ. დვარულასა და ჭარბადელოსაგან მწნილიც მზადდებოდა. დვარულა მეწველი საქონლისთვისაც მეტად ყუათიანი და სასარგებლო საკვები ყოფილა, რომელიც რძის ცხიმიანობას ბევრად ზრდიდა.

არ არის გამორიცხული, რომ საკვებად დვარულას და სხვა ტყიურ მცენარეულობას საკვებად ფართოდ იყენებდა პალეოლითელ-ნეოლითელი თუ ადრეფეოდალური ხანის მოსახლეობა, რომელიც ზაფხულობით გოდერძის უღელტეხილის თუ ბეშუმის ალპური საძოვრების ზონას მიაშურებდა.

ტყიური მცენარეულის მოპოვება შემგროვებლური მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი უნდა ყოფილიყო მესაქონლეობასთან და მონადირეობასთან ერთად. ამასთან დაკავშირებით ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს შემდეგი ფაქტი. ზღვის დონიდან 1800 მ სიმაღლეზე მდებარე ბეშუმის ზონაში, ე.წ. ბულულას სერზე, ფიქსირდება პალეოლითელი ადამიანის შრომის იარაღები. არქეოლოგთა დასკვნით, ამ პერიოდში აჭარის ბარში მცხოვრები ადამიანი აქაური ალპური საძოვრების ზონას ზაფხულობით სეზონურად იყენებდა მესაქონლეობისათვის (გრიგოლია, 2002:7-8). ბუნებრივია, პარალელურად იგი მონადირეობასა და მთის მხალეულის შეგროვებასაც ეწეოდა. თუ მესაქონლეობა და მონადირეობა მამაკაცის მოვალეობა იყო, მთის მხალეულის შეგროვება დედაკაცის საქმეს წარმოადგენდა. სოფელ დიდაჭარაში 100 წელს მიღწეული ერთ-ერთი მამაკაცის ცნობით, მთის მხალეულის (დვარულას) მოსაკრეფად წასვლას მემხლიანად წასვლას ეძახდნენ. ეს დრო დღევანდელი შუამთობის დღესასწაულის პერიოდს უკავშირდება და, აქედან გამომდინარე, შუამთობის აღმნიშვნელი მეორე სახელწოდება – მემხლიანობაც ამ სამეურნეო პროცესის ანარეკლი უნდა იყოს.

ხულოს რაიონის მემინდვრეობაში მცირე ადგილი ეჭირა ისეთი ტექნიკური კულტურების მოყვანას, როგორიცაა სელი და კანაფი, რომლის ბოჭკოსაც სხვადასხვა საოჯახო დანიშნულებით იყენებდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ზემო აჭარაში თამბაქოცმოჰყავდათ.ამის შესახებ ერთ-ერთი პირველი ცნობა თ.სახოკიას ეკუთვნის. ზემო აჭარიდან იგი ასახელებს სხალთას, სადაც „თუთუნი გასაყიდად სამყოფი“ მოჰყავდათ, წლიურად სამას ფუთამდე. თუმცა, ადგილობრივ მოსახლეობას „მისი ხელი არ ცოდნია“.ეს საქმე ლაზების პრივილეგიას შეადგენდა. მისივე ცნობით, ქვედა აჭარაში 1895 წელს 25 დესეტინა მიწაზე გაუშენებიათ თამბაქო და 875 ფუთი მოსავალი მოუყვანიათ (სახოკია, 1950:172).

თამბაქოს კულტურის გავრცელება აჭარაში XVII საუკუნიდან ივარაუდება და XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან შედარებით ფართოდ ვრცელდება. თუმცა, ნატურალური მეურნეობის პირობებში, ამ დარგს ძირითადად სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდა (დევიძე, 1962:126).

აჭარის დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, ვიდრე 1914 წლის პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, აჭარაში იზრდებოდა თამბაქოს ფართობები. ომის დაწყებამდე, 1914 წელს თამბაქოს ნარგავებს აჭარაში 1108 ჰექტარი ეკავა (სახოკია, 1950:172). კოლექტივიზაციის პერიოდში აჭარაში თამბაქოს მოვლა-მოყვანა გაიზარდა და შემდეგ იგი ზემო აჭარაში სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ძირითად სასაქონლო დარგად გადაიქცა. ხულოს რაიონის სოფლებიდან თამბაქოს დიდი მოსავალი მოჰყავდათ ალმეში, დიოკნისში, დიდაჭარაში, საციხურში, რიყეთში, ბოძაურში, ბეღლეთში, კორტოხში, პაქსაძეებში, ოქრუაშვილებში, დეკანაშვილებში და სხვ. (სახოკია, 1950:172). 1958 წლის მონაცემებით ღორჯომის ხეობის საციხურის კოლმეურნეობაში მთელი სახნავ-სათესი მიწების 99 ჰექტარიდან 22 ჰექტარი თამბაქოს კულტურის მოყვანას ეჭირა და კოლმეურნეობის მთელი ფულადი შემოსავლის ნახევარზე მეტს თამბაქო იძლეოდა (მგელაძე, 1965:152).

საკოლმეურნეო სისტემის დაშლის შემდეგ თამბაქოს მოყვანა თითქმის შეწყდა. ზემო აჭარის მოსახლეობის ნაწილი მის აღორძინებას მოითხოვს, რაც სათანადო შესწავლას საჭიროებს. მართალია, მეთამბაქოეობა შემოსავლის მომტანია, მაგრამ მისი მოყვანა მეტად შრომატევადია და უარყოფით გავლენას ახდენს მის მომყვანზე.

<u>ახოობა.</u> მიწათმოქმედება (მემინდვრეობა) ზემო აჭარაში კორდი მიწებისა და ტყის მასივების გაჩეხვის (გაკაფვის) გზით ვითარდებოდა. ტყის გაკაფვით მიღებული სავარგული მიწების ათვისება და დამუშავება მიწათმოქმედების არქაულ ფორმად არის მიჩნეული. მიწათმოქმედების ეს ფორმა მსოფლიოს ყველა მიწათმოქმედ ხალხში იყო გავრცელებული. ამ წესს იცნობდა საქართველო-კავკასიის უძველესი მოსახლეობა. ქართულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმაც დამკვიდრდა – საახოე მიწათმოქმედება. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ახო არის საყანური გაკაფული (საბა, 1949). მაგრამ ახოობა უფრო ფართო ცნების შემცველი სიტყვაა და იგი გულისხმობს არამარტო საყანური ანუ სახნავ-სათესი მიწების ათვისებას, ტყის გაჩეხვას სათიბ-საძოვრებისათვის, ასევე სანახშირედ, რომელსაც იყენებდნენ მჭედლობაში, ხალხურ მეტალურგიაში (ჩიჯავაძე, 1967:56-57).

ღორჯომის, დიდაჭარის და სხვა ხეობათა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ახო მიწებზე პირველად ღომი ითესებოდა და შემდეგ სხვა მარცვლეული, ზოგან კი პირველად სიმინდი.

ტყის კაფვა და ახო მიწების ათვისება შრომატევადი საქმე იყო და ამ საქმეში ურთიერთდახმარების ფორმას მიმართავდნენ, რომელიც ნადის სახითაა ცნობილი. მასში რამდენიმე ოჯახი მონაწილეობდა. რიგ შემთხვევაში ერთობლივად ათვისებული ახო მის მონაწილეთა შორისაც ნაწილდებოდა და ამ გზით მიიღებოდა საზიარო მიწები („ორზიარი", „სამზიარი", ოთხზიარი"), რაც ტოპონიმებადაც დამკვიდრდა (ჩიჯავაძე, 1967:71).

ზემო აჭარაში გატეხილ ახოს ყვერულიც ეწოდებოდა, რაც ხის შეყვერვას, ანუ კანის შემოცლას გულისხმობს მისი გახმობის მიზნით. გამხმარ ხეებს შემდეგ მოჭრიდნენ და შეშად თუ ნახშირად იყენებდნენ. ყვერული ახო ზოგჯერ მისი პატრონის სახელს ატარებდა და ტოპონიმადაც დამკვიდრდა („გელაძიების ყვერული", „შავაძიების ყვერული" და სხვ) (სიხარულიძე, 1958:122-123).

ეთნოგრაფიული მასალები იმაზეც მიუთითებენ, რომ ახო მიწებზე შემდეგ ცალკეული ოჯახებიც დასახლდნენ და სოფელიც გააშენეს.

<u>მიწათმფლობელობა და მიწით სარგებლობა.</u> მიწათმოქმედება-მემინდვრეობასთან კავშირში უნდა განვიხილოთ მიწათსარგებლობის საკითხი, რაც ზემო აჭარის მაგალითზეც თავისებურად წარმოგვიდგება. ეს განსაკუთრებით ოსმალთა ბატონობის პერიოდს შეეხება. საარქივო და სხვა შესაბამისი მონაცემების საფუძველზე ა.ავალიანი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მიწათმფლობელობის ფორმები აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლების წინა პერიოდში, წერდა: „აჭარა, თუ არ ვცდებით, წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას, სადაც თურქმა მფლობელებმა ფეხი ვერ მოიკიდეს და თითქმის მთელი მიწა-წყალი ქართველების მფლობელების ხელში დარჩა" (ავალიანი, 1960:134). ამ პერიოდში ზემო აჭარის სასოფლო თემს შენარჩუნებული ჰქონდა ქართული თემისათვის დამახასიათებელი წესი, ანუ თემური მფლობელობა სახნავ-სათეს მიწებზე, რასაც გამორიცხავდა თურქული ოფიციალური კანონმდებლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ თანზიმათამდელ აჭარაში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში გაბატონებული იყო ადგილობრივი ქართული ელემენტი. ამავე დროს აჭარის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შეინარჩუნა დედაენა და ქართული ზნე-ჩვეულებანი. დასახელებული პერიოდისათვის ბეღლეთის, ხიხაძირის, სხალთის, ხულოს, ფუშრუკაულის, ფურტიოს, დიდაჭარის, ალმეს, ღორჯომის, აგარის, ღურტა-პაქსაძეების სათემო მფლობელობაში ჯერ კიდევ არსებობდა 74.135 დესეტინა მიწა არა

მარტო სახნავისათვის, არამედ საძოვრების, ტყეების, გზების, ბილიკების, ღელეების სახით. ეს მიწები თემების სახით ასე ნაწილდება: ბეღლეთის თემში 2645 დესეტინა, ხიხაძირის თემში – 5560, სხალთის თემში 4451, ხულოს თემში – 5560, ფუშრუკაულის თემში – 798, დიდაჭარის თემში – 2217, ალმეს თემში – 2052, ღორჯომის თემში ყველაზე მეტი – 16.737, აგარის თემში – 16637, ღურტა-პაქსაძეების თემში – 1789 დესეტინა.თანზიმათის შემდეგ კი აჭარელმა ბეგებმა დაკარგეს უფლება სათემო მიწებზე (ავალიანი, 1960:125, 135).

ამ ფაქტს წინ უსწრებდა თურქული წესების თანდათანობით გავრცელება აჭარაში და საადგილმამულო გადასახადის დაწესება, რასაც შემდეგ მოჰყვა აჭარელ ბეგებზე შეტევა. გ.ყაზბეგის ცნობით, 1840-იანი წლების დამდეგს ხიმშიაშვილთა საგვარეულოს წევრები სტამბულში გაიწვიეს. ოსმალეთის მთავრობამ მათ განუცხადა, რომ უნდა გადაისინჯოს საგვარეულოთა ფირმანები და შეიცვალოს ახალი წესების საფუძველზე. ისინი დაემორჩილნენ მთავრობის მოთხოვნას და დაპირებებით მოხიბლულებმა მთავრობას გადასცეს როგორც ქართველი მეფეების, ისე ოსმალთა სულთნების მიერ წინაპრებისათვის ნაბოძები საბუთები, რომლის ხელში ჩაგდების შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა თანზიმათის ცნობილი სიტყვები: „იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს“ (ყაზბეგი, 1960:120). გ.ყაზბეგი ბოლოს შენიშნავს: „ამ ფაქტით დასრულდა თავისუფალი აჭარის ისტორია“. მისი ცნობით ისიც ირკვევა, რომ აჭარაში თურქული საგადასახადო წესები XIX საუკუნის 40-იან წლებში შემოუღიათ. პირველი იყო თახშირი, როგორც საადგილმამულო გადასახადი, რომლის თანახმად ყოველი კომლი ვალდებული იყო თავის სარგებლობაში არსებული მიწებიდან მიღებული შემოსავლის მეათედის გადაეხადა. სხვა გადასახადებიდან სახელდება სალიანი (ადმინისტრაციის შესანახი ხარჯებისათვის რუსუმათი ცხვარზე, თხაზე, მეწველ საქონელზე დაწესებული გადასახადი, საღებო გამოსაღები ნასყიდობის დოკუმენტების გასაფორმებლად, თამბაქოზე გადასახადი, ზაფთიების (პოლიციელის) და შიკრიკების საგზაო ხარჯები (ყაზბეგი, 1960:113-114).

ხულოს მუნიციპალიტეტის გარემოსათვის სახნავ-სათესი მიწები ძირითადად სოფლის ტერიტორიაზეა განლაგებული, მაგრამ მათი ნაწილი სათიბების ჩათვლით სოფლის გარეთაა მოქცეული. მხედველობაში გვაქვს მებოსტნეობის კულტურების გეოგრაფიული გავრცელება ანუ მათი გაფანტულობა ფერდასა და ყიშლაში, მთის საზაფხულო ალპური საძოვრების ზონაში.

სახნავ-სათესი მიწებიდან ამ თვალსაზრისით უნდა გამოვყოთ ახლო და შორი ყანები. ახლო ყანები (ნათესები) საკარმიდამო კომპლექსში მოქცეული ის მამულია, რომელსაც ზემო აჭარაშიც ნაფუძარი ეწოდებოდა და მასში ძირითადად მარცველული კულტურები ითესებოდა. ამგვარი ნაფუძარი დასტურდება სოფელ ბეღლეთში (ჩიჯავაძე, 1971:18).

<u>მიწების მორწყვა-გაპატივება</u>. ხულოს მინიციპალიტეტში მიწათმოქმედეობა-მემინდვრეობის განვითარებაში ნიშანდობლივია სავარგული მიწების მორწყვისა და დატერასების პრაქტიკა, რაც ამავე დროს ვერტიკალური ზონალობის ნიშნებსაც შეიცავდა.

სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყნებში მორწყვას უძველესი დროიდან მისდევდნენ. ნიადაგების მორწყვა ანუ საირიგაციო მიწათმოქმედება საქართველოში განვითარების მაღალ დონეზე იდგა (გეგეშიძე, 1961). არქეოლოგიური მონაცემებით, მიწათმოქმედების ეს ფორმა საქართველოში შუა ბრინჯაოს ხანიდან ივარაუდება (კიკვიძე, 1963:19-20). ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, მორწყვაზე აგებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა ქართული ფეოდალური ურთიერთობის ერთ-ერთი საფუძველი იყო (ბერძენიშვილი, 1960:161).ეს წესი უზრუნველყოფდა ნიადაგის განოყიერებასა და მის რაციონალურ გამოყენებას, რაც მოსავლიანობის გადიდების საშუალებაც იყო.

აჭარაში სამთო ირიგაციის მთავარი ამოცანა იყო როგორც სახნავ-სათესი ადგილების, ისე სათიბ-საძოვრების მორწყვა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნაკელნარევი წყლით მორწყვა, რომელსაც მიმართავდნენ ღორჯომის ხეობაში, დიდაჭარაში (მგელაძე, 1965145), ზემო აჭარის სხვა სოფლებში.

ნაკელნარევი წყლით ნიადაგის მორწყვა, რასაც ზემო აჭარაში მონეხვწყლა ეწოდება, მორწყვის თავისებური სახეა და ძირითადად მთური ტიპის მიწათმოქმედებისათვის არის დამახასიათებელი. მონეხვწყლა მაშინ ხდება, როდესაც საცხოვრებელი ნაგებობა მის პირველ სართულზე განთავსებული საქონლის სადგომით (ახორით) საკარმიდამო კომპლექსში შემავალი სახნავ-სათესი ნაკვეთის თავში ანუ ზემო ნაწილშია მოქცეული. ბოსლიდან გამოყრილ ნაკელს წინასწარ დარუებულ (რუებად დაყოფილ) არხებში მიუშვებდნენ, სადაც წყალი მიედინებოდა. ნაკელწყლით მთელი ნაკვეთი იჟღინთებოდა და ირწყვებოდა. მორწყული ყანა რამდენიმე დღის შემდეგ მოიხვნებოდა ხარ-კამეჩით და ითესებოდა.

ნაკელწყლით ნიადაგის მორწყვა-გაპატივების ხანგრძლივობა ნაკელის რაოდენობასა და ხარისხზე იყო დამოკიდებული. ამ გზით მორწყული ყანა მხოლოდ ერთი წლით ინარჩუნებდა ნაყოფიერებას. უშუალოდ ნაკელის

მინდვრად მშრალად გატანის შემთხვევაში კი ნიადაგი ნაყოფიერება 3-4 წელიწადს არ კარგავდა ძალას (ჩიჯავაძე, 1971:134). ნაკვეთში ნაკელი მარხილით გაჰქონდათ ადრე გაზაფხულზე, ზოგჯერ ზამთრის პერიოდში და გროვად ალაგ-ალაგ ყრიდნენ. თოვლის დნობის პროცესში ნიადაგი კარგად შეიწოვდა ნაკელის წვენს, რაც ეფექტიანი იყო (ჩიჯავაძე, 1960:103).ნიადაგის ნაკელწყლით გაპატივების წესი ხანგრძლივი ემპირიული ცოდნა-გამოცდილების საფუძველზეა შემუშავებული, რასაც ზემოაჭარელი მეურნე კარგად იყო დაუფლებული.წყალნარევი ნაკელით მიწის განოყიერებას და გამდიდრებას მიმართავდნენ საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში (სვანეთი, ხევსურეთი და სხვ.) (გეგეშიძე, 1961:50-51).

რწყვას გვალვის პირობებშიც მიმართავდნენ. მორწყული მიწა ფხვიერდებოდა და ადვილად მუშავდებოდა ხელით (თოხით) თუ ხარ-სახვნელით. ასეთ ნიადაგში ნათესიც კარგად ვითარდებოდა და მაღალი მოსავლიანობითაც გამოირჩეოდა. ამ წესს ხულოსა და შუახევის იმ სოფლებში მიმართავდნენ, სადაც ხვნა-თესვის პერიოდში გვალვა იშვიათი არ იყო.

განსაკუთრებით რთულ შრომას მოითხოვდა სათიბ-საძოვრების მორწყვა ანუ გაჭალავება, როგორც მას ზემო აჭარაში ეძახიან. ეთნოგრაფიული მონაცემებით ჭალა ეწოდება როგორც სარწყავ, ისე ურწყავ სათიბებს, რომლებიც განლაგებულია არა მარტო მდინარის პირას, არამედ მთის ფერდობებზე. თივის აღების პერიოდს კი ჭალობა ეწოდება.ასეთი ურწყავი თუ სარწყავი სათიბებისა და აქ მოპოვებული თივის მარაგის გარეშე შეუძლებელი იყო ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრის პირობებში ბაგაზე მყოფი საქონლის გამოზამთრება.

ზემო აჭარაში თითოეულ სოფელს თავისი ურწყავი თუ სარწყავი სათიბი გააჩნდა, რომელიც გაჭალავების გზით მიიღებოდა. ამას უკავშირდება მრავალი საგეოგრაფიო სახელი აჭარაში. ასეთებია: ჭალები, ჭალები ტყე, ჭალათი, ჭალახმელა, ჭალივაკე, ჭალიქედი, ჭალი ღელე, ჭალიყანა და ა.შ. (სიხარულიძე, 1958). ამ საგეოგრაფიო სახელების უმრავლესობა ზემო აჭარაზე, მათ შორის ხულოს მუნიციპალიტეტზე მოდის. ამდენად, გაჭალავება, ჭალის მეურნეობა უშუალოდ მორწყვასთან იყო დაკავშირებული და წესრიგდებოდა რუებისა და სათანადო სარწყავი ნაგებობების მოწყობით.

სარწყავ სათიბებში წყალი არხებითა და ხის ღარებით გაჰყავდათ. წყლის არხების გაყვანა თუ არ ხერხდებოდა ადგილმდებარეობის ფიზიკური აგებულების გამო, ხის ღარები კლდეზე ჩამოკიდებული გაჰყავდათ, რაც ხალხური ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის თვალსაჩინო მაგალითია. საგანგებოდაა შესწავლილი ასეთ ნაგებობათა არსებობა, რომელიც ხუ-

ლოს მუნიციპალიტეტის სამ სოფელს – კორტოხს, პაქსაძეებსა და ბეღლეთს ეკუთვნოდა.ეთნოლოგ ნ.ჩიჟავაძის დახასიათებით, მსგავსი ხალხური ჰიდროტექნიკური ნაგებობანი საქართველოს სხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა (ჩიჯავაძე, 1960:116).

XIX საუკუნის დასასრულამდე დასახელებულ სოფლებს სარწყავი წყალი არ ჰქონდათ. არსებული მცირე წყაროები სარწყავ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. გადმოცემით ქართლობის ანუ ქრისტიანობის დროს კორტოხსა და პაქსაძეებს სარწყავი რუ ჰქონიათ, მაგრამ საიდან იყო იგი გამოყვანილი, ხალხის მეხსიერებას შემონახული არ ჰქონია. სოფლების სიახლოვეს ღელის წყლებიც არ მოიპოვებოდა და წისქვილებზეც 2-3 კმ-ის მანძილზე უხდებოდათ სიარული. არსებული მცირე წყლები კი ზაფხულობით შრებოდა. ამიტომ კორტოხისა და პაქსაძეების მოსახლეობას გადაუწყვეტია 25 კმ-ის მანძილიდან გამოეყვანა ასეთი სარწყავი რუ, რაც რთულ შრომასა და დიდ დროს მოითხოვდა. ამ ორ სოფელს ბეღლეთიც შეერთებია და XIX საუკუნის 80-იან წლებში ექვსი წლის დაძაბული შრომის შედეგად სარწყავი რუც გამოუყვანიათ (ჩიჯავაძე, 1960:116).ამავე პერიოდში გამოუყვანიათ ბოდიშის მთიდან სოფელ დიდაჭარაში 25 კმ სიგრძის სარწყავი რუ.

სარწყავი რუების (არხების) მოვლა-პატრონობისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხდებოდა სპეციალური 1-2 პირის გამოყოფა, რომელთაც მეურვე ეწოდებოდა. მათ იმ სოფლის მოსახლეობა ირჩევდა, რომელიც ამ რუებით სარგებლობდა. მერუეს შრომის ანაზღაურება ნატურით ხდებოდა. მაგალითად, კორტოხისა და პქსაძეების თითოეული კომლი წლიურად ერთ ოყა სიმინდს იხდიდა (ჩიჯავაძე, 1960:122).

<u>ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებები.</u> ხულოს რაიონის მთაგორიანობა და ამით გამოწვეული ნიადაგის ეროზიული პროცესები, სავარგული მიწების სიმცირე აქაურ მოსახლეობას აიძულებდა ამის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებანი გამოენახა. ეს საშუალებანი ხელოვნური ტერასების მოწყობის პრაქტიკულ ცოდნა-გამოცდილებაში გამოიხატა.

აჭარის მთიანი სოფლების უმრავლესობა ტრადიციულად ბუნებრივ ტერასებზეა გაშენებული, მაგრამ სამეურნეო დანიშნულების, სახნავ-სათესი მიწები მთაგორიანობისა და ეროზიული პროცესების პირობებში ხელოვნურ დატერასებას მოითხოვდა (ჩიჯავაძე, 1965).

საერთოდ, აჭარის და, მათ შორის, ხულოს რაიონის მიწათმოქმედებაში სამი სახის ხელოვნური ტერასების მოწყობის პრაქტიკა გამოიყოფა: ხით შემოსილი ანუ ძელური ტერასები, ქვით შემოსილი და შეუმოსავი ტერასები. ძელური ტერასების ერთ-ერთი განვითარებული სახე იყო ბორკილი,

რომლის გავრცელების ლოკალური არეალია სხალთის ხეობა (ვერნები, ფუშ-რუკაული და სხვა სოფლები) (ჩიჯავაძე, 1966:118). ტექნიკური თვალსაზ-რისით, ბორკილის განივი ხეების ანუ „ლემსების“ თავები ჭდობის წესით ჩასმული იყო „ხებალიშის“ თავებში. ამგვარი წესი უძველესადაა მიჩნეული, რომელსაც აჭარაში მდინარიდან გამოყვანილ რუსხმულებზე მიწაყრილების გასამაგრებლად იყენებდნენ. ბორკილს ტოლმასაც ეძახდნენ, რაც თურქული-დან მომდინარეობს და ამოვსებულ ადგილს ნიშნავს (ჩიჯავაძე, 1965:19). ამ-გვარად, ბორკილიანი ტერასები, რომლებიც ძელის ბოყვური ჭდობის პრინ-ციპითაა მოწყობილი, ქანობზე მიწის დაკობურებისა და ეროზიისაგან დაც-ვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. ბაქნების მოსაწყობად უპირატე-სობა ენიჭებოდა ფიჭვისა და მუხის ხეებს.

ქვით ნაგები ტერასები არ იყო უცნობი საკვლევი რეგიონისათვის, მაგ-რამ ამ სახის ტერასები აქ მასობრივად გავრცელებულიარ იყო. ამგვარი ტე-რასები უფრო დამახასიათებელი ყოფილა ღორჯომის, დიოკნისის, ვერნების ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის. ხალხური ტერმინოლოგიით, აქაური ტერასები ქვაყორის სახელწოდებითაა ცნობილი, რომლებიც ქვის მშრალი წყობით შენდებოდა. ასეთი ყორეებით იყო შემაგრებული სამოსახლოდ გა-მოთხრილი ბაქნები, ფერდობი სახნავი სათესები. ხულოს რაიონში ქვით გა-მაგრებული ბაქნები ცნობილია „სექვის“, „თუმბის“, „თახთი“, იშვიათ შემთხვევაში „თაროს“ სახელწოდებით (ჩიჯავაძე, 1965:121).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ზემო აჭარისა და კერძოდ, ხულოს ზონის სინამდვილისათვის ხით და ქვით შემოსილი ტერასები ისეთი ინ-ტენსივობით არ იყო გავრცელებული, როგორც ნაწილობრივ შუახევსა და მთლიანად აჭარაში.

<u>სამიწათმოქმედო იარაღები და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ნაგე-ბობანი</u>. ზემო აჭარაში ძირითად სახვნელ იარაღს ჯილღა წარმოადგენდა, რომელშიც გამწევ ძალად ხარს და კამეჩს იყენებდნენ. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დამკვიდრდა ჯილღაში გამწევ ძალად ცხენის გამოყენების პრაქტიკა.ამავე პერიოდიდან შემოდის აჭარაში რკინის გუთანი, რომელშიც გამწევ ძალად ცხენთან ერთად ხარი დღესაც გამოიყენება.

ეთნოგრაფიული მონაცემებით მთელ ზემო აჭარაში და მათ შორის საკვ-ლევ რეგიონშიც გავრცელებული იყო შემდეგი სახის სახვნელი იარაღები: ჯილღა, ჯილღა-გოგორა ანუ გოგრებიანი (ბორბლებიანი) ჯილღა, არვანა და რკინის გუთანი.

ჯილღა და არვანა ქართული სახვნელი იარაღების უძველესი სახეობე-ბია (ჯავახიშვილი, 1930:181-188). არვანა არის იგივე არონა (არუნა), რომელიც

გავრცელებული იყო სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობაში. ჯილღა კი აქაც ამავე სახელწოდებით იყო ცნობილი.ღორჯომის ხეობის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ჯილღას იყენებდნენ როგორც ვაკე, ისე ფერდობი, ხოლო არვანას ძირითადად ფერდობი ადგილების მოსახნავად. ღორჯომის, დიდაჭარის, დეკანაშვილების, ღურტის ეთნოგრაფიული მონაცემებით ვაკე ადგილების მოსახვნელად გოგორებიან ჯილღას იყენებდნენ, რომელშიც 2-3 უღელი ხარი იყო შებმული, არვანაში კი – ერთი.

ბოლო წლებიდან აჭარაში ფართოდ მკვიდრდება რკინის გუთანი, რომელშიც წყვილი ცხენია შებმული. ზემო აჭარასა და ღორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში მასობრივადაა გავრცელებული ვიწრო და ფართოპირიანი თოხები. პირველი ძირითადად კორდი და მაგარი მიწების, მათ შორის, ახო მიწების დასამუშავებლად, მეორე კი მარცვლეული კულტურის ნათესების გასათოხნად და სხვა დანიშნულებით. არსებობდა კომბინირებული ვიწროპირიანი და მაღალი ფორმის თოხები ზედა მხრით წაწვეტებული პირით, რომელიც, აგრეთვე, კორდი და მაგარი, ასევე ახლად გატეხილი ახო მიწის დასამუშავებლად გამოიყენება.

აჭარის, ისე როგორც საერთოდ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თოხი ძირითადი სამიწათმოქმედო იარაღის ფუნქციას დღესაც ინარჩუნებს. მისი გამოყენება სხვა მხრივაც დიდია.თოხი კოლხური ტიპის სამიწათმოქმედო კულტურის ისტორიულად დამახასიათებელი ელემენტია.

სხვა სამიწათმოქმედო იარაღებიდან ასევე საყოველთაოდაა გავრცელებული სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ცულები, წალდები (ტყე-ბუჩქნარის საკაფავად), ნამგლები სამკელად, კევრები პურის თავთავის სალეწად, ხის ფიწლები გალეწილი მარცვლეულის გასანიავებლად, წნული გოდრები სიმინდის მოსავლის ასაღებად და სასიმინდეებში დასაბინავებლად. სასიმინდეები შენდებოდა და დღესაც შენდება ოთხკუთხედად გათლილი გრძელი ხეებისა და ფიცრისაგან. დაფშვნილ სიმინდს ინახავდნენ ხის ხაროებშიც, რომლებიც ზოგიერთ სახლს თავანში (ჭერში) ჰქონდა დატანებული.

<u>მევენახეობა-მეღვინეობა</u>. ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია იმ კულტურულ-ისტორიულ არეალში ექცევა, სადაც კულტურულ მევენახეობას საფუძველი უძველეს პერიოდში უნდა ჩაყროდა. ამის დასტურად მიგვაჩნია გოდერძის უღელტეხილის მახლობლად სოფელ ძინძეს ნასოფლარზე (ადიგენის რაიონი) ვულკანურ ქანებში ნაპოვნი გაქვავებული გიგანტური გარეული ვაზის ღეროს ნაშთი, რომლის ასაკი გეოლოგების მიერ 10-15 მილიონი წლით თარიღდება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აქვე ნაპოვნია სუბტროპიკული ფლორის ელემენტებიც (ძველაია, კვირკველია, 1987:69-70). გიგანტური

ვაზის ხეები დიდხანს ხარობდა აჭარის მეზობელი ადიგენისა და ასპინძის რაიონების ტერიტორიაზე. აქაური გარემო, აწარის ჩათვლით, ეჭვგარეშეა, მიჩნეული უნდა იქნეს კულტურული ვაზის ფორმირების ერთ-ერთ უძველეს და მნიშვნელოვან კერად (კახიძე, 2009:314).სპეციალური გამოკვლევებით ისიც ცნობილია, რომ დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე მაღლარი ვაზის ჯიშები უფრო მრავლადაა წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში (რამიშვილი, 1948:2). XIX საუკუნის 90-იან წლებში თ.სახოკიამ აქ მოგზაურობის დროს მაღლარი ვაზის 17 ჯიში დააფიქსირა, რომელთაგან ყველა ძველ ჯიშად ჩაითვალა, გარდა შემოტანილი ადესისა, რომელიც მას ღორჯომში უნახავს. ეს ძველი ჯიშებია: ბუდეშური, ბურძგლა, ბუტკურა, ბროლა, კლარჯული, მეკრენჩხი, ჩხავერი, ცხენიძუძუ, ჭოდი, და სხვ. (სახოკია, 1950:175).როგორც ჩანს, აჭარის მევენახეობაზევაზის სოკოვან დაავადებებს (ნაცარა, ჭრაქი, მოგვიანებით ფილოქსერა), რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა საქართველოში, ისეთივე გამანადგურებელი გავლენა ვერ მოუხდენია, როგორიც მან იქონია საქართველოს მევენახეობის სხვა რაიონებზე. სპეციალური ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე ნ.კეცხოველი წერდა: „გურიაში ითვლებოდა ვაზის 60 ჯიში, სამეგრელოში – 55-მდე, აჭარაში – 50-მდე. აღწერის შედეგად აღმოჩნდა, რომ აჭარაში გადარჩენილა 40, გურიაში – 20, სამეგრელოში – 14 ჯიში“ (კეცხოველი, 1976:48).

ეთნოგრაფიული მონაცემებით, მარტო ხულოს რაიონის სოფელ ჩაოში, რომელიც ზღვის დონიდან თითქმის ათასი მეტრისსიმაღლეზე მდებარეობს, 20-მდე მაღლარი ვაზის ჯიში დაფიქსირდა (ჯოხია, 1986:45), რომელთაგან უმეტესობა უძველეს ჯიშებს განეკუთვნება. ჩამოთვლითაგან რამდენიმე ძველი ჯიში (ბროლა, ლივანურა, ცხენიძუძუ, ხარითვალა, ხოფათური, ჭოდი, ქორქაულა, ჩხავერი) აღწერილია ხულოს რაიონის სხვა სოფლებშიც (განახლება, ვაშლოვანი, ღურტა, კორტოხი, დიოკნისი, ძირკვაძეები). ჩამოთვლილ ზოგიერთ სოფელში ხშირად გვხვდება მევენახეობასთან დაკავშირებული ტოპონიმები: ვენახი, ნავენახევი, ვენახები, ღვინის წყარო, მარანი. ყურძენი მოხსენიებულია XIII საუკუნის პირველი ნახევრის მწერლისა და მოაზროვნის, ზემო აჭარის მკვიდრის აბუსერისძე ტბელის თხზულებაში (ტბელი, 1981:7). აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელ ვაშლოვანს ადრე მარანა ეწოდებოდა.

ხულოს რაიონში მევენახეობა-მეღვინეობის ძველი დარგის არსებობისა და განვითარების მაჩვენებელია ზემოთდასახელებული მარნისა (სოფელი ვაშლოვანი) და მიწაში უხვად დაფლული ქვევრების აღმოჩენა. ხალხური გადმოცემით, სოფელ ვაშლოვანს ადრე მარანა ეწოდებოდა. ჯვრისგამოსახულებიანი ქვევრია ნაპოვნი სოფელ დიდაჭარაში, ხუციაშვილების უბანში,

ნაეკლესიარ ადგილას. საღვინე ქვევრებია ნაპოვნი დიოკნისში (300 ლიტრის ტევადობით), სამი ქვევრი უჩხოში (100-100 ლიტრის ტევადობის) (ჩელებაძე, 2006:14). ქვევრებიანი საღვინე მარნებია აღმოჩენილი ხიხანის ციხის, ციხისყელის, თხილვანის, ვერნების, კალოთის ტერიტორიაზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ საღვინე ყურძენი მთის ზონის ეკლესიების თუ საფორტიფიკაციო ნაგებობათა მფლობელებს (აჭარის ერისთავებს) ბარის სოფლებიდან აჰქონდათ (მამულაძე, 1993:159).

მიწაში დაფლული ქვევრები, ასევე ციხეთა ეკლესიების ტერიტორიებზე მრავლად აღმოჩენილი მარნები ქვევრებით, ოსმალთა ბატონობამდელ პერიოდს უკავშირდება. ამ პერიოდში, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა, ჯერ შეიზღუდა, შემდეგ აიკრძალა ღვინის დაყენება და მოხმარება, რამაც გავლენა იქონია საღვინე ჯიშის ყურძნის მოშენებაზე. შთამბეჭდავად აღწერს ამ ვითარებას თ.სახოკია. 1890-იან წლებში ის წერდა: „დაგვრჩენია მხოლოდ აღვნიშნოთ ის სამწუხარო ფაქტი, რომ მაჰმადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისთვისაც ამოუკვეთინებია ფეხი აჭარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმასღა მოწმობს, რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა... დღეს კი, სადაც არ დამტვრეულა ძველი ქვევრები, საცაა დაიმსხვრევა, ვაზები მოუვლელობით და უპატრონობით გადახმება და გადაიჩეხება“ (სახოკია, 1950:174).

საინტერესოა თ.სახოკიას დაკვირვება აჭარაში ვაზის ფორმების გავრცელების შესახებ. იგი შენიშნავდა: „აქეთკენ დაბლარი არ იციან, სულ მაღლარია, როგორც გურია-სამეგრელოში. ვაზი უზარმაზარ ხეზეა გაშვებული და ღვთის ანაბარა იზრდება სხვა ხეთა შორის“ (სახოკია, 1950:174).ასეთივე სურათი დგინდება გურია-სამეგრელოს სინამდვილეში, სადაც წარსულში ძირითადად მაღლარი ვენახი იყო გავრცელებული, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, სადაც დაბლარ ვენახს მთავარი ასპარეზი ჰქონდა დათმობილი (ჯავახიშვილი, 1930:340). მაჭახლის ხეობის მაგალითზეც დადგენილია, რომ აქ მხოლოდ მაღლარი ვენახი იყო გავრცელებული და უკეთესად იყო შეგუებული აქაურ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს (კახიძე, 1971:5). სოფლებში უჩხოსა და ღურტაში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებითაც სახნავ-სათესი მიწების სიმცირის პირობებში აქ წარსულშიც მაღლარი ვენახი უნდა ყოფილიყო ფეხმოკიდებული, რომელიც ლეკის, თხმელის, კაკლის ხეებზე იყო მიშვებული (ჯოხია, 1986:47).

ხულოს რაიონში ზემოთ ჩამოთვლილ ვაზის ჯიშებს ახლა იშვიათად შეხვდებით. აქაც ძირითადად გაბატონებულია ადესას (იზაბელას) ჯიშის ყურძენი, რომელიც ისეთ მაღალ სოფლებშიც კი ხარობს, როგორიც ბოძაური და რიყეთია. გამონაკლისს შეადგენს სოფელი ჩაო, სადაც, როგორც ითქვა, მაღლარი ვაზის ძველ ჯიშებთან ერთად, შემოტანილი ჯიშებიც ხარობს. ზოგიერთ სოფელში დღეისათვის ვაზის ტალავერსაც შეხვდებით. იგი კარ-მიდამოს ღობეებზეც არის მიშვებული, რაც წარსულში იშვიათი წესი იყო.

ახლო წარსულში ხულოს რაიონის სოფლებში მოწეული ყურძენი გასა-ყიდადაც გაჰქონდათ ახალციხეში, არდაგანში. ზოგჯერ აქედანაც მოდიოდ-ნენ მყიდველები და ცხენებით, იშვიათად ურმებით, გაჰქონდათ ყურძენი. იგი იყიდებოდა ფულზე, იცვლებოდა რძის პროდუქტებზე, მატყლზე. თ. სახოკიას ცნობით, ადგილზე თითო ფუთი ყურძენი ორ აბაზად იყიდებოდა. ზემოაჭარაში კი მარტო 1894 წელს მოუკრეფიათ: ხოფათური, კლარჯული, მწვანე, და მატენაური 20-20 ფუთი, ბროლა, ბუდეშური, ბურძგლა, ბუტ-კურა, რხარითვალა, ცხენიძუძუ 2-8 ფუთი (სახოკია, 1050:176). როგორც ჩანს, ზემო აჭარა XIX საუკუნის ბოლოს ყურძნის დიდი მოსავლიანობით არ გა-მოირჩეოდა. ჩვენს დროშიც, ხულოს რაიონში ყურძნისა და ხილის წარ-მოებაც დაბალია აჭარის სხვა რაიონებთან შედარებით, რასაც თავისი ცნო-ბილი ობიექტური პირობები გააჩნია. 2002-2004 წლებში ხულოს რაიონში მოიკრიფა სულ 75 ტონა ყურძენი (სტატისტიკური..., 2005:33), 2005 წელს – 26 ტონა, 2006 წელს – 70 ტონა (აჭარის..., 2007:34).

დღეისათვის ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ყურძენი გასაყი-დად იშვიათად გააქვს. წარსულშიც და დღესაც იგი ძირითადად საოჯახო მოხმარების საგანს შეადგენს. ბევრ ოჯახში მზადდება საუკეთესო ხარისხის ღვინო ადესისა და სხვა ყურძნისაგან. მისგან მზადდება ფაფა (ფელამუში), ფაფისაგან – ჩურჩხელა. ოსმალთა ბატონობის ხანაში, როდესაც ღვინის და-ყენება და მოხმარება იკრძალებოდა, იმ სოფლების მოსახლეობა, სადაც ყურძენი მოდიოდა, მასობრივად ამზადებდა ხარდალს, ანუ დადუღებულ წვენს. ზემო აჭარის მაგალითზე თ.სახოკიას ამ ფაქტისთვისაც მიუქცევია ყურადღება. იგი წერდა: „მაჰმადის რჯულს აჭარელთათვის ყურძნის წვენის დალევა დუღილ-გათავებულის სახით აუკრძალავს, მაგრამ იმავე რჯულს ნება დაურთავს იგივე წვენი დალიოს „მართლმორწმუნემ“, მხოლოდ უდუ-ღარი. ამ მეორე წვენს აქ „ხარდალი“ ჰქვია. ხარდალს ამრიგად აკეთებენ: მოზელენ ხარდალს (მდოგვს), იმით, როგორც აქ ამბობენ „გამოქაფაქვენ“ ქვევრს, შიგ ტკბილს ჩაასხამენ და თავს მოუკრავენ. ტკბილი არ დუღდება.

როცა ნადიმი აქვთ, ამ ტკბილს შეექცევიან ძველებური ღვინის მაგივრად. ხარდალსაც ბევრს არ აკეთებენ“ (სახოკია, 1950;175).

ხულოს რაიონი შორეულ თუ ახლო წარსულში ძირითადად მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის რაიონად განიხილებოდა და სათანადო ყურადღება არ ექცეოდა აქ მევენახეობის განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო მეთამბაქოეობის განვითარებაზე, მევენახეობის განვითარებას აქ ადრე არსებული მაღლარი ვაზის არსებობასა და მის აღდგენა-განვითარებაზე კი თითქმის არავინ ზრუნავდა. ალბათ დღის წესრიგში უნდა დადგეს აქაც ზრუნვა მევენახეობისა და მეხილეობის ფართოდ განვითარებისათვის.ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1970-იანი წლებისათვის ხულოს რაიონის 36 კოლმეურნეობიდან 13 კოლმეურნეობაში ვაზი იყო გაშენებული და მას 57 ჰა ეკავა (ჩხაიძე, 1973:28).

<u>მეხილეობა</u>. აჭარა მეხილეობითაც საქართველოს ერთ-ერთი დაწინაურებული მხარე იყო.ივ.ჯავახიშვილსდამოწმებული აქვს XVIII საუკუნის ფრანგი მოგზაურის შარდენის შემდეგი გამონათქვამი: ევროპაში არ მოიპოვება არცერთი ადგილი, სადაც მოჰყავდეთ ისეთი მსხალი და ვაშლი, რომელიც სილამაზითა და საუცხოო გემოთი საქართველოში მოყვანილ მსხალსა და ვაშლს სჯობდესო (ჯავახიშვილი, 1964:125). აჭარის მაგალითზე ეს სიტყვები შეიძლება გავიმეოროთ ხულოს ზონაში გავრცელებულ ხილზე და, მათ შორის, ვაშლზე და მსხალზე.

შემთხვევითი როდია ის ფაქტიც, რომ ხულოს რაიონის ტერიტორიაზე გვაქვს ორი სოფელი, რომელთა ერთი სახელი ვაშლს უკავშირდება (ვაშლოვანი) და მეორე – მსხალს (სხალთა), სადაც ცნობილი სხალთის მონასტერია გაშენებული. ხეხილის ჯიშებთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები კი ბევრია. ვაშლობის სახელს ატარებს ნასოფლარი ბეშუმის ზონაში, რომელზეც ივ.ჯავახიშვილიც მიუთითებდა 5 ვერსიან რუკაზე აღნიშნულ ვაშლოვანთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ სახელებთან ერთად (ჯავახიშვილი, 1964:100). ოსმალთა ბატონობის დროს ვაშლოვანს სახელი შეეცვალა და ალმე ეწოდა, რაც თურქულად ვაშლს ნიშნავს. სოფელს ძველი სახელი (ვაშლოვანი) ისევ დაუბრუნდა, სადაც საუკეთესო ხარისხის ვაშლის მოსავალი მოდის.

მეხილეობა აჭარის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულშია გავრცელებული, მაგრამ ხულოს რაიონი თავისი სოფლებით (ვაშლოვანი, ყინჩაური, ბეღლეთი) ზემო აჭარაში გამორჩეულია. საკოლმეურნეო პერიოდშიც მეხილეობის დარგში ორი ერთმანეთისაგან განსხვავებულ ქვერაიონს გამოყოფდ-

ნენ (ხელვაჩაური-ქობულეთისა და ხულო-შუახევ-ქედის) (დევიძე, 1962–122). თ. სახოკია წერდა: „აჭარის შესახებ სამართლიანად ითქმის – მთლიანი ბაღიაო, ხილი და განსაკუთრებით მსხალი ყველგანაა“ (სახოკია, 1950:175). კონკრეტულად დიდაჭარის მაგალითზე მოგზაური გიორგი ყაზბეგი შენიშნავდა: „სოფელი დიდაჭარა ბაღებშია ჩაფლული, ძლივს თუ დაინახავთ აქაიქ ამოშვერილ სახლებს“ (ყაზბეგი, 1960:87).მას სოფელ ჩაოსთან მრავალი ვაზი, კაკლისა და თუთის ჭალები, სხალთიდან ხიხაძირისაკენ მიმავალ გზაზე კი კაკლის, მსხლისა და წაბლის უზარმაზარი ხეები უნახავს. საინტერესოა გ.ყაზბეგის დაკვირვება ვერტიკალური ზონალობის გავლენაზე მეხილეობის განვითარების თვალსაზრისით. იგი წერდა: „მცენარეულობა ყოველ ნაბიჯზე იცვლება. სოფელ დიდაჭარაში მსხალს და ალუბალს უკვე გამოეღო ნაყოფი, მაშინ როცა ღორჯომში მსხალი ჯერ კიდევ ყვაოდა“ (ყაზბეგი, 1960:86).

კიდევ უფრო საგულისხმოა თ.სახოკიას მონაცემები ხულოს რაიონის მეხილეობაზე სოფელ ფურტიოს მაგალითზე, როდესაც წერდა: „ადამიანს აოცებს ეს მთლიანი ტყე ხეხილისა, რომელშიც ჩაფლულია აქაური ხის სახლები. განსაკუთრებით აუარებელია მსხალი. ალაგ-ალაგ ვაზებით დახუნძლული ხეებიც დგას. ამდენი კარგი ჯიშის ხილს აჭარაში იშვიათად თუ სადმე შეხვდებით“ (სახოკია, 1950:205).

თ.სახოკია პირველი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ და უცხოელ მოგზაურთა შორის, რომელმაც ზემო აჭარაში გავრცელებული ვაშლის, მსხლის და ხეხილის სხვა ჯიშების სახელწოდებები ჩაიწერა. ეს ჯიშები შემდეგია: ვაშლის – ბოტია, წითელი, ყარაფილა, შაქარ-ვაშლა, ბია-ვაშლა, სობა-ვაშლა, წითელი ვაშლი, მწვანე ვაშლი, ცალა ვაშლა, დემირ-ალმა, წიპლიკა ვაშლი (წვიტა ვაშლი), კაჩა-ვაშლა, ყირმიზი ვაშლი; მსხლისა – ხეჭეჭურა, ბეღლეთურა, ბუტურა, საღომა (ღომსავით იჭმევა, მეტად რბილია), კვირისთავა, სხალძაძა, თავანა, ჯიხარაჯულა, სესელა (ადრეული),ბარაქა, ბარაქასბუში, სხალგაზა (საზამთრო), წყაროპირი, სანთელა, ჭილობა, სამწიფარა, ვარდანაულა, წენგუა, უწყეტა, სართული, მაგარა, ბუმბულა, იჩხითური (ალბათ უჩხითური-ნ.კ.), შავსხალი, სხალთაფლა, თავრიჯული, კაცისთავა, ბოქშუა, ნანეზირა, ყაბაღარმუთი, წარებოქშუა, პაკსაურა, მიხრიკო, ყვითელა, ხატურა, მილახური, გვერდწითელა, თეთრუა. აქვე ჩამოთვლის ქლიავის ჯიშებსაც – ქლიავი, ოტური, ვარვალა, ჭანჭური, ღორი თავა (სახოკია, 1950:174). ამდენი ჯიშის მსხალი ზედა და ქვედა აჭარის არცერთ სოფელში არ დასტურდება. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ზემო აჭარა, რომელშიც დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტიც შედის, მსხლის მოყვანით

მართლაც გამორჩეული და დაწინაურებული ზონაა. ამ ჯიშებიდან დღესაც ბევრია შემორჩენილი და საოჯახო შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

ხილისაგან სხვადასხვა საკვები პროდუქტი მზადდებოდა, რომელთა შორის უმთავრესი იყო ბაქმაზი, ჩირი, ტყლაპი, მსხლის ჩირისაგან ზამთარში ამზადებდნენ კომპოტის მსგავს დასალევს, რომელსაც ხოშავს ეძახიან. მას პურთან ერთად მიირთმევდნენ.

ხულოს რაიონი მეხილეობით რომ დღესაც გამორჩეულია აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებს შორის,ამაზე სტატისტიკური მონაცემებიც მიუთითებს. 2000-2004 წლებში რაიონში დამზადდა 12000 ტონაზე მეტი ხილი (სტატისტიკური..., 2005:33), ხოლო მარტო 2005 წელს 34 300 ტონაზე მეტი (აჭარის, 2007:34), რითაც აჭარის ყველა რაიონს უსწრებდა.

რაიონს მეხილეობის განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია, თუ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ძველი, ტრადიციული უხვშემოსავლიანი ჯიშების გამრავლებასა და სათანადო მოვლა-პატრონობას.

<u>მესაქონლეობა</u>. ხულოს მუნიციპალიტეტი მესაქონლეობის მხრივაც აჭარაში და საერთოდ საქართველოში ყველაზე დიდ და დაწინაურებულ მთიან რეგიონს წარმოადგენდა.

ამის საფუძველს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები – ვრცელი სათიბ-საძოვრები და სხვა ფაქტორები ქმნიდა. ასე შეიძლება ითქვას მუნიციპალიტეტში შემავალ თითქმის ყველა დიდ სოფელსა თუ ხეობაზე (ღორჯომი, დიდაჭარა, სხალთა, ხიხაძირი და სხვ.).

გ. ყაზბეგი ღორჯომის მაგალითზე წერდა: „ეკონომიკური თვალსაზრისით ღორჯომის მდებარეობა ყოველგვარ პირობებს ქმნის უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის. ყოველ ოჯახს ახლოს აქვს სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი და ტყე. აქედან ჩანს, რას საქმიანობენ ღორჯომის მცხოვრებნი: მათი მეურნეობის ძირითადი დარგია მეცხოველეობა“ (ყაზბეგი, 1960:84-85). მისივე სიტყვებით, მესაქონლეობა ზემო აჭარის სოფლებიდან, ღორჯომის გარდა, ძლიერ განვითარებული ყოფილა ბაკოში, ხიხაძირსა და თხილვანაში. ღორჯომის შეძლებულ ოჯახს ოცი-ოცდაათი მეწველი ძროხა ჰყოლია, რამდენიმე უღელი ხარი და შედარებით ნაკლები ცხვარი (20-25 სული). მდელოებისა და საძოვრების სიუხვის გამო უპირატესობა მსხვილ რქოსან პირუტყვს ენიჭებოდა. მარტო 1874 წელს ღორჯომის მცხოვრებლებს 100-მდე მსხვილი რქოსანი პირუტყვი გაუყიდიათ და მათ სარძევე მეურნეობას არაფერი დაკლებია. საქონელი თითქმის მთლიანად ოზურგეთში განლაგებული ჯარის მოიჯარადეებისათვის მიუყიდიათ (ყაზბეგი, 1960:85). თ. სახოკიას ცნობით, რაც

სტატისტიკურ აღწერილობას ემყარება, 1894 წლის აღწერით სოფელ ღორ-ჯომში აღრიცხულია 60 მეწველი კამეჩი, 356 ხარი, 1050 ძროხა და 1000 სულამდე ცხვარი (სახოკია, 1950:135).მოგზაური აქვე შენიშნავს, რომ ქრისტიანობის დროს აქ ღორიც ჰყოლიათ და სოფელსაც ღორჯომი აქედან შეერქვა. მთელ ზემო აჭარაში მაშინ აღირიცხებოდა 13 537 ძროხა, 3464 ხარი, 308 კამეჩი, 2849 ცხვარი, 2116 თხა (სახოკია, 1950:173). შედარებისათვის: ქვემო აჭარის მაგალითზე ეს მონაცემები ასე გამოიყურება: ძროხა – 2778, ხარი – 2845, ცხვარი – 150, თხა – 130, ცხენი – 628, სახედარი – 11, ჯორი – 5 (სახოკია, 1950:173). აქვე მოვიტანთ სამხედრო ისტორიკოსისა და კორესპონდენტის ა.ფრენკელის 1878 წლის ცნობებს. დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის მაშინდელი 10 სოფლის (ხულო, ალმე, ხიხაძირი, სხალთა, ფურტიო, ღორჯომი, ღურტა-პაქსაძეები, ბეღლეთი, დიდაჭარა, ჩაო, თაგო) მაგალითზე, რომლებიც მაშინ ზემო აჭარის ყაზაში ერთიანდებოდა, იყო 600-მდე ძროხა, 900-მდე ხარი, 45 კამეჩი, 175 ცხენი, 2247 ცხვარი და თხა (ფრენკელი, 2012:114).თუმცა, ეს მონაცემები ზუსტი არ უნდა იყოს თ.სახოკიას მონაცემებთან შედარებით, რაც შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მოსახლეობა მაშინ სავარაუდოდ მალავდა საქონლის ზუსტ რაოდენობაზე ცნობებს გადასახადების გადახდის შიშით. წინააღმდეგ შემთხვევაში, 15 წლის მანძილზე (1878-1894 წწ) საქონლის სულადობა ასე მკვეთრად ვერ გაიზრდებოდა. ჩვენ გვაქვს ცნობა იმის შესახებაც, რომ ოსმალთა ბატონობის დროს ზემო აჭარის მოსახლეობა ერთ სულ მეწველ ძროხაზე ყოველწლიურად იხდიდა ნატურით გადასახადს 1,5 გირვანქის, ანუ 1/2 ოყაკარაქის რაოდენობით, რაც ხუთას მანეთამდე შეადგენდა ცხვარზე და თხაზე (ერთ სულზე კი 25 კაპიკს (1050 მანეთი). ამ გადასახადს რუსუმათი ეწოდებოდა (ყაზბეგი, 1960:114).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2005-2006 წლების მონაცემებით ხულოს მუნიციპალიტეტი აჭარაში მსხილფეხა საქონლის რაოდენობით აჭარის ყველა მუნიციპალიტეტს უსწრებდა. 2005 წელს აქ ირიცხებოდა 3960 მსხვილფეხა პირუტყვი, 2006 წელს – 39 600 (აჭარის..., 2007:33). მას მოყვებოდა შუახევის რაიონი (2005 წელს 27175, 2006 წელს – 27778 სული), შემდეგ ქობულეთი (18087, 18120), ხელვაჩაური (16083, 15310), ქედა (12049, 10210). სამაგიეროდ, 2005-2006 წლებში ხულოს მუნიციპალიტეტი შუახევის მუნიციპალიტეტს უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდა წვრილფეხა პირუტყვის (ცხვარი, თხა) სულადობის მხრივ.

მსხილფეხა მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა მერძეულ პირუტყვსა და გამწევ ძალას (ხარს). მეწველი საქონელი მთიან აჭარაში და მათ

შორის დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ძირითადად ადგილობრივი ჯიშის იყო. მესაქონლეობის დარგის სპეციალისტები აჭარულ ძროხას თავისი წარმოშობით საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთსა და რაჭაში გავრცელებულ ჯიშებს მიაკუთვნებენ (შამილაძე, 1969:52). აჭარული ძროხა ხასიათდება პატარა ტანადობითა და რძის ცხიმიანობით. ადგილობრივი ჯიშის მეწველ საქონელთან და გამწევ ძალასთან ერთად, ზემო აჭარაში გავრცელებული იყო შემოყვანილი ჯიშიც (არდაგანული, მეგრული, ახალციხური), მაგრამ მას მსხვილფეხა მესაქონლეობაში მცირე ადგილი ეჭირა. არდაგანული მსხვილფეხა საქონელი შედარებით დიდი რაოდენობით შემოჰყავდათ ღორჯომის, ხიხაძირისა და ჭვანის ხეობებში. ამ ჯიშის ძროხა ტანადობით, პროდუქტიულობით, გამწევი ძალა კი შრომისუნარიანობით ბევრად სჯობდა ადგილობრივს, მაგრამ აღნიშნული თვისებებისა (ტანადობა, საკვების დიდი რაოდენობით მოხმარება) და ადგილობრივი მთური ბუნებრივი პირობების გამო ძნელად ეგუებოდა აქაურ კლიმატურ პირობებს. შედარებით უკეთესად იყო შეგუებული აჭარის მთურ კლიმატურ პირობებს მეგრული ჯიშის პირუტყვი (შამილაძე, 1969:53). XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ზემო აჭარაშიც ჩნდება მეტისი – მეგრულ-აჭარული და არდაგანულ-აჭარული საქონელი, მაგრამ მის გამრავლებას ადგილობრივ საჯიშე-სანაშენე საქმიანობაში ფართო გასაქანი არ მიუღია. ამ საქმეში უფრო დიდი ყურადღება ექცეოდა სელექციის გზით მიღებული ადგილობრივი აჭარული ჯიშის ძროხისა და მუშა პირუტყვის მოშენებას. სელექციის ცენტრები არსებობდა ღორჯომში, დიდაჭარაში, ძირკვაძეებში, თხილვანასა და სხვა სოფლებში, რაც ამ დარგში მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული საქმიანობისიმდროინდელ დაწინაურებულ დონეზე მიუთითებს (შამილაძე, 2006:6-7).

ზემო აჭარელის ცხოვრებაში მსხვილფეხა მესაქონლეობა, პირველ რიგში კი მეწველი საქონელი, განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იყო მოქცეული. თ. სახოკია მართებულად შენიშნავდა: „აქაური პირუტყვის კარგად შენახვას წმინდა მოვალეობად სთვლიან. გლეხი თავისთავს დააკლებს და საქონელს კი საკვებს არ დააკლებს. წარმოსადგენადაც კი ძნელია, თუ რა ციცაბოზე ადის აქუარი გლეხი, ოღონდ ერთი მუჭა მეტი თივა მოიმარაგოს ზამთრისათვის (სახოკია, 1950:172).

დიდი მზრუნველობის ქვეშ იყო მოქცეული მთავარი გამწევი ძალა – ხარი, რომელიც პირველ რიგში გამოყენებული იყო მიწათმოქმედებაში, მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობაში.ხარ-მარხილით ეზიდებოდნენ საქონლის საკვებს (თივას), სამშენებლო მასალას. ხარით გადაჰქონდათ სხვა-

დასხვა ტვირთი. ხარი იყო ძირითადი სატრანსპორტო საშუალება ცხენთან ერთად. სამშენებლო საქმეში ხარის გამოყენების შესახებ ცნობები დაცულია XIII საუკუნის ზემოაჭარელი მოაზროვნისა და მწერლის აბუსერისძე ტბელის თხზულებაში (ტბელი, 1981:5). როგორც თ. სახოკიას ზემოთ მოყვანილ ცნობაში ვკითხულობთ, XIX საუკუნის 90იან წლებში ზემო აჭარაში 3400-ზე მეტი ხარი ყოფილა, ქვემო აჭარაში კი 2800-ზე მეტი.

ზემო აჭარის მიწათმოქმედებაში ხარს რომ ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა, ეს კარგად ჩანს მისი ასაკობრივი სახელწოდებისა და თავისებურებების ხალხურ ცოდნაში. მაგალითად, ხარი დაბადებიდან ერთ წლამდე ხბოა, ერთიდან ორ წლამდე – მოზვერი, ორიდან ოთხ წლამდე – კალო (ანუ კალოობაში გამოყენება), ოთხიდან ექვს წლამდე – ქერობა (ანუ ხვნათესვაში გამოყენება) (შამილაძე, 1969:63). სამიწათმოქმედო სამუშაოებში გამოყენებამდე ხარს აუცილებლად კასტრაციას უკეთებდნენ, რასაც ზემო აჭარაშიც დაკოდვა-დაყვერვა ეწოდებოდა. დაუკოდავ ხარს საჯიშედ იყენებდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „საჭიდაო“ ხარების მოვლა-პატრონობას. ასეთნაირად გამოზრდილ ხარებს შეჯიბრებაში ანუ „ხარების ჭიდაობაში“ სოფლის ფარგლებშიც იყენებდნენ და სოფლებს შორის შეჯიბრებაშიც.

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ძველად წვრილფეხა საქონლის მოშენებასაც მისდევდნენ, მაგრამ მისი ხვედრითი წილი მსხილფეხა მესაქონლეობასთან შედარებით მცირე იყო. ცხვარს და თხას საზამთრო საძოვრების უქონლობის გამოც ბევრს აშენებდნენ. ცხვარს ძირითადად მატყლისათვის ინახავდნენ, რომლის ნართისაგან დამზადებულ ქსოვილს მამაკაცის ჩოხა-შალისა და თავსახურავის, ასევე წინდებისათვის იყენებდნენ. შედარებით დიდი რაოდენობით აშენებდნენ ცხვარს ღორჯომის ხეობაში. თ. სახოკიას ცნობით, ღორჯომელი ქალები საუკეთესო შალებს ქსოვდნენ მატყლისაგან. ღორჯომში მოქსოვილი შალებით იმოსებოდა ზემო აჭარის მკვიდრთა უმეტესობა (სახოკია, 1950:135).

მეცხვარეობას აქტიურად მისდევდნენ აჭარაში მცხოვრები მომთაბარე ქურთები და ჰემშილები, რომელთაც ზაფხულობით ცხვრის ფარა გოდერძის უღელტეხილის, ბეშუმის მიდამოებისა და სარიჩაირის საზაფხულო საძოვრებზე მიჰყავდათ, ზამთრობით კი კოლხეთის დაბლობის დაქირავებულ საძოვრებზე აზამთრებდნენ (შამილაძე, 1969:44-45).

ზემო აჭარაში მეცხენეობასაც მისდევდნენ. 1894 წელს თ.სახოკიას მიერ მოტანილი ცნობა ზემო აჭარაში 900 ცხენის არსებობაზე ამის დასტურია. გ.ყაზბეგის ცნობით, ღორჯომის ყოველ კომლს მხოლოდ თითო სასაპალნე ცხენი ჰყავდა. ისინი არდაგანში მცხოვრები ქურთებისაგან ორი წლის კვი-

ცებს ყიდულობდნენ და სახლში ზრდიდნენ (ყაზბეგი, 1960:85). თ. სახოკიას ცნობით კი, ზემო აჭარაში ახალციხური ჯიშის ცხენები ჰყოლიათ, რომელთაც აქაურ მთაგორიან პირობებში (700-დან 1000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან) ათი ფუთი ტვირთის წაღება შეეძლოთ (სახოკია, 1950:172).

მეცხენეობას დღეს ზემო აჭარაში ნაკლებად მისდევენ. საავტომობილო ტრანსპორტის გავრცელებამ ცხენის საჭიროებაზე მოთხოვნილება საგრძნობლად შეამცირა. სოფლად თუ მთაში (საზაფხულო საძოვრების ზონა) ცხენს დღეს იშვიათად შეხვდებით.

<u>მესაქონლეობის ფორმები</u>. ზემო აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აქ მესაქონლეობის სამი ფორმა გამოიყოფა, რომელიც ვერტიკალური ზონალობის თავისებურებებსაც წარმოაჩენს. პირველია ბარული, მეორე – ყიშლური, მესამე – მთური, ანუ ალპური,საზაფხულო საძოვრებზე ყოფნის პერიოდი.

პირველი ფორმა გულისხმობს საქონლის მოვლა-პატრონობას ბაგურ კვებაზე, რაც ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრის პირობებითაა გამოწვეული. ეს პერიოდი აიძულებდა აქაურ მესაქონლეს ეზრუნა საქონლის გამოსაკვებად საკმარისი მარაგის წინასწარ დაგროვებაზე. ამ მარაგს ძირითადად ავსებდა თივა, ჩალა, ძმერხლი, წყავი, ნეკერი, სურო და სხვა ტყიური საკვები. სიმინდის კულტურის გავრცელებამდე საქონლის საკვებად ბაგურ პერიოდში იყენებდნენ თივას, ქერს, ჭვავს, პურის ბზეს. თივის შემდეგ უპირატესობით სარგებლობდა ძმერხლი, რომელიც ყუათიანობით გამოირჩეოდა. ეთნოგრაფიული მასალებით ძმერხლს საკვებად აძლევდნენ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელს, რომელიც მას „ხორცსა და რძეს მატებდა და საქონელიც ჯანზე მოჰყავდა“ (შამილაძე, 1969:85).

განსაკუთრებული შრომა სჭირდებოდა თივის მარაგის მომზადებას. სათივე ადგილები ანუ სათიბები იქმნებოდა ტყის გაჩეხვისა და კორდი მიწების ათვისების ხარჯზე, მაგრამ ასეთი კორდი ადგილები მთის პირობებში ცოტა იყო და ძირითადი ყურადღება ტყის გაჩეხვის შედეგად მიღებულ სათიბებზე იყო გადატანილი. ასეთი სათიბები ახლაც არსებობს და ისინი ხის მესრით ან ძელური ღობითაა შემოკავებული.

თივის აღებას, რასაც ჭალობა ეწოდება, ივლისის ბოლოს იწყებოდა და რიგ შემთხვევაში შუამთობის დაწყებამდე, ხოლო ვისაც ვრცელი სათიბები გააჩნდა, შუამთობის შემდეგ მთავრდებოდა. დაზვინული თივა რამდენიმე დღის შემდეგ სელ-მარხილით სოფელში ჩამოჰქონდათ და საბძლებში ინახებოდა.

სათიბის ნაყოფიერება მის მორწყვაზე იყო დამოკიდებული და ეს შრომითი პროცესი, როგორც სამთო ირიგაციის შემადგენელი ნაწილი, მრწყველის ცოდნა-გამოცდილებაზე იყო დამოკიდებული. მორწყვა სათიბი ადგილების დარუების ანუ პატარ-პატარა დაქსაქსული რუების გაყვანით ხდებოდა. ღორჯომში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, რაც ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებაზეა აგებული, ჭალების მორწყვა უკეთესი იყო ღამით, დღისით კი მზის დაცხუნებამდე, რადგან თბილი წყალი ბალახს წყენდა და აყვითლებდა. ასე იყო ხიხაძირელთა დაკვირვებითაც. თიბვის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მორწყვა წყდებოდა ბალახის გაშრობის მიზნით (მგელაძე, 1969:154-155).

ზემო აჭარის ზოგიერთ ხეობასა თუ სოფელში სათიბის იჯარის წესით მოვლა-პატრონობაც დასტურდება. სხალთის ხეობაში სათიბებს იჯარით ერთი წლის ვადით გასცემდნენ. იჯარით ამღების ვალდებულებას შეადგენდა სათიბი ადგილების შემოღობვა, გაწმენდა და მორწყვა. იჯარით ამღები 100 მარხილ თივაში 30 მარხილს მოიჯარადრეს აძლევდა. იჯარის პირობა ზოგჯერ ფულად გადასახადსაც ითვალისწინებდა. სათიბების საიჯარო წესით დამუშავება ასეთივე წესით ხდებოდა ღორჯომისა და მარეთის ხეობებში (შამილაძე, 1969:82-83). ასევე ცნობილი იყო სათიბების საზიაროდ (სანახევროდ) დამუშავების პრაქტიკაც, რომლის შემთხვევაში სათიბებში თივის იჯარით ამღები ვალდებული იყო საზიარო თივა თავისი მარხილით მიეზიდა სათიბის მეპატრონისათვის. ეთნოგრაფიული მასალებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხულოს, ღორჯომისა და სხალთის მცხოვრებნი სათიბების სანახევროდ დამუშავებას ძირითადად ეწეოდნენ ზემო აჭარის მმართველების – ხიმშიაშვილების მამულებში, რომლებიც განლაგებული იყო სარიჩაირისა და გოდერძის უღელტეხილის საძოვრების ზონაში. ამდენად, სათიბების საზიაროდ დამუშავების წესი ზემო აჭარაში მასობრივ ხასიათს მაინც არ ატარებდა (შამილაძე, 1969:82-83).

თივის მარაგის, ისე როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სხვა მცენარეული საკვების, გარეშე შეუძლებელი იყო ბაგური კვების პირობებში საქონლის გონივრული მოვლა-პატრონობა და გამოზამთრება.

მეორე ფორმა აჭარის მესაქონლეობის განვითარებაში სახელდება ყიშლური მეურნეობის სახელწოდებით და წარმოადგენს გარდამავალ და შუალედურ საფეხურს მესაქონლეობის ბარულ და მთის საძოვრებზე ანუ საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის პროცესში. ეთნოგრაფიული მასალებით დადგენილია, რომ მესაქონლეობის მთელი საიალაღო პერიოდის ერთ მესამედზე მეტი ყიშლებზე მოდის (შამილაძე, 1969:82-83).

ყიშლებზე საქონლის გადარეკვა გაზაფხულიდან, თოვლის აშრობისთანავე იწყებოდა და ერთ თვეზე მეტხანს გრძლედებოდა. ეს პერიოდი დაახლოებით მაისის თვესა და ივნისის დასაწყისზე მოდიოდა. ამის შემდეგ ყიშლაგამოვლილი საქონელი ალპური ზონის საზაფხულო საძოვრებზე გადაჰყავდათ. ღორჯომისა და ზემო აჭარის სხვა ხეობებში ამ პერიოდს „თაზე გაბარგვა“ ეწოდება (მგელაძე, 1969:159).მთაზე, ანუ საზაფხულო საძოვრებზე საქონლის გამოკვება, ანუ ზემოაჭარელ მესაქონლეთა საზაფხულო სეზონურ საძოვრებზე ყოფნა სამ თვემდე, აგვისტოს დამლევამდე, გრძლედებოდა. ამის შემდეგ საქონელი ისევ ყიშლებს უბრუნდებოდა, სადაც იგი თოვლის დადებამდე იმყოფებოდა. საქონლის მთაზე ყოფნის ხანგრძლივობა ამინდებზე, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზეც იყო დამოკიდებული.

ყიშლები სოფლებიდან 2-3 და 5 კმ-ით იყო დაშორებული. ამასთან, ყიშლები ყველა სოფელს არ გააჩნდა. ყიშლური მესაქონლეობით განსაკუთრებით ღორჯომი, რიყეთი, დანისპარაული, სხალთის ხეობა გამოირჩეოდა. თავისებურად იყო მოწყობილი ღორჯომელთა ყიშლური მეურნეობა. ყიშლური საძოვრების უკმარისობის გამო მათ ასეთი ყიშლები ისეთ დაშორებულ ადგილასაც კი ჰქონიათ, როგორიც არის ზოტიმერია ანუ ზოტიყელის ზონა.

ამ ფაქტს პირველად ყურადღება მიაქციეს და ღორჯომელ მესაქონლეთა ზოტიყელში ცხოვრების ამბები აღწერეს გ.ყაზბეგმა (Казбек, 1876:81), თ.სახოკიამ. უკანასკნელის ცნობით, ზოტიყელის მიდამოები, ისე როგორც ბახმარო, გურული ერისთავების საკუთრება ყოფილა, რომელიც შემდეგ ხაზინის ხელში გადავიდა. ღორჯომელები ზოტიყელის ალპურ საძოვრებს, რომლებიც საუკეთესო საბალახოებით იყო ცნობილი, აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროსაც იყენებდნენ.ეს ადგილები მათ იჯარით ჰქონიათ აღებული. საფასურად ანუ საძოვრის ქირას საქონლის რაოდენობის მიხედვით უხდიდნენ მეპატრონეებს და დაწესებული იყო ნატურით – ერთ მეწველ საქონელზე (ძროხა, კამეჩი) ერთი ყველი, ათ მეწველ ცხვარში ან თხაში – ერთი ცხარი ან თხა(სახოკია, 1950:92). ზოტიყელის ყიშლები შემდეგ საზაფხულო საძოვრებადაც იქცა. XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის აქ ზემოაჭარელთა 60-ზე მეტი იაილა ითვლებოდა (სახოკია, 1950:119).მოგზაურმა ვრცლად აღწერა ღორჯომელ მესაქონლეთა ცხოვრება ზოტიყელში. იგი ღორჯომელი მასპინძლის, მუსლიმანი სასულიერო პირის, ხოჯის სეფერ ხათიბოღლის (ირემაძის) ორსართულიან იაილაში ცხოვრობდა და მოხიბლული დარჩენილა მისი სტუმართმოყვარეობით. ღორჯომელებს ყიშლები კიკიბოსა და დერცელშიც ჰქონიათ (შამილაძე, 1969:92).ზოტიყელში ღორჯომის ხეობის სხვა სოფლებიც დადიოდნენ.

ყიშლები მარტო საქონლის დროებით სადგომებად არ იყო გამოყენებული. ღორჯომელ, სხალთელ, აგრეთვე ზემო აჭარის სხვა ხეობათა ყიშლებში ყანები და ბოსტნებიც იყო მოწყობილი, სადაც მოჰყავდათ ადრეული მარცველული კულტურები (პური, ქერი, ჭვავი, ფეტვი), მოგვიანებით აქაურ კლიმატურ პირობებს შეგუებული ე.წ. მთური ჯიშის სიმინდი, კარტოფილი, მწვანილი, კომბოსტო (შამილაძე, 1969:95).

ეთნოგრაფიული მასალებით ისიც დგინდება, რომ სოფლის ახლომახლო ყიშლები მოგვიანებით მუდმივი დასახლების უბნებად იქცეოდა სოფლის ფარგლებში. ამგვარი პროცესები ამიერკავკასიისა და სხვა მთიანი ქვეყნებისათვის, რომლებიც მესაქონლეობას მისდევდნენ, უცნობი არ იყო.

ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა მესაქონლეობის მესამე ფორმა – მთური მესაქონლეობა, იგივე ალპურ სეზონურ საზაფხულო საძოვრებზე ყოფნის პერიოდი. მესაქონლეობის ეს ფორმა საერთოდ მესაქონლეობის სამსაფეხურიან ციკლში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი იყო, რომელიც ხულოს მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ნათლად წარმოაჩენს მთური მესასქონლეობის ხასიათსა და ბუნებას.

ხულოს მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი საზაფხულო საძოვრები გოდერძის უღელტეხილის, ბეშუმის მიდამოებსა და სარიჩაირზე იყო განლაგებული. მრავალრიცხოვანი მესაქონლეებიც აქ ეწეოდნენ საიალაღო ცხოვრებას. ასეთივე ვითარება იყო და არის ღორჯომის ხეობის მთა-საძოვრებზე (ზოტიყელი, ბოდიშის მთა, ლეკნარი, საჯოგია, ჯანჯღნარი, ნათერლათი, გვალმინდორი, კატრიანი, კუნჭულეთი, ყვირალი, ნადოლაბევი, თეთრობი და ა.შ.) (შამილაძე, 1969:101).

არსებობდა სახაზინო, საერთო-სათემო და კერძო პირთა საზაფხულო საძოვრები. კერძო პირების მფლობელობაში განსაკუთრებით ბევრი საძოვარი ყოფილა გოდერძის უღელტეხილის ტერიტორიაზე. აქაური საძოვრების ერთი ნაწილი რიყეთის მოსახლეობასსოფელ იაკობაძეების მოსახლეობისაგან შეუძენია, ხოლო ნაჩადრევისა და მისი სხვა ახლომახლო საძოვრები ხიმშიაშვილების საკუთრებაში ყოფილა, რომელიც იჯარით ეძლეოდა მოსახლეობას. ბათუმელ ვინმე ფერათ ბეგს დაუსაკუთრებია ჩირუხის საძოვრების ნაწილი (შამილაძე, 1969:102-104).

აჭარის კერძო და სახაზინო საძოვრებზე ფიქსირებული გადასახადებიც იყო დაწესებული როგორც ოსმალთა ბატონობის (შაშიკაძე, 2001:44), ისე რუსეთის მმართველობის დროს. ა.ფრენკელის ცნობით, ოსმალების დროს ამ გადასახადს ეწოდებოდა საქონლის ძოვების ბაჟი, რომელსაც ახდევინებდნენ სოფლიდან საქონლის მთაში წაყვანის დროს. ეს წესი 1872 წლამდე არსებობ-

და. მანამდე ზოგიერთ საძოვრებზე მსხვილფეხა საქონლის ყოველ სულზე ახდევინებდნენ ყურუშს, ხოლო 1872 წლის შემდეგ – 3 ყურუშს (ფრენკელი, 2012:209).

საზაფხულო საძოვრები, რომლებიც განლაგებული იყო აჭარა-ახალციხის, აჭარა-გურიისა და არსიანის მთების სისტემაში, დიდ როლს თამაშობდა აჭარის მესაქონლეობის განვითარებაში, რაზეც გ.ყაზბეგის მიერ მოტანილი სტატისტიკური ხასიათის მონაცემებიც მიუთითებს. მარტო აჭარა-გურიის საძოვრების სახაზინო მდელოებზე 1874 წელს 40 ათასამდე მსხვილფეხასაქონელი და 18 ათასამდე ცხვარი ძოვდა, ხოლო გურიელისა და თავად ერისთავების კერძო საძოვრებზე – 20 ათასი სული. ე.ი. მთლიანად დასახელებული საზაფხულო საძოვრებით 80 ათასამდე პირუტყვი იკვებებოდა (Казбек, 1876:80).საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ გოდერძის უღელტეხილის, ბეშუმის შემოგარენის, ჩირუხისა და სარიჩაირის საძოვრებით სარგებლობდნენ კახაბრის დაბლობზე და აჭარაში სხვაგან მცხოვრები ქურთები და ჰემშილები. თ.სახოკიას ცნობით, XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მარტო საირიჩაირის საზაფხულო საძოვრებზე ოცდაათი კომლი ქურთი მესაქონლე ყოფილა.აქვე დასასვენებლად ცოლ-შვილით ადიოდნენ ზემო აჭარის ბეგები, კერძოდ, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილები, რომელთაც ქურთებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონიათ. ზოგიერთი მათგანი ქურთ ქალზეც ყოფილა დაქორწინებული(სახოკია, 1950:214).

არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება, რომ დღევანდელი გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის ზონის საზაფხულო საძოვრებს სეზონურად ფართოდ იყენებდა აჭარის მთისა და ზღვისპირა ბარის მოსახლეობა. ბეშუმის მიდამოებში პალეოლითისა და მომდევნო ისტორიული პერიოდების ადამიანის შრომის იარაღები, საცხოვრებელი და სხვა სახის ნაგებობათა ნაკვალევიც არის აღმოჩენილი (გრიგოლია, 2002:11).

როგორც აღინიშნა, ზემოაჭარელი მესაქონლე მოსახლეობა წელიწადის სამ თვეზე მეტ დროს ალპური საზაფხულო საძოვრების ზონაში ატარებს, ანუ მთურ მესაქონლეობას ეწევა. მთური და ალპური მესაქონლეობა შინაარსობრივად ერთმანეთის იდენტური ანუ სინონიმური ტერმინებია. ერთნაირად გაგებული მთური ანუ ალპური მესაქონლეობა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ისტორიულ-ეთნოლოგიური სინამდვილისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. ამ ტერმინებიდან უპირატესობას ანიჭებენ ალპურ მესაქონლეობას, რაც დასაბუთებულია შესაბამისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით (შამილაძე, 1969:15-16). მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ აჭარის მოსახლეობა საერთოდ და, კერძოდ, აჭარის

მთის ზონის მოსახლეობა ტერმინებს „ალპურს“, ისე როგორც „იალაღს“ და „საიალაღო მეურნეობას“, არ ხმარობს სალაპარაკო ლექსიკაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტერმინს მთური და აქედან მიღებულ მემთევრობას, იგივე თიობას (მთიობას), რომელიც მტკიცედაა დამკვიდრებული მოსახლეობის ყოველდღიურ ლექსიკაში. აჭარის მესაქონლეობის სამსაფეხურიან ციკლშიც (ბარული, ყიშლური, მთური) დროით ყველაზე ხანგრძლივსა და მნიშვნელოვანს წარმოადგენს მთური პერიოდი. მესაქონლეც ყველაზე მეტ დროს მთაში ატარებს და მესაქონლეობასთან ერთად სხვა საქმიანობასაც ეწევა (მებოსტნეობა, ხელოსნურ-შენამრეწველური საქმიანობა). ამაში მამაკაცთან ერთად აქტიურ როლს თამაშობს ქალი მემთევრი. მთური ყოფაცხოვრების ეს პერიოდი ყველაზე შთამბეჭდავ კვალს ტოვებს სწორედ ზემო აჭარაში, რომელიც ისტორიულად დღევანდელ ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას მოიცავდა.

ზემო აჭარაში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მემთევრის ინსტიტუტში წამყვანი ადგილი აჭარელ ქალს ეკუთვნოდა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ფაქტს, რომ აჭარელი ქალი არ იყო ჩაკეტილი საოჯახო ცხოვრებაში და იგი მთის ცხოვრებაშიც აქტიურ როლს თამაშობდა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მესაქონლეობაში საერთოდ და, კერძოდ, მთურ მესაქონლეობაში, ქალს უპირატესი როლი ეჭირა.ეს გარემოება თ.სახოკიამ ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა და მას განსაკუთრებული შეფასება მისცა. იგი წერდა; „აჭარელი მამაკაცი ეილაში (ანუ მთაში-ნ.კ.) ყოფნის დროს მარტო შეშას თუ მოიტანს ტყიდან, ან კარაქს თუ ჩაიტანს ბათუმსა და გურიაში გასაყიდად. დანარჩენი საქმე, როგორც მაგალითად მოწველა საქონლის, ისე კარაქ-ერბო-ყველის კეთება, სულ ქალებს აწევთ კისერზე. საქონელსაც კი ისინი გარეკავენ ხოლმე დილ-დილაობით საბალახოზე“ (სახოკია, 1950:122).მემთევრი მხოლოდ უფროსი ქალი ან უფროსი რძალი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა არა მარტო რძის პროდუქტების დამზადება, არამედ საქონლის მოვლა-პატრონობა. ამ ცოდნა-გამოცდილებას კი იგი ბავშვობიდან ღებულობდა ოჯახში. ამ გარემოებას ქალის გათხოვების დროსაც დიდი ყურადღება ექცეოდა.მას რთვა-ქსოვის საქმეც კარგად უნდა სცოდნოდა.

<u>მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი</u>. აჭარის მაგალითზე ისტორიული განვითარების ჭრილში თუ განვიხილავთ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ნაგებობებს, დავძენთ, რომ ბარისა და მთის ანუ ალპური საძოვრების ზონაში განთავსებული მესაქონლეობასთან დაკავშირებული ნაგებობანი იდენტურია რეგიონის ბარის ზონაში ანუ სოფლის სინამ-

დვილეში არსებული ნაგებობებისა. როგორც ბარის, ასევე მთის ზონისათვის დამახასიათებელი ამ სახის ნაგებობანი (ბოსელი ანუ ახორი) საცხოვრებელი სახლის (ბარის ზონა) და იაილის (მთის ზონა) პირველ სართულზეა განლაგებული, ხოლო სარძიე ანუ რძის პროდუქტების დასამზადებელი და შესანახი – აუცილებლად მეორე სართულზე. ამდენად, აღნიშნული ბოსლები და სარძიებიც ერთმანეთის იდენტურია და მხოლოდ სივრცით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, კონსტრუქციულად კი ერთმანეთის იდენტურია, რაც პირველად არქიტექტორმა ი. ადამიამ აღწერა (ადამია, 1956:64). განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის სინამდვილეში ახორის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განლაგება გამოწვეულია, ერთი მხრივ, ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრის პირობებში საქონლის თბილ პირობებში ყოფნით, მეორე მხრივ, წყალნარევი ნაკელით საკარმიდამო ნაკვეთის განაყოფიერების სიადვილით. ამის შესახებ ჩვენ სტატიის წინა ნაწილშიც ვისაუბრეთ. ხულოს მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ისე როგორც აჭარის სხვა მთიანი ხეობების მაგალითზე, მეწველი საქონელი შედარებით თბილ ახორში ჰყავდათ დაბმული, სადაც ცალკე განყოფილებაც არსებობდა სახბოვრეს სახელწოდებით. ამავე დროს ისიც არის დადგენილი, რომ ახორის მოქცევას აჭარის საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსისაგან მოშორებით მასობრივი ხასიათი არ ჰქონია (შამილაძე, 1969:130-131).

ზემოაჭარული სახლის პირველ სართულზე ახორთან ერთად ჰავლიც იყო მოწყობილი, სადაც განთავსებული იყო საქონლის წყლის დასალევი სხვადასხვა ზომის ხის ჯარები, რომლებიც ავაზანის სახელწოდებითაა ცნობილი. აქვე ინახავდნენ სამეურნეო დანიშნულების იარაღ-ხელსაწყოებს, რიგ შემთხვევაში საქონლის საკვებსაც. ჰავლი შინაგანი კიბით უკავშირდებოდა სახლის ზედა სართულს, რაც დიდი თოვლის პირობებში აადვილებდა საქონლის მოვლა-პატრონობას.

ახორის სიდიდე საქონლის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული და საცხოვრებელი სახლის ფართობიც მასთან იყო შეფარდებული. ღორჯომის ხეობის მაგალითზე დაფიქსირდა წვრილფეხა საქონლის სადგომად ახორქვეშა სათავსის გამოყენების შემთხვევები. ასეთი სათავსოები უმთავრესად დაქანებულ სამოსახლო ადგილებზე არსებულ ახორქვეშ იყო მოწყობილი, რომელსაც ქმნიდა 1,5-2 სიმაღლეზე აღმართული ხის ბორკილ-ბურჯები (შამილაძე, 1969:130-131).

ხულოს მუნიციპალიტეტის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ისე როგორც საერთოდ აჭარაში, ძირითადად მესაქონლეობასთან იყო დაკავშირებული საბძლები, რომლებიც მოქცეული იყო საკარმიდამო კომპლექსში

და სახლთან ახლოს ცალკე ნაგებობის სახით. უმრავლეს შემთხვევაში საბძ-ლები ორსართულიანი იყო. ქვედა სართული საქონლის სადგომად, მეორე კი საქონლის საკვების (თივა, ჩალა, ნეკერეი, წყავი, პაწკი და სხვ.) შესანა-ხად იყო განკუთვნილი.

წვრილფეხა საქონლის დასაბინავებლად ყიშლებსა და ალპური საზაფ-ხულო საძოვრების ზონაში გამოყენებული იყო ჰარღილები. გოდერძის უღელტეხილის ზონაში ასეთი ჰარღილები XIX საუკუნის 60-70-იან წლებშიც იყო შემორჩენილი.ნადირისაგანდაცვის მიზნით ჰარღილები ხის მესრით ან ყორეთი იყო შემოღობილი. ჰარღილებში ზოგან ხარებსა და ბერწ საქონელ-საც ინახავდნენ (შამილაძე, 1969:11).

ღორჯომის ხეობაში ჩაწერილი მასალების მიხედვით, საქონლის სადგომ-თან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს წეს-ჩვეულებანი, რომლებიც განსა-კუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთოდ აჭარელთა რელიგიურ წარმოდ-გენათა სისტემაში და ასოცირდება ოჯახის სიუხვესთან, ბარაქიანობასთან, საქონლის გამრავლებასთან.ესაა ბოსლობის დღესასწაული, რომელიც ახალი წლის ხალხურ დღეობათა ციკლში ექცევა. მისი არსი შემდეგში მდგომა-რეობს: ახალი წლის საღამოს ოჯახის უფროსი მამაკაცი და ქალი ხმის ამოუღებლად კერიიდან ჯაჭვს ახსნიდა, საქონლის სადგომში ჩადიოდა და ტანგახდილი საქონელს სამჯერ შემოუვლიდა. შემდეგ სქესობრივ აქტს ასრულებდნენ.ბოსლობას სხვა რიტუალიც ახლდა, რაც კერის ჯაჭვის ბაგაში გატარებას გულისხმობდა და საქონლის საძოვარზე გაუფანტველად ბალა-ხობის რწმენას უკავშირდებოდა. ამავე რიგისაა ყველის გაგორების წეს-ჩვეუ-ლება, ბაგასა და ახორში მოხარშული სიმინდისა და ღომის მარცვლის მი-მობნევა, რაც რძის პროდუქტების, პირველ რიგში ყველის სიუხვესთან ასო-ცირდება.

საქონლის სადგომთანაა დაკავშირებული ავი თვალისაგან დაცვის ხალ-ხური წეს-ჩვეულება. ამ მიზნით მიმართავდნენ ახორის შესასვლელი კარის ზემოთ ხარის რქების, დათვის თათის, ნალი, გველის პერანგის, ეკლისაგან დამზადებული რგოლის ჩამოკიდებას. ახორში ნემსიც შეჰქონდათ.

მსგავსი წეს-ჩვეულებანი არ განიხილება ლოკალური, ღორჯომული ხა-სიათით. ეს წეს-ჩვეულებანი საერთო დამახასიათებელი მოვლენა იყო აჭარი-სა და საქართველოს სხვა კუთხეთა ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის. მართალია, ღორჯომისა და, საერთოდ, ზემო აჭარის მოსახლეობაში სახელ-წოდება ბოსლობა ამჟამად არ დასტურდება, მაგრამ შესაძლებელი გახდა ბოსლას, როგორც მესაქონლეობის ღვთაების სახელწოდების დადგენა, რომ-

ლის ბოსლობასთან, ბოსლობის დღესასწაულთან დაკავშირება ეჭვს არ იწ-ვევს (შამილაძე, 1971:31-33).

<u>მეფუტკრეობა</u>. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, ისე როგორც მთლიანად აჭარაში, ისტორიულად განვითარებული იყო მეფუტკრეობის სამი ფორმა: ტყიური, ნახევრად ტყიური და შინაური. პირველი ფორმა ყვე-ლაზე უძველესია და გულისხმობდა კლდეებსა და ხის ფუღუროში მობი-ნადრე ანუ ტყიური ფუტკრის მიგნებასა და თაფლის მოპოვებას. მეორე ფორმა გულისხმობს ტყიური ფუტკრის ხის სკებში გადაყვანას და მის ხეებ-ზე და კლდეში განლაგებას, რომელიც ტყიური და შინაური მეფუტკრეობის მიჯნად და გარდამავალ საფეხურად ითვლება (რობაქიძე, 1960:22, 74; კახიძე, 2009:328). მესამე ფორმაა საკარმიდამო კომპლექსში მოქცეული ორგანიზებუ-ლი საფუტკრეები.

მეფუტკრეობის სამივე ფორმა ატარებდა როგორც ინდივიდუალურ (ცალკეული ოჯახების საკუთრება), ისე კოლექტიურ ანუ მოზიარება-შეზია-რების ხასიათს. ამასთან, ტყიურმა მეფუტკრეობამადრე დაკარგა მნიშვნელო-ბა და გაბატონებულ ფორმად დარჩა ნახევრად ტყიური (ხეებზე და კლდეში სკების შემოწყობის პრაქტიკა) და შინაური მეფუტკრეობა, რომელიც დღესაც არსებობს.

სოფელ ძირკვაძეებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით სკების სახეებიდან გავრცელებულია როგორც ორ ნაწილედი ხისგან დამზადებული კოღა, რომელსაც როფსაც ეძახიან, ისე მთლიანი ხისაგან გამოყვანილი კო-დანა. ცარიელ კოღას, კოდანას ხეებზე შემოდგამდნენ და „გაცოცხლების“ შემდეგ შინაურ საფუტკრეებში გადმოჰყავდათ. რიგშემთხვევაში „გაცოცხლე-ბულისკები“ ისევ ხეებზე რჩებოდა და მას წელიწადში 1-2-ჯერ ხილავდნენ, ანუ მისგან თაფლს იღებდნენ. ამავე მასალებით საკოღე ხეს, რომელზეც სკები უნდა შეოეწყოთ, „კაცის სიმაღლეზე ცულით ნიშანს ადებდნენ ჯვრის ფორმის გამოსახულებით“. ნიშანი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ეს ხე ამა თუ იმ ოჯახს ეკუთვნოდა და მას სხვა ხელს არ ახლებდა (კახიძე, 1969).

ამ საინტერესო ფაქტზე ყურადღებას ამახვილებდა მოგზაური მკვლევა-რი თ.სახოკია, რომელიც კარგად იცნობდა ზემო აჭარელთა სამეურნეო საქ-მიანობას. იგი წერდა: აჭარელი „რაკი ერთხელ დაკიდებს სკას ხეზე, იმის შიში არა აქვს, რომ მეზობელი მივა და მის ნაშრომს დაეპატრონება. რაკი ხეს ნიშანი დაადო,მორჩა – ეს ხე მისია. აჭარელი, რომელიც მტკიცედ იცავს ჩვეულებას, თავის მეზობელს არ შეეცილება, თუმცა, უღრან ტყეში უშიშრად შეუძლია სხვისი ნაშრომი მიისაკუთროს“ (სახოკია, 1950:177). თუ ასეთ შემ-

თხვევებს ექნებოდა ადგილი, დავა შედგებოდა და საკითხს ხულოს მუხტარი წყვეტდა.

თ.სახოკიას ცნობით, XIX საუკუნის ბოლოს სკები განსაკუთრებით ბევრი ჰქონიათ ფუშრუკაულისა და ინწკირვეთის (ახლა ეს სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის – ნ.კ.) საზოგადოებებში (სახოკია, 1950:177).. ეთნოგრაფიული მონაცემებით კი მეფუტკრეობას ფართოდ მისდევდნენ ღორჯომის, ხიხაძირისა და სხვა ხეობებში.

საერთოდ კი, როგორც გ. ყაზბეგი წერდა, ზემო აჭარაში მოგზაურობის დროს 1874 წელს, „მეფუტკრეობა ძველთაგანვე შეადგენდა აჭარის სიმდიდრეს“, მაგრამ ოსმალთა ბატონობის დროს იგი უმნიშვნელოდ იყო განვითარებული, რაც „მეტისმეტად დიდი გადასახადების შემოღებით აიხსნებოდა“. მოგზაური აქვე აღნიშნავდა: „საფუტკრე არსად მინახავს. ისე კი ამბობენ, რომ სკები მიმალული აქვთ ხშირ ტყეებში, რათა თავი აარიდონ მეათედ გადასახადს. თაფლი თითქმის ყოველ ოჯახში აქვს, მაგრამ ამით არ ვაჭრობენ“ (ყაზბეგი, 1960:109).

ოსმალთა ბატონობისდროინდელი საგადასახადო სისტემა აჭარაში რუსული მმართველობის დროსაც იყო შენარჩუნებული. ბუნებრივია, ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა ხერხებით ამ დროსაც ცდილობდა დაემალა სკებისა და შემოსავლის ოდენობა, რათა ნაკლები გადასახადი გადაეხადა.

ამ ფაქტს ადასტურებს XIX საუკუნის 90-იან წლებში ზოტიყელის იაილებში ყოფნისას თედო სახოკიას აქაური – ზემოაჭარელ (ღორჯომელ) მემთევრ მოსახლეობასთან შეხვედრის მომენტები. თ.სახოკიას „მთის ამწერად“ მიაჩნდათ, ზოგსაც იგი ხელმწიფისაგან გამოგზავნილ ჩინოვნიკად, რომელსაც თითქოს სურდა ყველაფერი გაეგო, სათანადო ცნობები შეეგროვებინა, რათა მეტი გადასახადი დაედოთ მოსახლეობისათვის.მოგზაური წერდა: „როცა გამოკითხვა დავუწყე მათი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მიუხედავად მათი უმაღლესი თავაზიანობისა, პასუხს ძნელად, უხალისოდ ან ორჭოფად და საზოგადო ფრაზებით იძლეოდნენ“. მათი პასუხი კი ასეთი ყოფილა: „ძაბუნი (მწირი) მიწა გვაქვს, სიმინდი და პური ან სულ ცოტა მოდის, ნახევრობაზე მეტი მშივრები ვართ, გადასახადები კი ბევრი გვაწევს“ (სახოკია, 1950:124).

შეიძლება ამ ვითარებით იყოს გამოწვეული თ.სახოკიას მიერ მოტანილი სტატისტიკური მონაცემები, რომლითაც შემცირებულად გამოიყურება აჭარაში სკების და შესაბამისად თაფლისა და სანთელის მიღების რაოდენობა. ამ მონაცემებით 1897 წელს მთელ აჭარაში ასი კომლი თუ იქნებოდა სკების

მეპატრონე, რომელთაც 900 სკა ჰქონიათ (ზემო აჭარაში – 360, ქვემო აჭარაში – 540). ხოლო თითო სკაზე თითო ფუთი თაფლი გამოუღიათ. სანთელი კი სულ 400 ფუთი მიუღიათ (ზემო აჭარაში – 180, ქვემო აჭარაში – 220 ფუთი) (სახოკია, 1950:177). თ. სახოკია თაფლისა და სანთლის ფასებზეც გვაძლევს ცნობას.ფუთი სანთელი მაშინ 16 მანეთად იყიდებოდა, თაფლი – 3 მანეთად. თუმცა, თაფლს უმეტეს შემთხვევაში ოჯახში სახმარად ინახავდნენ და იშვიათად გასაყიდად. სკები ეზო-კარმიდამოშიც, ანუ შინაურ სააფუტკრებშიც ჰქონიათ და ტყეში ხეებზე შემოწყობილიც. სკები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფიქსირდება ფუშრუკაულისა და ინწკირვეთის საზოგადოებაში (სახოკია, 1950:177).

თუ ეს მონაცემები აღწერის მასალებს ეყრდნობა, მაშინ შესაძლებელია, რომ სკების მეპატრონეს სკების ზუსტი რაოდენობა დაემალა დიდი გადასახადების გაწერის მიზნით.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მეფუტკრეობას აჭარის ყველა ხეობასა თუ სოფელში მისდევდნენ. ზოგ სოფელში ფუტკარი დიდი რაოდენობით ჰყავდათ, ზოგან კი მისი მასშტაბები შეზღუდული იყო. ტყიური მეფუტკრეობის ფორმამ დიდიხანია დაკარგა მნიშვნელობა, ნახევრადტყიური (ტყეში ხეებზე სკების შემოწყობის პრაქტიკა) მეფუტკრეობა დღეისათვის თითქმის არ არსებობს. უპირატესობა შეიძინა შინაურმა მეფუტკრეობამ, რაც ეზო-კარმიდამოში ხელოვნურ საფუტკრეებს გულისხმობს. ამასთან, აქა-იქ გვხვდება „ძველებური სკები“, რომელიც ჩარჩოიანმა სკებმა შეცვალა.

ჩარჩოიანი სკები ხულოს მუნიციპალიტეტში 1930-იანი წლებიდან ჩნდება და იგი დაკავშირებულია ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და აგრონომის, მეფუტკრეობის დარგის სპეციალისტის აპოლონ წულაძის აქ საქმიანობასთან. ამის შესახებ ცნობა XX საუკუნის 80-იანი წლებში მოგვაწოდა სოფელ ძირკვაძეების მცხოვრებმა, 82 წლის ელესხან თავართქილაძემ (კახიძე, დღიურები, 1986). მისი გადმოცემით, აპოლონ წულაძე 1931 წლის ზაფხულში სპეციალურად ყოფილა მივლინებული ღორჯომის ხეობის სოფელ მერჩხეთში, სადაც ახლადჩამოყალიბებულ კოლმეურნეობას ბევრი ფუტკარი ჰყოლია. იგი აქ ორ კვირაზე მეტხანს დარჩენილა და აქაურებს ჩარჩოიანი სკების დამზადებასა და მეფუტკრეობის საქმეს ასწავლიდა. მას ტრადიციული სკებიდან – კოღადან, „ყავრანიდან“ (ფუღუროიანი ხიდან დამზადებული სკა) ფუტკარი ჩარჩოიან სკებში გადაჰყავდა.

ხულოს რაიონის მაშინდელი აღმასკომის თავმჯდომარის თხოვნით ელესხან თავართქილაძე მერჩხეთში ასულა და აპოლონ წულაძე სოფელ ძირკვაძეებში ჩამოუყვანია, სადაც ათ დღეზე მეტხანს დარჩენილა. იგი

ელესხანის სახლში ცხოვრობდა და სახლის საპატიო სტუმრად ითვლებოდა. აპოლონს თან ჰქონია წამოღებული ჩარჩოიანი სკების დასამზადებელი იარაღ-ხელსაწყოები და ინვენტტარი (პირბადე, ქორუღი ანუ ფუტის შესაქ-როლებელი იარაღი, დანა, საფხეკელა). მისი დახმარებით შეუსწავლიათ ელესხანს და სოფლის სხვა დაინტერესებულ პირებს ჩარჩოიანი სკების დამ-ზადება. ძირკვაძელები თურმე მრავლად დადიოდნენ სოფლის კოლმეურ-ნეობის კანტორაში, სადაც აპოლონ წულაძე მათ მეფუტკრეობის საქმის გაძ-ღოლას ასწავლიდა.

სოფელ ძირკვაძეებში 1930-იან წლებში მეფუტკრეობის კოლმეურნეობაც არსებობდა „ტოზის“, ანუ მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობის სახით (კახიძე, დღიურები, 1986). ასეთივე მეფუტკრეობის „ტოზი“ სოფელ დიდაჭარაშიც იყო, სადაც თავდაპირველად 16-17 თავი სკა იყო გაერთიანე-ბული (მგელაძე, 1965:139).ნაწილი შრომადღეზე ნაწილდებოდა.

თაფლის შემოსავლის ნაწილი შრომადღეზე ნაწილდებოდა, ნაწილიც გასაყიდად ბახმაროსა და ხულოში გაჰქონდათ.

Nodar Kakhidze

Traditional industries and economic life (Khulo municipality)

Resume

Based on the data of ethnographic expedition materials, written sources and literature, the study of traditional farming (farming, viticulture, breeding, and hunting) and agricultural life related to these fields has been studied. It is established that farming and breeding in the Khulo municipality and in mountainous Adjara were developed in a symbiotic manner and these fields played a role in their development. From the earliest periods of time, until the introduction and spread of corn culture, the leading place was to bringing such cereal crops such as millets, dicas, lentils,ghomi, rye, barley, wheat. From the second half of the 19th century, the maize culture became a leading branch, but the previous grain cultures did not have lost the importance till the first half of the 20th century. The work shows that there was an important place in memory (and still holding today) bringing botanical gardening cultures. Potato culture, which has been established since the second half of the XIX century, is still a leader in family life. The work is characterized by the rules for cultivation of the field cultures, agricultural tools, cattle – breeding and beekeeping forms, producing and consumption of agricultural products.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ.აბესაძე. ლობიო, მისი თესვა და მოყვანა. თბილისი, 1925.
2. ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. ბათუმი, 1981.
3. ა.ავალიანი. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში (თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების წინ, XIX ს. 40-70-იან წლებში). ბათუმი,1960.
4. ი.ადამია. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა). თბილისი, 1956.
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები). პასპორტი. ბათუმი, 2007.
6. გ.ბადრიშვილი. კარტოფილის კულტურა საქართველოში. თბილისი, 1963.
7. დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987.
8. ნ.ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. I. თბილისი, 1960.
9. მ.გეგეშიძე. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში. თბილისი, 1961.
10. გ.გველესიანი, ვ.ნეიძე.აჭარის ასსრ ზოგადი ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. – ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIX. თბილისი, 1962.
11. გ.გრიგოლია. პირველყოფილი ადამიანის უძველესი ნაკვალევი აჭარაში. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, ბათუმი, 2002.
12. ნ.დევიძე. აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება. – ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIX. ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია. აჭარის ასსრ. თბილისი, 1962.
13. ნ.კახიძე. მევენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში. – აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები. თბილისი, 1971.
14. ა.კახიძე, შ.მამულაძე.აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
15. ნ.კახიძე. 1969 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები (ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების არქივში).
16. ნ.კახიძე. მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. II. ბათუმი, 2009.
17. ნ.კახიძე. მეფუტკრეობა. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. II, ბათუმი, 2009, გვ. 328.
18. ნ.კეცხოველი. მეცხრე მთაც გადავიარეთ. თბილისი, 1976.
19. ი.კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. თბილისი, 1963.
20. ა.კობახიძე. საქართველოს მარცვლოვან-პარკოსანი მცენარეები. თბილისი, 1965.
21. თ.ლომთათიძე. მიწათმოქმედება ხულოს რაიონში (2007 წელს შესრულებული ხელნაწერი ნაშრომი. ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების არქივში. იხ. თავი „მარცვლეული კულტურები“).

22. ალ.ლოსაბერიძე. ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები. – შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ნაშთები. თბილისი, 1938.

23. შ.მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993.

24. ვ.მგელაძე. ღორჯომის ხეობის სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი. – აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები. თბილისი, 1965.

25. სტ.მენთეშაშვილი. აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. – ენიმკის მოამბე, II, ტფილისი, 1937.

26. ნ.ნიჟარაძე, ნ.ჯიბუტი.აჭარის ასსრ. ბათუმი, 1957.

27. სულხან-საბა ორბელიანი. სიყვის კონა. თბილისი, 1949 (იხ.სიტყვასთან „ახო“).

28. მ.რამიშვილი. გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშები. თბილისი, 1948.

29. ალ.რობაქიძე. მეფუტკრეობის ისტორიისათვის. თბილისი, 1960.

30. ჯ.რუხაძე. სიმინდის კულტურა დასავლეთ საქართველოში. – ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. თბილისი, 1964.

31. თ.სახოკია. მოგზაურობანი.თბილისი, 1950.

32. ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველის ტოპონიმიკა. I. ბათუმი, 1958.

33. სტატისტიკური წელიწდეული. ბათუმი, 2005.

34. ა.ფრენკელი. ნარკვევები ჩურუქ-სუზე და ბათუმზე. თბილისი, 2012.

35. გ.ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. – გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960.

36. ვ.შამილაძე. ალპური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარა). თბილისი, 1969.

37. ვ.შამილაძე. მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში. – აჭარის სოფელი. თბილისი, 1969.

38. ვ.შამილაძე. მესაქონლეობა ხულოს რაიონში (2006 წელს შესრულებული ნაშრომი) (ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების არქივში).

39. ზ.შაშიკაძე. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები. თბილისი, 2001.

40. ნ.ჩიჯავაძე. ნიადაგისმორწყვა-გაპატივებაზემოაჭარაში. – ბათუმისსამეცნიერო-კვლევითიინსტიტუტისშრომები. I. ბათუმი, 1960.

41. ნ.ჩიჯავაძე. ნიადაგისდაცვისხალხურისაშუალებანიაჭარაში. – აჭარისმოსახ-ლეობისყოფისადაკულტურისსაკითხები. თბილისი, 1965.

42. ნ.ჩივაჯაძე. ახოობა აჭარაში. – აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები. თბილისი, 1967.

43. ნ.ჩიჯავაძე. მემინდვრეობა აჭარაში. – აჭარის სოფელი. თბილისი, 1969.

44. ნ.ჩიჯავაძე. აჭარის სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან. თბილისი, 1971.

45. ნ.ჩელებაძე. მევენახეობა-მეღვინეობა ხულოს რაიონში. 2006 წელს შესრულებული ნაშრომი (ინახება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების არქივში).

46. შ.ჩხაიძე, აჭარის მაღალმთიანი რაიონების მიწის ფონდების ეფექტურად გამოყენების ზოგიერთი საკითხი.ბათუმი, 1973.

47. მ.ძველაია, ბ.კვირკველია.აჭარის გეოლოგიური ისტორია. თბილისი, 1987.

48. ივ.ჯავახიშვილი. საქართველოსეკონომიკურიისტორია. წიგნიპირველი. ტფილისი, 1930 (იხ.თავი II. სახნავი იარაღები, §7, გვ. 181-188)

49. ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი მეორე, თფილისი, 1934.

50. ივ.ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წიგნი I, თბილისი, 1964.

51. ც.ჯოხია. მასალები მევენახეობა-მეღვინეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის ხულოს რაიონში. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა. XII. თბილისი, 1986.

52. Д.Бакрадзе. Историко-археологический очерк Карской области.- ИКОИРГО, VII, №1. Тифлис, 1881,с. 196).

53. Г.Казбек. Военно-статистическийи стратегический очерки Лазистанского санджака. Тифлис, 1876, с.81.





ხვნის პროცესი. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდები



გოგორიანი ჯილღა, სოფ. დიდაჭარა, 1958 წ.



სახვნელი იარაღი ჯილღა. სოფ. უჩხო, 1964 წ.



სელი (მთის ურემი), სოფ.ღორჯომი, 1958 წ.



ძიგლიგა მოწნული ძარით და არვანა, სოფ.სტეფანაშვილები, ღორჯომის ხეობა, მხატვარი ა.ეტიტაშვილი, 1959 წ.



კევრი, სოფ.ხიხაძირი, ო. არუთინოვის ფოტო, 1935 წ.



ტვარი (ტერასის სახეობა), სოფ.კორტოხი, მხატვარი ვ.პოპლავსკაია, 1961 წ.

ნახვრეტებიანი ქვის სვეტი (სავარაუდოდ, სელის ზეთსახდელი), სოფ.ზედა თხილვანა, ნ.კახიძის ფოტო, 1970 წ.

ნაილა ჩელებაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის
განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის დოქტორი

განათლება და კულტურა ხულოს რაიონში

აჭარა, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი კუთხე, ყოველთვის წარმოადგენდა განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს, მაგრამ მტრების გამუდმებული შემოსევების შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა მისი ეკონომიკური და კულტურული მიღწევები, ოდესღაც აყვავებული განათლებისა და კულტურის კერები. ეს პროცესები განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მთიანი აჭარის, კერძოდ, ხულოს რაიონის (2006 – წლიდან მუნიციპალიტეტის) მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ხულოს რაიონის ტერიტორიაზე კულტურისა და განათლების ძველი ტრადიციები კარგად ჩანს როგორც XIII ს. მეცნიერის – წმიდა ტბელ აბუსერისძის, ისე მოგვიანო პერიოდის მოგზაურ-მკვლევართა – დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, თ. სახოკიას, გრაფინია უვაროვასა და სხვ. ნაშრომებში, რომლებშიც აჭარა წარმოჩენილია ძველი კულტურისა და განათლების დაწინაურებულ კერად. ეს ცხადად ვლინდება აგრეთვე დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების, აგრეთვე, არქეოლოგიური, სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და დიალექტოლოგიური მასალების მიხედვით. აშკარაა, რომ ხულოს რაიონი, ისე როგორც საერთოდ აჭარა, ორგანულად იყო ჩართული ქართული კულტურის ისტორიული განვითარების საერთო პროცესში **(ყაზბეგი, 1960; ბაქრაძე, 1987; სახოკია, 1985; ჭიჭინაძე, 2004).**

როგორც ცნობილია, ძვ.წ. V- III ათასწლეულში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უმნიშვნელოვანესი რგოლი იყო ძველაღმოსავლურ, ანატოლიურ და კავკასიურ კულტურათა წრეში **(სდს, 2007:139).** სწორედ ამ პერიოდიდან იკვეთება უძველესი ცივილიზაციის კვალი დღევანდელი ხულოს რაიონის ტერიტორიაზე, რომელიც ენეოლით-ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ეს პერიოდი ჩვენში ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად შესწავლილი, თუმცა ხულოს რაიონის იაილა ჯანჯღნარის ენეოლითის ხანის სამეთუნეო ნაწარმი ძვ.წ. აღ. V ათას-

წლეულის ბოლოდან IV ათასწლეულის I ნახევარში უნდა ყოფილიყო დამზადებული. აჭარის მთიანეთის ეს მასალები ექცევა ადრესამიწათმოქმედო კულტურათა არეალში. მეცნიერთა აზრით, შესაძლოა ეს იყო შულავერ-შომუთეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურების ახალი ლოკალური ვარიანტი **(სდს, 2007:135).**

აჭარისწყლის ხეობა, რომლის დიდი ნაწილი მოქცეულია დღევანდელი ხულოს რაიონის ტერიტორიაზე, ანტიკურ პერიოდშიც იყო საქართველოს შავიზღვისპირეთის დამაკავშირებელი რგოლი სამცხე-ჯავახეთისა და შავშეთ-კლარჯეთის ისტორიულ პროვინციებთან. აჭარისწყლის სათავე იყო ერთიანი, ხეობებში განტოტილი რთული თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვანი რგოლი **(კახიძე, მამულაძე, 1993:5).**

აჭარის მთიანეთის მკვიდრთ გარკვეული წვლილი შეჰქონდათ წინაქრისტიანული ხანის კულტურის შექმნაში. აჭარისწყლის ხეობის ცალკეული მონაკვეთი საყოველთაოდ ცნობილ ბრინჯაოს კულტურის დაწინაურებულ კერას წარმოადგენდა.

აღმოსავლეთის ქართულმა სახელმწიფოებრიობამ დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებთან ერთად აჭარაც მოიცვა. ასეთი ვითარება გაგრძელდა შემდეგაც, იბერიის ძლიერების პერიოდში (ახ.წ. I-II სს.). აჭარამ ერთობ დიდი როლი ითამაშა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის ფორმირებაში, კოლხეთის სამეფოს გაერთიანებაში.

აჭარის შესახებ არსებული ეთნოგრაფიული და ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება წინაქრისტიანული ხანის პანთეონის რეკონსტრუქცია. აღნიშნული პერიოდის რწმენა-წარმოდგენათა სისტემა აისახა აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში. ჩნდება „სიცოცხლის ხის“ კულტი, ასევე, ხარის, თევზის, შვლის, გველის, როგორც საკულტო ცხოველის, ფუნქციური დატვირთვა და მასთან დაკავშირებული სარიტუალო ციკლი, რაც არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება.

ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მომდინარე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციის პროცესმა ბიძგი მისცა ახ.წ. I-IV საუკუნის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. აჭარის სულიერი განვითარების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან, პირველივე საუკუნეში ქრისტეს მოწაფეების – ანდრია პირველწოდებულის, მატათას, სვიმეონ კანანელისა და სხვათა მისიონერულ მოღვაწეობასთან, რომლებმაც ქრისტიანობა ზემო აჭარაში-დიდაჭარაში გაავრცელეს, საიდანაც დაიწყო მთელ საქართველოში ქართული მწიგნობრობის განვითარება-აღმავლობის პროცესი. ეკლესია-მონასტრებში დუღდა სისხლსავსე კულტურისა და განათლების ცხოვ-

რება. აჭარის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა აბუსერისძეთა გვარმა, რომლის სახელსაც დღეს ზემო აჭარაში არსებული საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო უნივერსიტეტი ატარებს.

წმიდა ტბელ აბუსერისძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII საუკუნეში. წმიდა ტბელმა შესანიშნავი განათლება მიიღო. მისი ოჯახის წევრები ცნობილი მოღვაწენი იყვნენ. ტბელმა, როგორც ჰიმნოგრაფმა, პროზაიკოსმა, ასტრონომმა, საეკლესიო მუსიკათმცოდნემ და ღრმა მეცნიერული აზროვნებით გამორჩეულმა მწიგნობარმა, წარუშლელი კვალი დააჩნია ქართული კულტურის ისტორიას. როგორც წმიდანის ნაწერებიდან ჩანს, მან ზემო აჭარის სოფელ ხიხანში ააშენა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. ვარაუდობენ, რომ წმიდა ტბელი იქ მოღვაწეობდა, როგორც სასულიერო პირი და მან თავისი თხზულებების უმეტესი ნაწილიც იქ შექმნა. წმიდა ტბელს ინტენსიური კულტურული ურთიერთობა ჰქონდა გელათის აკადემიასთან, სადაც სავარაუდოთ მიიღო მრავალმხრივი განათლება, რამაც საშუალება მისცა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჟანრებში ეთქვა თავისი ბრძნული და წმიდა სიტყვა. წმიდა ტბელის ჰიმნოგრაფიული კრებული „გალობანი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოანე მახარებლისა და წმიდისა იოანე ოქროპირისანი" ავტორს წარმოაჩენს, როგორც მსოფლიო დონის მეცნიერსა და ღვთისმეტყველს **(ხალვაში,2003).** წმიდა ტბელი დაინტერესებული ყოფილა წელთაღრიცხვის პრობლემებით და შეუდგენია „ქრონიკონი სრული საუწყებელითა და განგებითა", რომელშიც ასტრონომიისა და ისტორიის ცოდნასთან ერთად გადმოცემულია კალენდრის კოსმიური გააზრება და ქრისტიანული ესქატოლოგია **(სიხარულიძე, 1963; აბუსერისძე, 1998).**

გარდა ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობისა, წმიდა ტბელი ცნობილია როგორც წმიდა და ღმერთშემოსილი მამა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმიდა ტბელის კანონიზაციით სამუდამოდ დაკანონდა მისი, როგორც წმიდა მამის პატივისცემა და დაფასდა ის ღვაწლი, რითაც მან სამართლიანად მოიპოვა ქართველი ხალხის სიყვარული.

საუკუნეების მანძილზე ხულოს რაიონის ტერიტორია აჭარის საერისთაოს შემადგენლობაში იყო და მასთან ერთად წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს სამხრეთი ნაწილის თავდაცვით ზოლს. გამაგრებული სამოსახლოები მრავლად იყო ხულოშიც (პაქსაძეები, ხიხაძირი, ვარდციხე და ა.შ.). ამის დასტურია დღემდე შემორჩენილი შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები: კალოთა, ვერნები, ხიხანი, საციხური (ჯვართნის) და სხვ. **(კახიძე, მამულაძე,1993:5).** ხულოს რაიონში არის შუა საუკუნეების თაღოვანი ხიდები, რომლის აგებას მოსახლეობა თამარ მეფის სახელს უკავშირებს.

XIII – XVII საუკუნეების ხულოს რაიონის, ისე როგორც საერთოდ აჭარის შესახებ, მეტად მცირე ცნობები არსებობს ცალკეულ მოღვაწეთა კულტურულ, სამეცნიერო და სამწერლობო მოღვაწეობის შესახებ.

აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს გამაჰმადიანების საფრთხეს არაერთი სასულიერო პირი განერიდა. ერთ-ერთი იმ ქართველთაგანი ზემო აჭარიდან, რომელმაც თავი ქართლ-კახეთს შეაფარა, იყო მარკოზ აჭარელი (XVII საუკუნის I ნახევარი). იგი დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის სახელოვანი წარმომადგენელი და საეკლესიო მოღვაწეა, რომელიც იქ 1639 წელს მეფე თეიმურაზ I-ს წინამძღვრად დაუნიშნავს **(სდს, 2009:188-189).**

როგორც ისტორიულ ტაო-კლარჯეთთან, ისე სხვა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებთან სიახლოვე, თავისთავად ახდენდა აჭარის აქტიურ ჩართვას ქრისტიანული ცივილიზაციის ორბიტაში. ამის მიმანიშნებელია დღევანდელი ხულოს ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ძეგლების სიმრავლე (სხალთა, ვერნები, კალოთა, ვარდციხე, თიკანაური, ვანაძეები და სხვ.), თუმცა ოსმალთა ბატონობის პერიოდში ხანგრძლივი დროის მანძილზე ეს ძეგლები, ისე როგორც სხვა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, ნადგურდებოდა. ამას მოჰყვა ქართული ენის დევნა, რადგან განათლების კერად იქცა მედრესე, სადაც სწავლება არაბულ ენაზე მიმდინარეობდა **(ყაზბეგი, 1960:88).** მიუხედავად ამისა, მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართული ცნობიერება, ქართული ენა და ქართული დამწერლობის „დედაბრული ხელიც“.

ოსმალთა ბატონობის პერიოდის აჭარაში სწავლა-განათლების სავალალო ვითარება კარგად გამოხატა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა. სერგეი მესხის შეკითხვაზე: „აჭარლებს ქართული ხომ არ დაგავიწყდათო“, ბეგმა ასე უპასუხა: „რას ბრძანებთ ბატონო! მთელ აჭარაში სულ ქართულს ლაპარაკობენ, შინაურობაში სხვა ენას ვინ ხმარობსო. მამაკაცებმა კიდევ იციან თათრული, დედაკაცებს კი ქართული სიტყვა-პასუხი აქვთ“. ხოლო, ს. მესხის მეორე შემხვედრ კითხვაზე: „წერა-კითხვა ბატონო ბეგო თუ იციანო“, ბეგის პასუხი ასეთი იყო: „მაგაში კი სუსტობენ, ალაგ-ალაგ იციან ზემო აჭარაში, მაგრამ სხვაგან ძვირად. მოგეხსენებათ, მედრესები აქვთ, იქ მოლები ოსმალურ წერა-კითხვას ასწავლიანო“ **(გაზ. „დროება“, 1878, #126).**

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად განსაკუთრებით გაიზარდა ქართული მოწინავე საზოგადოებრიობის ინტერესი აჭარის მიმართ, რაც გამოიწვია აჭარიდან მოსახლეობის მუჰაჯირად წასვლამ. ნამდვილი ჭირისუფალივით თანაუგრძნობდა აჭარლებს ილია, აკაკი, ვაჟა, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვ.

1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ბერლინის კონგრესის შედეგად დედასამშობლოსთან დაბრუნებულ ბათუმის ოლქში დაიწყო განათლებისა და კულტურის კერების აღორძინება. რამდენიმე წლის შემდეგ აჭარაში ზ. ჭიჭინაძემ შეიტანა პირველი ქართული წიგნი, რომელიც 1890 წლიდან მოყოლებული რამდენიმე წლის განმავლობაში ხშირად მოგზაურობდა აჭარის სოფლებში.

მე-19 ს-ის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა ქართული სახალხო სკოლების გახსნისათვის. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომელიც 1879 წელს დაარსდა. საზოგადოების კურსი იყო ქართველი ერის ბურჯად მშობლიური ენის გამოცხადება. ეს მეთოდოლოგია გაიზიარეს ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა-მემედ აბაშიძემ, ჰაიდარ აბაშიძემ, აბდულ მიქელაძემ და სხვებმა. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან აჭარაში იყო დაბალი ტიპის ორი სკოლა – ბერძნული და თურქული **(სდს, 2008:531).** უკანასკნელ პერიოდში პროფ. ფრ. სიხარულიძე დიმიტრი ბაქრაძის ერთ-ერთ საანგარიშო მოხსენებაზე დაყრდნობით წერდა, რომ ხულოში ჯერ კიდევ 1880 წელს გახსნილა სკოლა, სადაც სწავლობდა 20 მოსწავლე. ამ საქმის ინიციატორები ყოფილან დიდაჭარის მკვიდრი ყ. ვაშაყმაძე, ზემო აჭარის კანცელარიის მდივანი მ. ლორთქიფანიძე და სხვ. **(წულუკიძე, 2002:50).** 1885 წლიდან აჭარის სხვა სოფლებშიც გაიხსნა სკოლები. 1887 წელს კაპიტან ალ. ბეროიძის მეცადინეობით საზოგადოებას თავისი ხარჯით აუშენებია სკოლა ხულოს რაიონის სოფელ დიოკნისში. სკოლაში სპარსი მასწავლებელი ყოფილა, რომელსაც რუსი ეროვნების ცოლი ჰყავდა. მოსწავლეებს არც სპარსული სცოდნია და არც რუსული ენა **(ბაბილოძე, 1975:31).** 1892 წელს ხულოს მაზრაში გაიხსნა სამოქალაქო სასწავლებელი **(ბასილაძე, 2015:22).** არც ამ სკოლაში ყოფილა სწავლება ქართულ ენაზე **(ბაბილოძე, 1958: 36; ცივაძე, 1970:10).** სკოლა 1914 წელს დაიხურა, მაგრამ 1916 წელს აღდგა **(კომახიძე, 2006, II:174).** მოსახლეობა მოითხოვდა სკოლების გახსნას და იქ ქართულის სავალდებულო სწავლებას. ამ მიზნით 1890 წელს იონა მეუნარგიამ, 1896 წელს კი ევტ. მამინაშვილმა ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას წარუდგინა სწავლა-განათლების გავრცელების საკითხი, მაგრამ აჭარელთა თხოვნა სკოლის გახსნაზე ვერ დაკმაყოფილდა **(კომახიძე, 2006, II:8).** აჭარის სხვა მოღვაწეთა შორის ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა შესანიშნავი პიროვნება, კარგი მექართულე და სიტყვამოსწრებული ადამიანი – ღორჯომელი ალი-აღა სირაძე **(ვანაძე, 2002:72; წულუკიძე, 2002:61).**

1900-1905 წლებში მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობითა და ხალხის მოთხოვნით სკოლები გაიხსნა ხულოს მაზრის სხვადასხვა სოფელში. 1913 წელს გაიხსნა ხულოს ორკლასიანი რუსული სკოლა **(კომახიძე, 2006, II:82),** თუმცა

საქმე შეფერხდა მე-20 საუკუნის 10-იან წლებში პირველი მსოფლიო ომის დროს, რის გამოც ზოგიერთი სკოლა კიდეც დაიხურა **(სდს, 2008:532;535).**

ქართული სკოლები 1916 წლამდე მხოლოდ ბათუმში იყო. აჭარაში ქართული სკოლების გახსნაზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 1915 წელს გვერდით ამოუდგა ქართველთა შორის კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების კავშირი. 1916 წელს აღნიშნულმა კავშირმა გ. ყაზბეგის მეთაურობით გამოყო 16 000 მანეთი **(სდს, 2008:536).** ეს საქმე დაევალა იერემია გულისაშვილს **(კომახიძე, 2006, II:82).**

ხულოს რაიონში ქართული სკოლების გახსნასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აჭარაში ქართული სკოლები გაიხსნა 1916 წ., თუმცა ავტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ იქ ქართული სკოლები უფრო ადრე, კერძოდ, 1915 წ. გახსნილა. მაგალითად, დიმიტრი ხოზრევანიძის ცნობით სოფელ თხილვანაში 1915 წ. დაარსებულა სკოლა, სადაც ყველა საგანს ქართულ ენაზე ასწავლიდნენ **(ხოზრევანიძე, 1959:13).** 1915 წ. გახსნილა სკოლა სოფელ ფაჩხაში, რომელიც 1917 წლამდე ფუნქციონირებდა. ამის მოთავენი ყოფილან ბაშჩაუმ (სადიე) ბოლქვაძე და დურაღ მახარაძე **(მახარაძე, 2016:65-67).** ამავე პერიოდში გახსნილა სკოლა ჭვანის ხეობაშიც **(შარაშიძე, ქათამაძე, 2002:158).** ვაჟა მაკარაძის ცნობითაც სოფელ ოლადაურში 1915 წ. არსებულ დაწყებით სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, თუმცა სკოლა 1917 წ. დაიხურა **(მაკარაძე, 2003:46; მაკარაძე, 2006:44).** ამ ფაქტს რამდენადმე უკავშირდება მკვლევარ გრ. ბაბილოძის ცნობა, რომლის მიხედვით 1915 წლისათვის ხულოს რამდენიმე დაწყებით სკოლაში მოხერხებულ დროს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს ასწავლიდნენ, რადგან იქ ქართული არ ისწავლებოდა **(ბაბილოძე, 1975:51).**

როგორც ცნობილია, 1916 წ. 2 იანვარს ბათუმში რეჯებ ნიჟარაძის თავმჯდომარეობით მოიწვიეს საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის სხდომა, რომლის გადაწყვეტილებითა და ადგილებზე პატრიოტ მამულიშვილთა დახმარებით, იმავე წელს გაიხსნა 6 დაწყებითი სკოლა. ამ საქმეში დიდია ზემო აჭარის მმართველის, დიდი მამულიშვილის შერიფ ხიმშიაშვილის ღვაწლი. იგი თავგამოდებით ზრუნავდა აჭარის მკვიდრთა განათლებისა და კულტურული გათვითცნობიერებისათვის. მას განათლების გავრცელების მთავარ საშუალებად სკოლა მიაჩნდა და ამით იგი სამართლიანად იმსახურებს განმანათლებლის საპატიო სახელს **(ბაბილოძე, 1972:66).**

ქართველ მამულიშვილთა დიდი ძალისხმევით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული პედაგოგიური კადრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა სკოლაში არსებული დეფიციტის დაძლევა. იმ ძნელბედობის ჟამს არაერთმა

მამულიშვილმა იღვაწა აჭარაში – მღვდელმა მამა ბესარიონ დოლიძემ და მისმა ოჯახმა, მასწავლებლებმა: ტიტე ჭყონიამ, ეკატერინე ქუთათელაძემ, ირაკლი ურუშაძემ, თევდორე დოლიძემ, სიმონ ჯიღაურმა, აპოლონ წულაძემ და სხვ. **(წულაძე, 199:95-120; ჩელებაძე, 2009:183).**

აჭარის სკოლებში სწავლება მიმდინარეობდა საქართველოს სსრ განათლების კომისარიატის მიერ შედგენილი გეგმებით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოების მიხედვით. გამონაკლისს აჭარის სპეციფიური პირობების გამო 1921-1924 წლებში სჯულის (ყურანის) სწავლება წარმოადგენდა, რაც 1924 წ. 1 ივლისს გაუქმდა საქართველოს კპ(ბ) აჭარის საოლქო ორგანიზაციის VI კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების-„აჭარის სკოლებში რელიგიური სწავლების აკრძალვის შესახებ-საფუძველზე“ **(ცივაძე, 1970:79-80).**

როგორც ითქვა, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში არაერთი სკოლა დაიხურა აჭარაში. ადგილობრივ მკვიდრ მოღვაწეთა დახმარებით 1916 წელს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გაიხსნა სამჭედლო-საზეინკლო სასწავლებელი **(წულუკიძე, 2002:84).** ხელოსანთა ხელმძღვანელი იყო სიმონ ჯიღაური, მეფუტკრეობას კი აპოლონ წულაძე ასწავლიდა **(ბაბილოძე, 1975:49).** შრომით სკოლებში სპეციალობებთან ერთად წერა-კითხვაც ისწავლებოდა.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საგანმანათლებლო ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდა. 1922 წელს ხულოს მაზრაში იყო 9 სკოლა **(კომახიძე, II, 2006:73).** 1923-1925 წლებში ხულოში გაიხსნა 25 დაწყებითი სკოლა **(ბაბილოძე, 1958:93; ხოზრევანიძე, 1959:21; ბასილაძე, 2015:23; ხალვაში, 2006:65 დუმბაძე, 2016:12).** 1926 წელს უკვე 2 სკოლა და ქოხ-სამკითხველო იყო ხულოს მაღალმთიან სოფელ ღორჯომში. ამასთან, შეიქმნა ანბანის შემსწავლელი წრე და აგრო-წრე **(ცივაძე, 1971:19-20; ვანაძე, 2002:109).** 1924 წლიდან ჩამოყალიბდა ცხრაწლიანი სკოლა **(ცივაძე, 1970:83).** ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესება განათლების მიმართ სულ უფრო იზრდებოდა. 1933 წელს დაწყებითი სკოლისთვის ისრაფილ ირემაძის კერძო საცხოვრებელ სახლში გამოიყო ერთი ოთახი **(ვანაძე, 2002:113).** 1934 წ. მედრესეს გვერდით არსებული სამოთახიანი შენობა კი მთლიანად დაეთმო სკოლას, სადაც პირველი და მეორე კლასები იყო. მევლუდ-აღა ირემაძის მიერ უსასყიდლოდ გადაცემულ მიწაზე 1938 წლისთვის ღორჯომის თემში გაიხსნა 22 ოთახიანი საშუალო სკოლა. აღსანიშნავია, რომ 1992 წლიდან ღორჯომის ხეობაში არსებული სკოლები მთლიანად ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდა **(ვანაძე, 2002:117).**

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში პირველად ჩამოყალიბდა განათლების სახელმწიფო ორგანოები. 1921 წლის 20 მარტს შეიქმნა ბათუმის საოლქო რევკომის განათლების განყოფილება, რომელიც იმავე წელს განათ-

ლების სახელმწიფო კომისარიატად გარდაიქმნა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა პერიოდის აჭარის განათლების კომისარიატს იმთავითვე ხულოელი თახსიმ ხიმშიაშვილი ედგა სათავეში **(კომახიძე, 2011:54).** ახლად შექმნილი განათლების სახელმწიფო ორგანოების მიერ აჭარის მთიანეთში გააქტიურდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

საბჭოთა ხელისუფლების ადრეულ ეტაპზე განსაკუთრებული პრობლემა იყო მატერიალური სიდუხჭირე. რეალურად სასწავლო პროცესი მთიან აჭარაში 4 თვეს გრძელდებოდა **(ცივაძე, 1970:99).** უსახსრობის გამო მასწავლებლები უფასოდ იღვწოდნენ. მაგალითად, ხულოში 74 მოხალისე მასწავლებელი 243 უცოდინარს ასწავლიდა, თუმცა ზოგჯერ ამ საქმეს ართულებდა მასწავლებლების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან გამოვლენილი პროტესტიც.

ხულოს რაიონის სოფლებიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის ხულოში ჩასვლა გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ 1922 წელს მათი თხოვნა გულისხმობდა პანსიონის გახსნას, რომელიც მანამდე არსებულა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში.

1924 წ. აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა „მოწაფეთა პანსიონების“ მოწყობა ხულოსა და ქედის რაიონებში **(ასს ცსა, ფ. P-5, ან.-1, ს-32; ფურც.1).** ხულოს მაზრაში XX საუკუნის 20-იან წლებში სოფლის ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების მიზნით სკოლებთან გაგრძელდა წრეების-მეგაღეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობისა და სხვათა ფუნქციონირება. 1922 წელს ხულოში იერემია გულისაშვილის ხელმძღვანელობით გაიხსნა შრომითი ხასიათის ორკლასიანი სკოლა. იმავე წელს ანალოგიური სკოლა გაიხსნა ღორჯომის თემშიც. 1926 წლიდან სოფელ დეკანაშვილებში ამოქმედდა ჭრა-კერვის სკოლები **(ბაბილოძე, 1958:245-248).** 1928-29 წლებში ხულოში გახსნილი მესაქონლეობის სკოლა შემდგომ ზოოტექნიკურ ათწლედად **(ახალაძე, 2012:17),** 1933 წლიდან კი პედგანხრიან ათწლეულად გადაკეთდა. 1938 წელს აქვე გაიხსნა პედსასწავლებელი **(სდს, 2012:506).**

20-იანი წლების მეორე ნახევრიდან არაერთი ღონისძიება ჩატარდა, რომლის შედეგად ადგილობრივ პედაგოგთა შორის მოგვიანებით ქალებიც გამოჩნდნენ. ესენია: ეთერ აბულაძე, მერი გობაძე, ნაზი, ლილი და ქეთევან ნიჟარაძეები და სხვ. 1928 წელს ხულოს რაიონში არსებობდა ფურტიოს, უჩამბის, ჭვანის, ღორჯომის, ოლადაურის, ხიხაძირის, ხულოსა და ბეღლეთის რაისკოლები, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მათში საგრძნობლად იმატა გოგონათა რაოდენობამაც.

1922 წლიდან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა ლიკსკოლების სახით აჭარაში ფართოდ გაიშალა. გარდა ამისა, არსებობდა

მოძრავი ლიკსკოლები (იმ სკოლებში, სადაც არ იყო ერთსაფეხურიანი შრომის სკოლა) და „წერკუმსი“ (წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლა). ეს უკანასკნელი შეიქმნა 1929 წ. აჭარის მთიანეთის შესახებ მიღებული დადგენილების საფუძველზე **(სდს, 2012:504),** მაგრამ მიმდინარე პროცესი შეაფერხა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ხულოს ანტისაბჭოთა გამოსვლებმა. ამასთან, ხულოს ზოგიერთ სოფელში სკოლასთან და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო კერასთან დაკავშირებით სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდა, რის გამოც მოსახლეობამ მოითხოვა მეჩეთისგან მათი გადატანა. 1930-1931 წლებში ხულოს მოვლენების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. აიკრძალა რელიგიური მსახურება და სწავლება. ამის გამო ხოჯებმა სახლებში გადაიტანეს სწავლების პროცესი **(ასს ცსა, ფ. პ-1; ან.3; ს.54).** 1930 წლიდან ხულოს სკოლებში წერა-კითხვა ლათინური შრიფტით ხდებოდა, ნაცვლად არაბულისა **(ასს ცსა, ფ. პ-2; ან.1, ს. 840, ფურც.38-41).** 1932-1933 წლებში აჭარაში შემოვიდა საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლება. ამის შედეგად 1933/1934 წლებში ხულოს რაიონში პირველდაწყებითი საფეხურის სკოლათა რაოდენობამ 110-ს მიაღწია **(ასს ცსა, ფ. p-5; ან.1; ს.264, ფურც.83).**

1935 წელს ხულოს არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე დაფუძნდა ხულოს ვაჟთა პედაგოგიური სასწავლებელი და მასთან არსებული არასრული საშუალო სკოლა **(კომახიძე, 2006,II:177).** ხულოს საშუალო სკოლასთან გაიხსნა ქალთა კლასი, სადაც 37 გოგონა სწავლობდა **(სდს, 2012:509).** მოგვიანებით, 1936-1937 სასწავლო წელს, სპეციფიური პირობების გამო, გოგონების მიზიდვის მიზნით, ხულოში გაიხსნა ქალთა არასრული საშუალო სკოლა, რომელშიც 40 გოგონა სწავლობდა (**ბაბილოძე, 1958:105).** 30-იანი წლების ბოლოს კი გაიხსნა ქალთა არასრული საშუალო სკოლა, რომელიც 1940-1941 სასწავლო წელს გადაკეთდა ქალთა პედაგოგიურ სასწავლებლად **(ბაბილოძე, 1975:93).**

1934 წლიდან სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით ცვლილებები მოხდა სასკოლო განათლების სისტემაში, რის შედეგადაც დაწესდა სკოლის შემდეგი ტიპები: დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლა. ჯგუფებს კლასები ეწოდა, ხოლო თითოეული კლასისათვის დაწესდა კლასის ხელმძღვანელის საშტატო ერთეული შესაბამისი ანაზღაურებით.

1940 წლისთვის დასრულდა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის პროცესი. ამ დროისთვის აჭარაში ყველაზე მეტი სკოლა (139 სკოლა 5987 მოსწავლით) ხულოს რაიონში იყო **(ცივაძე, 1970: 63)**, სხვა ცნობით კი მოსწავლეთა რაოდენობა 6057 ყოფილა **(წულუკიძე, 2002:157).**

30-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების საკითხს, რაც 1933 წლის დადგენილე-

ბაში აისახა **(ცივაძე, 1970:95).** ამ პერიოდიდან აჭარაში დაინერგა სახელმძღვანელოების პრაქტიკა, თუმცა გამონაკლისი დაიშვა დაწყებითი კლასებისთვის, რითაც 1940-41 წლამდე სარგებლობდნენ **(ცივაძე, 1970:95-96).** მანამდე იყო „სამხარეო სახელმძღვანელო“, მაგალითად, ნიკ. ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი „აჭარისტანის (გეოგრაფიული ნარკვევი“) და „აჭარისტანის ისტორია“ **(ცივაძე, 1970: 93)**.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მიმდინარე ომის პერიოდში განათლების სფეროში არაერთი წამახალისებელი ღონისძიება გატარდა. კერძოდ, 1944 წელს შემოღებული იქნა ოქროსა და ვერცხლის მედალი, 1945 წელს კი ცოდნის შეფასების 5-ბალიანი სისტემა დაწესდა. საკავშირო მასშტაბით გატარებული ღონისძიებების შესაბამისად, ცვლილებები მოხდა ხულოს რაიონის საგანმანათლებლო სისტემაშიც. 1949-1950 წლებში განხორციელდა შვიდწლიან სწავლებაზე გადასვლა, რაც ომისშემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენით სამუშოებს დაუკავშირდა. მომდევნო 40-50-იან წლებში რამდენიმეჯერ შეიცვალა სწავლის ხანგრძლივობა ჯერ 11-წლიანი, შემდეგ 10-წლიანი, 8-წლიანი და კვლავ 11-წლიანი სწავლებით **(ცივაძე, 1970:71).** ამავე პერიოდში ინტერნატი გაიხსნა ხულოში **(ცივაძე, 1970:28).** 1950 წელს გაიხსნა ხულოს რაიონის პირველი სამუსიკო სასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელი იყო გრ. გრეკოვი **(კომახიძე, II, 2006:325).** 1954 წელს გაუქმდა ცალკე არსებული ქალთა და ვაჟთა სასწავლებელი.

1958 წლის კანონით საშუალო სკოლის ნაცვლად შემოიღეს „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლებიანი სკოლა“. ამასთან, კვლავ გაგრძელდა საწარმოო სახელოსნოების ტრადიცია და ხულოს რაიონის რიყეთის საშუალო სკოლაში გაიხსნა სადურგლო და სამკერვალო სკოლის სახელოსნოები (**ცივაძე, 1970:71**). 1959-1960 წლებში გაიზარდა ინტერნატების რაოდენობაც.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სასკოლო განათლების სისტემაში საღამოს სკოლების შემოღება. ომის შემდგომ მთიან რაიონებში სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და განვითარების პერიოდში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას ძირითადად ხელი შეუწყო სკოლა-ინტერნატის გახსნამ. პირველი ამგვარი ინტერნატი 1957 წელს გაიხსნა ხულოში **(ცივაძე, 1970:28; წულუკიძე, 2002:170)**.

1956 წლის 28 აგვისტოს ბრძანებით ადგილობრივ მკვიდრ მასწავლებელთაგან, განსაკუთრებით ქალთა და პედაგოგთა მოსამზადებლად, დაიშვა აჭარის მთიან რაიონებში მცხოვრები ქალი აბიტურიენტის ჩარიცხვა კონტიგენტის ზევით პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1968 წლიდან მე-9 და მე-10 კლასებში შემოიღეს სამხედრო სწავლება, 1961 წლიდან კი გახანგრძლივებული დღის ჯგუფები **(ცივაძე, 1970:74)**. ამავე წელს 4 გახანგრძლივებული ჯგუფი გაიხსნა ხულოში.

2006 წლისათვის ხულოს რაიონში იყო 79 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა **(კომახიძე, II,2006:98).** თანამედროვე პერიოდში ხულოს რაიონში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ემსახურება ა(ა)იპ ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული ცენტრალური ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, 29 საჯარო სკოლა, ერთი გიმნაზია და 35 მიერთებული კლასი (1-4 მიერთებული კლასი). ეს არის ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული პარალელური კლასები ხულოსა და სხვა სოფლის საჯარო სკოლებზე. ზოგ შემთხვევაში 1-4 კლასი სრულად არაა, რაც იწვევს ჩავარდნას. სკოლებში შეინიშნება მოსწავლეთა შემცირების ტენდენცია. მთლიანად რაიონში ყოველწლიურად მისი კლების ტემპი 80-100 – ს აღწევს. ამის მიზეზად მიჩნეულია როგორც შიდამიგრაციული პროცესები, ისე სხვა ფაქტორებიც.

ხულოს რაიონში 2013 წლისათვის გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა რაოდენობა 280-300-ს აღწევდა, სადაც პედაგოგიურ საქმიანობას 600 -მდე მასწავლებელი ეწევა. სკოლაში რამდენიმე საფეხურიანი სწავლებაა, სადაც ისწავლება რუსული, გერმანული და ინგლისური ენები.

1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს საპატრიარქოს პატრონაჟით ხულოს ცენტრში გაიხსნა პროფესიული სასწავლებელი, სადაც ასობით ადგილობრივმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება სხვადასხვა სპეციალობაში: ფილოლოგიაში, ისტორიაში, მედიცინასა და ა.შ. სადღეისოდ გადაიჭრა ზემო აჭარის ახალგაზრდობისათვის უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების პრობლემაც. 2008 წელს ზემო აჭარაში დაფუძნდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, რომელსაც 2017 წლისათვის უკვე 1100-მდე დიპლომირებული კურსდამთავრებული ჰყავს.

მნიშვნელოვანი აღმავლობა დაეტყო სამეცნიერო საქმიანობასაც. ხულოს რაიონის არაერთი მკვიდრი ჩადგა ქართული მეცნიერების სამსახურში: ბესო ბაუჩაძე, მიხეილ ბერიძე, ინდიკო აბაშიძე, მედეა და ანზორ რიჟვაძეები, რეზო მიქელაძე, სერგო დუმბაძე, გივი, მზია, ბესო და ავთანდილ ბოლქვაძეები, დარეჯან გელაძე, ანზორ, იოსებ და ემზარ თავართქილაძეები, მიხეილ მახარაძე, ონისე სურმანიძე, ოთარ ღორჯომელაძე, ოთარ შაინიძე, მურმან და ოთარ ცეცხლაძეები, იური ძირკვაძე, რამაზ ხალვაში, ალექსანდრე ჯაყელი და სხვ. 1927 წელს საქართველოს მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილებაში შეიქმნა მწერალთა ორგანიზაციული გაერთიანება, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი

შეიტანა ქართული პროზის, პოეზიის, საბავშვო მწერლობის, დრამატურგიის განვითარებაში. ამ საქმეში ხულოს მკვიდრთა მოკრძალებული წვლილიცაა. ესენია: ნანა, მაგული, ვახტანგ (მწერალი), ვახტანგ (პოეტი) აბულაძეები, თამაზ ართმელაძე, გულიკო და გიორგი (მატადორი) გაბაიძეები, მიხეილ და ლევან გელაძეები, ნუგზარ, ზაურ და შალვა ბოლქვაძეები, როინ რიჟვაძე, გულნარა შაინიძე, სულხან წულუკიძე, ნოდარ ძირკვაძე და სხვ.

ხულოს რაიონის კულტურის აღორძინება და პოპულარიზაცია არაერთი მოღვაწის უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოხდა. მათგან გამორჩეულია მხატვრების – ალექსეი ეისლერის, შალვა ქიქოძისა და სხვ. ღვაწლი, რომლებმაც XX ს. დასაწყისშივე შეძლეს თავიანთი მხატვრული ტილოებით როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ უამრავი მნახველისათვის გაეცნოთ აჭარის, კერძოდ, ხულოს რაიონის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. სახელოვანი მხატვრის-შალვა ქიქოძის მიერ აჭარაში შექმნილი ტილოებია: სხალთა“, „აჭარელი ჩადრიანი ქალები“, „აჭარელი ქალი“ და სხვ. შალვა ქიქოძემ სურათი „სხალთა“ 1921 წ. წარადგინა პარიზში ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის ნამუშევრებთან ერთად მოწყობილ გამოფენაზე. ამ პროცესს მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან შემდგომი განვითარება მოჰყვა და ხულოს რაიონის არაერთმა მკვიდრმა მნიშვნელოვანი წვლილი შიტანა სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში. ესენია: სიმონ, ესმა, გივი და ბადრი ართმელაძეები, მოქანდაკე დავით ბოლქვაძე, ნოდარ შავაძე და სხვ. **(კომახიძე, 2011:163; ახალაძე, 2014:244,273).** მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მაღალმთიანი აჭარის კულტურულ ცხოვრებაში ნარგიზ აბაშიძისა და თეიმურაზ კომახიძის თაოსნობით მუდმივ-მოქმედი სამხატვრო გალერეის დაარსება **(ახალაძე, 2014:236).**

ფასდაუდებელია ხულოს მკვიდრთა ღვაწლი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში. რაიონში დიდი პოპულარობით სარგებ-ლობს ხალხური სიმღერები და ცეკვები. სწორედ ამ რაიონშია შექმნილი ცეკვა „განდაგანა“, რომლის პოპულარიზაციაში განსაკუთრებულია ცნობილი მოცეკ-ვავის – თეიმურაზ მელაძის ღვაწლი, რომელიც 1953 წელს ქობულეთში გადავიდა საცხოვრებლად. ასევე აღსანიშნავია ცნობილი ქორეოგრაფი თოფუზ გაბაიძე **(კომახიძე, 2010:675).** XX ს. 20-იანი წლებიდანვე დაიწყო ადგილობრივი მოცეკვავეებისა და მომღერლების აქტიური ჩართვა აკადემიურ გუნდში. 1928 წელს შეიქმნა ქორეოგრაფიული ჯგუფი, რომლის ტრადიციებს დღეს არაერთი ანსამბლი აგრძელებს. მათგან გამორჩეულია ხულოს რაიონის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერმუხა“, „არსიანი“ და ა.შ.

ხალხური სასიმღერო თვითმოქმედებით გამოირჩეოდა ხულოს რაიონის ხიხაძირის ხეობა. იქ სასიმღერო შეჯიბრებები ეწყობოდა ნადში, რომელიც 2

დღე-ღამესაც კი გრძელდებოდა. საშემსრულებლო ოსტატობით გამოირჩეოდა ქოჩახელა (ედეჰემ სურმანიძე), თოფუზ იშხნელიძე, ხულუს და ასლან აბაშიძეები, სურმანიძეები, ვეზირ მიქელაძე და სხვები. მაღალმთიან აჭარაში სასიმღერო ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნ. ჯიბლაძემ, რომელმაც სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები ჩამოაყალიბა ხულოში **(კომახიძე, 2011:185).** აღსანიშნავია, რომ 1933 წ. სხალთა-ხიხაძირის ხეობაში აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიცია ჩატარდა, რომლისთვისაც საგანგებოდ მოწყობილ მხატვრულ ღონისძიებაზე უძველესი სიმღერები შეუსრულებიათ. მათ შორის „ზემოაჭარული მასპინძლური“, „სუფრული“, „ქალ-ვაჟთა სატრფიალო“, „მაყრული“, „სოფლური“ და ა.შ. შემდგომი პერიოდის სიმღერებიდან აღსანიშნავია „ხერტლის ნადი“ **(კომახიძე, 2011:185).**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქტიურად დაიწყო ადგილობრივი სახსრებით კულტურული ქსელების გაფართოება. ქართული საზოგადოება თეატრალურ წარმოდგენებს ეფექტურად იყენებდა პატრიოტული იდეების პროპაგანდისათვის. 1921-1923 წლებში აჭარაში გაიხსნა 15 საკლუბო დაწესებულება, მათ შორის ხულოს მაზრაშიც. დიდი ტრადიციების მქონე ხულოს თეატრის დაარსება ცნობილი ქართველი რეჟისორის – სიკო დოლიძის სახელს უკავშირდება, რომელიც XX საუკუნის 10-იან წლებში ხულოს რაიონში მოღვაწე მღვდლის- მამა ბესარიონ დოლიძის შვილი იყო. ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილთან ერთ-ერთი სტუმრობის დროს აპოლონ წულაძეს ხულოში პირველი საღამო-წარმოდგენის გამართვის სურვილი გამოუთქვამს. ორაქტიანი პიესის მომზადება უკისრია სრულიად ახალგაზრდა სიკო დოლიძეს, ხოლო ცხრა კაცისგან შემდგარი მომღერალთა გუნდის მომზადება წილად ხვდომია დავითს – მამა ბესარიონის ცოლისძმას. ორივე წარმოდგენას დიდი წარმატებით ჩაუვლია. სიკო დოლიძის თაოსნობით ხულოში დაიდგა პირველი საქველმოქმედო თეატრალური წარმოდგენები – „ტიმოთეს ლეღვი“ და „ორი მშიერი“. მას მხარში ედგა ადგილობრივი მოსახლეობა, კერძოდ, ბეჟან და მერჯან ბოლქვაძეები, მერჯან თავართქილაძე და სხვ. (დოლიძე, 1984:59; ბოლქვაძე, 1998:39).

1927 წელს დაარსდა ხულოს დრამატული თეატრი, სადაც არაერთი საინტერესო სპექტაკლი დაიდგა. მათგან აღსანიშნავია: „გაქცევა“, „ვაზის ტირილი“, „ხევსურული ბალადა“, „ელეონორა“, „თავშესაფარი“, „ფიროსმანი“, „ბუნტი საბუეში“. საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი სპექტაკლი დაიდგა ხულოს მკვიდრ რამაზ ბოლქვაძის მიერ ოტია იოსელიანის ნაწარმოების მიხედვით. არაერთი საინტერესო სცენური სახე შექმნეს მსახიობებმა: იაკობ

მელაძემ, ნევრი და ასლან ჯორბენაძეებმა, იოსებ და დავით ბოლქვაძეებმა, ნაზი და ნინო ქარცივაძეებმა, ლალი თურნავამ, ქეთევან გაჩეჩილაძემ და სხვ.

1931 წელს ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრის მშენებლობა დაიწყო, რომელსაც 1936 წელს (სხვა ცნობით 1937 წ.) სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭა. 1951წ. თეატრმა შეწყვიტა არსებობა, თუმცა მისი ფუნქციონირება როგორც კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრისა, 1960 წელს აღდგა. თეატრმა მაყურებელს არაერთი საინტერესო სპექტაკლი წარუდგინა. 1937 წ. პირველ სეზონზე დაიდგა სპექტაკლი „ანზორი“ ს. შანშიაშვილის პიესის მიხედვით.

1992 წ. თბილისში აჭარის ხელისუფლების დიდი მხარდაჭერით ხულოს სახალხო თეატრმა წარმატებით წარადგინა სპექტაკლი „ხატიჯე“ კ. კალაძის პიესის მიხედვით, რომელიც სახალხო თეატრის სახელმწიფო თეატრად გადაკეთების წინამორბედად იქცა. იმავე წელს რეჟისორ იუსუფ ზოიძის მიერ წარმატებით დაიდგა სპექტაკლი „ანზორი“. დღეს სწორედ ამ რეჟისორის სახელს ატარებს ხულოს დრამატული თეატრი.

2013 წელს ხულოს კულტურის სახლს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა. ხულოს დრამატულ თეატრს სათავეში უდგას გურამ აბულაძე, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელია როინ სურმანიძე. თეატრის დასს 9 ადამიანი შეადგენს. ისინი ყოველწლიურად მონაწილეობენ ფესტივალში, რომელიც ფოთში იმართება. გარდა ამისა, თეატრალური დასი გასვლით გასტროლებზე იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკასა და საბერძნეთში. ხულოს იუსუფ ზოიძის სახელობის დრამატულ თეატრს სახელმწიფო ლაურეატის წოდება და სხვ. სახის ჯილდოები აქვს მინიჭებული.

XX საუკუნის 30-იან წლებში დაარსდა ქალთა კლუბი, რომელთა საქმიანობამ მალე მოიცვა მთიანი აჭარის რაიონებიც. უკვე 1937 წლისათვის ხულოში იყო 4 კლუბი, მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პარტიულ-იდეოლოგიურ და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთავარ კერად გადაიქცა **(სდს, 2012:580-582).**

1947 წელს სახელმწიფო დაფინანსების გარეშე ხულოს რაიონში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით აგებულ საკოლმეურნეო და სასოფლო კლუბებთან გაიხსნა ქოხ-სამკითხველოები. 1925 წლიდან აჭარაში გაიხსნა ბიბლიოთეკა, ხოლო 1927 წ. პირველი ქოხ-სამკითხველო გაიხსნა ხულოში, სადაც მალე 11 კლუბი და 5 ქოხ-სამკითხველო ფუნქციონირებდა **(სდს, 2012:580-582).** ხულოს პირველი ქოხ-სამკითხველო დაარსდა ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე სათავსოში, რომლის გამგედ დაინიშნა ზაქრო აბულაძე. 1929 წლისთვის ქოხ-სამკითხველოები გაიხსნა დიდაჭარასა და

ღორჯომშიც. 1954 წ. კი დაფუძნდა საბავშვო ბიბლიოთეკა **(კომახიძე, 2011:319).** 1946 წელს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურის დაწესებულებათა საქმეთა სამმართველოსთან სალექციო ბიურო ჩამოყალიბდა, ხოლო რაიონულ განყოფილებასთან შეიქმნა ლექტორთა ჯგუფები, სასოფლო კლუბებთან და კულტურის სახლთან კი ლექტორიუმები. 1951-1959 წლებში სოფლებში 45 კინოდანადგარი გაიხსნა. რაიონის მოსახლეობას სისტემატიურად უჩვენებდნენ კინოსეანსებს. აჭარაში სამუზეუმო საქმეს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, რომლის ერთ-ერთი სექცია იყო სასკოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი **(ასს ცსა, ფ. 3-2; ან.1, ს. 840, ფურც.40)**. ხულოში სამუზეუმო საქმეს დიდი სტიმული მისცა 1933 წლის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით, რომელშიც ქართული ეთნოგრაფიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად ახალგაზრდა ადგილობრივი მეცნიერი ჯ. ნოღაიდელი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ხულოს რაიონში მოგვიანებით გაიხსნა მუზეუმები. ესენია: ხულოს მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი, დაარსებული 1983 წ. **(კომახიძე, 2011:332),** სხალთა-ხიხანის ეთნოგრაფიული მუზეუმი სოფელ თხილვანაში, რომელიც დაარსდა 2001წ. ამავე წელს დაფუძნდა შერიფ ხიმშიაშვილის სახ. მუზეუმი სხალთაში. 2003 წ. ნ. აბაშიძისა და თ. კომახიძის თაოსნობით დაარსდა სელიმ ხიმშიაშვილის ციხე-მუზეუმი **(კომახიძე, 2011:330,332)** და ა.შ. ხულოს რაიონის კულტურულ-ისტორიული წარსულის მეტად საინტერესო მასალებია ხულოს მხარეთმცოდნეობით მუზეუმში, რომელშიც დაცულია მოსახლეობის მიერ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, რომელთა ძირითად ნაწილს შეადგენს შრომის იარაღები, ნუმიზმატიკური მასალები, გეოლოგიური კოლექცია, ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრები, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმი, აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი დოკუმენტური და ფოტომასალა.

1947 წელს დაარსდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება. მალე ხულოში ჩამოყალიბდა მისი რაიონული განყოფილება. 1959 წელს დაარსებული სახალხო უნივერსიტეტი მომდევნო წლებში ხულოშიც გაიხსნა, რომელიც ემსახურებოდა მოსახლეობის ზოგადი განათლებისა და კულტურის ამაღლების საქმეს.

ხალხის სამსახურში ჩადგა პუბლიცისტიკა. 1941-1945 წლებში აჭარაში გამოდიოდა 2 საოლქო და 4 რაიონული გაზეთი **(სდს, 2012:595).** 1932-1933 წლებში ხულოში გამოდიოდა გაზეთი „კოლექტიური შრომა“, რომელიც 1962-1963 წლებში სხვა რაიონულ გაზეთებთან ერთად დაიხურა, მაგრამ მოგვიანებით

1970-80-იან წლებში კვლავ აღდგა იმავე სახელწოდებით. დღეს ხულოში გამოდის რაიონული გაზეთი „ხულო“.

საბჭოთა პერიოდში ე.წ. „დახურულ“ ზონაში მოქცეული რაიონებისათვის, მათ შორის ხულოს რაიონისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საინფორმაციო საშუალებათა დროულ და ინტენსიურ საქმიანობას. ამ მიზნით აჭარაში 1932 წელს მუშაობდა 4 რადიოკვანძი, ზოგ სოფელში კი იყო სატრანსლაციო წერტები. 1930 წელს ხულოს რაიონულ ცენტრში და 4 სოფელში გაყვანილ იქნა რადიოქსელი. 1959 წლიდან მთელს აჭარაში ამოქმედდა რადიოგადაცემები. საზოგადოების აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ტელევიზიას, რომლის ხარისხი აჭარის მთიანეთში განსაკუთრებით გაუმჯობესდა 1987 წ. აჭარის ტელევიზიის ამოქმედებით **(სდს, 2012:600).** აღნიშნული ღონისძიებების შედეგად ხულოს რაიონის მოსახლეობის შემოქმედება ტელევიზიის საშუალებით გაიცნო ფართო საზოგადოებამ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ხულოს რაიონში ყოველწლიურად ტარდება არაერთი სახალხო დღესასწაული, რომლის ფესვები შორეული წარსულიდან მომდინარეობს. განსაკუთრებით პოპულარულია დღესასწაული „შუამთობა“, რომელიც ყოველწლიურად მოსახლეობის მთაში ყოფნის შუა პერიოდში, აგვისტოს პირველ შაბათ-კვირას, იმართება ხულოს რაიონის ალპური საძოვრების ზონაში – ბეშუმში, მწვანე ტბასთან და ა.შ. ეს დღესასწაული იმართება ასევე მეზობელ გურიაში გომის მთაზე, სადაც ხულოს მაღალმთიანი ღორჯომის მოსახლეობა ყოველწლიურად დადის საიალაღო პერიოდში. დღესასწაულმა შეინარჩუნა ტრადიციული ელემენტები – კოცონთან ცეკვა-სიმღერა, ხალხური თამაშობები, სპორტული შეჯიბრებები დოღსა და ჭიდაობაში. გარდა ამისა, უკანასკნელ ათწლეულებში სახალხო ზეიმი უფრო მასშტაბური გახდა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ფოლკლორული ანსამბლები, ეწყობა სახალხო სეირნობა, ადგილობრივი რეწვის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და ა.შ.

1979 წლიდან ტარდება ხალხური დღესასწაული „ტბელობა“ და 2007 წლიდან „დიდაჭარობა“, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება 12 მაისს ქრისტეს მოწაფის-ანდრია პირველწოდებულის ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში შემოსვლასთან დაკავშირებით.

ზემო აჭარის მმართველის, სამშობლოსათვის თავდადებული სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნის საპატივცემულოდ, ყოველწლიურად, 3 ივნისს ტარდება დღესასწაული „სელიმობა“ ხულოს რაიონის სოფელ ბაკი-ბაკოში. 1983 წლიდან იმართება „დედის დღე“, ასევე სახალხო დღესასწაულად იქცა „ჩაობა“, რომელიც სოფელ ჩაოში ტარდება.

ხულოს რაიონის კულტურული ცხოვრების აღმავლობაში თავიანთი წვლილი მიუძღვით იმ ადამიანებს – ირაკლი აბაშიძეს, იოსებ ნონეშვილს, გრიგოლ აბაშიძეს, მორის ფოცხიშვილს, რეზო ამაშუკელს, უჩა ჯაფარიძესა და სხვებს, რომლებიც სხვადასხვა დროს სტუმრობით არა მარტო აცნობდნენ საკუთარ შემოქმედებას, არამედ სტიმულს აძლევდნენ ახალგაზრდა ნიჭიერ ადგილობრივ ახალგაზრდობასაც.

ამრიგად, ხულოს რაიონი ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს შავიზღვისპირეთის დამაკავშირებელ რგოლს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოსთან, რომელმაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის ფორმირებაში. ხულოს რაიონში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა კულტურული წრეების შეღწევასა და განვითარებას, რაც კარგად აისახა ხულოს რაიონის დაწინაურებაში. რაიონის კულტურული დაწინაურების პერსპექტივა, რომელიც ოსმალთა ხანაში შეჩერებულ იქნა, მე-19 საუკუნეში ქართველ მოღვაწეთა უდიდესი ძალისხმევის შედეგად კვლავ აღორძინდა, რასაც შემდგომი განვითარება მოჰყვა მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან. ეს პერიოდი აღინიშნება წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციით, სასწავლო ქსელის გაფართოებით, კულტურული ქსელების დაარსებითა და ა.შ.

თანამედროვე ეტაპზე რაიონის განათლებისა და კულტურის განვითარების საფუძველს წარმოადგენს მრავალი სკოლა, სასწავლო უნივერსიტეტი, სკოლამდელი დაწესებულებები, თეატრი, ბიბლიოთეკათა ქსელი, რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს საპატრიარქოს სხალთის ეპარქიის გროგოლ ხანძთელის სახელობის განათლების ცენტრი და ხულოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები.

Naila Chelebadze

Culture and education in Khulo

Resume

Khulo had been the only district of Upper Ajara till 1952, which was later separated by Shuakhevi. The cultural historical trace is checked according to archaeological, wriiten art and folklore ethnographical and dialectological materials. The historical development of the place is connected to Christianity; the time when the

crist's pupils spreaded the clemency over the whole Georgia. The Abuseridzis played a great role in the cultural life of Georgia. It is due to mention the name of famous Abuseridze Tbeli. The university in upper Ajara is named after Abuseridze Tbeli.

In the period of Ottomans cultural and educational advances in Khulo had been destroyed. Though the population kept Georgian language and written "Dedabruli" calligraphy. Since the second half of the XIX century, after returning Ajara to the homeland, Georgian s started to open Georgian schools. In 1940 the process of literacy of reading and writing ended.

In the 20ies of the XX century establishment of the libraries and clubs, museums theatres started.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი, I ტ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ნ. გოგუაძემ, მ ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ. ბათუმი, 1998.
2. ასს ცსა,-,აჭარის სახელმწიფო არქივი; პ-1; ან.-3; ს.-54.
3. ასს ცსა,-აჭარის სახელმწიფო არქივი, პ-2; ან.1; ს.840.
4. ასს ცსა,-აჭარის სახელმწიფო არქივი, რ-4; ან.-1; ს.-289.
5. ასს ცსა,-აჭარის სახელმწიფო არქივი; ფ. p-5; ან.-1; ს.-32;264.
6. ახალაძე, 2012-ნანა ახალაძე. არ დაეკარგვის ამაგი. ბათუმი.
7. ახალაძე, 2014-ნანა ახალაძე. არ დაეკარგვის ამაგი. ბათუმი.
8. ბაბილოძე, 1958-გრიგოლ ბაბილოძე. სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957 წწ.). ბათუმი.
9. ბაბილოძე, 1972-გრიგოლ ბაბილოძე. აჭარის სახალხო განათლებისა და საზო-გადო მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი. ბათუმი.
10. ბაბილოძე, 1975-გრიგოლ ბაბილოძე. ნარკვევები განთლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში. ბათუმი.
11. ბასილაძე, 2015-ნოდარ ბასილაძე. ერისა და ქვეყნის მსახურნი. ბათუმი.
12. ბაქრაძე, 1987-დიმიტრი ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში. ბათუმი.
13. ბოლქვაძე, 1998-ენვერ ბოლქვაძე. ბოლქვაძეების (ყადიოღლების) გვარის გენეალოგია. ბათუმი.
14. დროება, 1878, #126.-გაზ. „დროება".
15. დოლიძე, 1984-სიკო დოლიძე. მოგონებები. თბილისი.
16. დუმბაძე, დუმბაძე, ბოლქვაძე, 2016-სერგო დუმბაძე, ნიკოლოზ დუმბაძე, შოთა ბოლქვაძე. ასწლოვანი სკოლა აბუსერისძეთა ნაკვალევზე. ბათუმი.

17. კახიძე, მამულაძე,1993 – ამირან კახიძე, შოთა მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი.

18. კომახიძე, 2010,- თეიმურაზ კომახიძე. წ. I. აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი. ბათუმი.

19. კომახიძე, 2011,- თეიმურაზ კომახიძე. წ. II. აჭარის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ბათუმი.

20. კომახიძე, 2006. II. -თეიმურაზ კომახიძე. ხულოს რაიონი. ბათუმი.

21. მაკარაძე, 2003-ვაჟა მაკარაძე. მაღალ მთაზე ტაძარივით დადგმულო. ბათუმი.

22. მაკარაძე, 2006-ვახტანგ მაკარაძე, გამონათლევის გამონათება. ბათუმი.

23. მახარაძე, 2016-მიხეილ მახარაძე. ფაჩხის სკოლა. ბათუმი.

24. სდს, 2007,-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, ტ. I, ბათუმი.

25. სდს, 2009,-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, ტ. II, ბათუმი.

26. სდს, 2008,- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, ტ. III, ბათუმი.

27. სდს, 2012,-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, ტ. IV, ბათუმი.

28. სახოკია, 1985-თედო სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი.

29. სიხარულიძე, 1963- იური სიხარულიძე. აბუსერიძე ტბელი. თბილისი.

30. ყაზბეგი, 1960-გიორგი ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი.

31. შარაშიძე, ქათამაძე, 2002-ნოდარ შარაშიძე, დემურ ქათამაძე. ჭვანის ხეობა XX საუკუნეში. ბათუმი.

32. ჩელებაძე, 2009-ნაილა ჩელებაძე. მამა ბესარიონ დოლიძე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა". თბილისი.

33. ცივაძე, 1970-ეთერ ცივაძე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში. ბათუმი.

34. ჭიჭინაძე, 2004-ზაქარია ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება სამხრეთ-დასავ-ლეთ კავკასიაში (ზეპირი გადმოცემების მიხედვით). თბილისი.

35. წულაძე, 1991-აპოლონ წულაძე. ძმური სიტყვა. ბათუმი.

36. წულუკიძე, 2002-ვახტანგ წულუკიძე. განათლების ისტორიისათვის აჭარაში. ბათუმი.

37. ხალვაში, 2006-იოსებ ხალვაში. სკოლა ხიხანის ძირში. ბათუმი.

38. ხალვაში, 2003-რამაზ ხალვაში. ტბელ აბუსერისძის გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი. თბილისი.

39. ხოზრევანიძე, 1959- დიმიტრი ხოზრევანიძე. სკოლა მთაში. ბათუმი.



წმ. აბუსერისძე ტბელი

სელიმ ხიმშიაშვილი

შერიფ ხიმშიაშვილი

ქართველი მსახიობების სტუმრობა ხულოში

ხულოს თეატრის უხუცესი მსახიობის - ნაზი ქარცივაძის იუბილე

სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

ანსამბლი „ბერმუხა"



ანსამბლი „არსიანი“

მხატვარი სიმონ ართმელაძე

სიმონ ართმელაძის ნახატი „შუამთობა"

სიმონ ართმელაძის ნახატი „სოფელი"



შალვა ქიქოძე - „აჭარელი ქალები“

შალვა ქიქოძე -
„მემთევრე აჭარელი ქალი“

ლიტერატურული კონკურსი ზემო აჭარაში

თამილა ლომთათიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
ისტორიის დოქტორი

ხულოს მუნიციპალიტეტის მუსიკალური და საცეკვაო ფოლკლორი

ხულოს მოსახლეობამ კარგად შემოინახა უძველესი კულტურის მქონე ქართველი ხალხის ხალხური შემოქმედება, მუსიკალური და საცეკვაო ფოლკლორი. აქ გავრცელებულია თითქმის ყველა ჟანრის სიმღერა: შრომის, საწესჩვეულებო-მაგიური (კალენდარული, სადღეობო, საწესო), საოჯახო-საყოფაცხოვრებო (საძეობო, სააკვნო, საქორწილო, სამგლოვიარო) და სხვ. თუმცა ცალკეული ციკლები მეტ-ნაკლები სიუხვით ხასიათდება. ასევე მრავალფეროვანი და თავისებურია ხულოელთა ქორეოგრაფიული მემკვიდრეობა

ხულოში გავრცელებულ ხალხურ სიმღერათა შესრულების წესსა და ხმების სახელებზე ცნობებს სოფ.ხიხაძირის მაგალითზე გვაწვდის ივ.ჯავახიშვილი. მისი განმარტებით აქ სიმღერას ასრულებდა ოთხი-ექვსი-რვა კაცი. ეს რაოდენობა კარგია, რომ ხმა ხმაზე კარგად მიეწყოს (ჯავახიშვილი, 1938:72).

ხულოში გავრცელებული სიმღერები სამხმიანია. აქ შემონახულია ხმების აღმნიშვნელი ტერმინები, მათი დანიშნულების გამომხატველი სახელები: დაწყებითი//მთქმელი//მელექსე, გამყივანე//მომძახნელი და ბანის მთქმელი. ხმის სახელებში შემონახულია დაწვრილებითი კლასიფიკაცია: პირველი მელექსე, მაღალი მელექსე, დაბალი მელექსე; მაღალი ბანი, დაბალი ბანი, რაც იმით აიხსნება, რომ აქაურთა მუსიკალური ფოლკლორი ძალზე ძველი და დახვეწილია (ჯავახიშვილი, 1938:25).

ხულოში გავრცელებულ მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშთა ნაწილი უმარტივესი აგებულების სიმღერაა, მაგალითად, „მასპინძლური". იგი ორხმიანია და მელექსე და მებანე ასრულებენ. გავრცელებულია სამხმიანი სიმღერებიც: „მაყრული" და „ხასანბეგურა", რომლებსაც მელექსე, მომყივანი და ბანი ასრულებენ.

ხულოში გვხვდება ორგუნდოვანი სიმღერებიც, რომლებსაც ორი გუნდი მონაცვლეობით ასრულებს და ერთმანეთს შეენაცვლებიან ხოლმე სიმღერაში. ამას აჭარაში გადაბმულ სიმღერას ეძახიან. მაგალითად, ნადურებზე იტყვიან სიმღერა გადაბმულიაო.

ხულოს რაიონში შემონახულია შრომითი საქმიანობისა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა-ხელოსნობა) და ცხოვრების ყველა სფეროს (ქორწინება, ძეობა, საოჯახო ყოფა, გარდაცვალება) ამსახველი მდიდარი ლექს-სიმღერები.

ხულოს მუნიციპალიტეტის მუსიკალურ ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამიწათმოქმედო შრომის ლექს-სიმღერებს, რომლებიც ადამიანის მეურნეობრივი საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს. მათში ასახვას პოულობს მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, მონადირეობა, ხის დამუშავება და სხვა საქმიანობა. შრომის სიმღერები საქართველოში ყველა კუთხეშია გავრცელებული, მაგრამ შრომის პირობების განსხვავებულობის გამო ისინი ყველა კუთხეში თავისებურებებით ხასიათდება.

ხულოს რაიონის მუსიკალურ ფოლკლორში კარგადაა შემონახული მთელი რიგი სიმღერები, რომლებიც უშუალოდ კოლექტიური შრომის პროცესს – ნადს უკავშირდება და ნადურების სახელითაა ცნობილი. ნადი წარმოშვა კოლექტიური შრომის მოთხოვნილებამ და საჭიროებამ. კოლექტიური შრომის ეს ფორმა საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში იყო ცნობილი. ნადს საზეიმო ელფერი ჰქონდა. ნადის შრომას თან ახლდა მომუშავეთა გამამხნევებელი და წამახალისებელი ნადური ლექს-სიმღერები. ნადს თავისი საკუთარი სასიმღერო რეპერტუარი, სანახაობანი და ორგანიზაციული წყობა გააჩნდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნადში სიმღერას, რომელიც მასის მაორგანიზებელ ძალას, მომუშავეთა გამხნევებისა და წახალისების საშუალებას წარმოადგენდა (ჯანელიძე, 1948:5).

ნადური სიმღერები სხვადასხვაგვარი იყო: საწესჩვეულებო, საგმირო, საყოფაცხოვრებო და სტრფიალო. ნადურში შედის არქაული ლექსიკისა და მელოდიის შემცველი ტექსტები (ოქროშიძე, 1963:73).

რადგანაც ნადის მოწვევა ხდებოდა არა მხოლოდ სიმინდის თესვა-მოყვანისა და მოსავლის აღების დროს, არამედ თიბვის, მკის, შეშის დამზადების, ახოს გაღების, სახლის მშენებლობის და სხვ. სამუშაოების დროს, ხოლო ნადური აღნიშნავს ნადის მიერ ნამღერ თითქმის ყველა სიმღერას. ა.მსხალაძეს მიზანშეწონილად მიაჩნდა რომ, სიმინდის სამუშაოებთან დაკავშირებულ ნადურებს უნდა ეწოდოს ყანური. ხულოური ნადური ანუ ყანური სიმღერები, ქობულეთური ოთხხმიანი ნადურებისაგან განსხვავებით, ორ ან სამხმიანია.

ხულოს რაიონში ყანები უმთავრესად თოხით მუშავდებოდა და ამიტომ აქ, ძირითადად, ნადურ-თოხნურ სიმღერებს ვხვდებით, რადგან თოხნითი მიწათმოქმედება გუთნურისაგან განსხვავებით კოლექტიურ შრომას მოითხოვდა. ასეთი სიმღერები, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში (გურია, აჭარა,

იმერეთი, სამეგრელო) ყოფილა გავრცელებული. ნადური სიმღერები მეტად მრავალფეროვანია და ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება. ამიტომაც განსხვავებას ვხვდებით არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელ ნადურებში, არამედ თვით აჭარის სხვადასხვა კუთხეში შესრულებულ შრომის ლექს-სიმღერებს შორის. ქობულეთური ნადურებისაგან განსხვავებით, რომლებიც მრავალფეროვნებითა და ოთხხმიანობით ხასიათდება, ხულოს რაიონის ნადურები, ძირითადად, სამხმიანია. მასში მონაწილეობს დამწყები, გამყივანი და ბანი. აქ არ არის შემხმობარი ანუ მეოთხე ხმა. ქობულეთურისაგან განსხვავებით, ხულოური ნადურები უსიტყვოა და იშვიათად გამოურევენ მასში ლექსს, რომელიც სატრფიალო ხასიათს ატარებს. იშვიათად ვხვდებით საყოფაცხოვრებო ლექსებსაც. სიმღერის სტრუქტურა, მუსიკალური წყობა, შეძახილების მრავალრიცხოვნება აფიქრებინებს მკვლევარებს, რომ აქ ლექსს შედარებით გვიან უნდა ეჩინა თავი ნადურებში (ნოღაიდელი, ჩხეიძე, 1960:81).

შედარებით მრავალრიცხოვანია სიმინდის სამუშაოებთან დაკავშირებული ნადური სიმღერები, რომლებიც ადრე, სიმინდის კულტურის გავრცელებამდე, სხვა კულტურების (ღომი, პური) მოყვანასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და მხოლოდ მოგვიანებით დაუკავშირდა სიმინდის მოყვანას.

აღსანიშნავია, რომ ყანის თოხნისა და მოსავლის აღებისას ნადში სხვადასხვაგვარი ნადური და ელესა სრულდება. ასეთ ნადურთაგან ხულოში გავრცელებული იყო „დიელო", „რაშა" და სხვ. ნადის დროს შესრულებულ სიმღერებს შორის ყურადღებას იქცევს ხელხვავი. ტექსტის მონაცემებისა და მუსიკალური სპეციფიკის თანახმად დ.არაყიშვილს ხელხვავი მიაჩნია წარმართული ხანის უძველეს სიმღერად (არაყიშვილი, 1927:147).

ამავე დროს, ნადურებში დიდი რაოდენობითაა შენარჩუნებული თეატრალური ელემენტები, რადგან ხალხურ-თეატრალურ ქმედებათა ყველაზე ადრინდელ საწყისებს სწორედ შრომის პროცესისადმი მიძღვნილი საკულტო სიმღერების, ცეკვების თამაშობების ერთობლიობა შეიცავდა. ეს ცერემონიალები წარმოადგენდნენ შრომითი პროცესების სიმბოლოებს და შენარჩუნებული ჰქონდათ რიტუალური წარმართული წესების ცალკეული მომენტები (ჭელიძე, 1987:16). ამის დასტურია ხულოს რაიონში გავრცელებული სპეციალური რიტუალი: სამუშაოების დამთავრების შემდეგ, თოხის ტარს რამდენიმე კაცი თავსა და ბოლოში მოკიდებდა ხელს, ზედ მასპინძელს შესვამდა და სახლში მიყავდათ შეძახილებით: „ყანის პატრონო, ყანამ გიკეთოსო!". გზაზე მგზავრულს მღეროდნენ. მასპინძლის სახლში მონადეებს ვახშამი ელოდათ, რაც ხშირად

ცეკვა-სიმღერითა და გართობა-თამაშებით მთავრდებოდა (ნოღაიდელი, ჩხეიძე, 1960:83).

ნადს იწვევდნენ არა მხოლოდ სიმინდის თესვისა და მარგვლის, არამედ გარჩევის დროსაც. ნადის მოწვევა სიმინდის გარჩევისას უმეტესად ღამით ხდებოდა. ეს სიმღერა ხარმანობის დროს სრულდებოდა. ხარმანი ერთად დაყრილ მოქუჩებულ სიმინდის გროვას ჰქვია და მის გასარჩევად მოწვეული ნადის სიმღერებს ზოგჯერ „ხარმანის რჩევის სიმღერასაც" უწოდებენ. ამ სიმღერას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ აჭარის სხვადასხვა რაიონში. ქობულეთში მას „კალოს ხელხვავი" ჰქვია, ქედის რაიონში – „ჩათხრობილი", მაჭახლის ხეობაში – „იო", „იავო", „ხელთახვავი", ხოლო აჭარისწყლის ხეობში იგი საკუთრივ „ხელხვავის" სახელწოდებითაა ცნობილი (მსხალაძე, 1962:48).

ხულოს რაიონში ფართოდ იყო გავრცელებული ქალთა ნადურები, განსაკუთრებით საფეიქრო ხასითისა. მათგან აღსანიშნავია „ხერტლის ნადის სიმღერა". სიმღერის სახელწოდება მომდინარეობს ხერტალიდან (თითისტარი), რაც მატყლის მრთველ ქალთა უმთავრესი სამუშაო იარაღია. ხერტლის ნადიც მატყლის მრთველ ქალთა სიმღერაა, რასაც მატყლის რთვისათვის ნადში მოწვეული ქალები ასრულებდნენ. ქალების ნადი, ძირითადად, ღამით იმართებოდა, ვახშმობის შემდეგ. ქალები არამარტო შრომაში, არამედ სიმღერასა და ცეკვა – თამაშშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ეს მელოდიური და ზომიერი ტემპის სიმღერა აფხიზლებდა მონადეებს და მთელი ღამის განმავლობაში ინარჩუნებდა შრომის რიტმს. სიმღერის ტექსტუალური მხარე უპირატესად სატრფიალო ხასიათისაა. „ხერტლის ნადის" ყველაზე ფართოდ გავრცელებული ვარიანტია:

„ხერტალმა ხელი დამგალა,
ხერტალგასატეხელმაო.
ბიძაჩემმა არ გამათხუა,
კისერმოსატეხელმაო".

ამ სიმღერის ტექსტმა შემოგვინახა აჭარაში გავრცელებული უძველესი ჩვეულება, რაც ქალის გათხოვების საქმეში ბიძის სიტყვის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე მეტყველებს. ეს წესი მიუთითებს, რომ მატრიარქატის პირობებში ბიძადისწულის ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მამა-შვილისა, რაც დედის ხაზით ნათესაობის უპირატესობის აღიარებაზეა დაფუძნებული. ამდენად, ხერტლის ნადში მატრიარქატის კვალია შემონახული (მსხალაძე, 1962:47).

სატრფიალო ლექსები ჭარბობს მიწის სამუშაოების დროს მოწვეულ ქალების ნადში. აქ ხშირია გაშაირება და იუმორისტული ხასიათის სიმღერები. ქალთა ნადი განსაკუთრებით ხშირია მკის დროს. როგორც ცნობილია, პურეუ-

ლი კულტურების მოყვანა ზემო აჭარაში ადრე ფართოდ გავრცელებული სამეურნეო საქმიანობა იყო. ბუნებრივია, მრავალრიცხოვანი იყო სამკალი ლექს-სიმღერებიც. მკაში, ტრადიციულად, მამაკაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ, ხოლო მუსლიმანობის გავრცელების შემდეგ მკა თითქმის მთლიანად ქალთა საქმიანობად გადაიქცა. სამკალი სიმღერები, ძირითადად, შესვენების დროს სრულდებოდა გასათხოვარ ქალთა მიერ, რადგან გათხოვილ ქალთა ცეკვა-სიმღერა სამკალის დროს აკრძალული იყო. მკაში შესვენებისას შესრულებული სიმღერები, ძირითადად, ასახავდა შრომის პროცესს ან სატრფიალო ხასიათის იყო. შესვენების დროს ქალიშვილები "განდაგანას" მოტივზე ასრულებდნენ ცეკვასაც, რომელსაც „ტიტლი-ტიტლი" ეწოდება.

ხულოს რაიონის სამეურნეო ყოფაში დიდი ადგილი ეკავა მესაქონლეობასა და მასთან დაკავშირებულ თიბვას. მიუხედავად ამისა, აქ არაა შემონახული თიბვის სიმღერები, რასაც იმით ხსნიან, რომ თიბვა მეტად მძიმე პროცესია, სათიბებში მომუშავეები გაფანტული არიან და მის დროს სიმღერა შეუძლებელია. თუმცა, სოფელ ღორჯომის მკვიდრთ ახსოვთ, რომ თიბვის დროს სრულდებოდა ქართული სიმღერები, მაგრამ არ ახსოვთ რომელი (ნოღაიდელი, ჩხეიძე, 1960:85).

ხულოს რაიონში შემონახულია ნადურის დროს საკრავიერი ინსტრუმენტების გამოყენების ჩვეულება. გადმოცემით, თუ ერთსა და იმავე დროს ორ ოჯახში იყო მოწვეული ნადი, ერთში მომღერლებს მიიწვევდნენ, ხოლო მეორეში კი დამკვრელებს. შრომის პროცესში საკრავიერი მუსიკის გამოყენების ჩვეულება უძველესია და მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაშია შემონახული. აჭარისწყლის ხეობში ნადის დროს ძირითადად ჭიბონი (გუდასტვირი) გამოიყენებოდა. ჭიბონი მთელი დღის განმავლობში შრომის ტემპის შესანარჩუნებლად რიტმულ ჰანგებს უკრავდა. ჭიბონს უკრავდნენ სადილობის შესვენების დროსაც, მიძინებულ მონადეთა გამოსაფხიზლებლად.

ხულოს მუსიკალურმა ფოლკლორმა შემოგვინახა საოჯახო ყოფასა და ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მომენტთან დაკავშირებული სხვა მუსიკალური ფოლკლორული ნიმუშები. აქ შემონახულია საქორწილო, საძეობო-სააკვნო, სანადიმო-სუფრული, სამგლოვიარო და სხვა ლექს-სიმღერები.

საქორწილო ლექს-სიმღერები დაკავშირებულია ქორწინების ძირითად მომენტებთან და რამდენიმე ციკლისაგან შედგება. ესაა საპატარძლოსთან გამომშვიდობება, სუფრული, მაყრული, მაყართან გამომშვიდობება, პატარძლის სამყოფ ოთახში შეყვანა. ყველა მომენტს უკავშირდება მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორის ნიმუშები.

მამისეული ოჯახიდან საპატარძლოს წაყვანისას იმართებოდა საპატარძ-ლოსთან გამოსამშვიდობებელი სიმღერა-ფერხულები, რომლებიც ქალების ოთახში საპატარძლოს შინაური ქალებისა და თანატოლების მიერ სრულდე-ბოდა. ფერხულის დროს პირბადეჩამოფარებული საპატარძლო წრეში ჰყავდათ ჩაყენებული და მის გარშემო წრეს უვლიან სიმღერით, რომელიც საპატარძლოსა და გუნდის დიალოგზეა აგებული:

„- მაი აბრეშუმის საკაბე ვინ მოგიტანაო?
- ჩემმა აღამ, საყვარელმა, მან მომიტანაო.
- მაი საყურე გკიდია, ვინ მოგიტანაო?
- ჩემმა ჯანამ, საყვარელმა, მან მომიტანაო.
- ხელზე საათი გაბია, ვინ მოგიტანაო?
- ჩემმა აღამ, საყვარელმა, მან მომიტანაო” და ა.შ.

პატარძალთან გამოსამშვიდობებელი ლექს-სიმღერები ადრე ძალზე ფარ-თოდ ყოფილა გავრცელებული მთელ ხულოში, მაგრამ მოგვიანებით, ძირი-თადად, მეჭიბონეების რეპერტუარში დარჩა და ტექსტების გარეშე სრულდება. ხასიათით ეს სიმღერები მინორულია და ტირილის ინტონაციებს შეიცავს (მსხა-ლაძე, 1962:61).

საქორწინო სიმღერების ციკლში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მაყ-რულებს. მ.ჩიქოვანის მოსაზრებით მაყრული დედოფლის სახლიდან წაყვანისა და სიძის ოჯახში მიყვანისას სრულდებოდა (ჩიქოვანი, 1956:274-275). მსგავსი ჩვეულება ხულოშიც დასტურდება. აქაც ქალის ოჯახიდან წაყვანისა და ვაჟის ოჯახში მიყვანის დროს სრულდებოდა მაყრული სიმღერები (ჯავახიშვილი, 1938:81; ნოღაიდელი, 1971:18; მსხალაძე, 1962:65).

ხულოელი ქიბარ კახაძის გადმოცემით: „მაყრები ეზოში მისლამდი სიმღე-რას ჩივიან:

„დედოფალი მოჰყავანო,
საჩუქარი რა ჰყავანო,
მუნიანი რა ჰყავანო.”
ამას ბიჭის მაყრები ებნევიან. ახლა გოგოს მაყრები ჩივიან:
“ჩვენი ნეფის მაყრებიო,
ფეხტატაშაი ბლაყვებიო” (ნოღაიდელი, 1971:51)

მახარობლის მოსვლის შემდეგ ვაჟის ოჯახიდან ბავშვები და ახალგაზრდები მაშხალებით დაიძრებოდნენ მექორწილეთა შესახვედრად. ეზოსთან მომდგარი მაყრები მეორედ მღეროდნენ „ორირას“:

„მოვალთ და მოგვიხარია,
მოგვყავს ლამაზი ქალია,

მასპინძელო რას უყურეფ,
გაგვინათე სანთელია
ქალიც მოგვყავს ნათელია“ და სხვ. (ბექაია,1974:64-65).

აჭარაში ხეობების მიხედვით მაყრულს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: „მაყრული”, „დოდოფლის სიმღერა”, „ვორირამა”, „დიდი ვორირამა”, „ორირამა”, „ვორირა” და სხვ. ხულოში გავრცელებული მაყრული ორპირი სიმღერაა – ორხმიანია და მას ორი ხმა – მთქმელი ანუ ყივანი („ყივილი”) და ბანები („მობანე”) ასრულებენ. აქაურ მაყრულებში, ძირითადად, ათი-თორმეტი კაცი მონაწილეობდა (ნოღაიდელი, 1971:51). ხულოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ხეობაში, მცირე განსხვავების მიუხედავად, მაყრულის შესრულების ერთი ზოგადი წესი არსებობდა: აუცილებელი იყო, მაყრულის თქმისას, საპატარძლოსა და სასიძოს მაყრებს შორის დაპირისპირება და შეჯიბრი. აქედან გამომდინარე, სიტყვიერი ტექსტების თემაც სასიძო-საპატარძლოს ქება, ქალისა და ვაჟის მაყრების ქიშპობა, სადედამთილოსა და სხვა დამხვდურთა დახასიათება იყო. ხულოში გავრცელებული ყოფილა მთელ საქართველოში კარგად ცნობილი მაყრულები: „ქალი მოგვყავს ნათელიო”, „ადე, თამარ დედოფალო”, „მოვდივართ, მოგვიხარია” და სხვ. ღორჯომის ხეობაში ვაჟის სახლში დედოფლის შეყვანისას სრულდებოდა სპეციალური სიმღერა „გელინო“:

„გელინო, გელინო, აბრძანდი ზეზე, აბრძანდი გელინო,
გელინო, გელინო, ნელა-ნელა წამობრძანდი, გელინო,
გელინო, გელინო, კარითავი მაღალია, გელინო,
გელინო, გელინო, დედამთილი დედასავეთ, გელინო,
გელინო, გელინო, მამამთილი მამასავეთ, გელინო,
გელინო, გელინო, მაზლი არის ძმასავითო, გელინო,
გელინო, გელინო, მული არის დასავითო, გელინო“
(აჭარის ხალხური პოეზია, 1969:107)

სიმღერები სრულდებოდა დედოფლის სანთიობოში შეყვანის დროსაც:

„დედოფალო კარგო,
თეთრი პირი გაქო,
თეთრი პირი ქმარს უჩვენე,
ზანთი სახლ და კარსო“ (ბექაია,1974:69)

საქორწინო ციკლის ლექს-სიმღერებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სუფრულ სიმღერებს. ზემოაჭარული სუფრული ორხმიანია. პოეტური ტექსტები ცოტაა. მათში ძირითადი ყურადღება სუფრის სიუხვეზეა გადატანილი, ხშირად ესაა ერთგვარი „შელაპარიკება” (რეჩიტატივი) და სხვადასხვა საგნების თუ პროდუქტების მოთხოვნას შეიცავს.

სპეციალური სიმღერა სრულდებოდა „რუსუმის“ შესრულებისასაც. „რუსუმი“ პატარძლის მაყრიონის მიერ სხავადასხა კერძების მოთხოვნის წესია. ეს მოთხოვნა სიმღერით სრულდებოდა:

„ევრი მასპინძელასაო,
სულო და გულო,
ჰეი და ბიჭო,
აბა, ერთი ათი ქათამი,
ორი ფუთი ვაშლი და მსხალი“...(ბექაია,1974:67)

ზემოაჭარული მაყრული და სუფრული სიმღერები ორხმიანია. პროფ. გ.ჩხიკვაძის აზრით, ორხმიან ქართულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს, რადგან, საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული ანალოგიური სიმღერებისაგან განსხვავებით, ზედა ხმის რეჩიტატიული ხასიათითა და ბანის აქტიური მოძრაობით ხასიათდებიან (Чхиквадзе, 1936:63). აჭარის მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარის ა.მსხალაძის აზრით კი ზემოაჭარული სუფრულების „შელაპარიკება” – რეჩიტატიული ნაწილი – შესაძლოა თავდაპირველად შუალა ხმა იყო და ეს სიმღერები ადრე სამხმიანი იყო, მაგრამ ზემო აჭარაში, სხვადასხვა მიზეზების გამო, თანდათან ჩამოყალიბდა ამ სიმღერათა ორხმად შესრულების ტრადიცია. ამდენად, ეს სიმღერები ქართული ორხმიანობის არქაულ ნიმუშებად არ გამოდგება (მსხალაძე, 1962:87).

დიდი ადგილი ხულოს ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორში უჭირავს საძეობო-აკვნის სიმღერებს. ძეობის ჩვეულებას უძველესი ისტორია აქვს და, ბუნებრივია, მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერებიც მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთ უძველეს ფენას ქმნის. ტიპიური ნიმუშია საძეობო-საფერხულო სიმღერა „მზე შინა”.

ძეობა აჭარული საოჯახო ყოფის მნიშვნელოვანი ტრადიციაა. ბავშვის შეძენა დიდი სიხარულის მომტანი იყო ოჯახისათვის, განსაკუთრებით ვაჟის შეძენა, რადგან ვაჟი გვარის გამგრძელებლად – „სახლის დირეღად” ითვლებოდა (ნოღაიდელი, 1971:32).

აჭარაში არსებობდა ძეობის//ძიობის გადახდის ჩვეულება, რასაც „აკვნის მიტანასაც” ეძახდნენ. აკვანი ქალის ოჯახს უნდა მიეტანა მელოგინესთან. აკვნის მიტანაზე ქალის ოჯახი ახლობლებს, უმეტესად ქალებს პატიჟებდა, რომლებსაც მელოგინესა და ბავშვისათვის საჩუქრები მიჰქონდა. ხოლო მამაკაცის ოჯახი ამ დროს მართავდა დიდ წვეულებას, რომლისთვისაც მზადდებოდა სპეციალური სუფრა მრავალგვარი კერძებით. ვაჟიანობის დროს მზადდებოდა ფლავი, ხოლო ქალიშვილის შეძენისას – სპეციალური „გოგოს ფაფა”. წვეულების საპატიო

სტუმრები იყვნენ სახალხო მუსიკოსები, უპირატესად მეჭიბონეები. იმართებოდა ლხინი და შექცევა (მსხალაძე, 1962:29).

ძეობის აუცილებელი ელემენტი იყო ცეკვა-სიმღერა. ხულოში ძეობის რიტუალურ მხარეში, ძირითადად, ქალები მონაწილეობდნენ. მონაწილეობის მიღება შეეძლო, აგრეთვე, მელოგინე ქალის ბიძას ან ძმას. „ძიობა" ზეიმის ხასიათს ატარებდა (ჩელებაძე, 2005:45). ძეობაზე ქალებმა იცოდნენ ცეკვა „ფათიკო" და „ნაი-ნაი, ნინაინა". „ფათიკოს" ორი ქალი იცეკვებდა წყვილ-წყვილად. „ნაი-ნაი, ნინაინას" ქალების ხორუმსაც ეძახდნენ (მსხალაძე, 1962:29).

„ნაი, ნაი, ნინაინა" საძეობო საფერხულო სიმღერაა. მისი მელოდია მარტივია, ერთხმიანი. ფერხული წრიულია, მონაწილეთა რაოდენობა განუსაზღვრელი. ქალები ხელს ჩასჭიდებენ ერთმანეთს და მარცხნივ მოძრაობენ. ასეთივე საძეობო ფერხულს მამაკაცებიც ასრულებენ, მაგრამ მათი ფერხული ბოლოში ჩქარდება და შედარებით რთულ ილეთებსაც მიმართავენ.

საძეობო ფერხულის პოეტური ტექსტები ძალზე ღარიბია. მეორდება სიმღერის ერთი ფრაზა: „ნაინაი, ნინაინა" და „ნანი დანა, ნინანაო". მიჩნეულია, რომ საძეობო ფერხულის „ნაი-ნაი, ნიანინა"-ს დასაწყის სიტყვაში "ნანა" – ქართველთა უძველესი ქალღმერთი, ნაყოფიერების, შვილიერებისა და მზის ქალღვთაება, დიდი დედა ნანა იგულისხმება (მსხალაძე, 1962:43).

ხულოს რაიონის მუსიკალურმა ფოლკლორმა შემოგვინახა ხალხური დრამის ელემენტები, საწესო ლექს-სიმღერები, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს, შეხედულებებს გარესამყაროზე, უკავშირდებიან სხვადასხვა უძველეს ღვთაებებს და ინახავენ რიტუალების სიმბოლურ მნიშვნელობას. ასეთი ხალხური დრამის ნიმუშებიდან აღსანიშნავია საწესო ფერხული „ოჰოი, ნანო", რომელიც ნაყოფიერების ღვთაების კულტთან დაკავშირებული რიტუალის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს" (ინაიშვილი, ნოღაიდელი, ჩხიკვაძე, 1961:5). ა.მსხალაძე, სავსებით კანონზომიერად, მას მიიჩნევს სვანური "მელიაი ტულეფიაის" აჭარულ ნაირსახეობად (მსხალაძე, 1962:93).

„ოჰოი, ნანო" ფერხულის სახით შესრულებული სახუმარო ცეკვაა. მას ამ ეტაპზე დაკარგული აქვს თავისი თავდაპირველი ფუნქციონალური დანიშნულება და ქორწილსა და ნადში უკვე დაღლილი ხალხის მოსაფხიზლებლად და გასამხიარულებლად სრულდება (ახვლედიანი, 1970:14). მაგრამ მისი ჩაღრმავებული კვლევა საშუალებას იძლევა იგი მივიჩნიოთ უძველესი წარმოშობის ფერხულად. უძველესი სახეობის ფერხულებად მიჩნეულია ერთპირი ფერხული, რომელსაც ჰყავს თავისი მომძახელი ე.ი. ჰანგისა და სიტყვების მთქმელი და მისი „შემბანელი" და შემხმობელი მთელი საფერხულო მწყობრის სახით (ჯანელიძე, 1948). სწორედ ეს საფერხულო წყობაა დამახასიათებელი „ოჰოი,

ნანოსათვის". ხიხაძირულ „ოჰოი, ნანო" მომძახელისა და გუნდის შესიტყვებით სრულდებოდა და სიმღერას თან ახლდა რიტუალი: მომძახელი შეძახილით „გავაღვიძოთ!" რიგრიგობით ურტყამს ჯოხს და „აღვიძებდა" მეფერხულეებს. „გაღვიძებული" მონაწილეები ჩააბამდნენ ფერხულს და მომძახელის გარშემო კრავდნენ წრეს. მომძახელსა და მეფერხულეებს შორის იმართებოდა დიალოგი, თან მომძახელი ჯოხს ურტყამდა მოფერხულეებს. მათი რიგი ჯერ მიჰყვებოდა წინამძღოლს, მელის კუდივით იგრიხება, მიუხვ-მოუხვევდა, წრეს კრავდა, შემდეგ წრე იშლებოდა და მომძახელი ჯოხით მიერეკებოდა მეფერხულეებს (მაკარაძე, 2002:304-305).

ამდენად, „ოჰოი ნანო" არის არა მხოლოდ სიმღერასთან შეწყობილი რიტმული მოძრაობა, არამედ გარკვეული მითოლოგიური სიუჟეტის განსახიერება. თავისი არსით, შესრულების წესებით, რიტუალური ატრიბუტიკით „ოჰოი, ნანო" სემანტიკურ ერთობას ავლენს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში საკმაოდ კარგად ცნობილ ისეთ რიტუალებთან, როგორიცაა „მელიაი ტულეფიაი", „ბერიკაობა-ყეენობა" და ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული სხვა წეს-ჩვეულებები. „მელია ტულეფია" ფალოსის კულტთან დაკავშირებული ქართული წარმართული მისტერიაა. აქაც რიტუალის მონაწილეები იყოფოდნენ ორ გუნდად. მეთაურს ჰქონდა ჯოხი, წკნელი, ხის ხმალი, რომლითაც ცემდა გუნდის წევრებს თავზე, ბეჭებზე, მკერდზე, მუცელზე, თეძოებზე, ფეხებზე. ზოგადად, ქართულ ეთნოგრაფიაში ჯოხები, ხის ხმლები, შამფურები, ჩხირები და სხვ. ითიფალურობის გამომხატველად ითვლებოდა. მიჩნეულია, რომ ამ ნივთებით ცემა და ჩხვლეტა უნდა იყოს სქესობრივი აქტის გამომხატველი და გამრავლებისათვის წარმოებული მაგიური მოქმედება (ჯავახიშვილი, 1951:64; რუხაძე, 1999:134). ასე, რომ ამ მსგავსი ელემენტებით აჭარული „ოჰოი, ნანო" ორგანულ კავშირს ავლენს ბუნების ძალთა აღორძინების უძველეს ხალხურ დღესასწაულებთან. „ოჰოი ნანო" თავისი სახუმარო, საკარნავალო ხასიათის მიუხედავად, რაც მან დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციის შედეგად მიიღო, უკავშირდება უძველეს რწმენა-წარმოდგენებს ნაყოფიერებისა და მისი მიღწევის მაგიურ-რიტუალური საშუალებების შესახებ.

ხულოს მუსიკალურ ფოლკლორში გამორჩეული ადგილი უჭირავს ხალხურ ცეკვებს. აჭარულ ცეკვებში გვაქვს საბრძოლო, სატრფიალო, სახასიათო, შრომისა და საერთოდ სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ცეკვები, რომლებიც ან საკრავების (დოლი, ჭიბონი და სხვ.) ან სიმღერის თანხლებით სრულდება. გვხვდება, აგრეთვე, უძველესი საწესჩვეულებო დანიშნულების ცეკვა-თამაშობანი. ხულოს მოსახლეობის ქორეოგრაფიულმა ტრადიციებმა ჯერ კიდევ 1933 წელს მიიპყრო აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრების ყუ-

რადღება. ექსპედიციის ჩანაწერებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხულოს მუსიკალურ ფოლკლორს. მიმოხილულია ჭიბონისა და სხვა საკრავების აკომპანემენტის თანხლებით შესრულებული ცეკვები: ყოლსამა, ქოჩეგური, თოფალოინი, ფერხული, სამა, შემოსარები, ჩამორებული, ბაღდადური, ქურთბარი და, განსაკუთრებით, „ხორუმი". მკვლევარებმა განასხვავეს აჭარლების, ხემშინებისა და ქურთების ხორუმი. გ.ჩიტაიას ცნობით, შუამთობის დროს ნაჩადრევ-ჩეგილის საძოვრების ზონაში მობინადრე ხემშილების ცეკვა იყო „ხორუმი", ქურთებისა – „ქურთბარი". მოცეკვავენი კრავდნენ ნახევარწრეს, რომელშიც დაფზე და ზურნაზე დამკვრელები იმყოფებოდნენ. აჭარლების „ხორუმი" კი იმით განსხვავდებოდა, რომ მოცეკვავენი მთლიან წრეს ქმნიდნენ შუაში, ასევე, დაფ-ზურნაზე დამკვრელებით. ლაზები კი ხემშილებთან ერთად ცეკვავდნენ. ტრადიციულად, „ხორუმს" მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ, თუმცა, ექსპედიციამ აჭარაში ქალთა ხორუმიც დააფიქსირა.

ინსტრუმენტთაგან ექსპედიციის მასალებში ფიგურირებს გუდასტვირი ანუ „გულის ჭიპონი", ჭიბონი, დავლი ანუ დოლი, საზი, ზურნა, ქემენჩა. დღესასწაულების მთავარ ინსტრუმენტად მიჩნეულია ზურნა, რომლის ჰანგები იცვლება იმის მიხედვით, ზეიმის რა მომენტია: მგზავრობა, მასპინძელთან შეგებება თუ მასპინძლის ოჯახში შესვლა (ჩიტაია, 2001:361). .

განსაკუთრებით საინტერესოა ხულოს ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული საწესჩვეულებო ხასიათის ცეკვა „ფადიკო", რომელიც წარმოადგენს საქართველოს სხვა კუთხეებში „ბერიკაობასთან" დაკავშირებულ იმ უძველესი ხასიათის ცეკვის ერთ-ერთ სახეს, რომელიც დიონისესა და დემეტრეს კულტთან დაკავშირებულ თამაშობებსაც წააგავს (გვარამაძე, 1957:54).

რიტუალის მუსიკალურ თანხლებად ზემოაჭარაში იყენებდნენ ყოლსამას ნაირსახეობას – „ქოჩეგურს", ამიტომაც აქ, ზოგიერთ ხეობაში (სხალთა, მარითი, დიოკნისი, რიყეთი), რიტუალსაც „ქოჩეგურს" უწოდებდნენ.

„ფადიკო" ერთგვარი ცეკვაა, თამაშია. გადმოცემით, ამ თამაშს აწყობენ ქორწილში, ღამის თორმეტ საათზე. „ფადიკოსათვის" ექვსი კაცი და ერთი ქალია საჭირო. ფადიკოს როლს კაცი ასრულებს. მას ქალის სამოსს ჩაცმევენ და ცალკე ოთახში გაიყვანენ. ფადიკოს შესვამენ ცხენივით დაოთხილ ერთ-ერთ მოთამაშეზე. ცხენი აღვირით ერთს მოჰყავს, სხვები კი სიმღერით მოსდევენ; ორი მონაწილე ერთმანეთს ეჯიბრება ფადიკოს დანარჩუნებისთვის. ვინც პირველი მოასწრებს და თეთრ ფულს გადააყრის, ქალიც მას რჩება. ბოლოს ეს ორი მოქიშპე მაინც შერიგდება და იტყვიან: „ერთს დღეი გვყავდეს, მეორეს ღამეო" და ორივე გადააყრის ფულებს. შემდეგ ფადიკოს „ყურბანს" (საკლავს) შემოავლებენ და დაკლავენ. ამას ცეკვა-თამაში მოჰყვება. ცეკვა ინსცენირების სახითაა წარ-

მოდგენილი: ფადიკოს გაეთამაშება ის ორი კაცი, მაგრამ ცეკვის დროს ფადიკო უეცრად დაიმალება. ამაზე ისინი ერთმანეთს შარს მოსდებენ, ატყდება ჩოჩქოლი და ყველანი ფადიკოს ეძებენ. ბოლოს ფადიკოს იპოვნიან და ვახშმად დასხდებიან. ნავახშმევს ერთ მათგანს დაეძინება, მეორე კი ფადიკოს მიუწვება და ეალერსება. ამ დროს პირველი იღვიძებს, დაინახავს, რომ მისი ამხანაგი ფადიკოს ეალერსება, წამოხტება, ხმალზე ხელს გაიკრავს, ამხანაგს დაჭრის და ფადიკოს გაიტაცებს. ქალი ეწინააღმდეგება, არ მიჰყვება, თან გაიძახის „ის შენზე მეტად მიყვარსო". ის კი ფადიკოს ეხვეწება: „მე წამომყევი, მასზე უკეთესი ვარო" და თან ქრთამსაც ჰპირდება. ბოლოს ქალი დათანხმდება და მიჰყვება (ნოღაიდელი, 1971:53). ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ "ფადიკო", გარდა ქორწილისა, სრულდებოდა შუამთობაზეც, რომელიც სამეურნეო დოვლათის, ნაყოფიერების, სიუხვის, შვილიერება-გამრავლებისათვის გამართული რელიგიურ-საკულტო ხასიათის დღესასწაული იყო (თანდილავა, 1980:39). "ფადიკო"-ს შესრულების სხვადასხვა ვარიანტია ცნობილი ხულოში, მაგრამ მისი სიუჟეტური ქარგა და აზრობრივი დატვირთვა ყველგან ერთნაირია. "ფადიკო" დღეისათვის აჭარაში ცეკვის სახეობადაა შემორჩენილი – როგორც მთქმელები აღნიშნავენ – "სამასხარო ცეკვაა, სამობაა" და, ძირითადად, ქორწილსა და ლხინში შესასრულებელ ცეკვად, გასართობ სანახაობად ქცეულა, მაგრამ მასში ბერიკაობა-ყეენობის იდენტური ელემენტების არსებობა (ფუნქციონალურად მსგავსი პერსონაჟები, საკრალური ქორწინებისა და სქესთა ურთიერთობის იმიტაცია, პრეტენდენტთა ორთაბრძოლა, ფადიკოს გატაცება, "მეფის" მიძინება-გაღვიძება და სხვ.) ადასტურებს, რომ "ფადიკო" აჭარაში გადმონაშთული სახით შემორჩენილი ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილი უძველესი მისტერიის გადმონაშთი უნდა იყოს, რომელიც ქართველი ხალხის წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს და უკავშირდება ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფას.

ხულოს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ტრადიციებს უკავშირდება ცეკვა „განდაგანაც". "განდაგანა" ქალ-ვაჟის სატრფიალო ცეკვაა. მსგავსი ცეკვა აჭარული ქორწილის დროს პატარძლის მანდილის ახდის ცერემონიალის შემდეგ იმართებოდა. ქალები და მამაკაცები დერეფნის სხვადასხვა მხარეს განლაგებულ ოთახებში იყვნენ შეკრებილი. მამაკაცთა ოთახიდან რომელიმე ვაჟი იწყებდა ცეკვით სვლას ქალების ოთახისკენ. ამ დროს ქალთა ოთახიდან რომელიმე გოგონა მორიდებით გამოუცეკვებდა. ამ ცეკვას ზოგჯერ "ქალურს" ეძახდნენ. ამ ცეკვის საფუძველზე შეიქმნა ცეკვა "განდაგანა", რომელშიც შევიდა ელემენტები ისეთი ცნობილი ცეკვებიდან, როგორიცაა "ყოლსამა", "ქურთბარი", "თოფალოინი", "ჯახტანანა"//"ჯაყდანანა" და სხვ. ქალის პარტია ამ ცეკვაში პირველად შეასრულა საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გულნარა

ნოღაიდელმა. ცეკვა ოფიციალურად პირველად შესრულდა 1946 წელს თეიმურაზ (თოფან) მელაძისა და გულნარა ნოღაიდელის მიერ ჯერ ბათუმში, საქართველოს ხალხური შემოქმედების აჭარის საოლქო დათვალიერებაზე, ხოლო შემდეგ საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ამ დღეს მაყურებელმა პირველად იხილა სცენაზე მოცეკვავე პირველი აჭარელი ქალი გულნარა ნოღაიდელი (სულაბერიძე, 1965). ცეკვა სრულდებოდა ჭიბონის თანხლებით. ჭიბონის პარტიას ასრულებდა ცნობილი ხულოელი მეჭიბონე ედეჰემ სურმანიძე – ქოჩახელა (კოკელაძე, 1977:18). ცეკვას სახელწოდება შეურჩია ცნობილმა რეჟისორმა, საბჭოთა კავშირისა სახალხო არტისტმა არჩილ ჩხარტიშვილმა. მან ამ ცეკვაში არსებული განივი სვლებისა და ილეთის გამო უწოდა ცეკვას "განდაგანა" (გორდელაძე, ზოიძე, 2005).

ასევე, ძალზე პოპულარული იყო ხულოში გმირულ-ჰეროიკული ხასიათის საბრძოლო ცეკვა ხორუმი, რომელიც ხასიათდება ცეკვის მკვეთრი რიტმულ დინამიკით. ხორუმი სრულდებოდა დოლისა და ჭიბონის თანხლებით. "ხორუმი" იგივე "ხორონი", "გადახვეული ხორუმი", "ჩამორებული" არის მტერთან ბრძოლისა და ბოლოს გამარჯვების ზეიმის ქორეოგრაფიული გამომსახველობის ფრიად საინტერესო თანმიმდევრული გადმოცემა (ინაიშვილი, ნოღაიდელი, ჩხიკვაძე, 1961:4). "ხორუმი" ხალხური საკულტო დრამის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. დრამის მთავარი სპეციფიკა სათქმელის თეატრალური განსხეულებაა. ხალხური დრამას აქვს ისეთი უმთავრესი მახასიათებლები როგორიცაა: სპეციალური მოქმედების ადგილი (იგივე "სცენა"), მოქმედი პირები, მოქმედების თანმიმდევრობა, კულიმინაცია, დასკვნითი ნაწილი და სხვ. ყველა ეს დრამატული პლასტი კარგადაა შენარჩუნებული „ხორუმში". „ხორუმი" ინახავს ხალხური დრამისათვის დამახასიათებელ დრამატულ-სანახაობით მხარეს, იკვეთება მწყობრი მოძრაობა და რიტმული ჰარმონია; მოქმედება მიმდინარეობს გარკვეული თანმიმდევრობით და წარმოადგენს ნაწილების ანუ სურათების მონაცვლეობას. მასში ბრძოლის თანმიმდევრობაა წარმოდგენილი: პირველ ნაწილში წარმოსახულია მოცეკვავე-მეომართა საბრძოლო მზადება. მეორე ნაწილში – მტრის დაზვერვა (ყურის ფიცარნაგზე დადებით მტრის მოძრაობის შეცნობა, მზვერავთა ერთმანეთთან მოთათბირება). შემდეგ სცენაში გადმოცემულია იერიში და ცხარე ბრძოლა. ცეკვის კულმინაციაა ბოლო, ანუ დასკვნით ნაწილი, რომელიც ერთმანეთზე გადახვეული წყობით, სპეციფიკური ილეთებით ("გადახვეული ხორუმი") გამარჯვებული ჯარის უკან დაბრუნებას ასახიერებს. "ხორუმი" არის ცეკვაში განსხეულებული საბრძოლო დრამა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2009:500).

არქაული სიმბოლიზმი თავს იჩენს არა მხოლოდ საცეკვაო ნახაზსა და ცეკვის შინაარსში, არამედ მის ატრიბუტიკაშიც. "ხორუმი"-ს ერთ-ერთი კომ-პონენტია ალმის, დროშის აღმართვა, რაც, ტრადიციულად, მტერზე გამარჯ-ვების სიმბოლოდაა მიჩნეული. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ დროშა "ხორუმის" კომპოზიციაში გვიანდელი ელემენტია, თუმცა ცეკვის შინაარსსა და ფორმაში კოდირებული სოლარული სიმბოლიკა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ალამი, როგორც საკულტო ატრიბუტი, ფიგურირებდა "ხორუმის" ავთენტურ ვარიანტშიც, რადგან ქართულ ეთნოგრაფიაში დადასტურებულია კავშირი დროშასა და მზის კულტს შორის. მიჩნეულია, რომ მზის კულტ-მსახურებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი სიცოცხლის ხის სახესხვაო-ბად მიჩნეულ წმინდა დროშას ანუ "ალვისტანს" უკავია. დროშა წმიდათაწ-მიდაა სათემო და სატომო სალოცავებში. მასზე ხელის შეხება მხოლოდ ხუცესს ან მკადრეს შეუძლია. იგი ინახებოდა მთავარ საკულტო ნაგებობაში და ხატობის დროს გადმოაბრძანებდნენ სპეციალურად მისთვის განკუთვ-ნილ დროშათსაბრძან კოშკში. მასთან ახლოს ტარდებოდა მსხვერპლშეწირვა და, საერთოდ, ქართველები ყველა მთავარ მოვლენას დროშას უკავშირებდ-ნენ და თავდადებით იცავდნენ მას. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში დროშა არის ღვთაების სიმბოლო, მისი განსახიერება (ბარდაველიძე, 1939:58-65). აჭარაში არ ჩანს დროშის საკულტო დანიშნულებით გამოყენების ჩვეულება, მაგრამ შესაძლოა, სწორედ "ხორუმშია" შემონახული დროშისად-მი განსაკუთრებული თაყვანისცემის კვალი.

ხულოში გავრცელებულ ხალხურ ცეკვებსა და ზოგიერთ სიმღერას ახლდა სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე შესრულებული აკომპანიმენტი. მთიან აჭარაში გავრცელებული ინსტრუმენტი იყო ჭიბონი, საზი, აზიური გარმონი, ზურნა, დავლი, პატარა დოლი, ქემენჩა. მათგან ზურნა, საზი, ქემენჩა უცხოური წარმოშობის ხალხური საკრავებია და, ძირითადად, აღმოსავლეთიდან შემოი-ტანეს თურქმა, სომეხმა თუ ბერძენმა მოხეტიალე მუსიკოსებმა. თუმცა ეს საკრავებიც თავისი ბუნებით დროთა განმავლობაში შეეხამენ ქართულ ხალხურ სიმღერას.

ხულოში ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ინსტრუმენტი ჭი-ბონი//ჭიპონია. გვაქვს გუდისჭიბონი და ჭიბონი. აქ, ძირითადად, გუდისჭიბო-ნია გავრცელებული. მისი ნაწილებია: სასულე, გუდა, ნავი, ქარახსი. უჭიბონოდ ხულოში არ გაიმართებოდა არც ქორწილი, არც წვეულება, არც დღესაწაული თუ ხალხური დღეობა. ჭიბონი ბოლო დრომდე მთიანმა აჭარამ, განსაკუთრებით ისეთმა ხეობებმა შემოგვინახეს, სადაც ინტენსიურად იყო განვითარებული მესა-ქონლეობა. ჭიბონი განსაკუთრებული პოპულარობით მწყემსებს შორის სარგებ-

ლობდა. სწორედ ჭიბონის აკომპანიმენტზე სრულდებოდა ცეკვები: ყოლსამა, ქოჩეგური, თოფალოინი, ფერხული, სამა, შემოსარები, სხვადასხვაგვარი ხორუმი (ლაზხორუმი, ქურთხორუმი...).

აქაურთა მეხსიერებამ შემოგვინახა მრავალი მომღერლის, მოცეკვავისა თუ სახალხო მთქმელის სახელი. ხულოში ცნობილი მეჭიბონეები იყვნენ: ედეჰემ სურმანიძე (ქოჩახელა), რესულ სურმანიძე, ოსმან ანანიძე, რომელიც აჭარისწყლის ხეობის სოფელ ქედლებში ცხოვრობდა. იგი ცნობილია, როგორც მელექსეაშუღი. უკრავდა საზზე და თხზავდა სიმღერებს. ცნობილია მისი "მელავ", "ყარაბუღავ", "შენ სონავ, სონავ" და სხვა. ასევე, ცნობილი სახალხო მთქმელები იყვნენ: ხასან მიქელაძე, ვაზირ გივრაძე, ქიბარ კახაძე, რეჯებ მჟავანაძე, თემიზალი მამულაძე, ჯეფერ სურმანიძე და სხვ. სახალხო მთქმელებად, ძირითადად, მამაკაცები გვევლინებიან. სახალხო მთქმელების მიერ შექმნილ ლექსსიმღერებში სჭარბობს საისტორიო-საგმირო, სამონადირეო და სათავგადასავლო მოტივები. მათ ძირითად თემატიკას შეადგენს მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, გმირული თავგადასავალი, ისტორიულ პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, ხშირია სახუმარო სიმღერების შეთხზვის შემთხვევები.

მართალია, მუსლიმანურმა სარწმუნოებამ თავისი კვალი დააჩნია ხალხურ მუსიკალურ კულტურას აჭარაში, მაგრამ ვერ ჩაკლა ხალხური შემოქმედების ეროვნული სული და აქ არსებული მდიდარი ფოლკლორული ტრადიციები. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აპ.წულაძეს ჩაუწერია კოტე ფოცხვერაშვილის აზრი აჭარული სიმღერების შესახებ. კ.ფოცხვერაშვილს კურორტ ბახმაროზე ყოფნისას მოუსმენია აჭარლების ჯგუფისათვის, რომლებიც სიმღერებს ასრულებდნენ „ჭიმონისა და დავლის თანხლებით". კ.ფოცხვერაშვილის აზრით, აჭარული სიმღერები უნდა ჩაითვალოს დედნად, იგივე სიმღერები კი გურიაში ამათი განვითარებაარ. მოსიმღერე აჭარლებს განუცხადებიათ ბ-ნ. ფოცხვერაშვილისათვის, რომ „სიმღერა იმდენი გვაქვს, ზამთრის რვა თვეში გვყოფნისო" (ახვლედიანი, 1970:21).

ამგვარად, ხულოს მუსიკალური ფოლკლორი მრავალმხრივაა საინტერესო. მასში ასახვას პოულობს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა-ხელოსნობა, მონადირეობა) და საოჯახო ყოფის ყველა სფერო. ამიტომაც აქაურმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოგვინახა შრომის, სატრფიალო, საყოფაცხოვრებო, ჰეროიკული, საფერხულო, სახუმარო და სხვა ჟანრის სიმღერები, მრავალფეროვანი ცეკვები, ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის მუსიკალური საკრავების გამოყენების ტრადიცია. ხულოს რაიონში შენარჩუნებულია ქართველი ხალხის მხატვრული ნააზრევის არაერთი ნიმუში, რომლებშიც აისახა ხალხის რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები, შეხედუ-

ლებები გარესამყაროსა და ცხოვრებაზე (საქორწინო, საძეობო, საფერხულო სიმღერები, სამგლოვიარო მოთქმა-დატირება და სხვ.), ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ყველა სფერო და საოჯახო ყოფა და სხვადასხვა კულტმსახურების ნაშთი ("ნაი-ნაი, ნინაინა", "ოჰოი ნანო" და სხვ.), ყოფის ისტორიული ტრანსფორ-მაცია და მხარის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები ("ჩაღმა ჩაყრილო ვენახო", "ადე, თამარ დედოფალო" და სხვ.). ამავე დროს, ხულოს ხალხურ მუსი-კალურ ხელოვნებაში კარგადაა შემონახული საკულტო დრამის ელემენტები და რიტუალური წარმართული პრაქტიკის ცალკეული მომენტები, რადგან შრომის სიმღერა-თამაშობანი, საფერხულო მისტერიები ხალხური დრამატული ხელოვ-ნების ყველაზე ადრინდელ, საწყის ფორმებს წარმოადგენენ.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ხულოს მუსიკალურმა ფოლკლორმა შეინარჩუნა ქართულ ფოლკლორულ ნიმუშთა დიდი უმრავლესობა, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის საწყისები, თვითმყოფადობა და ნაკლებად დაექვემდებარა უცხო გავლენას. იგი ორგანულ კავშირშია საერთოდ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორთან და, მიუხედავად ლოკალური თავისებურებებისა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ აჭარა დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო დედა-სამშობლოს, აქ შემონახული ფოლკლორული ნიმუშები ეხმიანება საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ მსგავს ვარიანტებს.

ხულოში დღესაც შენარჩუნებულია მუსიკალური ფოლკლორის ეროვნული სული და მდიდარი ქორეოგრაფიული ტრადიციები. თვითმყოფადობით გამოირჩევა ხულოს ფოლკლორული ანსამბლები: აგარის უხუცეს მოცეკვავეთა ანსამბლი "ბერმუხა", ხულოს სარაიონო ფოლკლორული ანსამბლი "ფესვები", ცხმორისის ქორეოგრაფიული ანსამბლი და სხვ. ეს ანსამბლები ემსახურებიან მშობლიური კუთხის მუსიკალური და საცეკვაო ტრადიციების შენარჩუნებას.

Tamila Lomtatidze

Musical and choreographic folklore of Khulo's municipality

(Summary)

Khulo's musical folklore is multifaceted. It reflects all spheres of human activity and social and family life. Ethnographic life has preserved all genres of the Georgian folk music culture, the tradition of using musical instruments, many samples of musical and choreographic folklore, which reflect not only everyday life, but the ancient beliefs and Rites of the Georgian people. The study showed that despite the fact that Ajara was cut off from Georgia for a century, Khulo's musical folklore preserved most of the samples of Georgian folklore, the origins of Georgian folk songs and dances, originality and less underwent foreign influences.

ლიტერატურა:

1. დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკის გურული შტო, ჟურნ. ქართული მწერლობა, 1927, №10.
2. აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969.
3. ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970.
4. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, X, საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, ტფ., 1939.
5. მ. ბექაია, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში“, ბათუმი, 1974.
6. ნ. ბრეგაძე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, „მაცნე“, №1, 1980.
7. ლ. გვარამაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ., 1957.
8. მ. გორდელაძე, ა. ზოიძე, “ჯაყდანანადან” “განდაგანამდე”, ჟურ. “კულტურა”, 2005, №5.
9. ზ. თანდილავა, შუმთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბ., 1980.
10. ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გ. ჩხიკვაძე, მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, თბ., 1961.
11. გ. კოკელაძე, ზოგი რამ ქართულ ცეკვაზე, თბ., 1977.
12. ე. მაკარაძე, ხიხაძირული “ოჰოი ნანო”, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კრებული, II, ბათუმი, 2002.
13. ა. მსხალაძე, აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, თბ., 1962.
14. ა. მსხალაძე, აჭარის ხალხური შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგიერთი საკითხისათვის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1962.

15. ჯ. ნოღაიდელი, ჯ.ჩხეიძე, აჭარული სამიწათმოქმედო შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1960.

16. ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათუმი, 1971.

17. ჯ. ონიანი, სვანური მურყვამობა-კვირიაობა, მაცნე, №3, თბ., 1969.

18. თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, თბ., 1963.

19. ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999.

20. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. II, თბ., 2009.

21. პ. სულაბერიძე, განდაგანას ოსტატი, გაზ. "საბჭოთა აჭარა", 1965, 06.05.

22. ი. სურგულაძე, ერთი საქორწინო წესის მითოსური და სოციალური ბუნებისათვის, მაცნე, №1, თბ., 1989.

23. ნ. ჩელებაძე, ქალი და ოჯახი, თბ., 2005.

24. გ. ჩიტაია, შრომები, თბ., 2001.

25. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.

26. გ. ჭელიძე, ქართული ხალხური დრამა, თბ., 1987.

27. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1951.

28. დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები თბ., 1948.

29. Гр. Чхиквадзе, Грузинские народные песни, М., 1936.

აჭარული ცეკვა, ვერნები, 1933 წ.

გოგონათა ცეკვა, ხულო, 1933 წ.

დოლზე და ჭიბონზე დამკვერელები, ხულო, 1933 წ.

მეჭიბონე ედეჰემ სურმანიძე, სოფ.კვატია, 1933 წ.

ხიხაძირული ხორუმი, ასრულებენ ალი, ახმედ და ისმაილ გაბაიძეები, ბოლი და ხუსეინ ხალვაშები

ხორუმი, სოფ ხიხაძირი, 1933 წ.

ჯემალ ვარშალომიძე
ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის
განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

საცხოვრებელი ნაგებობანი და ხითხუროობის ტრადიციები ხულოს მუნიციპალიტეტში

1. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ხულოს მუნიციპალიტეტში

საქართველოს სხვადასხვა კუთხის მატერიალური კულტურის ძეგლები გარკვეულად ასახავს მისი შემოქმედი მოსახლეობის კულტურულ-ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და ეთნიკურ თავისებურებებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზემო აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილემდე მოღწეული საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა რთული კომპლექსი, რომელიც გამოირჩევა თავისი კონსტრუქციულ-ხუროთმოძღვრული მახასიათებლებით, სამშენებლო-ტექნიკური ხერხების გამოყენებითა და მხატვრულ-დეკორატიული ღირსებით[2]. ამიტომაც, იგი ვიზუალურად შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ამ კუთხის მოსახლეობის ყოფითა და კულტურით, ასევე ისტორიული წარსულით დაინტერესებულ უცხოელ და ქართველ მკვლევრებს. მათ მიერ აღწერილი თუნდაც ზოგადი ცნობები მეტად მნიშვნელოვანია ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

---

[2] საცხოვრებელმა ნაგებობამ აჭარაში განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უძველესი ნაკვალევი არქეოლოგებმა აჭარის ალპურ ზონაში–ბულულას სერზე (ხულოს მუნიციპალიტეტი) დაადგინეს, რომელიც ძველი ქვის ხანითაა დათარიღებული (გრიგოლია, 2007:111-112). აქ ნაპოვნი ანდეზიტ-ბაზალტისაგან დამზადებული მარტივი იარაღები დროთა განმავლობაში უფრო ეფექტური ნეოლითური, ენეოლითური, მოგვიანებით კი ბრინჯაოსა და რკინის ბასრი იარაღებით შეიცვალა. იარიღების ტექნიკურმა განვითარებამ ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ხე-ტყით მდიდარ მხარეში ხის დამუშავების კულტურის ჩამოყალიბების საქმეში. მრავალპროფილიანმა ხელოსნობამ მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა ყოფითი მოთხოვნებიდან გამომდინარე განაპირობა მატერიალური კულტურის, კერძოდ, აღმშენებლობითი სფეროს მეგალითებიდან და კუშტულებიდან დაწყებული, უფრო მოგვიანო პერიოდის დარანების, ჯიხურების, კოშკების სახით დაწინაურება. ცნობილია, მუდმივი თუ სეზონური სადგომ-სათავსოები: ფაცხების, ყუდე-ქოხების, კარვების, ჩადირების არსებობა. მრავლისმთქმელია: ვანი //ნავანები//სავანე, ნაოდვარი //ნაოდიევი, დარბაზული და ა.შ. აღნიშნული ტერმინები, მატერიალური კულტურის ამსახველი ტოპონიმიური მემკვიდრეობაა, რაც მრავალწახნაგოვანი ისტორიული სპექტრის მომცველია.

ინგლისის კონსული ჯ. პალგრევი 1872 წლის ანგარიშში შენიშნავს, რომ ზემო აჭარის მკვიდრთა ხის სახლები ძირითადად გაფანტულია ხეებს შორის, იშვიათად კი, რამდენიმე სახლი თავმოყრილია ვარგისიან მიწის ნაკვეთთან ახლოს, სადაც მთის ციცაბო ფერდობზე შესაძლებელია ხორბლის, სიმინდის და სხვათა მოყვანა, ასევე, ცოტაოდენი ხეხილის გაშენება. ავტორის თქმით, ქვემო აჭარაში იწყება სახლების ერთმანეთთან დაახლოება და ღებულობენ სოფლის სახელწოდებას, მაგრამ სინამდვილეში სოფელს არ წარმოადგენენ[3] (Пальгреев, 1882:58-67).

სახლის მშენებლობაზე ქვისა თუ ხის მასალის გამოყენების თაობაზე მეპატრონის მატერიალურ-ქონებრივი მდგომარეობის ფაქტორზე გარკვეული მინიშნებას ვხვდებით ვ. ლისოვსკის ცნობაში: „ხე-ტყის სიუხვის წყალობით სოფლებში სახლები შენდება უმთავრესად მერქნისაგან, ზოგჯერ შეძლებულებს ხის სახლი უდგათ ქვის საძირკველზე, რომელიც რიყის ქვისაგან არის ნაშენები“ (Лисовский, 1887:80). ამგვარი–ქვის პირველ სართულზე ხის მეორე სართულით აგებული სახლები იშვიათობას წარმოადგენდა და ამ იშვიათთა შორის გამორჩეულად ხასიათდება ა. დემეტრაძის სახლი დიდაჭარაში[4].

ქართველი მოღვაწეები შეუნელებელ ყურადღებას იჩენდნენ ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეალიების მიმართ.

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე აჭარაში მოგზაურობის დროს (1873 წ.) საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით ძირითადად ზოგადი ცნობებით შემოიფარგლა. მან აღნიშნა სახლების ორსართულიანობა, დააკონკრეტა ის, რომ სახლის პირველი სართული საქონლის სადგომად გამოიყენებოდა, ხოლო მეორე–საცხოვრებლად. სართულის შიდა ფართის სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით დანაწილებულ ქალებისა და სასტუმრო ოთახების გარდა მას შეუმჩნეველი არ დარჩენია მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილების – ლოცვისა და რიტუალური განბანვისათვის განკუთვნილი ადგილებიც. მასვე დაუფიქსირებია სახლის ფანჯრის, კარებისა და ბუხრის კვეთილობა, რაც დამახასიათებელი ყოფილა

---

[3] შედარებით უფრო მეტი ინფორმაციის მქონეა ფრანგი მოგზაურის, ჟან მურიეს (1884 წელი) ქვემო აჭარაში დაკვირვების მონაცემები: „სახლები სხვადასხვა სიმაღლის ფერდობზეა შეფენილი. სადგომები უმთავრესად კრამიტითაა დახურული და ორსართულიანია. ქვედა სართული ქვითკირისაა და საქონლის ბინადაა გამოყენებული. ზედა კი ხისაა და ორ ნაწილად იყოფა“. მას მხედველობიდან არ გამორჩენია სახლის ბუხრის, ფანჯრებისა და ჭერის მორთულობა (ჟან მურიე, 1962:8-85).

[4] ა. დემეტრაძის სახლის ხუროთმოძღვრული და დეკორატიული დახასიათება, ასევე გრაფიკული ილუსტრაცია გამოქვეყნებული აქვს მკვლევარ ი. ადამიას (ადამია, 1956). აღნიშნული ნაგებობა გასული საუკუნის 70-იან წლებში გადატანილი იქნა ქ. თბილისში და განთავსებულია ღია ცის ქვეშ მუზეუმში.

მთლიანად აჭარისა და ჩურუქ-სუს საუკეთესო სახლებისათვის (Бакрадзе, 1878:43).

გ. ყაზბეგს, 1874 წელს, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილთან ყოფნისას ტრადიციული სახლებისაგან განსხვავებულ სიახლეებზეც მიუქცევია ყურადღება. იგი ქვის ორსართულიან სახლზე, რომელიც სოფ. სხალთაში ჰქონდა მასპინძელს, წერს: „მის სახლს ერთგვარად ევროპული იერი დაჰკრავს. მთავარი შენობა გარედან შებათქაშებულია, შიგნიდან კი ზეთის საღებავით არის შეღებილი, შიდა მორთულობა ნახევრად ევროპულია. დიდი სახლის გვერდით პატარა ორსართულიანია ყონაღი-სასტუმრო და შენობათა მახლობლად წისქვილი დგასო“ (ყაზბეგი, 1995:44-45). აჭარის მთიანეთის მოსახლეობის კარმიდამოს მიმართ XIX საუკუნის 80-იან წლებში ეთნოგრაფიული ცნობისმოყვარეობა გამოუჩენია ივ. არჯევანიძესაც.[5]

აჭარის ეთნოგრაფიული შესწავლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა მრავალმხრივ განათლებულმა მოღვაწემ თ. სახოკიამ, რომელმაც 1897 წელს, დასახელებული კუთხის ყოფა-ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვებით, მთხრობელთა გამოკითხვით მოპოვებული მასალა შეაჯერა იმ დროისათვის არსებულ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებს, გამოიყენა ოფიციალურ-სტატისტიკური თუ სხვა საინფორმაციო მონაცემები. აღსანიშნავია, რომ მოგზაურმა-მკვლევარმა აჭარულ საცხოვრებელ და რიგ სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებით უაღრესად ობიექტური და სრულფასოვანი მასალა დაგვიტოვა. ფრიად მნიშვნელოვანია თ. სახოკიას დაკვირვება ზემო აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში მესაქონლეობის წამყვანი როლის შესახებ. იგი ღორჯომის თემის მემთევრეთა ზოტიყელის სეზონურ საცხოვრებელს, იაილას დაწვრილებით აღწერს: ხის ორსართულიან ნაგებობაში პირველი სართული ძირითადად პირუტყვის სადგომია, რომლის წინ მეორე სართულზე კიბით ასასვლელია. მეორე სართულზე განლაგებულია სასტუმრო საძინებელი, საჯალაბო და „სარძიე“ ოთახები. მითითებულია კერის, საწოლების ადგილებიც. აღნიშნული აქვს მემთევრე ქალის „ბატონობა“ საჯალაბოს და სარძიეს ოთახებში.

თ. სახოკიას, ზოტიყელიდან ღორჯომისკენ მიმავალს, ტყის დასასრულს, გზაზე, ასევე, ყურადღება მიუქცევია ყიშლებზე-მესაქონლეთა საშემოდგომო

[5] საყურადღებოა ზემო აჭარაში, ხულოს შორიახლო ივ. არჯევანიძის მგზავრობისას დანახული სოფლები: „საცხოვრებელი სახლები და მათთან არსებული სამეურნეო მინაშენებები მერცხლის ბუდესავით არიან მიკრულნი მაღალი მთის ფერდობებზე, რომლებიც პატარა-პატარა ბევრი-ბევრი 10-15 კომლისაგან შედგებიან. სახლები და დამხმარე სათავსები, როგორიცაა ბეღელი და სხვა ხისაა. ზოგან წაბლის ხისა; ეტყობა, რომ ტყეები აქაურ ხალხს ჭარბად მოეპოვება (არჯევანიძე, 1887:49).

სადგომებისათვის: ... „ოციოდე ჯარგვალია[6] დადგმული ორსართულიანი. ზედა სართული ძალზე დაბალია, კაცი ძლივს გაიმართება. განყოფილება არ აქვს. აქ დგას საქონლის პატრონი, ხოლო ქვედა სართულში საქონელი დგას. ამ ყიშლებში რჩებიან თვე ან თვენახევარს“ (სახოკია, 1985:169).

ღორჯომში შესვლისთანავე ვ. სახოკიას ყურადღება მიიპყრო საცხოვრებელ-მა სახლებმა: „ტყის სიიაფის გამო ყველას მშვენიერი სახლები აქვთ გადაჭიმულიო“. ასე დაახასიათა საცხოვრებელ ნაგებობათა გარე ხედი. მკვლევარი უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის სახლის შიდა სათავსოების გაცნობისას.

თ. სახოკიას სოფ. ღორჯომში თავისი მასპინძლის (სულეიმან ბერიძის) სახლი აქვს აღწერილი. იგი ავტორის შეფასებით ზემო აჭარისათვის ტიპიური, ხის ორსართულიანი ნაგებობაა. მკვლევრის თქმით: ჯერ შესასვლელია ძირის სართულში, წინაოთახის მსგავს განყოფილებაში, რომლის იქით ახორი იწყება. ხის კიბეებით ასასვლელია მეორე სართულზე „ვიწრო სოხახში (დერეფანში), რომლის იქით-აქეთ სამი თუ ოთხი ოთახია. სულ პატარები და ერთი-მეორის სახისაა“. ამათგან ერთი საჯალაბო-სამზარეულოა, „აქ დედათა სქესისანი და წვრილფეხობა ფუსფუსებენ“ (სახოკია, 1985:171), რომლის ერთ მხარეს ბუხარია,

---

[6] ტერმინი „ჯარგვალი“, რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული (გეგეჭკორი, 2000) და ნიშნავს დაუხერხავ ხეს, უძველესი დროიდან გამოიყენებოდა შენობების ასაგებად. საყურადღებოა, რომ იგი ხულოს მუნიციპალიტეტის ტოპონიმებში ერთხელ არის დასახელებული სოფ ირემაძეებში ჯარგვლიანჭალას–როგორც სათიბის სახელწოდება, ხოლო შუახევის-სოფელ გოგაძეებში-ჯარგვალი ტყეს, ახალდაბაში-ჯარგვალისსერის, წაბლანაში ნაჯარგვალევის, საძოვრის ადგილის სახელად. ამრიგად, შუახევის მუნიციპალიტეტში ეს ტერმინი უფრო მეტად ყოფილა ცნობილი (იხ.: ქამადაძე, 1992). სავარაუდოა, რომ ეს ტერმინი ზემო აჭარის იალაღებზე არსებულ ნაგებობათა აღსანიშნავად თ. სახოკიამ გამოიყენა და იგი შემდგომში დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მრგვალი ხეების გამოყენება ნაგებობათა მშენებლობაში მრავალი არქეოლოგიური, არქიტექტურული და ეთნოგრაფიული მასალითაა დადასტურებული და იგი ბევრ ქვეყანაში ძველთაგანვე გამოიყენებოდა საცხოვრებელ სახლებზე, სამეურნეო თუ თავდაცვით ნაგებობებზე.

ხულოს რაიონის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ამგვარი ნაგებობის აღსანიშნავად ტერმინი ქოხი გამოიყენებოდა. მისგან ნაწარმოები ტოპონიმებია: ქოხნარი (ტყე)–კალოთა, შუა ქოხი (საძოვარი),–ვანაძეები, მეხარექოხი (საძოვარი)–გორგაძეები, უსტიებიექოხი (საძოვარი), თედოქოხები (საძოვარი)– ვაშაყმაძეები, წილოსანის ქოხი (საძოვარი)–ვაშაყმაძეები, ზურაბა ქოხები (საძოვარი)–ვანაძეები, ჰასანაქოხი (საძოვარი)–კალოთა, ესკერი ქოხი (საძოვრები)–გორგაძეები, ნაქოხვარა (სახვნელი) –კორტოხი, ნაქოხვარი (სათესი)–ღურტა, ნაქოხვარი (სათიბი)–ბაკო, ნაქოხვარი (საძოვარი)–გორგაძეები, ნაქოხვარი (საყანე)–კურცხლები, დუაძეები, ნაქოხვარი (სახვნელი)–კორტოხი ნახოვარაჲ (სათესი)–მეკეიძეები, ნაქოხვარები (სათესი)–ვანაძეები, ნაქოხვარები (სათიბი)–კვატია, დიდგორის ნაქოხვარი (სათიბი)–ნამონასტრევი (ქამადაძე, 1992).

ამ კუთხის მოსახლეობის მეტყველებაში ჩანს ტერმინი ქოხი და არა ჯარგვალი. ასე, მაგალითად, ი. სიხარულიძეს 1959 წელს, ბეშუმის მიდამოებში, ალ. ჩოგაძე და ნ. მეხეშიძე მოუთხრობდა: „აქ იდგა პატარა ქოხი დიდი ჲეჲლის ხარის მენახირეებისა“... (სიხარულიძე, 1959:149).

სადაც საჭმელი მზადდება, მეორე ოთახსაც აქვს ბუხარი, კედელში გამოჭრილია მუსანდარა, სადაც საბან-გობანი ინახება. იქვე იდგა ხის სკივრი, არის საწოლ-საძინებელი ოთახი. მესამე ოთახი სასტუმროა. „სტუმარი ოთახში შემოდის თუ არა ტახტზე ადის და ზედ იკალათებს, მუხლ-მოკეცით“[7]. შედარებით პატარა ყოფილა მეოთხე, რომელსაც კოშკი[8] ეწოდებოდა. იგი აივნის მსგავსი საზაფხულო ოთახი ყოფილა. ჯალაბი ზაფხულში აქ საქმიანობს: ართავს, ქსოვს, მატყლს სთელავს, ლობიოს არჩევს და სხვა. კოშკის მახლობლად ფეხისალაგიც ყოფილა. ჭერს ზევით, სხვენში–ხაროებში ხორბალს, სიმინდს, ლობიოს ინახავდნენ“ (სახოკია, 1985:172).

თ. სახოკიას მიერ აღწერილ ზემო აჭარულ საცხოვრებელთა შორის ასევე საყურადღებოა ყადის (მოსამართლის) იუნუს ბერიძის სახლი, რომლის მეპატრონე შეძლებულ მოსახლედ ითვლებოდა სოფ. ფურტიოში. მას ორი სახლი ჰქონია: ერთში თვითონ ცხოვრობდა, ხოლო რამდენიმე ოთახიან მეორე ნაგებობაში სტუმარს ღებულობდა (სახოკია, 1985:262). აღნიშნული საცხოვრებელი სახლი უმნიშვნელო ცვლილებით დღემდეა შემორჩენილი. იგი ექსტერიერის მი-

---

[7] სტუმარ-მასპინძლობის ქართული ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობა და სიმტკიცე აჭარის მთიელთა შორისაც განსაკუთრებული გულისხმიერების დაუდასტურებია თ. სახოკიას: „... აჭარელს, თუ კი რამ აბადია სტუმრის პატივისცემა დიდ ნეტარებად მიაჩნია. სტუმარს ღვთის კაცადა სთვლის. თუ თვითონ არა აქვს–რა მეზობელთან გადავა და იმას გამოართმევს – ეს სირცხვილად მიაჩნიათ“ (სახოკია, 1956:175).

[8] თ. სახოკიას აღწერილი ღორჯომელი სულეიმან ბერიძის სახლის ინტერიერში არსებული „კოშკი“-ს ანალოგიური ყოფილა, 1958 წელს, ეთნოგრაფ თ. ჩიქოვანის მიერ სოფ. საციხურის ზემო, ანუ მარკოიძეების უბანში ასლან მარკოიძის სახლში გამოვლენილი „ქოშკი“ (ჩიქოვანი, 1960, 1960:101). თ. ჩიქოვანის მონაცემების მიხედვით ა. მარკოიძის სახლის სივრცეში არსებული კოშკის შესახებ – როგორც სახლის სეგმენტაციის ერთ-ერთი ელემენტი განხილულია ვლ. მგელაძის ნაშრომში, რომელიც 2010 წელს დაიბეჭდა (მგელაძე, 2010).

მეტად მნიშვნელოვანია, რომ 1958 წელს, სოფ. ღორჯომში, არქიტექტორმა ქ. ბურჭულაძემ გრაფიკულად დააფიქსირა დ. წინწკალაძის სახლის გეგმა, სადაც მინიშნებულია ოთახი „ქოშკი“ და ამ ოთახიდან ცალფა კარით გასასვლელი აივანზე. ეს აივანი აღნიშნულია „კოშკი დერეფნის“ სახელწოდებით. კოშკს, როგორც საცხოვრებლის ერთ-ერთ სათავსოდ ასახელებენ ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში ალ. რობაქიძე, ვ. შამილაძე, ნ. ჩიჯავაძე და მ. ბექაია, მაგრამ ისინი კონკრეტულად არ ასახელებენ თუ ვის სახლზე საუბრობენ. „კოშკის“ სახელწოდებით, რომელიც ხის სახლის ერთ-ერთ სათავსოს წარმოადგენს, დღესაც არის შემორჩენილი ქვის პირველ სართულზე დადგმული ხის სახლი მაჭახლის ხეობაში, სოფ. ჩიქუნეთში (უბანი ვაკე). ამ ნაგებობამ დროთა განმავლობაში გარკვეული რეკონსტრუქციის გამო შეიცვალა ინტერიერში ოთახების განლაგების წარსულში არსებული გეგმა. იგი საინტერესოა საუკეთესო ჩუქურთმებით და იმითაც, რომ გადმოცემის მიხედვით, ეს სახლი დაახლოებით 1790 წელს უნდა იყოს აშენებული (ვარშალომიძე, 2016:139). ხის საცხოვრებელი სახლების რაოდენობა, რომელთაც გააჩნიათ ქოშკი//კოშკი მრავლადაა დღესაც იმერხევის სოფლებში, რომელთა შესახებ საუბარი ცალკე თემად უნდა მივიჩნიოთ.

ხედვით ე.წ. ლაზური სახლის ტიპი უფროა, ვიდრე ზემო აჭარული. ნაგებობას ფასადზე „დოლმიანი“ კედელი გააჩნია.

საცხოვრებელ ნაგებობათა ძველი ძეგლების შემონახულობაზე გარკვეულად უარყოფითი დაღი დაამჩნია აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებულმა ისტორიულმა პროცესებმაც. ცნობილია, რომ აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი „მუჰაჯირად“ წავიდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ. ბუნებრივია ასეთი გარემოება უარყოფითად აისახა საცხოვრებლების შემონახულობაზე. ამ თვალსაზრისით მძიმე დანაკლისი განიცადა ზემო აჭარამ 1914-1915 წწ თურქეთიდან შემოჭრილმა „ჩეთნიკებმა“ 15 სოფელი ააწიოკეს და 347 საცხოვრებელი სახლიდან 206 გაანადგურეს[9] (სიორიძე, 2002:104).

აჭარის მათ შორის ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლის საქმეში შემდგომი წარმატებები იქნა მოპოვებული 1930-იან წლებში, როცა მანამდელ მოგზაურ-მკვლევართა ნაკვალევზე მიზნობრივი ექსპედიციები გაიმართა და ეთნოგრაფიის სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებით შეიკრიბა საველე მასალები.

1933 წელს აკად. გ. ჩიტაიამ (ექსპედიციის ხელმძღვანელი) ზემო აჭარაში შეკრებილი საველე მასალების საფუძველზე ყურადღება გაამახვილა აჭარული სახლის ერთ-ერთი სეგმენტის „სარძიეს“ ფუნქციაზე და ანალოგიური ვითარება დაადგინა ხევსურული სახლის „სენესთან“. მსგავსი ვითარება დაადასტურა მესხურ, მეგრულ და სვანურ სახლებში. გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ტიპის საცხოვრებლის გენეზისი და განვითარების ეტაპები საქართველოს ისტორიულ რეალობას-მეცხოველეობის უძველესი დროიდან მომდინარეობას, მის უდიდეს როლსა და ადგილზე ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში მიგვანიშნებს (ჩიტაია, 1947:145-147). მეცნიერმა ზემო აჭარის მემთევრეთა ჯარგვალში ძველი კოლხუ-

[9] აჭარის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა შესახებ არსებული ცნობების ქრონოლოგიურ ასპექტში მიმოხილვისას უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ) ომის დასასრულს ჩურუქ-სუს (ქობულეთის) ტერიტორიაზე მყოფი ა. ფრენკელი რეალურ სურათს გვაუწყებს: „ბევრი ნაგებობა დანგრეული, ხეხილის ხეები გაჩეხილი, ბაღები, ბახჩები-განადგურებული იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაჩანაგებული დამხვდა“ (ფრენკელი, 2012:41). ავტორი ზედმიწევნით აკონკრეტებს: „ჩურუქ-სუ ალბათ ქალაქი იყო, თუმცა იმ დროისათვის მე იგი მთლიანად გაძარცული, ბევრი სახლი განადგურებული დამხვდა: კარები, ფანჯრები, იატაკი აყრილი, ავეჯი გაზიდული, ყველგან ძალადობის ნიშანი...“ (ფრენკელი, 2012:45). საცხოვრებლების მოუვლელობა, ნგრევა და განადგურება გამოიწვია ომის შემდგომ განვითარებულმა მუჰაჯირობის პროცესმა. მრავალი მიტოვებული სახლი უპატრონობით დაიქცა. ძნელია იმ ვითარების წარმოდგენა 1914-1915 წწ. როცა რუსეთ-თურქეთის საბრძოლო ოპერაციები მიმდინარეობდა აჭარის ტერიტორიაზე (სიორიძე, 2002:104).

რი სახლისათვის დამახასიათებელი სამშენებლო კონსტრუქციული ნიშნების არსებობა დაამოწმა.

1935 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით და მის მიერ შედგენილი პროგრამა-კითხვარით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ორი თვის განმავლობაში შეკრებილი იქნა უძვირფასესი ცნობები, რომელიც ღვაწლმოსილი მეცნიერის შეფასებით: „წარსული კულტურის უკანასკნელი ანარეკლის მთელი ენციკლოპედიაა“ (მასალები, 1976:10). ეს შეფასება ვრცელდება მთელ საქართველოზე, მათ შორის მთიან აჭარაზეც. საგულისხმოა, რომ დღევანდელ ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში თამარ ანდღულაძის და ქეთევან ლომთათიძის მიერ ჩაწერილი მრავალმხრივ საინტერესო მონაცემები გარკვეულად ასახავს ამ კუთხის მკვიდრთა ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის თავისებურებებს – სამეურნეო ცხოვრებას. მასში აღწერილია ნივთიერი კულტურის მომცველი „მასალები“ (მასალები, 1976).

აღსანიშნავია, რომ ენობრივ-დიალექტური ფორმების დაცვით ჩაწერილი „მასალების“ დიდი ნაწილი დაეთმო სახლის სართულიანობას, ოთახების ფუნქციურ დანიშნულებას, საძირკვლის– „ბინის“ გამართვასა და იატაკის „ფინის“ დაწყობას, „სახლში“ (საჯალაბო ოთახი) შუა ცეცხლის ადგილის შერჩევას ან ბუხრის აგებას, ჩუქურთმით დეტალების მორთვას, გადახურვას, სამეურნეო სათავსოების მოწყობას და სხვა. აღმშენებლობის წარმოდგენილ ნიუანსებზე სიტყვიერ მასალას ერთვის ფოტო-სურათები და სქემატურად შესრულებული გრაფიკული ჩანახატები (მასალები, 1976:415-428).

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, როგორც ქართველი ხალხის ხუროთმოძღვრული აზროვნებისა და კულტურის თავისებურებათა შესწავლას მიეძღვნა არქიტექტორ ი. ადამიას მონოგრაფიული გამოკვლევა: ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა), (ადამია, 1956). ავტორმა აჭარაში შეკრებილ საველე მასალების, ანაზომების, ჩანახატების, ფოტო-სურათების ლიტერატურულ წყაროებთან შეჯერებით მტკიცე ნიადაგი შეუქმნა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების ძირითად ხუროთმოძღვრული ასპექტების მეცნიერულ კვლევას. ავტორი რომელიც ზოგჯერ მიმართავს ეთნოგრაფიულ თავისებურებების წარმოჩენას ხუროთმოძღვრული ინტერესებიდან გამომდინარეა. ამიტომაც, მეტად საგულისხმოა ი. ადამიას მიერ აღწერილი დეტალები, მონაცემები ზემო აჭარული საცხოვრებელი ფართის სეგმენტაციის თაობაზე. მკვლევარი ჩამოთვლის შემდეგ სათავსოებს: 1. საჯალაბო ანუ „მუთვაღი“, იგივე სამზარეულო; 2. „ჰარამოდა“ ანუ „შიანე ოთახი“–ცოლ-ქმრის საძინებელი ოთახი; 3. „მაიდან“ ოთახი ანუ სასტუმრო ოთახი, 4. „სარძიე“ ანუ ავტორის განსაზღვრებით „სანოვაგის შესანახი ოთახი“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში

„სარძიეს“ სამომხმარებლო ფუნქციის გაფართოება შეიძლება რომელიღაც კერძო, იშვიათი, გამონაკლისი ფაქტის გამო მოხდა. ამგვარი ახსნა-განმარტება ეთნოგრაფიულ უზუსტობად უნდა მივიჩნიოთ. მკვლევარი აგრძელებს საცხოვრებელი ფართის დანაწილების ასპექტში მთავარი, მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის დასახელებას: „სახლს მთელ სიგრძეზე დერეფანი გაჰყვება და ეს ოთახები მის გარდი-გარდმოა სიმეტრიულად განლაგებული. დერეფნის ბოლოს აივანზე გასასვლელი კარია. იქვე, აივანზე, ფეხსალაგია მოთავსებული“[10]. ი. ადამია სხვა მონაცემებსაც გვაძლევს: „შედარებით შეძლებულ გლეხთა საცხოვრებელ სახლებში, ვხვდებით, აგრეთვე, ცოლ-ქმრის საძინებელი ოთახის გარდა, ოჯახის სხვა წევრთათვის ცალკე საძინებელ ოთახსაც“. ასევე, ვგებულობთ სათავსოების შესახებ სხვა ნიუანსებსაც. კერძოდ, ვეცნობით: ოთახების ზომა-სიდიდე 10-დან 25 კვადრატულ მეტრამდე მერყეობსო, სათავსოების სიმაღლე 240 სმ-დან 250 სმ-ს არ აღემატებაო. აღნიშნულისაგან განსხვავებულ შემთხვევებსაც გვაწვდის და ასახელებს სოფ. ღორჯომში (აქ ავტორი ცდება – უნდა იყოს სოფ. დიდაჭარა– ჯ.ვ.) ა. დემეტრაძის, ხოლო ხიხაძირში ა. გაბაიძის სახლის სათავსოების სიმაღლე – 3 მეტრს აღწევსო (ადამია, 1956: 40,41).

ი. ადამიამ აჭარაში არსებული საცხოვრებელი ნაგებობანი დაჰყო აჭარულ, ლაზურ და ოდური ტიპის სახლებად. აღნიშნული ტიპების დადგენას ავტორმა საფუძვლად დაუდო საცხოვრებელი სახლის გეგმა და მისგან გამომდინარე ზოგიერთი კომპოზიციურ-კონსტრუქციული თავისებურებები. აჭარულ საცხოვრებლის ტიპად მიიჩნია აჭარისწყლის ხეობის, კერძოდ მთიანი აჭარის სახლები. ავტორი „აჭარული“ ტიპის სახლის ნიშანდობლივი ელემენტების დაწვრილებით დახასიათების შემდეგ ანალოგიურად განიხილავს „ლაზური“ სახლის ცალკეულ თავისებურებებს, აღნიშნავს რომ „საცხოვრებელი სახლის (ლაზურის-ჯ.ვ.) ამ ტიპის დასადგენად მიღებული გვაქვს ძირითადად გეგმის გადაწყვეტის წესი. გარდა ამისა ამ ტიპის ხალხურ საცხოვრებელ სახლს პირობითად ვუწოდებთ „ლაზურ ტიპს“ იმის გამო, რომ ასეთი სახლები მასიურად გავრცელებულია იმ ადგილებში, სადაც ქართველთა უძველესი ტომები ლაზებია დასახლებული, იგი მათი საცხოვრებელი სახლის უძველეს სახეს წარმოადგენს“ (ადამია, 1956 : 48).

გარდა დასახელებული მიზეზისა, რომ „პირობითად“ ლაზურს უწოდებს ი. ადამია, მის მიერ მინიშნებული მეორე გარემოებაც არის ანგარიშგასაწევი, კერძოდ, ის რომ – ორივე ტიპის სახლებს მსგავსი ჰქონია სახურავის ფორმა, „...

[10] უნდა შევნიშნოთ, რომ არქიტექტორ ი. ადამიას ჩამონათვალში „კოშკის“ არსებობის ფაქტი არ დასტურდება, რასაც სათანადო ახსნა გააჩნია.

ნარკვევში მოყვანილი გრაფიკული მასალიდან ჩანს, სრულიად არ განსხვავდება აჭარული ტიპის საცხოვრებელი სახლის სახურავის ფორმისაგან, ამიტომ ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მისი დაწვრილებითი აღწერილობა“ (ადამია, 1956:52). კიდევ ერთი გარემოება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში – ავტორს დასახელებულ ნაშრომში დაუზუსტებია აჭარაში ლაზური სახლის გავრცელების ტერიტორია. მისი თქმით... „ლაზური ტიპის სახლი ზემო აჭარაში არაა გავრცელებულიო“. უნდა ვიფიქროთ, რომ რომ ი. ადამია სოფ. ფურტიოსა და ოლადაურში (შუახევის რაიონი) დღესაც არსებულ ე.წ. ლაზურის ერთ-ერთი ქვეტიპის სახლების არსებობის შესახებ არ იყო ინფორმირებული. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ის რომ მკვლევარს შეუნიშნავი არ დარჩენია... ლაზური და აჭარული ტიპის საცხოვრებელი სახლების ურთიერთშერწყმის მაგალითები“. ამ რიგის „შერეული ტიპის“ სახლების სამშენებლო ხელოვნების ამოცანების გადაწყვეტისას იმდენად თანაზომიერებაა დაცული ... „რომ ძნელი ხდება დადგენა, თუ, რომლის მემკვიდრეობა უფრო ჭარბობს მათ შორის“ (ადამია, 1956:51).

აღსანიშნავია, რომ ი. ადამიამ ზემო აჭარაში ერთჭერქვეშ განთავსებულ საცხოვრებელ და სამეურნეო (პირველ სართულზე ბოსელი, სახურავის-სხვენის სივრცეში სიმინდის თუ სხვა მარცვლეულის სათავსოები) კომპლექსური ნაგებობების გარდა გამოავლინა ისეთი ერთეული შემთხვევები, როცა დასახელებული სათავსოები სახლის გარეთ, კარმიდამოს სივრცეში ჰქონდათ განლაგებული. ასე მაგალითად, ბოსელზე დადგმული საბძელი. ხუროთმოძღვრული ინტერესების ფარგლებში მკვლევარმა სრულად მიმოიხილა მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები, როგორიცაა: ნალია, სასიმინდე, ბეღელი, მარანი, წისქვილი და სხვ.

მ. გარაყანიძემ 1959 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში: „საქართველოს ხით ხუროთმოძღვრება“ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის არქიტექტურულ მონაცემებს შორის ქვემო აჭარიდან სარფის, ბზუბზუს, ხოლო ზემო აჭარიდან რიყეთის, ჭერის, ქედლების და სხვ. სოფლების განაშენიანების, ასევე, კარმიდამოს, დაგეგმარების, საცხოვრებლების ნიმუშები ინტერიერისა და ექსტერიერის თავისებურებებთან ერთად სამეურნეო ნაგებობები (სასიმინდე, ბეღელი, წყლის წისქვილი, ბოსელი და სხვ.) წარმოადგინა; დაახასიათა ლაზური და აჭარული სახლის სამშენებლო მასალა, შენობის სართულიანობა, ოთახების ფუნქციური განაწილება, რელიგიურ რიტუალის აღსრულების ადგილები; ყურადღება გაამახვილა ბუხრით გათბობისა და განათების საშუალებებზე, ასევე, სამზარეულოში საოჯახო დგამ-ავეჯზე, საძინებელი და სასტუმრო ოთახებში საწოლების განლაგებაზე და სხვა. მხედველობიდან არ გამორჩენია სასტუმრო ოთახის

ჭერის კესონურ-დეკორატიული ეფექტი. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხუროთმოძღვრულ ელემენტს „ყუბე“-ს უწოდებენ. იგი ზოგიერთ მეჩეთზე დიდი ხელოვნებითაა გაკეთებული. ამათგან დავასახელებთ ხიხაძირის მეჩეთს, სადაც ჭერზე დიდი ოსტატობითაა შესრულებული ხეზე კვეთილობის ნიმუშები.

ხუროთმოძღვრული კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე აჭარის საცხოვრებელი ნაგებობის შესწავლასთან დაკავშირებით უხვი და მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალა დაფიქსირდა, თუმცა საცხოვრებლის ტიპის გარკვევისათვის კრიტერიუმად ნაგებობის გეგმის და კომპოზიციურ-კონსტრუქციულ თავისებურებათა გამოვლენა საკმარისი არ არის. საცხოვრებლის გეგმის ჩამოსაყალიბებლად აღნიშნულთან ერთად უნდა გამოიკვეთოს როგორც საოჯახო ურთიერთობის, სამეურნეო საქმიანობისა და რწმენა-წარმოდგენების არსებითი მხარეები. სამეურნეო სფეროსთან დაკავშირებით აუცილებელია გაირკვეს საქონლის სადგომის ფორმა და მასშტაბი; აგრეთვე–პირუტყვისთვის გამოსაზამთრებელი საკვების შესანახი სათავსები: საბძელი, ნალია, ბეღელი. ამ თვალსაზრისით გეგმაზომიერი კვლევა-ძიება დაიწყო 1958 წლიდან როცა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა და პროფ. ალ. რობაქიძის ხელმძღვანელობით ფუნქციონირება დაიწყო ეთნოგრაფიის განყოფილებამ. იმთავითვე მაგისტრალურ მიმართულებად გამოიკვეთა აჭარის მოსახლეობის მატერიალური კულტურის, სოციალური ურთიერთობის, სამეურნეო ყოფისა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენების შესწავლა. დასახლების ფორმებისა და საცხოვრებელი ნაგებობის რთული კომპლექსის ზემო აჭარის მაგალითზე კვლევას მიეძღვნა რიგი ეთნოგრაფიული ნაშრომები (რობაქიძე, 1960:5-22; მისივე: 1967:52-72; ჩიქოვანი, 1960:95-102; მგელაძე, 1973, მიქელაძე, 1982:15-40 და სხვ.).

ცნობილია, რომ ზემო აჭარაში, მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწის სიმცირის გამო, მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა. ძირითადად ორ ან სამსართულიანი სახლის პირველი სართული უმთავრესად საქონლის სადგომი იყო, რაც მთის უხვთოვლიან, ხანგრძლივ ზამთარში პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის ოპტიმალურ პირობებს ჰქმნიდა. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მესაქონლეობის ტრადიციული ფორმების შესწავლისას სათანადო ყურადღება ახორს (ბოსელს) და მეორე სართულზე რძის პროდუქტების შენახვა-გადამუშავებისათვის გამოყოფილ „სარძიე“[11] ოთახს ექცეოდა. აღნიშნული გარემოების

[11] „სარძიეს“ გარდა ხულოს რაიონის მოსახლეობაში იშვიათად გამოიყენებოდა ტერმინი „ქილერი“, რაც თურქული სიტყვაა და „პროდუქტების შესანახი ადგილი“-ს, „საკუჭნაო“-ს მნიშვნელობის მქონე იყო (გურგენიძე, 1973:30). „სარძიეს“ სხვა სახელითაც მოიხსენებდნენ „მარანი“-თა და „ბეღელი“-თ (ჩელებაძე, 2005:89). შევნიშნავთ, რომ „მარანი“სარძიეს მნიშვნელობით გვხვდება შავშეთ-იმერხევის საცხოვრებელ სახლებში. ეს ტერმინი მეტად პოპულა-

გამო მესაქონლეობის თემაზე მიძღვნილ ნაშრომებში საცხოვრებლის შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით (შამილაძე, 1963:3-15; მისივე, 1969:127-134). სოციალური ურთიერთობის შესწავლას მიეძღვნა თ. ჩიქოვანისა და ვლ. მგელაძის ნაშრომები მეტად საყურადღებო მეცნიერული მოსაზრებებით. ამ მოსაზრებების ურთიერთშეჯერებით პროფ. ალ. რობაქიძემ აღნიშნული შესწავლის შედეგები განაზოგადა და წარმოაჩინა თეორიული მნიშვნელობის რიგი ასპექტები; კერძოდ, ის რომ აჭარაში საცხოვრებელ ნაგებობათა რამდენიმე ტიპის არსებობა განპირობებული იქნა მკვეთრად გამოვლენილი ვერტიკალური ზონალობითა და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნებით. ამათგან ერთ-ერთი ტიპის, კერძოდ, ალპურ ზონაში მესაქონლეთა სადგომის, ე.წ. ძირთული ჯარგვალის სამშენებლო მასალის, ნაგებობის გეგმისა და კონსტრუქციული თავისებურებების გამოვლენით დადასტურდა ამ მარტივი შენობის, როგორც ხუროთმოძღვრული ტიპის, უძველესი დროიდან მომდინარეობდა. ასევე გამოითქვა მოსაზრება ძირთული ჯარგვალიდან ზედშედგმული ჯარგვალის განვითარების თაობაზე. ხოლო შემდგომ ეტაპზე კი–ცალპირა სახლისა[12], რომელიც დროთა განმავლობაში დასრულებულ ფორმად ჩამოყალიბდა ე.წ. ორსართულიანი აჭარული სახლის სახით (რობაქიძე, 1960:23). აჭარული სახლი აღიარებული იქნა ქართული ხალხური ხით ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად და მისი ადგილი იმერული ოდიდან ლაზური ოდისაკენ გარდამავალ საფეხურად განისაზღვრა; ხაზი გაესვა აჭარული საცხოვრებელი კომპლექსის გადამწყვეტ მნიშვნელობას დასავლურ-ქართული საცხოვრებელი ნაგებობების განვითარების პროცესში.

აჭარული სახლი, როგორც ქართული ხალხური ხით ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუში, თავისი საკმაოდ დიდი გაბარიტებით, ვერტიკალურად განვითარებული–ორ, ხშირად–სამ, იშვიათად, ოთხსართულიანობით სრულიად აკმაყოფილებდა შიგ მცხოვრებ საქორწინო წყვილთა და მათ მემკვიდრეთა აუცილებელ მოთხოვნებს. პროფ. ალ. რობაქიძის აზრით: „აჭარული სახლის ეს ფორმა უპასუხებდა მრავალრიცხოვანი ოჯახის ინტერესებს, რომელიც გად-

---

რულია ამ კუთხის მოსახლეობის მუსიკალურ ფოლკლორში (ფაღავა, 2011:542). აქვე, მითითებულია სხვა ავტორებიც, რომელთაც ჩაწერილი და გამოქვეყნებული აქვთ ანალოგიური ფოლკლორული მონაცემები.

[12] სოფ. დიდაჭარაში გამოვლენილ ე.წ. ცალპირა სახლის შესახებ ალ. რობაქიძე წერს, რომ ... „ მისი ძირითადი ნიშნების მსგავსება ერთის მხრივ, საძოვრების (ზონაში–ჯ.ვ.) ზედშედგმული სახლის ნიშნებთან, ხოლო მეორე მხრივ, აჭარულ ორსართულიან სახლთან უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ეს ნაგებობა აჭარული სახლის განვითარების პროცესში კიდევ ერთ საფეხურს წარმოადგენს“ (რობაქიძე, 1960:23).

მონაშთის სახით ჯერ კიდევ ატარებდა საოჯახო თემის ტრადიციებს და ამდენად დიდ ოჯახს წარმოადგენდა“.

აჭარის საკარმიდამო კომპლექსის, კერძოდ, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კვლევა 1970 წლიდან ეთნოგრაფმა ჯ. მიქელაძემ გააგრძელა. მან ახლად მოპოვებული საველე ეთნოგრაფიული მასალების გამოყენებით 1982 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში“ (მიქელაძე, 1982) საცხოვრებელი ნაგებობანი განიხილა სართულიანობის, სახურავის კონსტრუქცია–ქანობიანობის, შენობის კონფიგურაციის, მიწური ან ფიცრული იატაკის, შუა ცეცხლის თუ ბუხრის, სამშენებლოდ მრგვალი ხის, ფიცრის, ქვის, აგურის, ზოგჯერ ქვისა და ხის შერეული მასალის გამოყენებისა თუ სხვა ასპექტების კვალობაზე. გაიზიარა მკვლევარ ი. ადამიას მიერ დადგენილი სახლის ტიპების (აჭარული, ლაზური, ოდა-სახლი) არსებობა და მეოთხე ტიპად გამოჰყო აჭარის ალპურ ზონაში შემორჩენილი მემთევრეთა სეზონური ნაგებობა – ძირთული ჯარგვალი და მისგან განვითარებული ზედშედგმული ჯარგვალი. მკვლევარმა აჭარის ტერიტორია საცხოვრებელი სახლების ტიპების გავრცელების მიხედვით ოთხ ვერტიკალურ ზონად დაჰყო. ამ კლასიფიკაციის საფუძვლად მიჩნეულია პარამეტრების კომპლექსი: საცხოვრებლის დაგეგმარება, სართულიანობა, გადახურვის სისტემა და სამშენებლო მასალა“[13] (Микеладзе, 1982:39).

1. სამხრეთ-აღმოსავლეთი (ხულოსა და შუახევის რაიონები. ამავე ზონაში შედის ქობულეთის მაღალმთიანი ხინოს დასახლება); 2. სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (ქედისა და ხელვაჩაურის რაიონები, მთიანი ზოლი); 3. ბარის ზონა (ნაწილობრივ ხელვაჩაურის და მთლიანად ქობულეთის რაიონი); 4. ალპური და სუბალპური ზონა (მთიანი აჭარა) (მიქელაძე, 1982).

ჯ. მიქელაძემ აჭარის საცხოვრებელი სახლების ვერტიკალური-ზონალობის პრინციპით დაყოფის აღნიშნული ტიპების არსებობა უცვლელად გაიმეორა 2009 წელს დაბეჭდილ ნაშრომში (მიქელაძე, 2009:407-408).

ამრიგად, ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებულია, რომ ტრადიციულად მთიანი აჭარის სოფლებში, დაფერდებულ რელიეფზე, თითოეული კომლის სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთის, „ნაფუძარი“// „ნაფუზარის“ ზემო ნაწილში განლაგებული იყო, ძირითადად, ხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნა-

[13] ჯ. მიქელაძე აღნიშნავს, აჭარაში ტრადიციულად არსებული საცხოვრებელი ფორმების წარმოდგენილი კლასიფიკაცია ცდაა ამ საკითხის დასმისა და არ აქვს პრეტენზია მისი საბოლოოდ გადაწყვეტისა (Микеладзе, 1982:39).

გებობები[14]. როგორც წესი, აქაური სახლების პირველი სართული საქონლის სადგომს-ახორს ეკავა.

შეიძლება ითქვას, რომ ზემო აჭარაში საცხოვრებელი სახლის ტიპთან დაკავშირებით მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული, რომელთა შორის მეტად მნიშვნელოვანია დიდი ოჯახის გადმონაშთური ფორმით შემონახულობის მიზეზების დადგენა. ამ ვითარების გარკვევის, მიზეზ-შედეგობრიობის დასადგენად ახალი მონაცემების გამოყენებით შესაძლებელია უფრო მეტი არგუმენტი წარმოჩნდეს სოციალური ურთიერთობის ამ სფეროს კერძოდ, დიდი ოჯახის წარმოშობის თუ კონსერვაციის საკითხის ნათელყოფა-გაგებისათვის. მიგვაჩნია, რომ საამისოდ, საილუსტრაციოდ რამდენიმე ეთნოგრაფიული ფაქტი გავიხსენოთ ე.წ. „დიდი ოჯახის“ შესახებ, რომელიც XX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან არის მოპოვებული[15].

---

[14] ზემოთ აღნიშნული მიმოხილვით, რითაც მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვიდგინეთ მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის–საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლის ძირითადი ეტაპები ზემო აჭარაში ობიექტურად აღიარებულია, რომ ნაგებობის ეს ორი შემადგენელი ელემენტი, ე.ი. საცხოვრებელი და სამეურნეო ფუნქციის სათავსოების ერთჭერქვეშ გაერთიანება-განლაგება მესაქონლეობის მაღალი განვითარების, ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ხე-ტყის სიუხვისა და ასევე ძველთაგან მომდინარე საალმშენებლო ტრადიციების ერთმთლიანობაში გაჯერება-შეზავებული ფორმით არსებობა სწორედ რეგიონალურ ეთნოგრაფიულ თავისებურებას წარმოადგენს, რითაც ეს კუთხე გამოირჩევა საქართველოს სხვა კუთხეებისაგან. ბუნებრივია ამ მახასიათებლებს უნდა მიემატოს ისტორიული ავბედობით შექმნილი რელიგიური თუ პოლიტიკური პროცესებიც. სამეცნიერო ლიტერატურაში ზემო აჭარის საკარმიდამო კომპლექსი შედარებულია გურიის, სამეგრელოს, ქვემო რაჭის, ლეჩხუმის, აფხაზეთის შესაბამის მონაცემებთან, დადასტურებულია მნიშვნელოვანი განსხვავებები, რაც საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსოების ერთჭერქვეშ არსებობით არის წარმოდგენილი (ბაგრატიონ-დავითაშვილი, შალვაშვილი, 2005:14-15).

[15] დიდი ოჯახის, როგორც საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმით შემონახულობა დადასტურებულია მთიანეთის მესაქონლეთა (ქიზიყი, თუშეთი, მოხევეები, ფშაველები), მიწათმოქმედთა (ქართლი, კახეთი, იმერეთი, ზემო და ქვემო რაჭა) და ამ ორი დარგის სიმბიოზური მეურნეობის მქონე (რაჭისა და სვანეთის) მხარეებში (Харадзе, 1960). აჭარაში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მკვლევარმა ნ. მგელაძემ საყურადღებო თეორიული მოსაზრებები წარმოადგინა დიდი ოჯახის პრობლემასთან, კერძოდ სოციალური ურთიერთობის ამ ფორმასთან-განსაკუთრებით დიდი ოჯახის სეგმენტაციისა და ნათესაური ურთიერთობის ლოკალურ და ზოგადქართულ თავისებურებებთან დაკავშირებით (მგელაძე, 2004). ამ ბოლო დროს საქართველოს ისტორიის ოსმალური დოკუმენტური წყაროების ანკარისა და სტამბოლის არქივში მოძიებულ მონაცემებში გარკვეულად აისახა აჭარის, მათ შორის ხულოს მუნიციპალიტეტის, მოსახლეობის ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ქრონოლოგიურად ორ ეტაპს განეკუთვნება: 1. ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობილ ტერიტორიის მოსახლეობაზე გადასახადების გაწერის დავთრები (1566-1574 წ.წ.), რომელიც გამოქვეყნებულია ისტორიკოსების ზ. შაშიკაძის და მ.

„დიდი ოჯახის“ გადმონაშთური სახით შემონახულობა საქართველოს მთიანეთის და სხვა კუთხეებისათვისაც ყოფილა დამახასიათებელი. მკვლევარ ვლ. მგელაძის ცნობით: „აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ერთიანობის სახლში“ მცხოვრები კოლექტივი 25-50 და ზოგჯერ მეტ სულს მოითვლიდა“ (მგელაძე, 1973:102). ქვემო აჭარაში გამოვლენილი დიდი ოჯახები გაცილებით ნაკლებს 14-18 კაცამდე აღწევდა. ზემო აჭარაში, დიდ ოჯახში სულადობა ორ-ჯერ, იშვიათად თითქმის სამჯერ მეტიცაა დაფიქსირებული. ერთჭერქვეშ მცხოვრები მრავალრიცხოვანი კოლექტივის საარსებო-საყოფაცხოვრებო პირო-ბებისა და შიგ მობინადრეთა შორის ურთიერთობის ნორმების წარმოსაჩენად რამდენიმე კონკრეტულ მონაცემს მოვიტანთ: ასე, მაგალითად, ღორჯომის თემ-ში „... მურად ბერიძის 4 ვაჟს 3 თაობისაგან შემდგარ ერთიანობაში უცხოვრიათ, რომელიც 38 ადამიანს მოითვლიდა. ამ ოჯახს გააჩნდა ორსართულიანი სახლი თავისი ახორით. საცხოვრებელი შედგებოდა 8 ოთახისაგან. ოჯახს ჰყავდა 40 ძროხა, 3 უღელი ხარი, 50 თავი ცხვარი, 5 ფურკამეჩი, ერთი უღელი ხარ-კამეჩი და 2 ცხენი“. დადასტურებულია განსხვავებული მდგომარეობაც. იმავე თემის სოფ. სტეფანაშვილებში შ. ართმელაძის 40 კაციან დიდ ოჯახს, რომელიც 12 ოთახიან სახლში ცხოვრობდა (ეს სახლი 1959 წ. დაუშლიათ), 80 სული საქონელი ჰყოლიათ– მხოლოდ მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვი. დიდი ოჯახის არსებობის ანალოგიური ფაქტები ზემო აჭარის სხვა სოფლებში არის დადასტურებული. ცნობილია ისეთი იშვიათი შემთხვევაც როცა დიდი ოჯახის წევრთა ერთიანობა, ერთ სახლში ძმების ოჯახების თანაცხოვრების გარეშეც ხდებოდა. სამაგალი-თოდ მოვიტანთ საციხურელი ზ. მარკოიძის ოჯახს: ... „მისი მშობლების სი-ცოცხლეში გაუყრელად ცხოვრობდა 4 ძმა. ყველას ჰყავდა ცოლშვილი მათთან ერთად ცხოვრობდნენ მშობლები და ბიძები. ოჯახს ჰქონდა სამი სახლი, მაგრამ „მიწა ერთად ჰქონდათ, ერთად შრომობდნენ, ერთად სადილობდნენ და სტუმარიც ერთი ყავდათ“ (რობაქიძე, 1974: 37).

დიდ ოჯახში სულადობის მატება ხდებოდა თანდათანობით. სიმრავლით შექმნილ სიმჭიდროვეს ზოგან დროებით შველოდნენ იმით, რომ სახლის ჭერში, ანუ თავანში“ არსებულ ხილისა და მარცვლეულის შესანახ ხულა-ბეღელსა თუ

მახარაძის მიერ (შაშიკაძე, მახარაძე, 2011). 2. მოგვიანო, თურქეთის იმპერიის სამხედრო პოტენციალის აღწერასთან დაკავშირებით (1835-1845 წწ, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ახლო მომავალში. ისტორიკოს ზ. შაშიკაძის დახმარებით ნაწილობრივ გავეცანი საარქივო მონაცე-მებს, რისთვისაც მკვლევარს მადლობას მოვახსენებთ. ორივე დოკუმენტურ აღწერებში ვხვდე-ბით ცნობებს საცხოვრებელი სახლისა და საოჯახო ურთიერთობის ფორმების შესახებ. პირ-ველ დოკუმენტში გამოვლინდა თითქმის მხოლოდ ინდივიდუალური ოჯახები და ის ობიექ-ტური მიზეზები, რაც იწვევდა მათ დიდ ოჯახებად გაერთიანებას ეკონომიკური და სოცია-ლური ფაქტორების გამო. ამ მიმართულებით კვლევა ახლო მომავლის გადაუდებელი საქმეა.

ე.წ. „კიდობანს“ იყენებდნენ ახალგაზრდა ცოლ-ქმრისათვის საძინებელ ოთახად, ბუნებრივია, სათანადოდ მორთვა-მოწესრიგების შემდეგ. ასეთი გარემოება ერთ-ერთი წინაპირობა იყო ახალი საცხოვრებლის ასაშენებლად. შემთხვევითი არაა, რომ აჭარაში ვაჟის „დაქორწინების“ სინონიმად, „დასახლებას“ ამბობენ. ასე მაგ.: შვილი (ან ვინმე) დავასახლე, ან პირიქით არაა დასახლებული ე.ი. არაა დაქორწინებული. არსებული სახლის გვერდით სათავსოს მიმატება-მიშენება გამორიცხული იყო. იშვიათად სხვა გამოსავალიც ყოფილა. ეთნოგრაფ თ. აჩუგბას[16] მონაცემებით სოფ. ბახუტარაძეებში ალი სირაძის დიდ ოჯახში ოთხ თაობას – დაოჯახებულ 6 შვილსა და მათ მემკვიდრეებს, სულ 27 სულს, გაყრამდე (1913 წ.) ერთად უცხოვრიათ. ოჯახის წევრთა გამრავლების გამო მათ ორსართულიან სახლზე მესამე სართული დაუშენებიათ, მოგვიანებით კი – მეოთხეც. ეს სახლი გაყრის შემდეგაც მთელი ოთხი ათეული წლის მანძილზე იდგა, როგორც დიდი ოჯახის დამადასტურებელი მატერიალური ფაქტი (აჩუგბა, 1990:20) დიდი ოჯახის არსებობას ძირძველი ტრადიციები და მოსახლეობაში გარკვეული გამართლებაც ჰქონდა: „უწინ ვინც ერთად იცხოვრებდა, იმათ ხალხი აფასებდა, იტყოდნენ: უფროს-უმცროსობა იციან, ერთმანეთს პატივს სცემენ და ამიტომ ძლიერი ოჯახები აქვთო“ (აჩუგბა, 1990:25).

ოჯახის სიძლიერეში, ძირითადად, ეკონომიკური ფაქტორი იგულისხმებოდა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, ზემო აჭარაში, ალპური ზონის სიახლოვით შექმნილი უკეთესი პირობების გამო, მესაქონლეობა (მსხვილფეხარქოსანი) წარმოადგენდა. მეურნეობის ამ დარგის წარმართვა მოითხოვდა ალპურ იალაღებზე 3-4 კაციან მემთევრეთა, ჭალებში 8-10 კაციან მთიბავთა შეუსვენებელ შრომას, იმავდროულად საკარმიდამო ნაკვეთის მოვლა-პატრონობაზე სხვა გამრჯე ხელი იყო დასაქმებული (ნიადაგის გაფხვიერება, სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, მორწყვა და სხვა).

[16] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1990 წელს დაბეჭდა ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თ. აჩუგბას წიგნი: „ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში“. ამ ნაშრომიდან მოგვაქვს მონაცემები, რომელიც ხულოს რაიონის მოსახლეობაშია შეკრებილი და საოჯახო ყოფას წარმოაჩენს: სოფ. ლაბაძეებში მურად ბერიძის შთამომავლებს 4 ძმას თავიანთი შვილებითა და შვილიშვილებით ერთად უცხოვრიათ XIX საუკუნის ბოლომდე; სოფ. ტუნაძეებში ხასან ჭელიძის ოჯახი 20 სულისაგან შედგებოდა, ერთჭერქვეშ ჰყოლია ხუთი დაცოლშვილებული ვაჟი; სოფ. ვანაძეებში დურსუნ ვანაძის შთამომავლებს 40 სულიან ოჯახს, 5 ძმას შვილებითა და შვილიშვილებით 1928 წლამდე ერთად უცხოვრიათ, სოფ. თხილვანაში ბოლქვაძეების შთამომავლებმა 24 სულიანმა ოჯახმა გაყრის შემდეგაც ორი ათეული წლის განმავლობაში ერთ ჭერქვეშ იცხოვრა; სოფ. დიდაჭარაში გობაძეების ოჯახში ექვსი ძმა ცხოვრობდა შვილებითა და შვილიშვილებით – სულ 41 სული (აჩუგბა, 1990:18-23). ეს არაა სრული ჩამონათვალი დიდი ოჯახებისა.

ცნობილია, რომ სოციალური ურთიერთობის ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორიცაა ინდივიდუალური ოჯახი, თუ საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმა–დიდი ოჯახი, ძირითად სამეურნეო (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) მახასიათებლებით, ზოგჯერ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენების ელემენტებთან ურთიერთშერწყმული ერთ ფაქტორად საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე განაპირობებდა საცხოვრებელი სახლის ზომა-სიდიდეს, სართულიანობას, ოთახების ფართის სიდიდესა და რაოდენობას, სეგმენტაციის თავისებურებებს, საკომუნიკაციო სისტემას შენობის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ პარამეტრებში.

ზემო აჭარის ტრადიციული ოჯახის ძირითადი მახასიათებლების კერძოდ, დიდი თუ პატარა ოჯახის შიდა ფართის სეგმენტაციის, ფუნქციისა და სტრუქტურის შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ ისტორიულ წყაროებში, ოფიციალურ დოკუმენტებში. ამჯერად, მხედველობაში გვაქვს XVI საუკუნის შუა ხანებში თურქეთის სულთან სულეიმანის (1520-1566 წწ) აღზევებისა და სიძლიერის პერიოდი, როცა ფეოდალურად დანაწევრებული ქართული მიწა-წყლის სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიების, მათ შორის აჭარის, დაპყრობა მოხდა. შემდეგი ნაბიჯი დამორჩილებული მოსახლეობის ექსპლოატაციისა მძიმე უღლის–დაბეგვრა-გადასახადების შემოღება იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სწორედ ეს რთული ისტორიული პროცესია გამოკვლეული ისტორიკოსების შ. შაშიკაძისა და მ. მახარაძის ერთობლივ ნაშრომში: „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ (შაშიკაძე, მახარაძე, 2011), რომელშიც თვალნათლივ ჩანს დამპყრობთა ფისკალური ინტერესები.[17] ცხადი ხდება ის მძიმე ხვედრი, რაც იგემეს ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობამ. ე.წ. დავთარზე დასმულია თუღრა: „სულთან სელიმ ხანი სულეიმან ხანის ძე, გამარჯვებული“, რითაც დაკონკრეტებულია მის შედგენის თარიღი 1566-1574 წწ).

დასახელებულ დავთარში მრავალი ეთნოგრაფიული ყოფითი ფაქტია მოცემული, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას. აღსანიშნავია რომ ზემო აჭარის 59-დან 16 სოფელი დაცარიელებულა[18],

---

[17] ისტორიკოსები თურქეთის დაპყრობითი ომების მთავარ დედაარსს განსაზღვრავენ, რომ მათ „ხმალზე დაყრდნობილი ეკონომიკა“ ჰქონდათ. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ოსმალეთის იმპერიაში განსაკუთრებულად მოწესრიგებული იყო დაპყრობილი ქვეყნის აღწერა, სამხედრო და საფინანსო სამსახურები დაწვრილებით, დიდი სიზუსტით ასრულებდნენ ამ საქმეს (შაშიკაძე, მახარაძე, 2011:5).

[18] ამ მხრივ ხულოს მუნიციპალიტეტში მეტად თვალსაჩინო ვითარება გამოიკვეთა: სოფელ ხუციშვილებში არ ცხოვრობენ ხუციშვილები, ანალოგიურია სოფელ მეხელაშვილებში, სტეფანაშვილებში, მინთაძეებში, ლაბაძეებში და სხვა (იხ.: მგელაძე, 1973:30). თუ ამ მიმართებით

მიტოვებული კარ-მიდამო ბოროტი ადამიანების სათარეშოდ ქცეულა. გადახ-ვეწილთ კი მტრისაგან მიუწვდომელ მხარეში თავი შეუფარებიათ. უცნობია მათი რაოდენობა და იმათიც ვინც შემოჭრილ მტერს შეებრძოლა და დაიღუპა. ზოგიერთ სოფელში ორიოდე ოჯახი დარჩენილა და მათაც ანალოგიურად აქვთ შეწერილი 15-დან 18-მდე დასახელების სხვადასხვა გადასახადი.[19] ასეთ მდგომარეობაში მყოფი 315 კომლია ჩამოთვლილი ქრისტიანული რწმენის მქონე, რომელთაც ჯერ კიდევ ღორი ჰყავდათ თავიანთ საოჯახო მეურნეობაში და იხდიდნენ ყურძნის წვენის – შირას გადასახადსაც. დავთარში თითოეული ოჯახის უფროსი მამაკაცის სახელი და მამის სახელია ჩამოთვლილი, მინიშნებულია ვინ ვისი მამა, ძმა და შვილია. დაცოლშვილებული მამაკაცი ცალკე ოჯახადაა გამოყოფილი. აშკარადაა გამოხატული შთამომავლობაში თაობრივი დიფერენციაციის სურათი. მხოლოდ ათამდე სოფელში ყოფილა მღვდელი და ისეთი ფაქტიც გვხვდება, რომ ქრისტიან ღვთისმსახურთა მიწისა და ვენახის ფართობებს უკვე დაპატრონებია სულეიმან ბეგი, მუსტაფა ბეგი, ჰუსეინ ბეგი და სხვები. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ მუსლიმანურად არ არიან ცნობილი. ამრიგად, აღწერილი თითოეული ოჯახის უფროსი იხდის ქრისტიანებისადმი შეწერილ-ისფენჯის, 25 ახჩას[20].

როგორც აღვნიშნეთ საგადასახადო დავთარში ჩამოთვლილია თითოეული ოჯახის კომლის უფროსი მამაკაცის სახელი და მამის სახელი, მინიშნებულია მისი დაოჯახებული ძმის ან შვილის სახელები. ირკვევა, რომ დასახელებული პერიოდისათვის დამახასიათებელი ყოფილა მხოლოდ ინდივიდუალური ოჯახები. ასე მაგალითად, სოფ. ღორჯორში გადამხდელებად აღრიცხულნი არიან:

მოვიშველიებთ ტოპონიმიკურ მონაცემებს შემდეგი სურათი გვექნება: ნასახლები (სახნავი)–აგარა; ნასახლევი (საყანე)–დიაკონიძეები, ელელიძეები; ნასახლევი (საძოვრები)–საციხური, გორხნაული, ყინჩაური; ნასახლევი (სათესი)–დანისპარაული, რიყეთი; ნასახლევი (სასოფლო)–ბაკო; ნასახლევი (ტყე)–გუდასახო, ნასახლევაᲲ (საყანე)–ფუშრუკაული, მინთაძეები, ბათაძეები; ნასახლევის ვაკე (სათიბები)–გელაურა; ნასახლევის ვაკე (საძოვარი–ბოღაური; ნასახლკარები (საყანეები)–ვერნები; აქეთა ნასახლები (საძოვარი)–კობალთა. იქითა ნასახლები (საძოვრები)– კობალთა, ქვედაᲲ ნასახლევი–გელაურა (ქამადაძე, 1992).

[19] გადასახადის ჩამონათვალი სოფ. ჩაოს მაგალითზე, რომლის მსგავსია სხვა სოფლებიც, შემდეგი სახისაა: ისფენჯის (ქრისტიანობის ხელშეუხებლობის), ხორბლის, ქერის, ფეტვის, კაკალის, შირა–მანის (ყურძნის წვენის), გამოსაღები ხილზე, იონჯასა და თივაზე, ბოსტანზე, კანაფზე. მურახხასიე, თაფუსა და დეშთიბანზე, ფუტკარზე, ღორზე, იალაღებზე, ცხვარზე, წისქვილზე, ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები. ერთ-ერთი სოფლის 7 კომლს შეწერილი ჰქონდა 7500 ახჩა (შაშიკაძე, მახარაძე, 2011:60-61).

[20] ახჩა ვერცხლის მონეტაა, რომელიც პირველად მოიჭრა ორხანის დროის (1326-1359) ქ. ბურსაში 1584-1586 წწ. 1 ახჩა შეიცავდა 0,384 გრამ ვერცხლს. სხვადასხვა დროს ვერცხლის შემცველობა ახჩას მონეტაში განსხვავებული იყო (სვანიძე, 1984:18). მკვლევარ მ. სვანიძის ვარაუდით XVI საუკუნის მეორე ნახევარში ახალციხის საფაშოში 1 კგ თაფლი ღირდა 3-4 ახჩა (სვანიძე, 1984:106).

იოანე ძე გიორგისა, გოჩა ძე მისი, ქაღადა ძმა მისი. ამ სოფლის 32 კომლიდან 29 მათგანი ასეთ ასპექტშია ჩამოთვლილი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია გამოვთქვით მოსაზრება, რომ დასახელებული პერიოდისათვის ზემო აჭარაში თითქმის ყველა ოჯახი ინდივიდუალური ყოფილა, მაგრამ იმის გამო, რომ გადასახადები თითოეულ კომლებზე იყო გაწერილი. ამ ვითარებიდან გამომდინარე შესაძლოა შემდგომი პერიოდისათვის ნაკლებად ხდებოდა ერთ სახლში დაქორწინებულ ცოლშვილიანი ძმების ოჯახების გაყრა.

გადასახადების თითოეულ ოჯახზე შეწერის თურქული კანონმდებლობით მიღებული მოთხოვნები გარკვეულ პერსპექტივებს უქმნიდა ოჯახების გაყრის საპირისპირო პროცესს, ე.ი. ინდივიდუალური ოჯახების ერთ ჭერქვეშ გაერთიანებასა, ანუ დიდი ოჯახების შექმნას. შეიძლება ითქვას, რომ ზემო აჭარაში, ისევე როგორც ქვემო აჭარაში ოსმალური გადასახადების შემოღების ეტაპზე დიდი ოჯახების არსებობის კვალი არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხობამ საგადასახადო უღლის შემსუბუქების მიზნით გამოსავალი ნახა ცოლშვილიანი ძმების მამის ოჯახში ერთად გაერთიანება ყოფნით, რაც ფაქტობრივად დიდი ოჯახის მომრავლებას განაპირობებდა[21]. თუ ამ ვითარებას მხედველობაში მივიღებთ და იმასაც აღვნიშნავთ, რომ დიდი ოჯახების ამგვარად ჩამოყალიბების საყოველთაო ხასიათი არ ჰქონდა[22] და იგი მაინც ინდივიდუალური, ნებაყოფლობითი პროცესი იყო მაგრამ იძულებითი გამუსლიმანებულთათვის არსებობდა სხვა გარემოებებიც... „ღარიბები ამ გადასახადებიდან თავის დასაღწევად 10-12 წლის ბავშვებს აქორწინებდნენ, რადგან კანონით დაქორწინებულები არ მიჰყავდათ მეომრად“. ბუნებრივია, ამ ასაკის დაქორწინებულების ცალკე კომლად გამოყოფა და მათზე საგადასახადო მოთხოვნების წაყენება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც გამოიკვეთა დიდი ოჯახის შექმნის ერთ-ერთი ვარიანტი, და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „თაფუს გადასახადი აიღებოდა იმ ადგილებიდანაც, სადაც სახლი შენდებოდა, მაგრამ იგი დავთარში ცალკე აღირიცხებოდა“ (შაშიკაძე, მახარაძე, 2011:38), მაშინ თუ ამ ვითარებას ანგარიშს გავუწევთ, გასაგები

[21] ამ ვითარებასთან დაკავშირებით შენიშნულია: ... „ოსმალეთის იმპერიაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც გადასახადების თავიდან აცილების მიზნით, შვილი მამას არ ეყრებოდა, რაც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ამ პერიოდის აჭარის მოსახლეობის რაოდენობის შეფასების დროს“ (შაშიკაძე, მახარაძე, 2011:20).

[22] აქედან გამომდინარე გასაგები გახდება, რომ თურქეთის უღლისაგან აჭარის განთავისუფლებიდან ექვსიოდე წლის (1884 წელს) შემდეგ ვ. ლისოვსკის მიერ დაფიქსირებულია მონაცემები ზემო აჭარის მიხედვით; კერძოდ: თითოეულ კომლში საშუალოდ მცხოვრებთა რაოდენობა ყოფილა: სოფ. გელაძეებში–7, კვატიაში–7.6, ბომაულში და ძმაგულაში–8, წაბლანაში–8,1, ბეღლეთში–8,2, ღორჯომსა და რაქვთაში –8.5, დიოკნისში–8.6, კორტოხში–9.7, გობაძეებში–11.9, შავაძეებში–18.4. ამ ვითარებისაგან განსხვავებული ჩანს ზოგიერთი სხვა სოფლები სადაც კომლში 4-5 სული ყოფილა, ასეთი 9 სოფელი მოითვლება (ლისოვსკი, 2015:167-182).

გახდება, თუ რამდენად გამართლებული იყო ხალხში არსებული გააზრება დიდი ოჯახის ეკონომიური მოსაზრებით შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ.

როგორც ირკვევა, ზემო აჭარაში ინდივიდუალური ოჯახიდან რუდიმენტული ფორმით შემორჩენილი დიდი ოჯახის გადმონაშთური ნიშნების გამოცოცხლება-გააქტიურებას ხელი შეუწყო თურქეთის მმართველობის პერიოდში მოსახლეობაში შექმნილმა იძულებითმა გარემოებებმა, მათ შორის საგადასახადო ბეგარის მძიმე პირობებმა. ინდივიდუალურ ოჯახებად დარჩენა გაცილებით დიდი ეკონომიკური ტვირთი იყო ვიდრე ერთ კომლად გაერთიანებული ორი და მეტი მცირე ოჯახისა, რაც თურქული კანონმდებლობით არ ყოფილა აკრძალული. დროთა მსვლელობით დადასტურებულია, რომ დიდი ოჯახის საცხოვრებელ სახლებში ინტერიერის ფართის საქორწინო წყვილების თუ ასაკობრივ ნიშნის მიხედვით სეგმენტაცია, მასტიმულირებელი ფაქტორი ყოფილა ოჯახის ეკონომიკური სიძლიერის, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ მთხრობელები. ცხადია, დიდი ოჯახის წევრები დასაქმებულ-დახელოვნებულნი იყვნენ საოჯახო მეურნეობის ამა თუ იმ მიმართულების მიხედვით. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამართულობაში მამაკაცების ხვედრითი წილი თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი. მოსახლეობაში განსაკუთრებული ავტორიტეტით და ღირსებით გამოირჩეოდნენ მჭედლები, „ხით მუშაკობით ხელოვანნი“, გარე სამუშაოსა და ვაჭრობის საქმეში წარმატებული ადამიანები ვაჭრობდნენ ადგილობრივი პროდუქტებით: ერბო (იაღი), ყველი (დაფწნილი), ხოლო ხის ნაკეთობათაგან ჭარბობდა გვარდა//კაპიწი, კოლოფ-კოთხოები, ხარატული გობები, ჯამები, სუფრები.

2. ხის დამუშავების ტრადიციები და მატერიალური კულტურის ზოგიერთი თავისებურებები

აჭარაში, ხის დამუშავება-გამოყენების მაღალგანვითარებული ტრადიციების არსებობაზე პირველად აზრი გამოთქვა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა (1696-1757 წ.წ.). იგი აღნიშნავდა, რომ აჭარლები არიან „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა (ვახუშტი, 1941:134). ამ ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ცხოვრებისეულმა, ობიექტური სინამდვილის სხვადასხვა ფაქტორმა. კერძოდ, მათ შორის აღსანიშნავია: ხე-ტყით მდიდარი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, მთაგორიანი რელიეფი, სამიწათმოქმედო ვარგისი მიწის სიმცირე, ხანგრძლივი, უხვთოვლიანი ზამთარი, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისათვის სამიმოსვლო გზების არსებობა.

მაღალმთიანი აჭარის ბუნებრივ-კლიმატური პირობების კვალობაზე მეურნეობის წამყვან დარგად მესაქონლეობა ჩამოყალიბდა, ხოლო მიწათმოქმედება-სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობის გამო[23] (მიუხედავად მეურნეთა მრავალსაუკუნოვანი შრომითი გამოცდილებისა და ემპირიული დაკვირვების შედეგად შემუშავებული ხელოვნური ტერასული და სხვა ნიადაგდაცვითი მრავალი ხერხისა მთა-გორიან რელიეფის პირობებში სარწყავი სისტემისა, რომელიც ზოგჯერ ორი ათეული კილომეტრის მანძილზე იყო გაყვანილი (ჩიჯავაძე, 1971:49-144) ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის დიდი ნაწილის საარსებოდ აუცილებელ მოთხოვნებს მარცვლეულ კულტურებზე[24]. შეუძლებელია ხაზი არ გაესვას იმ ფაქტს, რომ ძნელად მოიძებნება სოფელი, სადაც ოჯახების მიერ ახოს გატეხვის ინდივიდუალური, ორზიარი, სამზიარი და ოთხზიარი შრომითი გაერთიანების კვალი არ დარჩენილიყოს ხულოს მუნიციპალიტეტისა და საერთოდ, მთიანი აჭარის, ტოპონიმებში (სიხარულიძე, 1958; ქამადაძე, 1992). ცნობილია, ისიც რომ ზოგიერთ სოფელში საკარმიდამო ნაკვეთზე აღებული სიმინდი (უფრო იშვიათად ხორბალი) ნახევარ წელს ძლივსღა ჰყოფნიდათ. აღნიშნულ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი იყო მეზობელი რაიონებიდან მარცვლეულის შემოტანის თადარიგი ზაფხულის დადგომიდანვე დაეწყოთ. ამ მიზნით „მაისიდან მოყოლებული მთელი ზაფხულის განმავლობაში ქარავანი ქარავანს მისდევს გურიაში გადასასვლელად“ (სახოკია, 1985:216). ამ სიძნელეების დასაძლევად გამოიყენებოდა მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკით შემოწმებული ტრადიცია: მესაქონლეობის პროდუქტებითა (ბაქრაძე, 1987:89; სახოკია, 1985:155; შამილაძე, 1969:150-154) და ხის ნაკეთობებით, ხის ჭურჭლით (დავითაძე, 1974:91-92; მისივე, 1983:69-87; კახიძე, 1990: 60-64; მისივე, 2004:57, 159) ვაჭრობა თუ აღებ-მიცემობა. ამ თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანი იყო „მოსაგებელზე – გარე სამუშაოზე: ხის მთლელთა, მხვეწელთა, მხერხავთა[25], გამოც-

[23] XIX საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში რუსეთის ხელისუფალთა მიერ ჩატარებული საადგილმამულო გაანგარიშებით ხულოს ადმინისტრაციულ დანაყოფში შემავალი 10 თემის მონაცემებით მეტ-ნაკლები სიზუსტით წარმოჩნდება სახნავ-სათესის მიწის სიმცირე სხვა დანიშნულების მიწებთან შეფარდებით: სახნავი და ხეხილიანი საკარმიდამო ყოფილა 2.907 დესეტინა, საძოვრები–19.493, სათიბები–1.356, ხოლო ალაგ-ალაგ გაკაფული წიწვოვანი ტყე 44.115 დესეტინა (დაწვრილებით იხ.: ავალიანი, 1960:118-127).

[24] აჭარის, ასევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების მთიანეთისთვის დამახასიათებელი მიწის სამეურნეო სავარგულების სიმცირე, აქედან გამომდინარე მოსახლეობისათვის საარსებოდ მნიშვნელოვანი მარცვლეულის ნაკლებობა, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად გარკვეულად განაპირობებდა მიგრაციულ პროცესებს. დაწვრილებით იხილეთ ლიტერატურა (ფუტკარაძე, 2005:7-8).

[25] თ. სახოკიას ცნობით, ზემო აჭარაში 75 ხურო და 80-მდე მხერხავი ყოფილა. ხუროს დღიურ გასამრჯელოდ 1 მ. ათი შაურია დასახელებული (სახოკია, 1985:227). მოგზაურ-მკვლევრის

დილ ხურო-დურგალთა თემის, ხეობის თუ მის ფარგლებს გარეთ „მოსარეწად“ სიარული. ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წერილობითი მონაცემების მიხედვითაც ანალოგიური ფაქტები დამოწმებულია ტბელ აბუსერისძის (XIII საუკუნე) მიერ. იგი მოგვითხრობს ერთი უღლეული ხარის პატრონის, ღარიბი გლეხის, ბოლოკ-ბასილის საშოვარზე წასვლის შესახებ. ავტორი გვამცნობს, რომ გლეხი ქვით-ხუროობით შოულობდა დამატებით შემოსავალს, ანუ „ჴელთა თჳსთა ირჩენდა თავს“ (აბუსერისძე ტბელი, 1941:57).

ზემო აჭარაში ხის დამუშავებისა და გამოყენების მაღალგანვითარებული კულტურა ისტორიკოს-ეთნოგრაფებისა (ვახუშტი, 1941; ბაქრაძე, 1987; ყაზბეგი, 1995; ჩიტაია, 1941; მისივე, 1947; მისივე, 1997; მისივე, 2001; ჩიქოვანი, 1960; რობაქიძე, 1960; შამილაძე, 1969; დავითაძე, 1974; მისივე, 1983; კახიძე, 1990; მისივე, 2004; მიქელაძე, 1982) და ხალხური ხით ხუროთმოძღრების მკვლევართა (ადამია, 1956; Гараканидзе, 1959; სუმბაძე, 1985) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. დასახელებულ ავტორთა ნაშრომებში ხის დამუშავებისა და ნაკეთობათა გამოყენების სხვადასხვა ასპექტია დასახელებული, სამშენებლო ხელოვნების მრავალი ხერხია გამოვლენილი, წარმოჩენილია მდიდარი ხუროთ-მოძღვრულ-კონსტრუქციული თავისებურებები და ა.შ. ამასთან ერთად, საკ-მაოდ მწირია ცნობები ოსტატების შესახებ. ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილმა 1935 წელს აისრულა თავისი „მუდმივი ოცნება“ – საგულდა-გულოდ შერჩეული ექსპედიციის წევრები აღჭურვა საქართველოს შინამრეწვე-ლობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების, ცნობების შესაგროვებ-ლად სანიმუშო პროგრამით. ოსტატთა მემკვიდრეობისადმი ყურადღების გამახვილება ეთნოგრაფიული კვლევის ინტერესებში შედიოდა. შენიშნულია, რომ ოსტატთა „სახელების წარმოჩენა და ფიქსაცია, რომლებმაც მემკვიდრეობით უანდერძეს შთამომავლობას თავიანთი ხელოსნური საქმიანობა, დიდი კულტუ-რულ-ისტორიული მოვლენაა ქართული ხელოსნობის და, საერთოდ, ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის შესწავლაში, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის გაშუქებაში“ (კახიძე, 2004:128).

მიხედვით, დასახელებულ რეგიონში მესაქონლეობით განსაკუთრებით გამორჩეული ჩანს ღორჯომისა და აგარის თემები, რომელთაგან თითოეულ კომლს შეეძლო 10 ფუთამდე ერბო გაეყიდა ბათუმსა და გურიაში. ბათუმში ერბო 10-20 მანეთი ღირებულა (სახოკია, 1985:219). გ. ყაზბეგის მონაცემებით მესაქონლეობის უპირატესობით სხვა სოფლებიცაა ჩამოთვლილი და საამისოდ საფუძველიცაა გარკვეული... „მესაქონლეობის აღნიშნული უპირატესობა შეიმჩნევა მდინარეთა ზემოწელსა და საძოვრებთან ახლოს განლაგებულ სოფლებში: სხალთის ხეობის უკიდურეს სოფ. ბაკოში, თხილვანასა და ხიხაძირში, ღორჯომის ხეობის სოფ. ღორჯომში, ჭვანის ხეობის სოფ. ნაღვარევში და ა.შ.“ (შამილაძე, 1969:45).

უძველესი დროიდან აჭარის მთაში, კერძოდ, ხულოს რაიონში ხე-ტყის სხვადასხვა ჯიშები იყო გავრცელებული, რომელთაც მოსახლეობის სამეურნეო და კულტურულ ყოფაში უდიდესი ადგილი ეჭირა (Манджавидзе, 1982). საცხოვრებელ, სამეურნეო და საკულტო ნაგებობათა მშენებლობაზე გამოიყენებოდა ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, ცაცხვი, თელა, მუხა, წაბლი, კაკალი და სხვა. ავეჯსა და ჯამჭურჭლეულობას, აგრეთვე, სკივრსა და კიდობანს ამზადებდნენ. კაკლის, თელის, ცაცხვისა და იშვიათად სოჭის ხისაგან. აკვანს ძირითადად ცაცხვის ხისაგან, რომლის ცალკეული დეტალები მზადდებოდა წაბლისაგან, ბოლო დროს კი საამისოდ თხმელასაც იყენებდნენ. ხარატული დგამ-ჭურჭელი (სუფრა, სასადილო მრგვალი მაგიდა, გობი) იხვეწებოდა თელის, ცაცხვის, წიფლის, წაბლის, ხოლო ჯამი და ქვიჯა – ცაცხვის, თხმელისა და თელისაგან. ჩარხვის და ხვეწის არაერთი ადგილის სახელია შემონახული, რომლებიც ჩამოთვლილია მკვლევრების – ი. სიხარულიძისა და მ. ქამადაძის ნაშრომებში (სიხარულიძე, 1958, ქამადაძე, 1992)[26].

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ზემო აჭარის მოსახლეობა კარგად ერკვეოდა ტყის იმ პრაქტიკულ მნიშვნელობაშიც, რასაც იგი საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა და სხვ. ამიტომაც სოფლის ფერდობზე არსებულ ტყეებს საფარ ტყეს უწოდებდნენ, მას ზედმიწევნით უფრთხილდებოდნენ და ნაკრძალად – „Იასაღად“ მიიჩნევდნენ[27]. მოსახლეობაში მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების ნიადაგზე ჩამოყალიბდა ხალხური სამართლის ნორმები.[28]

ზემო აჭარაში ტყეები იყოფოდა სათემო და საგვარეულო საკუთრებად. სათემო ტყეში თითოეული გვარი სამშენებლო მიზნით შეარჩევდა ხეებს და

---

[26] იხილეთ ტოპონიმები: სახარატო (საყანე)–აგარა; სახარატო (სათესი)–ოქრუაშვილები, რიყეთი; სახარატო (სათიბი)–ძირკვაძეები, ნახარატევი (სათიბი)–თხილვანა; ჩარხი (სახვნელი)–პანტნარი; ჩარხები (ღელე)–კობალთა; ჩარხები (საძოვარი)–ტაბახმელა; ჩარხიკისერი (ტყე)–კალოთა; ჩარხი ღელე (საძოვარი)–საციხური; ჩარხიღელᲘები (ტყე)–პანტნარი; ნაჩარხევი (სათიბი)–ნამონასტრევი; ნაჩარხევი (ტყე) – ფუშრუკაული.

[27] Იასაღი ტყეების სახელით ცნობილია სოფლების მომიჯნავე ადგილები როგორიცაა: ბაკო, კლდისუბანი, საციხური, ტაბახმელა, ტუნაძეები, წაბლანა, ჩაო, ჭერი,ძმაგულა, ყინჩაური, ხიხაძირი.

[28] ზემო აჭარის მოსახლეობამ ხე-ტყის გამოყენების მდიდარ ტრადიციებთან ერთად ხანგრძლივი დაკვირვების კვალობაზე გამოიმუშავა ცოდნა თუ სად, როდის შეიძლებოდა ხეტყის ჭრა. ცნობილია, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინტენსიურად დაიწყეს ტყის ათვისება; სახნავი ფართობების გაზრდა, გზების გაყვანისას კლდოვანი მასივების აფეთქება და ა.შ. აქედან გამომდინარე გააქტიურდა თოვლის ზვავები, მეწყერები, ნიადაგის ეროზიის პროცესები, რამაც მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნა მოსახლეობას: „ბოლო 25 წლის განმავლობაში მეწყერსაშიში ზონიდან გასახლებული იქნა 2500 ოჯახი“ (ფალავანდიშვილი, 2005:156-157).

საკუთრების ნიშანს – „თაჯს“ დაადებდა[29]. ჩასიძებული მამაკაცი თუ მეუღლის (ოჯახის) გვარს მიიღებდა, მას უფლება ჰქონდა ესარგებლა ცოლის საგვარეულო თაჯით.

საგვარეულო თაჯით სამშენებლო ხე-ტყის შეგულება-დასაკუთრებამდე გაარკვევდნენ მერქნის ვარგისიანობას, რაც ცულის ყუის ხეზე დარტყმით გამოიცნობოდა. „გამოფუტურებული“ ე.ი. ღრუიანი ხე ასეთ შემთხვევაში ხმას გამოსცემდა, რასაც ადვილად ამჩნევდნენ. წიწვოვანი ხეების შერჩევისას ყურადღებას ამახვილებდნენ გარეკანზე – ქერქზე. „მწიფე“ ხეს მუქი მოწითალო, დამსკდარი ქერქი და დახრილი ტოტები უნდა ჰქონოდა. სამასალედ უმჯობესი იყო სწორი და ნაკლებტოტებიანი ხე, რომელიც ხშირ ტყეში იზრდებოდა. ცალკე მდგომ ხეს „ობოლ ხეს“ უწოდებდნენ. მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორნამენტის ამოსაკვეთად შერჩეულ ხეს, რომელსაც ტოტები, ე.წ. „როკები“ ცოტა ექნებოდა. სამასალედ ხეებს ზამთარში ჭრიდნენ ე.ი. მაშინ, როცა ხეში „წყალი“ ნაკლებია. მიაჩნდათ, რომ ასეთ პირობებში მოჭრილი ხე უფრო მტკიცეა და დროთა განმავლობაში მერქანს ჭია და ჩრჩილი არ დააზიანებდა. ხის მოჭრისათვის ამჯობინებდნენ ნოემბრის, თებერვლის და მარტის თვეს, მიანიშნებდნენ სიძნელეებსაც: დეკემბერსა და იანვარში ხე იყინება და რკინასავით მაგარი ხდება, ცული არ ეკარება (მთხრ. მემედ იხას ძე კახაძე, 50 წლის, სოფ. ტაბახმელა, ხულოს რაიონი, მასალა ჩაწერილია 1982 წელს).

შეგულებულ-დასაკუთრებულ ხეებს ოთხი-ხუთი კაცი ჭრიდა ან ხერხავდა, შემდეგ „შეამსუბუქებდნენ“. ე.ი. ტოტებს შემოაჭრიდნენ და მრგვალ მორად გაიტანდნენ, თუ მოუხერხებელი იქნებოდა, მაშინ ოთხკუთხედად გათლიდნენ და დახერხავდნენ ფიცრებად. ფიცრებს გასახმობად „დაბეღლავდნენ“. დახერხილ ფიცრებს წვიმისაგან დაცვის მიზნით კიდურა ფიცრებით გადახურავდნენ დახრილად (ვარშალომიძე, 1974:113).

---

[29] აჭარაში თურქეთის ბატონობის პერიოდში სათემო და სასოფლო ტყეებში სამშენებლო ან შეშისათვის მერქნის მოჭრა-გამოყენება არ იყო შეზღუდული (ავალიანი, 1960:17), ამიტომაც სამშენებლო სამასალედ შერჩეულ ხეებზე გვარის საკუთრების ნიშანს ამოჭრიდნენ. ასეთი ნიშნის დასმის შემდეგ ხე დაპატრონებული იყო. ვ. შამილაძე შენიშნავს, რომ მან საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით გაარკვია: „შეყვერილი ხეების“ გარდა თაჯს ადებდნენ საქონელზე, სამშენებლოდ დამზადებულ გათლილ ხეზე, ტყეში ხეზე „გასაცოცხლებლად“ შემოდგმულ სკაზე და სხვ. მთხრობელთა გადმოცემით ძველად თაჯი და სერი თოხუმის (გვარი) ნიშანს წარმოადგენდა, რომელიც 7 გობეგის (თაობის) შემდეგ უნდა შეცვლილიყო. ხიხაძირისა და მარითის ხეობების მასალებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში თაჯს დაკარგული აქვს თავისი მნიშვნელობა და კერძო პირის საკუთრების ნიშნადაა ქცეული“. თაჯთან დაკავშირებით გარდა დასახელებულისა იხ.: ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას (ბარდაველიძე, ჩიტაია, 1939:5), ნ. მგელაძის (ნ. მგელაძე, 1986:73), მ. ქამადაძის (ქამადაძე, 1992:144) ცნობები.

ხის ხელოსნური ტრადიციის ჩამოყალიბებასა და მის შემონახულობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განაპირობებდა სხვადასხვა ობიექტური ფაქტორი, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ბუნებრივი რესურსების, კერძოდ, ხე-ტყის სიუხვე, რამაც XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ამ კუთხეში მოგზაურ-მკვლევართა ყურადღებაც მიიქცია. ასე, მაგალითად, 1873 წელს დიმიტრი ბაქრაძეს ხულოში მისვლამდე–„აყვავებული ტყეები უნახავს“ (ბაქრაძე, 1987:58), ხოლო სოფ. ჩანჩხალოში მისი ყურადღება მიუპყრია „ძველი წმინდა ურთხლის კორომებს“ (ბაქრაძე, 1987:81). ერთი წლის შემდეგ, 1874 წელს, გიორგი ყაზბეგის თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ სოფ. ჩაოდან სხალთაში მიმავალი გზა „...გადის მუხით მდიდარ ტყეზე“. მას ჩაოში უნახავს ძირიანად მოთხრილი კაკლის კუნძები, რომელიც ერთ გორელ სომეხს წინა წელს შეუსყიდია, მოუჭრია და თანდათანობით გადაჰქონდა ფოცხოვიდან ახალციხეში (ყაზბეგი, 1995:41). სხალთიდან ხიხაძირისკენ მიმავალ მოგზაურს მხედველობიდან არ გამოჰპარვია გზის გარშემო მუხნარ ტყეში კაკლის, მსხლისა და წაბლის უზარმაზარი ხეები. ასევე, მას ხიხაძირში მისვლამდე შეუმჩნევია ისიც, რომ არყებსა და ფიჭვებს დაეჭირა მუხნარის ადგილი (ყაზბეგი, 1995:50).

თედო სახოკიას, 1897 წელს, სოფ. ღორჯომში შესვლამდე სათიბებში ახლად მოჭრილი ხის კუნძები უნახავს, რის გამოც გულნატკენი დასძენდა: „... სათიბებს აფართოებენ, მაგრამ სამაგიეროდ, ტყესა სპობენ. თუ ასე მიჰყვნენ, მალე ტყეს სულ გააჩანაგებენ“ (სახოკია, 1985:168). საფიქრებელია, რომ ტყის გამეტებული გაჩეხვა ასევე გამოწვეული იყო ახლად თავსმოხვეული რუსული საკანონმდებლო რეჟიმითაც. თ. სახოკიას თანამგზავრისგან – სულეიმან ბერიძისაგან გაუგია: „... ვიდრე ხვანთქრის ხელში ვიყავით, ტყეს, როგორც გვინდოდა, ისე ვჭრიდითო“ (სახოკია, 1985:169). ტყით სარგებლობისათვის საფასურის დაწესებამ, სხვა ახალ გარემოებებთან ერთად, აჭარის მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია. 1878 წლიდან მეფისნაცვლის ბრძანებით ტყიდან მერქნის გამოტანის გამო ჭრის ადგილის გასაწმენდად, ხე-ტყის ღირებულების 10 პროცენტის გადახდა დაწესდა. ამაზე „ზემო აჭარის მოსახლეობამ პროტესტი განაცხადა და მათ დასამშვიდებლად 1895 წ. დროებითი საგანგებო ღონისძიებები შემუშავდა“ (მუშკუდიანი, 1982: 16). გენერალმა კომაროვმა განცხადების ერთ-ერთ პუნქტში ხალხს პირობა მისცა: „ტყეებით სარგებლობა, როგორც ოსმალეთის დროს ყოფილა, ისევე წესზე და კანონზე დარჩებაო“ (იხ. სახოკია, 1985:192).

თ. სახოკია სხალთის ხეობაში, ქოჩახში, ბეგების სასახლის შემოგარენში, ხედავდა მშვენიერ ნაშენ ნაძვის ტყეს. იგი წერს: „გზები რომ იყოს და მასალის გამოტანა და გაყიდვა შეიძლებოდეს, ამ ტყის პატრონისათვის მეტისმეტად სახარბიელო იქნებოდა“ (სახოკია, 1985: 290). ავტორის ცნობით, ხე-ტყის რეალი-

ზაციის იშვიათი შემთხვევებიც ყოფილა. იგი წერდა: „... ათასში ერთხელ არტაანიდან თუ ფოცხოვიდან თუ გადმოვლენ გლეხები აქაური ხე-ტყის საყიდლად. მაგრამ იმათ წაღებული ტყეს არც კი ეტყობა“ (სახოკია , 1985: 290).

მოგზაურ-მკვლევრის ცნობიდან ირკვევა, რომ ზემო აჭარის მკვიდრთ ხე-ტყის გაყიდვის შესაძლებლობა თითქმის არ ჰქონიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზემოთ აღნიშნულ ორიოდე შემთხვევას.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხე-ტყით ვაჭრობის ასევე ორიოდე შემთხვევაც დადასტურდა, „ნიკოლოზის დროს“ (ე.ი. რევოლუციამდელ პერიოდზეა საუბარი). სოფ. აგარის მოსახლეობას ახალციხელი ვაჭრებისათვის ნაძვის, სოჭისა და კატრის ხეები დაუმზადებიათ და მიუყიდიათ. ხე-ტყის ტრანსპორტირების სიძნელის გამო ამ ცდას შემდგომი განმეორება არ ჰქონია (მთხრ. ირემაძე შაბან ხუსეინის ძე, 83 წლის, სოფ. აგარა, მასალა ჩაწერილია 1982 წელს).

მეორე შემთხვევა უფრო გვიანდელია. სოფელ პაქსაძეებიდან ბათუმში გასაყიდად ხარებით ჩაუტანიათ ნაძვის, სოჭისა და ფიჭვის მორები. 1 მორი 1 მანეთად გაუყიდიათ. ბათუმში ჩასვლასა და უკან დაბრუნებას 7 დღე დასჭირვებია (მთხრ. გელაძე იუსუფ ისმაილის ძე, 76 წლის, სოფ. პაქსაძეები, მასალა ჩაწერილია 1982 წელს).

მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო მთის მოსახლეობას ისღა დარჩენოდა, რომ მდიდარი ხე-ტყე გამოეყენებინათ სხვადასხვა ჭურჭლის (გობი, ჯამი, კოლოფი, კაბიწი და ა.შ.) დასამზადებლად. საკუთრივ ოჯახის მოხმარებისათვის და ასევე გასაყიდად მეზობელ გურიისა და მესხეთ-ჯავახეთის, შავშეთისა და იმერხევის სოფლებში. მეგრელი მესაქონლეები, რომლებიც ბახმაროს მიდამოებში ზაფხულობით საქონელს აბალახებდნენ, ზემო აჭარელ ოსტატებს სულგუნისათვის გვარდა-კაპიწებს უკვეთავდნენ (დავითაძე, 1983:78). ერთი სასულგუნე გვარდა ეთნოგრაფ ალ. დავითაძის გაანგარიშებით 15-20 მანეთი ღირდა, ხოლო კოლოფები, ზომის კვალობაზე, 2-დან 5 მანეთამდე. მკვლევარი მიუთითებს რომ „აჭარელ ოსტატთა ნახელავ ჭურჭელს დიდი გასავალი ჰქონდა აგრეთვე. ახალქალაქსა და ახალციხეში“ (დავითაძე, 1983: 79) ხის ნაკეთობათა რეალიზაცია ხდებოდა ფულზე ან ხორბალსა და ქერზე გაცვლის მეშვეობით. ასეთი ვითარება ნიშანდობლივი იყო ძირითადად მესხეთ-ჯავახეთისათვის. მესხეთსა და ჯავახეთში ზემო აჭარლებს ჩაჰქონდათ კასრი, ქარსანგი, ტაბაკი და სხვ. (იხ. მასალები. 1979: 141, 144). თ. სახოკიას ცნობით სოფ. ბაკოსა და ქოჩახში „... ხის ჯამ-ჭურჭელს აკეთებენ და არტაანში გააქვთ. იყიდება მეტად იაფად“ (სახოკია, 1985:22). მომიჯნავე მესხეთის სოფ. ღრელში, უდეში და სხვა სოფლებში ხულოდან ცხენით ჩაჰქონდათ ხის კასრები, კარაქის ყუთები, ქარსანგები, ხის კოვზები

და ცვლიდნენ ხორბალზე ან სიმინდზე (მთხრ. ჭაღიაშვილი ნინა ლაზარეს ასული, 80 წლის, სოფ. უდე, მასალა ჩაწერილია 1979 წელს).

ხულოს რაიონის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაზე, კერძოდ, როგორც ითქვა, ხით მუშაკობის ხელოვნებაზე, განსაკუთრებით მეჭურჭლეობასა და დურგლობაზე ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ასევე გურიასთან, შავშეთთან და ქვემო აჭარასთან აქტიურმა სავაჭრო-ეკონომიურმა ურთიერთობამ. ცნობილია, რომ ზემოაჭარელი ხუროები, ასევე როგორც ვაკიჯვარელი გურულები, ბახმაროს მიდამოებში აშენებდნენ სახლებს გასაყიდად (სახოკია, 1985:128). ხოლო ღორჯომელი მეჭურჭლეები რძის პროდუქტებისათვის კაბიწეულს, კოლოფებს, ხეში გამოხვეწილ გობებს, ჯამებს, ქვიჯებს ამზადებდნენ. ბახმაროს მიმდებარე იალაღებზე: ზოტიყელში, შედრეკილში, ძელგორაზე მათ მიერ ჩამოტანილ ხის ჭურჭელს ბახმაროში ყიდულობდნენ გურული მეჯოგეები, ასევე ბახმაროს დამსვენებლები (დავითაძე, 1974:91). მარცვლეულის ნაკლებობა აიძულებდა ქვედა თხილვანელ მეჭურჭლეებს ახალქალაქში ცხენით ჩაეტანათ ხის გობები, კასრები, კოვზები და მიეყიდათ სომხებისათვის ან ხორბალზე გადაეცვალათ (მთხრ. ქამაშიძე ფოლად ქერემის ძე, 82 წლის, სოფ. ქვედა თხილვანა. ჩაწერილია 1970 წელს). ჭურჭლის ფასი დამოკიდებული იყო მის სიდიდეზე. სიდიდეს მნიშვნელობა ჰქონდა მარცვლეულზე გაცვლის დროსაც.

ამრიგად, ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა ხულოს მუნიციპალიტეტის მეჭურჭლე ოსტატები უახლოეს წარსულში ხის ამ ნაკეთობებით აკმაყოფილებდნენ საკუთარი ოჯახის, სოფლის, თემის მოსახლეობის მოთხოვნებს და როგორც უკვე ითქვა, აჭარის მეზობელ რეგიონებშიც გადაჰქონდათ. დადგენილია ძირითადი მარშრუტები: ხულოს რაიონიდან სხალთის ხეობის გავლით გადაჰქონდათ არტაანში, გოდერძის გადასასვლელზე გავლით – ახალციხეში, ახალქალაქში და ადიგენში, ხოლო ზოტიყელზე გადასვლით – ბახმაროში, ჩოხატაურსა და მის ახლომახლო სოფლებში. ეთნოგრაფ გ. გასიტაშვილს დადგენილი აქვს ხულოს რაიონიდან სოფ. არალში, ანდრიაწმინდასა და ვალეში ხის ნაკეთობათა გადაზიდვის გზები (გასიტაშვილი , 1962:95; მისივე, 1972:95).

ზემოაჭარელ ხის ოსტატებს მესხეთ-ჯავახეთში მაშინ მიჰქონდათ ცხენებით ჭურჭელი, როცა ამ მხარეში მოსავალი აღებულ-დაბინავებული ჰქონდათ. ასეთი დროის შერჩევა ხელსაყრელი იყო მარცვლეულის მეპატრონისათვის, ხოლო ნაკეთობათა გამყიდველი კი ასეთი ურთიერთობით სიმინდ-ხორბლეულის მარაგს ნელ-ნელა უმატებდა. ზემო აჭარაში მარცვლეულის სიმცირე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი იყო, რაც უბიძგებდა გლეხს მდიდარი ხე-ტყის რესურსები გამოეყენებინა ხის ნაკეთობათა დასამზადებლად და გასაყიდად. ზემოთ ითქვა რომ, თ. სახოკია სოფელ ღორჯომში ყოფნისას

მიღებულ შთაბეჭდილებებში მიუთითებდა, რომ ნიადაგი გამოფიტულია და სიმინდი თებერვლამდე ან მარტამდე თუ გაჰყვებაო (სახოკია, 1985: 165). მოგზაურისათვის შეუჩივლიათ: „ძაბუნი მიწა გვაქვს, სიმინდი და პური ცოტა მოდისო“ (სახოკია, 1985:159). ან კიდევ „... ყოველ მოსახლეს – სიმინდი უთესია, ჯუჯა სიმინდი“ (სახოკია, 1985:170).

საველე-ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურებულია ისეთი ფაქტებიც, რომ მეზობელი რაიონის სოფელ კიკიბოდან საგანგებოდ ჩამოსულან სოფ. დიდაჭარაში ოსმან ხასანის ძე შავაძესთან და შეუძენიათ კაბიწები, კოლოფები, კასრები. ო. შავაძე წყლის ჩარხზეც ხვეწავდა ჯამებს, სუფრებს, ხელგობებს. მას ხით ხელოსნობის გარდა მჭედლობაც ცოდნია. ოსმანს „უსტობა“ მემკვიდრეობით მიუღია. მის მამას ხასანს (1975 წელს გარდაცვლილა 85 წლის) სოფელ ღორჯომსა და აგარაში 100-მდე სახლი აუშენებია. ბაბუას – ალი შავაძეს სახლების მშენებლობასთან ერთად ჩუქურთმის კვეთაც ცოდნია. ოსტატის მეჩუქურთმეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ის ფაქტი, რომ მას გაუკეთებია ა. დემეტრაძის (ა. დემეტრაძის სახლი ამჟამად ქ. თბილისში, ღია ცის ქვეშ მუზეუმშია განთავსებული) სახლი და ჩუქურთმებით მასვე შეუმკია იგი (მთხრ. შავაძე ოსმან ხასანის ძე, 75 წლის, სოფ. დიდაჭარა. მასალა ჩაწერილია 1986 წელს). ალი შავაძის მამა ყასუმ შავაძე, რომლის გარდაცვალების თარიღი უცნობია, ხის უსტა ყოფილა.

ამ შემთხვევაში, ერთი ოჯახის ფარგლებში გვაქვს ხელოსნობის რამდენიმე თაობაში მემკვიდრეობით გადაცემის უნიკალური ფაქტი, რაც ბუნებრივია, ეკონომიური პირობებითაც იყო გამოწვეული. სოფ. ალმეში მცხოვრებ 106 წლის აბულაძე ქელეშ ახმედის ძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ვინც უსტა იყო, სულიც იმას ედგა“ (მთხრ. აბულაძე ქელეშ ახმედის ძე, 106 წლის, სოფ. ალმე (ოქტომბერი). მასალა ჩაწერილია 1982 წელს) ოსტატები ადასტურებენ იმასაც, რომ მარტო ხელობით ოჯახს ვერ არჩენდნენ.

ხულოს რაიონში მოპოვებულ საველე ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ თითქმის ყველა სოფელში იყვნენ საოჯახო ჯამ-ჭურჭლის ოსტატები[30]. წყლის ჩარხზე ორი კაცი მუშაობდა. ერთი მათგანი შუაზე გაჭრილ

[30] წყლის ჩარხების ანუ სახარატოების სიმრავლეს ცხადყოფს ტოპონიმები (ქამადაძე, 1992); ჩარხი (სახვნ.)–პანტნარი; ჩარხები (ღელე)–კობალთა; ჩარხები (საძოვარი)–ტაბახმელა; ჩარხიკისერი (ტყე)–კალოთა; ჩარხიღელე (საძოვარი)–საციხური; ჩარხი სერი (სერი)–ხიხაძირი; ჩარხი ღელე (ღელე)–გურძაული, კალოთა, კვატია, თხილვანა, შუბანი, წაბლანა; ჩარხიღელიები (ღელე)–ხიხაძირი; ჩარხიღელიები (ტყე)–პანტნარი; ნაჩარხევი (სათიბი)–ნამონასტრევი; ნაჩარხევი (ტყე)–ფუშრუკაული; სახარატო (საყანე)–აგარა; სახარატო (სათესი)–რიყეთი, ოქრუაშვილები; სახარატო (სათიბი)–ძირკვაძეები, შუასოფელი; სახარატო (საძოვარი)–დიოკნისი, ღურტა; სახარატობილე (ღელე)–გურზაული; ნახარატევი (სათიბი)–თხილვანა.

ხის მორს სასურველი ჭურჭლის ფორმაზე უხეშად შემოჭრიდა – „შემოაქოფიტებდა“, ფარგლით შემოხაზავდა ჭურჭლის შიდა და გარე კონტურებს. მეორე ოსტატი კი – ხვეწდა. ორივენი დღის განმავლობაში 10-12 გობს გამოხვეწდნენ. ასე, მაგალითად, ქვედა თხილვანაში საბელ ქამადაძე და კუკულა ქამაშიძე გამოირჩეოდნენ ჯამებისა და გობების გამოხარატებით. ამათგან კ. ქამაშიძე ცნობილი იყო იმითაც, რომ პანტა მსხლის ხისაგან ისეთ კარგ კოვზებს ამზადებდა, რომ ლაქწასმულს წააგავდა. სოფელ ბოძაურში ბევრი ხვეწდა გობებს, სუფრებსა და ჯამებს. იმ ადგილს სადაც სამხვეწელო დაზგები ჰქონდათ გამართული „ჩარხიღელეს“ უწოდებდნენ. კვიახიძე თევრათ ალის ძე (გარდაიცვალა 1950 წელს, 75 წლის) სოფელ რიყეთში ცხოვრობდა. იგი ცნობილი იყო არა მარტო გობების, სუფრების, სანაყების დამზადებით, არამედ ასევე ხვეწდა მაგიდის „ფეხებს“, ხერტლებსა და აკვნის დეტალებსაც. საოჯახო ჭურჭლის ხვეწის ცოდნა-გამოცდილება მემკვიდრეობით გადავიდა ეზიზ გენჯალის ძე შანთაძის შვილებსა და შვილიშვილებზე (ეზიზი 1910 წელს გარდაცვლილა 60 წლის ასაკში, იგი კარგი მჭედელიც ყოფილა).

სოფელ ტაბახმელაში წყლის ჩარხზე საოჯახო ჯამ-ჭურჭელს მრავალი ოსტატი აკეთებდა. ამ საქმიანობით გამოირჩეოდნენ გობაძეები, ბერიძეები და კახაძეები. ეს ხელობა თანდათან შესუსტდა (ფაბრიკული საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნივთების სავაჭრო ქსელში შემოტანით) და ხელოსნებმაც თავი გაანებეს ამ საქმეს. სოფელ ქედლებიდან სოფელ უჩხოში ქიბარ კახაძე და მისი შვილი შირინ კახაძე დადიოდნენ და თელის, ცაცხვის ან თხმელის ხისაგან აკეთებდნენ ხის საოჯახო ჯამ-ჭურჭელს. იყო შემთხვევები, როცა სოფ. ალმეში სხალთის ხეობიდან მოსული ოსტატები ხვეწდნენ გობებსა და სუფრებს. სხვა სოფელში, თემსა თუ ხეობაში წასულ მხვეწელზე იტყოდნენ „მოსაგებზე“ წავიდაო. თ. სახოკიას ცნობით, გომს აკრავდა ტყე, სადაც „...მუშაობენ აჭარელნი და გარშემო სოფლელთათვის ხის ჯამ-ჭურჭელს ამზადებდნენ“ (სახოკია, 1985:56). ნიკოლოზის დროს (რევოლუციამდელ პერიოდზეა საუბარი) მოხვეწილი სუფრა 1 მანეთი ღირდა, გობი 50 კაპიკი, ჯამი 20 კაპიკი.

საოჯახო ავეჯიდან განსაკუთრებული ღირსების იყო სკივრი, რადგანაც იგი არა მარტო საოჯახო მოხმარების საგანი იყო, არამედ საქორწინო ურთიერთობის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდა. შეუძლებელი იყო გასათხოვ ქალს სამზითვოდ ტანსაცმელი ან სამკაული არ გაემზადებინა წინასწარ. ყოველივე ამას ემატებოდა მომავალი საქმროსა და მისი ახლობლებისათვის საგანგებოდ მოქსოვილი ჭრელი წინდები, რომლებიც პატარძალს უნდა მიეტანა საჩუქრად (ჩელებაძე, 2005:95). სამზითვო სკივრის შემკობა-მოჩუქურთმების მიმართაც განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას. ძნელად

მოიძებნებოდა ისეთი სამზითვო სკივრი, რომელზედაც ბორჯღალა არ ყოფილიყო გამოსახული. სკივრი ადვილად გადასატანი იყო მემთევრეებისათვის საზაფხულო იალაღებზე – ცხენზე „აკიდული“ მიჰქონდათ მთაში. სკივრზე გამოკვეთილი ჩუქურთმების მრავალფეროვნება და ოსტატურად შესრულება გარკვეულად პრესტიჟულობის ფაქტორი იყო, მით უმეტეს თუ იგი პატარძალს მიჰქონდა მზითვად. მრავალი ფაქტია დადასტურებული იმისა, რომ სამზითვო სკივრი თაობიდან თაობაში გადაცემულა მემკვიდრეობით, რადგან იგი „დაცდილი“ ჰქონდათ და „ფეხბედნიერად“ იყო მიჩნეული. ასევე მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ნამზითვარი სკივრის პატრონი დღეგრძელობით და კარგი ხანდაზმულობით – ხანგრძლივი სიცოცხლით თუ გამოირჩეოდა. 1982 წელს, სოფ. დიდაჭარაში მოჩუქურთმებული სკივრი ვნახეთ, რომელიც გულეშან რეჯების ასულ შავაძეს ჰქონია მზითვად. გულეშანს 103 წელი უცოცხლია (გარდაიცვალა 1962 წელს). ამავე სოფელში ასევე დიდი ხნის სკივრი ინახებოდა თამარ ოთარის ასულ გობაძის ოჯახში. გაირკვა, რომ ამ სკივრის ოსტატი სოფ. დიოკნისში მცხოვრები ალიშან ძირკვაძე ყოფილა. მას 12 სამზითვო სკივრი გაუკეთებია. საგულისხმო ფაქტი გვიამბო სოფ. ტაბახმელაში მცხოვრებმა სხოფიე ალიშანის ასულმა გობაძემ, თავისი მამის სკივრის ოსტატობაში დახელოვნების შესახებ. მან გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ერთი კაცი მოვიდა და მამამისს სთხოვა ნიგვზის ხის სკივრი გაეკეთებინა და „ჩაეშენებინა“ ბზის თხელი ფიცარი მისი ხელის მტევანის გამოსახულებით. ალიშან გობაძეს 15-ზე მეტი სამზითვო სკივრი ჰქონია გაკეთებული.

სკივრი აუცილებელი ავეჯი იყო არა მარტო უბრალო გლეხის ოჯახისათვის, არამედ, იგი სოციალურად დაწინაურებულ ფენის წარმომადგენლებისთვისაც. გ. ყაზბეგი ხიმშიაშვილების ოჯახში ყოფნისას წერდა: „ბეგმა გვიჩვენა უზარმაზარი სკივრი ფირმანებით და პატენტებით სავსე“ (ყაზბეგი, 1995:46).

ზემო აჭარაში „მეაკვნეობა“ ხელოსნობის ქვედარგად არ ჩამოყალიბებულა და არ განვითარებულა ისეთი ინტესივობით, როგორც ჭურჭლის მხვეწელობა. აკვნებს აკეთებდნენ სახლის მშენებელი დურგლებიც კი. ცოტა იყვნენ ისეთი ოსტატები, რომლებიც მხოლოდ აკვნის კვეთებით იყვნენ დაკავებული. აკვნის უსტებად ცნობილი იყვნენ სოფელ რიყეთში ქედელიძე მემედ ზექერიას ძე, სოფ. დიდაჭარაში ფელულ შავაძე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხის ოსტატები აკვნებს ძირითადად ადგილობრივი მოთხოვნების მიხედვით აკეთებდენ და არა ბაზარზე გასაყიდად. თუ ვინმეს გამორჩეულად ლამაზი აკვნის შეძენა ჰქონდა გამიზნული, იგი უსათუოდ ქ. ბათუმში შეიძენდა. ბათუმის ბაზარზე კირნათმარადიდიდან, ახალშენიდან, ბობოყვათიდან, დოლოგნიდან და სხვა სოფლებიდან მოჰქონდათ მრავალდეტალიანი ხარატული აკვნები, რომლის ოსტატები

მხოლოდ ამ საქმეში იყვნენ დახელოვნებულნი. ბათუმში შეძენილი აკვანი, „გაწ-ყობილი“ ე.ი. ლეიბ-საბნით, ბალიშით და თეთრეულით დაკომპლექტებული, 130 მანეთი ღირდა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში.

ზემო აჭარული აკვანი ფორმა-მოყვანილობით არ განსხვავდებოდა ქვემო აჭარულისაგან. აკვანთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებიც მსგავსია, ე.ი. აკვა-ნი პირველი ბავშვის დაბადების შემდეგ უნდა შეეძინათ, ან საამისოდ მიეცათ დაკვეთა და ორმოცამდე (ბავშვის დაბადებიდან 40 დღე იგულისხმება) უნდა მიეტანა დედის ხაზით ბავშვის ბებიას. გოგონას აკვანი უფრო მეტი ხარატული დეტალებით იყო მორთული, ვიდრე ვაჟისა. იტყოდნენ: „ბიჭი სახლში რჩება და უბრალო აკვანიც ეყოფაო“ (მთხრ. შავაძე შუშანა მემედის ასული, 51 წლის. სოფ. დიდაჭარა, მასალა ჩაწერილია 1986 წელს).

აკვანს ძველად ლურჯად, მოგვიანებით კი ყავისფრად ღებავდნენ. ასეთი აკვანი დაახლოებით 1 თხის ფასი ღირდა.

მართალია, ზემო აჭარული აკვანი ღარიბია მოხარატებული დეტალებით, ვიდრე ქვემო აჭარული, მაგრამ მას გააჩნია მოქარგული არტახების სახით საყუ-რადღებო დეკორატიული კომპონენტები მზის გამოსახულებით და სხვა გეო-მეტრიული კონფიგურაციის აპლიკაციებით. ნაქარგები ბავშვის თავსაფარსა და საბანსაც ჰქონდა. ასევე, აღსანიშნავია აკვნის კამარაზე, ბავშვის თავის მხარეს „დაკეკნილი“ მძვების შებმის მაგიური ფუნქცია. ამ მიზნით თხუნელას გამხმარ ფეხებს ან ქსოვილში გახვეულ გველის ძვლებს (ჩონჩხს) ჩამოკიდებდნენ. იმ აკვანში, სადაც ბავშვი გარდაიცვლებოდა, სხვა ბავშვს არ ჩააწვენდნენ – „უბედურს“ უწოდებდნენ (ვარშალომიძე, 1987:88).

საოჯახო ავეჯიდან ტრადიციული იყო კიდობანი, რომელშიც უმთავრესად ფქვილს ინახავდნენ. ამ ჭურჭელს ჩვეულებრივ დურგლები აკეთებდნენ და იგი განსაკუთრებული შემკულობის მქონე არ იყო. ბოლო 50-60 წლის წინ ადგი-ლობრივმა ოსტატებმა დაიწყეს ტანსაცმლის კარადებისა და კომოდების დამზა-დება ფაბრიკული ნაწარმის მსგავსად. ყავისფერზე ღებავდნენ და უფერულ ლაქსაც უსვამდნენ. კუსტარული ავეჯი თანდათანობით შეიცვალა ფაბრიკული საძინებლებით, საწოლებით და სამზარეულო გარნიტურებით.

ამრიგად, ზემო აჭარის მოსახლეობის ხის დამუშავების ძირძველ ტრადი-ციებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედების პროდუქტებთან დაკავშირებული ინვენტარისა და სხვა საოჯახო-საყოფაცხოვ-რებო საგნების დამზადებას. ხის ნაკეთობებს პრაქტიკული გამოყენების საუკე-თესო თვისებებთან ერთად დეკორატიული იერიც გააჩნდა, რაც ოსტატთა მრა-ვალ თაობის შრომისა და შემოქმედებითი უნარის შერწყმის შედეგი იყო.

ხეზე ჭურჭლის მხვეწელთა, მეკაპიწე უსტების და სხვა ხელოსანთა ნახელავები დიდ მოწონებას იმსახურებდა არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ მისი რეალიზაცია ხდებოდა ზემო აჭარის მეზობელ კუთხეებში: გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, შავშეთში და სხვაგან. აღნიშნული ვითარება მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად კონტაქტების საუკეთესო საშუალება იყო, რამაც ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა მთის მოსახლეობას აქტიური და უწყვეტი სავაჭრო-კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ქართულ სამყაროსთან წარსულის ძნელბედობის პირობებშიც კი.

ამრიგად, ნაშრომში განხილულია ზემო აჭარის (ხულოს მუნიციპალიტეტი) საცხოვრებელი სახლის შესწავლის მდგომარეობა. მოხმობილია ეთნოგრაფიული მასალები მთის მოსახლეობის წამყვანი სამეურნეო დარგის მესაქონლეობის პრაქტიკიდან, კერძოდ რძის პროდუქტების (ერბო, ყველი...) და ასევე ხის საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობათა დამზადების ტრადიციებიდან. წარმოჩენილია ამ მიღწევათა მეშვეობით მეზობელ ქართულ კუთხეებში მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკური უწყვეტი ურთიერთობები, რამაც ჯანსაღი კვალი დატოვა ძირძველი კულტურული მემკვიდრეობის შემონახულობის თვალსაზრისით.

Джемал Варшаломидзе

Жилые сооружения и традиции обработки дерева в Хулойском муниципалитете

Резюме

В данной статье, на основе сведений грузинских и зарубежных ученых и путешественников, впервые анализируется ряд известных традиций обработки дерева, которыми известно население Хулойского муниципалитета. Внимание обращено на те объективные причины, которые обус-ловливали размещение в одном доме (в верхней Аджарии) жилых и хозяйственных помещений; на то, что члены семьи распределялись на жилой площади в соответствии с их возрастными и поло-выми признаками; на количество комнат в доме; исходя из всего этого, и на горизонтальные и вертикальные параметры дома, что было обусловлено социально-экономическими особенностями населения, характером социальных отношений и требованиями религиозного характера. Естес-твенно, все это отражалось на реальном соотношении индивидуальных и больших семей. Очень важным документальным источником, способным оказать помощь в объяснении указанной ситуа-ции, являются материалы описи населения, проведенной в 60-70-ых XVI века турками в захвачен-ной ими

Аджарии с целью упорядочения здесь сбора налогов. Согласно этой описи, главы семей лично были обязаны платить различные налоги. В этих списках почти везде зафиксированы в качестве индивидуальной семьи отец, дети, братья. Они отдельно зафиксированы как налогопла-тельщики. Для того, чтобы облегчить тяжелое финансово-экономическое бремя, был найден следующий выход: не разделять семьи женившихся братьев, т. е., не разрушать большие семьи, а, наоборот, увеличивать их число. Этот процесс подтвержден и тем документальным материалом, который был получен в Аджарии в период после османского господства.

В богатой лесом верхней Аджарии местные мастера делали из дерева мебель и посуду, при этом расчет был не только на свои потребности, но и на продажу в соседних районах. Взамен, они обеспечивали свои семьи необходимым запасом зерна. С другой стороны, внимания заслуживает то, что подобные экономические отношения и исторические культурные связи были очень важны с точки зрения сохранения грузинского самосознания и исторической памяти.

ლიტერატურა:

ადამია, 1956 – ილია ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება. აჭარა, თბილისი.

არჯევანიძე, 1963–ივანე არჯევანიძე, შთაბეჭდილებები ზემო აჭარაში მოგზაურობიდან. აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. VI, ბათუმი.

აჩუგბა, 1990 – თეიმურაზ აჩუგბა. ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი.

ბაგრატიონი–დავითაშვილი–2005 ტრადიციული დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობა, თბილისი.

ბარდაველიძე, ჩიტაია 1939 – ვერა ბარდაველიძე, გიორგი ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბილისი.

Гараканидзе, 1959 – Михаил Гараканидзе, Грузинское деревянное зодчество, Тбилиси.

გეგეჭკორი, 2000–გურამ გეგეჭკორი. ჯარგვალი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, II, თბილისი.

Бакрадзе, 1878- Димитри Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ.

გასიტაშვილი, 1962–გურამ გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბილისი.

გასიტაშვილი, 1972–გურამ გასიტაშვილი, ხის დამუშავების წესები მესხეთ-ჯავახეთში–მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი.

ბექაია, 1974 – მზია ბექაია. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი.

გურგენიძე, 1973 – ნუნუ გურგენიძე. აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბილისი.

გრიგოლია, 2007–გურამ გრიგოლია, ქვის ხანა აჭარის ტერიტორიაზე–სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, აჭარა, ბათუმი.

დავითაძე, 1974 – ალექსანდრე დავითაძე. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.

დავითაძე, 1985 – ალექსანდრე დავითაძე, ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან, ბათუმი.

ვარშალომიძე, 1974 – ჯემალ ვარშალომიძე, ორნამენტი ხეზე ზემო აჭარაში (მასალები აჭარული ორნამენტის შესრულების ტექნოლოგიისა და ტექნიკის შესწავლისათვის)–კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა (შემდგომში სდსყკ), II, თბილისი.

ვარშალომიძე, 1979 – ჯემალ ვარშალომიძე. ორნამენტი ხეზე (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ბათუმი.

ვარშალომიძე, 1987 – ჯემალ ვარშალომიძე, აკვანი და მასთან დაკავშირებული წესჩვეულებანი აჭარაში.–კრ.: სდსყკ, XVI, თბილისი.

ვარშალომიძე, 2016–ჯემალ ვარშალომიძე. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. აჭარა ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, ბათუმი.

ვახუშტი, 1941 – ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი

კახიძე, 1990 – ნოდარ კახიძე. ხელოსნობა აჭარაში.–კრ.: სდსყკ, XVII, თბილისი.

კახიძე, 2004 – ნოდარ კახიძე. ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი.

ლისოვსკი, 2015 – ვალერიან ლისოვსკი. ჭოროხის მხარე. თარგმანი და ავტორის ბიოგრაფია, კომენტარები, შენიშვნები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.

მასალები, 1976 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. I, თბილისი.

მასალები, 1976 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. II, თბილისი.

Манджавидзе, 1982 – Давид Манджавидзе. Реликтововые леса Аджарии, Тбилиси.

მგელაძე, 1973 – ვლადიმერ მგელაძე, ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973.

მგელაძე, 2004 – ნუგზარ მგელაძე, აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი.

მგელაძე, 2010–ვლადიმერ მგელაძე. სახლი და კარმიდამო ზემო აჭარაში, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის მაცნე, III, ბათუმი.

მუშკუდიანი, 1982 – მუშკუდიანი, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი–რევოლუციამდელ დასავლეთ საქართველოში (1880-1914), თბილისი.

მიქელაძე, 1982 – ჯემალ მიქელაძე, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში. ბათუმი.

Микеладзе, 1982 – Джемал Микеладзе. К Вопросу о классификации жилищ Аджарии. – Очерки этнографии Аджарии, Тбилиси.

მიქელაძე, 2009 – ჯემალ მიქელაძე. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, ბათუმი.

Пальгрев, 1882 – Отчет консула Пальгрева, за лето 1872 года, ИКОИРГО,т.VII, Тифлис.

ჟან მურიე, 1962 – ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი.

რობაქიძე, 1960 – ალექსი რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი.

რობაქიძე, 1967 – ალექსი რობაქიძე, დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი აჭარაში. კრ.: აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბილისი.

რობაქიძე, 1974 – ალექსი რობაქიძე. მასალები პატრონომიული ოჯახის ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში. კრ.: სდსკყ, II.

Харадзе, 1960 – Русудан Харадзе, Грузинская семейная община, I, Тбилиси.

სახოკია, 1985 – თედო სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი.

სიხარულიძე, 1958 – იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათუმი.

სვანიძე, 1984 – მიხეილ სვანიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეებში, თბილისი.

სუმბაძე, 1985 – ლონგინოზ სუმბაძე, ქართული ხით ხუროთმოძღვრება, თბილისი.

ყაზბეგი, 1995–გიორგი ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი.

ჩიჯავაძე, 1971 – ნეჯათ ჩიჯავაძე – სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბილისი.

ფაღავა, 2011 – მამია ფაღავა. შავშეთი, თბილისი (მ. ფაღავას რედაქტორობით გამოცემული მონოგრაფია).

ფრენკელი, 2012–ალექსანდრე ფრენკელი, ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე. გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი.

ფუტკარაძე, 2005 – თამაზ ფუტკარაძე, აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში, ბათუმი.

ქამადაძე, 1992 – მიხეილ ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია, თბილისი.

შამილაძე, 1969 – ვახტანგ შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბილისი.

შამილაძე, 1969ª – ვახტანგ შამილაძე, მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში–კრ.: აჭარის სოფელი, თბილისი.

შაშიკაძე, მახარაძე, 2011 – ზაზა შაშიკაძე, მირიან მახარაძე, აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბილისი.

ჩელებაძე, 2005 –ნაილა ჩელებაძე, ქალი და ოჯახი, თბილისი.

ჩიტაია, 1947 – გიორგი ჩიტაია, ხევსურული სახლი „სენე“, ანალები ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1, თბილისი.

ჩიტაია, 1997 – გიორგი ჩიტაია, შრომები, I, თბილისი.

ჩიტაია, 2001 – გიორგი ჩიტაია, შრომები, III, თბილისი.



რ.პაპიძის ძირთული ჯარგვალი. სოფ.დანისპარაულის იაილები, მხატვარი ჯ.მიქელაძე, 1986 წ.



სოფ. დიდაჭარა. ა. დემეტრაძის საცხოვრებელი სახლის წინა ფასადი, „ხალხამისა“ და ახორის სართულის გეგმა ი. ადამიას მიხედვით



სოფ. დიდაჭარა. ა. დემეტრაძის საცხოვრებელი სახლის ჭერის მორთულობა
ი. ადამიას მიხედვით



სოფ. დიდაჭარა. აჭარული ტიპის საცხოვრებელი სახლი (ა. დემეტრაძის სახლის გვერდის ფასადი, საცხოვრებელი სართულის გეგმა და ჭრილი)
ი. ადამიას მიხედვით



სოფ. ქედლები. მ. ქამადაძის ხის დასამუშავებელი წყალის ძალით მომქმედი ჩარხის გეგმა, გაჩარხვით მიღებული ხის ხუროთმოძღვრული ელემენტები და „ხვეწის“ სახეები ი. ადამიას მიხედვით



სოფ. ქედლები. წყალის ძალით მომქმედი ჩარხის ნაგებობის საერთო ასახულობა (მ. ქამადაძის ხის დამამუშავებელი ჩარხი) ი. ადამიას მიხედვით





საცხოვრებელი სახლის ინტერიერი, სოფ.წინწკალაშვილები (ღორჯომის ხეობა), მხატვარი ბ.პოპლავსკაია, 1958 წ.



დ.წინწკალაძის სახლის ინტერიერი, სოფ.წინწკალაშვილები,
მხატვარი ვ.პოპლავსკაია, 1958 წ.



ა.მარკოიძის ჩუქურთმიანი ქვის ბუხარი, სოფ.საციხური, ღორჯომის ხეობა,
მხატვ.ვ.ილიუშინი, 1960 წ.

კატრიძირის იაილები, ბეშუმი, მხატვარი ჯ.მიქელაძე, 1987 წ.

ბუხრის ჯაჭვი ჯვრის გამოსახულებით, სოფ.აგარა, ღორჯომის ხეობა, მხატვარი ა. ქალდანი, 1970 წ.

სუფრა, ღორჯომის მუზეუმიდან, მხატვარი ი.მიქელაძე, 1987 წ.



სარძიე, სოფ. სტეფანაშვილები, მხატვარი ლ.ილიუშინი, 1958 წ.

სარძიე. სოფ.მარკოიძეები მხატვარი ლ.ილიუშინი, 1958 წ.



მხერხავები, ბეშუმი, ნ.კახიძის ფოტო, 1965



სოფელ დიდაჭარის მეჩეთის კარისა და ინტერიერის ორნამენტები, ვ.ასტახოვის ფოტო, 2002 წ.(1)

სოფელ დიდაჭარის მეჩეთის კარისა და ინტერიერის ორნამენტები, ვ.ასტახოვის ფოტო, 2002 წ.

რუსლან ბარამიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის
განყოფილების უფროსი მეცნიერი
თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი

ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა

ნაშრომი მომზადებულია საარქივო დოკუმენტების, ლიტერატურული წყაროებისა და სხვადასხვა აღწერის მასალების მიხედვით, რომლებშიც ასახული იყო დასახლებები დღევანდელ ხულოს მუნიციპალიტეტში, მათი შემადგენლობა, მოსახლეობის რაოდენობა და სხვა.

ერთ–ერთ პირველ, შედარებით სრულ წყაროს წარმოადგენს სულთან სელიმ II-ეს დროს (1566–1574 წლები) შედგენილი „ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“, რომელიც შეიცავს მონაცემებს ზემო აჭარის ნაჰიეს (რაიონის) რაოდენობისა და ამ სოფლებზე გაწერილ გადასახადებზე (შაშიკაძე, 2011). დავთრის მიხედვით აჭარისწყლის ხეობა, რომელიც ამ დროს ოსმალეთის იმპერიის შემოადგენლობაში იყო, მოიცავდა სოფლებს, რომლებშიც მოსახლეობის სხვადასხვა შემადგენლობა ფიქსირდება. ნაწილი სოფლებისა მთლიანად დაცარიელებული ჩანს. გვხდება ისეთი სოფლებიც, სადაც მხოლოდ ორი კომლია შემორჩენილი (შაშიკაძე, 2011: 20). როგორც ჩანს, აღმწერებისათვის კარგად იყო ცნობილი დაცლილი და დაუცლელი სოფლები, რადგან მოსახლეობის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული შემოსავლების (გადასახადების) გაწერა, მეომრების რაოდენობის დადგენა და ა.შ. 1573 წლის 26 ივლისით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით აჭარის ლივის გზისპირა სოფლები დაცლილი იყო მოსახლეობისაგან, რის გამოც ისინი ქურდებისა და დაღაჩაღების ბუდედ იყო გადაიქცეული. ამიტომაც, სულთანი მოუწოდებდა ადგილობრივ მმართველებს (ლივანი, მაჭახელი, ფერთექრეკი) რათა მათ ყველა ღონე ეღონათ გაქცეული მოსახლეობის დასაბრუნებლად (იქვე, გვ. 20-21).

XVI საუკუნის მეორე ნახევრისათვის ზემო აჭარის ნაჰიედ ხსენებულ ლივაში კარგად იკითხება დღვანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუცლელი და მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლები და თითოეულზე გაწერილი გადასახადები, კომლთა რაოდენობა. თუმცა, პრობლემას წარმოადგენს ცალკეული ტოპონიმის დაზუსტება, რადგან აღწერებში მითითებული სოფლების ნაწილი დღეს აღარ არსებობს (იქვე, გვ. 12–13). კერძოდ, აღწე-

რებში შემდეგი სოფლებია დასახელებული: იორამის ციხის რაბათი, 15 კომლი, ამჟამინდელი შუბანი; ჭა, 8 კომლი, ამჟამინდელი ფურტიოს მიდამოები არსებული ყუიუს (თურქ. ჭა) უბნის მიდამოებში; მელიქწმინდა, 14 კომლი, ფურტიოს მიდამოებში არსებული მჭედლურის უბნის მიდამოები; სხალთა, 15 კომლი, დავთარში მისი უბნად მოხსენიებულია ფაჩხა; წაბლვანა, 9 კომლი, დღვანდელი წაბლანა; ჭერი, 8 კომლი, წყაროს მიხედვით მასთან ახლოს მდებარეობდა ძმაგულას მაჰალე; ზემო კურძა, 5 კომლი, სავარაუდოდ კურძაული ანუ ზემო, დღევანდელი გურძაული; ქვედა კურძა, 12 კომლი, წარმოდგენილია ცალკე დასახლების სახით; მეზობლად მოხსენიებულია სათესველი ჭკანარი; თაგო, 5 კომლი; ჩაო, 7 კომლი; ფურდი, 4 კომლი, დღევანდელი ფურტიო; ნენია, 5 კომლი; დაბაძველი, 2 კომლი; ლახორი/ლაჰორი, 7 კომლი; დანისპარაული, 5 კომლი; კვატია, 4 კომლი; ოშქანა, 6 კომლი (განლაგებულია ვარდიდაბას მაჰალესთან ახლოს), დღევანდელი ოშანახევი; საქაშთავი//საქაშთაო, დაცლილია მოსახლეობისაგან და მდებარეობს სოფელ ბეღლეთთან ახლოს; ქუდგაური, დაცლილია (სხვა ვერსიით ქუთაური, მდებარებოდა ბეღლეთთან და ქოჩახთან ახლოს); მაწყვალთა, დაცლილია; თხილვანა, 2 კომლი; ბუღაური, 8კომლი, მდებარებოს გორშეშის მაჰალესთან; ტბეთი, დაცლილია. ზ. შაშიკაძის ცნობით ამ სახელწოდებით აჭარაში რამდენიმე დასახლება იყო. ეს დასახლება სოფელ ბოძაურთან მდებარეობდა; შუანაღვარევი, დაცლილია (ნაღვარევი მკლვევარების აზრით ხევს აღნიშნავდა, ამიტომ დასახლება დღევანდელი ხულოს ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო); ჭურთა, დაცლილია; კონანა, დაცლილია; კალოთა, დაცლილია; ქოჩაკი//ქოჩახი, დაცლილია (მდებარეობდა კალოთასთან ახლოს, დღვანდელი ქოჩახი); მაქვთა, დაცლილია (დასახლება მდებარებოდა თხილვანასთან ახლოს); რაგთა, დაცლილია (დღევანდელი რაგვთა); ხიხაძირის ციხის რაბათი, დაცლილია (ზ. შაშიკაძის ცნობით მისი მეორე სახელია ბარათაული); გუდნა, დაცლილია (მდებარებოდა მაჩიტეთის სათიბთან); აღწერებში სხვა დასახლებული სოფლებიც სახელდება: ხულა, 37 კომლი (მდებარებოდა დიაკონიძეების და გუდისცევის მაჰალეებთან და ზემო აჭარის ყველაზე დიდი დასახლება იყო); ღორჯომი, 32 კომლი; დიდი აჭარა, 6 კომლი; ბეღლეთი, 14 კომლი; ფოცხავა//ფოცხო, 8 კომლი, სავარაუდოდ დღევანდელი სოფელ უჩხოს სათესის ფოცხავას მიდამოებში; ალმე, 15 კომლი; ნიგაზეული, 15 კომლი; ჩანჩხალო, 6 კომლი; ქვემო მალდაშალი, დაცლილია; ჭვანა, 20 კომლი, მდებარეობდა გომარდიდის და ჭალას მაჰალეებთან ახლოს; წყაროთა, 4 კომლი; უჩამბა, 2 კომლი; ბარათაული, 5 კომლი; ტბეთის ციხის რაბათი, 12 კომლი (მდებარებობდა ცინარეთსა და სამოლეთს შორის მდებარე ციხის მიდამოებში); ახალდაბა, 2 კომლი; ქარაფეთა, დაცლილია (დღევანდელი კარაპეტი); კავიანის ციხის რაბათი, დაცლი-

ლია; ოთოლთას ციხის რაბათი, დაცლილია (დღევანდელი ჭვანის ციხის მიდამოები); სამხდლისი, დაცლილია; ტაბახმელა, დაცლილია; შუა კალო, დაცლილია; ქორეთი//გორეთი, დაცლილია; ამალდიური, დაცლილია; ზემო მალდაშენი//მლაშალი, დაცლილია; ბორდოყანა, დაცლილია; დიოკნისი, 4 კომლი; სათესველი მანიაკეთი (იქვე, გვ. 14-18).

გარდა დასახელებული სოფლებისა, როგორც ჩანს ზემო აჭარაში კიდევ ორი სოფელი ფიქსირდებოდა, რომლებიც გაურკვეველი მიზეზის გამო იყო გამოტევებული ვრცელ დავთარში და გვხვდება იმავე პერიოდის „აჭარის ლივის მოკლე დავთარში“. ესენია, ელვაური და ოხლაური (იქვე, გვ. 18).

აჭარისწყლის ხეობაში, ანუ ზემო აჭარის ნაჰიეში, სულ 61 დასახლება ფიქსირდება, რომლებშიც 311 კომლი ცხოვრობდა. ამის საფუძველზე მკვლევრები მიიჩნევენ, რომ XVI საუკუნის 60–70–იან წლებში ზემო აჭარის მოსახლეობა 2000 კაცს აღწევდა. აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება. პირველი, მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთარი საცხოვრებელი ადგილები მიტოვებული ჰქონდა. მეორე, დავთარში აღწერილი იყო მხოლოდ გლეხობა, ანუ გადასახადებით დაბეგრილი მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, ამ რიცხვს უნდა დაემატოს ფეოდალთა და იმ სახელმწიფო მოხელეთა რიცხვი, რომლებიც „დავთარში“ არ ირიცხებოდნენ (იქვე, გვ. 20); მესამე, მოსახლეობა გადასახადების შემცირების მიზეზით უარს ამბობდა დიდი ოჯახის დაშლაზე, ამიტომ მამა-შვილი ერთად ცხოვრობდნენ. ამასთან, მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის დროს თითოეულ კომლში ხუთ სულზე მეტი მოსახლე იანგარიშება (იქვე, გვ. 20). და ბოლოს, როგორც ჩანს, XVI საუკუნის შემდეგ, დროთა განმავლობაში, ხალხი შეეგუა არსებულ მდგომარეობას და თავიდან დასახლდა ამ ნასოფლარებში. გარდა ამ დასახლებებისა, „დავთარში“ მრავლად ვხვდებით სოფლებს, რომლებიც იმ დროს დაცლილია მოსახლეობისაგან, ხოლო დღეისათვის კვლავ განაგრძობენ არსებობას (იქვე, გვ. 20).

ზემო აჭარის მოსახლეობის შესახებ მოიპოვება 1835 წლით დათარიღბული მონაცემები, რომლის ავტორია ნები გუმუში (Gümüs, 2013). ეს ცნობები სამხედრო ხასიათისაა და მათში მოცემულია მხოლოდ მუსლიმ მამაკაცთა რაოდენობა, ამიტომ მასში არაა შეყვანილი ბავშვები და ქალები. ავტორი გვაწვდის ცნობებს სოფლების, მათში მცხოვრები მამაკაცების და მუხტრების შესახებ.

ზემო აჭარაში ავტორი ასახელებს შემდეგ სოფლებს კომლთა რაოდენობით: ხულა, 111 კომლი, 341 მამაკაცი; ალმე, 48 კომლი, 155 მამაკაცი; ღორჯომი, 176 კომლი, 569 მამაკაცი; დიდ აჭარა, 50 კომლი, 135 მამაკაცი; ღურტა, 43 კომლი, 135 მამაკაცი; პაქსაძეები, 24 კომლი, 68 მამაკაცი; დანისპარაული, 100 კომლი, 323 მამაკაცი; თაგო, 9 კომლი, 20 მამაკაცი; ჩაო 12 კომლი, 37 მამაკაცი; წაბლანა, 81

კომლი, 210 მამაკაცი; ჩანჩხალო, 36 კომლი, 142 კომლი; ნიგაზეული, 31 კომლი, 70 მამაკაცი; ნენია, 113 კომლი, 292 მამაკაცი; ხულო, 74 კომლი, 240 მამაკაცი; ჭვანა, 266 კომლი, 725 მამაკაცი; ხიხაძირი, 101 კომლი, 298 მამაკაცი; ტბეთი, 56 კომლი, 189 მამაკაცი; დღვანი, 109 კომლი, 311 მამაკაცი; დაჩიძე//დარჩიძეები, 50 კომლი, 126 მამაკაცი; ქიძინიძე//ქიძინიძეები, 82 კომლი, 198 მამაკაცი; სამოლიძის ნაჰიე ტბეთის ციხესთან, 77 კომლი, 225 მამაკაცი.

ამგვარად, ზემო აჭარაში წყაროს მიხედვით 21 დასახლება ფიქსირდება, რომელშიც 1649 კომლი და 4809 მამაკაცი ცხოვრობდა, ანუ საშუალოდ დაახლოებით 3 მამაკაცი თითოეულ კომლში (Gümüs, 2013: 141-142).

ამ ცნობებთან კავშირში საყურადღებოა ვ. იაშვილის ცნობა, რომლის მიხედვით რუსეთ–ოსმალეთის 1828–1829 წლების ომში ახმედ ბეგ ხიმშიაშვილს 20.000 მეომარი გაუყვანია (იაშვილი, 1948: 125).

1871–1873 წლების მონაცემებით, რომელსაც პ. ჯიუდიჩი გვაწვდის, ზემო აჭარაში 105 დასახლებული პუნქტი და 5819 ქართველი მუსლიმი ცხოვრობდა (Джудич, 1873).

1877–1878 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომის შემდეგ ჭოროხის აუზი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა. 1878 წლების სან–სტეფანოს ხელშეკრულებისა და ბერლინის ტრაქტატისა და 1879 წლის კონსტანტინოპოლის ტრაქტატით რეგულირდებოდა როგორც ტერიტორიულ დაქვემდებარების საკითხები, მისი მოწყობა, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის პირობებიც, რაც მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი. ამ რეგიონისათვის მუჰაჯირობის ვადებად 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვალი განისაზღვრა. არაოფიციალურად გადასახლება 80-იანი წლების ბოლომდეც გრძელდებოდა. თუმცა, 1886 წელს რუსეთმა ოფიციალურად ჩაკეტა საზღვარი ოსმალეთთან (მეგრელიძე, 1964; ბარამიძე, 1999; სიჭინავა, 1958). მოსახლეობის მიგრაცია ოსმალეთის, შემდეგ კი თურქეთის მიმართულებით 1940-იან წლებამდე ხდებოდა. ადგილი ჰქონდა უკუმიგრაციასაც, მათ შორის მუჰაჯირებშიც. თუმცა უკუმიგრირებულთა რაოდენობა მცირე იყო. მიგრაციის მიზეზი კი სხვადასხვა იყო: ანტირუსული და პროოსმალური აგიტაცია, მოსახლეობის უფლებების შეზღუდვის საფრთხე, მძიმე სამეურნეო და ეკონომიკური პრობლემები, რელიგიური ფაქტორი. რეგიონის ეთნოკონფესიური სურათის შეცვლა როგორც რუსეთის იმპერიის, ისე ოსმალეთის იმპერიის ინტერესებში შედიოდა. მოსახლეობის უკმაყოფილებას ხელს უწყობდა ახალი მმართველობის შემოღების პროცესში დაშვებული გადაცდენები (მესხი, 1962: 9-40; ბარამიძე, 1999: 100-102). ვ.ლისოვსკი, რომელიც რეგიონის ერთ–ერთ ვრცელ აღწერას იძლევა, აღნიშნავდა, რომ გადასახლებას პოზიტიური ცვლილებები მოყვა, რადგან ჭარბმოსახლეობიანი

და მცირემიწიანი აჭარა, საშუალებას არ აძლევდა ადგილობრივებს სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის, რის გამოც ისინი ყაჩაღობით და უკანონო საქმიანობით იყვნენ დაკავებული. ვ. ლისოვსკის აზრით, სოფლების მოსახლეობის რაოდენობის შემცირების გავლენით მოსახლეობას გარკვეული შეღავათი უნდა ეგრძნო, ძირითადად, მიწების გამონთავისუფლების გამო (Лисовский, 1887: 88).

მუჰაჯირთა ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა თურქეთის რესპუბლიკის არქივებში დაცული მასალებით ირკვევა ზოგიერთი დეტალი. ჩასახლებული მოსახლეობის სტატისტიკა მოცემული აქვს ზ. შაშიკაძეს. მისი ცნობით, მარტო 1878–1879 წლებში რუსეთ–ოსმალეთის ომის შემდეგ თურქეთის შავიზღვისპირეთის რეგიონში (ორდუ, ტრაპიზონი, სამსუნი, რიზე და სხვა მხარეები) ძირითადად ბათუმის მიმდებარე სოფლებიდან, ასევე თანამედროვე ხელვაჩაურის, ქობულეთის და ქედის რაიონებიდან დაახლოებით 22 ათასი ადამიანია გადასახლებული. თუმცა, როგორც ავტორი აზუსტებს – ეს მონაცემები მხოლოდ ერთ კონკრეტულ ტალღას ეხება და ის თავისთავად არასრულია (შაშიკაძე, 2013: 151). ამგვარად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებიდან მოსახლეობის საკმაოდ დიდ ტალღა გადასახლდა. ამჟამად მათი სოფლები ფიქსირდება ბურსას და ქოჯაელის ილებში, განსაკუთრებით გიოლჯუქის და ინეგოლის მხარეში.

ა. ფრენკელის ცნობითაც 1878 წლისათვის, რუსეთ–ოსმალეთის ომის გამო ადგილობრივი მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებულია. ზემო აჭარის კაზაში 6699 მოსახლე ცხოვრობდა (Френкель, 1879: 60). საყურადღებოა, რომ ამ პერიოდისათვის მოსახლეობის რაოდენობის ათვლა ძირითადად კომლების მიხედვით ხდებოდა, რის გამოც მოტანილი ცნობების უმრავლესობა ზოგადი ხასიათისაა. ა. ფრენკელის მიხედვით ზემო აჭარის კაზის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: ხულა, 170 კომლი, 445 მცხოვრები; ალმე, 76 კომლი, 171 მცხოვრები; ნაგაზეული (ნიგაზეული), 32 კომლი, 85 მცხოვრები; ჩანჩხალო, 64 კომლი, 161 მცხოვრები; ჭვანა, 411 კომლი, 935 მცხოვრები; შუახევი (ხულო) 92 კომლი, 253 მცხოვრები; სამოლეთი, 109 კომლი, 206 მცხოვრები; ტბეთი, 233 კომლი, 1248 მცხოვრები; ქიძინიძე, 80 კომლი, 214 მცხოვრები; მარეთის ხეობის ქვედა ნაწილი, 155 კომლი, 265 მცხოვრები; მარეთის ხეობის ზედა ნაწილი, 67 კომლი, 184 მცხოვრები; ხიხაძირი, 162 კომლი, 382 მცხოვრები; სხალთა, 105 კომლი. 272 მცხოვრები; ნენია, 12 კომლი, 170 მცხოვრები; ფურტიო, 50 კომლი, 142 მცხოვრები; ღორჯომი, 278 კომლი, 740 მცხოვრები; ღურტა–პაქსაძეები, 84 კომლი, 211 მცხოვრები; ბეღლეთი, 126 კომლი, 330 მცხოვრები; დიდ–აჭარა, 89 კომლი, 159 მცხოვრები; ჩაო–თაგო, 22 კომლი, 72 მცხოვრები. სულ 2417 კომლი და 6699 მცხოვრები, ანუ კომლში საშუალოდ 2,77 მცხოვრები.

მოცემული სტატისტიკით ირკვევა, რომ კომლში საშუალოდ ყველაზე მეტი მცხოვრები ნენიაში ცხოვრობდა (საშუალოდ თითოეულ კომლში 14,17 მცხოვ-რები); ასევე გამოირჩეოდა ტბეთი, სადაც კომლში საშუალოდ 5,36 მცხოვრები ცხოვრობდა. კომლში ყველაზე ნაკლები მცხოვრები მოდიოდა დიდაჭარაში (კომლში 1,79 მცხოვრები) და ქვედა მარეთში (კომლში 1,71 მცხოვრები) (იქვე, გვ. 148).

1887 წელს გამოქვეყნდა ვ. ლისოვსკის სამხედრო–სტატისტიკური ხასიათის ნაშორმი, რომელშიც ჩამოთვლილია ჭოროხის მხარეში სოფლებისა და კომ-ლების რაოდენობა. ამის მიხედვით დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტში დასახელებულია შემდეგი სოფლები:

ადაძეები, 32 კომლი (62 მამაკაცი, 38 ქალი), სულ 100 მოსახლე. საშუალოდ კომლში 3,13 ადამიანი; აგარა (ზემო აჭარის აგარა), 60 კომლი (120 მამაკაცი, 126 ქალი), სულ 246 მოსახლე. საშუალოდ კომლში 4,1 ადამიანი; ბაკო, 6 კომლი (13 მამაკაცი, 11 ქალი), სულ 24 მოსახლე. კომლში საშუალოდ 4 ადამიანი; ბეღლეთი, 23 კომლი (92 მამაკაცი, 98 ქალი), სულ 190 მოსახლე. კომლში საშუალოდ 8,26 ადამიანი; ბოღაური, 19 კომლი (40 მამაკაცი, 46 ქალი), სულ 86 მოსახლე. კომლში საშუალოდ 4,53 ადამიანი; ბოძაური, 27 კომლი (110 მამაკაცი, 106 ქალი), სულ 216 მოსახლე. კომლში საშუალოდ 8 ადამიანი; ჩაო, 14 კომლი (40 მამაკაცი, 35 ქალი), სულ 75 მოსახლე. კომლში საშუალოდ 5,36; დანისპარაული, 19 კომლი (60 მამაკაცი, 65 ქალი), სულ 125 მოსახლე. კომლში საშუალოდ 6,58; დიაკონიძეები, 5 კომლი (15 მამაკაცი, 10 ქალი), სულ 25 მოსახლე. კომლში საშუალოდ 5 ადა-მიანი; დიოკნისი, 19 კომლი (76 მამაკაცი, 80 ქალი), სულ 156 მოსახლე. კომლში საშუალოდ 8,21 ადამიანი; დუაძეები, 17 კომლი (60 მამაკაცი, 55 ქალი), სულ 115 მოსახლე. კომლში საშუალოდ 6,76 ადამიანი; ელელიძეები, 10 კომლი (30 მამაკაცი, 20 ქალი), სულ 50 მოსახლე. კომლში საშუალოდ 5 ადამიანი; ფაჩხა, 16 კომლი (36 მამაკაცი, 31 ქალი), სულ 67 მოსახლე. კომლში საშუალოდ 4,19 ადამიანი; ფუშრუკაული, 8 კომლი (25 მამაკაცი, 17 ქალი), სულ 42 მოსახლე. კომლში საშუალოდ 5,25 ადამიანი; გელაძეები, 8 კომლი (32 მამაკაცი, 24 ქალი), სულ 56 მოსახლე. კომლში საშუალოდ 7 ადამიანი; გოგაძეები, 11 კომლი (19 მამაკაცი, 20 ქალი), სულ 39 მოსახლე. კომლში საშუალოდ 3,55 ადამიანი; გუდა-სახო, 7 კომლი (28 მამაკაცი, 15 ქალი), სულ 43 მოსახლე. კომლში საშუალოდ 6,14 ადამიანი; გურძაული, 8 კომლი (29 მამაკაცი, 22 ქალი), სულ 51 მოსახლე. კომლში საშუალოდ 6,38 ადამიანი; ირემაძეები, 32 კომლი (60 მამაკაცი, 65 ქალი), სულ 125 მოსახლე. კომლში საშუალოდ3,91 მოსახლე; კალოთა, 10 კომლი (29 მამაკაცი, 33 ქალი), სულ 62 მოსახლე. კომლში საშუალოდ 6,2 ადამიანი; კორ-ტოხი, 9 კომლი (45 მამაკაცი, 36 ქალი), სულ 81 მცხოვრები. კომლში საშუალოდ 9

ადამიანი; კურცხალი, 38 კომლი (163 მამაკაცი, 144 ქალი), სულ 307 მოსახლე. საშუალოდ კომლში 8,08 ადამიანი; კვატია, 15 კომლი (69 მამაკაცი, 45 ქალი), სულ 114 მოსახლე. კომლში საშუალოდ 7,6 ადამიანი; მანიაკეთი, 15 კომლი (60 მამაკაცი, 45 ქალი), სულ 105 მოსახლე. კომლში საშუალოდ 7 ადამიანი; მახალაკაური, 5 კომლი (24 მამაკაცი, 28 ქალი), სულ 52 მოსახლე. კომლში საშუალოდ 10,4 ადამიანი; ოქრუაშვილები, 15 კომლი (30 მამაკაცი, 15 ქალი), სულ 45 მოსახლე. კომლში საშუალოდ 3 ადამიანი; პაქსაძეები, 20 კომლი (60 მამაკაცი, 40 ქალი), სულ 100 მოსახლე. კომლში საშუალოდ 5 ადამიანი; ქედ-ლები, 30 კომლი (90 მამაკაცი, 60 ქალი), სულ 150 მოსახლე. კომლში საშუალოდ 5 ადამიანი; ქვედა თხილვანა, 10 კომლი (27 მამაკაცი, 25 ქალი), სულ 52 მოსახლე. კომლში საშუალოდ 5,2 ადამიანი; ალმე (დღევანდელი ქვემო და ზემო ვაშლო-ვანი), 60 კომლი (98 მამაკაცი, 71 ქალი), სულ 169 მოსახლე. კომლში საშუალოდ 2,82 ადამიანი; რაქვთა, 14 კომლი (61 მამაკაცი, 58 ქალი), სულ 119 მოსახლე. კომლში საშუალოდ 8,5 ადამიანი; რიკეთი (რიყეთი) 33 კომლი (90 მამაკაცი, 100 ქალი), სულ 190 მოსახლე. კომლში საშუალოდ 5,76 ადამიანი; ღორჯომელაძეები, 10 კომლი (40 მამაკაცი, 45 ქალი), სულ 85 მოსახლე. კომლში საშუალოდ 8,5 ადამიანი; ღურტა, 10 კომლი (50 მამაკაცი, 40 ქალი), სულ 90 მცხოვრები. კომლში საშუალოდ 9 ადამიანი; სკვანა, 15 კომლი (54 მამაკაცი, 45 ქალი), სულ 99 მცხოვრები. კომლში საშუალოდ 6,6 ადამიანი; ტაბახმელა, 13 კომლი (49 მამაკაცი, 60 ქალი), სულ 109 მცხოვრები. კომლში საშუალოდ 8,38 ადამიანი; თაგო, 10 კომლი (26 მამაკაცი, 20 ქალი), სულ 46 მცხოვრები. კომლში საშუალოდ 4,6 ადამიანი; უჩხო, 13 კომლი (30 მამაკაცი, 25 ქალი), სულ 55 მცხოვრები. კომლში საშუალოდ 4,23 ადამიანი; ვანაძეები, 19 კომლი (40 მამაკაცი, 42 ქალი), სულ 82 მცხოვრები. კომლში საშუალოდ 4,32 ადამიანი; ვერნები, 12 კომლი (34 მამაკაცი, 23 ქალი), სულ 57 მცხოვრები. კომლში საშუალოდ 4,75 ადამიანი; წაბლანა (წყაროში აღნიშნულია როგორც სხლათის წაბლანა), 36 კომლი (164 მამაკაცი, 131 ქალი), სულ 295 მცხოვრები, კომლში საშუალოდ 8,19 ადამიანი; ხიხაძირი, 42 კომლი (145 მამაკაცი, 129 ქალი), სულ 274 მცხოვრები. კომლში საშუალოდ 6,52 ადამიანი; ყინჩაური, 12 კომლი (27 მამაკაცი, 28 ქალი), სულ 55 ადამიანი. კომლში საშუალოდ 4,58 ადამიანი; ზედა თხილვანა, 8 კომლი (19 მამაკაცი, 19 ქალი), სულ 38 მოსახლე. კომლში საშუალოდ 4,75 ადამიანი; ძირკვა-ძეები, 21 კომლი (60 მამაკაცი, 55 ქალი), სულ 115 მოსახლე. კომლში საშუალოდ 5,48 ადამიანი; ძმაგულა 7 კომლი (25 მამაკაცი, 31 ქალი), სულ 56 მოსახლე. კომლში საშუალოდ 8 ადამიანი (Лисовский, 1887: დანართი 1).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წყაროს მიხედვით რთულია ხულოს მუნიცი-პალტეტის სოფლების ზუსტი ჩამონათვალის გამოვლენა. კერძოდ, ზემოთ მოყ-

ვანილ ა. ფრენკელის ცნობების მიხედვით, რომელიც უფრო ადრეულ პერიოდს ეხება, მოცემულია სოფლების მცირე ჩამონათვალი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში სოფლებად აღნიშნული დასახლებები თემის ცენტრებს წარმოდგენდნენ და საგადასახადო პოლიტიკის გამო, მისი ცალკეული ნაწილები (უბანი, მეჰელე) დამოუკიდებელ სოფლებად ჯერ არ იყო გამოყოფილი. რაც შეეხება უკვე 1887 წლით დათარიღებულ ვ. ლისოვსკის ნაშრომს, მასში თუმცა მეტი დასახლებაა მოხსენიებული, მაგრამ ავტორს სოფლები ჩამოთვლილი აქვს ანბანური თანმიმდევრობით. ამ მიზეზით იმ სოფლების ჩამონათვალის დაზუსტება, რომლებიც ზემო აჭარაში, კერძოდ კი დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტში შედიოდნენ – ძნელდება. ამიტომაც, ცალკეული სოფელი მხოლოდ ვარაუდის დონეზე შევიყვანეთ ზემო აჭარაში, ანუ დღევანდელ ხულოს მუნიციპალიტეტში. მაგ. გოდგაძეები, გუდასახო, კურცხალი, ოქრუაშვილები და სხვა. ასევე სირთულეს წარმოადგენდა იმ სოფლების დაზუსტება, რომლებსაც დიდი ისტორია აქვთ, მაგრამ არ მოხვდნენ როგორც წინა, ისე ამ აღირცხავში. ეს განსაკუთრებით ეხება დიდაჭარას, რომელიც ვ. ლისოვსკის მონაცემებში არ გვხდება. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ სოფლების ნაწილი, რომელიც სხვადასხვა სტატისტიკაში იყო ასახული, შემდგომში გაქრა ან სახელი შეიცვალა. ამიტომაც ვ. ლისოვსკის მიერ მოყვანილი ცნობების გამოყენებისას ჩვენ ვითვალისწინებდით დღევანდელი სოფლების ჩამონათვალს და ტოპონიმებს.

1892 წლის მონაცემებით ზემო აჭარაში 82 სოფელი ფიქსირდებოდა (სანიკიძე, 1999: 12), ხოლო მთლიანად აჭარის მოსახლეობა დაახლოებით 50.000 კაცს აღწევდა. თ. სახოკიას ცნობით 1889–1896 წლებში ზემო აჭარაში მოსახლეობა 17579–დან 19465 მცხოვრებამდე გაზრდილა (სახოკია, 1950: 161-163). ადმინისტრაციულად, თ. სახოკიას ცნობითვე, რუსეთთან შეერთების შემდეგ აჭარა ზემო და ქვემო საბოქაულოდ დაიყო, ცენტრით ხულოსა და ქედაში (იქვე, გვ. 158). მისივე ცნობით 1894 წლისათვის ზემო აჭარაში დაიბადა 299 ადამიანი, დაქორწინდა 36 წყვილი, ხოლო გარდაიცვალა – 144 (იქვე, გვ. 161-163).

მოგვიანო პერიოდში აქტიურად ხდებოდა როგორც სოფლების გამოყოფა, ისე სახელების გადარქმევა და ახალი ტერიტორიული ერთეულების შექმნა. ასე, როგორც წყაროებით ფიქსირდება, 1918 წლის 3 სექტემბერს სახელი გადაერქვა სოფელ ახველოღლებს (ახოელოღლები), რომელიც ღორჯომის თემს ეკუთვნოდა და ამიერიდან მას ახალუბანი ეწოდა (Грузинская..., 1960: 251-270).

1926 წლის მონაცემებით, საქართველო ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ნაწილია (Территориальное…, 1926: 195). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მოიცავდა 5 მაზრას, 19 თემს, 290 სოფელს, 11701 კომლს და 132767 ადამიანს. აქედან, ხულოს მაზრა მოიცავდა 7 თემს, 129

სოფელს, 3573 კომლს და 27172 მცხოვრებს, რომლებიც სოფლად ცხოვრობდნენ. 1926 წლის მონაცემებით ხულოს მაზრაში სასოფლო საბჭოები არ ფიქსირდება, იგი თემებად იყოფოდა. მაზრაში შემდეგი თემები შედიოდა:

ღორჯომის თემი ცენტრით ადაძე, 21 სოფელი, 749 კომლი, 6481 მცხოვრები, საშუალოდ კომლში 8,65 ადამიანი;

ყარადერეს თემი (დღევანდელი მარეთის ხეობის ზედა ნაწილი) ცენტრით ყარადერე, 18 სოფელი, 308 კომლი, 2909 მცხოვრები, საშუალოდ კომლში 9,44 ადამიანი;

რიყეთის თემი ცენტრით რიყეთი, 13 სოფელი, 293კომლი, 2669 მცხოვრები, საშუალოდ კომლში 9,11 ადამიანი;

სხალთის თემი ცენტრით სხალთა, 25 სოფელი, 748 კომლი, 5339 მცხოვრები, საშუალოდ კომლში 7,14 ადამიანი;

უჩამბის თემი (სავარაუდოდ, მარეთის ხეობის ქვედა ნაწილი, უჩამბის თემი და აჭარისწყლის ხეობის ნაწილი) ცენტრით უჩამბ, 17 სოფელი, 459 კომლი, 2871 მცხოვრები, საშუალოდ კომლში 6,25 ადამიანი;

ხულოს თემი ცენტრით ხულო, 15 სოფელი, 374 კომლი, 2832 მცხოვრები, საშუალოდ კომლში 7,57 ადამიანი;

ჭვანის თემი ცენტრით ვარჯანაული, 20 სოფელი, 642 კომლი, 4071 მცხოვრები, საშუალოდ კომლში 6,34 ადამიანი (იქვე, გვ. 207).

1931 წლის მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 3 რაიონად იყოფოდა. ხულოს რაიონის ცენტრს დასახლება ხულო წარმოადგენდა, რომელიც სტატუსით სოფელთანაა გათანაბრებული. რაიონი 12 სასოფლო საბჭოს მოიცავდა და 130 სოფლისაგან შედგებოდა. ამ პერიოდში ხულოში მოსახლეობა მთლიანად სოფლად ცხოვრობდა და სულ 31905 ადამიანს ითვლიდა (Административно-территориальное..., 1931: 240-241).

1938 წლის მონაცემებით აჭარა 4 რაიონს, 41 სასოფლო საბჭოს მოიცავდა, ხულოს რაიონი კი 16 სასოფლო საბჭოს მოიცავდა (СССР..., 1938: 188).

1941 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 4 რაიონს და 50 სასოფლო საბჭოს მოიცავდა, ხოლო ხულოს რაიონი 17 სასოფლო საბჭოს მოიცავდა (СССР..., 1941: 5, 244).

1947 წელს აჭარა ისევ 4 რაიონს, თუმცა 1–ით მეტ 51 სასოფლო საბჭოს მოიცავს, ხულოს რაიონში 18 სასოფლო საბჭო ფიქსრიდებოდა (СССР…, 1947: 270).

1948 წლის 3 სექტემბერს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ზოგიერთი დასახლების სახელწოდებები შეიცვალა. ეს ცვლილება ხულოს რაიონშიც მოხდა: ხიხაძირის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ძაღლამერას დაერქვა ახალშენი, ოქტომბრის სასოფლო საბჭოში შემავალ ზედა ალმეს ეწოდა ვაშლოვანი,

ხოლო ქვედა ალმეს – ოქტომბერი; ხულოს სასოფლო საბჭოში შემავალ ყადიოღლებს ეწოდა განახლება; ხიხაძირის სასოფლო საბჭოში შემავალ მუმსუის ეწოდა მთისუბანი; რიყეთის სასოფლო საბჭოში შემავალ ნანუზოღლებს ეწოდა შუასოფელი; ხოლო დასახლება კაიბაშს ეწოდა კლდისუბანი (Грузинская..., 1966: 251-270).

1952 წელს ხულოს მუნიციპალიტეტიდან გამოყოფილი ტერიტორიის ხარჯზე შეიქმნა ცალკე რაიონი – შუახევი; 1963 წლიდან სულ რაღაც 1 წლის განმავლობაში ეს ტერიტორია ისევ ხულოს რაიონს დაუქვემდებარეს, თუმცა მოგვიანებით, 1965 წელს, ხულო კვლავ ცალკე რაიონად დარეგისტრირდა. ამიტომ, 1960 წლის მდგომარეობით აჭარის ა.რ. მოიცავდა 5 რაიონს. ხულოს რაიონში 9 სასოფლო საბჭო და 71 სოფელი შედიოდა. სასოფლო საბჭოების მიხედვით ხულოს რაიონში შედიოდა შემდეგი სოფლები: აგარის სასოფლო საბჭო – აგარა (საბჭოს ცენტრი), გელაურა, საციხური, პანტნარი; ღორჯომის სასოფლო საბჭო – ადაძეები (საბჭოს ცენტრი), ვანაძეები, ვაშაყმაძეები, გორგაძეები, ქურდული, ლაბაიძეები, მეკეიძეები, მეხელაშვილები, მინდაძეები, სტეფანაშვილები, ტუნაძეები, წინწკალაშვილები, ახალუბანი; დიდაჭარის საბჭო – დიდაჭარა (საბჭოს ცენტრი), ბოძაური, ირემაძეები; დიოკნისის საბჭო – დიოკნისი (საბჭოს ცენტრი), ბეღლეთი, ღორჯომელაძეები, ღურტა, ჯვარიქეთი, იაკობაძეები, კორტოხი, მანიაკეთი, გელაძეები, პაქსაძეები, ტაბახმელა; სხალთის საბჭო – ყინჩური (საბჭოს ცენტრი), გურძაული, ძმაგულა, კვატია, ფაჩხა, წაბლანა, ჭერი; რიყეთის საბჭო – რიყეთი (საბჭოს ცენტრი), ბოძაური, დანისპარაული, შუასოფელი; ხიხაძირის საბჭო – ხიხაძირი (საბჭოს ცენტრი), ბაკო, მთისუბანი, ვერნები, კალოთა, ფუშრუკაული, რაქვთა, სკვანა, თხილვანა, ახალშენი, მახალაკაური; ოქტომბრის საბჭო – ოქტომბერი (საბჭოს ცენტრი), ვაშლოვანი, შურმული, ჩაო; ხულოს საბჭო – ხულო (საბჭოს ცენტრი), გორგაძეები, გუდასახო, დეკანაშვილები, ძირკვაძეები, დიაკონიძეები, დუაძეები, განახლება, ქედლები, ოქრუაშვილები, თაგო, ელიძეები, უჩხო, კურცხალი (Грузинская…, 1960: 134-135).

1966 წლის მონაცემებით აჭარაში 5 რაიონია, ხულოს უკვე დაბის სტატუსი აქვს, და რაიონში 18 სასოფლო საბჭო და 70 სოფელია (Грузинская…, 1966: 13-14). სოფელი თაგო ხულოს სასოფლო საბჭოდან ოქტომბრის სასოფლო საბჭოში გადავიდა.

სასოფლო საბჭოების მიხედვით ხულოს რაიონში შემდეგი სოფლები შედიოდა:

ხულოს საბჭოში – ხულო (საბჭოს ცენტრი), გორგაძეები, გუდასახო, დეკანაშვილები, ძირკვაძეები, დიაკონიძეები, დუაძეები, განახლება, ქედლები, ოქრუა-

შვილები, ელიძეები, უჩხო, კურცხალი; აგარის სასოფლო საბჭოში – აგარა (საბ-ჭოს ცენტრი), გელაურა, საციხური, პანტნარი; ღორჯომის სასოფლო საბჭოში – ადაძეები (საბჭოს ცენტრი), ვანაძეები, ვაშაყმაძეები, გორგაძეები, ქურდული, ლაბაიძეები, მეკეიძეები, მეხელაშვილები, მინდაძეები, სტეფანაშვილები, ტუნა-ძეები, წინწკალაშვილები, ახალუბანი; დიდაჭარის საბჭოში – დიდაჭარა (საბჭოს ცენტრი), ბოძაური, ირემაძეები; დიოკნისის საბჭოში – დიოკნისი (საბჭოს ცენტ-რი), ბეღლეთი, ღორჯომელაძეები, ღურტა, ჯვარიქეთი, იაკობაძეები, კორტოხი, მანიაკეთი, გელაძეები, პაქსაძეები, ტაბახმელა; სხალთის საბჭოში – ყინჩური (საბჭოს ცენტრი), გურძაული, ძმაგულა, კვატია, ფაჩხა, წაბლანა, ჭერი; რიყეთის საბჭოში – რიყეთი (საბჭოს ცენტრი), ბოძაური, დანისპარაული, შუასოფელი; ხიხაძირის საბჭოში – ხიხაძირი (საბჭოს ცენტრი), ბაკო, მთისუბანი, ვერნები, კალოთა, ფუშრუკაული, რაქვთა, სკვანა, თხილვანა, ახალშენი, მახალაკაური; ოქტომბრის საბჭოში – ოქტომბერი (საბჭოს ცენტრი), ვაშლოვანი, თაგო, შურმუ-ლი, ჩაო (იქვე, გვ. 113-114).

ხულოს რაიონში შემდომი ცვლილებები 1980-იან წლებში განხორციელდა. კერძოდ, 1981 წლის 21აგვისტოში ხიხაძირის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფ-ლები – ფუშრუკაული, რაქვთა, ვერნები, მახალაკაური და შეიქმნა ფუშრუკაუ-ლის სასოფლო საბჭო ცენტრით ფუშრუკაულში (Грузинская…, 1988: 264). წინა წლებთან შედარებით შეიცვალა სოფლების დასახელებებიც: ხულოს სასოფლო საბჭოში – გორგაძეებს ეწოდა გოდგაძეები, ქედელებს – ქედლები, ელიძეებს – ელელიძეები; დიდაჭარის სასოფლო თემში ბოძაური შეიცვალა ბოღაურად; ღორჯომის სასოფლო საბჭოში მინდაძეები – მინთაძეებად, ჭახაურა – ჭახაურით (იქვე, გვ. 260-266). ასევე ახალ სოფლებად გამოიყო: ხიხაძირის საბჭოში – ქვედა თხილვანა, სხალთის საბჭოში – ყიშლა, ფუშრუკაულის საბჭოში – ოშანახევი, ოქტომბრის საბჭოში – სხანდარა (იქვე, გვ. 267). აგარის თემში გაჩნდა ახალი სოფელი – ნამონასტრევი, ხოლო ღორჯომის თემში გამოიყო სოფლები – მერჩ-ხეთი და ჭახაური (იქვე, გვ. 127).

ხულოს რაიონი 1987 წლისათვის 1 დაბას (რომელსაც შესაბამისი საბჭოს ჰქონდა), 9 სასოფლო საბჭოს და 77 სოფელს მოიცავდა.

სასოფლო საბჭოები შემდეგ სოფლებს მოიცავდა: ხულოს საბჭო – ხულო (საბჭოს ცენტრი), განახლება, გოდგაძეები, გუდასახო, დეკანაშვილები, ძირკვა-ძეები, დიაკონიძეები, დუაძეები, ქედლები, კურცხალი, ოქრუაშვილები, უჩხო, ელელიძეები; აგარის სასოფლო საბჭო – აგარა (საბჭოს ცენტრი), გელაურა, ნამონასტრევი, პანტნარი, საციხური; ღორჯომის სასოფლო საბჭო – ადაძეები (საბჭოს ცენტრი), ახალუბანი, ვანაძეები, ვაშაყმაძეები, გორგაძეები, ქურდული, ლაბაიძეები, მეკეიძეები, მერჩხეთი, მეხელაშვილები, მინთაძეები, სტეფანაშვი-

ლები, ტუნაძეები, წინწკალაშვილები, ჭახაური; დიდაჭარის საბჭო – დიდაჭარა (საბჭოს ცენტრი), ბოღაური, ირემაძეები; დიოკნისის საბჭო – დიოკნისი (საბჭოს ცენტრი), ბეღლეთი, გელაძეები, ღორჯომელაძეები, ღურტა, ჯვარიქეთი, იაკობაძეები, კორტოხი, მანიაკეთი, პაქსაძეები, ტაბახმელა; ოქტომბრის საბჭო – ოქტომბერი (საბჭოს ცენტრი), ვაშლოვანი, სხანდარა, თაგო, ჩაო, შურმული; რიყეთის საბჭო – რიყეთი (საბჭოს ცენტრი), ბოძაური, დანისპარაული, შუასოფელი; სხალთის საბჭო – ყინჩური (საბჭოს ცენტრი), გურძაული, ძმაგულა, კვატია, ყიშლა, ფაჩხა, წაბლანა, ჭერი; ფუშრუკაულის საბჭო – ფუშრუკაული (საბჭოს ცენტრი), ვერნები, მახალაკაური, ოშანახევი, რაქვთა; ხიხაძირის საბჭო – ხიხაძირი (საბჭოს ცენტრი), ახალშენი, ბაკო, კალოთა, ქვედა თხილვანა, მთისუბანი, სკვანა, თხილვანა (იქვე, 127-128).

1989 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მიხედვით, ხულოს რაიონში 10 სასოფლო საბჭო და 77 სოფელი იყო. მთლიანად ხულოს რაიონში 39629 მცხოვრები ცხოვრობდა. მოსახლეობის უმრავლესობა სოფლებში ცხოვრობდა (38497 ადამიანი, ანუ 97,14%). დაბა ხულოს მოსახლეობა 1132 ადამიანს შეადგენდა. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ 19726 ანუ მთელი მოსახლეობის 51,24%.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 1989 წელს ეროვნებების მიხედვით მოსახლეობის უმრავლესობას ხულოს რაიონში ქართველები შეადგენდნენ 39487 მცხოვრები, ანუ 99,64%. რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზე იყო აზერბაიჯანლები – 27 მცხოვრები, რუსები – 26 მცხოვრები, უკრაინელები – 16 მცხოვრები, სომხები – 15 მცხოვრები, ოსები – 7 მცხოვრები, ბერძნები – 4 მცხოვრები და აფხაზები – 1 მცხოვრები. ჯამში არაქართველების საერთო რაოდენობა 96 ადამიანი, ანუ მთელი მოსახლეობის 0,24% იყო.

ხულოს რაიონში საბჭოებისა და სოფლების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობა ასე გამოიყურება: ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო დეკანაშვილების საბჭო (6216 მცხოვრები) და ღორჯომის საბჭო (5232 მცხოვრები). ყველაზე ნაკლები მოსახლეობა ფუშრუკაულის საბჭოში ცხოვრობა (1612 მცხოვრები). ყველაზე მრავალრიცხოვან სოფლებს მიეკუთვნებოდა – რიყეთი (769 მცხოვრები), ოქტომბერი (690 მცხოვრები), ქედლები (702 მცხოვრები), დიდაჭარა (821 მცხოვრები), ხიხაძირი (707 მცხოვრები). მსხვილ დასახლებებს წარმოდგენდა ასევე აგარა, გორგაძეები, დეკანაშვილები, ძირკვაძეები, ბეღლეთი, დანისპარაული, ბოძაური, ფაჩხა, წაბლანა, კვატია, რომლებშიც 300–დან – 500 მაცხოვრებლამდე ცხოვრობდა. ყველაზე პატარა სოფლებია ახალშენი (107 ადამიანი), სხანდარა (107 ადამიანი), ახალუბანი (129 ადამიანი), ოშანახევი (150 ადამიანი), ჯვარიქეთი (153 ადამიანი), ნამონასტრევი (186 ადამიანი), ელელიძეები (187

ადამიანი), გურძაული (188 ადამიანი).

ამ პერიოდში ხულო გამოიყო ცალკე დაბად (საკუთარი საბჭოთი), ხოლო ხულოს სასოფლო საბჭო დეკანაშვილების სასოფლოს საბჭოდ გარდაიქმნა; ღორ-ჯომის სასოფლო საბჭოში სოფელი წინწკალაშვილები ჩაიწერა წინწკალაძეებად;

მოსახლეობის რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება: აგარის სასოფლო საბჭოში 2195 მცხოვრები იყო და 5 სოფელს მოიცავდა: აგარა (922 მცხოვრები), საციხური (521 მცხოვრები), ნამონასტრევი (186 მცხოვრები), გელაური (359 მცხოვრები), პანტნარი (207 მცხოვრები); გარდა სოფელი გელაურისა, ყველა სოფელში მოსახლეობის უმრავლესობა ქალები იყო (1135 ქალი, ანუ საშუალოდ 51,71%). გელაურში 181 მამაკაცზე 178 ქალი მოდიოდა;

ღორჯომის სასოფლო საბჭოში 5232 მცხოვრები იყო და 15 სოფელს მოიცავდა: ვანაძეები (480 მცხოვრები), მეკეიძეები (363 მცხოვრები), ვაშაყმაძეები (287 მცხოვრები), მეხელაშვილები (394 მცხოვრები), მინთაძეები (313 მცხოვრე-ბი), ადაძეები (550 მცხოვრები), გორგაძეები (647 მცხოვრები), წინწკალაძეები (343 მცხოვრები), სტეფანაშვილები (240 მცხოვრები), ჭახაური (243 მცხოვრები), ლაბაიძეები (314 მცხოვრები), მერჩხეთი (208 მცხოვრები), ტუნაძეები (460 მცხოვრები), ქურდული (261 მცხოვრები), ახალუბანი (129 მცხოვრები). სოფლებ-ში მეხელაშვილები, ჭახაური, მერჩხეთი, ქურდულში და ახალუბანში მამაკაცე-ბის რაოდენობა სჭარბობდა ქალების რაოდენობას. საშუალოდ საბჭოში ქალების რაოდენობა აღემატებოდა კაცების რაოდენობას და შეადგენდა 2677 ქალს, რაც საშუალოდ 51,17% შეადგენდა;

დეკანაშვილების სასოფლო საბჭოში 6216 მცხოვრები იყო და 12 სოფელს მოიცავდა: დეკანაშვილები (951 მცხოვრები), განახლება (462 მცხოვრები), გოდ-გაძეები (220 მცხოვრები), გუდასახო (225 მცხოვრები), დიაკონიძეები (334 მცხოვ-რები), დუაძეები (607 მცხოვრები), ელელიძეები (187 მცხოვრები), კურცხალი (96 მცხოვრები), ოქრუაშვილები (545 მცხოვრები), უჩხო (410 მცხოვრები), ქედლები (1448 მცხოვრები), ძირკვაძეები (731 მცხოვრები). დეკანაშვილების სასოფლო საბჭოში ქალების რაოდენობა აღემატებოდა მამაკაცებსა და შეადგენდა 3178 ქალს რაც საშუალოდ 51,13% შეადგენდა. მამაკაცების რაოდენობა უმნიშვნელოდ აღემატება ქალებისას 2 სოფელში – ელელიძეები და უჩხო;

დიდაჭარის სასოფლო საბჭოში 2682 მცხოვრები იყო და 3 სოფელს მოიცავდა: დიდაჭარა (1689 მცხოვრები), ირემაძეები (397 მცხოვრები), ბოღაური (596 მცხოვრები). დიდაჭარის საბჭოში ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცე-ბის რაოდენობას ყველა სოფელში და შეადგენს 1394 ქალს, რაც 51,98% შეადგენს;

დიოკნისის სასოფლო საბჭოში 4704 მცხოვრები იყო და 11 სოფელს მოიცავდა: მანიაკეთი (380 მცხოვრები), დიოკნისი (524 მცხოვრები), ჯვარიქეთი

(153 მცხოვრები), ტაბახმელა (368 მცხოვრები), ბეღლეთი (822 მცხოვრები), კორ-ტოხი (579 მცხოვრები), პაქსაძეები (479 მცხოვრები), გელაძეები (409 მცხოვრები), იაკობაძეები (385 მცხოვრები), ღურტა (289 მცხოვრები), ღორჯომელაძეები (316 მცხოვრები). დიოკნისის თემში ქალების რაოდენობა უმნიშვნელოდ აღემატება მამაკაცების რაოდენობას (მოსახლეობის 50,45%). ქალების რაოდენობა ჭარბობს ტაბახმელას, ბეღლეთის, კორტოხის, პაქსაძეების, გელაძეების და ღურტას დასახლებებში, ხოლო დანარჩენში მამაკაცების რაოდენობა ჭარბობს ქალებს;

ოქტომბრის სასოფლო საბჭოში 3590 მაცხოვრობელი იყო და მოიცავდა 6 სოფელს: ოქტომბერი (1392 მცხოვრები), ვაშლოვანი (672 მცხოვრები), სხანდარა (107 მცხოვრები), შურმული (464 მცხოვრები), თაგო (456 მცხოვრები), ჩაო (499 მცხოვრები). საბჭოში ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცების რაოდენობას და 1833 ქალს შეადგენს (მოსახლეობის 51,06%). სხანდარაში ქალებთან შედა-რებით 1 მამაკაცით მეტი ცხოვრობს, ხოლო შურმულში ქალებისა და მამაკაცე-ბის რაოდენობა თანაბარია;

რიყეთის სასოფლო საბჭოში 3780 მცხოვრები იყო და მოიცავდა 4 სოფელს: რიყეთი (1591 მცხოვრები), დანისპარაული (988 მცხოვრები), შუასოფელი (260 მცხოვრები), ბოძაური (941 მცხოვრები). რიყეთის სასოფლო საბჭოში ქალების რაოდენობა აღემატებოდა კაცების რაოდენობას და 1964 ქალს შეადგენდა, რაც 51,96% იყო. მხოლოდ სოფელ შუასოფელში 2 მამაკაცით მეტი იყო ქალებთან შედარებით;

სხალთის სასოფლო საბჭოში 4095 მცხოვრები იყო და 8 სოფელს მოიცავდა: ძმაგულა (339 მცხოვრები), გურძაული (188 მცხოვრები), ჭერი (337 მცხოვრები), ყინჩაური (482 მცხოვრები), ფაჩხა (681 მცხოვრები), წაბლანა (840 მცხოვრები), ყიშლა (564 მცხოვრები), კვატია (664 მცხოვრები). საბჭოში ქალების რაოდენობა აღემატებოდა მამაკაცების რაოდენობას და შეადგენდა 2071 ქალს, რაც მოსახ-ლეობის 50,57% იყო. სოფელ ძმაგულაში 7 კაცით მეტი ცხოვრობდა ქალებთან შედარებით, ხოლო სოფლებში წაბლანა და კვატია მამაკაცების და ქალების თანაბარი რაოდენობა ცხოვრობდა;

ფუშრუკაულის სასოფლო საბჭოში 1612 მცხოვრები იყო და 5 სოფელს მოიცავდა: ფუშრუკაული (359 მცხოვრები), მახალაკაური (211 მცხოვრები), ვერნები (416 მცხოვრები), ოშანახევი (150 მცხოვრები), რაქვთა (476 მცხოვრები). საბჭოში ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას და 831 შეადგენდა, რაც მოსახლეობის 51,55% იყო. მხოლოდ სოფელ რაქვთაში ქალებთან შედარებით 10 მამაკაცით მეტი ცხოვრობდა;

ხიხაძირის სასოფლო საბჭოში 4391 მცხოვრები იყო და 8 სოფელს მოიცავდა: თხილვანა (602 მცხოვრები), ქვედა თხილვანა (707 მცხოვრები), ხიხაძირი (1456

მცხოვრები), ახალშენი (107 მცხოვრები), მთისუბანი (222 მცხოვრები), ბაკო (381 მცხოვრები), სკვანა (506 მცხოვრები), კალოთა (410 მცხოვრები). საბჭოში ქალების რაოდენობა აღემატებოდა კაცების რაოდენობას და 2270 შეადგენდა, რაც მოსახლეების 51,70% იყო. მამაკაცების რაოდენობა სჭარბობდა სოფელ ახალშენში (5 მამაკაცით მეტი) და ბაკო (13 მამაკაცით მეტი).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ხულოს რაიონში 12 თემის საკრებულო და 78 სოფელი იყო. მთლიანად ხულოს რაიონში 33430 მცხოვრები ცხოვრობდა. მოსახლეობის უმრავლესობა სოფლებში ცხოვრობდა (32288 ადამიანი, ანუ 96,58%). დაბა ხულოს მოსახლეობა 1142 ადამიანს შეადგენდა. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ – 16532 ანუ მთელი მოსახლეობის 51,20 %.

2002 წელს ხულოს რაიონში ეროვნებების რაოდენობის მიხედვით, შემდეგი მდგომარეობა იყო: მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ 33377 მცხოვრები, ანუ 99,84%. რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზე რაოდენობით იყო აფხაზები – 23 მცხოვრები. ხულოს რაიონში ასევე ცხოვრობდა 12 რუსი, 5 სომეხი, 4 ოსი, 3 აზერბაიჯანელი, 2 უკრაინელი და 2 ბერძენი. ჯამში არაქართველების საერთო რაოდენობა შეადგენდა 51, ანუ მთელი მოსახლეობის 0,15%-ს შეადგენდა.

რელიგიური თვალსაზრისით, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ხულოს რაიონში უმრავლესობას მუსლიმები წარმოადგენდნენ – 29559 ადამიანი, რაც მოსახლეობის საერთო ოდენობის 88,4% შეადგენდა; ქრისტიანი მართლმადიდებლების რაოდენობა 3608 ადამიანი იყო (10,8%), 3 ქრისტიანი კათოლიკე და 1 ქრისტიანი სომეხი გრიგორიანელი. ხულოში ასევე ცხოვრობდნენ 6 იუდეველი, 12 სხვა სარწმუნოების მიმდევარი და 241 არარელიგიური ადამიანი.

ხულოს რაიონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა საკრებულოების რაოდენობა და მათში შემავალი სოფლები. მიგრაციული პროცესების გავლენით შეიცვალა მსოახლეობის რიცხოვნებაც. ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო დეკანაშვილების (5760 მცხოვრები) და ღორჯომის (4592 მცხოვრები) და დიოკნისის საკრებულოები (4120 მცხოვრები). ყველაზე ნაკლები მოსახლეობა აგარის საკრებულოში ცხოვრობდა (908 მცხოვრები). მცირე მოსახლეობით გამოირჩეოდნენ ასევე საციხურის (1296 მცხოვრები), ფუშრუკაულის (1353 მცხოვრები), ხიხაძირის (1391 მცხოვრები), თხილვანას (1631 მცხოვრები) საკრებულოები.

ყველაზე მრავალრიცხოვან სოფლებს მიეკუთვნებოდა – დიდაჭარა (1438 სული), ქვემო ვაშლოვანი (1205), რიყეთი (1014), აგარა (908), დეკანაშვილები

(908), ხიხაძირი (764), ბეღლეთი (730), ირემაძეები (730), წაბლანა (724), ფაჩხა (716), ვაშლოვანი (706), ბოძაური (640), დანისპარაული (640), დუაძეები (602), ოქრუაშვილები (556), ქვედა თვილვანა (552), კორტოხი (534), საციხური (530), გორგაძეები (522) და ზემო ზედა თხილვანა (506). ყველაზე პატარა სოფლებია ახალშენი (29), სხანდარა (50), კურცხალი (87), ახალი უბანი (93), გოდგაძეები (98).

ხულოს რაიონში სასოფლოს საბჭოები თემის საკრებულოებად გარდაიქმნა და განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები: აგარის თემის საკრებულოში მხოლოდ 1 სოფელი – აგარა დარჩა; დანარჩენი სოფლები – საციხური, გელაური, ნამონასტრევი, პანტნარი ცალკე – საციხურის თემის საკრებულოდ გამოიყო; ღორჯომის სასოფლო საბჭო გარდაიქმნა ღორჯომის თემის საკრებულოდ და სოფელ ახალუბანის სახელი შეიცვალა ახალ უბნად. ასევე ცალკე დასახლებად გამოიყო სოფელი ღორჯომი; ოქტომბრის სასოფლო საბჭო გარდაიქმნა ვაშ-ლოვანის თემის საკრებულოდ, სოფელ ოქტომბერს სახელი შეეცვალა ქვედა ვაშლოვნად, ხოლო ვაშლოვანს დაერქვა ზემო ვაშლოვანი; ხიხაძირის სასოფლო საბჭო დაიშალა ორი თემის საკრებულოდ. სოფლებმა ხიხაძირმა, ახალშენმა, კალოთამ და სკვანამ შეადგინა ხიხაძირის თემის საკრებულო; ხოლო სოფლებმა თხილვანამ (რომელსაც ზედა თხილვანა ეწოდა), ქვედა თხილვანამ, ბაკომ და მთისუბანმა თხილვანას თემის საკრებულო.

აგარის სოფლის საკრებულოში 908 ადამიანი ცხოვრობდა და 1 სოფელს მოიცავდა. სოფელში ქალების რაოდენობა 16–ით მეტი იყო მამაკაცების რაო-დენობაზე.

დეკანაშვილების თემის საკრებულოში 5760 ადამიანი ცხოვრობდა და 12 სოფელს მოიცავდა. დეკანაშვილები (908 ადამიანი), განახლება (550 ადამიანი), გოდგაძეები (98 ადამიანი), გუდასახო (252 ადამიანი), დიაკონიძეები (348 ადამიანი), დუაძეები (602 ადამიანი), ელელიძეები (173 ადამიანი), კურცხალი (87 ადამიანი), ოქრუაშვილები (556 ადამიანი), უჩხო (426 ადამიანი), ქედლები (1276 ადამიანი), ძირკვაძეები (484 ადამიანი). გოდგაძეებში, ოქრუაშვილებში და უჩხოში მამაკაცების რაოდენობა აღემატებოდა ქალებისას; გუდასახოში და ძირკვაძეებში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი რაოდენობა იყო, ხოლო სხვა სოფლებში ქალების რაოდენობა უმნიშვნელოდ აღემატებოდა მამაკაცების რაო-დენობას. სულ საკრებულოში 2931 ქალი ცხოვრობდა, რაც საერთო მოსახლეობის 51% იყო.

დიდაჭარის თემის საკრებულოში 2344 ადამიანი ცხოვრობდა და ის 3 სო-ფელს მოიცავდა. დიდაჭარა (1438 ადამიანი), ბოღაური (176 ადამიანი), ირემა-ძეები (730 ადამიანი). ირემაძეებში 12 მამაკაცით მეტი ცხოვრობდა, ვიდრე ქალი,

თუმცა საკრებულოში ქალების რაოდენობა აღემატებოდა კაცებისას და 1213 ქალი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 51,75% იყო.

დიოკნისის თემის საკრებულოში 4120 ადამიანი ცხოვრობდა და 11 სოფელს მოიცავდა. დიოკნისი (440 ადამიანი), ბეღლეთი (730 ადამიანი), გელაძეები (396 ადამიანი), იაკობაძეები (337 ადამიანი), კორტოხი (534 ადამიანი), მანიაკეთი (315 ადამიანი), პაქსაძეები (457 ადამიანი), ტაბახმელა (282 ადამიანი), ღორჯომელა-ძეები (273 ადამიანი), ღურტა (247 ადამიანი), ჯვარიქეთი (109 ადამიანი). დიოკ-ნისში, გელაძეებში და კორტოხში მამაკაცების რაოდენობა სჭარბობდა ქალების რაოდენობას, თუმცა საკრებულოში უფრო მეტი ქალი ცხოვრობდა (2101 ქალი, რაც მოსახლეობის 51% შეადგენდა).

ვაშლოვანის თემის საკრებულოში 3024 ადამიანი ცხოვრობდა და 6 სოფელს მოიცავდა. ქვემო ვაშლოვანი (1205 ადამიანი), ზემო ვაშლოვანი (706 ადამიანი), თაგო (366 ადამიანი), სხანდარა (50 ადამიანი), შურმული (402 ადამიანი), ჩაო (295 ადამიანი). ჩაოში 11 კაცით მეტი ცხოვრობდა, ვიდრე ქალი, ხოლო სხანდარაში ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა თანაბარი იყო. საკრებულოში 26 ქალით მეტი ცხოვრობდა ვიდრე მამაკაცი.

თხილვანას თემის საკრებულოში 1631 ადამიანი ცხოვრობდა და 4 სოფელს მოიცავდა. ზედა თხილვანა (506 ადამიანი), ბაკო (357 ადამიანი), მთისუბანი (216 ადამიანი), ქვედა თხილვანა (552 ადამიანი). საკრებულოში 15 მამაკაცით მეტი ცხოვრობდა ვიდრე ქალი. სოფელ ბაკოში 1 ქალით, ხოლო სოფელ ქვედა თხილვანაში 10 ქალით მეტი იყო, ვიდრე მამაკაცი.

რიყეთის თემის საკრებულოში 2490 ადამიანი ცხოვრობდა და 4 სოფელს მოიცავდა. რიყეთი (1014 ადამიანი), ბოძაური (640 ადამიანი), დანისპარაული (640 ადამიანი), შუასოფელი (196 ადამიანი). მხოლდო მოძაურში მამაკაცების რაოდენობა მეტი იყო ქალების რაოდენობაში. საკრებულოში კი 6 ქალით მეტი ცხოვრობდა, ვიდრე მამაკაცები.

საციხურის თემის საკრებულოში 1296 ადამიანი ცხოვრობდა და 4 სოფელს მოიცავდა. საციხური (530 ადამიანი), გელაური (306 ადამიანი), ნამონასტრევი (168 ადამიანი), პანტნარი (292 ადამიანი). საციხურში და ნამონასტრევში მამაკა-ცების რაოდენობა სჭარბობდა ქალებისას, ხოლო გელაურაში და პანტნარში პირიქით. საკრებულოში 10 ქალით მეტი ცხოვრობდა, ვიდრე მამაკაცი.

სხალთის თემის საკრებულოში 3379 ადამიანი ცხოვრობდა და 8 სოფელს მოიცავდა. ყინჩაური (376 ადამიანი), გურძაული (142 ადამიანი), კვატია (409 ადამიანი), ფაჩხა (716 ადამიანი), ყიშლა (441 ადამიანი), ძმაგულა (300 ადამიანი), წაბლანა (724 ადამიანი), ჭერი (271 ადამიანი). მხოლოდ გურძაულში ქალების და მამაკაცების რაოდენობა თანაბარი იყო, სხვა სოფლებში ქალების რაოდენობა

ჭარბობდა. საკრებულოში 1772 ქალი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 52,44% შეადგენდა.

ფუშრუკაულის თემის საკრებულოში 1353 ადამიანი ცხოვრობდა და 5 სოფელს მოიცავდა. ფუშრუკაული (257 ადამიანი), ვერნები (415 ადამიანი), მახალაკაური (113 ადამიანი), ოშანახევი (173 ადამიანი), რაქვთა (395 ადამიანი). მხოლოდ ფუშრუკაულში მამაკაცების რაოდენობა აღემატებოდა ქალებისას. საკრებულოში 718 ქალი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 53,07% შეადგენდა.

ღორჯომის თემის საკრებულოში 4592 ადამიანი ცხოვრობდა და 16 სოფელს მოიცავდა. ღორჯომი (230 ადამიანი), ადაძეები (282 ადამიანი), ახალი უბანი (93 ადამიანი), გორგაძეები (522 ადამიანი), ვანაძეები (408 ადამიანი), ვაშაყმაძეები (231 ადამიანი), ლაბაიძეები (307 ადამიანი), მეკეიძეები (447 ადამიანი), მერჩხეთი (204 ადამიანი), მეხელაშვილები (144 ადამიანი), მინთაძეები (290 ადამიანი), სტეფანაშვილები (195 ადამიანი), ტუნაძეები (466 ადამიანი), ქურდული (243 ადამიანი), წინწკალაძეები (289 ადამიანი), ჭახაური (241 ადამიანი). ღორჯომში, ახალ უბანში და მეხელაშვილებში მამაკაცების რაოდენობა აღემატებოდა, ხოლო ადაძეებში თანაბარი იყო ქალების რაოდენობისა. სხვა სოფლებში ქალები ჭარბობდნენ მამაკაცებს და საკრებულოში 2372 ქალი ცხოვრობდა, რაც მოხახლეობის 51,66% შეადგენდა.

ხიხაძირის თემის საკრებულოში 1391 ადამიანი ცხოვრობდა და 4 სოფელს მოიცავდა. ხიხაძირი (764 ადამიანი), ახალშენი (29 ადამიანი), კალოთა (282 ადამიანი), სკვანა (316 ადამიანი). საკრებულოს ყველა სოფელში ქალების რაოდენობა მეტი იყო მამაკაცების რაოდენობაზე. სულ 729 ქალი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 52,41% შეადგენდა.

რაც შეეხება მოსახლეობის დინამიკას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 1969–2012 წლების შობადობის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება (დიაგრამა 1):

შობადობის დინამიკა 1969–2012 წლები.
დიაგრამა 1



როგორც მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, 1969 წლიდან 1986 წლამდე შობადობის მაჩვენებელი მაღალი იყო და ის უმნიშვნელოდ იცვლებოდა. 1987 წლიდან მოყოლებული 1998 წლამდე შობადობის მაჩვენებელი 2,5-ჯერ შემცირდა (1218–დან 480–მდე). 1999 წლიდან შობადობის მაჩვენებელი უმნიშვნელოდ იზრდებოდა 2004 წლამდე. 2004–2005 წლებში შობადობის მაჩვენებელი 21% გაიზრდა. თუმცა 2008 წლამდე უმნიშვნელო კლება განიცადა. 2008–2009 წლებში შობადობის მაჩვენებელი ხელახლა გაიზარდა 19%–ით. 2009–2011 წლებში შობადობის მაჩვენებელი ისევ შემცირდა 1,8–ჯერ. 2011 წლიდან მოყოლებული შობადობის მაჩვენელი თანდათანობით იზრდებოდა, თუმცა 2012 წლიდან მატება უმნიშვნელო იყო.

სიკვდილიანობის დინამიკა 1969–2012 წლები.
დიაგრამა 2



სამსახურის მიერ მოწოდებული სიკვდილიანობის მონაცემების მიხედვით, ხულოს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სიკვდილიანობა ძალიან დაბალია (დიაგრამა 2). როგორც ჩანს ადგილი აქვს სიკვდილიანობის მონაცემების არასრულ და არასათანადო აღრიცხვას, ამიტომ ამ მონაცემების შეჯერება შობადობის მონაცემებთან მოსახლეობის დინამიკის გამოვლენის მიზნით არასწორად გვეჩვენება.

მოსახლეობის რიცხოვნების დინამიკას, ჩენს ხელთ არსებული მონაცემებით, შემდეგი სურათი წარმოადგენს (დიაგრამა 3).



1981–2011 წლებში მოსახლეობის დინამიკა არაერთგვაროვანია. 1981 წლიდან 1990 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელოდ იცვლებოდა და ძირითადად 40000 მაცხოვრებლის ფარგლებში იყო. 1990 წლიდან მოყოლებული მოსახლეობის რაოდენობა მცირდება (1992, 1994 წლებში მცირე მატება ფიქსირდებოდა, ხოლო 1998–1999 წლებში რაოდენობა ფაქტიურად უცვლელი იყო) და 2001 წლისათვის მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა, 32000 ადამიანი დაფიქსრიდა. 2001–2004 წლებში მოსახლეობის დინამიკა ჯერ მატების შემდეგ კი კლების ტენდენციას ავლენს, ხოლო 2004 წლიდან მოსახლეობის რაოდენობა თანდათან იზრდება.

ამრიგად, ხულოს მუნიციპალიტეტის დასახლებების სტრუქტურა და მოსახლეობა მნიშვნელოვნად იცვლებოდა სხვადასხვა პროცესების გავლენით. სოფლების რაოდენობის მატება XX საუკუნეში ინტენსიურ ხასიათს ღებულობს, რაც, ზოგადად, მოსახლეობის მატების ხარჯზე ხდებოდა. ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა თითქმის მთელ პერიოდში ეთნიკურად ერთგვაროვანი იყო. მოსახლეობის რაოდენობა დამოუკიდებლობის პერიოდიდან ერთხანს კლებულობდა, შემდეგ კი, 2000-იანი წლებიდან, ისევ მატულობდა.

Ruslan Baramidze

Population of Khulo Municiplaity

The paper was prepared on the basis of archive materials, sources and censuses where were presented data about settlements on the territory of contemporary Khulo municipality. Those materials also included data about number of population, ethnic composition etc. Population of Khulo municipality was mainly changed due to different factors (political, social, economical processes, wars etc.). There were increasing of numbers of villages after XX c. was connected with population growth. Materials show that during the most period of Khulo municipality ethnical structure was mostly monoethnic.

ბიბლიოგრაფია:

1. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, – ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბილისი, 2011.

2. ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ–დასავ-ლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999.

3. იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი, 1948.

4. მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878–1882 წწ.), თბილისი, 1964; ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999.

5. მესხი ს., წერილები აჭარაზე, ბათუმი, 2000; მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878–1882 წწ.), თბილისი, 1964.

6. სანიკიძე გ., ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 1999.

7. სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი) თბილისი, 1950.

8. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან (რუსეთთან შეერთება და სოციალურ–ეკონო-მიკური განვითარება 1878–1907 წლებში), ბათუმი, 1958.

9. შაშიკაძე ზ., ქართველთა მუჰაჯირობა თურქეთის შავი ზღვის რეგიონში, – კრე-ბული VII, ბათუმი, 2013.

10. Gümüs Nebi, Acara Tarihi İçin Yeni Bir Kaynak: Nüfüs Defterleri ve Muhacirlik Öncesi Acara'da Müslüman Nüfus (1835), – კრებული VII, ბათუმი, 2013.

11. Административно-територриальное деление Союза ССР (раиони и города СССР), Центральный Исполнителный Цомитет Союза ССР, Всеросииский Центральный Исполнительный Комитет, издательство «Власть Советов», при Президиуме ВЦИК, Москва, 1931.

12. Грузинская ССР (административно-территориальное деление, на 1 мая 1960 года), Отдел по вопросам работы Советов Президиума Верховного Совета Грузинской ССР, Тбилии, 1960.

13. Грузинская ССР (Административно-Территориальное деление, на 15 января 1966 года), Отдел по Вопросам Работы Советов Президиума Верховного Совета Грузинской ССР, Тбилии, 1966

14. Грузинская ССР (административно-территориальное деление, на 1 января 1987 года), составтель О.С. Ахметели, изд. Сабчота Сакартвело, Тбилии, 1988.

15. Джудич П., Заметки о Батуме, ИКОИРГО, т. 3, №3, Тифлись, 1873.

16. Лисовский В., Чорохский край (военно-статистический очеркъ), Тифлисъ, 1887.

17. Территориальное и Адмнинстративное деление Союза ССР на 1-ое янвяря 1926 г., Народный Комисариат Внутренных Дел, Статистический Отдел, издательство «Главное Управление Комунального Хозяйства НКВД», Москва, 1926.

18. СССР (Административно-Территориальное деление Союзных Республик, на 1 октября 1938 года), Информационно-Статистический отдел при Секретариате Президиума Верховного Совета СССР, издательство «Власть Советов», Москва 1938.

19. СССР (Административно-Территориальное деление Союзных Республик, на 1 января 1941 года), Информационно-Статистический отдел при Секретариате Президиума Верховного Совета СССР, издательство «Ведомостей Верховного Совета», Москва 1941.

20. СССР (Административно-Территориальное деление Союзных Республик, на 1 января 1947 года), Информационно-Статистический отдел при Секретариате Президиума Верховного Совета СССР, издательство «Известия советов депутатов трудяшихся СССР», Москва 1947.

21. Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879.

ელზა ფუტკარაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და
ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის
განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოლოგიის დოქტორი
ნაილე მიქელაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და
ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის
განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოლოგიის დოქტორი

ხულოს ხალხური პოეზია

აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოეზიას. თუმცა აჭარაში უფრო მეტად ხალხური პროზაა განვითარებული. „პოეზიის სფეროთა შორის, ლირიკა ყველაზე ახლოა ადამიანთან. ის პიროვნების გრძნობათა გამოთქმაა, პერსონალური ემოციების ამსახველი. აქ შემოქმედის სულიერ განწყობილებებთან, გრძნობებთან, შეხედულებებთან გვაქვს საქმე“ [სიხარულიძე, 1958: 267]. მაგრამ იგი მხოლოდ პიროვნების განცდების გამოხატვით არ შემოიფარგლება. მართალია, „ამღერება ყოველთვის სუბიექტური გრძნობებით იწყება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მასში ინდივიდუალური მომენტი სჭარბობდეს, არა. პიროვნულ მოტივზე ამღერების მიზეზი შეიძლება რაიმე კონკრეტული შემთხვევა იყოს, მაგრამ იმავე დროს მას ტიპიური ხასიათიც ჰქონდეს. ლექსი არა მარტო ერთის, არამედ მრავალის მესიტყვეა“ [ჩიქოვანი, 1956: 322].

აჭარულმა ხალხურმა პოეზიამ შემოგვინახა და ჩვენამდე მოიტანა სათავგადასავლო, საყოფაცხოვრებო, ფილოსოფიური თუ სატრფიალო ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშები, სადაც ასახულია ქართველი კაცის შინაგანი სამყარო, განცდა-ემოციები, სურვილები. სატრფიალო ლირიკას კი აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აჭარის ყველა რაიონში და მათ შორის ხულოშიც, ვხვდებით არაერთ საინტერესო პოეტურ შედევრს სახასიათო

პოეტური სახეებითა და სიმბოლოებით. ეს სატრფიალო ლირიკული ლექსები არა მარტო აჭარული, არამედ ქართული ხალხური პოეზიის მდიდარი საგანძურის დამამშვენებელიცაა.

ხულოს სატრფიალო ლირიკა შეიძლება წარმოვადგინოთ ქვეჟანრებად: შაირი, ქება, გაბაასება. თუ თვალს გადავავლებთ აქაურთა ზეპირი მეტყველების ნიმუშებს, აშკარაა, რომ სატრფიალო ლექს-სიმღერებში, ძირითადად, უდიდესი განცდა-ემოციითაა გადმოცემული ქალ-ვაჟის უსაზღვრო, უმწიკლო ტრფიალება. შექებულია სატრფოს გარეგნული, შეყვარებული ვაჟისათვის თვალისმომჭრელი მიმზიდველობა, პლასტიკური სახე. განსაკუთრებული ყურადღება კი თვალსა და ნაწნავ-დალალებზეა გადატანილი.

ხულოს სატრფიალო ლექს-სიმღერებში საოცარი ხატოვანებითაა წარმოჩენილი ქალ-ვაჟის დაუოკებელი ლტოლვა, ტრფიალება ერთმანეთისადმი. ერთ ლექსში მთქმელი ღარზე წყლის გადმოდენას ადარებს სიყვარულს:

„მაღლა თას წყარო ამოდის,
არ ეტევა ღარზეო,
შენი-ჩემი სიყვარული,
აღარ მოდის ფარაზეო“ [ბსკიფა, 12: 164].

სატრფიალო ლექს-სიმღერების ლირიკული გმირი არაფერს ეპუება, მას ვერაფერი აბრკოლებს, ყველაფერს გადალახავს, ყველაფერს გაუმკლავდება, არც სიცოცხლეს დაიშურებს, ოღონდ კი მიზანს მიაღწიოს. სიყვარულისათვის „სულის ამოღებაც“ კი არაფრადაა მიჩნეული:

„ სულს ამევღეფ, ჩაგიბარეფ,
რომ მოვდოდეს ხესაბზეო,
თავის თავსაც გავიყიდი,
ერთ გეგეკრები გულბანზეო“ [ბსკიფა, 12: 164].

ჩვეულებისამებრ, სატრფიალო ლექს-სიმღერებში სიყვარულის უსაზღვრო გრძნობაზეა საუბარი. ტრფიალების ობიექტის მიმზიდველი გარეგნობა ანადგურებს, წვავს შეყვარებულის გულს. გაუსაძლისადაა მიჩნეული ეს ტრფიალება და ზოგჯერ კი, „შეშლის“, „ჭკვიდან გამოყვანის“ ტოლფასადაა მიჩნეული ეს გრძნობა:

„უფრო, უფრო ლამაზდები,
უნდა დასწვა ეს ქვეყანა,
შემშალე და გადამრიე,
გამომიყვანე ჭკვიდანა“ [ბსკიფა, 12: 210].

წარმოდგენილ სატრფიალო ლექსებში პირდაპირ არაფერი თქმულა ქალის მიმზიდველობაზე, არ გვხვდება პლასტიკური დახასიათება შეყვარებული ქა-

ლისა, მაგრამ ტაეპები – „უფრო, უფრო ლამაზდები“, ან „უნდა დასწვა ეს ქვეყანა“- წარმოდგენას გვიქმნის სანდომიანი, კეკლუცი ახალგაზრდა ქალისას. აი, ასე შინაგანი წვითა და პოეტური სულით გადმოგვცემს შინაგან განცდა-ემოციებს.

სატრფიალო ლექს-სიმღერებში არა მხოლოდ ფიზიკურ სილამაზეზე, არამედ შინაგან განცდებზეც, სულის მდგომარეობაზეც გვესაუბრება მთქმელი. ბუნებრივია, რომ სატრფოს სახე დალექილია ცნობიერება-წარმოსახვაში, მაგრამ შორს მყოფთ სატრფოს გახსენება ემოციისაგან ცლის და მისი გახსენება დღე და ღამე ძილს ართმევს ლირიკულ გმირს:

„ცაში ევდე, კიბე არ მაქ,
ზღვაში ჩევდე, დავსველდები,
დღე და ღამე ძილი არ მაქ,
როცა შენ გამახსენდები“ [ბსკიფა, 12: 211].

იგივე გრძნობა ზოგჯერ ცრემლებს ზღვად დაადენინებს ლირიკულ გმირს:

„ცრემლი ღვარი ზღვად გადიქცა,
საცურავი ხომალდისა“ [ბსკიფა, 12: 212].

ამგვარი ჰიპერბოლური წარმოსახვა უფრო ღრმად ჩაგვახედებს ლირიკული გმირის შინაგან სამყაროში და თითქმის ჩვენც თანამესაიდუმლე ვხდებით მისი შინაგანი დაგვა- წვისა.

სატრფიალო ლექს-სიმღერებში უდიდესი ემოციითაა გადმოცემული მონატრების გრძნობა. ფიქრებისაგან შეპყრობილ შეყვარებულს თვალებში არაფერი უჩანს, გარდა ერთადერთისა. ეს სატრფოს სახეა. მისი თვალები მხოლოდ მას დაეძებს, თითქოს მისთვის იმზირება:

„ოთახში ვარ მარტოდ მარტო,
ფიქრებისგან შეპყრობილი,
თვალს დავხუჭავ, თვალწინ ზიხარ,
გავახელ და სად ხარ, მითხარ“ [ბსკიფა, 12: 213].

ან: „მარტოკად ვზივარ ბულბულ- ნაძვნარში,
მარტოკა დავიარები,
არ მინდა ვინმეს შევხედო,
შენ გეძებს ჩემი თვალები“ [ბსკიფა, 12: 213].

ლამის მოთქვამს ლირიკული გმირი სატრფოსთან დაშორებას. რიტორიკული კითხვა-ძახილი – „გავახელ და სად ხარ, მითხარ“- ამძაფრებს მონატრების გრძნობას. გარდა აღნიშნულისა, ლექსში ლირიკული გმირის ფსიქოლოგიური განწყობაც იხატება. სწორედ სიყვარულის, მონატრების, მონახულების, სიახლოვის გრძნობა გამხდარა მიზეზი იმისა, რომ ლირიკული გმირი მარტოკა დაიარება, არ სურს ვინმეს შეხედოს, მისი თვალები მხოლოდ სასურველს დაეძებს.

ხულოს სატრფიალო ლექს-სიმღერებში საოცარი ემოციითაა გადმოცემული აგრეთვე პირველი დანახვისთანავე შეყვარების განცდა. მუცელში ცეცხლის ჩანთებასაა შედარებული მთქმელის მიერ ეს სატრფიალო რეაქცია; მუხლების კანკალი, სხეულის ძალ-ღონისაგან დაცლილია – აი, რა მდგომარეობაშია ტრფიალების ობიექტით მოხიბლული სატრფო:

„რა დედამ გშობა ეგრე ტურფა,
ჩემო მნათო ბედის წყარო,
პირველად რომ დაგინახე,
ტანში გამომივდა ჰალი,
მუცელში ცეცხლი ჩამენთო,
მუხლებმა დეიწყო კანკალი“ [ბსკიფა, 12: 214-215].

სატრფიალო ლექს-სიმღერებში ხშირადაა შექებული ფიზიკური აღნაგობა, სილამაზე, სინარნარე ტრფიალების საგნისა, თვალ-წარბი, ტანი:

„უმალ მშვენიერი ბძანდები,
ლამაზი გაქ თვალ-წამწამი,
მეტი ლამაზი გაქ ტანი,
როგორც გაზდილი ლერწამი.
ჟუჟუნ თვალი, ტანმაღალი,
გულის ვერცხლი და მერცხალი“ [ბსკიფა, 13: 136].

ტანის მოხდენილობის გაზრდილ ლერწამთან შედარება, ჟუჟუნა თვალები- არა მხოლოდ ხულოს სატრფიალო ლექს-სიმღერების პოეტური სახე-შედარებაა, არამედ ზოგად ქართულია.

შემთხვევითი არაა, რომ სატრფიალო ლექს-სიმღერებს დასდევს დიდაქტი-კურ-დამრიგებლური ტონი; არის გაფრთხილება, ჭკუის დარიგება-შეგონებანი:

„ნუ ენდობი ვაჟის გულსა,
პეპელასავით თავს რომ გევლება,
ჯერ სიყვარულით მოგაჯადოებს,
და მერე ისევ გაგიფრინდება“.
ან: „თუ არ გინდა დაიტანჯო,
თუ არ გინდა ცრემლი ღვარო,
კარგად თუ არ დაუფიქრდი ,
ისე არვინ შეიყვარო“ [ბსკიფა, 12: 214].

თითქმის ყველა სატრფიალო ლექს- სიმღერას ახლავს ქალის ქება, რაც ამ ჟანრის თავისებურებამ განაპირობა. ზოგადად ქართულ სატრფიალო ლირიკაში ქალის ქების შესანიშნავი ნიმუშია „სებრო“. აჭარულში „სებროს“ უამრავი ვა-რიანტია. იგი სასიმღეროდ ფართოდაა გავრცელებული აჭარის თითქმის ყველა

კუთხეში და ბუნებრივია, რომ ხულოშიც: „ იგი ფართო გავრცელებას პოულობს ქართულ ფოლკლორში. მისი ვარიანტები შემონახულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში“ [მაცაბერიძე, 1962:71].

აღნიშნული ლექს-სიმღერების აჭარული ვარიანტები გამოირჩევა მხატვრული დახვეწილობითა და სიმბოლოთა სიმდიდრით. ვ. კოტეტიშვილმა „ხალხურ პოეზიაში“ დაბეჭდა „სებროს“ აჭარული ვარიანტი სათაურით „თავად და თავად ერქვალო“ [კოტეტიშვილი, 1961:37]. „აჭარის ხალხური პოეზიის“ პირველ ტომში დაბეჭდილია ასი წლის ქალი მთქმელისაგან ხულოში ჩაწერილი ვარიანტი ამ ლექსისა სათაურით- „ჩემ სახლზეიდან ძეწნებიო“ [აჭარის ხალხური პოეზია, 1969:110]. ამ ლექსის ვარიანტები დაცულია ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ ფონდში:

„ჩემ სახლზეიდან ძეწნებიო, რაი და რირი მეო,
ყელემს გიგავს წამწამებიო, შენი ჭირიმეო.“

ყველა ვარიანტი ქებას წარმოადგენს, ძირითადი შინაარსი ერთია და თითქმის მსგავსია მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, არქიტექტონიკა. „აჭარულ ვარიანტთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია რეფრენი. ყველაზე ხშირად რეფრენად გვხვდება „სებრო“, „ფერი“, აგრეთვე წყვილტაეპიანი „რაი და რირი მე“, „შენი ჭირიმე“ და სხვა. მათ შორის მაინც ძირითადია რეფრენი „სებრო“. ამიტომ ამ ლექსის ვარიანტებს შეიძლება პირობითად „სებრო“ ვუწოდოთ“ [ზოიძე, 1975:40].

ეს ლექს-სიმღერა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ ფონდში, 1958 წლის ჩანაწერებში გვხვდება სათაურით „სასიყვარულო“ და ამ სათაურით დაიბეჭდა „ აჭარული საუნჯის“ პირველ ტომში:

„ამისთანა რა ქალია, ერთს ვაკოცებდე ზედანა!
შემშალა და გადამრია, იმა ქვეიდან თეთრი ყია,
გამომიყვანა ჭკუიდანა, შეჰერული სტექნიდანა,
გამომიყვანა ჭკუიდანა. აქეთ-იქიდან კლავები,
შუბლზე შავ- შავი წარბები, რუსულ მათრახებიდანა,
ოქრო არის სირმიდანა, აქეთ-იქიდან ძუძუები,
ქაღალდივით თეთრი შუბლი, აბრეშუმის მურგვიდანა,
მიანათეფს წინედანა, ამ სიცოცხლეს რაღა უნდა,
აქეთ-იქიდან წარბები, ერთს ვეძიებდე ზედანა!
ზღვაში გველეშაპიდანა, იმა ქვეიდან წელი წმინდა,
აქეთ-იქედან თვალები, გასარჩეველ ლერწმიდანა,
ცაში ვარსკვლავებიდანა, იმა ქვეიდან ვარდის ბაღჩა,
აქეთ-იქიდან ლოყიები, ხელი ჩავყე, სული ჩამჩა,

შექერ-ვაშლის ნათლიდანა, იგიც თუ მე არ მახმარა,
სიცოცხლეს რაღა სჯობია, მისეულობა ოხრათ დარჩა!
[აჭარული საუნჯე,I: 241].

ხულოში საკმაოდ გავრცელებული ლექს-სიმღერაა „ხერტლის ნადი“. ამ შაირის მრავალი ვარიანტი გვხვდება აჭარაში, რომელიც დაკავშირებულია შრომასთან, კერძოდ, რთვასთან და ცნობილია „ხერტლის ნადის“ სახელით [მსხალაძე, 1969:38]. თემატურად სასიყვარულო ემოციების გამომხატველია ლექსი:

„გამევიარე ტაბახმელას, სურდო ხველამ დამახველა,
გოგოვ, ერთი მაკოცნინე, მამაშენმა გამახელა.
ხერტალმა ხელი დამგალა, ხერტალ გასატეხელმაო,
ამ ოხერმა ეს რა მითხრა, კისერ მოსატეხელმაო“ [ბსკიფა, 12: 214].

ლექს-სიმღერას რეფრენად ახლავს „ჰარი ჰარალო, ჰარი ჰარალო“. შემდეგ გრძელდება ისევ საყოველთაოდ ცნობილი შესიტყვებით:

„ დამწვარი ვარ შიგნიდანა,
არ მეტყობა გარედანა,
ერთი გოგო დავაპირე,
არ იჯება მისი ანაი“.

ასევე, ფართოდაა გავრცელებული შემდეგი შაირები: „პანტა ვაშლი გადავჭერი, შიგ ჩავასე ყელემი, რაცხა დედამ შენ გაგზარდა, უუყვავდეს ხელები“.

საყურადღებოა კიდევ რამდენიმე პოპულარული შაირი. ლირიკული გმირი ეტრფის ლამაზს, ლამაზის სიყვარულს დაუწვავს ვაჟის გული, გულის წადილი სიყვარულია. შაირში გადმოცემულია ახალგაზრდა ვაჟის სურვილი – იქცეს კაბად, რათა წელზე ასე მიანც შემოეხვიოს ტრფიალების საგანს:

„ლამაზო შენი ჭირიმე, ოქრო გაქ შენ ბეჭდებიო,
შენი კაბა გავხდებოდე, წელზე შემოგექნებოდე,
შაქარ-შაქარ ნათალივით, უბეში ჩაგიდნებოდე“
[აჭარული საუნჯე, I: 120].

სატრფიალო ლექს-სიმღერებში გვხვდება ტრფობის სახმილით შეპყრობილი ქალის წვა-დაგვა, მაგრამ ვაჟის შეხედვისაც კი ერიდება, თუმცა არც უმისობა შეუძლია:

„ვიწვი, ვიწვი, ვიდაგები,
მომეკიდა გენიაო,
არ გიყურო , საბრი ვერ ვქენ,
სულ გიყურე – მრცხვენიაო“[ბსკიფა,1: 45].

ვაჟისათვისაცაა საჭირო მორიდება, ისიც მოკრძალებული უნდა იყოს. აჭარელი მთქმელი აფრთხილებს ქალების მოტრფიალე ვაჟს:

„ბიჭო, ბიჭო, ალექსაო,
ნუ უყურებ ქალებსაო,
დიგინახვენ პატრონები,
დიგიგლისვენ თვალებსაო“.

ლამაზების მოტფიალე ვაჟი გულგრილად ვერ უყურებს ქალებს და გულახდილად აღიარებს:

„წინდიჩხირი დაჰკარგვია,
საცოდავსა ქალებსაო,
ლამაზ ქალებს რომ დევნახავ,
დიმიბნელებს თვალებსაო“.

აჭარულ სატრფიალო ლირიკაში გვხვდება გაბაასების ნიმუშებიც. ამ გაბაასებაშიც გადმოცემულია ქალ-ვაჟის გრძნობები, მათი სულიერი , შინაგანი განწყობა, გულის წადილი და ფიქრები. აჭარული ხალხური გაბაასების ნიმუშებიდან ცნობილია ქალ-ვაჟის გაბაასება „გამოსული რომ გამოვა“. ამ ლექსის მრავალი ვარიანტია ჩაწერილი აჭარაში, გვხვდება ხულოს ზეპირსიტყვირებაშიც. ლექსის დასაწყისი ერთნაირია ყველა ვარიანტში:

„გამოსული რომ გამოვა, ამწვანდება მთა და ბარი,
შენი სევდა გულსა მიკლავს, შემიყვარდი ნამეტარი“.

აღნიშნულ გაბაასებაში გადმოცემულია შეყვარებული ქალ-ვაჟის სევდანაღველი. სიყვარულის გამო სევდა შეპარვია მას, სიყვარულის სევდას დაუძაბუნებია ვაჟი, ყველაფერიც დაავიწყა მოჭარბებულმა გრძნობამ:

„შენი სევდა გულსა მიკლავს, არ მიფიქრო მე ცოცხალი,
სევდისაგან დაჩაგრული უბედური ჩემი თავი,
მე თუ მოვკდი, დამიტირე, გულზე ცრემლი დამაყარე,
მინდა შენზე ჩაკონება, შენი ჭირი ჩამაყარე“.

ვაჟი არ თაკილობს და თავის სურვილებს, ტანჯვა-წამებას გაუმხელს ქალს. თან თხოვნით მიმართავს, რომ „ ჩემ სიყვარულს ნუ დაჩაგრავ, ქალი თუ ხარ ვარგებული“. ქალი ამშვიდებს გაბაასებაში ვაჟს:

„არ დაგჩაგრავ, გენაცვალე, იყავი დარწმუნებული,
მე შენს მეტი არვინ მიყვარს, იყავი გახარებული“.
ვაჟი: „ნეტავი მე რა მახარებს, შენზე ვარ მოცილებული,
წუხელი გნახე სიზმარში, ჩემს მკლავზე დაძინებული,
გავიღვიძე, ცრუ დიმირჩა, ჭკვაზე ვარ შექანებული,
უნდა ჩავეჭრა ღრე წყალში, ასე მაქ მოფიქრებული“.

ვაჟს თავის მოკვლა გადაუწყვეტია. ქალს შეებრალება ის და ცდილობს მის დამშვიდებას, ვერ იმეტებს სასიკვდილოდ. მას აღარაფრის ერიდება, თანახმაა, სადაც სურს ვაჟს, იქ გაყვეს:

„თავს ნუ იკლავ, გენაცვალე, ქალიც გახლავარ უბედო,
ასე წვალობით, სიკვდილით მე შენ როგორ გაგიმეტო,
არავიდან არ მცხვენია, სადაც გინდა წამიყვანე,
ერთი ღამე შენთან დავწვე, უნდა ჭკვაზე მოგიყვანო.“
[ბსკიფა, 1:41].

ქალი თანახმაა გაყვეს ვაჟს, მაგრამ ის მაინც სევდიანია და ქალს ეუბნება: „ეს ქვეყანა სულ არ მინდა, შენ თუ ჩემი არ იქნები“.

სატრფიალო ლირიკული ჟანრის თავისებურებამ განაპირობა ის, რომ მასში წარმოდგენილია ქება. ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკული ლექსები იმავდროულად ქების ბრწყინვალე ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს. ქალის ქების შესანიშნავი ნიმუშია „ერთხელ გიხილე, ბატონო“. ქება შეტანილია პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ და აგრეთვე, აჭარის ხალხური პოეზიის კრებულში. ვარიანტები დაცულია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში. ლექსი სატრფიალო ხასიათისაა, მიჯნური უდიდესი მოკრძალებით მიმართავს სატრფოს და ქება- დიდებას ასხამს მის სილამაზეს:

„ერთხელ გიხილე ბატონო,
მომწონდა პირისახეო,
ვარდის მსგავსად მომეჩვენე,
გადაბადრული მთვარეო,
ჩემი სული შენთან რჩება,
გეძებე, ვერსად გნახეო,
ერთი წიგნი შენც მომწერე,
ან მაგინე, ან მაქეო,
ბნელსა ღამეს გაანათებს,
ლამაზო, შენი სახეო,
ისე ლამაზი ბძანდები,
არ გინდა ღამით სანათი“.

ქებაში უნაზესი გრძნობითაა გამოხატული მოწიწება- მოკრძალება ტრფიალების ობიექტისადმი.

ქალის მომხიბვლელობა, სინაზე უზომო ტრფიალების ერთ- ერთი მიზეზი ხდება და ეს გრძნობა – განცდა ქების ლექს-სიმღერებშიცაა წარმოდგენილი მთქმელის მიერ:

„ერთი ლექსი გავაკეთე,
ჩემი გულის სატკივარი,
შემიყვარდა ერთი ქალი,
გამიხდა როგორც ყირალი,
მაგისთანა კოხტა ქალი
ამ ქვეყანაზე არ არის,
გამჩენელით, თუ შევირთე,
მაშინ მექნება იღბალი,
თუ ვერა და წავალ ტყეში,
ვიქნები ერთი ფირალი,
მოსაწონია ყველაფერში,
და წარბები კალამსავეთ,
ტანადობა ანგელოსის,
სახე მარმარილოსავით,
ლოყიები ვარდიდანა,
ანკარასავით წარბები,
ენა-ზემბერეგიდანა“ [ბსკიფა,1: 25].

სატრფიალო ლექს-სიმღერები გამორჩეულია სახე-სიმბოლოებით. ქალის სილამაზე, მომხიბვლელობა ხან მზეს, ხან ანგელოსსაა შედარებული, ლოყა-წითელი ვაშლია, ტანი – გაზრდილ ლერწამს ედარება, სახე – მარმარილოს, ან სავსე მთვარეს. ეს მხატვრული სახე-სიმბოლოები, მხატვრულ – გამომსახველობითი ხერხები მხოლოდ ხულოს სატრფიალო ლირიკას როდი ამშვენებს, ზოგადად ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის პოეტური აქსესუარებია.

ხულოს სატრფიალო ლირიკა მდიდარია მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით და ხატოვნად წარმოგვიდგენს მთქმელთა პოეტურ აზროვნებას: „ ჩემი გოგო ვერ დევნახე, ჩემი თვალებჟუჟუნაო“, „პირველში რომ დაგინახე, ამომავალ მზესა გავდი“, „თვალით ნახული, გულით ნატრულო“, „სალაპარაკოდ დაშორე-ბულო, დღისით ლანდო და ღამით სიზმარო, სულ ყოველ წუთში დაუვიწყარო“, „ ნუ ენდობი ვაჟის გულსა, პეპელასავით თავს რომ გევლება“, პირველად რომ დაგინახე, მე მეგონე ჩაის ვარდი“, „მხოლოდ შენმა სიყვარულმა ტანში ალივით მომედვა“, „წითელ ვაშლსა ლოყა გიგავს, ბახჩაში მდგომიარესა“, „საყვარელო დაგინახე, როგორც გავსილი თვარეო“, „მეტი ლამაზი ტანი გაქ, როგორც გაზ-დილი ლერწამი“, „და წარბები კალამსავით, ტანადობა კი – ანგელოზის, სახე-მარმარილოსავით“, „სახე უგავს სავსე თვარეს, აციცინეფს ლამაზ თვალებს, გველი კუდივით წარბები, ზედ მიწყობილი წამწმები“, „ყელემს გიგავს წარბები“ – წარმოდგენილი სახე-სიმბოლოები ამშვენებს ხულოს სატრფიალო ლირიკას და

ამასთანავე, ხალხის პოეტური აზროვნების უმშვენიერესი ნიმუშებია. ასე ამოუწურავი და სახასიათოა, ფართო ჰორიზონტისაა მთქმელთა პოეტური სამყარო.

ხულოს ხალხური პოეზია მხოლოდ სატრფიალო ჟანრით არაა წარმოდგენილი. გვხვდება სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლექს – სიმღერები. ერთ-ერთი ასეთია აჭარაზე გამოთქმული ლექსი, სადაც ქება-დიდებაა ამ კუთხის:

„აზიაში მდებარეობს პატარა მხარე,
მიმზიდველი ადგილია ის არე- მარე,
ყოველ კუთხით ქებულია ჩვენი აჭარა,
მნიშვნელობით უდიდესი, თვითონ პატარა“ [ბსკიფა, 12: 209].

ზოგჯერ ლექს-სიმღერებს გასდევს დიდაქტიკური ტონი, გვხვდება დარიგება, გაფრთხილება:

„იყავ გულდინჯი, დაკვირვებული,
სიმართლის მომხრე, მტყუანის მტერი,
თუ ამ სიმართლეს მტკიცედ დაიცავ,
მუდამ იქნები გამარჯვებული“ [აჭარული საუნჯე, I:231].

ხულოს ხალხურ პოეზიას ფილოსოფიური თემაც ამშვენებს. ხალხურ ლექსებში გვხვდება სოფლის სამდურავი, სოფლის ორმხრივ ბუნებაზე დაფიქრება.

,,ქვეყნის ძალი ასტე მიდის,
ხან ბეღელი აიმსობა,
ხან დეიწვის, ხან გაწვიმდება,
ბოლოს დუნია დაიმსობა“ [ბსკიფა, 13: 136].

გარდა აღნიშნულისა, ხულოს ხალხურ პოეზიაში გვხვდება რძალ-დედამთილიანის მოტივები, რომელიც ყველა კუთხის ზეპირ მეტყველებაში უხვადაა წარმოდგენილი:

,,სერი-სერსა მივდიოდა,
მივდიოდი ქარ ქროლასა,
ერთ ადგილი შემოვეყარე,
რძალ-დედამთილის ბრძოლასო.
რძალმა უთხრა დედამთილსა:
სარჩული ჯოფს საპირესო,
სიცილით რომ მომიყვანე,
ახლა რაღა გატირებსო?! [ბსკიფა, 13: 27].

ხშირად გაქილიკებულია დედამთილი. დასაწვავი, მოსასპობია რძლის თვალთახედვით დედამთილი:

,,დასაწვავი დედამთილი,

დილას ადრე ადგებაო,
ოთახის კარს ჩამოგიგდეფს,
მძინარეს დამადგებაო,
რა გლახა დედამთილი მყავს,
ღმერთო მოუსპე ძირიო“[ბსკიფა, 14: 94].

საყოფაცხოვრებო-სათავგადასავლო ლირიკიდან ხულოს ხალხურ პოეზია-ში ძირითადად გავრცელებულია რძალ-დედამთილიანის ციკლის ლექსები. ლექსებში გადმოცემულია რძალ-დედამთილს შორის არსებული შეუთანხმებ-ლობა. აჭარის თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული რძალ-დედამთილის ლექსი ,,გორი-გორსა მივდიოდი“:

,,გორი-გორსა მივდიოდი,
მივდევდი ქარი ქროლასო,
ერთსა რამეს შევეყარე,
რძალ-დედამთილის ბრძოლასა“
[აჭარის ხალხ. პოეზია, 1969 : 89].

ამ ლექსის უამრავი ვარიანტია და დასაწყისი თითქმის ერთნაირი აქვთ:

,,ზემო სოფლიდან მოვდივარ, მივყევ კარ-კარ მღერასა,
მრავალჯერ შემოვსწრებივარ, რძალ-დედამთილის ძგერასა“.

აღნიშნული ლექსი მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვარიანტით გვხდება ხულოს ფოლკლორში:

,,აჭარა და ნეტათ ბარი, – რათ მინდა შენი შვილიო,
ზღვასაც დუუქროლა ქარი. ჭლიკებგამოგრეხილიო,
ერთმა ქალმა შემეითვალა, იმას სხვა მირჩევნია,
მე გამძულდა ჩემი ქმარი. ულვაშგადაგრეხილიო.
შევჰყვები სერი-სერსა, -გუშინ რძალი დევიპირე,
მივყვები ქარი ქროლასა, გამომიდგა კაპასიო,
ერთი რასა შევესწარი- ცხვრის დუმა მომიჭამა,
რძალ-დედამთილის ბრძოლასა. დამიკარქა ნაპარსიო.
ძალი ებნევა დედამთილსა: -ჩემო ჭახრაკო, ბზიო,
ბამბა შენ დიმირთიო,
დედამთილის სალეჩაქე,
იმას ოხრათ დოურჩიო“[აჭ. საუნჯე, I:260].

ზოგჯერ რძალი ვერ ეგუება ახალ გარემოს, ოჯახის წევრებს, კარგად ვერ ახერხებს საოჯახო საქმიანობას. ეს კი დედამთილის უკმაყოფილებას იწვევს. ყოველივე ამას თვითდახასიათების ხერხით გადმოგვცემს რძალი, ნათქვამს იუმორისტული ტონი დაჰყვება:

,,ქმარი მყავდა ბრუციანი,
დედამთილი კუზიანი,
დედამთილო, ყარყალაო,
ვერ მოვიცდი აქანაო.
ვჭამევი- მჭამელი მითხრა,
არ ვჭამე და-უჭმელაო,
გავიარე, ღოღია მითხრა,
დავჯექი და კუტი მითხრა,
აჭარ ქალი, კოჭარ ქალი,
ღმერთო, მიე ავი რძალი“[ბსკიფა, I, 83: 15].

ან კიდევ:

,,ახლა რა ვქნა, რა მევგონო,
ავი დედამთილის ხელში?
ტყეში წევდე – დათვი შემჭამს,
სახში მივდე – დედამთილი,
ავი დედამთილის ხელში,
ასე მევიკაკვე წელში“ [ბსკიფა, I, 83: 16].

ტრადიციულად რძალი მოვალე იყო ანგარიში გაეწია და სათანადო ყურადღება-პატივისცემა გამოეხატა ოჯახის წევრების მიმართ. ამით თავგაბეზრებული რძალი ისევ დედამთილს ადანაშაულებს და მიმართავს:

,,დედამთილო, დედაო,
შენ ჩაგიხმეს ენაო,
შენი ერთი შვილის მეტი,
დეიხოცეთ ყველაო“ [ბსკიფა, 83: 99].

ზოგჯერ რძალი დედამთილს აფრთხილებს, რომ მის შვილს სხვას ანაცვალებს და გაყვება, თავქაჩალა შვილი აღარ მოსწონს:

,,დედამთილო, იო,
რას მიჯავრდებიო,
შენი შვილი თავქაჩალა,
მე სხვას გავყვებიო“ [იქვე].

რძალი ზოგჯერ ზერელე დამოკიდებულებას ამჟღავნებს ოჯახის მიმართ, ძირითადად კი, ისევ დედამთილის მიმართ და ეს დამოკიდებულება უკიდურესია; სასიკვდილოდაც კი იმეტებს დედამთილს. ხულოს ხალხურ პოეზიაში ეს გამანადგურებელი დამოკიდებულება დედამთილის მიმართ ასეა გადმოცემული:

,,დედამთილი ოდაში,
აღარ არის მოდაში,
გავახვიე მიტკალში,
წკაფ და მივე მიწაში“ [ფუტკარაძე, პირადი არქივი, 2012].

რძალ-დედამთილიანის ციკლში ყურადღებას იქცევს ლექსი ,,რძლის ნატვრა“, რომელშიც მშობლების, ოჯახის დანატრებული ქალის, ახალგაზრდა რძლის წუხილია გამოთქმული [ზოიძე, 1978:47].

,,სამი წელიწადია,
სახლში წასლა მწადია,
ჯიბეში მაქ ჯაყვაი დანა,
ხათრი მრჩება ყველაიდანა.
არაფერი მოფენილი,
ქი დამტია მოწყენილი.
სიმაური მკდარი,
დედამთილი გიავრი.
სახლი კისერ ეკალიო,
ღმერთო, მალე მოკალიო,
შევახვიო ნარმაში,
შევაყოლო აღმართში.
ახორს უკან თიკნები,
ვიტირებ და ვიქნები“ [აჭარის ხალხ. პოეზია, 1969:91].

აღნიშნული ლექსი სრულყოფილი სახით გვხვდება აჭარის ხალხური პოეზის პირველ ტომში, როგორც ვნახეთ, ცალკეული სტროფების სახითაა წარმოდგენილი ლექსი ხულოს ფოლკლორში, თან ოდნავ განსხვავებული ვარიანტით. ხალხურ პოეზიაში შესულია ასეთი ვარიანტით: ,,შევახვიო ნარმაში, შევაყოლო აღმართში,“ შდრ. ხულოს პოეზიაში: ,,შევახვიე მიტკალში, წკაპ და მივე მიწაში.“ ბოლო ტაეპის განსხვავებული ვარიანტია: ,,ბაზ და მივე მიწაში“; ან კიდევ, შეიძლება შეგვხვდეს: ,,დავაბიძგე მიწაში“.

რძალ-დედამთილის რეპერტუარიდან ხულოს ზეპირმეტყველებაში გვხვდება საყოველთაოდ ცნობილი, გავრცელებული და პოპულარული ლექსები: ,,ლექსი დედამთილზე“, ,,სახლი კისერ ლობიაი დავრგე,“ ,,დედამთილი კვდებოდა“, ,,ერთი დედამთილი მყავდა“. ხალხური პოეტური შემოქმედების აღნიშნული ნიმუშები წარმოდგენილია ლექსების, შაირების სახით. ასევე, გავრცელებულია ორტაეპიანი პწკარედები. მაგალითად:

,,დედამთილი აზ და აზო,
თხილი ჯოხი-ბაზ და ბაზო“ [ბსკიფა, I: 15].

დედამთილიც არ ერიდება რძლის გალანძღვა-გაკიცხვას:

,,ერთი რძალი მევიყვანე,
გუუძახე ჭალაში,
თოხი ტარი მომიტეხა,
მაგარია ჭამაში "[ბსკიფა, I : 17].

ხულოშიც ფართოდაა გავრცელებულია ლექსი: ,,დედამთილი კვდებოდა". რძალს არაფრად მიაჩნია დედამთილის გარდაცვალება. არ აწუხებს და არ ანაღვლებს, მისთვის მთავარია, რომ დედამთილის გაზრდილი შვილი მას რჩება. იმ დედამთილის გაზრდილი, რომელიც სიკვდილისათვის გაუმეტებია:

,,დედამთილი კვდებოდაო,
მე კი რა მენაღლებოდა,
მისი შვილი მე მრჩებოდა"
[ფუტკარაძე, პირადი არქივი, 2012:27].

რძალ-დედამთილიანის ციკლის ლექსებში რძლის რეპერტუარი უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე დედამთილისა.

,,დედამთილის რეპერტუარის შედარებით მცირერიცხოვნება შეიძლება აიხსნას საერთოდ, ხანდაზმული ადამიანის სიდარბაისლით, რომელიც ცდილობს თავისი ოჯახური უსიამოვნებანი არ გაიტანოს საქვეყნოდ" [ზოიძე: 1978:48].

აჭარაში და მათ შორის ხულოს რაიონში, მრავალ ვარიანტადაა გავრცელებული ,,დედამთილის ლექსი", რომელიც შედარებით ახალი უნდა იყოს. პატარძალი ცდილობს თავი აარიდოს შედარებით მძიმე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და თავს იწონებს ხელობის ცოდნით. რძლის საქციელი დედამთილის უკმაყოფილებას იწვევს:

,,- დედამთილო, აშუნაო,
მოგიტანე მაშინაო,
თუ ხელობას ვერ გამევჩენ,
დამემდურე მაშინაო.
– შენი მაშინა მე რათ მინდა,
მძულს მაგისი ხრიალიო,
მე ისეთი რძალი მინდა,
ყანაში დეიწყოს ფრიალი:
– დედამთილო, შენ ნუ წუხარ,
ნუ გაქ მაგის თალაშიო,
ჩაი-შექრით გაზრდილი ვარ,
ვერ წამოვალ ყანაშიო" [ბსკიფა,I: 7].

ლექსი დიალოგური ხასიათისაა. ამ ნიშნის მიხედვით, ლექსი ხალხურ დრამას შესაძლებელია რომ მიეკუთვნოს.

ხალხური პოეზიის რძალ-დედამთილიანის ციკლის ლექსებში ისიც კარგად ჩანს, რომ რძალ-დედამთილს შორის შესაძლებელია არსებობდეს საქმიანი, მეგობრული დამოკიდებულება. უმნიშვნელო გაუგებრობა ხშირად სწრაფად და უკვალოდ ქრება. რძლის შეფასებაში აქტიურ როლს თამაშობს დედამთილი. მასზეა დამოკიდებული რძლის ავტორიტეტი ოჯახსა და საზოგადოებაში:

,,რძალო, გვრიტო, ჩახატულო,
მზევ უღრუბლოდ ამოსულო,
მეტად ტურფავ და ლამაზო,
რძალო ენაშაქრიანო“ [ბსკიფა,I: 31].

ამ ლექსში მთქმელი გვიხატავს რძალს, რომელმაც უკვე გამოამჟღავნა თავისი დადებითი დამოკიდებულება ოჯახის მიმართ. განსაკუთრებით საინტერესოა რძლის გარეგნული დახასიათება: ,,რძალო, გვრიტო, ჩახატულო“. გარდა გარეგნული, პლასტიკური დახასიათებისა, ხაზგასმულია რძლის შინაგან ბუნებაზეც, მის სიმშვიდეზე. ,,გვრიტო“-ერთი სიტყვით გახსნილია რძლის სულიერი სამყარო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რძლის გარეგნობის დახასიათება აღნიშნულ ლექსში არის წყობილსიტყვაობის შესანიშნავი ნიმუში.

ხალხური მთქმელი რძლის გარეგნულ ბწყინვალებასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მნიშვლოვანია ადამიანური ბუნება. შინაგანი სამყარო. ყურადღება მახვილდება, რძლის ,,ენაშაქრიანობაზედაც“. სწორედ ,,ენაშაქრიანობაა“ მიჩნეული რძლის ერთ-ერთ ღირსებად. მთქმელმა კარგად უწყის, რომ ოჯახის წევრებსა და რძალს შორის ჰარმონიული ურთიერთობა მნიშვნელოვანია და გადამწყვეტიც. სწორედ ასეთი ჰარმონიული დამოკიდებულება არის საფუძველი იდეალური ოჯახისათვის. ასეთი ურთიერთობა წარმოადგენს ოჯახური ყოფის იდეას, ეს კარგად ჩანს შეგონება-დამრიგებლობითი ხასიათის ლექსში ,,გელინო, გელინო“. ლექსი ფართოდ გავრცელებულ რეპერტუარს წარმოადგენს არა მხოლოდ ხულოს ხალხურ ფოლკლორში, არამედ აჭარის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ,,გელინო, გელინო“ ლექს-სიმღერაა და ხულოში კიდეც სრულდება დამღერებით:

,,გელინო, გელინო, დედამთილი, დედასავით გელინო,
გელინო, გელინო, მამამთლი მამასავით გელინო,
გელინო, გელინო, მაზლი არის ძმასავითო, გელინო,
გელინო, გელინო, მული არის დასავითო, გელინო“.

აღნიშნული დღესაც ფართოდ გავრცელებული ლექს-სიმღერაა ხიხაძირის მთქმელთა რეპერტუარში [ფუტკარაძე, პირადი არქივი, 2012: 2].

რძალ-დედამთილიანის ციკლის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია ,,სახლი დავდგი ვერხვისაო“. ლექსი პოპულარულია და გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სასურველი რძლის მოყვანით გახარებული და კმაყოფილი დედამთილი დედაშვილურ დარიგებას აძლევს რძალს:

,,სახლი დავდგი ვერხვისაო,
საძირკველი- ვერცხლისაო,
შიგაც რძალი მოვიყვანე,
ფეხით ბედნიერისაო,
დედოფალო, კარგო,
თეთი პირი გაქო,
თეთრი პირი ქმარს უჩვენე,
ხელსაქმე – სახლ-კარსო“ [ბსკიფა,I : 93].

რძალ-დედამთილიანის ციკლში, რომელიც საყოფაცხოვრებო-სათავგადასავლო ლირიკას განეკუთვნება, ნაჩვენებია, ერთი მხრივ, რძალ-დედამთილს შორის არსებული კონფლიქტი, რომელსაც მთქმელი სატირულ-იუმორისტული ტონით გადმოგვცემს, მეორე მხრივ კი, სიყვარულით, პატივისცემით გამსჭვალული ურთიერთობა, რომელიც ხალხისათვის იდეალურს წარმოადგენს და მისაბაძია.

ბუნებრივია, რომ ხულოს ხალხურ ზეპირსიტყვიერებას ამდიდრებს სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლექსები. ერთ-ერთი არის ვენახზე, შრომაზე შექმნილი ლექსი – ,,სიმღერა ვენახზე“. მთქმელი ტურფად მობიბინე ვენახს შეაქებს. ლექსში გვხვდება მოწოდებაც – ,,ვენახ კარგად მოუარეთ“. ლექსს რეფრენად გასდევს ეს ტაეპი. შექებულია შრომაც. ლექსის დასასრულიდან ჩანს, რომ მთქმელი – ,,გამომთხრობელი“ არის გვარად მიქელაძე:

,,დაბლა, გზის პირად ბიბინობს,
რა ტურფა და სანახიო,
მაშ, ბიჭებო, მოდი ვნახოთ
ჩვენი კარგი ვენახიო.
მაშ, ბიჭებო, შიგ და გარეთ
ვენახ კარგად მოუარეთ.
შრომა ჩვენთვის ხალისია,
არ გაგიტყდეს, ბიჭო, გული;
რადგან კარგი პირი უჩანს ,
შეიძლოს, მივღოთ ბევრი ფული.
მაშ, ბიჭებო, შიგ და გარეთ
ვენახ კარგად მოუარეთ.

მაშ ვენახი კარგი არის,
მარტო ჩვენ რა უნდა ვაქო,
დამატებით კარგი არის
ხარისხით ჩვენი თამბაქო,
მაშ, ბიჭებო, შიგ და გარეთ
ვენახ კარგად მოუარეთ.
შემოდგომის პერიოდში
კარგი არის სიმწიფეო,
იცოცხლოს, იყოს დღეგრძელი
ჩვენი ქვეყნის ხენმწიფეო.
მაშ, ბიჭებო, შიგ და გარეთ
ვენახ კარგად მოუარეთ.
შრომა ყველთვინ კარგი არის,
ყველამ შრომას ვუგდოთ ყური,
წინეთ თუ სხვაგან დავდიოდით,
ორ მეტროში მოაქთ პური.
მაშ, ბიჭებო, შიგ და გარეთ
ვენახ კარგად მოუარეთ.
აი, ლექსი დიდი არ არის,
აი, თითქმის, ვამთავრეო.
კარქ პირობას გვეძლევა ჩვენ
კოლმეურნის კოლთავრეო.
მაშ, ბიჭებო, შიგ და გარეთ
ვენახ კარგად მოუარეთ
თაში ურემი წავიღე,
ჩამოვტანე ბარათაო.
ამ ლექსის გამომთხრობელი
მიქელაძე გვარათაო“ [აჭ. საუნჯე, I, 2013:429].

აღსანიშნავია ლექსი, რომელშიც ქმრის გულისტკივილია გადმოცემული ცოლის მიმართ თქმული. ლექსში ბრიყვი და გაუთლელი ცოლის მოყვანით გამოწვეული ქმრის დამოკიდებულებაა გადმოცემული. ჯიღისტოლა თვალები და ჯამუშის მაგვარი წელი აქვსო-აღიარებს ქმარი. ქმარი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ საჭმლის სუფრაზე მიტანამდე ყველაფერს შეჭამს. ,,ცხრა კოთხო იაღი შეჭამა“ – არის აღიარებული ქმრის მიერ. შეწუხებულ და თავმობეზრებულ ქმარს ცოლის ოჯახში, მამასთან, ძმასთან ლამის დელეგაციაც გაუგზავნია, რათა წაიყვანონ მათი ქალი, მაგრამ ამაოდ. ოცდახუთი წელიწადი

ჩვენ გვარჩო, ცოცხალ-მკვდარი დაგვტოვა და ჩვენი ხათრით ცოტა კიდევ მოითმინეო, – აი, პასუხი, რაც მიიღო ცოლის ოჯახისაგან ქმარმა:

,,ჩემი ძმა გადამეკიდა:
,,ბიჭო, ითხოვე ცოლია“.
ისეთი ცოლი ვითხუე
ბრიყვი და გაუთლელია.
ჯიღისტოლა თვალები აქ,
ჯამუშ მიუგავ წელია,
მოსაყვანად რომ მივედი,
ცხენს მომიტეხა წელია.
ნამეტარი ნაქებია,
ლობიოს მომზადებაში,
კაკალ ლობიოს არ დატევს,
თუკი მოუდგა ქოთანში,
სტოლს გაგიშლის იმისთანას,
ევროპულ წესებსას მოგავს;
რაცხას კუხნიდან მოიტანს,
სტოლზე მოტანამდის შეშჭამს.
პრასას ბოსტნიდან გამეიქნევს,
მარილ აგერ ქუხნიდანა,
ცხრა კოთხო იაღი შეჭამა;
მოსულია ზეგნიდანა.
ცხრა კოთხო იაღი შეჭამა,
თლათ გამოლია ყველია.
ქალებშიცა იტრაბახა:
წუთხე დოც მივაგენია.
ცოლის მამას გავუგზავნე
ცხრაჯელ დელეგაცია,
მომაშორვე თქვენი შვილი,
თუ გაქ სისხლის ყლანტია,
ცოლის ძმამაც მე მომწერა:
,,ვიცი, რა დღე გადგიაო,
ოზდახუთ წელიწად ჩვენ გვარჩო,
ცოცხალ-კტარი დაქვტიაო,
ცოტა კიდევ მოითმინე,
თუ გაქ ჩვენი ხათრიაო“ [აჭ.საუნჯე, I,2013:430].

გვხვდება ლექსები, რომლებშიც შექებულია მეგობარი და არის სურვილი, მეგობარს დაბრკოლება არ შეხვდეს, ადამიანის გზა სამართლიანი იყოს:

,,კარგ მეგობარს, ცხენი არსად წაექცეს,
სუფრის მამას ოჯახი არ დაექცეს,
სიმართლის გზას არც ხიდი არ ჩაექცეს,
სირცხვილი მას, ვინც მოვალეს გაექცეს“[აჭ.საუნჯე, I,2013:546]

მთქმელს მოსწონს მართალი, ,სწორე“ კაცი, ასეთის მოიმედე შეიძლება იყოს ადამიანი, მართალი კაცი სანდოა, იქვე, მთქმელის აზრით, სიმდიდრეს ,,დავერია“ სჯობს. გმობს მატყუარა ადამიანს:

,,სწორე კაცი, სუყველგან სანდობია,
დიდ სიმდიდრეს დავერია სჯობია,
მატყუარა ყველგან დასაგმობია,
დაიკარგოს, ჩვენგან დასაგმობია“[იქვე].

მთქმელის თვალთახედვით, ადამიანი მოძმეს ჭირში უნდა დაუდგეს გვერდით, ოქროსავით ვარგისიანი უნდა იყოს:

,,კაცი უნდა თითო რამეს დარგოდეს,
ცუდ-უბრალოდ მიწაზე არ დარბოდეს,
კაცი უნდა მოძმეს ჭირში არგოდეს,
ოქროსავეთ, ყველგან უნდა ვარგოდეს“[იქვე]

ამასთანავე, დაგმობილია პირფერი ადამიანი, ტკბილი ენით, მაგრამ ავი გულით რომ სხვისი ვნება შეუძლია:

,,რათ მინდა ისეთი ძმა-კაცი,
პირფერობით მომექცევა,
ენით ტკბილი, გულით ავი,
დამწიხლავს და გამექცევა“[იქვე]

ხულოს ზეპირსიტყვიერებაში სხვადასხვა ვარიანტით გავრცელებულია ,,საათის დესტანი“. ეს არის გაბაასებითი ხასიათის ლექსი კაცისა და საათისა. გაბაასებაში არის საათის გულისტკივილი, სამდურავი კაცის მიმართ, რომ არ უარება კაცი საათს, არ აქვს ,,ყაბი“, არ აქვს ბედი, უბედურია ყოველთვის, ,,ყაითანი“ მაქ გამობმული და ვერ მიყიდე ძეწკვიო – საყვედურობს კაცს. კაცი ჰპირდება საათს, რომ მისთვის ,,ყაბს“ გააკეთებინებს. კაცი უკმაყოფილოა საათის სიტყვებით. ბოლოს სთხოვს საათს, რომ იმუშაოს, იჭიკჭიკოს მერცხალსავით, სულ პატივისცემაში ეყოლება:

,,...საათი: -მაქეფ და არ მიარები,
უყაბო რომ ვარ შიშველი.
სიდვემდი კი ყაბი მქონდა,

მაშინ ვიყავი პირველი.
კაცი: – შენთვის ყაბ ვაკეთებიეფ,
კარქ აბრეშუმის ძაფითა.
გაგახვევ და შით იყავი,
იმუშავე დასაფითა.
საათი: – შენ ხელში რა მაქ მე,
გამაფუჭე ფახაფუხში,
საღლამი აფერი დამრჩა,
ძელებში და რახარუხში.
კაცი: – საათო, რას იყვედრები,
რა არის თაზირი ამდენი(გონჯი სიტყვები),
კაი ძეწკვი უნდა გიყიდო,
ზედან დაგაბა კორდონი(დიდი ძეწკვი).
საათი: – არსად იყბალი არ მაქ მე,
ყველგან მე ვარ უბედური,
ვისაც ხელში მე ჩავარდი,
თელი შემხდენ უბედური.
ბოლოს შენ ხელში ჩავარდი,
ბევრი გყოლია შეითანი.
ერთი ძეწკვი ვერ მიყიდე,
ზედან მაბია ყაითანი.
...
საათო, შენ იჭიკჭიკე,
როგორც გასული მერცხალი,
შენ პატივსაც არ დიგილევ
სანამდი კი ვარ ცოცხალი.
ვინაც კაცი დეგმდურვის,
აბდალია ის საწყალი.
რაფერ ხმალით შენ მუშაოფ,
ცეცხლი არ გაქ და შით წყალი“[აჭ.საუნჯე,I,2013:400-401].

ხულოს ხალხური პოეზია მდიდარია შაირებითაც. შაირებში ისევ და ისევ სიყვარულის თემას ჭარბობს. შაირებში სიყვარულით გამოწვეული მდგომარეობაა გადმოცემული და ამასთანავე, ტრფიალი ლამაზი ქალის მიმართ:

,,რა კარგია, მაღლა მთიდან
მოჩხრიალე ცივი წყარო,
რა კარგია, როცა გოგოს

ბიჭი ეტყვის მიყვარხარო“[აჭ.საუნჯე,I, 2013:113].
შაირებში არის სურვილი გოგოს მონადირებისა:
,,მთიდან წყარო მორაკრაკებს,
სულ დარეცხა ბუჩქებიო,
ოი, რა საკოცნელია,
გოგოვ, შენი ტყუპებიო“.

ან:

,,მთიდან წყარო გადმოდის,
ცივია და ანკარა,
ჩემი გოგო ის იქნება
თმახუჭუჭა პატარა“[იქვე,114].

ასევე, მთქმელს ჯავრი დაყვება ლოყაწითელა, ლერწამტანისა და ,,ღამის გამთენებელი“ ქალისა:

,,მიყვარდა ჩემი ნაბადი,
გამთენებელი ღამისა,
რომ მოვკტე ჯავრი ჩამყვება,
სამი ლამაზი ქალისა.
ერთია ლოყაწითელა,
მევორე ლერწამტანისა,
მესამესაც თუ იკითხავ,
გამთენებელი ღამისა“.

ხულოს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს თამარ მეფის სახელი. როგორც ცნობილია, ქართველ მეფეთა შორის ყველაზე მეტი გადმოცემა, თქმულება და ლექსი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში თამარ მეფეს უკავშირდება. ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების არც ერთ ციკლს არა აქვს გავრცელების დიდი არე, როგორც თამარ მეფეზე შექმნილ ნაწარმოებებს [სიხარულიძე, 1968: 189]. მაშინაც კი, „როდესაც აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს, ხალხს თავისუფლებისა და ძლიერების სიმბოლოდ თამარი და მისი დრო მიაჩნდა და ყოველივე კარგს, დიდებულს ამ ხანას მიაწერდა, უმღეროდა მას და მარად უქრობ ლამპრად გადასცემდა თაობიდან თაობას. კიდევ მეტი, გამაჰმადიანებულ ქართველებს ისე უყვარდათ თამარ მეფე, რომ იგი რელიგიურ კულტად გახადეს” [ახვლედიანი,1960: 115].

1897 წელს აჭარაში მოგზაურობისას თედო სახოკიას თამარ მეფის ციკლის საისტორიო გადმოცემების მრავალი საინტერესო ვარიანტი ჩაუწერია. თქმულებათა სიმრავლეს იგი იმით ხსნიდა, რომ `თამარი აქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილია როგორც ღვთის მოშიში, გულმოდგინე მზრუნავი ეკლესია-

თა გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისათვის რისხვის დამცემი, ქვრივ-ობოლთა განმკითხავი, მიუკერძოებელი მოსამართლე და ყოველივე ამის დასასრულ -წმინდანი და უბიწო [სახოკია ,1950: 50]; [შიოშვილი, 1976: 75-76].

ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში აღმოჩენილია ეკლესიის ნანგრევები. მუსლიმანობის გავრცელების დროს, მოსახლეობა ამ ადგილებში ჩუმად ადიოდა და ძველებურად ლოცულობდა სალოცავში, იქაურები იქ ასასვლელ გზას ეძახიან ,,თარანგელოზსა“ და „თამარანგელოზსაც”. გადმოცემის მიხედვით, ამ ეკლესიისთვის ეს სახელი იმიტომ დაურქმევიათ, რომ „უძველეს დროში იმ ეკლესიაში ასვლა და ლოცვა მუუწადინებია თამარ მეფეს და მის ამალას. იქ ასასვლელი გზა ხეირიანი არ ყოფილა, ამიტომ აქაურებს სასწრაფოდ ტყე გუუკაფავთ და ამ გზისთვის „ხანუმის გზა” // დედოფლის გზა დუურქმევიათ, დღესაც ეძახიან ამ სახელს. ხანუმში თამარ მეფეს მოიაზრებენ [მიქელაძე, პირადი არქივი, 2007].

ხულოს რაიონის ამ სოფელშივე შემორჩენილია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ლექსი. წარმოდგენილ ლექსში ასევე საუბარია აჭარის უძველესი წეს-ჩვეულებების შესახებ. ნახსენებია ყოფითი ელემენტები, რაც საუკუნეების განმავლობაში მათ განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

ლექსის ამ ვარიანტში (შესაძლოა, არსებობდეს სხვა ვარიანტიც) არ ჩანს ქალის ტირილის მიზეზი. თუმცა, სავარაუდებელია, მოიაზრებოდეს ის პერიოდი, როცა ეს კუთხე დაპყრობილი იყო და აქ ძირძველი ტრადიციული წესები იკრძალებოდა. მას შეიძლება ალეგორიული იერიც კი ჰქონდეს:

„`ცაში, ტყეში ტაბელაო,
ჩემო ნიკორწითელაო,
ნუკრუაი მიკრეფია,
ია ჭურში ჩამიყრია.
ჭური ადუღებულაო,
ქალი ატირებულაო.
ქალასა შვილი ჰყოლია:
ერთი მუნჯი, ერთი კუტი,
ერთი სულაც უკეთესი“ [მიქელაძე, პირადი არქივი, 2007].

ალბათ, შემთხვევი არაა, რომ დედას სამი შვილი ჰყოლია. ორ დასნეულებულ შვილთან ერთად მას ჯანსაღი შვილი ,,ერთი სულაც უკეთესი“ ჰყოლია. ე. ი. მთქმელი მომავლის იმედს არ კარგავს. დატანჯულ, ბედკრულ მოსახლეობას იმედად ღვთისმშობლისა და თამარის ხატება მიუჩნევიათ, რაც კარგად ჩანს ლექსის დასასრულში:

„ადე ჩემო ტატუნაო,
ყანა ხოხოს დაუძახე,
ცას შეხედე მაღალსაო,
დაუძახე თამარსაო.
თამარ ჩემი რძალიაო!
შეჭედილი ვერცხლითაო
წელზე ქამარ აბიაო“[მიქელაძე, პირადი არქივი, 2007].

ამდენად, ხულოს ხალხური სიტყვიერება საინტერესო და თემატურად მრავალფეროვანია, თუმცა ძირითადად მაინც სატრფიალო ლექს-სიმღერები ჭარბობს და ამასთანავე, პოპულარობით სარგებლობს რძალ-დედამთილიანის ციკლის ლექს-სიმღერები. ასე ამოუწურავი და პოეტურია მთქმელთა რეპერტუარი და მათი პოეტური სამყარო. შესაძლებელია, ლექს-სიმღერები არ იყოს გამორჩეული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით, მაგრამ არის უშუალო და ხალხის ხალასი გრძნობა-გონების ნაჟურს წარმოგვიდგენს.

Elza Putkaradze, Naile Mikeladze

Folk Poetry of Khulo

Summary

Poetry is one of the most significant parts of Adjarian folklore. However, the folk prose is more developed in Adjara. The folk poetry of Khulo adds special charm to the Adjarian oral storytelling. The folk poetry of Khulo has preserved and brought to us the brilliant samples of adventurous, living, philosophical or artificial lyrics, which reflects the inner world, the feeling-emotions, and desires of the Georgian man. Basically, the poetry of Khulo is represented with amorous lyrics. We encounter many interesting poetic masterpieces with characteristic poetical features and symbols. These amorous lyrical poems are not only Adjarian but also the ornament of the rich treasure of Georgian folk poetry.

The marvelous lyrics of Khulo can be presented with the following subdivisions: humorous ditties, commendations, conversations. If you look at the samples of verbal expressions, it is obvious that in the string of poetry songs, mainly with the greatest feeling of emotion, the boundless, irreproachable love of a young woman and man is presented. The glamorous attractiveness, plastic look for a young man in love is particularly praised. In the amorous poems and songs the unreasonable passion of

young pairs is shown by marvelous images. Also, the poetry of Khulo is decorated with the samples of conversation. In these conversations the feelings of young pairs, their spiritual, inner world, desires and thoughts are described. The peculiarity of the genre of lyrics is conditioned by the fact that it contains commendation. Georgian folk passionate lyric poems can be considered as brilliant specimens of commendation. In the folk poetry of Khulo from the living and adventurous lyric the poems about the relations between mother-in-law and daughter-in-law cycle are common.

Naturally, the folklore of Khulo is enriched by the poems about various spheres of life. One of the cycles of poems is created about vine, labor. The folk poetry of Khulo is also rich with humorous ditties.

Thus, the folk verbal storytelling is interesting and thematically versatile, though the majority of them belong to the cycles of amorous poems and songs as well as the poems about the relations between mother-in-law and daughter-in-law. So inexhaustible and poetic are the repertoire and the poetic world of the native folk. It is possible that poems and songs are not distinguished with the artistic-expressive ways, but they represent the product of people's pure feelings and mind.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ა., აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1960.
2. აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ; 1969.
3. აჭარული საუნჯე, ტ I, ბათუმი, 2013.
4. ბსკიფა, I, საქმე 86, 1962.
5. ბსკიფა, I, საქმე 146,1970.
6. ბსკიფა, I, საქმე 37, 1960.
7. ბსკიფა, I, საქმე 65, 1962.
8. კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, თბ., 1961.
9. მაცაბერიძე ვ., აჭარის ზეპირსიტყვიერების შესწავლის ისტორიის საკითხისათვის, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I I, თბ., 1962.
10. მიქელაძე ნ., პირადი არქივი, 2007.
11. მსხალაძე ალ., აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, ბათუმი, 1969.
12. ზოიძე ე., აჭარული სახოტბო ლექსი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, I I, თბ., 1975.
13. ზოიძე ე., რძალ-დედამთილიანი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსტყვიერება, IV, თბ. , 1978.
14. ზოიძე ე., აჭარული სატრფიალო ლირიკა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, I, თბ., 1974.

15. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.

16. სიხარულიძე ქს., ქართული ხალხური სიმბოლიკის საკითხები, თბ., 1958.

17. სიხარულიძე ქს., საისტორიო სიტყვიერება, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტომი, II, თბილისი, 1968.

18. შიოშვილი თ., აჭარაში შეკრებილი ფოლკლორული მასალები, ჟურნალი „ჭოროხი", N 2, ბათუმი, 1976.

19. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.

შუშანა ფუტკარაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და
ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის
განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოლოგიის მეცნიერება დოქტორი

აჭარული დიალექტის ზემოაჭარული კილოკავის ხულოს მხარის მეტყველების (თქმის) თავისებურებანი

ენა ცვალებადი სპეციფიკური საზოგადოებრივი მოვლენაა, ღვთაებრივი ფენომენია. იგი იცვლება დროსა და სივრცეში. დროში ცვლილების შედეგად ვიღებთ ძველ ქართულსა და ახალ ქართულს, ძველ ბერძნულსა და ახალ ბერძნულს... სივრცეში განფენილობის მიხედვითაც მიიღება ენობრივი ცვლილების ნიმუშები, რომელიც საფუძველს ქმნის ამა თუ იმ ენაში კილოების (დიალექტების) გაჩენისათვის. ქართული ენაც ექვემდებარება ამ ენობრივ კანონზომიერებას. კერძოდ, ძირძველი საქართველოს ერთ ლამაზ მიწაზე – აჭარის მთასა და ბარში–განფენილ ქართულ ენაში გაჩენილი კუთხური (ადგილობრივი) მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების ერთობლიობა წარმოაჩენს ქართული ენის ერთ-ერთ დიალექტს (კილოს), რომელსაც **აჭარული დიალექტი** (**კილო**) ეწოდება.

ენათმეცნიერებაში მიღებულია ასეთი კანონზომიერება: დიალექტში, ანუ კილოში გამოიყოფა ხოლმე **კილოკავი, თქმა და ქცევა.** აჭარულ კილოში, ენათმეცნიერთა მიერ შესწავლილი ენობრივი თავისებურებების შესაბამისად, გამოიყოფა სამი კილოკავი: **ზემოაჭარული, ქვემოაჭარული** და **ქობულეთური**. ზემოაჭარულ კილოკავში გამოიყოფა ორი თქმა: ხულოს მხარისა და შუახევის მხარის მცხოვრებთა მეტყველების **თქმა.** წინამდებარე ნაშრომში მოცემულია **ხულოს** მხარის მცხოვრებთა **ხალხური მეტყველების–თქმის**–ენობრივი თავისებურებების გრამატიკული ანალიზი.

ნაშრომის ძირითად თემაზე საუბრის დაწყებამდე, ვფიქრობთ, კარგი იქნება ორიოდე სიტყვით მკითხველს შევახსენოთ აჭარული კილოს სევდიანი წარსული.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ქართველი ერის ისტორიაში არ მოიძებნება გულდამშვიდებისა და უმოქმედობის შუალედები, ეპიზოდები. ჩვენი ერის ისტორია ხალხის სისხლითა და ოფლით, შრომითა და ბრძოლით იწერე-

ბოდა, ხალხი იყო მისი შემოქმედი. ამირანისა და ამორძალების სამშობლო მყინვარივით ქედმოუხრელი მიაბიჯებდა საუკუნეთა ქარტეხილების გზაზე და რუსთველის ენით წერდა სიცოცხლის ისტორიას. ასე იყო ძირძველ ქართულ მიწაზეც – **აჭარაში**.

ერის ისტორიაში ყველაზე მყარი, თვითმყოფადი და ამავე დროს სათუთი – ენაა. სწორედ ამიტომაა, რომ ყოველი მტერი, ჩვენი სამშობლოს დაპყრობისთანავე, საიერიშოდ ერის გულისკენ – ენისკენ მიმართავდა ხოლმე მოწამლულ ისარს. მე-17 საუკუნის შუა ხანებიდან, როცა ოსმალეთის სამხედრო ძალა შემოიჭრა ტაო-კლარჯეთის, მესხეთ-ჯავახეთისა და აჭარის მიწაზე, უპირველესი დარტყმა **ერის სულმა – მშობლიურმა ენამ** იწვნია. მაგრამ აჭარაში დედაენამ საოცარი გამძლეობა აჩვენა ყველას და ქართველ ხალხს აჭარაში ეროვნული სული შეუნარჩუნა. ამასთან დაკავშირებით, მკითხველს გვინდა შევახსენოთ ქართველი ერის სახელოვანი შვილის **იოსებ სტალინის** სიტყვები:

„ისტორია გვიჩვენებს, რომ ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ წინააღმდეგობას უწევს ძალით ასიმილაციას... ენის გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით. თურქი ასიმილატორები ასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ დაემახინჯებინათ, დაერღვიათ და მოესპოთ ბალკანელი ხალხების ენები. ამ ხნის განმავლობაში ბალკანური ენების ლექსიკურმა შემადგენლობამ სერიოზული ცვლილებანი განიცადა, შეთვისებული იქნა საკმაოდ ბევრი თურქული სიტყვა და გამოთქმა, იყო „დაახლოებაც“ და „გათიშვაც“, მაგრამ ბალკანურმა ენებმა ამას გაუძლეს და გადარჩნენ. რატომ? იმიტომ, რომ ამ ენების გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი უცვლელნი დარჩნენ“[31].

ამ სიტყვების განმეორება შეიძლება ქართული ენის, კერძოდ, მისი სისხლხორცეული ნაწილის, აჭარული დიალექტის მიმართ. მან, ბალკანური ენების მსგავსად, გაუძლო ასიმილატორთა სამასწლიან ბატონობას და შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, ქართული ენის ბუნება და სპეციფიკა. მართალია, აჭარაში ქართული ენა გადაურჩა მოსპობას, მაგრამ დამპყრობთა ნატერფალი ახლაც შესამჩნევია. ერთი მხრით, ასიმილატორთა ძალადობამ შემაფერხებელი გავლენა მოახდინა აჭარული დიალექტის შემდგომ განვითარებაზე და, მეორეც – დიალექტში განაპირობა მთელი რიგი გრამატიკულ–ლექსიკური თავისებურებანი.

სალიტერატურო ენა, როგორც ცნობილია, საზრდოობს ტერიტორიული დიალექტებით. ამდენად, ამა თუ იმ დიალექტის ენობრივ ქსოვილში გაჩენილი ზოგიერთი გრამატიკული მოვლენის, მისი ლექსიკის თავისებურების შესწავლა

[31] ი.ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 23-27. 1951 წ.

განაპირობებს, ხელს უწყობს, სალიტერატურო ენის განვითარებას, ამდიდრებს მის ლექსიკას, განახლების ელფერს ჰმატებს ამა თუ იმ ენის გრამატიკულ წყობას. ამიტომ, ზოგადად, ენის განვითარება პირდაპირ კავშირშია მის დროსა და სივრცეში განფენილობასთან.

წინამდებარე ნაშრომი ამ კეთილშობილური საქმის წარმოჩენის მცირე მონაკვეთია.

ქართული ენის **ზემოაჭარული დიალექტი,** რომლის მეტყველების არეს **ზემოაჭარა** წარმოადგენს, საკმაოდ საინტერესო, თავისებური დიალექტური ერთეულია. მისთვის ნიშანდობლივია ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია, რაც განპირობებულია ბუნებრივი პირობებით, მთა-გორიანი სისტემით. აქ არსებული მთა-გორები ქმნიან ხაზოვან მიჯნას, გეოგრაფიულ დაბრკოლებას დასახლებულ პუნქტებს შორის. აქაური სოფლები მჭიდროდ ვერ ეკვრიან ერთმანეთს. ამიტომ მათ მეტყველებაში ჩნდება საგრძნობი განსხვავებულობა, რაც განსაკუთრებით შეინიშნება ლექსიკური ნიუანსების სახით;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის მაღალმთიანეთი, კერძოდ, ხულოს ადმინისტრაციულ ერთეულთან დაკავშირებული ტერიტორია, დაყოფილია **ხეობებად**. მოზრდილი ხეობებია: **ღორჯომის, გოდერძის, სხალთა-ხიხანის.** ხეობებში აგრეთვე, გამოიყოფა **ხევებიც**. მაგალითად: **ღორჯომის ხეობაში** მნიშვნელოვანია **აგარა-საციხურის, მერჩხეთის, ტუნაძეების**... ხულოში სიდიდით გამოირჩევა, აგრეთვე, **დიდაჭარის, რიყეთის, ბეღლეთის, დიოკნისის, კორტოხის, კალოთის, რაქვთის, ძმაგულის, ფაჩხის**... ხევები. მნახველის თვალს იტაცებს აქაურ მოზრდილ თუ პატარა მდინარეთა კალთებზე შეფენილი ლამაზი სოფლები, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით (4-5 კილომეტრით მაინც) არიან დაშორებულნი. ასეთი ტერიტორიული გათიშულობა საუკუნეთა მანძილზე წარმოშობდა ენობრივ ნაირსახეობებს. საენათმეცნიერო ლიტერატურაში, **ხეობებში** განფენილ მეტყველებაში წარმოქმნილ ენობრივი თავისებურებების ერთობლიობას ეწოდება **თქმა, ხევების** წიაღში წარმოქმნილი თავისებურებანი კი სახელდებულია როგორც **ქცევა**. მაგ., ხიხანის ხეობის **თქმაში** შენიშნულია სოფლების– ვერნებისა და რაქვთის– მეტყველების **ქცევა**.

ამჯერად უშუალოდ **დიოკნისური მეტყველებაა** ჩვენი დაკვირვების ობიექტი. იგი მოიცავს თორმეტი სოფლის: დიოკნისის, ტაბახმელის, მანიაკეთის, ბეღლეთის, კორტოხის, პაქსაძეების, გელაძეების, იაკობაძეების, ღურტის, რიყეთის, ზოძაურის, დანისპარაულის მეტყველებას; ეს არის მდინარე გოდერძის ხეობის **თქმა.** ზემოაჭარული კილოკავის ეს თქმა, კერძოდ, ხალხური მეტყველების სივრცეში განფენილობა, იწყება დანისპარაულიდან (ძველი გოდერძიდან) და აღწევს ორი მოზრდილი მდინარის–**ღორჯომის წყლისა** და **გოდერძის წყლის**

შესართავამდე, სოფელ **დიაკონიძეებამდე**. აქაური მეტყველება, რომელსაც ჩვენ **დიოკნისური მეტყველების** სახელით წარვუდგენთ მკითხველს, ერთგვარად განსხვავდება მოსაზღვრე **სხალთის ხეობისა** და **ღორჯომული** მეტყველებისაგან. განსხვავება შეინიშნება როგორც ლექსიკაში, ასევე გრამატიკულ წყობაში. ზოგიერთი ნიუანსის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

დიოკნისურ მეტყველებაში, როგორც ზემოაჭარულში, მოიპოვება ნახევარ-ხმოვნები: **–** ❑ ᲩᲔ და გრძელი ხმოვნები: **Ა, Ე, Ი, Უ,** ნეიტრალური **გ** და წყვილ-ბა-გისმიერი ხშული – მსკდომი Ყ.

❑გვხვდება:

ა) სახელობით ბრუნვაში **ა, ე** და **ო**-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან. ასეთ პირობებში ❑ის გაჩენა გამოწვეულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის **ი**-ს დასუს-ტებით. დიოკნისურ მეტყველებაში ❑ დადასტურდა **უ**-ზე დამთავრებულ ფუ-ძეებთან, რაც სპეციალურ ლიტერატურაში ჯერჯერობით არაა აღნიშნული.

მაგ. **ა**-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან:

ჯემალაᲲ, მოლოქაᲲ, ოჭივარაᲲ, ჩაკიდულაᲲ, გვარდაᲲ...

ე-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან:

დედეᲲ, ხატიჯეᲲ, ემინეᲲ, ლუთბიეᲲ...

ამ შემთხვევაში Ჲ წარმოდგენილია როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან; თუმცა საზოგადო სახელები უმეტესად გვხვდება ❑ის გარეშე (ბრე (ქატო), ბზე, ღრე, ღელე, კილდე, ხე, ჭლე, ტლე...).

ო-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან:

ტადოᲲ, ბაბოᲲ, ანოᲲ, ტოტოᲲ, ფატოᲲ, ფადოᲲ, ხასოᲲ, ხატოᲲ...

ე-ზე დაბოლოებული სახელების მსგავსად, ამ შემთხვევაშიაც საზოგადო სახელები უმეტესად წარმოდგენილია ❑ის გარეშე (ეზო, ხეჭეპო, ხობო, წო, ახო, გომბიო, თარო, კალო, კურო, ურო, წყარო, ბაბილო, ხვითო...).

უ-ზე დაბოლოებულ სახელებთან:

რუᲲ, ყრუᲲ, ღრუᲲ, ყუᲲ (თურქ. ორმო).

მაგ. წინადღე ზიგადასლამდინ რუᲲ ვთხარე გაღმა ჭალაში (მანიაკეთი); ხასანას დიდი ბიჭი ყრუᲲ ყოფილა საცოდავი (ბეღლეთი).

წყალ უდენია, უდენია და დიდი რუᲲ გუ̄კეთებია, ჭო (რიყეთი).

ბაბოვ, ყუᲲ ჰადნა ამოვთხარო? (დიოკნისი).

ბ) ❑გვხვდება ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან ნათესაობით და მოქმე-დებით ბრუნვებში. ამ შემთხვევაში ❑ მიღებულია ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილის (ი) დასუსტების შედეგად. მაგ. ყუᲲს, ყუᲲდან; რუᲲს, რუᲲდან...

ფატოᲣს გულებაᲣ მენა დამჭვირთო საქმით ხომ? (ფატოს გამო მე უნდა დამტვირთო საქმით, ხომ?).

უროᲣთ გიგინაჭავ თავ, დემეხსენ თვარა!..

მაგ ხობოᲣდან უმუდი სულ არ მაქ დაᲣდე...

დიოკნისურ მეტყველებაში □ გვხვდება **უ**-ზე დამთავრებულ ბოლოუკვეცელ სახელებთან მიც. ბრუნვაში **ზე** და **ში** თანდებულების დართვისას. მაგ. ყუᲣ-ზე, რუᲣში, ყუᲣში...

მაგ. ჩვენ ყუᲣში წყალი ამღრეᲭლა, აღარ ისმება...

ე ბაღვი ყუᲣზე ასულიყო, ღალმი ჩავარდა შᲣან...

თᲭალები კარქა გაახილე, ფეხი არ ჩიგიშპეს რუᲣში...

გ) □ვითარდება ზოგჯერ ფუძის შიგნითაც, როდესაც ი ემეზობლება **ა, ე, ო**-ს. მაგ.

შუაᲣტაბი (ადგილის სახელწ.) მოვხანით გუშინ...

მᲣირედი ფხეკაში მემეხმარე რაᲣ?...

ამეᲣოხრა მერაყიანა და გეᲣარა წევდა...

დ) □ დაცულია უცხო წარმოშობის სიტყვებში: გულᲣაღი, ყაზᲣაღი, ზეᲣთᲣაღი, აჯᲣაღი, საჯᲣაღი, ჭოჭᲣათაღი, Უასაღი (ნაკრძალი), Უასი და ა.შ.

ე) □ გვხვდება ზოგიერთ ზმნებში პრევერბისეული **ე**-ს, **ო**-ს ან **ი**-ს დავიწროების შედეგად.

მაგ. შᲣაგდო (←შეაგდო)

შᲣაყვარა (←შეაყვარა)

შᲣაცოდვა (←შეაცოდვა)

მᲣაყარა (←მიაყარა)

მᲣაშავა (←მიაშავა)

მᲣეხმარა (←მიეხმარა)

ვ) □ გვხვდება კონტაქტის საწარმოებელთა– „**ინ**“, „**ევინ**“–თანხმოვნითი ნაწილის (ნ) დაკარგვის შედეგად.

მაგ. წააკითხვᲣა

მუაკლევᲣა

მუახვევᲣა

მუახნევᲣა.

ზ) □ დადასტურდა **ობა**-თი ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელებში, როგორიცაა: ყანᲣობა, თᲣობა, ლობᲣობა, ხბᲣობა, ლამბᲣობა, ბაბᲣობა, სიძᲣობა, ემᲣობა...

თ) □ წარმოდგენილია **ძე**-თი დამთავრებული ადამიანთა გვარების მრ. რიცხვის ფორმასა და **ძე**-თი ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებში.

მაგ. ადამიანთა გვარებში: საგინაძეები, ძირკვაძეები, შავაძეები, ხოზრევანი-ძეები, კახაძეები, გობაძეები, ხმალაძეები და ა.შ.

სოფლის სახელებში: იაკობაძეები, ღორჯგმელაძეები, გელაძეები...

უმარცვლო Ჩ, როგორც ცნობილია, წარმოადგენს დავიწროებულ **უ**-ს. Ჩ დიოკნისურ მეტყველებაში გვხვდება თანხმოვნის შემდეგ ფუძის შიგნით. მაგ. თᲩალი, თქᲩა ღᲩარი, ნაკᲩერცხალი, ექᲩსი, გᲩალი, ძᲩალი, ქᲩა, მᲩა და ა.შ.

Ჩ იშვიათად მიიღება **ვ**-საგან, თუ ის მოქცეულია ხმოვანსა და თანხმოვანს შორის. მაგ. კევრი→კეᲩრი, ბევრი→ბეᲩური.

აქაურ მეტყველებაზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ Ჩ ზოგიერთ შემთხვევაში მიიღება **უ**-ს დასუსტების შედეგად. ეს ხდება **ოვა** და **ოვე** კომპლექსში ფონეტიკური ცვლილების მიმდინარეობისას პროცესი გვიჩვენებს ასეთ ცვლილების სურათს: ოვა–ოვე→ოა–ოე→უა–უე→Ჩა–Ჩე.

მაგ. გამოვაჩარხვინე →გამᲩაჩარხეე

გამოვაწლევინე →გამᲩაწლევეე

გამოვათხრევინე→გამᲩათხრევეე

ვაძოვე→ვაძᲩე

ვაწოვე→ვაწᲩე

მივაქსოვე→ვისაქსᲩე

Ჩ უმეტესად წარმოდგენილია ტოპონიმიურ სახელებში, როგორიცაა: ირემაᲩლი, ხურცაᲩლი, ჭელაᲩრი, მაკარაᲩლი, ელიაᲩრი, კვირაᲩლაᲲ, გელაᲩრაᲲ, წითელაᲩრაᲲ...

Ჩ წარმოდგენილია ისეთ სახელებში, რომლებიც რაიმე კუთვნილებით ურთიერთობას გამოხატავენ. მაგ.

ოსმანასეᲩლი ძროხა ძალვან კაᲲ გამომდგარა, ძალო...

გრძელი ხმოვნები: **ᾶ, ē, Ჩ̄** დიოკნისური მეტყველებისათვის დამახასიათებელია. როგორც ცნობილია, გრძელი ხმოვნები მიღებულია ორი ერთნაირი ხმოვნის შეერთებით, ასიმილაციის შედეგად.

მაგ. შეაგდო→შᾶგდო

შეათრია→შᾶთრია

შეათავა→შᾶთავა

წაეთრია→წᾱთრია

ჩამოეტანა→ჩამᾱტანა

ამოეგლიჯა→ამᾱგლიჯა

მოუჯახა→მᲩ̄ჯახა

მოუკვლა→მᲩ̄კლა

ზოგჯერ გრძელ ხმოვნებს ვღებულობთ **რაე**-ს დაკარგვის შემთხვევაში ასიმილაციის საფუძველზე. მაგ.

ნურაფერი→ ნუ̄ფერი

არაფერი→ ā̄ფერი

ვერაფერი→ვē̄ფერი

დიოკნისურ მეტყველებაში **გ**-ს შესატყვისი ნეიტრალური ბგერა იშვიათ შემთხვევაში დასტურდება. მკვლევარ გ. ხუბუას ზემოაჭარულში ნეიტრალური ბგერა შენიშნული აქვს ორიოდე მაგალითში. ენათმეცნიერი შუქრი ნიჟარაძე ამ ბგერის არსებობაზე მიუთითებს რიცხვით სახელში – **ცხგრა,** არსებით სახელებში: ღორჯგმი, ღორჯგმელი, ღრგმანი (ადგილის სახელწ.). დიოკნისურში ეს ბგერა წარმოდგენილია ტოპონიმიურ სახელებში: ნარიანგსერი, ვაკგბერსნალი, დგოკნისი, დგოშკილი (ნარიანისერი, ვაკებერსნალი, დიოკნისი, დიოშკილი); წარმოდგენილია, აგრეთვე, ადამიანთა გვარის აღმნიშვნელ სიტყვაში – **ღორჯგმელაძ□ები.**

ამრიგად, ნეიტრალური ბგერა **გ** ჩაერთვის არა მარტო თანხმოვნებს შუა, არამედ იგი ჩაერთვის თანხმოვანსა და ხმოვანს შორისაც (დგოკნისი–დიოკნისი, დგოშკილი – დიოშკილი).

ę (წყვილბაგისმიერი ხშულ-მსკდომი) ბგერა დიოკნისურ მეტყველებაში ძალიან იშვიათად შეინიშნება. იგი უმეტესად წარმოდგენილია შორისდებულებისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების დასაწყისში. მაგ. **ęეჰ,** რაფერ დავბერდი კაცი?!.. **ęაჰ,** ძალვან მეტკინა, ჭოვ, **ęე,** ბაღვი ვისია გო?... იგი წარმოდგენილია აგრეთვე არაბულ-თურქული წარმოშობის სიტყვებში. შ. ნიჟარაძე ასახელებს შემდეგ მაგალითებს: ęისაā, ęაბდულაā, ęემიაą. აღნიშნული მაგალითების გარდა დიოკნისურ მეტყველებაში **ę** ბგერა შეინიშნება სახელების შუაშიც თანხმოვანსა და ხმოვანს შორის. მაგ. **ბაęრი** (ქალის სახელია), **საęნი, სინოęრი** (საზღვარი), **□ასęღი, ბილęვი.**

„ზემოაჭარული ხასიათდება მდიდარი ფონეტიკური მოვლენებით,–აღნიშნავს შ. ნიჟარაძე, – მართალია, ამ მხრივ იგი ძირითადად დასავლურ დიალექტთა წრეს განეკუთვნება, მაგრამ რიგი სპეციფიკური მოვლენებით (პრევერბისეული ხმოვნის სრული ასიმილაცია სათავისო ქცევის **ი**-სთან, როცა მათ შორის ობიექტური ნიშნებია, ქცევის ან ვნებითი გვარის **ი** ხმოვანთა მიერ პრევერბისეულ **ა, ო** ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის სიჭარბე, ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება, სრულხმოვნობა, არქაული ვითარების გადმონაშთები, გემი-

ნაცია) საკმაოდ განსხვავდება როგორც დასავლური, ისე განსაკუთრებით აღმოსავლური დიალექტებისაგან“[32].

ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა

დიოკნისურ მეტყველებაში **ასიმილაცია** ფართო მასშტაბითაა ფეხმოკიდებული. გვხვდება როგორც თანხმოვანთა, ასევე ხმოვანთა ასიმილაცია. ხმოვანთა სრული ასიმილაციის შემთხვევებს ვხვდებით უმთავრესად ზმნებთან. წარმოდგენილია პრევერბისეული ხმოვნების სახეცვლილება.

ა) პრევერბთა სრული ასიმილაცია:

სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი ერთნაირი ხმოვანი შეერწყმის ერთმანეთს და იქმნება გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილება. პროცესი მიმდინარეობს შემდეგნაირად:

აუ→ოუ→უუ→ᲣᲣ

ასიმილაცია რეგრესულია და სრული.

გაუკეთა→გოუკეთა→გუუკეთა→გᲣᲣკეთა

გადაუქცია→გოდოუქცია→გუდუუქცია→გᲣᲣდუქცია

გაუჭრა→გოუჭრა→გუუჭრა→გᲣᲣჭრა

ეუ→ოუ→უუ→ᲣᲣ

ასიმილაცია რეგრესულია და სრული.

შეუთვალა→შოუთვალა→შუუთვალა→შᲣᲣთვალა.

შეუტანა→შოუტანა→შუუტანა→შᲣᲣტანა

იუ→უუ→ᲣᲣ

მიუთვალა→მუუთვალა→მᲣᲣთვალა

მიუნიშნა→მუუნიშნა→მᲣᲣნიშნა

ოუ→უუ→ᲣᲣ

მოუყარა→მუუყარა→მᲣᲣყარა

გამოუთალა→გამუუთალა→გამᲣᲣთალა

ჩამოუტანა→ჩამუუტანა→ჩამᲣᲣტანა

აე→ეე→ᲔᲔ

მოელაპარიკა→მეელაპარიკა→მᲔᲔლაპარიკა

ჩამოეგდო→ჩამეეგდო→ ჩამᲔᲔგდო.

[32] შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“. გვ. 26, ბათუმი, 1961 წელი.

დიოკნისურ მეტყველებაში ადგილი აქვს პრევერბისეულ (ა, ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვანთა სრულ ასიმილაციას, როცა მათ შორის ობიექტური პრეფიქსებია (გ, გვ, მ).

ა–ი→ი–ი

ასიმილაცია სრული, რეგრესული და დისტანციურია:

ამიზიდა→იმიზიდა

ამიწონა→იმიწონა

ჩაგვიკეთა→ჩიგვიკეთა

ე–ი→ი–ი

შემიხვია→შიმიხვია

შემიტყო→შიმიტყო

შემიჭამა→შიმიჭამა

სრული ასიმილაცია ხშირად გვხვდება სახელებშიაც. მაგ. დედოფალი→დო-დოფალი

გოდერძაული→გოდორძაული

რიყეთი →რეყეთი

დიოკნისურ მეტყველებაში ხშირად გვხვდება ისეთი სახის მაგალითები, სადაც ადგილი აქვს ქცევის ნიშნისეული და ვნ. გვარის **ი** – თავსართიან პრევერ-ბისეული ხმოვნის ასიმილაციის შემდეგ **ი** – თავსართის უკვალოდ გაქრობას პირველი პირის ფორმებში. დოც. შ. ნიჟარაძე ამ ფაქტს სამართლიანად მიიჩნევს ზემოაჭარული დიალექტისათვის სპეციფიკურ მოვლენად.

I იკარგება ქცევის ნიშანი **ი**:

ასიმილაცია არის რეგრესული, დისტანციური, ნაწილობრივი.

დავიბარე→დევიბარე→დევბარე

დავინახე→დევინახე→დევნახე

მოვიტანე→მევიტანე→მევტანე

გავიკეთე→გევიკეთე→გევკეთე

II იკარგება ვნ. გვარის მაწარმოებელი **ი**:

დავიგრიხე→დევგრიხე

გავიზარდე→გევზარდე

დავიმალე→დევმალე

II და III პირის ფორმებში, როგორც სათავისო ქცევის, ისე ვნ. გვარის მაწარ-მოებელი **ი** ხმოვანი, განიცდის დასუსტებას და იქცევა □ად.

სათავისო ქცევის **ი**:

I გევკეთე

II გეᲘკეთე

III გეᲝკეთა
გევკეთეთ
გეᲝკეთეთ
გეᲝკეთეს

ვნ. გვარის მაწარ. **ი**:
I გევზარდე
II გეᲝზარდე
III გეᲝზარდა
I გევზარდენით
II გეᲝზარდენით
III გეᲝზარდენ

აღსანიშნავია, რომ მსგავს ვითარებაში ზოგჯერ ძირეული **ი**-ც იკარგება. კერძოდ, **ვიდა** და **იარ** ზმნებში.

მაგ. გავიდა→გევდა
წავიდა→წევდა
მოვიდეთ→მოვდეთ//მოვდოთ.
გავიარ→გევარ
ჩავიარე→ჩევარე

ვალ ზმნასთან ზოგჯერ ადგილი აქვს პრევერბისეული ხმოვნის დაკარგვას.

მაგ. წამოვა→წამვა//წამუა
ჩამოვა→ჩამვა//ჩამუა.

ვიდა ზმნის ფუძეში ხანდახან იკარგება **ვინიც** და ფუძისეული **ი** იქცევა □ ად.

მაგ. ჩამოვიდა →ჩამოᲝდა
ამოვიდა→ამოᲝდა
გამოვიდა→გამოᲝდა
წამოვიდა→წამოᲝდა

თანხმოვანთა ასიმილაცია

„ზემოაჭარულში თანხმოვანთა ასიმილაციის მრავალფეროვანი მაგალითები გვხვდება. აქ უფრო რეგრესული ასიმილაციაა გავრცელებული, რომელიც ნაწილობრივია და კონტაქტური. ასიმილაციას ადგილი აქვს როგორც წარმოების ადგილის მიხედვით, ისე ბგერათა გვარეობის შესაბამისად“[33].

[33] შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961 წელი, გვ. 33.

ბ → პ, ფ:

ბრტყელი →პტყელი

ტაბიკი → ტაპიკი

ხეჭბო → ხეჭეფო

ვმუშაობთ → ვმუშაოფთ

მკრებელი →კრეთელი

ძმებთან→ძმეფთან

ფ → პ:

მაგ. საქონელი დეᲘპანტენ, ჰა ხარ, ჭოᲩ!

ისინი ისე მიმეᲘპანტენ რომ...

ჰაᲘდე, დევპანტოთ, ახლა...

მ→ფ:

„უკანაენისმიერი სპირანტი **ხ** იმსგავსებს რა წყვილბაგისმიერ მჟღერ **მ**-ს, ასიმილაციის შედეგად ვღებულობთ ქართულისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ბუნებრივ კომპლექსს–**ფხ**“.[34] ასეთი სიტყვებია: ფხარი, ფხალი, აფხანაკი; ზოგ შემთხვევაში ასიმილირებული **მანი** ინარჩუნებს თავის ადგილს, რაც შ. ნიჟარაძის აზრით, განპირობებული უნდა იყოს ჰარმონიული კომპლექსის შექმნით. მაგ. დომფხალი, დამფხობა, შავამფხალაᲘ... დიოკნისურ მეტყველებაში გვხვდება სიტყვები: ფხავსი, დამფხავსებული, ფხორინი, ფხავილი, ფხო, საფხოვრე, რომლებიც წარმოქმნილი უნდა იყოს ჰარმონიული კომპლექსისაკენ მიდრეკილების ტენდენციით.

დ→თ, ტ:

ეგ სათითეთ არ გამოდგება, აბლავ?!..

მომე, სათუთუნეთ ვიხმარ მაგა...

ე, ხᲘები ყანას უჩთილებს ტყვილაᲘ...

იმფერია რუმ კტარ ბუხრიდან აგატანიეფს...

იმ ბორᲯსაც გუდᲩხტი და რანდა თქვას მემრენ...

გ→კ, ქ

რა ტყვილაᲘ ქპირდება ი კაცი ᲪაᲘ.

რაფერ გაშავებულხარ, ზემ დაკკრა?!..

ხოშკაკალამ დაკკოდა ისე გავ?!

ჟავეს დერქში ვდეფთ... ე, რა მოქსტრია, გო!..

კ→ქ

აქოშკები შუახევნა დავაკეთებიო უსტას...

---

[34] იქვე, გვ. 34.

ჯენნეთი ქოშკებზე გაფრინვა ღმერთმა...

ს→ზ

მაგ. ე ბაღვი სულ მᾶმის დᾳემგზავსა...

ც→ზ

ოზდახუთში გიახელი... თამაში ოზდაათში იყოს, კაᾳ...

ძ→ც

რამდენჯელ ბათუმ ღალმი გამცარცვეს...

ს→შ

შენ შაშᾷალო შკოლაში ხარ, გოვ?!..

ბარემ გაᾳ და სოფლი შაშვაგულოზე იყვირე, რა...

ძიავ, შამშობლოსნდა გიმიშვა ცოტა ხნიობით...

ღ→ხ

ბაღჩა→→ბახჩა

ბოღჩა →ბოხჩა

II დისიმილაცია

ისე როგორც ზემოაჭარულისათვის, ასევე დიოკნისური მეტყველებისათვის, ბგერათა განმსგავსების მოვლენები ისე არაა დამახასიათებელი, როგორც დამსგავსებისა. ქართული დიალექტების მსგავსად დისიმილაცია ეხება **ნარნარა** და **ცხვირისმიერ** ბგერებს.

რ→ლ

ორორი→ოროლი

ზოგჯერ→ზოგჯელ

რვაჯერ→რვაჯელ (რვაჯელ ვიტყვი, მასწავლებელო...)

დიოკნისურ მეტყველებაში **რაეს** დისიმილაცია „**ფერ**“ დართულ უარყოფით ნაცვალსახელებში, რომელთა წინმავალ კომპონენტებში **რაე** შედის, არ გვხვდება.

დიოკნისურ მეტყველებაში **რაეს** დისიმილაცია „თერ“ დართულ უარყოფით ნაცვალსახელებში, რომელთა წინამავალ კომპონენტებში **რაე** შედის, არ გვხვდებ-ბა. აქაური მეტყველებისათვის ბუნებრივია გამოთქმები: არაფრათ, არაფერიც, ვერაფერიც. ამ ფორმების პარალელურად მეტყველებაში დასტურდება ფორმები: ᾶფერი, ᾶფერიც, ვᾷფერიც...

ნ→რ

ნამეტანი→ნამეტარი

მ→ნ

ამბავი→ანბავი

ბუმბული→ბუნბული

დისიმილაცია მოუდის უცხოური წარმოშობის სიტყვებს, როგორიცაა: ორდელი, დილექტორი, ბრიგადელი... მარცვლის დისიმილაციურ დაკარგვას ვხვდებით სიტყვებში: ფეხშველაჲ (ფეხშიშველა), ვაწყინე (ვაწყენინე). მაგ. ფეხშ-ველაჲ რას ეტაშუნები, ჭო! რატომ აწყინე ტადოს?...

ხშულთა და სპირანტთა დისიმილაციურ გამჟღერებაზე მიუთითებს დოც. შ. ნიჟარაძე შემდეგ სიტყვებში: კონდაღი (კონდახი), ჩირუღი (ჩირუხი), კაჲმაღი (ყაჲმაღი), ციმენდი (ცემენტი), კაბუსტა (კაპუსტა), პრობუსკი (პროპუსკი), ტყუბი (ტყუპი), (შესაბამისად იცვლება წყვედ (წყვეტ) ფუძის შემცველი ზმნა და მიმღეობა), წებო (წეპო), ტკიბაჲ (ტკიპაჲ), ჭოროღი (ჭოროხი) და ა.შ.

დისიმილაციური გამჟღერება სვანურისა და მეტნაკლებად მთიულური დიალექტების მსგავსად, აჭარულში იმდენად მოქმედი ენობრივი კანონზომიე-რებაა, რომ იგი მშობლიურ სიტყვებსაც შეეხო (ტყუბი, ტკიბაჲ, წებო)[35]. ასევე უნდა იყოს სიტყვაში „ხეჭებო“–ხეჭეპო...

ხმოვანთა დისიმილაციიდან ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როცა დისიმილაცია მოუდის პრევერბისეულ (**ა,ო**) ხმოვანს ფუძისეულ (ძირითადად ვნ. გვარის **ე** პრეფიქსთან) ხმოვნებთან.

მაგ. აე→ეე→იე→ჲე

დაეგრიხა→დეეგრიხა→დიეგრიხა→დჲეგრიხა.

ასეთივე პროცესია განვითარებული სიტყვებში: დჲეთალა, გჲეშალა, გჲეჩხ-რიკა, გჲეპუწკა და ა.შ.

ოე→ეე→იე→ჲე:

გადმოეწივნა→გადმეეწივნა→გადმიეწვინა→გადმჲეწივნა; მსგავსი ცვლი-ლებითა მიღებული– გადმჲეტანა, ჩამჲეგდო,

ჩამჲეყარა და ა.შ.

ხმოვანთა დისიმილაციის შესაბამისი მაგალითებია:

კლდეები→კლდჲები

ღელეები→ღელჲები

ფლატეები→ფლატჲები

ტყეები→ტყჲები

ხეები →ხჲები

ხბოები →ხფჲები

მდადეები →დადჲები

ასევეა მიღებული □შემდეგ სიტყვებში: გზჲები, დედჲები, დჲები, ბაბჲები, ნენჲები და ა.შ.

---

[35] შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გვ. 39.

III მეტათეზისი

ზურგი→ზრუგი; ღრუბელი→ღურბელი;
ფეშხუმი→ფეხშუმი; ბალნიანი→ბანლიანი;
ვიღან←ვინღა; მადრიელი←მადლიერი;
სულიერი→სურიელი; კვნესა→კნესვა;
საყანვარა→საყარვანა.

IV სუბსტიტუცია

ვ→ბ
ვარცხნა→ბარცხნა; ავლი→აბლი;
ვ→მ
ვენახი→ მენახი
ვიწრო→მიწრო
დავსება →დამსება
ჩაავლო→ჩაამლო
ბ→მ
ბაყაყი→მაყაყი
მ→ნ
ხელმწიფე→ხენწიფე
დაამთავრა→დაანთავრა
მომდურავი→მონდურავი
ნამდვილი→ნანდვილი
ნ→მ
ინტერესი→იმტერესი
ჩანდა→ჩამდა
ნ→რ
ყუნწი→ყურწი
კ→ღ
ზანდუკი→ზანდუღი
ს→შ
ნესტო→ნეშტო
ნ→ლ
ლემსი←ნემსი; ნეკი→ლეკი;
სუნი→სული;
თ→ტ
ჩაყვინთვა→ჩაყვინტვა
თ→ბ

ერთმანეთი→ერთმანები

რ→ლ

აპერაცია→აპელაცია

ბურთი→ბულთი

კ→ყ

კვერცხი→ყვერცხი

კ→ბ

კურკა→ბურკა

ბ→პ

დაბნევა→დაპნევა

დაბნეული→დაპნეული

დიოკნისურ მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული **ხმოვანთა სუბსტიტუცია.**

ა→ე

ფარჩხატი→ფერჩხატი

ბადალი→ბედელი

ხაფანგი→ხეფენგი

ა–ი: ლანძღვა→ლინძღვა

ა–ო: დედო, დედომიწა

ე–ი: შავგრიმანი

ო–უ: ნამუნასტრევი

უ–ო: ონაგირი, ონაგირაი, კრუხი–კროხი;

ზოგჯერ ადგილი აქვს **ბგერათა კომპლექსის შენაცვლებას.**

სტ–შტ: შტვირი, ფოშტა, ჩეშტი;

სქ–სკ: წისკვილი

პკ–ფხ: შაფხა

ო–ვა: მარტვაი, გამეიდვა, ჩამეიდვა, დაადვა;

აფრიკატიზაცია

ჟ→ჯ: ჯორდანიაი, დაპაიჯნილი, ჯეშტი, საჯენი, ჯანგი;

კომბინატორული აფრიკატიზაციის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: გვერძე←გვერდზე; ნართში→ნარჩი; ძღრაბლი→ზღარბი;

დეზაფრიკატიზაცია

დეზაფრიკატიზაციის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: დაჟდა, დაჟდუმლება, ჟდომი (ერთგვარი დაავადება), ზროხა, ნიზლავი, კამბეში, სტორეთ, მასტავლებელი...

ბგერათა დაკარგვა

დიოკნისურ მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებულია **რაეს** დაკარგვის შემთხვევები. **რაეს** დაკარგვით გამარტივებულია თანხმოვანთა კომპლექსები:

ბრძ –ბძ: ბძოლა, ბძანება, ბძენი, ვიბძნით...

ბრმ – ბმ: ბმა, დაბმავებული...

რმ–მ: ღმა, დაღმავებული...

ზრდ–ზდ: ზდილობა, გაზდილი, აზდილი...

გრძ–გძ: გძელი, გძელგორი (მთა), ჩამოგძელაჲ (ადგილის სახელწ.), გძელჲა-ხო (ადგ. სახ.)...

ფრთ–ფთ: ფთხილი, სიფთხიდე, ფთა, საფთხობელაჲ...

მრვ–მთ: ჯამთელი, გაჯამთელდა...

ფრჩ–ფჩ: ფჩხილი, ფჩხილებიანი...

ბრწ–პწყ: პწყინავს, გუპწყინდა...

მრგვ–გვ: გვალი, გვალათი (ადგ. სახ.)...

რაე იკარგება „**რჩ**“ ძირის მქონე ზმნის პირიან ფორმებში. მაგ. შევჩი, დავჩი, დაქჩა (დაგჩა)...

ზოგჯერ **რაე** იკარგება სიტყვის თავში, სიტყვის ფუძეში, განსაკუთრებით „რბ“-ის ძირის შემცველ ზმნებში. მაგ. ბილი, კინა, ქა, კინიგზა, ძალი, ჯული, წყილი, კო, ტიალი, არცეთათ, ეჲბინე, ჩეჲბინე...

მანი იკარგება ისეთ სიტყვებში, რომლებიც ძველ ქართულშიაც **უმანოდ** იყვნენ წარმოდგენილი: შუენიერი, ტევანი, თა, ტერი. დაკარგულია, აგრეთვე, შემდეგ სიტყვებში: ძივი, გელი, ძევალი, სხვილი, სხალი, წიფე, ჭახე. წვანილი, დუღარე, კდარი, შრალი თხუელი, კედი, ზითევი, ნახველი, გზავრი, ზარეული, ტყუანი...

ვინი იკარგება შემდეგი სახელების ფუძეში: ძეს, აქ, მაქ, გაქ, მოკდა, მაწნის, გაძრა, წასლა, მოსლა და სხვ. ზოგჯერ **ვინი,** ძველი ქართულის მსგავსად, იკარ-გება **უ** ხმოვნის წინ. მაგ. მე უთხარ, უკეთეფ, უშენეფ, უვლი. იგი იშვიათად იკარგება **მანით** დაწყებულ ზმნასთანაც. მაგ. ჩვენ აქ **მუშაოფთ, მასხროფთ...**

გ-ს დაკარგვით მიღებულია **„შ□ან“. დ**-ს დაკარგვით მიღებულია ფორმები: მოჲ, წაჲ, ჰა (ჰად//სად), ოღონ, მან (მანდ), როჲს და ა.შ.

ნათ. ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი **ს** ეკვეცება პრეპოზიციულ მსაზღვრელ სახელებს. მაგ. ურთხვლიძირი, კილდითავი, კაპნითავი, წყაროთვა-ლი...

ს იკარგება: ა) **თანა** კომპონენტიან კომპოზიციებში: ამითანაჲ, მაგითანაჲ, იმითანაჲ...

ბ) იკარგება **თვის** თანდებულისეულ თ-ს წინ:

ნათესავებითვინ, შენ გულითვინ, ხათრითვინ...

გ) იკარგება **ოდენ** ნაწილაკიან სახელებში:

მუშტიდენი, კვერცხიდენი, კასრიდენი...

დ) **ს** ეკვეცება მიც. ბრუნვაში დაყენებულ სახელებსაც. მაგ. **კაკალ** კაᲂ ფასი აქ. **კაცეფ** მიდევს უკან. **სახლ** მ̄კიდა. **ბეღლეთ** წევდა...

ე) **ს** იკარგება ჩვენებით ნაცვალსახელებთანაც, როცა ისინი ნახმარია მსაზღვრელად. მაგ. **ე** ბაღვი ვისია, ჭო? **ი** კაცი ჰიდავრია...

ვ) **ს** იკარგება ზოგიერთ გამზმნიზედებულ სახელებთანაც. მაგ. **წრეუ̄ულ** კაᲂ სიმინდი მოვდა... **დღე** თელი დღეა თოვლს... **შორ** გეᲂარე და არ გიკბენს...

იშვიათად გვხვდება **უ**-ს დაკარგვის შემთხვევებიც. მაგ. **მასკან** (მასუკან) ამოვზიდონა← ამოვზიდო უნდა. **ჰანდა** წეხვიდე ახლა შენ... და ა.შ.

ბგერათა დაკარგვის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს სიტყვა „**ღრე**“, რომელიც მიიღება სიტყვისაგან „**მღვრიე**“.

ღ ბგერა იკარგება სიტყვაში „ეზიზღება“ და მიღებულია „**ეზიზება**“. **ლასი** იკარგება სიტყვაში „**სახლი**“ და გვაქვს: **სახში, სახზე.**

ბგერის დაკარგვის შემთხვევები ხშირია „**ავ**“ და „**ამ**“ თემისნიშნიან ზმნებში, მრ. რიცხვის მესამე პირში. მაგ. გკითხვენ, გარეცხვენ, მოხნვენ, დათესვენ, დააბმენ, შესმენ და ა.შ.

ბგერათჩართვა

უპირატესად ვითარდება **მ, ნ, რ,** ლ სონორული ბგერები. **მანი** ვითარდება სიტყვებში: გომფაკი, ყველამფერი, უმფო, უმფოსო, დამბილებული, თხა-მცხუარი, მცხოვრობდენ, იმგლოვიარა, თხამპლი, მომფხრე...

რაე ბგერა გვხვდება: წრიხლი, კარნავო, ღვირძლი, ურცხო, გარგანი, ხურ-ცაული.

ნარი განვითარებულია სიტყვებში: მინდალი, მილინცია, ნანტბაურა, ტკენ-ჩი, ისვენ, კიდვენ, ახლავენ, მეთქინ, ჰაცხან... მემრენ, ჩინჩახვი...

ვინი ჩართულია მაგალითებში: საცოდვავი, საჩუქვარი, კრეფვა, წერვა, თხუნველა, ვორი, ვოთხი...

ლასი განვითარებულია სიტყვებში: ჭყინტლი, ამეᲂსუნთქლა...

კანი განვითარებულია სიტყვაში – კუკუნეთი←უკუნეთი...

ინი განვითარებულია სიტყვებში – ისტიქანი, ინშკოლა...

რედუქცია

რედუქცია საინტერესო ფონეტიკური მოვლენაა. იგი აღმოსავლეთ საქართ-ველოს კილოებში საგრძნობლად ძლიერია დასავლურ კილოებთან შედარებით.

რედუქცია გულისხმობს სიტყვის ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას, კვეცასა და კუმშვას ფუძისეული ხმოვნისას.

როგორც ენათმეცნიერი შ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რედუქცია სუსტადაა განვითარებული ზემოაჭარულში. შესამჩნევია ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ერთიდაიგივე სიტყვა ხან რედუქცირებულია, ხან კი – ურედუქციო. მაგ. **სხალი** ფიდან ტყეში ნახავ... **ბალი** ტანებ ნუ ამტრევ... **ჯვარიქეთ** მივალ. ამ სიტყვების პარალელურად გვხვდება ფუძეშეკუმშული, რედუქცირებული ფორმებიც. მაგ. **სხლი** ყუნწი, **ბლი** კაკალი, **ჯვრისერი** (ტოპ. სახ.).

რედუქცირებული ფორმებია: ნახვარი, პილაჲ (პირველად), ყველდღე, ყველიმფერი, წამწმები, ბიბილვები, ქუთუთვები, სოკვები, ხობვები, უჭკვები, წყარვები, ჭოლვები, კალვები და ა.შ.

„იშვიათად პრეფიქსისეული ხმოვნის გავლენით იკარგება ფუძისეული ხმოვანი; რედუქციის ასეთი კანონზომიერება დამახასიათებელი იყო ძვ. ქართულისათვის. ამ არქაული ვითარების გადმონაშთად ლიტერატურაში დამოწმებულია ორიოდე მაგალითი: დიალექტური **სარცხი** და სხვ. ჩვენ აჭარულში დავადასტურეთ სიტყვა – **ნარცხი**[36]... წერდა ენათმეცნიერი შ. ნიჟარაძე. ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ადასტურებს ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი ლექსიკური ერთეულები. კერძოდ, დიოკნისურ მეტყველებაში დაცულია ზმნის ფორმა **„ვრცხი//ვცხი“**. ბუნებრივია, ამ ფორმით აქაურმა მეტყველებამ გადმონაშთის სახით შემოინახა ზემოთაღნიშნული არქაული ვითარება. მაგ. ამ დღივ **ვრცხი** და **ვრცხი** ქილიმებსა... ასეთივე ვითარებაა სიტყვაში „**სარცხელი“** (დედათა წესის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სიტყვაა).

გემინაცია

დიოკნისურ მეტყველებაში, როგორც საერთოდ ზემოაჭარულში, ვხვდებით მარტივ თანხმოვანთა შერწყმას – **გემინაციას**. ეს მოვლენა განსაკუთრებით შესამჩნევია რიცხვით სახელებში: ცამმეტი, თრამმეტი, მეცამმეტე. ბგერის გაორკეცებას ადგილი აქვს სიტყვებში: ჩევვარე, გევვარე, უჲშშავ, ცოცცოტა, ნენნელა...

სრულხმოვნობა

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სიტყვებში თანხმოვანთა შორის გაჩენილია უფუნქციო ხმოვანი. ასეთი სიტყვებია: თიბილი, კიბილი, კილდე, წიგინი, ხეჭეპო, ფილავი, ხობო, კიდრები (მკვდრები), ურუბი (ურბი), ჯირეკი და სხვ. მაგალითები წინადადებაში: თაზე ამოსულო ბაბილო, ყაჲმაღზე უმფო **ტკიბი-**

[36] შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გვ. 63.

ლო... ყირმიზ მამლის ბიბილვები, გოგოვ, შენი **კიბილები**; ძველათ **წიგინი** ჰად იყო და რამე; ზაფხულ ე წყალი ძალვან **თიბილია**; წეაღე **კიდრები** სულითვინ; **კილდი** ძირში იწვა; დათვმა **ჯირეკი** ამოგლიჯა...

აჭარული კილოს ცნობილი მკვლევარი, პროფესორი შ. ნიჟარაძე აღნიშნული მაგალითების შესახებ წერს: „ერთი მხრივ გვაქვს **კიბილი, კილდე, ხობო,** რომლებსაც ქართველურ ენებში სრულხმოვანი ფორმები შეესატყვისება, მეორე მხრივ კი **ფილავი, წიგინი, ხეჭეპო**..., სადაც **ი, ე** თანხმოვანთა გასაყარია“[37].

ანალოგია

დიოკნისურ მეტყველებაში დასტურდება სიტყვა „**ალიგი**“ „**ადგილის**“ ნაცვლად. მაგ. ამ **ალიგეფში** წინწინ კაჲ სიმინდი იცოდა... ჩემ **ალიგზე** რატომ დაჯექ, გოვ! როგორც შ. ნიჟარაძე შენიშნავს, სიტყვაში „**ალიგი**“ ფუძისეული **ი** „**ადგილის**“ ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი.

მორფოლოგიური თავისებურებანი

დიოკნისურ მეტყველებაში გარკვეული სახის თავისებურება მორფოლოგიურ ასპექტშიაც შეინიშნება.

გრამატიკულ თავისებურებას იჩენენ სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) ბრუნების დროს.

სახ. ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელების ნაწილი წარმოდგენილია □ით. დიოკნისურ მეტყველებაში სახ. ბრუნვაში □გვხვდება:

ა) პიროვნების სახელებთან: ზექიეჲ, ემინეჲ, ხასანაჲ, ხასოჲ, ხატოჲ, ჯემალაჲ, რეჯებაჲ,

მევლუდაჲ...

ბ) კნინობითის ფორმებთან: ლამაზაჲ, ტრედიაჲ, ნიკორაჲ, განდაგანაჲ, ბადადაჲ,

ბუდლუცაჲ, ქარაშოტაჲ, წვანიაჲ...

გ) ტოპონიმურ სახელებთან: ჩაკიდულაჲ, ჩვენაუ̈რაჲ, ჩხობავრაჲ, ბირკაუ̈ლაჲ, გვერდაჲ,

ოჭივარაჲ...

დ) ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან: ბაბოჲ, დედეჲ, ტადოჲ, ძიაჲ, სიძეჲ, დაიაჲ, ყუჲ,

რუჲ, უროჲ, რაჲ, ვინცხაჲ...

მოთხრ. ბრუნვაში ბრუნვისნიშნისეული **ა** ელემენტი იშვიათად ბოლოხმოვნიანებთანაც გვხვდება. მაგ. საკაბე რუმ ამომიტანა **ბაბომა** ღალმი არ მომეწონა;

[37] შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გვ. 65.

მარა... რასძალა დაარტყა **ურომა**, ნაპერწკლები ცაში წევდა...; იმ **ყუ□ბა** შალა და ხუჭა პირი...

მიც. ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან წარმოდგენილია ბრუნვის ნიშანი, თანხმოვანფუძიანები ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

წარმოდგენილია მიც. ბრ. ნიშანი:

ხულას მივალ ხულისთვინა გატეხილი ცულისთვინა...

ცას მიწიწინებს მიმინო... **კილდეს** კითხეს...

თას მივალ... **ბაბოსთან** იყავ? **რუს** თავ თავ გაყე და ნახავ...

ბრუნვის ნიშნის გარეშე:

გობ ვაკეთებ, **სახლ** ვგვი, **კაც** ვკითხავ, **ბალ** ვჭამ, **ცოცხ** ვკერავ, **წიგნ** ვკით-ხულობ, **თოვლ**

ვყრი, **კორტოხ** მივალ, **მანიაკეთ** მომკტარა...

მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნების დროს მიც. ბრუნვა არჩევს ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სინტაგმებს. ხმოვანფუძიანი საზღვრული ნიშანს ინარჩუნებს, თანხმოვანფუძიანი კი კარგავს. მაგ. **მაღალ სახლ** ვაკეთეფთ... **ლამაზ ქალ** ვხედავ... **ფართო ფიცარ** ვრანდავ... **მაგარ სკამზე** ვზივარ... **წყარო პირ** ვამუეფ... **სხლი ჩირ** ვშჭამ... და ა.შ.

მეორე მხრივ,... მიწრო **ხეს** ვთლი... ფართო **ეზოს** ვაკეთეფ... მაღალ **კილდეს** გავს... შავ **მიწას** ვერვინ გუდურჩება... შავ **წინდას** მიქსოვს და ა.შ.

ნათ. ბრუნვა ხმოვანფუძიან სახელებში ზოგჯერ წარმოდგენილია □-ით, რაც გამოწვეულია ბრუნვისნიშნისეული **ი**-ს დასუსტებით.

მაგ. ნუქარო, ე მატერია **რა□საა?...**

ე გომბიო **ხასო□საა?...**

ყუ□ს წყალი ზაფხულში ცივია.

ნათ. ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტი **ს** მოკვეცილია პრეპოზიციულად ხმარებულ ბოლოთანხმოვნიან და ბოლოკვეცად მსაზღვრელ სახელებთან. მაგ. **კილდი** თავი, **წყარო** თვალი, **ღელი** პირი, **ბერი** წყარო, **გობი** კარი (ტოპ. სახ.) და სხვ.

მოქ. ბრუნვაშიც დასტურდება ბრუნვისნიშნისეული **ი**-ს იოტად ქცევა. მაგ. რაჟთნა შამაშინო ვითამ?

ზამთარში შიშას **ლეკმარხილა□თ** ვზიდავთ...

კალათა□თ სამსე ყურძენი ამეჟტანა...

მარტვა□თ ვერა და **ვინცხა□თ** გავათევ ღამეს...

ყუ□დან ამეჟღე, ჭო, წყალი...

ე ღრე წყალი **რუ□დან** ჰომ არ მუა...

ნეტაᲲ **რამე□თ** ვერ წავალთ...

ბაბო□დან მეფიქრება თვარა...

მოქმ. ბრუნვაში სახელებს ზოგჯერ უჩნდებათ ბრუნვის ნიშნის შემდეგ □ მაგ. **წინდებითა□**რას ეჭლაკუნები გარეთ...

ძველი **ქუდითა□**ვიარები რამდეხანია...

თხელი **კაბითა□**ჰა მოხვალ, გოვ!...

ვით. ბრუნვაში **იან**-სუფიქსიანი სახელები მარტო **ა** ხმოვნითაა წარმოდგენილი. დაკარგულია ფუძისეული თანხმოვნითი ელემენტი **დონი**. ე.ი. **დაცულია არქაული ფორმა.** მაგ. ე კასრი **ყველიანა** წევღო... თუთუნი **გოდრიანა** მევიარე თლათ სოფელი...ამოვდა და **საქონლიანა** მომადგა კარზე... რა კაცია ჭო, Ესხმება **ქალ-ბაღვიანა** და წავა... შენი **ბარგიანა** მᲬსვი აქედან...

ზოგჯერ ვით. ბრუნვაში ასეთ ფორმებს ფუძის ბოლოს უჩნდებათ □ მაგ. **უკითხველა□**წᲬყვანია ქალი...

ი ქალაქი თურმი **უბძოლველა□**Წღიან...

ე ყანები **ზიარა□**ავწიოთ, ჰაგრე...

ყანი **Წწევლა□**ვერსა წავალ...

დედობუდიანა□ამოწყდენ საცოდვავები...

როგორც ზემოაჭარულში, ასევე დიოკნისურ მეტყველებაში, დაცულია მიცემითისა და ვითარებითის ბრუნვამონაცვლეობა. ხშირად ვით. ბრუნვაში მოსალოდნელი ფორმა მიც. ბრუნვაშია. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ვით. ბრუნვის ნაცვლად თანდებულიანი (ში, ზე) მიცემითის ფორმა.

მაგ. ყანი **საჭრელში** წამომყე დღეს, რა იქნება?..

თივი **საფოცხავში** მივალ...

შეში **მოტანაზე** მევეხმარები...

ძველათ **მოსაგებზე** წევდოდით...

იშვიათად მაგრამ მაინც, ვით. ბრუნვის ნაცვლად გვხვდება სახელობითის ფორმაც. მაგ. **დიდი** ენვანი ბაღვი იყო, სულ ჭიკჭიკებდა (დიდად)... **დიდი** მუშა არც თავიდან ყოფილა... იმა **მეტი** ებრალებოდა...

წოდ. ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები ირთავენ **ვ**-ს. თანხმოვანფუძიანები კი გვხვდება ბრუნვის ნიშნითაც და უნიშნოდაც.

მაგ. ასლანავ//ასლან;

ჯემალავ//ჯემალ;

უსუფავ//უსუფ;

რეჯებავ//რეჯებ;

ხმოვანფუძიანები: ზექიევ, ემინევ, ფადოვ, ხატოვ, ბაბოვ, ძმავ, დავ, თავ, წყაროვ...

თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში **ა** ხმოვანი განვითარებულია და გასდევს ყველა ბრუნვაში როგორც ფუძისეული. სწორედ ამიტომაა, რომ თანხ-მოვანფუძიანი საკუთარი სახელები ემსგავსებიან ხმოვანფუძიანებს და წარმო-ადგენენ ბრუნვის ნიშნად **ვ**-ს. **ა** ხმოვანი განვითარებულია შემდეგ სახელებში: თამარაᲘ, იოსებაᲘ, ნათელაᲘ, ნოადრაᲘ, ოთარაᲘ, ლევანაᲘ, მერიაᲘ, ნელიაᲘ და სხვ.

ზოგჯერ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სახელობით ბრუნვაში წარ-მოდგენილი საკუთარი სახელი მოცემულია **ა**-ხმოვნის გარეშე. მაგ. დიალოგში:

„–შენ ბიჭ რა დაარქვი, გო?..

–**უსუფი.**

–**უსუფი**?! კაᲘ სახელი ამოგირჩევია...

ე ხმოვანფუძიანი სახელები თავისებურებას იჩენენ მრავლობითის წარმოებისას. ფუძისეული **ე** ხმოვანი დისიმილაციას განიცდის **ებ** სუფიქსის ხმოვანთან, რის შედეგად მრ. რიცხვში ასეთ ფორმებს ვღებულობთ: **კლდ□ები, ღელ□ები, ხ□ები, ძ□ები, ტყ□ები, კიბ□ები, სიმწარ□ები, სიგძ□ები** (კაბი სიგრძᲘები ეიღე), უბᲘები.

ფუძისეული **ა** ხმოვანი სრულ ასიმილაციას განიცდის **ებ** სუფიქსის ხმო-ვანთან, შემდეგ კი დისიმილაციის შედეგად იქცევა □ად. მაგ.ყანა-ები→ყა-ნეები→ყანᲘები. ასევე იქნება: ძმᲘები, დᲘები, დედᲘები, ბაბᲘები, გზᲘები, ხმᲘები და სხვ.

„**რა**“ ნაცვალსახელი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. მას არ ეცვლება ფუძე და მრ. რიცხ. გვაქვს – **რაები**. მაგ. **რაები** არ გიყიდე?!... **რაები** მუტანა რომ იცოდე?!

დიოკნისურში, ისევე როგორც ზემოაჭარულში, გვხვდება მრავლობითის ნარიანი ფორმა „**ვე**“ ნაწილაკის დართვით რიცხვით სახელებში. მაგ. **ორნი-ვე//ორნავე**, **ხუთნივე//ხუთნავე, შვიდნივე//შვიდნავე** და სხვ. ეს ფორმა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ყველა ბრუნვაში. „**ორნავე**“ და მისი მსგავსი ფორმები შ. ნიჟარაძეს მიაჩნია **ორნივესა** და **ორთავეს** კონტამინაციის შედეგად მიღებულად.

დიოკნისურ მეტყველებაში სახელთა ორმაგი მრავლობითობის მხოლოდ ერთადერთი მაგალითი იქნა დადასტურებული. ესაა – **სხუანები.** მაგ. **სხუანები** ჰიმკე წევდენ, ჭო?..

დიოკნისურში მრავლობითობა ზოგჯერ **ობა** – სუფიქსითაა გადმოცემული. მაგ. თელი **ნათესაობა** მოყრილიყო... თელ **მეზობლობას** გააგებია ი ამბავი.

პირის ნაცვალსახელები შერწყმულია **უნდა** ნაწილაკის **ნა** და **ნდა** ელე-მენტებთან და გვხვდა შემდეგი ფორმით: **მენა, მენდა, შენდა, ისნა, თქუენდა, ისინინა//ისინინდა.**

„**მაგ**“ ნაცვალსახელი გვხვდება „**მეგ**“ ფორმით. მრ. რიცხვში წარმოდგენილია „**მეგენი**“-ს ფორმით.

„**ისი**“ და „**ესე**“ ნაცვალსახელები წინადადების დამოუკიდებელ წევრებად იხმარებიან. მაგ. დიალოგში:–მომე ერთი **მა**□ღილი

– რომელი, **ეს ე**?..

– არა, **ისი, ისი**...

დიოკნისურ მეტყველებაში წარმოდგენილია „**ამა**“ ნაცვალსახელისაგან მიღებული „**ემე**“ , რომელიც გამოიყენება მაშინ, როცა მოუბარს საუბრის დროს სათქმელი სიტყვა ავიწყდება და აყოვნებს სათქმელს.მაგ. დიალოგში: – რა ქვიოდა იმ კაც გახსოვს?..

– **ემე**, ... ვეზირაჲ...

„**ემე**“ ფორმას დაერთვის **ში** და **ზე** ნაცვალსახელები და ვღებულობთ **„ემე-ში“, „ემეზე“,** რომელიც ადგილმდებარეობაზე მიუთითებს. მაგ. -ჰად დეინახე ტრედი? ემეში... ეზოში მოფრინდა.

დიოკნისურ მეტყველებაში იხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელი **ამვალი, იმვალი//ამომავალი**.... ეს ფორმა გამოხატავს ვინაობას, წარმომავლობას, ოღონდ განუსაზღვრელი ფორმით. მაგ. – გითხრა თუ არა **ამვალი** ვარო...

– არა, დამალა. ვეხვეწე, მარა არ მითხრა...

– მელაპარაკა **იმვალი** ვარო (ე.ი. გააცნო თავისი ვინაობა).

– ხენწიფემ გადახედა ხალხ და დუმახა: –**ამვალო**,მოჲ აქაო... ბეზირგანი გამერჩია ხალხიდან და მივდა...

–ხენწიფემ უბძანა: **ამვალი** და **ამვალი** კაცებინა დეჲჭიროო...

– ჩემიდან რა გინდა, **ამომავალ** კაცის შვილი ვარო...

„**თვითონ**“ ნაცვალსახელის ნაცვლად იხმარება „**თვითან**“. „**თვითან** ჰად არი, იმან გამცეს ჯუღაბი...

„**თავათ**“ იხმარება III პირის **ის** ნაცვალსახელის მაგივრადაც. შ. ნიჟარაძეს აქვს აღნიშნული, წინათ ცოლი ქმარს სახელით ვერ მიმართავდა. რელიგიის მიხედვით ცოდვად ითვლებოდა. ამიტომ ქმრის აღსანიშნავად ცოლი იყენებდა „**თავათ**“ ნაცვალსახელს. მაგ. „**თავათ** მუა და გეტყვის, მე არ ვიცი“. ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში იხმარება ნაცვალსახელი „**თვითან**“. მაგ. „ თვითან იცის, ის მოქცემს რამე თუ არი“...

დიოკნისურ მეტყველებაში იხმარება ნაცვალსახელი „**იმერთები**“, რომელსაც აქვს ჩვენებითი ნაცვალსახელის გაგება. ენაცვლება „სხვებს“//“სხვანებს. მაგ.

იმერთები ჰად არიან... **იმერთებმა** გეᲘგონეს ნეტაᲘ?!.. **იმერთები** მომე, გო!.. მაგენი გაცვეთილია, **იმერთები** ჩეᲘცვი.

დიოკნისურისათვის დამახასიათებელია **რაეს** როდუქცია და იოტად ქცევა ნაცვალსახელების: **რავარცხა** და **რაცხამითი**ს წინ და ვღებულობთ: **□ავარცხა, □აცხამითი, □აცხაფერ**.

კითხვითი ნაცვალსახელი **რამდენი** გვხვდება სახეცვლილი ფორმებით: **რამითი, მერამითე, რამტოლი**...

მაგ. **რამითი** ზროხა გყავს, ძალო?..

მერამითე ეყოლა ახლა?..

ურთიერთობითი ნაცვალსახელის „**ერთმანეთის**“ ნაცვლად იხმარება **ერთ-მანეფი//ერთმანები**. მაგ. ღალმი **ერთმანები** არ დაჭრეს იმ ძაღლებმა... იხმარება გამოთქმა: **ერთიერთმანებში, ერთიერთმანეფზე**...

მაგ. საინები **ერთიერთმანეფში** ჩააწყვე... ბაღვები **ერთიერთმანეფზე** წᲔსარ-თა...

იხმარება გამოთქმა „**ერთმანობაში**“, რაც მიღებულია: „ერთმანები+ობა“-დან:

მაგ. **ერთმანობაში** თუ კარქათ არიან, Აფერი უშავს... ე.ი. „**ერთმანეთში**“..

დიოკნისურ მეტყველებაში ფართოდ გავრცელებულია თანდებულები **ში** და **ზე**. ისინი დაერთვის „**აქ**“ ზმნიზედას და ვღებულობთ: **აქში, მაქში, აგზე** (←აქზე), **მაგზე** (მაქზე). „**აქში**“ იმითაა საინტერესო, რომ იგი ძველი „**მუნშინასა**“ და „**აქაშინას**“ შესატყვისია.

შეინიშნება **დამ** თანდებულის ხმარებაც. მაგ. **ყანიდამ** მევტაᲘ, **სახლიდამ** მᲗალ. **შ□ანედამ** გᲗკეთა სასხლეტი.

აქაურ მეტყველებაში ხშირად გამოიყენება **გან** თანდებულიანი მოქმედე-ბითი. მაგ. მატყლიდან, ხარიდან, ხიდან, კᲗარიდან...

დიოკნისურ მეტყველებაში **ში** თანდებულის ნაცვლად ზოგჯერ გამოიყენება **ჩი**. მაგ. თᲗალჩი, სოფელჩი, სახჩი.

გარდა აღნიშნულისა, დიოკნისურ მეტყველებაში გვხვდება შემდეგი სახის თანდებულები:

თანა: ამითანაᲘ, იმითანაᲘ, კაცითანაᲘ, ქᲗათანაᲘ, შუათანაᲘ...

ვეთ//ვენ: ჩემსავეთ, კაცსავენ, ღორსავენ, თაფლსავეთ...

ეთ (←ებრ): ჩემსავეფ, ზღვასავეფ, ქᲗასავეფ...

მდი//მდინ: „მდინ“ მიღებულია თანდებულისაგან „**მდის**“. როგორც „**თვის**“ თანდებულში, ასევე აქაც **სანი** შეცვლილია **ნარით**.

მაგ. დღემდინ, სახლამდინ, ჩემამდინ, წელამდი, აქამდი//აქნობამდი...

თვინ (←თვის): ჩემთვინ, კაცითვინ, ყანითვინ, შვილითვინ.

ჩემთათვინა□, შენდათვინა□//შენთათვინთ□, მისთათვინა□, მათთთათვინა□.. აღნიშნული ფორმების შესახებ შ.ნიჟარაძე აღნიშნავს: „დანიშნულება-კუთვნილების გამომხატველი „**და**“ ფორმანტი საძიებელ ფორმაში გაგებულ იქნა ფუძისეულად, გაქრა მისი პირვანდელი სიტყვათწარმოებითი ფუნქცია, რის გამოც იმავე შინაარსის გადმოცემა დაეკისრა „**თვინა**“ თანდებულს“[38]. მკვლევარი ბოლო **ა**-ს ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულად თვლის, ხოლო □ მიაჩნია ვითარებითი ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტის (დ) დასუსტების შედეგად მიღებულ ნაშთად.

გულობა□//ბარობა□ იხმარება „**თავის**“ თანდებულის პარალელურად. მაგ. ჩემ გულობაᲲ, ქალი გულობაᲲ, ძმი ბარობაᲲ, დი ბარობაᲲ და ა.შ.

გამე□ეს: იხმარება „**გამო**“ თანდებულის ნაცვლად. მაგ. შენ გამეᲲეს მოხტა ე საქმე“...

გამოღმა: იხმარება „**გამო**“-ს მაგივრად. მაგ. ჩემ გამოღმა თქუენ რა გაკინწლებენ?...

მგონე: იხმარა „**გამო**“-ს მაგივრად. მაგ. შიში მგონე გარეთ ვერ ვიყურები... კაცი მგონე ამ ჰალში ვარ...

მოღმა//ოღმა: იხმარება „**შემდეგ**“ თანდებულის მაგივრად. მაგ. დილამოღმა, შარშანდელოღმა, წრევანდელოღმა, დღევანდელოღმა, მისმოღმა და ა.შ.

კედაროს//კედრით: იხმარება ძვ. ქართულში ცნობილი თანდებულის „**კერძოს**“ მაგივრად. მაგ. **ჩემ კედრიდან** არვინ არ ყოფილა ქორწილზე, მე **შენ კედრით** ვარ და იცოდე... სახლის მᲲერე **კედრიდან** ბოსტანი გავაშენე...

კე (←კენ): სახლიმკე, თიმკე, ჰიმკე... (ამ შემთხვევაში აუხსნელია „**მ**“ თანხმოვნის გაჩენის მიზეზი). მაგ. თიმკე მიმყავს ცხვარი; დღეს ჰიმკე (საითკენ) მოხუალ?

გარეთ//გარდა თანდებულის შესატყვისია. მაგ. **ჩემ გარდა□** ვინ მეგეხმარება ნეტაᲲ... **შენ გარეთ** იყო ვინმე კიდო?...

დიოკნისურ მეტყველებაში გვხვდება შემდეგი სახის ზმნიზედები:

წინწინ: წინწინ ფირალობა იყო ძალუან...

ერთწამალა□ (ერთი წამით) ერთწამალაᲲ ჩავალ დაბლა...

მაშინათველა□ (მაშინვე) მაშინათველაᲲ ვამბობდი მაგას...

ერთგაყოლება□(ერთხანს): ერთგაყოლებაᲲ კაᲲ ხასიათზეა, მარა...

ბარსახან: (დიდხანს) ბარსახანია აღარ ავსულვარ...

აწმისიქით: (ამიერიდან) აწმისიქით რაღა მიშავს...

რამდეხანია: (რამდენი ხანია) რამდეხანია წასულია და კიდო არ ჩანს...

---

[38] შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გვ. 80.

დანაბოლოს: (და ბოლოს) დანაბოლოს გევგე ყველამფერი...

გუშინასწინ: (გუშინწინ) გუშინასწინ ვნახე ი დედაბერი...

მემრე: (მერე) მემრე მუალ, ახლა არ მცალია

მასკან: (მასუკან) მასკან უკან წევდა ჩემი საქმეები...

წრეულა□(წელის) წრეულაᲥ ცივი ზამთარი იყო...

ზედან: (ზედ) ზედან ასხია წვიტი ვაშლი...

შ□ანედან//შᲥან (შიგნით) შᲥან შეველ და რას ხედავ...

მან//მაქ (მანდ) მან იყავ და მუალ...

გზობა□(გზის, ჯერ) ამგზობაᲥ გიმიჭირდა... რამდენ გზობაᲥ ამეᲥტან მაგა...

შარშანდულა (შარშანდელსავით), **წრევანდულა, პირვანდულა** აღნიშნავს ისეთ მოქმედების ვითარებას, რომელიც შედარებულია ჩადენილ მოქმედებასთან...

ნაპირველა□ (ნაპირ-ნაპირ) – ნაპირველაᲥ მიჰყე, აქეთ, იქით რატომ ახტეზი?...

რასძალა (ძლიერ) იმ დღე რასძალა მევღალე...

პილა□(პირველად) პილაᲥ მე ვთქვი ე ანბავი...

ჩუმათალა□(ჩუმად)//უჩუმალაᲥ–ყველამფერი ჩუმათალაᲥ გამაგებია.

უსულა□(წყნარად, უხმაუროდ) უსულაᲥ ამეᲥარე, ბაღვი გეᲥღვიძეფს.

ნაჩქარველა□ (საჩქაროდ) მაქფერი ნაჩქარველაᲥ გამოვლა რათ მინდა, პაწა ხან მაᲥნა დარჩე.

ამმადა: იხმარება „ძალიან“ ზმნიზედის პარალელურად. მაგ. ამმადა გერმელი შაჭმელია... ამმადა საქმე ქნა... ამმადა გაბუქდა...

დიოკნისურ მეტყველებაში ზოგიერთი ზმნიზედა **ნ-არ** დართული ფორმით გვხვდება: ისვენ (ისევ), მემრე//მემრენ (მერე), ახლავენ (ახლავე), ასევეა ნაწილაკებთანაც.

კიდვენ (კიდევ), **მეთქინ** (მეთქი)... მაგ. ერთი კიდვენ აღარ ვიტყვი... Ქარა, Ქარა და **ისვენ** უკან დაბრუნდა... „კიდევ“ გვხვდება „**კიდო**“ ფორმითაც: **კიდო** ილაპარიკა ბეური...

ჰაგრე–აგრე–არის დადასტურებითი ნაწილაკი, რომელიც გამოხატავს „**კი**“, „**კარგი**“, „**დიახ**“... სიტყვებთან დაკავშირებულ შინაარსს. მაგ. კალოშებ მიყიდი? – **ჰაგრე,** გიყიდი...

კიღარმი (**ღარმი//ღალმი**)←კინაღამ. მაგ. **ღალმი** ჩავარდი ყუᲥში... **კიღარმი** თავში მომატანა...

„უნდა“ ნაწილაკი ზემოაჭარულ მეტყველებაში სრული სახით შედარებით იშვიათად იხმარება (მაგ. მაგა რა უნდა, სახლი აქ და კარი). ფართოდაა გავრცე-

ლებული მისი შემადგენელი **ნა, ანდა, და** კომპლექსთა ხმარება სხვა სიტყვებთან შერწყმის ნიადაგზე. მაგ. წრეულაჲ სახლი გავაკეთონა... ლობიაჲ **ბათუმნა** წევ-ღო... საკაბე მოგაზმანო**ნდა**.

დიოკნისურ მეტყველებაში იხმარება თავისებური ნაწილაკი **დე**□ რომელიც აძლიერებს წინადადების რომელიმე წევრის აზრს. აღნიშნული ნაწილაკი იხმარება დროისა და ადგილის გარემოებების გასაძლიერებლად. მაგ. **დე□გაღმა** ვარ გასასვლელი... **დე□გვიან** მოვდა წუხელი მამაშენი... იმისი სახლი **დე□ზე□თ არი**... შეშა **დე□დაბლიდანნა** ამევტანო...

დასავლური კილოებისაგან განსხვავებით, დიოკნისურ მეტყველებაში სრულადაა წარმოდგენილი II პირის სუბიექტური პრეფიქსი როგორც გარდამავალ (II და III პირიან) ისე გარდაუვალ (II და I პირიან) ზმნებთან).

დიოკნისურ მეტყველებაში ხშირად გვხვდება ისეთი ზმნები, რომლებშიაც შენახულია ორი სხვადასხვა პირის ნიშანი. როგორც ცნობილია „ორი სხვადასხვა პირის ნიშნის შენახვას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა სუბიექტად პირველია და ობიექტად მესამე“.[39] ასეთი რიგის მაგალითებია: მოვჰყვები, გაჰკითხავ, ვჰბაძავ, ვჰბან, ვსწოვ, ვსწერი, ვჰპარსავ, ვჰპარავ, მოვჰკიდებ, ავსწევ, მოვჰკლავ, შევშჭამ, გავჰფხიკავ, დავსწვავ, გავსწურავ, დავჰგვი და ა.შ. მაგ. წინადადებაში: „ამას **მოვჰყვები**, მასწავლებელო... ძველათ ხოჯაეფ **ვჰკითხევდით** ჭკუას... მე და ე კაცი კტრეფ **ვჰბანთ**... წინწინ ერთმანეფს პირეფს უსტურაჲთ ვჰპარსევდით... ამდენ ვერ **შევშჭამ**, გადაანაწილე ტალიკში... სახლ **დავჰგვ**ი, ბაღვეფ ნენესთან **დავჰტევ** და წამუალ...

მეორე პირის სუბიექტურ ნიშნებად წარმოდგენილია: ჰ, ს, ჰხ, ჰშ, შ, ჰს. მაგ. დაჰკარგე, მოჰკალ, დაჰტიე, მოჰყარე, დაჰპაჲჯე, მოჰკიდე, დაჰგრიხე, დაჰთესე, მოჰხან, გაჰკაფე, ჰგონილოფ, ჰთხრი, ჰბედავ, გაჰტეხ, ჰხვეტავ, ჰხრიპინებ, ჰკბენ, ჰრგავ, სწვავ, სწურავ, სცემ, გასცვითე, სწყვიტავ, სწერი, ასწიე, ასწონე, მოჰხყე, შეჰხყე, მოჰხყვები, შემოჰხყე, შეჰხყოფ, გაჰყოფ, ჰშჭამ, ჰშჩხრეკ, ჰშჯერულობ, მოჰსთხვე, მოჰსდევ, შჭრი, შჯრი, შჯავრრობ, ჰყვარობ, შჭკნები, ჰხმები და ა.შ.

მაგ. მაგ აჲლუღიდან რაღა გინდა, **ჰკეთდები** კაცი?

ჭარხალასავეფ რას **სწითლდები**, დანაშაული ხარ, ჰომ...

მესამე პირის ობიექტური ნიშნები წარმოდგენილია როგორც გარდამავალი (II და III პირიან), ისე გარდაუვალ (II პირიან) ზმნებთან. მაგ. დაჰკარგა, მოჰკლა, დასწერის, მოჰყვა, დეჲჰკიდა, შეჰშჭამა, დაჰტია, გაჰკეტა, აჰსწია, მოჰპარა, დაჰ-პაჲჯა, მოსწყდა, მოჰსწუა, მოჰკიდა, დაჰგრიხა, შესცივდა, შეჰსძულდა, შეშჩერ-და, აჰზარდა, დაჰგავა, გაჰბედა, შეჰყარა, გაჰკაფა, გაჰსწყვიტა, გასცვითა, მოჰქ-

[39] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 189, თბილისი, 1953.

სუ̃ა, გასწურა, დაჰკბინა, მოჰღალა, შეჰხყვა, გაჰხყო, დაჰხარჯა, გაჰხსნა, დაჰრგო, გასწურა, დაჰფქვა და ა.შ.

მაგ. წისქვილმა **დაჰფქვა** ნეტაჲ... ისე **გასწურა**, რუმ ღალმი დაწყვიტა სარეცხი... ფერშალმა **გაჰშინჯა**, ექიმი არ იყო ნეტაჲ? **მოჰკლა** კაცი, ზაათი... შენი ბაღვი მექთუბ ვერ **დასწერის**, გოუ̃!"... იმხელა ჯირეკი პეპელივით **აჰსწია...** იმდენი ებურძღლა, რუმ **მოჰღალა** ბაღვი... წალდით **გაჰკაფა** და გეჲარა წევდა... **დეჰკიდა** ჩაქი დანა ყაჲშზე და გუ̃ყვა გზას... აგზე არ **დაჰრგო** ე ფიდანი, ჭო!.. იმხელა ქერქი თოკი **დაჰგრიხა** გუშინ რუმ... ახალი ძლები **დაჰპაჯა** ფატყუმამ გუშინ... და ა.შ.

დიოკნისურ მეტყველებაში ზმნა განსაკუთრებულ თავისებურებას იჩენს. ზოგჯერ აქაურ მეტყველებაში შეინიშნება გარდამავალი ზმნის ფორმები, რომლებიც II სერიის წყვეტილში მრ. რიცხვის III პირის ნიშნად წარმოადგენენ „**ენ**" სუფიქსს. მაგ. ა̃შენენ დიდი სარაჲა და დეჲწყეს მცხოვრება... ასწიენ და ქოსას მისცენ ი გოგო... (ააშენეს, ასწიეს).

გარდაუვალ ზმნაში III პირის მრ. რიცხვის ირიბი ობიექტი ხშირად **ენ, ან** (ეს) სუფიქსებითაა წარმოდგენილი. მაგ. ევლეს, ევლეს და ვერ ეშოვნენ შაჭმელი... შიმშილით დუ̃წყდენ წელები... მაღლიენთ ერთი კაჲ ზროხა **ჰყავან**... რაფერ მა̃მის **გავან** ე ბაღვები... იმათ კიტარაჲ **აქუ̃ან...** ამ გომბუ̃ებ სამა **უნდარან**...

ზოგჯერ **ენ**-იანი ვნებითის მრავლობით რიცხვში მეორე კავშირებითის საწარმოებლად **ე**-სუფიქსია წარმოდგენილი. მაგ. **დევეხმარნეთ**, ამევეფარნეთ, დევემალნეთ, გავახარნეთ, მოვთხარნეთ (დავეხმაროთ, ამოვეფაროთ, დავემალოთ, გავახაროთ, მოვთხაროთ). მაგ. იმხელა ყანა როჲსნა **მოვთხარნეთ**... წვიმდება, **ამევეფარნეთ** თუ̃არამ დავსველდებით... (ამოვეფაროთ).

ზოგიერთი ზმნა, რომელსაც სალიტერატურო ქართულში თემის ნიშანი აქვს წარმოდგენილი, აქაურ მეტყველებაში გვხვდება უთემისნიშნოდ. მაგ. ფეთქს, დარეკს, დაბადს, წალეკს. მაგ. იმ კაკლეფს როჲს **დარეკს** მამაშენი, ციცავ... ნუ გეშინია, ადვილათ **დაბადს**, ადვილად... სულ აძლევს, **ფეთქს** საცოდვავი... სწორედ ასეთი ფორმები აძლევს აქაურ მეტყველებას არქაულ იერს.

ზოგჯერ თემის ნიშნები შენაცვლებითაა წარმოდგენილი.

ვკითხულობ→ვკითხულებ
ვგებულობ→ვგებულებ
ვჭიკჭიკობ→ვჭიკჭიკებ
} ობ → ებ

ვღებულობ→ვღებულებ
ფრიალებს→ფრიალობს
ტრიალებს→ტრიალობს
ღრიალებს→ღრიალობს
კანკალებს→კანკალობს
სრიალებს→სრიალობს.

} ებ → ობ

უთემისნიშნო ზმნებს ზოგჯერ დაერთვის **ავ** თემის ნიშანი. მაგ. ვტეხავ, ვწერავ, ვიხმარავ (იშვიათად იხმარება), მოვფხანავ...

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ზმნა I, II პირში დაირთავს ბოლოსართ **ევ**-ს. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ისეთ ზმნებთან, რომელთაც **ე** ბოლოსართი მოუდით. მაგ. ავაშენევი, გავაკეთევი, ვნახევი, მევტანევი, გავაღევი, დავიმალევი, დავსწერევი, მოვტეხევი, მოვფხანევი, ვიხმარევი და ა.შ.

დიოკნისურ მეტყველებაში დასტურდება **გა, და, შე** ზმნისწინების ხმარება ისეთ ფუძეებთან, რომელთაც იგი ან სულ არ გვაქვს სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში, ან ნაკლებადაა გავრცელებული. მაგ.

გა – გაფორიაქდა (აფორიაქდა) – ქონება ისე **გააფორიაქეს**, რომ ხის კოვზიც აღარ არი

სახში.

და – დავახერხე (გავახერხე, მოვახერხე)–ე საქმე დროზე თუ **დავახერხე**, კაჲ იქნება...

დუ̈ხმე (დაუხმე, დაუძახე)–**დუ̈ხმე** ქათმეფს, ქორმა არ წეჲღოს...

დიმიყურე (დამიყურე, მომისმინე) – **დიმიყურე**, რას გეტყვი?!..

შე – **შეჩხუბენ** (წაჲჩხუბნენ)–გუშინ ისე **შეჩხუბენ,** რუმ...

შელაპარაკდენ (წალაპარაკდენ) – ჯემალაჲ და რეჯებაჲ **შელაპარაკდენ**, გეჲ-გევი.

დიოკნისურ მეტყველებაში **ავ** და **ამ** სუფიქსიან ზმნებს ნამყო უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში ახასიათებს **ევ-დ** და **ემ-დ** წარმოება. შ. ნიჟარაძე ამ ფორმების პარალელურად ასახელებს **ვი-დ** და **მი-დ** წარმოებასაც. **ვი-დ** და **მი-დ** წარმოება აქაურ მეტყველებას არ ახასიათებს. **დიოკნისური მეტყველებისათვის ნიშანდობლივია ევ-დ და ემ-დ წარმოება.**

მაგ.

უწყვეტელი

ვლოცევდი ვსუ̈ემდი

ჰლოცევდი ჰსუ̈ემდი

ჰლოცევდა

ვლოცევდით
ჰლოცევდით
ჰლოცევდენ
ჰსუემდა
ვსუემდით
ჰსუემდით
ჰსუემდენ

უწყ. კავშირებითი
ვხნევდე
ჰხნევდე
ჰხნევდენ
ვხნევდეთ
ჰხნევდეთ
ჰხნევდენ
ვითქუემდე
ითქუემდე
ითქუემდეს
ვითქუემდეთ
ითქუემდეთ
ითქუემდე

მაგ. სულ **გლოცევდი** და გამჩენელმა გიმიგონა... იმ წამალს რომ **ვსუემდე,** პაწა შაფაღეთში შავალ... სირსვილი **ხნევდა** ყანასა...

აქაურ მეტყველებაში **ევ-დ** და **ემ-დ** წარმოების შემდეგი მაგალითები: ჰხნევდა, ჰბერევდა, სთუთქევდა, ჰკითხევდა, ჰლოკევდა, ჰლოცევდა, ჰნახევდა, ჰპარევდა, ჰრგევდა, ჰრწყევდა, აფქვევდა, სძრახევდა, ჰხარშევდა, აბემდა, ასხემდა, სდგემდა, არტყემდა, არქუემდა, უსუემდა, აცუემდა და ა.შ.

ეს ზმნები თავისებურებას იჩენენ I თურმეობითშიც. **ავ** და **ამ** თემის ნიშნის ნაცვლად წარმოდგენილია **ი-ა** დაბოლოებიანი ფორმები. მაგ. მომიხნია, დიმიბარია, მომითუთქია, მიკითხია, მომილოკია, დიმილოცია, მინახია და ა.შ. ზოგჯერ ასეთ ფორმებში შემორჩენილია რედუქცირებული სათანადო თემის ნიშანი. მაგ. დიმირქმია, შიმისმია, ჩიმიცმია, დიმიბმია, მითქმია, მომიხარშვია, დიმიძრახვია, დიმირგვია და ა.შ.

დიოკნისურ მეტყველებაში „**მშია**“ ზმნის ძირიდან მიღებულია **ე-თი** ნაწარმოები ფორმები. მაგ. მომემშია, მიემშია, მოგემშიენ, მიემშიენ. აქაურ მეტყვე-

ლებაში იხმარება **„შიში“** ძირისაგან **ე**-თი ნაწარმოები ფორმა „**შეეშინა**“. მაგ. ნუ ყვირი, ბაღვ ძინავს, არ **შეეშინოს**... ამ ღამეში არ **შეეშინონ** ქალეფ...

„გაქრა“ ზმნასთან გვაქვს დონიანი წარმოება უნიშნო ვნებითის ნაცვლად. მაგ. **გაქარდა** და ჰაᲘდე, ვეღარ ვნახე... ამ ძირისაგან ნაწარმოებია სიტყვები: **გაქარვებული, გასაქარვებელი.**

როგორც ზემო აჭარულში, ასევე დიოკნისურ მეტყველებაში, ზოგიერთი ზმნის აღწერილობითი ვნებითის წარმოებას ეწევა **ი-ნიანი** ფორმები.

მაგ. ყანები ეᲘწია – აწეულ იქნა,

ხᲘები მეᲘჭრა–მოჭრილ იქნა,

ყანები მეᲘხნა–მოხნულ იქნა,

ჭალები მეᲘთიბა–მოთიბულ იქნა,

თუთუნები დეᲘრგო–დარგულ იქნა

სუფრები დეᲘდგა–დადგმულ იქნა

დიოკნისური მეტყველებისათვის დამახასიათებელია სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებისაგან უწყვეტლის წარმოება. მაგ. ასხიოდა, აბიოდა, ახურიოდა, ჰქვიოდა, უკავიოდა, აკერიოდა, არგიოდა, ურევიოდა, ატყვიოდა, აფარიოდა, აცვიოდა, აცხიოდა,... და ა.შ.

მაგ. წინადადებაში: ყველთვინ **ასხიოდა** ამ ვაშლ... რამე **აბიოდა** ამ ქლიავ წრეᲗლაᲘ... ხელში ბამბა ჰომ არ **უკავიოდა**, ენაზე სულ ის არ **აკერიოდა**, მაᲘ ვის **არგიოდა** ნეტაᲘ... გარედან არ **აცხიოდა** და... აღნიშნული ფორმებით გადმოცემულია მოქმედების მრავალგზისობა.

კონტაქტის საწარმოებლად გამოყენებულია „**ი**“ და „**ევი**“. **ი** მიმდინარეობს „**ინ**“-ისაგან. მაგ. გავაკეთებიე, დავაწერიეფ, გამᲗატანიეფ, მᲗახატიეფ; „**ევი**“ მომდინარეობს „**ევინ**“-ისაგან. მაგ. მᲗაკლევიეფ, მᲗაჭრევიეფ, დავაფქვევიეფ, დავაჭრევიეფ და ა.შ.

დიოკნისურ მეტყველებაში შეინიშნება ზოგიერთი თავისებური ზმნა, რომელიც საინტერესო ფორმებითაა წარმოდგენილი. ასეთია ზმნა „**დაყურადება**“, რაც მოსმენას, გაგონებას გამოხატავს. დაყურადება//დაყურება–მაგ. ძველებზე **დაყურადება** რუმ გიყვარდა, იმიტონ იცი ჰექიები ჰომ... **დᲗყურე** გოᲗ, მადლია მაგის დასტავლა... დაბერებულა ნამეტარი Თფერი აღარ **ეყურება**...

წᲗყურე – გაჩუმდი: – წᲗყურე, თვარა ვარესებ გეტყვი...

დაამწყრია (დაამწყვდია): –დაამწყრიე მაᲘ თიკნები...

დეᲘნაძირა (დაიძირა0: –ქუა, ჩავაგდე თᲗარა, დეᲘნაძირა...

ბძანე: – იხმარება ორგვარი გაგებით: 1. ჭამე, მიირთვი, 2. თქვი;

მაგ. ბძანე, გაცივდება აღარ ივარგეფს...

მერავი, მᲗმთილმა ასტე ბძანა...

გააშვა – (გაუშვა, მიატოვა) მაგ. ხასანას ქალი გუშვია, შეᲘტყვე?

ზი, ჯედ, ჯექ – ფუძე რიცხვში და მწკრივში შენაცვლების არსებულ წესს არ ემორჩილება და გარკვეულ თავისებურებას იჩენს. მაგ.

აწმყო უწყვეტელი

ვზივარ//ვჟდავარ ვჟდებოდი

ჰზიხარ//ჰჟდახარ ჰჟდებოდი

ზის//ჰჟდას ჰჟდებოდა

ვზივართ//ვჟდავართ ვჟდებოდით

ჰზიხართ//ჰჟდახართ ჰჟდებოდით

ჰზიან//ჰჟდარან ჰჟდებოდენ

წყვეტილი II კავშირებითი

ვიჯექი ვიჟდე

იჯექი იჟდე

იჟდა იჟდეს

ვიჯექით ვიჟდეთ

იჯექით იჟდეთ

იჟდენ იჟდენ

I თურმეობითი

მჟდარვარ

მჟდარხარ

მჟდარა

მჟდარვართ

მჟდარხართ

მჟდარან

ჟდარან←ჯდანან ფორმაში **რაე** ცვლის **ნარს**. ასევე ხდება ზმნაში **დგა-რან**←დგანან. „**ჯედ**“ ფუძეში **ჯ**-ს ენაცვლება **ჟ**, როდესაც **ჯ**-ს მოსდევს **დ**.

თავისებურებას იჩენს ვ**არ//ვიქნები//ვიყავ**.

I სერიაში თავისებურება შეინიშნება უწყვეტელში, აწმყ. კავშირებითსა და მყოფადის მწკრივებში.

უწყვეტელი აწმყ. კავშირებითი

ვიყნებოდი ვიყნებოდე

იყნებოდი იყნებოდე

იყნებოდა იყნებოდეს

ვიყნებოდით ვიყნებოდეთ

იყნებოდით იყნებოდეთ
იყნებოდენ იყნებოდენ
 მყოფადი
ვიყნები
იყნები
იყნება
ვიყნებით
იყნებით
იყნებიან

უწყვეტლისა და აწმყ. კავშირებითის მსგავსად იწარმოება მყოფადის მწკრივებიც.

საინტერესო ფორმებითაა წარმოდგენილი II სერიაც. კერძოდ, მეორე კავშირებითი

ვიყნე
იყნე
იყნეს
ვიყნეთ
იყნეთ
იყნენ

აკად. **ა. შანიძე** მსგავსი ფორმების შესახებ წერს: **„ვიქნე“** ზმნის ფორმათა გავლენა „**ვიყო“** ზმნას გადაედო მხ. რიცხ. ფორმებში ზოგ აღმოსავლურ კილოში: **ვიყვე, იყვე, იყვეს** (ნაცვლად ამისა: ვიყო, იყო, იყოს), მაგრამ სალიტერატურო ენა ამას გაურბის“[40]. მართლაც, ზემოთმოყვანილი მაგალითითაც ნათელია, რომ „ვიქნე“ ზმნის გავლენითაა მიღებული „**ვიყნე**“. ხოლო „**ვიქნები**“–ს გავლენით კი „**ვიყნები**“.

„ვიყო“ ზმნის ასეთნაირი ფორმები სპეციფიკურია დიოკნისური მეტყველებისათვის. იგი მოსაზღვრე, **სხალთის ხევისა და ღორჯომულ მეტყველებაში არაა ცნობილი.**

თავისებურებას იჩენს **ქმნა//ზმა/რჯა**. თავისებურად იწარმოება I სერიის აწმყოსა და მყოფადის მწკრივები. აწმყოს მწკრივებში წარმოდგენილია „**რჯა**“ ფუძე, მყოფადში კი „**ქმნა**“ ფუძე.

წარმოვადგინოთ ამ ზმნათა უღლების პარადიგმა:

[40] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 462.

აწმყო

ვიჯები

იჯები

იჯება

ვიჯებით

იჯებით

იჯებიან

„იჯებ“ ფუძისაგან იწარმოება უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის მწკრივები.

მყოფადში გამოყენებულია **ქმნა** და **ზმა.** გვხვდება პარალელური ფორმები.

მყოფადი მყოფ. ხოლმეობითი

ვიქ//ვიზამ ვიქმოდი//ვიზამდი

იქ/იზამ იქმოდი//იზამდი

იქს//იზამს იქმოდა//იზამდა

ვიქთ//იზამთ ვიქმოდით//ვიზამდით

იქთ//იზამთ იქმოდით//იზამდით

იქმონენ//იზმონენ იქმოდენ//იზამდენ

მაგ. წინადადებაში:

რა□ჯები გო, რავარ ხარ?.. ამდეხან **რა□ჯებიან** არ ვიცი ყანაში?! ქორწილ **იჯებიან** ისეგავ... იმ საქმეს არ **იზმონენ**, თვარამ?!.. ქორწილ **იქმონენ** თველზეო, ასტე თქვეს...

დასახელებულ მაგალითებში საინტერესო ფორმაა „**იქმონენ**“ და „**იზმონენ**“ (იქმენ, იზმენ). **ასეთი ფორმები ზემოაჭარულ კილოკავში არ არის ფართოდ გავრცელებული.** იგი დასტურდება მხოლოდ **დიოკნისურ მეტყველებაში. „იქმონენ“** ფორმის შესახებ აკად. **ა. შანიძე** შენიშნავს: „ასეთი ფორმა ჩვეულებრივია ამჟამად ქართლში და **ძველადაც** გვხვდება (მაგ. „**რუსუდანიანში**“: „უცოდნელობით **იქმონენო“**.[41] მაშასადამე, დიოკნისური თქმა ინარჩუნებს ძველი ქართულის ელფერს.

ყვანა//სხმა – როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია „სხმა“ „ითქმის ადამიანთა ძალით წაყვანა-წამოყვანაზე საქონელივით. მაგ. შაჰ-აბასმა დიდძალი ქართველობა წაასხა სპარსეთში“[42]. დიოკნისურ მეტყველებაში ამ ძირის მქონე სიტყვა იშვიათად გვხვდება. დადასტურებული იქნა ასეთი მაგალითები: „ქალ-ბაღვიანა ესხა და წევდა“... მეგრულას (თხის ჯიშია) თიკნები

[41] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 463.

[42] იქვე, გვ. 562.

ჟსხამს და მოჰყავს“... ამ ძირის სხვა ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვაა **ასხმა//აცმა//ანემსვა**... მაგ. თუთუნ **ვასხამ** კირნაფი ძაფზე... კერჩხი ლობიაჲ კედი ძაფზე **ავასხი**... ფადოვ, ღილები (მძივები) როჲსნა **იმისხა**, გოჟ!...

კერვა//სხმა – მაგ. ქალაბნები **ამე□სხა** და გჟყვა განზე... ქალაბნი **ამოსხმა** რავარ არ იცი, ჭოჟ, მაგას რა სტავლა უნდა... ეს მაგალითებიც მოგვაგონებს ძველ ქართულს.

შოვნა//პოვნა – აღნიშნული ზმნები იხმარება „**შობა**“ ზმნის პარალელურად უმეტეს შემთხვევაში. აქედანაა ნაწარმოები ზმნები: **შოვნილოფს** (მშობიარობს, შობს), **იშჟა** (შობა), **უშოვნია** (უშობია), **იშოვს** (შობს, იმშობიარებს). პირუტყვთა მშობიარობის პროცესის აღსანიშნავად ზოგჯერ „**შოვნა**“ ფორმის პარალელურად იხმარება „**პოვნა**“ – პოვნილოფს, იპჟა, უპოვნია. მაგ. ბიჭი **ვიშჟე** სირმაქოჩორაჲ... ძალიან ძნელაჲ **შოვნილოფს** ი საცოდავი... ყუმაშამ ხფო **იპჟა**?... ბაღვ რუმ **იშოვს**, გუდჟწყვეტ... მოცემული ზმნები იხმარება „**ნახვა**“ ზმნის პარალელურადაც. მაგ. ბევრი ვეძეფე, მარა ვერ **ვიშჟე...** ვეფერი **იპჟე** თოკისნაჲრი, ძალო... იმდენ რუმ ეცეცება, რას **შოვნილოფს** ნეტაჲ...

„ჩაქრობა“ ზმნის პარალელურად იხმარება „**დაპარება**“, „**გაპარება**“. მაგ. ლამ-ბაჲ არ **დააპარო** ჯელ, ვიკითხონა... ცეცხლი **დე□ბარა** დაჲდე... (და ჰაიდე) ამ სიტყვით გამოხატავენ სულის დალევის, სიკვდილის ვითარებას. მაგ. დიალოგ-ში: – როჲს დალია სული, ძალო...

–წუხელი **გე□ბარა,** ვაჲ ჩემო თავო... სიტყვა „**დახელვა**“ იხმარება „შიშის“, „შეშინების“ აღსანიშნად. მაგ. არ **დახელო** ბაღვი, ენა ჩჟვარდება... ნამეტარი **დახელულია** საცოდავი...

დიოკნისურ მეტყველებაში ხშირად აქვს ადგილი ზმნების შემოკლებას. შემოკლება დამახასიათებელია ძირითადად ბრძანებითი კილოსათვის, ზოგჯერ თხრობით კილოშიაც გვაქვს. მაგ. წამოჲ, მოჲ, დადე, ჩადე, მომე, მჲე, მეჲცა, გეჲქე, წინე (წინ ნუ მიდგეხარ), ოკოჲ (უკუდექ)// ოკოდექ, წინოკოჲ, გაჲ, აჲ (ადი), მჩ (მიდი), მივე (მივეცი)... და ა.შ.

დიოკნისურ მეტყველებაში სიტყვის საწარმოებლად იხმარება შემდეგი სახის მაწარმოებლები:

კნინობითისა – **ულა**: დედულაჲ, ნენულაჲ, ბუმბულაჲ, კუკულაჲ, ხუხულაჲ, კუნკულაჲ, თუნთულაჲ, ფუსკულაჲ, ხატულაჲ, ბულულაჲ, დერგულაჲ... **ალა**: ბარათალაჲ.

აკ: ქილაკი.

წარმომავლობის – თი: სალიენთი, ქორხანიენთი, რიზმანიენთი, ბაᲘრამალიენთი, ასლანიენთი, ბუდიენთი, ხოჯიენთი, ჯინვანთი, უსტიენთი, ჰელიმანთი, ზემუანთი, ტაᲘანთი და ა.შ.

მდგომარეობის – იარე: ქონიარე, წოლიარე, დგომიარე, ყოფნიარე, ჯდომიარე...

ქონების აღმნიშვნელი – იანი: კაბიანი, ფარიანი, ხილიანი, ალაფიანი, ბაღვიანი, კაციანი, ამიანი, იმიანი, რიანი, **უან** (←ოვან): – გულუანი, ენუანი, ფერუანი, ტანუანი, ძალუანი, მუხლუანი...

ხელობის აღნიშვნელი – მე–ურ: მე-თა-ურ-ი, მე-მთე-ურ-ი, მე-ხე-ურ-ი, მე-ცეც-ურ-ი. **სადაურობის აღმნიშვნელი – ულ**: ხიხაძირულაᲘ, კორტოხულაᲘ, ხულურაᲘ, მანიაკუთურაᲘ, რეყეთულაᲘ, ბეღლეთურაᲘ... (ასეთი სახის მაწარმოებელი გამოხატავს გათხოვილი ქალის სადაურობას).

ელ: ბოძაურელი, დიოკნისელი, ტაბახმელელი, ჯვარიქეთელი, ღურტელი და ა.შ.

ჩამომავლობის ევლ (←ეულ) მევლუდასევლი, ალიასევლი, რეჯებასევლი, ტაᲘასევლი, ემᲘასევლი, მიქალაძესევლი...

ტოპონიმიკურ სახელებს აწარმოებს თავსართი, ბოლოსართი და თავსართ-ბოლოსართი:

ნა: ნაჩეხი, ნარვალი, ნამწვი, ნაღლეზი, ნაგუთნი...

ნარ//ნალ: თენნარი, ლეკნარი, თხილნარა, ბარდნალი, თხმელნარი, ჭკნავნარი, შქერნალი...

ა: სამბოძალა, ნადიკვარა, ოჭივარა, კათხევა, ონაგირა, ბოკელა, ფონა...

ევა: კათხევა;

ეთ: ზიზნიეთი, საჯგვერეთი, ჭედელეთი;

ულ: დამთაწული, ყვერული, გვერამული, თერძული, პეტრული, ზარაფულა...

ათ: თეთრაი, ნისლათი, გვალათი, ყვერულთი, ავაზანათი, ღუმელათი, კერათი, ოჭივარათი...

აურ//აულ: ირემაული, ხურცაული, ასკილაურა, ფერაული, ენგენაური...

სა–ო: სადავო, სახარატო, სამსმელო, საბოგილო, საზიარო, საკამბეჩო;

სა–ურ: საბადური...

ნა–ევ: ნაყიშლევი, ნაღვარევი, ნატბორევი, ნალობიევი, ნაკალვევი, ნამუნასტრევი, ნაჩარხევი...

ნა–არ: ნაფუძარი//ნაფუზარი.

ნა–ვარ: ნაფეტვარი, ნაკანაფვარი, ნაცერცვალი, ნაქუხვარი;

ნა–ვალ: ნაქერვალი, ნაყორვალი;

სა–ე: სამარილე, სამოცვე, სალილე, სამელე;

სა–ა: საფიცრია, საყავრია, საბორნია, საშველია, საძმერხლია, საიხვია;

ნა–ურ: ნანტბაურა (ნატბაურა);

სინტაქსური თავისებურებანი

გარკვეულ თავისებურებას იჩენს დიოკნისური მეტყველება სინტაქსური თვალსაზრისიც.

ზოგჯერ **მსაზღვრელი** როგორც პრეპოზიციული ისე პოსტპოზიციური წყობის დროს **საზღვარულთან მართულ შეთანხმებულია**. მაგ. ხემიდასი ქალი, გომბიო ახმედასი ყოფილა თურმი... აქედან რამხელა ჩანს უფანასი სახლი... ნუქარო, ლამბასი ფითილები არ გაქ...

ატრიბუტული მსაზღვრელი, ფუძებოლოთანხმოვნიანი მხოლოდ ორ (სახ. და წოდ.) ბრუნვაში წარმოადგენენ ბრუნვის ნიშანს.

მაგ. ახალი ცოცხი

ახალ ცოცხმა

ახალ ცოცხს

ახალ ცოცხის

ახალ ცოცხით

ახალ ცოცხათ(დ)

ახალო ცოცხო

ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ასეთ სურათს იძლევა: ზოგჯერ შეთანხმებული ფორმითაა წარმოდგენილი, ზოგჯერ – შეუთანხმებელი. მაგ. წუხელ ზროხები გარეთ დარჩენილან... იმდენი ბუზები დააჟდა რუმ... ვინცხა კაცებმა ჩამეᲲარეს... შეხედე, ფენჯერასთან ჩიტები მოფრინდა...

სალიტერატურო ნორმისაგან განსხვავებით, მნიშვნელობით ერთზე მეტის აღმნიშვნელ მსაზღვრელიანი ქვემდებარე ყოველთვის წარმოდგენილია მრავლობით რიცხვში. მაგ. ბარსამი ბაღვები ჰყავს, იშტა... ბეᲗრი თხები გიგიშენებია, ფადოვ... ყველაᲲ ზროხები მეᲲყვაᲲ...

როგორც შ. ნიჟარაძე აღნიშნავს, **„ძველი ქართულისებური ვითარება** გვაქვს, როცა მრავლობითში დასმული სახელი (ქვემდებარე) ვნებითი გვარის ზმნას (შემასმენელის) ითანხმებს რიცხვში – **ენ (//ნ)** სუფიქსით“[43]. მაგ. პირველაᲲ ჩვენ **ჩევკარტიჩკენით**... წელში ძვილაᲲ **გევშალენით... მეხმარენით** და **გააკეთეფს**...

აღსანიშნავია ისიც, რომ ზმნა II სერიაში ქვემდებარეს მართავს როგორც მოთხრობითში, ისე სახელობითში.

---

[43] შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი. გვ. 116.

მაგ. ძმებმა წამუარდენ და ეტაკენ დივეფს (დევებს)...

ჯემალამ მოვდა გუშინ იმიგულებაი...

კაცებმა ადგენ და წევდენ... ძალი ალუმზე ყანაში წევდა... **ტყიკაცა**□ეზუებ-ში მოვდა თურმი...

პირის ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარე ზოგჯერ I სერიაში წარმოდგენილია მოთხ. ბრუნვის ფორმით. მაგ. მან ატყვილეფს, მან აკეთეფს; მან მოდის; მან ტირის;მან მღერის; მათ აშენებენ; მან მეიტანს; მან კითხულოფს...

ზოგჯერ II სერიაში დამატება, ნაცვლად მიც. ბრუნვისა, წარმოდგენილია სახ. ბრუნვაში. მაგ. შენ რანდა შეიტყო ჩემი ტკივილი... შენ ჰიდანდა მიხდე ჩემი მწვალება...

იშვიათად დასტურდება ისეთი ფორმებიც, როცა ნაცვალსახელით გამოხა-ტული პირდაპირი დამატება II სერიაში დგას მოთხ. ბრუნვაში. მაგ. **მანაც** გუშვეს თურმი ციხიდან... **მანაც** წოლიარე ამეიყვანეს ბათუმიდან... **მათაც** გუდუციან პროკულატურაში მეგემ...

როგორც ზემო აჭარულში, ასევე დიოკნისურში, ადგილის გარემოება ზოგ-ჯერ წრფელობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა. მაგ. **ადგილ-ადგილ** მიე-ფუთხნა მიწა... **ღამ-ღამ** იარებოდა იმისი სული... **წყალ-წყალ** ჰომ ვერ დავყვები, რა ვქნა?! რუ **პირ-პირ** შეიარე...

თავისებური ფორმითაა წარმოდგენილი ადგილის გარემოების გამომხატ-ველი ზოგიერთი სიტყვა. ასეთებია: **ამათ**□**ეფში, იმათ**□**ეფში, ზედაურეფში, ქვედაურეფში, მიღმ**□**ეფში, გაღმ**□**ეფში** და ა.შ.

დიოკნისურში აღსანიშნავია **ორმაგი უარყოფის** აღმნიშვნელი მაგალითები: არვის არ დუპირებია... ვერვინ ვერ წამუწია თავი... ნუფერ ნუ იტყვი... ვეფერ ვერ იქს მაიც... ვერსად ვერ წავა... ავერი არ გამუა... და ა.შ.

საინტერესო, მრავლის მთქმელია აქაურ ლექსიკაში არსებული **ბრძნული ფრაზები** და **იდიომატური გამოთქმები.** მაგ. თავში ფუტი ამდის, ყური წაგდება, ხელფეხი ეიკრიფა, ფეხები მიასო, კიბილი მკრა, გულში ჩავარდნა, სხვისი პურია, გატეხილი ჭადი აღარ მიკერება, სანაყელაში მოსლა, თვალი გატეხა; ენა რუმ არ ქონდეს, ყვავები დაკეკენ; კროხები ესხრიკებიან, ცხენიდან ჩამოვდა და ვირზე შეჟდა; კიბილი ჩამოდვა; კტრის ბუხრიდან ატანა;სახში შავ ღორი მეტნი ავერი აკლია; ხელში ჩაგდება;ნაგუზალივით გახდომა; ყველი ლავაშივით გა-ფესტილება; თხი ბატონ, თხი პოჩვი; თავნიდან ზიბილები ჩამოცვინდა;ჭიმური აჭამა; იმის ჩოხას სარჩული აქ; შენ რაღას ედები; ტონტოლ ჰალვა ნუ გგონიაო; კვერცხებ დეფს; ცხენი კუდი მოქნევაში; პირი დეიბანა; ხელ-ფეხი დეიბანა;

ფირიფაქი გახდა; საყელო დეᲘრეკა; ვირ ბაგაზე გ̄ეცინა; გუდაში ფქვილი მიხტება; ხარი ქიდან გამოღება და ა.შ.

აქაური მეტყველება მდიდარია **სხარტული სიტყვა-თქმებითა და ანდაზებით.** ანდაზებიდან ზოგიერთს დავასახელეფთ: ვირზე შეᲜდომა ერთი სირცხვილია, ჩამოსლა კი მეორე სირცხვილიაო; ძაღლი ხათრ არ გასწევენ, პატრიონისას გასწევენო; ყველი პარᲘას, ყველი ენალებაო; ქურთს სახში შ̄ეშვებ, სიძᲘობას მედუმეფსო... Იორღა ცხენი ვაკეში წეᲘქცევაო...

აქაურ მეტყველებაში შემორჩენილია წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული ტერმინები. ასეთებია: კვირკობაᲘ, ქაშატობა, ლაზარიაᲘ, ცოცხები დაწვა, ზევ შემოდი, ალი დაცემა, ღალი მოპარვა, ბინი გველი, ორმოცაᲘ, შ̄ამთობა, კაკლი ფესოში გაძრომა და ა.შ.

დიოკნისური მეტყველება ლექსიკური თვალსაზრისითაც საინტერესოა. აქაურ მეტყველებაში საკმაოდ შეინიშნება ისეთი რიგის სახელები, რომელთაც გარკვეულად განსხვავებული ლექსიკური ნიუანსები გააჩნიათ. დაძებნილია ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ზემოაჭარულის სხვა კილოკავებში არ შეინიშნება და სპეციფიკურია მხოლოდ აქაური მეტყველებისათვის, ან სალექსიკონო მასალებში ᲯერᲯერობით არაა აღნუსხული.

ა

აბლი – ავლი, ავლისა–ფერფლი. აბლი აქაურ მცხოვრებლებს მიაჩნიათ სამკურნალო საშუალებად. კერძოდ, გულის წვის საწინააღმდეგოდ.

ათეᲯვება – მიყრდნობა, წამოწოლა (თურქ. წარმოშ.) მაგ. გესულა და ჟოლი ძირში ათეᲯვებულა, გრილში...

ალახა – დაგრეხილი წნელი, რომელსაც მარხილს უკეთებენ ქვემოდან, რათა დაბრკოლება შეიქმნას და თოვლზე ძალიან სწრაფად არ დაცურდეს.

ამათიეფში – აქაურობაში, ახლო-მახლო.

ამანკიდი – აბა, შენ იცი. ეს სიტყვა გარკვეულ აუცილებლობასაც გამოხატავს. მაგ. **ამანკიდი,** შორ არ წახვიდე... **ამანკიდი,** არ დიმიკარქო...

ამადა – ძალიან. მაგ. ამადა შეგვარცხვინა... ამადა გვაჭენა.. ამადა აგვაშენა...

ანაგებაᲘ – სულ, მთლიანად. მაგ. ანაგებად არ მაქ ფქვილი.

აქოჩვა – ჩალის კონების ერთიმეორეზე ისე მიყუდება, რომ არ წაიქცეს და გამოშრეს, გახმეს. მაგ. ყანი აქოჩვა ღამეში დავამთავრეთ.

აყიყი//შაკიკი – წითელი ფერის ქვა. გააჩნია მაგნიტური თვისებები. ცრუმორწმუნეები მას „წმინდა ქვად“ მიიჩნევენ და თავის ტკივილის დროს თავსახურავზე ან თმაზე დაიკიდებენ. „შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტის ტყუპები“ (შოთა).

აჩმა – ჩირი, ხმელი ხილი. აქედან: გააჩმებული, გასააჩმავი.

აწყალა – თითქმის, კინაღამ. მაგ. აწყალა გადავარდი ღელეში...

აჯიაღი – ჭრილობის მოსაშუშებელი წამალი, რომელსაც ამზადებენ ფისისა და კარაქისაგან.

აჯილღა – აშარი, მოუსვენარი. მაგ. მაᲥ იმფერი აჯილღა პრატია, რუმ... მაქ-ფერ აჯილღა ძროხეფ ვერ ვაძუეფ...

ბ

ბაბილო – ერთგვარი ყვავილია, იისფერზე უფრო ღია ფერისა. თოვლის დნობისთანავე ყვავილს იკეთებს და მაისის ბოლომდე ყვავის. მაგ. ბაბილო ჟვერი მეᲥტაᲥ, ფხალი გავაკეთოთ... თაზე ამოსულო ბაბილო, ყაᲥმაღზე უმფო ტკბილო...

ბალახების სახელებია: (იქ გავრცელებული) კაპლი ბალახი, მაᲥასირის ბალახი, ტენცო, მარიამხელაᲥ, ჭანჭახაᲥ, ლენცოფაᲥ, ჭარბადელაᲥ, აჯარკელაᲥ, სვინტრი, ჭიჭლაყაᲥ, ქათამნაცარაᲥ, ყვავიკუდაᲥ, მოლოქაᲥ, სარო, ხოზიკაᲥ, ოზაღინაᲥ, ბირკა, თელახარშილაᲥ, ლემშური, მათოთი, შხამი, ჯინჭარი, გელიმ-პარმაღი, დათვისაფერთქელაᲥ, წველა ბალახი, ძურწა, ნარაᲥ, კოკდავაᲥ, ტაბე-ლაᲥ, ძმერხლი, სურო, საწერავი, ნეგო, სამტატაᲥ, შავამფხალაᲥ, ჭიჭნახურაᲥ, ყო-ჩივარდაᲥ, მორმენეფშაᲥ, ღვალო, წალიკაᲥ, ქონდარი, უზელლუგი, ლავარძარღ-ვაᲥ, ჩიხანდარი, ანწლი, ლენცუფაᲥ, დვარულაᲥ, ძიმწარაᲥ, კოწარუხი, ჯაუში, ხვართქელაᲥ, წყერი ფეხაᲥ, დილყა, ხბოშუბლაᲥ, კაკნისაკნატურაᲥ, კუკუმჟავაᲥ, დათვაკანაფაᲥ, ცხროს ბალახი, დონდოლო, იარი ბალახი, ვირიგვერდაᲥ, ფურ-ჩუმელაᲥ, მიწამოცვაᲥ, ლოპენაᲥ, ბარამბო, ბურტყილაᲥ, სამყურაᲥ, გრიტიაᲥ, ოლენაᲥ, ნაძვაბალახაᲥ, ხვანძაᲥ, თრიმლი, პურტყლიაᲥ, გვიმრა, ასითავაᲥ, ღვა-ლო, სათოვლიაᲥ, მარმუჭი...

ბაძანგარი – ბინძური, უსუფთაო

ბეზი – ტილო. მაგ. უწინ ბეზეფ ხელით ვქსოვდით...

ბეთლემაᲥ–გონებაჩამორჩენილი, საპყარი

ბითევი – მთლიანი, ყველა (თურქ. წარმ.)

ბილქერე – ჩემდაუნებურად (თურქ. წარმ.), ერთჯერ, იშვიათად.

ბილევი – სალესი (თურქ. წარმ.)

ბიჯგინი – საყრდენი. იმერულში –ბიჯგი.

ბლიყურთაᲥ – გაუგონარი

ბოგა – თარო. ასეთ თაროებს აკეთებენ იაᲥლებში ყოფნის დროს.

ბოდოყრო – გამოუსვლელი, მოსულელო.

ბორი – 1. საყვირი; 2. მილი. მაგ. დუკრეს წაყვანის ბორი... ფუტი მიწრო ბორში ძნელაჲ გადის.

ბორეგი – პურის შეჭამანდი, ნამცხვარი...

ბოშბოღოზაჲ – გაუმაძღარი, ხარბი ადამიანი. მაგ. იმფერები ბოშბოღოზაია, რუმ ვფერი გუდურჩება...

ბოჭოჭვავი – ობობა

ბორჯი – ვალი (თურქ. წარმოშ.)

ბრეში – რუხი

ბუდლუცი – უხერხო, ხელიდან გამოუსვლელი. მაგ. მაჲ იმფერი ბუდლუ-ცია, რუმ შაჭმლი ჭამასაც ვერ ახერხეფს...

ბუშხუტაჲ – ჯანმრთელი, ძლიერი (ადამიანი, ცხოველი, ხე)

ბუჭუნჭველა – ჭიანჭველა

ბუჯერი – ბუდე. მაგ. ჩიტი ბუჯერი წყალთან არნა ახსენო, ბუჭუნჭვლები დესევიან მეგემ... ბუჯერში ქათამი კვერცხეფ დეფს...

ბუჯგი – დაუვარცხნელი თმა. აქედან: თმა ძღრაბლი ბუჯგივიფ გუხდია...

გ

გაბძგალვა – გაყინვა, გაშეშება

გადაბძგალვა – გადავარდნა, გადაჩეხვა. მაგ?. ჰა გედეიძგალა ნეტაჲ...

გაბეზილი – გავსილი, სავსე. მაგ. ყართოფაჲთ გაბეზილი ტუმრები ჩამეიტა-ნეს იმათაც გუშინ.

გაბასვრა – შერცხვენა, გაკიცხვა, გაწბილება. მაგ. ამადა ამოგვბასრა კაცმა...

გაბოგინება – გავსება, გამდიდრება. მაგ. იმა რა უნდა, ყველამფერი გაბოგი-ნებული აქ (ქ.ე.გ.ლ. ბოგინი – ძლივს-ძლივობით არსებობა, გაჭირვებით ყოფნა).

გაბზევა – გაშლა, გაფენა. მაგ. მაგრე უშნოთ ნუ უბზევ, ციცავ, ლამაზათ დაყარე...

გაზუმპვა – დასველება. მაგ. იმფერი წვიმა იყო, რუმ გევზუმპე სულ...

გადამწყავება – გადაყლაპვა, სულმოუთქმელად შეჭმა. მაგ. ანოვ, ასე ეჯელა რაფერ გადვამწყავა, გოუ!...

გარეული ფრინველებია: ტრედი, საბძელაჲ, გულყვითელაჲ, არდუჯაჲ, კუკვაჲ, ოლოლი, ლეგლეგი, ორბი, ყელემყუში, ღობიჩიტაჲ, სავარცხელაჲ, ბუ, კოდალაჲ, წყურიაჲ, ჩხართვი, ჩხიკვი, შაანი, ორბი, შაშვი, მეთოვლიაჲ...

გორობაჲ – თავდიდა. მაგ. გორობაჲ კაცი რაცხა ძალუან მძულს...

გაძახება – იხმარება ორგვარი მნიშვნელობით. 1. გაშლა, გაფენა, 2. გამეორება. მაგ. საქონელი გუ̄ძახე წყაროთავ... გუ̄ძახა ყვირილი, ვერ გეᲲგონე... ნეტაᲲ არ გუ̄ძახეფდე მაგ ლაპარიკ...

დ

დაბათლება – დაცობა, ამოვსება. მაგ. იმ ცხავ თვალები სულ დაბათლებული აქ(ვს).

დაბარჯვა – დაკავება, „თავისად“ დათქმა“–საბა

დაბზღლატვა – დამანჭვა, დანაოჭება. მაგ. იმფერი დაბზღლატული პურია, რუმ ვერ ჭამ კაცი...

დალანდაგვა – დალამბვა. მაგ. ლოგინი დავლანდაგე დღეს...

დალაწლაწება – 1. დაკეცვა, დაწყობა, დაუთოება; 2. ჩაქცევა, წაქცევა. მაგ. იმფერი დალაწლაწებული კაბა აცვია, რუმ შეგეჰევესება... ქარსა თლათ ყანა დუ̄ლაწლაწებია...

დალურწუტება – დაგვა, დასუფთავება. მაგ. ეზო-კარი დალურწუტებულიაქ სახლივით...

დამჭადება – დაძველება, ფუტუროდ გახდომა. მაგ. ი ქერესტა დამჭადებულა, ᾱფრათ აღარ იქს...

დაოქშვება – უღელი ხარის შემობრუნება კვალის გატანის შემდეგ. ამ დროს ხარებს მიმართავენ შემახილით: – ოოქში. მაგ. ნამეტარი ოოქში ხარ უკუღმა წეᲲყვანს (ანდაზ.)

დაფითნაჯება – დასმენა, ჩაგონება (თურქ. წარმოშობ.)

დაქოლვა – დაჩაგვრა, აბუჩად აგდება. მაგ. მე შენი დასაქოლავი არ ვარ, დემეხსენ თუ̄არამ...

დაქცნა – ძარღვის შეკვრა. მაგ. კისერი დაქცნილი მაქ და ვერ მოვბრუნდები...

დაქუფთვა – წვრილად, უსარგებლოდ დაჭრა

დირეგი – დირე, ბოძი, გათლილი ძელი. აქედან: დადირეგვა, დადირეგული, დასადირეგავი...

დურძი – უსინდისო, არა მორალური (თურქ. წარმოშ.)

ე

ებე – ბებია ქალი, მეანე ქალი. მაგ. ფადოᲲ კაᲲ ებეა, იმა დუ̄ძახეთ ერთი...

ებბედი – არასდროს (თურქ. წარმოშ.) მაგ. ებბედი არ მუ̄ალ შენთან... ებბედი არ გიმიგონია მაქფერი ამბავი...

ელაწუნება – გად. მნიშვნ. თავმომწონედ დადის. მაგ. ერთი ვიცოდე რას ელაწუნება, ნეტაჲ ვის აწონეფს თავ...

ემჯამი – ბოლოსდაბოლოს (თურქ. წარმოშ.) მაგ. რანა მიყო ემჯამი... ჰა მიხვალ ემჯამი...

ერკიელოფს – ამინდი ცვალებადობს

ეჲ – შემოკლ. ეყოფა. მაგ. ეჲ, დაანებე თავი... ეჲთ, ნუღარ ყვირით...

ეცეცება – მალულად რაღაცას დაეძებს; ეძებს აქეთ-იქით...

3

ვარელაჲ – ხისგან გამოთლილი ცილინდრული ჭურჭელი, რომელშიაც წნილს ინახავენ

ვაჲპი – დანანების გამომხატველი შორისდებული.

ვარესი – ნათესაობა (თურქ. წარმოშ.) მაგ. ჩემი ვარესი შორს დიმირჩა ძალუან...

ვესიეთი – ანდერძი (თურქ. წარმოშ.) მაგ. ვესიეთი ქნა ამვალ ადგილზე ჩამდევითო...

ვაშლის ჯიშებია: –კეხურაჲ, მახარაჲ, დემირაჲ, ყარაფილაჲ, შაფრანი, ფაშალმა, შექერვაშლი, კიტრაჲ, წითელი ვაშლი, ბროცკი, ანტონოვკა, ჯენნეთურაჲ, გონივრაჲ, ბოტიაჲ, ბუშაჲ ვაშლი, ფქვილაჲ, სობ-ალმა, შავი ვაშლი, რაკუნაჲ (განძრევისას კურკა იძლევა ხმაურს).

ზ

ზავალი – მიწის ზვავი. მაგ. გზაჲეფში იმხელა ზავალები ჩამოსულა მეგემ, რუმ მაშინები ვეღარ იარებიან...

ზაბრა – ძაბრი

ზემბერექი [სპარს. ზაᲂმბᲐრᲐქ] – ზამბარა, საათის ზამბარა

ზენჯირი –ჯაჭვი

ზილიფი – [სპარს. ზულფ] – ზილიფი, ძვ. თმის კავი, რომელიც შუბლის კიდიდან ლოყის გასწვრივ არის ჩამოშვებული.

ზინზრიქაჲ – დაუდეგარი, მოუსვენარი

ზიბილი – სიბინძურე, ნაგავი (თურქ. წარმოშობ)

ზიფირი – თამბაქოს წებოვანი სითხე. მაგ. იმფერი ზიმფირიანი თუთუნია, რუმ თლათ გამხოკრა...

ზოღი – 1. ერთი აჭრა საქალამნე ტყავი, 2. ზოლი; მაგ. ბაბომ ზოღებიანი კაბა ამომიტანა... ერთი საქალაბნე ზოღი მაქ მარტო...

თ

თაბლა – ტაბლა. თაბლაზე დადებული აქვან შემწვარი ქათამი...

თაგალი – ძაფით გამოყვანილი სახეები. აქედან] დათაგლული, დათაგვლა, დასათაგლავი. მაგ. ჩემ მაქინას ძალიან კაჲ თაგალი აქ... ხელით ვაკეთებდით თაგალსა, მაქინაჲ არ იყო...

თათი//თათები – წინდის წინა ნაწილი ტერფიდან თითებამდე. მაგ წინდები წაცდა, თითებინა (გამუაქსუ)...

თავსახურავი ქალისა: – ლაჩაქი, თავშალი, თავსრაკი, თავჩითი, სილგი, ხემანდილი, უჩდუმი, ვალა, ჩათხი, შრაფი;

თეშტი – ტაშტი

თეფური – ხის სინი. ხისგანაა გამოხვეწილი. მაგ. წინწინ გობებ, კოვზებ, სუფრებ, ჯამებ, თეფურეფ ვხვეწდით...

თექირი –კამერა (თურქ. წარმოშ.)

თიქსვა – უზომოდ, შეუბრალებლად ჭრა პატარ-პატარა ნაჭრებად. მაგ. ამფერი კაჲ მატერია მითიქსა-მოთიქსა და გააგდო...

თიღი – სიმრავლე, გროვა. მაგ. იმდენი მუტანია, რუმ შეშის თიღი დუყენებია

თხამპლი – (თხრამლი–საბა) – ჩირქი

თლივი – ძვ. მთლივი – მთლიანად, მთლად. მაგ. ე სხალი თლივინა მოვკრიფო თუ ნახევარი...

ი

იგითი – გამბედავი (თურქ. წარმოშ.)

ილდიზი –მიმზიდველობა., პეწი. მაგ. ი ქალი სხვაფერი ილდიზიანი გამოდგა... (თურქ. წარმოშ.)

ირთიჯი – ქურდი, გამომრჩენი, მატყუარა (თურქ. წარმოშობ.)

ისადილა – ამინდი დაწყნარდა, გადაიღო, მზემ გამოანათა წვიმის წემდეგ.

იშკილი – ეჭვი (თურქ. წარმოშ.)

კ

კაწანი – ნაბუქარი თოვლისაგან გაკეთებული შემაღლება. მაგ. ყავრითავზე იმფერი კაწნებია, რუმ არ ჩამოტეხოს, შიშია (კაწანი – ძვ. პატარა ეკლიანი ღობე. ქ.ე. გ.ლ.)

კაჩა – კეფა (მუხლის ძირის სადრეკი – საბა)

კერეკუჩხე – სახლის (ბინის) ყველა ადგილი (კუთხე–კუნჭული)

კიჭკიჭაჲ – კოჭი

კოლუში – მორკალული წნელი; რკალისნაირი, პატარა ზომისა. უკეთებენ თოკის ერთ ბოლოს ტვირთის ადვილად შეკოჭვის მიზნით. აქედან: კოლუშიანი თოკი.

კოჭობაჲ – პატარა ყუთი. მასში ინახავენ: ნემს–ძაფს, ნაჭრებს და სხვ.

კოროპინი – შუბლი. აქედან. კოროპინაჲ – მაღალი, წინწამოწეული შუბლის მქონე.

კაკუნაჲ – საალერსო სიტყვა ცხვარის (ბატკნის) აღსანიშნავად

კაკნო, კუნი, კუნი – იხმარება ცხვრის მოსახმობად, დასაძახებლად

კოპენაჲ – კოპი

კოკოშაჲ– მსუქანი, ღაბაბიანი არსება

კოკოში – ხარის ან კამეჩის კისერის სიმსუქნე. აქედან: კოკოშაჲ კისერი

კუნაპეწი – გაუმეტარი, ხარბი, ძუნწი.

კველიკველაი – ახლად ამოღებული ყველის პატარა ხვეული

კრავაჲ – სოკოა. ამოდის ცაცხვის ხეზე

კაჭატი – გაჩეხილი ტყე. მაგ. ე შიშა კაჭატეფში ამოვჭარ ძვილაჲ...

ლ

ლამი – სველი, დასველებული. მაგ. ამ დილაჲ ჭალაში გამევიარე და სულ ლამი გავხდი...

ლანდაგი – ლამბი. დალანდაგვა – დალამბვა

ლაჩანტრიაჲ – მოუხერხებელი, ჭკუამოკლე კაცი

ლეკმაკერჩხაი – ნეკერჩხალი

ლენჩბერი – მშრომელი, დაუზარელი (თურქ. წარმოშობ.)

ლიკაჲ – ერთგვარი სათამაშო. თამაშობენ ჯოხებით.

ლობიოს ჯიშები: ხანუმაჲ, თესპალობიაჲ, ჯავახურაჲ, წვიტა ლობიაჲ, ფაჩ-ხურაჲ, გვალი ლობიაჲ, შავშეთურაჲ, კუტი ხანუმაჲ, შვიდკვირიაჲ, დოდოფალაჲ, შავკაკალაჲ, თვარიაჲ

ლოლო – მკვახე, უმწიფარი

ლუკლუკაჲ – თხიერი, წვნიანი. მაგ. ლუკლუკაჲ ლობიაჲ რამ გაგაკეთებია, ქალო, პაწა სქელ ვერ იზამდი?!

ლულუკაჲ – ვიწრო. მაგ. მაქფერი ლულუკაჲ კაბა სულ არ გიხთება დაჲდე (და ჰაიდე)...

ლურწუტაჲ – სუსტი აგებულების ადამიანი, რომელსაც ტანსაცმელიც კი არ უჩერდება ტანზე.

მ

მარიობაჲ–აგვისტო (მარიამობის თვე)

მარობაში–ამავე დროს. მაგ. მარობაში ქალებიც მოვდენ

მარცხენაჲ – ადამიანი, რომელიც საქმეს სწორად არასოდეს გადაწყვეტს, გააკეთებს; მემარცხენე (მარცხენა ხელით საქმის მკეთებელი). მაგ. მაგიდან ხეჲრი არ გამჳა, მარცხენაჲა.

მაღარა – გამოქვაბული. მაგ. ი კაცი ერთ მაღარაში შჲაგდო...

მაჯაში – მაჯა. მაგ. მაჯაშები გეჲგრილე და ისე სვი წყალი...

მინოკი – ბინოკლი, დურბინდი, მაგ. მინოკით გუუხედა გაღმაში...

მოზმანება–მოზომება, ზომის აღება. მაგ. კარქა მჳაზმანე. არ გაოხრო მატერია (გააოხრო-გააფუჭო, წაახდინო).

მოთავებული – გად. მნიშვ. ღარიბი, შეუძლო, ავადმყოფი

მონადება – მოხმარება, საქმის საზიაროდ გაკეთება.

მონალევაჲ – გად. მნიშ. იტყვიან უმცროს ბავშვზე

მორჩვი – ჭალაში მეორედ მოსული თივა. მაგ. ზამთარი ნაადრევად მოვდა, მორჩვი გახმობა ვეღარ მუასტარ...

მოსტორაჲ– ნიმუში, საჩვენებელი, მაგალითი. მაგ. იმფერი ყართოფები ამუარდა, რუმ მოსტორაჲ იქნება...

მოქეშვა – მოთვინიერება, დარბილება, დამუშავება...

მოშუშვილი ყველი – გადამდნარი ყველი

მოხეშვა – ჩალის მოკონვა. მაგ. ჩალის ჭელების მოხეშვაში მემეხმარა...

მსხლის ჯიშებია: –კალოპირაჲ, საღორულაჲ, ხეჭეჭური, თავრაჯული, თეთრუაჲ, შავსხალაჲ, მარკოვჲ, დუშეში, საჭურიაჲ, სასელაჲ, პანტა, გულაბი, გვერწითელაჲ, ბოქშუაჲ, წარიაჲ, მერულაჲ, სხლობნურაჲ, ურწყვეტაჲ, გურულაჲ, დათვასხალაჲ, ძაძაჲ, კვირითავაჲ, ენკენურაჲ, მაჯარაჲ, ბარაქაჲ, ნენეარმუდი, თაფლასხალაჲ, მაგარაჲ, გემრიელაჲ, თქაშუნაჲ, სხალაყირო...

მურგვი – ძაფის ხვეული

ნ

ნამარგელაჲ – მარგვლის დროს დაგროვებული ჩალა.

ნახიშლი – ჩუქურთმა (თურქ. წარმოშ.)

ნუბეთი – რიგი (თურქ. წარმოშ.)

□

ჲახა – საყელო

ჲასი – შუაღამის ლოცვა

ჲანაშმა – ბოსელზე მიდგმული საცხვრე, ან სათხე...

ჲალუმი – დილა, განთიადი; ალიონი

ო

ოგვადო – მოუწყობელი, მოუხერხებელი. ადამიანი, რომელიც რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერს ამტვრევს, აფუჭებს

ოლჩი – ზომა (თურქ. წარმოშ.)

ოლჩი – ფეხაჲ – ოჩოფეხა

ონგალი – მოაჯირი

ოჭო–ფოჩო – არეულ-დარეული, დაულაგებელი

პ

პოჩვი – თხის წვერი

პუპკი – მცირე, ცოტაოდენი, ერთი შებერვა. მაგ. ერთი პუპკი ფქვილიც აღარ მაქ, რანა ვქნა არ ვიცი...

პუწკუნტურაჲ – მოხდენილი, ლამაზი. მაგ. პუწკუნტურაჲ გოგვები ყავან...

ჟ

ჟდომი – დაავადება (დაკუტება) მაგ. იმ ქალ ჟდომი დამართნია საცოდვავ-სა...

ჟინჟილი – 1. გაჭირვებით ცხოვრება; 2. ნელი წვა, მაგ. ძალიან უჭირან, რაჰა-ლებით ჟინჟილებენ საცოდვავები... იმფერი ნედლი შეშა არი, რუმ ჟინჟილებს დარი...

ჟიჟინაჲ – სურდო

ჟვავირეკიაჲ – ჯანმრთელი, ძლიერი (ქალი, კაცი)

რ

რაგვი – (ძვ. ირმისა და ღორის დასაჭერი მახე – საბა) – მახე. ამ თაგვებ რაგვი დუდგათ, თვარა შეგვჭამონნა...

რელმეთი – რწმენა

როღაჲს – როდის. მაგ. ერთი კიდო როღაჲს მუა, ვინ იცის...

ს

საბრი–მოთმენა (თურქ. წარმოშ.). მაგ. საბრი ქენ, მაგდენ ნუ ტირი.

სადურგლო ხელსაწყოებია: ეჩო, რუბანკა, პლანაჲ, ტართი, ხერხი, რანდი, სატეხი, ქვიშტარაჲ, გონია, ქელფეტი, ჩაქუჩი, ფერგელი, თენგო, ჩხუთი, ბურღი,

ქამფური, ჭიახერხი, სისონი, ლაგვერდაჲ, ჩილფი, ჰედდე, რესმუსი, თერეზი, პტყელაჲ ცული, ლენძა , კვერკვეტო, ქესკი, ღარათეგი, ღოჯი, მახასი, ქორუგი, ზუმბა, ორსი, მენგენე, ყისყანჯი, მაშა, არშინი, ზენჯირი...

სანამეტრო – ზედმეტი

საოჯახო ნივთების სახელებია: სანაყელაჲ, ციცხვი, ხალი, ზანდუღი, გობი, საცერი, სუზგი, ვარიაჲ, კასრი, თარო, კოლოფი, ტალიკი, უსკურაჲ, ასტამი, კეცი, საჯი, ჯორკო, გუგუმი, ისტიქანი, სარძიე, ლამბაჲ, ცინკოჲ, ხარო, კასრული, აბდესხანა, ფახრაჯაჲ, დერგი, ჭური, მაშრაფაჲ, ხელგობი, სინი, თეფური, ფეშ-ხუმი, დერგულაჲ, კუტილამბაჲ, ნატიაჲ, ტომარა, გობასტამაჲ, ქილაკი, მაშა, სუმავარი, დეგირმანი, სამტკიცავი, ჯეზვე, ქებგირი, საფლი, ქვიჯა, ყენდილი, თაბლა, ლაფერაჲ, ქაბიწი, ფერიშხანაჲ, სედრე, დოშეგი, ყალხოთური, ტორბა-ლიშაჲ, სართუმალი, კარიზღუბი, საჯიაღი, მუსანდარა, დოლაბი, კიდობანი, ჯამი სანაყი, კარავანაჲ, ლეიში, ყურბაღაჲ, ქიცხინკაჲ...

სამარტვილო – საყმაწვილო დაავადება

სართი – ბუხარში ჩადებული ჯირკი. მაგ. ძალო, სართი ჩუდე, თვარა ისე ცეცხლ გემო არაქ...

სარცხელი – დედათა წესი (თვიური); ისე მალე **სარცხელი** დამართნია გოგოსა; სარცხელიანი ქალი საჭმელს არ გააკეთებს

სასერი – სალესი ქვა

სასოფლო-სამეურნეო იარაღები:

ჯილღა – მისი ნაწილებია: გოგრები, სატარა, სახნისი, სახელური, უღელი, აპოური,

სელი–მისი ნაწილებია: უსტლუგი, გოგრები, ხერნები; არვანა, კევრი, ნიჩაბი, ბარი, ყაზმა, თოხი, თოხა-ყაზმაჲ, კირკაჲ, ქუსკი, ვარიოზი, თირფანი, ორს–ჩაქუჩი, მასათი, ყილიჯი (ყავრის სახდელი დანა), ფიწალი, მერული, მარხილი, ციგაჲ, ტაპიკი, კოლუში, ხალბური, კვანტი (მარხილისა და უღლის დასაკავე-ბელი), შანკვები, მარხილი, საცურავები, ლეკმარხილაჲ...

სახლის ნაწილებია: ბინა, დუზმა, კედლები//ქოშჲები, ფინი, თავანი, ჩენგ-ლები, ღარიკავები, ტაკოზები, საქოლავები, ბოღოზი, სოია, კიბე//მერდევანი.

საფრექო – საქსოვი დაზგა, ქსელი

საღლამი – ჯანმრთელი (თურქ. წარმოშობის სიტყვაა)

სედეფი – სადაფი, ფოლაქი. მაგ. ანოვ, სედეფები დიმიბი ამაზე...

სიმინდის ჯიშებია: ბეჩი-ბროლაჲ, ყირაჯი-ბროლაჲ, ქორიბუდე, ჯორიელაჲ, ძინარაჲ, ალაზანაჲ, ალთუნაჲ, წვიტაჲ, ჩხაკურაჲ, ჩაურაჲ.

სკვანტილაჲ – ძირხვენა მცენარეა. თალგამივით ტკბილ ძირს იკეთებს

სუნგალი – ხმაური (თურქ. წარმოშ. სიტყ.)

ტ

ტაბანი – წინდა, რომელიც კოჭამდე ძლივს აღწევს

ტალავერი – საბძლის წინა ნაწილი, გადახურული. ტალავერში საღამოობით მიაყრიან ნახევრად გამხმარ ბალახს, ან ნეკერს, რათა ღამით არ დანამოს. დილით კი კვლავ გაშლიან კალოზე.

ტალდა – მოსაფარებელი, თავშესაფარებელი ადგილი

ტალა – ძვ. შრე, ფენა

ტანსაცმლის ნაწილების სახელებია: საკისური//ჲახა, სარაჯი, ფეში, ყოლჩაღი, წიწილები, აბორკა, წინაჲ ფარაგი, უკანაჲ ფარაგი, ზრუგის ყოლანი, სარჩული, სათავო, ხონჯარი, აღი, ტოტი-პირები, ჯიფჲები...

ტეზი – 1. სიმინდის ტარო; 2. ნედლი შეშა (ნედლი და ცუდი შეშა – საბა);

ტუნტკლუცაჲ – მსუქანი ბავშვი

უ

უბუხროდა – პატარა ოდა-სახლი, რომელიც ერთი ოთახისა და დერეფნისაგან შედგება და არ გააჩნია ბუხარი

უსულაჲ – ნელა, ჩუმათ, სულმოუთქმელად.

უსტურა – სამართებელი (თურქ. წარმოშ.)

ულუმეშა – გაუვალი, უღრანი... მაგ. ულუმეშა ტყეში იქნება ნადირი...

უყასტა – უღალატა (თურქ. წარმოშ.)

უვახტოდ ყოფნა – ფეხძიმობა

ურუბი (საწყაო) რუბი//ურბი – ზომა -წონის ერთეულთა რიგში შედის. იგი კოდის მეოთხედია (საბა)

ფ

ფარატანი – უნამუსო, ამორალური

ფაჩავრა – ნაჭერი რისამე...

ფეშხუმი –სუფრა, ხისგან გამოთლილი.

ფოთინები – ყელიანი ფეხსაცმელი

ფოქვი – ბუნაგი (დათვი ფოქვი)

ფუშკურო – მაგარი ყველი

ქ

ქარაქოზი – „ქვის ხავსი რამ მცირე“ –საბა

ქოჩი – ჩალის კონების შეკვრა

ქუმაᲘ – ჩურჩხელა. „წუხელ გვიან ნადში მიველ, **ქუმა**□ გავჭარ დანითაო, სახლი-კარი ამსილი მაქ, ბაღვებით და ქალითაო“...

ქსელის ნაწილებია – ყდა, სავარცხალი, ლილვი, დგიმი, საფეხურები, ჩიტები, მაქოქი, მასრა, ჭაღი, ქსელის ჯოხი, საჟდომი, საფეხურები

ღ

ღეტეტი – სიმინდის ღერო

ღვიდარო – ნაღვერდალი, ღადარი

ღრამი –სიგრძე უსივრცო, რომელ არს ხაზი“ – საბა. სახლის მშენებლობის დროს ფიცრის კიდეზე აკეთებენ ჭრილს, რათა ფიცარი ფიცარში უკეთ ჩაჯდეს. ამ ჭრილს **ღრამი** ჰქვია.

ყ

ყილევი – ნათიბი ბალახი, რიგ-რიგად ჩაწყობილი

ყუმაში – აბრეშუმის ქსოვილი ერთგვარი (თურქ. კუმაშ).

ყურძნის ჯიშები: – ჩხავერი, ადესაᲘ, ცოლიკოვრი, ცხენი ძუძუ, საფერავი, ალიკოტე, ცხენი ძუძუ, დედოფლითითაᲘ...

შ

შილა – ძვ. წითელი სამოსელი–ქ.გ.ლ. მაგ. ისე გაწითლდა, რუმ შილასავეთ გახდა..

შიშეგი – დედალი ცხვარი (თურქ. შ̄შაქ)

შლო – ღაზლის ხვეული

შერითი – ნაჭერი (თურქ. წარმოშ.)

ჩ

ჩამური – პურის სანაყელა

ჩაქი დანა – (სპარს. ჩაქ-ხვრელი) – ჯიბის დანა

ჩაჩქანი – სახეხი, ღრუბელი (მაჩალკა). აქედან: მოჩაჩქნა, გაჩაჩქნა–კარგად გარეცხვა

ც

ცანცარი–ზვავი თოვლისა

ციცაქალაი – მანდილზე დასაბმელი ბრჭყვიალა სამკაული

ციცაჲ – 1. გოგონა. „ციცაჲ უნდოდა და ბიჭი გამოდგა“; ჯემალას ციციები კაი ყავს. 2. თვალის შუა ნაწილი. „თვალის **ციცაზე** რაცხა თეთრი გადაკრია და ვეღარ ხედავს“.

ციქციქი – არამოსაწონარი სიცილი

ძ

ძიგარაჲ – სიგარეტი. მაგ. ძიგარა წეველ კაც შორიდანაც მივხტები

ძიგვი – ჯუჯა ქუჩქი მაგ. ძიგვები მივჭარ-მოვჭარ და მევტაჲ...

ძიძგვაჲ – ჯანმრთელი, შემტევი ადამიანი

ძღრიბლი – წირპლი

წ

წალიკაჲ – ავაზნიანი, მოჩხუბარი. ერთგვარი ბალახის სახელიცაა.

წიბორწყალი–ნაძვის კევი. მაგ. **წიბორწყალი** წამალია კიბილებისა, ღეჭო უნდა ძილის წინ...

წისქვილის ნაწილები: – ფეხი, მაზი, ჭიპი, არქი, ქუა, ალა, ხვიმირი, სარეკელაჲ, ლაფერაჲ, ღურნე, სუზგი, ღარები

წიმიჟდა – შემცივდა, მომეყინა. მაგ. ფეხებზე წიმიჟდა სიცივეში...

წოწინარი – ოწინარი

წონის ერთეულები: – ფუთი, პინა, კოდი, ჲემი, ურბი, ოყა, კვერცხი

წუნკერი – გაუტანელი, ავი

ჭ

ჭარბადელაჲ– ერთგვარი ქალახი. გამოიყენება საჭმელად

ჭიჭლაყაჲ – ენამატატა, ტრაბახა, მოლაყბე; ერთგვარი ბალახის სახელიცაა.

ჭკუაგამჭრო – გონებაგამჭრიახი

ხ

ხალხამი – სანაგვე ადგილი

ხამათ – ხელმეორედ

ხასმები – თანაბარი სიძლიერისანი

ხირხალი – კიბე (ხისა)

ხუმლი – ხომლი (ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული). მაგ. შავარდენი გადმოფრინდა, ქვეშ მიმინო ხუმლიანი. ფეშტემალი არ შამეიხვიო, მასტე შამოჲ ქემრიანი.

ჯ

ჯილდავი – სჯა, ბაასი, ბჭობა. მაგ. მაგა რაღათ უნდა მაგდენი ჯილდავი...

ჯინჯიხი – „მდუღრისა და თბილის საშუალი“ – საბა. მაგ. იმფერი ჯინჯიხი წყალია, რუმ...

ჰ

ჰავამაშინაი–თვითმფრინავი. „წინწინ ჰავამაშინაი არ იყო, არ ვიცოდით რა იყო ისა“...

ჰასუთა – საჭმელი ერთგვარი. კეთდება თაფლით, კარაქითა და სიმინდის ფქვილით.

ამრიგად, დიოკნისური მეტყველება გარკვეულ გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებას იჩენს. იგი ზემოაჭარულის ერთ-ერთ თქმას წარმოადგენს და საინტერესო დიალექტური ერთეულია.

Шушана Путкарадзе

РЕЧЕВЫЕ ОСОБЕННОСТИ ЖИТЕЛЕЙ ХУЛОЙСКОГО КРАЯ

Резюме

Аджарский диалект – один из интереснейших диалектов грузинского языка. От других диалектов отличается история его становления, на которую большое влияние оказало трёхсотлетнее влияние османского языка, а также оторванность от родного грузинского языка.

Эти объективные причины выявили в языковой ткани аджарского диалекта две главные особенности: консервацию архаических форм и влияние османского языка, которое чувствуется главным образом в лексике.

В Аджарии грузинский язык показал свою устойчивость и твёрдость. Он почти повсеместно сохранил свой грамматический строй, звуковой состав и основной лексический фонд. Подобно европейским кельтским языкам (в Уэльсе и Бретани), грузинский язык выдержал ежедневный трёхсотлетний натиск османского языка.

Речь жителей Хулойского края относится к одному из верхнеаджарских говоров аджарского диалекта. Она богата архаизмами, заимствованными из османского

языка лексическим единицами и диалектными неологизмами, лингвистический анализ которых представлен в данной статье.

Речь жителей Хулойского края может представлять для исследователей большой лингвистический интерес с точки зрения грузино-османских языковых контактов.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. მაცნე, N3, N4, 1967 წ.
2. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1949 წ.
3. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943 წ.
4. შ. ნიჟარაძე, მასალები აჭარული დიალექტური ლექსიკონისათვის (წინასწარი დასკვნები) რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII-VIII, 1959-1960 წ.წ.
5. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, 1961 წ.
6. ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, 1960 წ.
7. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. I, 1958 წ.
8. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1966 წ.
9. თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, 1950 წ.
10. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953 წ.
11. ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938 წ.
12. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია. 1956 წ.
13. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937 წ.
14. ი.ბ. სტალინი, „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, თბილისი, 1951 წ.

ნანული ნოღაიდელი

ხულოს მკვიდრთა ლექსიკის დახასიათებისათვის

ხულოს მუნიციპალიტეტის მკვიდრთა მეტყველება აჭარული დიალექტის ზემოაჭარულ კილოკავს ეკუთვნის. ამ კილოკავისათვის დამახასიათებელ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარულ დიალექტში დაფიქსირებული მოვლენებისა თუ მომხდარი ცვლილებების კვლევაში.

გეოგრაფიულად ხულოს მუნიციპალიტეტი მესხეთ–ჯავახეთისა და გურიის მეზობლად მდებარეობს. სამხრეთით კი თურქეთს ესაზღვრება. მისმა ამ მდებარეობამ განსაზღვრა კიდეც ერთგვარად ამ რეგიონის მკვიდრთა მეტყველების თავისებურებები, ლექსიკური მრავალფეროვნება.

ხულოს რეგიონის მკვიდრთა ლექსიკის მრავალფეროვნებით ხასიათდება. მისი მიმოხილვა ემყარება ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და ავტორის პირად არქივში დაცულ ექსპედიციებსა თუ ინდივიდუალურად შეკრებილ ლექსიკურ მასალებს. ნაშრომში, ძირითადად, აღწერილი და განხილულია მუნიციპალიტეტის საოჯახო მეურნეობასა და სოციალურ ყოფასთან დაკავშირებული დარგების: მესაქონლეობის, რძის პროდუქტების დამზადების, ხალხური სამზარეულოს, მებოსტნეობის, რთვა–ქსოვის, ბავშვის აღზრდის და სხვ. ლექსიკა. ნაშრომში მოტანილი ლექსიკური მასალა შედარებულია ძველი ქართული ენის, განმარტებით და ქართული ენის ცალკეულ დიალექტთა ლექსიკონებთან. მოცემულია არქაული ქართულისა თუ აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგია, გამოვლენილია ხულოს რეგიონის მკვიდრთა მეტყველებაში არსებული ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არაა შეტანილი აჭარული დიალექტის უკვე გამოცემულ ლექსიკონებში.

არქაული ლექსიკიდან გვინდა გამოვყოთ რამდენიმე ერთეული, რომელთა კვლევაც, შესაძლოა, საერთოქართველური ფუძეენის კუთვნილი ზოგიერთი არქეტიპის აღდგენაში დაგვეხმარება. მაგ.:

1. ივ. ჯავახიშვილი ქართულში ყურადღებას ამახვილებს სიტყვებზე: ბურტყლი, სარტყელი, შემორტყმა... მეგრულ ბურდღა–ზე და აღნიშნავს, რომ რტყ–ძირისაგან ქართულში მრავალი სიტყვაა ნაწარმოები, თანაც მიუთითებს, რომ ამ ძირის სიტყვები თავდაპირველად შემოვლებულის, გარშემორტყმულის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი, 37, 617–619).

ამ ტერმინთა განხილვისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული **რტყ**.–ძირის ეკვივალენტი მეგრული **რდღ**–ძირიანი სიტყვა **ბურდღა** ახლაც აქტიურად იხმარება ქართული ენის დასავლურ კილოებში და იგი ზანიზმადაა მიღებული ამ კილოებში, მაგრამ ხულოს რეგიონში დავადასტურეთ **რტყ.** –ძირიანი სხვა სიტყვაც–**ლარტყა,** რაც სვანური ენისთვის დამახასიათებელი ფორმაა. იგი გვხვდება მთელ აჭარულ დიალექტში და, ასევე, სხვა დასავლურ დიალექტებშიც (გურულში, იმერულში...). **ლარტყა** არის წვრილი, თხელი ძელი (ნ. საბა), რომელიც შენობის აგებისას მასზე ან მის რომელიმე ნაწილზე გარს შემორტყმისათვის იხმარება. სიტყვაში **ლარტყა** ლა–სვანურში გამოყენებული თავსართია, რომელიც ქართულ სა– თავსართს შეესაბამება.

ორნამენტს (ჩვენს შემთხვევაში, ნაქსოვში გამოყვანილ ნახატს) ზემოაჭარულში უწოდებენ **სახეს, ჭრელს, ნამჭრელს** (ვარშალომიძე, 81, 83), ხოლო მის ნაქსოვში **გამოყვანას–ჩახატვას, ჩაქსოვას, დამჭრელებას** ან **დაჭრევლებას**.

ორნამენტის შექმნის პროცესის და თვითონ ორნამენტის ამსახველ ტერმინებს თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მათი უმეტესობა უკავშირდება ფუძეს **ჭრელ**–(ჭრელი, ნამჭრელი, დამჭრელება, დაჭრევლება...).

ჭრელი –ჭრ– ძირზე –ელ მაწარმოებლის დართვით მიღებული მიმღეობაა. ასევეა სხვა სახელებიც: ნა–(მ)–ჭრ–ელ–ი, და–(მ)–ჭრ–ელ–ებ–ა, და–ჭრ–ევ–ლებ–ა.

ჭრელი ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულში: 1. იგი გამოხატავდა ნაირფერობას. 2. აღნიშნავდა სახეს, ჩუქურთმას (აბულაძე, 75). ასეა ახლაც (ქეგლ, VIII).

ცნობილია, რომ აღნიშნული სიტყვის ძირი **ჭრ**– ეტიმოლოგიურად **ჭრას**, კვეთას უკავშირდება (შანიძე, 74, 29). სიტყვა **ჭრას** კი ტერმინ **წერას** უკავშირებენ. მიაჩნიათ, რომ ტერმინი **წერა** მიწათმოქმედების განვითარებას უკავშირდება და თავდაპირველად ნიშნავდა მიწის ჭრას, კვეთას. წერა რომ მიწის გაღარვა–გასერვას აღნიშნავდა, ქართული წერილობითი მონაცემებითაც მოწმდება (სურგულაძე, 78, 10). შემდგომში, როგორც ჩანს, თანდათან გაფართოვდა ამ სიტყვის სემანტიკა და იგი საერთოდ დაუკავშირდა **ჭრასა** და **კვეთას**.

გამოსახულების წერით შესრულების პროცესს თავის მხრივ გავლენა უნდა მოეხდინა ტერმინ **წერა**–ს სემანტიკაზე. გარდა ჭრისა და კვეთისა, წერას დაეკისრა ხატვის ცნების გამოხატვაც. შესაძლოა, ამ ვითარების ასახვა დავინახოთ აჭარულ დიალექტში (ზემოაჭარულ კილოკავში), როცა ინფორმატორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „სიმინდი პირველად დაიწერება“ (სიმინდის ტაროში პირველად მარცვლის ჩანასახები ხაზებივით გამოჩნდება, გამოისახება) ან „საფრექოზე“ (საქსოვი დაზგა) მოქსოვილი შალი გრუზებიანია (ამობურცულ–ხაზებად დაყოფილი) და ნაწერივით წავაო“.

როგორც მ. სურგულაძე აღნიშნავს „ისტორიულად სიტყვამ „წერა“ სამი ძირითადი მნიშვნელობა მოგვცა: 1. გაჭრა, გაკაწრვა. 2. გამოსახულების გამოყვანა, ხატვა 3. წერა (სურგულაძე, 78, 12–19).

ეს, რაც შეეხება სიტყვის სემანტიკას. სიტყვათა შედარებითი კვლევისას კი დადგენილია, რომ ძირი **წერ** (Ger-გამოსახვის, გაკაწრვის, წერის მნიშვნელობებით) საერთოქართველურ ენაში იხმარებოდა და შემდგომ ძველ ქართულშიც კარგად იყო ცნობილი (ჩიქობავა, 38, 407; კლიმოვი, 64, 249): ჭან.–ნ (ჭარ)–; მეგრ.–ჭარ; ქართ. წერ. საერთოქართველური მოხმარების დონეზე ხსნიან ჭრის, კვეთის აღმნიშვნელ –**ჭრ**– ძირსაც: ქართ.–ჭრ/ჭერ; მეგრ.–ჭკერ/ჭკირ; ჭან. ჭკირ/ჭკორ; სვ. –რ (სავარაუდოდ)–(კლიმოვი, 64, 255).

ამდენად, ზემოაჭარულში მოძიებული ტერმინები: **ჭრელი, ნამჭრელი, დაჭრევლება, დამჭრელება**..., რომლებიც ნაქსოვში, ხეზე თუ ქვაზე ორნამენტის „ჩახატვას“, სახის გამოყვანას გულისხმობს, ნაწარმოებია საერთოქართველური ჭრ– ძირიდან.

აჭარულ დიალექტში, ზემოაჭარულ კილოკავში (ხულო), ქართული ენის ზოგი სხვა დიალექტის (იმერული, მოხეური, მთიულური, ფშაური) მსგავსად, დასტურდება სიტყვა **სათარი**, რაც დაქანებულ ადგილას გაკეთებულ, ხის დასაცურებელ ღარობს აღნიშნავს. **თარ**– ამ სიტყვის ძირია, **სა**– კი მაწარმოებელი აფიქსია.

გათარვა, თარ–ძირიანი სიტყვა, განმარტებული აქვს თავის ლექსიკონში სულხან–საბა ორბელიანსაც, რაც ძალით გაყვანას ანუ ძალით გათრევას ნიშნავს. **თარ**–, **თრ** ძირების იდენტურობაზე მიუთითებენ თავიანთ ნაშრომებში არნ. ჩიქობავა, გ. კლიმოვი და სხვ. და აღნიშნული აქვთ რომ **თრ**– კანონზომიერად შეესატყვისება თარ–ძირს. საენათმეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ქართ. **თარ–, თრ;** სვ. **თრ**–, მეგრ. **თირ**–, და ლაზ. **თორ**– (**თირ**–, **თურ**–) ძირების ფონეტიკური შესატყვისობა, **თრ**–ძირი აღდგენილი არქეტიპია საერთოქართველური ფუძეენისათვის (ფენრიხი, სარჯველაძე, 90, 144).

ხულოს მუნიციპალიტეტის მკვიდრთა მეტყველებაში სანაშენო ხარი, ბუღა აღინიშნება სიტყვით **სამტავრო.** აგებულების მიხედვით ამ სიტყვაში გამოიყოფა ძირი–**მტ** (სა–მტ–ა(ვ)რ–ო. ზემო აჭარულში ამ ძირით ნაწარმოები სხვა სიტყვაც გვაქვს: მტილი–ნერგი, ჩითილი (შდრ. აბულაძე, საბა, ქეგლ–მტილი–ბოსტანი).

ძირი –მტ– ფონეტიკური სახესხვაობებით (ნტ–, რტ–) გამოყენებულია სხვა ქართველურ ენებშიც: ჭან. ო–ნტ–ულ–ე – ბოსტანი; მეგრ. ო–რტ–ილ–ი (ო–რტ–ვინ–ი)–ბოსტანი; ლე–რტ–ამ–მწვანილი (ჩიქობავა, 38,147; Климов, 64, 126).

არნ. ჩიქობავას დასკვნით, მტილ–, რტილ–, ნტულ–, რტამ, ერთიდაიგივე ფუძეა. განსხვავებას ქმნის თავკიდური მ–ნ–რ–ს მონაცვლეობა, რაც ჩვეულებრი-

ვია ქართულში. ამ სიტყვათა ურთიერთობა გარკვეული აქვს ივ. ჯავახიშვილსაც (ჯავახიშვილი 37,98–100).

უძველესი წარმოების ტერმინებადაა ქართულში გამოყოფილი კომპოზიტები: **დედამთილი** და **მამამთილი** (ჩიქობავა, 38,148), რომელთა შემადგენელი სახელი მთილი გ. კლიმოვს ბუნდოვანი წარმოშობის სიტყვად მიაჩნია. როგორც აღნიშნავენ, **მთილ**–ქართულში, ისე, როგორც მისი შესატყვისი **ნთილ**–მეგრულში, დამოუკიდებლად არ იხმარება. იგი შედის კომპოზიტების: დედამთილი, მამამთილი–შემადგენლობაში. ლაზური მთირ–ი (მთილ–ის კანონზომიერი ქართული შესატყვისი) მოწმობს, რომ ეს ფუძე ქართველურ ენებში დამოუკიდებლად იხმარებოდა და მას უფრო ზოგადი სემანტიკა ჰქონდა. დედა–მთილ, მამა–მთილ–კომპოზიტთა პირველი ნაწილები ამ ზოგად მნიშვნელობას აკონკრეტებს. სვანური დიმთილ, მიმთილ ფორმები მეგრულიდან ჩანს ნასესხები (ფენრიხი, სარჯველაძე, 90,218).

ენის კანონზომიერებიდან გამომდინარე და ძველი ქართული ენის მონაცემების გათვალისწინებით, **მთილი** და **მტილი** ერთიდაიმავე ძირის, ფონეტიკურად სახენაცვალი ფუძეა. **მთილი, მტილი** და **სამტავრო** სიტყვების ძირების (მთ,–მტ–) იდენტურობა გვაფიქრებინებს მათ სემანტიკურ მსგავსებაზეც შთამომავლობის, ჯიშის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ამ მოსაზრებას ერთგვარად გვიდასტურებს ხულოს მუნიციპალიტეტში ჩაწერილი ერთ–ერთი წყევლის ფორმულაც: „გამოგწყვიტა ღმერთმა, არ გაგამტლიაო“–ე.ი. ღმერთმა არ გაგახარა, გაგამრავლაო.

ფახაცი ზემოაჭარულ კილოკავში, უხეშ, ცუდად დასამუშავებელ მატყლს ჰქვია. სიტყვა გვქონია **ფაცახი** ფორმითაც (საბა). სიტყვა **ფახაცი**, ქეგლ–ის მიხედვით, გავრცელებული ყოფილა გურულსა და ქიზიყურ დიალექტებშიც, ფშაურში კი მას სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონია. **ფახაცი** აქ აღნიშნავს შიშს. აჭარულში დადასტურებული სიტყვა **ფახაცი** მნიშვნელობით სვანურში არსებული **ფახაცის** ფარდია. იგი აქაც უხეშ, ხაოიან, ხორკლიან მატყლს აღნიშნავს: „სვანურ ცხვრებს ფახაცი მატყლი აქვთ“ (თოფურია, ქალდანი).

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი თავიანთ წიგნში «Индоевропейцы и Индоевропейские языки» წიწვოვან მცენარეთა ერთ–ერთი სახეობის სახელად ასახელებენ ძველირანულ სიტყვას nauča-ს (ნაუძა), მაგრამ, როგორც ავტორები აღნიშნავენ, იგი იზოლირებულად დგას სხვა ენების მონაცემებისაგან და არ ჩანს მისი ურთიერთობა ინდოევროპულთან და მის დიალექტებთან. ავტორთა ვარაუდით, ეს ირანული ფორმა (nauča) ნასესხები უნდა იყოს ქართველური ენებიდან–სიტყვიდან **ნაძვი** (მეგრ. nu u //Nuzu- ნაძვი; სვ. le-nz–ფიჭვი, ნეძვრა–ფიჭვი, სოჭი, ნაძვი (გამყრელიძე, ივანოვი, 84, 634). ზემოჩამოთვლილი ქართველური ტერმი-

ნებიდან ჩვენი დაინტერესება გამოიწვია სვანურმა სიტყვამ lenz (ლენძ), რაც სოჭს, ფიჭვს აღნიშნავს. ზემოაჭარულ კილოკავშიც, მშენებლობის ლექსიკაში გვაქვს ამ ფუძის სიტყვა **ლენძა**, რომელიც არ (ან აღარ) აღნიშნავს ფიჭვს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, გამოიყენება სამშენებლო ლექსიკაში და აღნიშნავს ლარს–სამშენებლო მორზე სწორი ხაზის გასაყვანი ხელსაწყოს სახელს. ამ ფუძეს შეიძლება დავუკავშიროთ ქართული სალიტერატურო სიტყვა **ანძაც** (ლე–ნძ–ა... ა–ნძ–ა).

ზემოაჭარული (ხულოს მუნიციპალიტეტი) კილოკავის სამშენებლო ლექსიკაში გამოიყოფა, ასევე, ტერმინი **კელი,** რაც აღნიშნავს მოკლე ფიცარს, რომლითაც აშენებენ სახლის კედელს ფანჯრებს ან კარსა და ფანჯარას შორის; ასევე, უწოდებენ ფიცრის დასაგრძელებელ მეორე, მოკლე ფიცარსაც. როგორც ხულოს მუნიციპალიტეტის მკვიდრთა მეტყველებაში, ასევე, მთელ აჭარულ დიალექტში გვაქვს ტერმინ კელი–სგან ნაწარმოები სიტყვა **კელობა** (კოჭლობა), რაც ძველ ქართულშიც ფიქსირდება (ნ. აბულ., საბა). როგორც აღნიშნავენ, ეს ფუძე გვაქვს ბერძნულშიც: kелло́v-მოღრეცილი, მოგრეხილი; kілле–ხარი, რომელსაც ცალი რქა აქვს მოგრეხილი (გორდეზიანი, 85, 64). ამ ტერმინების სემანტიკიდან ჩანს, რომ „ფუძე ნაკლულობის მნიშვნელობას შეიცავდა“. როგორც რ. გორდეზიანი მიუთითებს, „თუკი აქ არ გვაქვს საქმე იმავე ფუძის ვარიანტთან, რომელიც kолласos-ში დასტურდება, მისი შეპირისპირება შეიძლებოდა ქართულ–ზანური ერთიანობის დონემდე ამავალ ქართულ კელ/კლ ფუძესთან (მეგრ., ჭან. –კორ– გორდეზიანი, 85, 64). აქვე უნდა განვიხილოთ ქართული **მკელობელი**, **მკელობარი**–კოჭლი; ჭან. **მკულე**, მეგრ. **ხეკულე** და სვან. **მ□კლი**–კოჭლი. ეს მონაცემები შეიძლება შევავსოთ ზემოაჭარულში არსებული სიტყვით **კელი**, მითუფრო, რომ იგი, ზემოაჭარულის გარდა, არც აჭარულ და არც ქართული ენის დასავლური ზონის სხვა დიალექტებში დასტურდება.

მსგავსი ვარაუდი შეიძლება გამოითქვას სიტყვა **თელის** შესახებაც. იგი ქართულ ენათმეცნიერებაში ქართველურ არქეტიპადაა გამოყოფილი და ქართულ–ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის გამოყოფილ ძირად მიიჩნევენ (Климов, 64, 910; ფენრიხი, სარჯველაძე, 90, 146). ეს სიტყვა ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში არ დასტურდება. მხოლოდ სულხან–საბას აქვს იგი შეტანილი თავის ლექსიკონში: თელი–ღორის გოჭი. არც ახალი სალიტერატურო ქართული იცნობს ცალკე ამ ტერმინს. აჭარული დიალექტის მესაქონლეობის ლექსიკაში დასტურდება სიტყვა **ღორთელი**, რაც აღნიშნავს საქონლის ერთგვარ დაავადებას, რომელიც უჩნდება ხბომოსაყვან საქონელს მუცელში და „უჭამს“ ნაყოფს. ქეგლ–ის მონაცემებით, სიტყვა **ღორთელი** ცნობილი ყოფილა იმერულსა და რაჭულ დიალექტებშიც. იმერული დიალექტის მიხედვით, **ღორთელი**

გინეკოლოგიური დაავადებაა, უჩნდება ქალს მუცელში და ჭამს ნაყოფს. რაჭულის მიხედვით კი, **ღორთელი** ყელის ერთგვარი დაავადებაა (ქეგლ). **ღორთელ, ღურთელი** დასტურდება სვანურშიც. აქ იგი იხმარება: 1. ყელის ჯირკვლისა და 2. ყელის ჯირკვლის დაავადების, კატაჯვარას აღსანიშნავად (თოფურია, ქალდანი, 2000).

ტერმინი **ღორთელი** კომპოზიტური წარმოების სიტყვაა: ღორ+თელი (შდრ. საბა, თელი–ღორის გოჭი). ამ ლექსემის მეორე, შემადგენელი სიტყვა **თელი**, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ–ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის აღდგენილი არქეტიპია. როგორც ჩანს, აჭარულს, იმერულ და რაჭულ დიალექტებთან ერთად, სიტყვა **თელი** ტერმინით – **ღორთელი** შემოუნახავს. აღსანიშნავია ისიც, რომ **თელ**– ფუძე, კელ–ფუძის მსგავსად, დასტურდება ბერძნულშიც და მასაც ქართველურიდან ნასესხებად თვლიან (გამყრელიძე, ივანოვი, 84, 904).

მესაქონლეობის ტერმინოლოგიაში გამოიყოფა სიტყვები: **გენვა, მოგენება, მოგერება, მოგერისება, მოგანება, მოგანურება**, რომელთაც ერთი ძირი **გენ** (გერ, გან) აერთიანებს. ყველა ეს ტერმინი აღნიშნავს ხბოს მიშვებას დედასთან მოწველამდე ძუძუს გამოსაწოვად. მეგრულსა და ლაზურში **გინ–გენ** ძირი აღნიშნავს ხბოს, ძროხის ნაშიერს. **გენვა** ამავე სემანტიკით გვქონია გურულსა და იმერულშიც. ამ ტერმინთან დაკავშირებით ბევრი მეცნიერი მსჯელობს (ჟღენტი, 40; ღლონტი, 74; ჩიქობავა, 38, 38; სურმავა, 76; ნარაკიძე, თანდილავა, 86...) მიღებულია მოსაზრება, რომ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, მათ შორის აჭარულში, **მოგენება/მოგანება** სიტყვები და მათი სხვა ფონეტიკური სახესხვაობანი ზანური **გენ, გან** ძირიდან მომდინარე ფორმებია. ეს ძირი, სხვა დიალექტების მსგავსად, შესაძლოა, ზანიზმი იყოს აჭარულშიც, თუმცა, ბოლო გამოკვლევებით, გენ–ძირს ზოგი მეცნიერი ქართულ–ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის დამახასიათებლად ასახელებს (ფენრიხი, სარჯველაძე, 90, 79), ზოგიც საერთო ქართველურ ძირად გამოჰყოფს (გამყრელიძე, ივანოვი, 84) მაგრამ, არსებობს სხვა მოსაზრებაც. ზ. თანდილავას მიაჩნია, რომ „საკუთრივ მეგრულ–ჭანურში გენ– ძირი ბერძნულიდან (genos-გვარი) ნასესხები ჩანს“ (თანდილავა, 83, 89).

თუ ზემოთგანხილულ ტერმინს (**კელი**) გავიხსენებთ, შესაძლოა დავუშვათ ვარაუდი, რომ მოხდა პირიქით და **გენ**– ძირი საერთოქართველურიდან გავრცელდა ბერძნულში, მით უფრო, რომ განხილულს გარდა, გენ–, გან-, გერ–, გინ–ძირების სხვა ტერმინებიც გვაქვს ზემოაჭარულში, ნათესაობის ლექსიკაში. ეთნოგრაფიული მონაცემებით ისინი შთამომავლობას აღნიშნავენ. ეს სიტყვებია **ნაგრამი** და **ნეგრო**. ვლ. მგელაძის ვარაუდით, აჭარულში (ღორჯომის ხეობა) ფიქსირებულ **ნეგროს** გურულში **ნაგრო**, ხოლო იმერულში **ნოგრო** შეესატყვისება

(მგელაძე, 73, 76). **ნეგრო–ნოგრო–ნაგრო–ნაგრამი გრ** ძირით ნაწარმოები ტერმინებია. ძველ ქართულშიც ლექსიკური ერთეული **ნოგრო** ჩამომავლობასა და ჯილაგს–მემკვიდრეობით თვისებას აღნიშნავს (ჯავახიშვილი, 37, 184).

ქეგლ–ის მიხედვით, **ნაგრამი** აჭარულსა და გურულში შთამომავლობას აღნიშნავს, იმერულში კი შინაური ცხოველის ნამატს ეძახიან, გადატანით შვილებსაც ნიშნავს. დასახელებულ სიტყვა–ტერმინთა შედარება გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ყველა ეს სიტყვა გერ/გრ ძირიდანაა მიღებული და, ძირითადად, მაინც შთამომავლობის აღმნიშვნელად გამოიყენება.

ქართულ–ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის შეიძლება აღვადგინოთ ტერმინი **თხამლი**, რაც ჩირქს, ბალღამს აღნიშნავს. ძველ ქართულშიც გვხვდება ეს სიტყვა **თხრამლი** ფორმით („შუშანიკის წამება“). მიუთითებენ, რომ „შუშანიკის წამების“ ის ნაწილი, სადაც ეს სიტყვა დასტურდება, გვიანდელი XVII-XVIII სს ხელნაწერით არის მოღწეული და ფორმა **თხამლი** უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ვიდრე **თხრამლი**, თანაც საყურადღებოა, რომ **თხამლ** ძირის კანონზომიერი შესატყვისია: მეგრ. თხომურ//თხუმურ; ლაზ. თხომურ//თხომრ (ფენრიხი, სარჯველაძე. 90, 157).ზემოთგამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს აჭარულ დიალექტშიც (ხულოს მუნიციპ. მკვიდრთა მეტყველებაში) არსებული სიტყვა **თხამლი**.

ხულოს რაიონის მკვიდრთა მეტყველებაში ვხვდებით დედულეთის ფარდ სიტყვას **ბებრეუთი** (**ბებრევთი**).

იგი დაფიქსირებულია სოფლებში: ქედლები, უჩხო, ვაშლოვანი, დიაკონიძეები, თაგო, აგარა და სხვ. ეს სიტყვა ჩაუწერია, აგრეთვე, ბატ. იური ბიბილეიშვილს ღორჯომში და ეს ცნობა გამოუქვეყნებია ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ (1968 წ. №4, გვ. 29). ეს სიტყვა გამოყენებული აქვს პოეტ მამია ვარშანიძეს თავის პოემაში „ხიხანის არწივები“ და განმარტებული აქვს, როგორც მეუღლის მშობლიური სოფელი.

„დედის სამშობლო შვილისათვის ბებრეუთიაო“, – გვითხრეს ადგილობრივ (ე.ი. დედულეთი!).

ბებრეუთი, არაა ფიქსირებული აჭარის სხვა კუთხეთა ლექსიკაში ან ქართული ენის რომელიმე სხვა დიალექტში. საგულისხმოა, რომ ჯავახურსა და მესხურ კილოებში ბებიას აღსანიშნად დაცულია სიტყვა **ბებერა** (დასახელებასა და მიმართვაში: ბებერაჩემი, ბებერაჩემო!): „ბებერა–ბებია, დიდედა“. „ბებერაჩემი ას ათი წლისა მამკვდარა, პაპაჩემი კი – ასი წლისა“ (ჯავახური. ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, 646) „ბებერა–ბებია, დიდედა“. ბებერაჩემი იტყოდა, ხოლმე, სოფლის მოკვამლეებს კედლები გამონგრეული ჰქონდათ ერთიმეორეშიო“ (მესხური, ქართული დიალექტოლოგია, I, 657, 673).

ბებერას სალიტერატურო ქართულში ეტყვიან აბურცებულ, აშუპებულ (ქეგლ, I, 1950) ადგილს; აბურცებულ წყალჩამდგარ კანს (ნ.ჩუბინაშვილი, 1961).

ბებერას გაჩენა ნიშნავს ტყავის თუ კანის გაუხეშებას, „დაბერებას“, ტყავის (კანის) აბურცებას, ტყავის თუ კანის ადგომას (საბა, 1928).

ამ შემთხვევებში, ვფიქრობთ, სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. იგი კანის, ტყავის დაბერებას, ქსოვილის გადაგვარებას გულისხმობს. გარკვეულია, რომ **ბებერა** მიღებულია სიტყვიდან **ბებერი**, თვითონ სიტყვა ბებერი კი – **ბერ** ფუძის რედუპლიკაციით: ბერ+ბერ–ი→ბებერი (კომპოზიტის პირველ ნაწილში რ ბგერა ჩავარდნილია დისიმილაციური დაკარგვის კანონზომიერებით და მივიღეთ ბებერი. ივ. ქავთარაძე, 1969, 99).

ბებერი, საბას განმარტებით, არის ბერი დიაცი. იქვე, **კაცის** განმარტებაში კი ვკითხულობთ: სრული კაცი, ვიდრე ორმეოცდაათამდე და შემდგომად ეწოდების: ვაჟსა–მოხუცებული, ქალსა–მოხუცებულა და შემდგომად ვაჟსა –ბერი და ქალსა ბებერი, რომელ არს მამაბერი და დედაბერი (საბა, 1928).

ივ. ქავთარაძე სიტყვა **ბებიას** წარმომავლობის კვლევისას მესხურ საბუთებზე დაყრდნობით ამბობს: მეტი კონკრეტულობისა და სიზუსტისათვის, ჩანს, ამ სიტყვამ კნინობით–საალერსო შინაარსის გამომხატველი **ა** სუფიქსი ადრიდანვე აღჭურვა მამდედრობითებელი გაგებით და **ბებერს გვერდით ამოუდგა ბებერა** ბებიას, მოხუცებული ქალის მნიშვნელობით (ივ. ქავთარაძე, 1969, 100). ავტორს თავისი მოსაზრების წამოსაყენებლად გამოუყენებია ლ. მუსხელიშვილის „აბუსერიძე ტბელი. ბოლოკ ბასილის მშენებლობის მატიანე შუარტყალში, 1233 წლისა (თბ. 1938 წ.), ქრ. შარაშიძის საქართველოს ისტორიის მასალები XV–XVIII სს. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის (ნაკვ. 30; 1954 წ.).

საბასეული განმარტებიდან კიდევ ერთხელ ირკვევა, რომ ბებერი არის არა საერთოდ მოხუცებული (რა გაგებაც ამ სიტყვას თანამედროვე ქართულში აქვს), არამედ მოხუცი ქალი; ხოლო ისტორიული რეალობიდან კი დასტურდება, რომ ეს მოხუცი ქალი (ბებერი–ბებერა) არის ბებია!

ვფიქრობთ, **ბებრეუთი** სიტყვა ბებერადან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულია. იგი შინაარსით, დედულეთის თანხვდენილია და მისივე ანალოგიით უნდა იყოს წარმოქმნილი –ეულ და –ეთ სუფიქსებით დართვით (აკ. შანიძე, 1953, 130), მაგრამ აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელი, განსხვავებული ფონეტიკური მოვლენებით. ბებერა+ეულ→ ბებერეულ→ ბებრეულ→ბებრევლ→ბებრევ. დადასტურებულია, რომ აჭარულ დიალექტში – ეუ კომპლექსი ისწრაფვის დიფთონგად გადაქცევისაკენ (შ. ნიჟარაძე, 1961, 21): ეუ>ეუ̂||ევ – ჩამტვრეული→ჩამტრევლი, პურეული→პურევლი; ნიგაზეული→ნიგაზევლი... არის მო-

საზრება, რომ –ევ სუფიქსი ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელშიც მიიღება –ეულ სუფიქსისაგან აღნიშნული საფეხურების გავლით და ბოლო **ლ** კი დაიკარგა. მაგ. მაჭახლის ხეობის ტოპონიმებში: მარჯანევი, ბირტყევი, მაზარევი, ამ ხეობის მცხოვრებნი დასახელებული ფორმების პარალელურად ხმარობენ: ბირტყევლ, მარჯანევლ, მაზარევლ (ა. მსხალაძე, 1954, 25–27). ე.ი. მივიღეთ **ბებრევი**. თუ ამ ფორმას –ეთ სუფიქსი (კრებითობის, მრავლობითობის სუფიქსი) დაემატება, გვექნება ბებრევეთი→ბებრევთი. შესაძლებელია სხვაგვარი წარმოების დაშვებაც–მხოლოდ –ეთ სუფიქსით: ბებერა+ეთ→ბებრეთი თუ მიღებულ სიტყვაში ჩაემატებოდა ვ, რის მაგალითებიც მრავალია აჭარულში (მაგ. საჩუქვარი, საცოდვავი, მაშვინ, იძულვებული და ა.შ.), მაშინ მივიღებდით **ბებრევთს**.

შესაძლოა **ბებრევთი** თავდაპირველი ფორმაც იყოს სიტყვისა და მისგან გვქონდეს მიღებული შემდეგ **ბებრეუთი**; თვითონ ბებრევთი კი ბებერ–ის მრავლობითს წარმოადგენდეს –ევ სუფიქსის დართვით (ა. შანიძე, 1953, 138. შდრ. –ევ დაბოლოებიანი მრავლობითი ზოგიერთ სოფელთა სახელებში: ვაშლევი←ვაშლები; ბეღლევი←ბეღლები და ა.შ.) და იყოს კომპოზიტი, რომლის მეორე ნაწილი საზოგადო სახელია, ვთქვათ, სახლი, სოფელი, კარი... მაშინ გვექნებოდა: ბებრევთა (ბებრებთა) სახლი; ბებრევთა (ბებრებთა) სოფელი, ბებრევთკარი და ა.შ., როგორც მაგ.: ჯიქთუბანი, წინამძღვრიანთკარი, ვეძათხევი და ა.. ასეთ ფორმებს დროთა ვითარებაში უნდა დაჰკარგოდათ მეორე, შემადგენელი ნაწილი და დაგვრჩებოდა **ბებრევთა**, როგორც წყაროთა, ღართა, გზათა, ბაქართა და სხვ. (ვ. თოფურია, 1956, 288; თ. ზურაბიშვილი, 1961, 142) ე.ი. დასაშვებია, მიგვეღო **ბებრევთა→ბებრევთი**. ბებრევთიდან კი **ბებრეუთი**. არის შემთხვევები, როცა ვ უ–ს უდრის. შდრ.: რუა, ზღუა (არნ. ჩიქობავა, 1936, 14). აჭარულშიც მოიძებნება ვ–ს უ (უ)–სთან გატოლების ნიმუშები: თევრათი→თეურათი; ბევრი→ბეური...

ჩვენი ვარაუდით ბებრევთის//ბებრეუთის საწარმოებელი ფუძე **ბებერი** (საბასეული), **ბებერა** (მესხურ–ჯავახური) უფროა, ვიდრე ახალი სალიტერატურო ქართულისათვის ცნობილი ბებერი.

მესხურ–ჯავახურის მსგავსად, სავარაუდოა, ზემოაჭარულში მოხუცებული ქალის, ბებიას აღსანიშნად იხმარებოდა **ბებერა**, მაგრამ იგი ამ გაგებით დროთა ვითარებაში დაიკარგა და მისგან ნაწარმოები სიტყვა **ბებრევთი//ბებრუეთი** კი სწორედ ბებიის საცხოვრისის, შვილიშვილისათვის–დედულეთის, რძლის, გათხოვილი ქალიშვილის მშობლიური კუთხის – სოფლის, ოჯახის, „სამშობლოს“ აღმნიშვნელად შემოგვრჩა.

ძველი ქართული ენის ლექსიკური ფენის გამოყოფა დიალექტური ლექსიკიდან დიალექტის შესწავლის ერთ–ერთი მთავარი პირობაა. ისტორიული

მოვლენების გამო აჭარა, როგორც ცნობილია, XVII საუკუნის დამდეგიდან იზოლირებული აღმოჩნდა მშობლიური სამყაროსაგან. მას ეროვნული გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ აჭარის მკვიდრმა მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართული წეს–ჩვეულებები, დაიცვა და გადაარჩინა მშობლიური ენა. აჭარაში იძულებით შეჭრილმა აღმოსავლურმა ელემენტებმა ვერ დაჩრდილა, ვერ გადაფარა მშობლიური ქართული. აჭარული დიალექტის ზემოაჭარული კილოკავის (ხულოს რეგიონის) დარგობრივ ლექსიკაზე მუშაობის დროს ცალკეული სამეურნეო თუ სოციალური საკითხების დარგობრივად შესწავლისას ჩვენს ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა ზემოაჭარულში გამოვლენილი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც სათავე ძველსა თუ საშუალ ქართულში აქვთ. აჭარული დიალექტისა და ძველი თუ საშუალო ქართულის ლექსიკის ურთიერთმიმართების საკითხს ბევრმა მეცნიერმა (შ. ნიჟარაძემ, მ. ცინცაძემ, მ. ფაღავამ, ნ. ნოღაიდელი...) მიაქცია ყურადღება, მაგრამ მთლიანობაში იგი ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. ლექსიკის დარგობრივად შესწავლამ საშუალება მოგვცა, კიდევ ბევრი ერთეული წარმოგვეჩინა. გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

აგება–1. ერთი გაბმა ძაფი, ლარი. „ჭახრაკს აქვს ბორბალი და ქარი. აგებას გაიტანენ და მოახვევენ ტარზე“ (ნ. აბულ., საბა, შდრ. ქეგლ). საქსოვი ძაფის დაზგაზე საქსოვად გამართვა. „დოლაბზე დავაბრუნებდით მურგვებს და მერე ავაგებდით“ (ნ. აბულ.).

ათხიზნვა, ათხზნა, ათხძნა– შულოდ გაკეთებული ძაფის მოგრეხა, რვიანის მსგავსად მოხვევა. „დოლაბზე დახვეულ ძაფს ავთხიზნვიდით“ (შდრ. საბა, თხზვა).

ამარტი/ამარტა–პირველად გახდილი ან გახდის შემდეგ დარჩენილი უხარისხო ყავარი. „ბეჭით ყავარს ხდი. პირველად ასკდება ამარტი“. „სიგანეში ამარტას გავდებდით და ზეᲘდან ქვებს დავაწყობდით“. ტერმინი ამ მნიშვნელობით ლექსიკონებში არაა მოცემული. ჩვეულებრივად“, ამარტა მძივია ქვათაგან“ (ნ. ვეფხ., საბა). აჭარულის **ამარტას** მნიშვნელობით უფრო მიესადაგება ტერმინი **ავარტნი,** რომელიც საკოლოტე პალოს, მახარს (ნ. საბა) აღნიშნავს.

ანაგულა/ალაგულა/ალაბულა–გაჩეჩვისას საჩეჩელში დარჩენილი უხარისხო მატყლი. საბას განმარტებით, ანაგული მარტყლის ანაჩეჩია“. „ანაჩეჩი კი–საჩეჩელში დანარჩომი მატყლი“.

ალაგულა და **ალაბულა** ანაგულას ფონეტიკური ვარიანტებია ნ.საბა).

ასტამი–აქანდაზი. „ნახშირი მოხვეტა და ასტამით ეᲘღო“. აჭარულში ეს სიტყვა დასტურდება, ასევე, წინდის ორნამენტის სახელწოდებაში: **ასტმიტარა, ასტმიღერა.** ძველი ქართულის მონაცემებითაც, ასტამი ცეცხლის ასაღებ–და-

საღები აქანდაზია აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა“ (შუშანიკის წამება“). საბას განმარტებით, ასტამს უკვე ცომის მოსაფხეკს უწოდებენ.

ბაყვი–ბარკალი (ნ. საბა, ბაყვი–მუხლს ზეითი).

ბაყლი–სიბინძურე, ჭუჭყი. „გოგომ გააწევია დედაბერს მისი ბაყლიანი თავი“ (ნ. აბულ.).

ბაძგარი–მარადმწვანე, ეკლიანი ბუჩქოვანი მცენარე. „ტყეში ვკაფე ბაძგარი და ისე გავედი სამშვიდობო ადგილზე“.

ბრე–სიმინდისა თუ სხვა მარცვლეულის კანი. „სიმინდის ბრე რომ გაჩეჩთება, იმით ჩალახიშს ვაკეთებდით“ (ნ. საბა).

ბრეში– ნაცრისფერი, რუხი. „ოსმალურა გვალია, წვიტკაკალა, ბრეში. ზოვლი მიეხვევა“ (შდრ. საბა, ჩუბინ.).

გადაწინდული–დავალებული, დაკისრებული. „თითო ქალზე გადაწინდუ-ლი იყო ორი ჰელების მოქსოვნა“ (შდრ. საბა, წინდი-ვალისათვის მძევალი).

გადაკვეთა–წინდის ქსოვის დამთავრებისას ბოლო რიგის უკუღმა თვლების ამოყვანით მოქსოვა, რომ წინდა არ დაირღვეს. კვეთა, საერთოდ, აღკვეთას, მოსპობას, ჭრას ნიშნავს (ნ.აბულ. საბა) აჭარულში მისი მნიშვნელობა დაკონკრე-ტებულია. „მოქსოვ ყელს, ბოლოს გადაკვეთ და დაამთავრებ წინდას“. „წინდის ყელზე პრუნჭიას მოქსოვენ და მერე გადუკვეთენ“.

გადაკლიტვა–ნ. გადაკვეთა. ტერმინი ნაწარმოებია სიტყვიდან **კლიტე**, რაც ძველი ქართულის ფორმაა (ნ. აბულ., საბა–კლიტე–ბოქლომი, საკეტი).

გალისპვა–გალესვა, ჩაგლესა. „დამარილულ კარაქს გავლისპავთ კაპიწში კობზით“ (შდრ. საბა, ქეგლ, ლიპი–მთელი ადგილი გაყინული).

გარგანი–კეტი, მსხვილი ჯოხი. „გევხედე, რომ ერთი გარგნიანი კაცი გამოვ-და ტყიდან“ (შდრ. აბულ., არგანი–ჯოხი, კვერთხი).

გარცხვა–გარეცხვა. „იაღს მოაგროვებენ მგვალ–მგვალებად და გარცხავენ“ (ნ. „მესათხევლენი იგი განჰრცხიდეს ბადეთა“. აბულ., საბა).

გლა, დაგლა–კანის დაზიანება, დაკორძება ხახუნით. „ხერტალმა ხელი დამ-გალა“ (ნ.აბულ., საბა).

გრუზი–გრეხილი ზოლი შალის ქსოვილში „ორმაგად ნაქსოვ შალს გრუზები აჩნია (**გრუზი** ძველ ქართულში დაგრეხილი, დახუჭუჭებული თმაა. ნ. აბულ., საბა).

დახელვა – შეშინება, დაფრთხობა. „ბაღვი თუ შეაშინეს, დახელესო,–იტყვიან“ (შდრ. აბულ. ხელი–გიჟი).

დიკა–საყმაწვილო ავადმყოფობა, წითურა. „დიკა ბაღვს წვიტათ გამუაყრის და ცხრა დღეში გუარს“ (შდრ. აბულ. **დიკა**–პურეულია. საბა, ჯავახ. ეკონ. ისტ. I).

თველი–რთველი, შემოდგომა. „ხაპი თესლ ჩარგავ. ლერწი წავა, მეისხამს და თველზე მოვკრეფთ“ (შდრ. ოთხთ. სთუელი–კრეფა; ჰაგ. სთუელი–ყურძნის კრეფა. საბა).

თხზნა–წვნა, გრეხვა. „ძაფს ათხიზნიან, რვიანსავით მუახვევენ და ისე დაჰკიდებენ“. **თხზვა** ქართულ ენათმეცნიერებაში აღდგენილია ქართულ–ზანური ენობრივი ურთიერთობების დონეზე. ზანურში იგი, აჭარულის მსგავსად, წვნას, ხლართვას ეწოდება. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში კი **თხზვა** ამბის, ნაწარმოების შექმნას ჰქვია. ამავე მნიშვნელობითაა ცნობილი **თხზ**–ძირიდან ნაწარმოები სიტყვები ძველ ქართულშიც (ნ. აბულ., საბა).

კაცი–ქმარი. „კაცი რუმ მოგიკტება, მერე მართლა ობოლი ხარ“ (ნ. აბულ., საბა).

მიმწუხარება–ერთმანეთზე დაწყობა, მიწყობა, მილაგება. „აქლემებს მოსამსა-ხურიებმა ტვირთი ჩამოხსნეს და მიამწუხარეს“ (შდრ. აბულ., მწუხრი–საღამო, მიმწუხრი).

მობღლვა–ბალახის ხელით მოგლეჯა. „ბალახის ნარჩენებს მოვბღლით და შევნახავთ საქონლისთვინ“ (შდრ. აბულ).

მორბედი–სასწრაფო საქმეების შემსრულებელი. „კურდღელს რაფრათ მოგცემო, ჩემი მორბედი ეს არიო“... (ნ. აბულ., მორბედი–მორბენალი, მსრბოლი).

მორჩვი–მორედ მოთიბული ბალახი. „საბძელში ვინახავთ თივას, მორჩვს“ (შდრ. აბულ.–მორჩი–ნორჩი რტო).

მოწამლე–ექიმი, მკურნალი. „უწინ ყველა სოფელში იყო თითო–ორ–ორი მოწამლე“ (ნ. აბულ. მოწამლე, მეწამლე–მისანი, „მწამვლელი“).

მსხმო–ძირმაგარა, ფურუნკული. „მსხმოზე ბილაძარღვას დავაფენთ“ (შდრ. აბულ. მსხმო–ნაყოფიერი, ნაყოფით სავსე. „ვითარცა ზეთის ხილი მსხმოᲲ“. ნ. სინ., ოთხთ.).

ნატი–რბილი, ხაოიანი ტყავი; მატყლის ან სელისა და კანაფის ძაფით დამზადებული მჭიდროდ ნაქსოვი საფენი (შდრ. აბულ., ნატი–თალათინი, მოქნილი ტყავი, ტყავის საფენი) „მაშინ კანაფით იქსოვნებოდა შალები... ნატას იყენებდენ სიმინდის დაფშვნის დროს“.

პილწი–ბილწი, ბინძური, ცუდი. „ლოცვა სავაჟო მატაურისა, პილწი ქარისა“ (ნ.ოთხთ.,ბილწი; აბულ. ბილწი, პილწი–ბინძური, უწმინდური).

უნასი – უხსენებელი. „მიეკლა აᲲ უნასი და გადიეკიდებია ღობეზე“ (შდრ. სინ. უნასი–ვნება, ზიანი, დაკლება, დანაშაული).

უყი–ნასვენი, დაუმუშავებელი მიწა. „უყი მიწა კაᲲ მიწაა. კას მოსავალს მოგ-ცემს“ (შდრ. ჰაგ., უყი–საფლობი ტალახი).

ფერცხალი–ნეკნი. „გაცივებულს გაჭკვალავს. შეიძლება გვერდები, **ფერცხ-ლები** გუკავდეს“ (ნ. აბულ. ფერცხალი გვერდი, გვერდის წიბო).

ღლეზა – ფლატვა. „მთელი ნახევარი სოფელი მეიღლიზა და აჭარისწყალში ჩევდა“ (შდრ. ოთხთ. გამოღლეზა–გამოგლეჯა).

შექცევა–გართობა. „გუხსენით სკივრი; შით კარგი რამეები იქნება და შეიძ-ლება შეექცესო“ (ნ. აბულ.).

ჩაფულა–ფეხსაცმელი, წუღა. „დედოფალ ფეხზე ჩაფულა ეცვა“ (ნ. აბულ.).

ცხრო–ციება. „აჭარაში ადრე ძალზე იყო გავრცელებული დაავადება ცხრო“ (ნ. აბულ., საბა).

წმასნა–გრეხვა, კლანკვა. „ძლიერი ტკივილებისაგან ადამიანი იგრიხება, იწმასნება“ (შდრ. აბულ. წმასნა–თხზვა, ხლართვა).

წუთხი–მარილწყალი (შდრ. ჰაგ. წუთხი–ჩირქი. საბა).

ხაშმი–ციება. „აჭარაში ადრე ძალიან იყო გავრცელებული დაავადება ცხრო, ხაშმი“ (ნ. აბულ., საბა).

ხევსი–ჯერი, დილის შეჭამადი. „ქორწილი ადრე სამიჯრიანი ყოფილა: ვახშამი, ხევსი და სადილი“ (ნ. აბულ., საბა–ხევსი, ხემსი).

ხელნაქმარი–ხელით ნაკეთები, ნამზადი „მთვარევ, რა მოგვიტანე? გული მთელი, სული მთელი, ხელნაქმარი ხვავრიელი...“ (შდრ. ჰაგ. ხელთსაქმარი–ხელით სამუშაო, ფიზიკური მუშაობა)...

როგორც ვხედავთ, ხულოს რეგიონის მკვიდრთა ლექსიკა მრავალმხრივაა საყურადღებო. აქვე გვინდა გამოვყოთ ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ამ კუთხის დამახასიათებლად გვეჩვენება, მაგ.: **დაწიწილება**–ნაღების ან მაწვნის დღვებისას სითხეში კარაქის მარცვლების გამოყოფა; **ჩოფური**–ცუდი, გადანარ-ჩევი მატყლი; **კოკვა**–ყველის პატარა კვერი, **ჯუნჯულა**–გრძელბეწვიანი; **ღელე-ბო**–მცენარის ახალამოყრილი ყლორტი; **გაჟინტლიანება–გაჟინიანება; ჭოღი–ხმა** და სხვ.

მასალებში გვხვდება ნასესხები სიტყვები (თურქული, არაბული, რუსუ-ლი...). ისინი აჭარის სხვა კუთხეების მსგავსად, მეტნაკლებადაა წარმოდგენილი სხვადასხვა დარგის ლექსიკაში. ასეთებია, მაგ.: ბოჲა-საღებავი, მელჰემი-მალამო, ზენჯირი–ჯაჭვი, ყაბი–ჭურჭელი; ჲუხა– ცომის ფენა, ჩათინი–ცუდი, სუთლი–რძე, ქესტანა–კვახის ჯიში, ჩიბანი–ძირმაგარა, ფეშტემალი–წინსაფარი და სხვ.

Нанули Ногаидели

К лексике жителей хулойского муниципалитета

Р е з ю м е

В труде представлены лексические материалы, записанные нами в Хулойском муниципалитете. Рассмотрена этимология нескольких архаичных, старогрузинских и характерных для этого региона лексем: **бебреути, сатари, самтавро, фахаци, кели** и др.; также представлена лексика отраслей домашнего и социального быта Хулойского муниципалитета.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
2. გორდეზიანი რ., წინარებერძნული და ქართველური, თბ., 1985
3. ვარშალომიძე ჯ., ტერმინ ჭრელი, ნამჭრელის გაგებისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IX, თბ., 1981
4. თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000
5. მგელაძე ვლ., ზემოაჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973
6. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1971
7. ნოღაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013
8. ორბელიანი სულხან-საბა (საბა), ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928
9. სურგულაძე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. თბ., 1978
10. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990
11. ქართული დიალექტოლოგია, შედგენილი ივ. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ივ. ქავთარაძის მიერ. I, თბ., 1961
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I– VIII (ქეგლ) თბ., 1950,-1964
13. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1971
14. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938
15. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბ., 1961
16. ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937
17. Гамкрелидзе Т., Иванов В., Индоевропейский язык и Индоевропейцы, I-II,Тб., 1984
18. Климов Г., Сравнительный словар, Картвельских языков, М., 1964.

ნარგიზ ახვლედიანი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის,
დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოლოგიის დოქტორი

ხულოს ტოპონიმია

ცნობილია, რომ ტოპონიმიკის მეცნიერული შესწავლა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის ისტორიული ცხოვრების გასაცნობად. ტოპონიმიკაში ასახულია ეთნონიმიკაც, ე.ი. ტომთა სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ამ ტერიტორიაზე. ტოპონიმიკაში ხშირად შემონახულია დამახასიათებელი საზოგადო სახელებიც, რომლებიც საკუთარ სახელებად შერჩენია ამა თუ იმ ადგილს: სოფელს, მდინარეს, მთას, ტყეს, წყაროს, საყანეს, საბალახოს და სხვას.

სახელები, როგორც საზოგადო, ისე საკუთარი, აღნაგობის მიხედვით სამ ჯგუფად განიყოფებიან: მარტივი, ანუ ძირეული სახელები, ნაწარმოები, ანუ დერივაციის გზით წარმოქმნილნი და თხზული სახელები. ქართული ტოპონიმიკის მიმართ ეს პრინციპი პირველად გამოიყენა თ. ზურაბიშვილმა გამოკვლევაში „ტოპონიმიკის შესწავლისათვის“ (ზურაბიშვილი, 1961:127–129). ამგვარი კლასიფიკაცია გამოყენებულია შემდგომი პერიოდის სამეცნიერო ნაშრომებშიც (სიხარულიძე, 1958; ბედოშვილი, 1980; ძნელაძე, 1995 და სხვ.). კლასიფიკაციის ამავე ჩარჩოებში ფასდება ხულოს ტოპონიმური მასალაც.

1. მარტივი სახელები

როგორც ცნობილია, საზოგადო სახელი შეიძლება დაერქვას რომელსამე დასახელებულ პუნქტს, ან ფიზიკურ–გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს მის საკუთარ სახელად, ანუ ტოპონიმად. საზოგადო სახელებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მარტივი სახელები, რომლებიც ტოპონიმებს უდევს საფუძვლად. ხულოს რ–ნის ტოპონიმიაში გვხვდება შემდეგი მარტივი სახის ტოპონიმები: ტაბი, თარი, ლიე, ლელი, ტევრი, სურდო, ჭიკარტი.

2. წარმოქმნილი სახელები

სტრუქტურულად დერივაციის გზით მიღებული ტოპონიმებიც იმავე მოდელებს ქმნიან, რაც ჩვეულებრივ აპელატივებთან გვაქვს პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქს–სუფიქსური წარმოებისანი და თხზული სახელები.

სუფიქსური წარმოება

ხულოს რ–ნის ტოპონიმიაში, ისევე, როგორც ზოგადად ქართულ ხულოს სიტყვათწარმოებაში, ყველაზე პროდუქტიული სუფიქსური წარმოებაა. ხულოს ტოპონიმიაში გვხვდება –ა, ებ, –ეთ, –იშ, –ურ, –ნარ, –თი სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები. ასე მაგ., ფონა–ადგილი (ხულოს რ–ნი), აკვანაი–მთა (ხულოს რ–ნი), გოგაი–სახნავი (ხულოს რ–ნი), გვირგვინა–ადგილი (ხულოს რ–ნი), ბალვანა–ადგილი (ხულოს რ–ნი), ბუნიელა–ადგილი (ხულოს რ–ნი), გვალა– ადგილი (ხულოს რ–ნი), მიღმა ახო –ადგილი (ხულოს რ–ნი).

ა–სუფიქსს მასუბსტანტივებელ ხმოვნად მიიჩნევს გ. ბედოშვილი ერწო–თიანეთის ტოპონიმებში: მრუდ–ა– საძოვარი, სათიბი (სოფ. ბუჭყინტა), ნამგალ–ა –სახნავი, საძოვარი (ბალების ხევი), ნაჯაგ–ა–ტყე (სოფ. ქვ. არტაანი), პტყელ–ა–სახნავი (სოფ. ტუშურები), შუბლ–ა–მთა, ტყიანი გორაკი, საძოვარი (სოფ. ხევსურისოფელი), წარაფ–ა–სახნავი, საძოვარი (სოფ. დევენაანთხევი), ჭესილ–ა–მთა (სოფ. ბოჭორმა), ჯღარდლ–ა–მინდორი, ბუჩქნარი (სოფ. მაგრანეთი) ბედოშვილი, 1980:17).

–ებ სუფიქსი

საკმაოდ პროდუქტიული სუფიქსია ხულოს რ–ნში: გრძელმინდრები, დამტრეულები, ქომელაურები, სტეფანაშვილები, წინწკალაშვილები, ლაბაძიები, ცეცხლაძიები, გორგაძიები, ადაძიები, მინთაძიები, აჯავრები, გოგავრები, ნაფუზრები, ჩიტაურები, შუაგუმები, მახარებლები, ტუნაძეები, ეკლანები, კარზიეთები, ახვები, ოხროხები, ხუმიარები, ბუჯარეთები, სახონდიები, დავლიძიები, მეკეიძიები, ვაშაყმაძიები, მეხალაშვილები, ვანაძიები. ხულოს რაიონში –ეთ სუფიქსით დაბოლოებული ტოპონიმებია: ბუჯაოეთი, კარზიეთი, –ში სუფიქსით ხულოს რაიონი მხოლოდ ერთი ტოპონიმი დავაფიქსირეთ: ბოდიში. საკმაოდ პროდუქტიულია –ურ სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმებია: ჭახაური, შოშონაური, ბოლაური, გოგილური, ქომელაური, მელაური, ბუშტაური, ორძელაური, ალვაური, წითლაური, აფასადგმური. ნარ– სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმებია ხულოს რ–ში: ჯანჯღნარი, ლეკნარი, თენნარი, ბონნარი.

–თი სუფიქსი

–თი სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები სპეციალურ ლიტერატურაში მიიჩნევიან ნარ–თანიანი მრავლობითი რიცხვის ნათესაობით). ბრუნვაში დასმულ საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელებად (თოფურია, 1924:10. ი. ყიფშიძის განმარტებით, „თი“ არის სახლი, ოჯახი, შტო, გვარი, მეთაური (ყიფშიძე, 1914:242).

ოხორათი სათიბი (სათიბი კურცხლები, ხულოს რ–ნი, სიხარულიძე, 1958:37). წყარვათი–ადგილი ხულოს რ–ნი, ცხავათი–ადგილი–(ხულოს რ–ნი), ბოკელათი–ადგილი (ხულოს რ–ნი), ქოლათი ადგილი (ხულოს რ–ნი), კორტა-ხათი–ადგილი (ხულოს რ–ნი), ოჭივარათი–ტყე და სათესი საციხურში (ხულოს რ–ნი).

პრეფიქს–სუფიქსური წარმოება

ო–ია

ნაშრომში გაანალიზებულია პრეფიქს–სუფიქსებით გაფორმებული სახელ-წოდებები. დანიშნულების შინაარსის მქონე გეოგრაფიული სახელების მაწარ-მოებელ აფიქსთა შორის აჭარაში წარმოდგენილია: ო–ია (ქართ. სა–ე) დაბო-ლოებიანი ტოპონიმები:

ონჩომია – მდინარისპირა ვრცელი მინდორი (სოფ. გორგაძეები, ხულოს რ–ნი), ბსკიდა, 1985,№49; 51), სარჭუე–ადგილი ხულოს (რ–ნი), გვხვდება სა–ურ და სა–ეთ მაწარმოებლებით გაფორმებული ტოპონიმები. ასე მაგ.: საბექაური ად-გილი (ხულოს რ–ნი), საფილეთი, საძულეთი (ხულოს რ–ნი). ხშირია სა–ია მა-წარმოებლიანი ტოპონიმები ხულოს რ–ში. მაგ.: საყავრია, სადათვია, საქორია, საუგია, საჯოგია, სახბოვრია, სახონდია.

ო–არ პარეფიქს–სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები:

ოჭივარა – სათიბი და სათესი (ბოძაურში, ხულოს რ–ნი). წინა ვითარებას უპირატესად ნა–არ და ნა–ევ მაწარმოებლით გაფორმებული ტოპონიმები წარმო-ადგენენ. ასე მაგ., ნაფუზარი, ნასაყდრი, ნაბოლევი, ნაასლევი, ნამასკლერი, ნა-ფაცხვაი.

3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები)

თხზული სახელის შედგენა (კომპოზიცია) ქართულში უმთავრესად ხდება ერთი და იმავე ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით. გეოგრაფიულ სახელთა თხზვა ძირითადად ემორჩილება ისეთივე წესს, როგორიც დამახასიათებელია საზოგა-დო სახელებისათვის. ჩვეულებრივი წარმოების სახელებთან შედარებით კომპოზიტურ გეოგრაფიულ სახელებში, სადაც მთელი შესიტყვება გვაქვს, უკეთ ჩანს ამა თუ იმ პუნქტის ტერიტორიული დახასიათება, დასახლებისა თუ წარმო-შობის სიძველე–სიახლე. ასეთი ტიპის სახელებს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ტოპონიმიაში.

თხზულ სახელს (კომპოზიტს) სხვანაირად რთულს უწოდებენ. სახელ –ერ ფუძიანი თხზული (რთული) ტოპონიმები მიღებულია სიტყვათშეერთებით და შედგება მხოლოდ სახელური კომპონენტებისაგან, გამოხატავს საგანს, კუთვნილებას.

სიტყვათშეერთების შემდეგი ძირითადი ჯგუფები გამოიყოფა:

1. არსებითი სახელი+არსებითი სახელი

ოხორა– ღელე–ღელე (სოფ. კვატია, ხულოს რ–ნი) მამალა ღელე, პოტიკა ღელე, ჯამი ღელე, რუსთავი ღელე, თენნარი წყარო, დავლაზიარის ყელი, გომის კარი (ხულოს რ–ნი).

2. ზედსართავი სახელი+არსებითი სახელი

ღურჭა ღელე–ღელე (სოფ. ვაშლოვანი, ხულოს რ–ნი), ლელი ყანა, ცხრა წყარო, ზორტი ყელი, ჟავია ძირი, ფესვნარი ძირი, საყოლა ფერდი, ხუკანა ქედი, მიღმა ახო, გაღმა ჭალები (ხულოს რ–ნი). ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ ძირითად სემანტიკურ ჯგუფებს, მიმოვიხილავთ გეოგრაფიულ სახელებს მათში წარმოდგენილი ლექსიკური მასალის თვალსაზრისით, ვიძლევით ზოგი ტოპონიმის ეტიმოლოგიას. სემანტიკური ანალიზისას, ბუნებრივია, მხოლოდ ისეთ ტოპონიმებს მიმოვიხილავთ, რომელთა სემანტიკა დღეისათვის გამჭვირვალეა და რომელნიც სხვა მსგავს გეოგრაფიულ სახელებთან ერთად გარკვეულ შინაარსობრივ ჯგუფებს ქმნიან. ესენია: მცენარეთა სახელებიდან მომდინარე, ქვასა და ბუნებრივ გეოგრაფიულ გარემოსთან, საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები.

მცენარეთა სახელებიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელები:

საკვლევი ტერიტორია მდიდარია მცენარეული საფარით. ასე მაგ.: ჭურია–სათიბი (სოფ. ტუნაძეები, ხულოს რ–ნი). ჭურია–კენკეშა, колокольчик млечноцветный, campanula lactiflor-a; გდმყ. კანკეშა; ხევს. კირზა, მთ. მუკუდო, ლეჩხ. ძოწია; რაჭ. მუყუდო; აჭარ. დონდლო, მეგრ. ჭურია, სვან. ტკიც, კიც (მაყაშვილი, 1991:38).

ჭურია მდინარისა და ადგილის სახელია ზუგდიდის რაიონში (ყიფშიძე, 1994:393). ჭურია მდ. ლუგუბას შენაკადია გურიაში (მეგრელიძე, 1938:105).

ქვასა და ბუნებრივ–გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები:

ბუნებრივ–გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები ადგილის რელიეფს აღნიშნავენ:

ღვაჩაჲ – სათიბი (სოფ. გორგაძეები, ხულოს რ–ნი). ლაზურში გვაქვს სიტყვა „ღვაბაჩა“, რაც „ყბაყურას“–ს აღნიშნავს. აშკარაა, ამავე მნიშვნელობით აჭარულში

დადასტურებული „ღაბუა||ღაბუჩა“ ზანურიდან მომდინარეობს და იგივეა, რაც „ღვაბარა“. აჭარულში „ყბაყურა“–ს აღსანიშნავად იხმარება: „ღაბუჯა||ღაბუჩა (ნოღაიდელი. 1976:50). ღაბუჩა||ღაბუა–ყბაყურა (ნიჟარაძე, 1971).

გადატანითი მნიშვნელობით, აჭარულში „ღაბუჯა“ (ღაბუა) ეწოდება ქათამს, რომელსაც ნისკარტის გვერდით ორსავე მხარეზე უხვად აქვს ბურტყლი წამოზრდილი: „ღაბუჯა“ ქათამი (ნარაკიძე, 1973:5). საბას განმარტებით, ღაბუა – „ზოგი ფრინველი, რომელსაც ნისკარტქვეშ, ყელზე ბლომად აქვს ბუმბული“.

ღაბუჯა||ღაბუა თხზული სახელი ჩანს: ღა–ბუჯ–ა, „ღა–ბუ–ა“. თუ ეს სწორია, მაშინ „ღაბუჯა“|| „ღაბუა“, უნდა შეესატყვისებოდეს„ბურჯ“–ს.

მაშასადამე, „ღაბუა“|| „ღაბუჯა“ უნდა მომდინარეობდეს „ღვაბუჯა“–დან და „ღაწვბურჯა“–ს ნიშნავს. ასეთ ინტერპრეტაციას ამართლებს „ღაბუჩა“|| „ღაბუა“–ს ეტიმოლოგიური ახსნაც (იხ. ქვემოთ ღაბუჩა).

„ღაბუჩა“ უმფო ახალგაზრდებს ემართება“ (პ. ჯაჯანიძე).

ქართული ენის სხვა დიალექტებში „ღაბუა“|| „ღაბუჩა“ ამ მნიშვნელობით არ გვხვდება. „ყბაყურა“–ს ლაზური სემანტიკური შესატყისია თხზული სახელი „ღვაბა [რ]ა“. ღვა–ბა [რ]–ა.

„ღვა“, როგორც „ღაბუჯა“–ს განმარტებისას ვთქვით, იგივე ღაწვია, მეორე კომპონენტი ბა–[რ]–ა (ობაუ) ნიშნავს გაბერვას, ბერვას (სხვა მნიშვნელობით, ბარა–ქარი). ობა [რ] უ–ქროლვა; „ბარს“–ქრის, გასივებას, სიმსივნეს ნიშნავს. რაც შეეხება მთელ კომპოზიტს (ღვაბაა), იგი ასე უნდა განიმარტოს: ღაწვ–გასივება, „ღვაბაელი გულუნ“–ღაწვგასივებული დადის.

თუ ასეთი ახსნა სწორია, მაშინ „ყბაყურა“–ს მნიშვნელობით აჭარულში ხმარებული: „ღაბუა“, //„ღაბუჩა“ უნდა იყოს იგივე ლაზური: „ღვაბა ˹რ˺ა“.

რაც შეეხება „ღაბუჩა“–ს, რომელიც „ღაბუა“–ს გვერდით არის მოხსენიებული „ყბაყურა“–ს მნიშვნელობით, იგი მისი ერთ–ერთი სახეცვლილება შეიძლება იყოს. „ღაბუჩა“ იგივეა, რაც „ღაბუჯა“ (ღვაბუ(რ)ჯა) – ღაწვბურჯა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მომხდარა ჰაპლოლოგია, დაიკარგა ბგერები. უნდა გვქონოდა: „ღვა˹ბა˺ჩა და დარჩა კი „ღვაჩა“. რაც შეეხება ტოპონიმ „ღვა-ჩაᲥ“–ს ეტიოლოგიას, იგი შეიძლება ასე აიხსნას: ეს ადგილი, შესაძლოა, ყოფილიყო ქარისსაქროლი. მითუმეტეს, ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აჭარულში დადასტურებული არაერთი მსგავსი შინაარსის ტოპონიმები: „ქარისსაქროლი“–სახნავი (მაწყვალთა, შუახევის რ–ნი), „ქარისსაქროლიბოლო“–საძოვარი (მაწყვალთა, შუახევი (რ–ნი), (იხ. ქამადაძე, 1992:107). „ქარისსაქროლი“–ჩაქვი (ქობულეთის რ–ნი).

ონჩომია – მდინარისპირა ვრცელი მინდორი (სოფ. გორგაძეები, ხულოს რ–ნი ბსკიდა, 1985; №45:51). ეს ტოპონიმი შეიძლება შემდეგნაირად დავშალოთ: „ო“ – ზანური წარმოშობის პრეფიქსია, „სა“–დანიშნულების პრეფიქსის ბადალი. „ია“– დანიშნულების მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც სიტყვას ბოლოში დაერთვის. „ნ“ ფუძეში შემდეგ განვითარებული ჩანს (ჟღენტი, 1953:92–98). „ჩომა“ აჭარულში პირუტყვს, საქონელს ნიშნავს. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, პირუტყვის მნიშვნელობით გვხვდება იგი იმერულშიც.

აჭარაში ხშირია მსგავსი შინაარსის მქონე ტოპონიმები: ხარიიათაღი–სოფ. მაწყვალთა (შუახევის რ–ნი). ოხოჯირი–სახნავ–სათესი ადგილი (სოფ. ზედა აჭი, ქობულეთის რ–ნი).

საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები:

ოხორათი – სათიბი (სოფ. კურცხლები, ხულოს რ–ნი, იხ. აგრეთვე სიხარულიძე, 1958:37). „ოხორუუ“–სახლობა, ეზო–კარი, სამოსახლო–მეგრული სიტყვაა (ყიფშიძე, 1994:499; ჭარაია, 1997:111). ამოსავალი ზმნური ფუძე „[დო] ხორუა „დოხორუა“–დასახელება ს. ციხიაში დაფიქსირებულია „ოხორ“ ფუძისგან „იშ“ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი: „ოხორიში“. შუახევის რაიონში დაფიქსირებულია შემდეგი ტოპონიმები: „ოხორთი“ – ვენახის ფართობი, სამოლეთში, შუახევის რ–ნი. „ნაახორევი“ – სათიბი ზედუბანში, შუახევის რ–ნი) „ოხორა“–სოფლის უბანი (კვატია, ხულოს რ–ნი), რაც შესაძლოა, ზანური სუბსტრატია.

ტოპონიმიის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილია–ჰიდრონომია. იგი შეიცავს მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას წინაპართა მატერიალური და სულიერი ცხოვრების შესასწავლად, ენის განვითარების ისტორიის დასადგენად.

ჰიდრონიმი ჰიდროგრაფიული ობიექტის – დიდი და მცირე მდინარის, მისი ცალკეული მონაკვეთის – მორევის, ჩანჩქერის, მოსაბრუნის, სათევზაო ადგილის, ტოტის, ფშანის, აგრეთვე, ზღვის, ტბის, წყაროს, ჭის, არხის, ჭაობის, ონჭყის და სხვ. სახელია.

ბოგილი ღელე-ღელე (სოფ. ფუშრუკაული, ხულოს რ–ნი). იგივე ჰიდრონომი გვხვდება სოფ. ბაკოში (ხულოს რ–ნი). მეგრულში ბოგირი, ბოგილი – თხრილზე გადებული მორის ხიდია (ყიფშიძე, 1994:408:409). ბოგირი||ბოგუა–ბოგირის გადება (ცხადაია, 1985:37–38).

ოხორა ღელე–ღელე (სოფ. კვატია, ხულოს რ–ნი). ამ ჰიდრონიმის ფუძეა ჭანური „ოხორ“–სახლი, სამოსახლო. სიტყვასიტყვით გვექნება „სახლის ღელე“, „სამოსახლოს ღელე“.

ღურჭა ღელე– ღელე (სოფ. ვაშლოვანი, ხულოს რ–ნი). „ღურჭული“ – სმა, „მაღირჭალი“–მყვირალა, შდრ. ჭურჭკული, ღირთაფი –ღირთუა–ხმამაღალი ყვირილი (ყიფშიძე, 1994:354–355). „ღურჭა“– მეგრულში ხმაურით რისამე დალევას ნიშნავს, რ. შეროზიას ზეპირი ინფორმაციით. რაც შეიძლება ჰიდრონიმ „ღურჭა ღელე“–ს ეტიმოლოგიას, შესაძლოა, ზემოთ აღნიშნულ (ღელეში) მდინარეში წყალი ხმაურით (ყვირილით) მიედინებოდა და ხმაურიანი ადგილი იყო. მთიანი რელიეფის მდინარეებისა და მათი მონაკვეთების სახელწოდებებში ჩვეულებრივია ლექსემები, რომლებიც გამოხატავენ წყლის მეტად ან ნაკლებად ჩქარ, ხმაურიან დინებას (გრიალი, გრგვინვა, დგაფუნი, ჩქაფუნი, ჩქეფა, შხეფება, შხუილი, ხუილი, ჩხრიალი, ჩუხჩუხი, ჩანჩქარი, წკანწკარი, კარკარი, რიკრიკი, კურკური (ცხადაია, 1999:111).

ამრიგად, ხულოს რაიონის ტოპონიმიაში მარტივი სახელები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ხულო ის, რაც გვხვდება, ძირითადად გამოხატავს ადგილ–მდებარეობის ფიზიკურ–გეოგრაფიულ დახასიათებას, გავრცელებულ მცენარეულობას, ამ რაიონის ტოპონიმიაში მრავალრიცხოვანია წარმოქმნილი სახელები. საინტერესოა მხარის ტოპონიმია ლექსიკური თვალსაზრისითაც, იგი მეტად მრავალფეროვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბედოშვილი გ., 1980–გ. ბედოშვილი, ერწო–თიანეთის ტოპონიმია, თბილისი, 1980.

2. ბსკიდა – ბათუმის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის დიალექ. არქივი, 1985

3. ზურაბიშვილი თ., 1961 – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, №2, თბ., 1961

4. თოფურია ვ., 1924 – ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა –თა სუფიქსისათვის ქართულში. „ჩვენი მეცნიერება“, თბ., № 11–12. 1924

5. მაყაშვილი ალ., 1991–ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991.

6. მეგრელიძე ი., 1938 –И.В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слой в грузинском. С. П., 1938

7. ნიჟარაძე შ., 1971–შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.

8. ჟღენტი ს., 1953 – ს. ჟღენტი, მეგრულ–ჭანურის ფონეტიკა, თბ., 1953

9. სიხარულიძე ი., 1958–ი. სიხარულიძე, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ბათუმი, წიგნი I, 1958

10. ქამადაძე მ., 1992 – მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. VIII, ბათუმი, 1992.

11. ყიფშიძე ი., 1934 – ი. ყიფშიძე, 1994 ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

შოთა ზოიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის,
დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი

გენიალური გაუჩინარება წიგნიდან „ანა დედოფალი“

თავისებურია ანა კალანდაძის ლექსის ანატომია. მისი რიტმის, რითმის, შედარების, ეპითეტისა თუ მეტაფორის მოძრაობა შუქნიშნებს არ ემორჩილება, როცა ამას სათქმელი ან აზრის ლოგიკა მოითხოვს, წითელ შუქზე გადის და უაღრესად ეფექტურადაც. არის მეორე უკიდურესობაც. მას შეუძლია მწვანე შუქნიშანზე გაჩერება. ამ თვალსაზრისით იგი წარსულის გაკვეთილებს არ ექვემდებარება. მინდოდა მეთქვა, არ ემორჩილება-მეთქი. აქ არ არის ლაპარაკი მოვლენის მასშტაბურობაზე, დიდსა და პატარაზე, მოკვდავსა და უკვდავზე. აქ იგი ერთადერთი ეგზემპლარია (სულაც არ მეჩოთირება ამ სიტყვის რეალიზაცია. – შ. ზ.), უფრო სწორად, იგი ახალი გაკვეთილია ჩვენს პოეზიაში. თავის დროზე შენიშნა გურამ ასათიანმა, რომ ეს არის ანა კალანდაძის ეფექტი, რომელიც დებიუტშივე გამოიკვეთა ისე, რომ დროდადრო ახალ ნიშნებს იძენს. მე ამას მუდმივი განახლების იმუნიტეტი ვუწოდე. ეს რეალურია, რადგან პოეტი ანა კალანდაძე არ ცხოვრობს ილუზიების სამყაროში და აქედან გამომდინარე, მისი ლირიკული ზეაღსვლა (აღარ ვამბობ აღმაფრენა-მეთქი. – შ.ზ.) მიწისქვეშა ბიძგებს ემყარება. ამიტომაც მის ლექსებს არა აქვთ „ბერძნული ნიგვზის გემო“, რადგან მას ბოდლერივით არ შეეძლო ეჭამა „ჩვილი ბავშვის ტვინი“. არც სიმბოლისტების გაფეტიშება მოიტანს განუსაზღვრელ დივიდენდს, თუმცა მათი დამსახურების აღიარება აუცილებელია. ანა კალანდაძე შემოსვლისთანავე (პოეზიის სასახლეში. – შ.ზ.) – ნიაღვარივით არა, მაგრამ საამო ნიავივით მოედო საქართველოს, თუმცა იგი თავისი მანიფესტით არასოდეს გამოსულა რომელიმე საკრებულოში. ანა კალანდაძემ ჩემზე უკეთ იცის, რომ თუ ვინმე და რამე ნიაღვარივით მოედო მშობლიურ მიწას XX საუკუნეში, ეს გალაკტიონ ტაბიძის პოეზია იყო, ვისაც „ანგელოსები პერგამენტებით ღრუბლებისაკენ მიაცილებენ“... ვისი უკვდავი სულიც „ლურჯა ცხენების“ მშვენიერების საუფლოშია.

გამოდის, რომ „ცისფერყანწელების“ მანიფესტი ქაღალდზე დარჩებოდა, რომ არა გალაკტიონი, რომელსაც მათგან გარკვეული დისტანცია ეჭირა.

ანა კალანდაძის ეფექტი უაღრესად ბუნებრივია, რუსი პოეტების მსგავსად (ბულატ ოკუჯავა, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ანდრეი ვოზნესენსკი), იგი არასოდეს გამოსულა საესტრადო პოდიუმებსა თუ ხალხმრავალ სტადიონებზე. ფუტურისტებივით არც შენობების სახურავებზე ასულა ლექსების სადემონსტრაციოდ. ეს არ არის მისი ბუნება. მასში, თითქმის, ნულის ტოლია თვითგამოჩენის რეფლექსი. ზოგი თვლის, რომ პოეტს, თუკი იგი ჭეშმარიტი პოეტია, ყველაფერი ეპატიება. მე ვიცი, რომ ანა კალანდაძე არ არის ის პოეტი, რომელიც თავის თავს ყველაფერს აპატიებს. მიუხედავად ამისა, მის ჭეშმარიტ ტალანტში ეჭვი მკაცრ ოპონენტებსაც კი არ შეუტანიათ, მაგრამ ანა კალანდაძეს თავის დროზე რაც არ აპატიეს, ეს მისი ნიჭიერება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ერთხელაც თვალი არ მოუხუჭავს, არ ჩათვლემია. არ აპატიეს „მზისკენ წასული რძისფერი კვამლი“ და არც ის, რომ მიაშურა „ურარტუს ქვაბებს“. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორ ავედრებს გველი ღმერთს „ცოდვილ სულს“ („ლოცულობს გველი“).

საჯარო გამოსვლის ვნებათაღელვა არ არის ანას სტიქია, ამას ვერც მისი ლექსების ბუნება ჰგუობს, საერთოდ. თუ დედამიწის ზურგზე მცხოვრებ რომელიმე პოეტზე ითქმის უჩინმაჩინის ქუდი ახურავსო, ეს პოეტი ანა კალანდაძეა. მისი ეს „გენიალური გაუჩინარება“, ჯადოსნური სიმორცხვე და უბრალოება თავის დროზე შენიშნეს ანას კრიტიკოსებმა. ეს ის პერიოდია, როცა ხანგრძლივად შერისხული პოეტის ბედი წაღმა შემოტრიალდა, რაშიც ლომის წილი გურამ ასათიანს, ნოდარ ჩხეიძეს, შალვა აფხაიძეს მიუძღვით, რომლებიც, უფროსი თაობის კრიტიკოსებისაგან განსხვავებით თავისუფალნი იყვნენ სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიისაგან. ძველი თაობის კრიტიკოსთაგან, ვინც დროულად განჭვრიტა ანას უტყუარი ტალანტი, იპოლიტე ვართაგავაა, რომლის ფილტვები მე-19 საუკუნის ჟანგბადით იყო გაჟღენთილი.

ანა კალანდაძის სიმაღლეცა და ოსტატობაც, ვფიქრობ, შემოქმედის სულიერ წყობაშია უზენაესის მიერ ნიჭის სახით იმთავითვე კოდირებული. იგი სერაფიმივით შეუცნობლად მიისწრაფვის სრულყოფისაკენ და არა თვითგამოჩენის მასკარადზე. იგი ისევ და ისევ საკუთარ თავს ეჯიბრება და სულიერ შესაძლებლობებს ისეთ ფოკუსში უყრის თავს, საიდანაც ოთხივე მიმართულებით პარნასი მოჩანს. ანა კალანდაძე იმოწმებს ცნობილი იტალიელი ტენორის ბენიამინო ჯილის, მე არ მსურს ვიყო მეორე კარუზო, მე მინდა ვიყო მხოლოდ ჯილიო. ანაც პირველი ანა კალანდაძეა და არა მეორე სხვა ვინმე, იგულისხმეთ ვინც გინდათ. ეს უკვე მისი სრულყოფილი პორტრეტია, რომელშიც, როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ და მხოლოდ თავის თავსა ჰგავს და თავის თავს ეჯიბრება, საიდანაც ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. ანას პოეტური ვნებათაღელვა მიწისქვეშა

მდინარეებში ბობოქრობს და მძინარე ვულკანს მოჰგავს. ბელინსკი უნდა იყო, რომ თქვა, სად და როდის გაიღვიძებს იგი.

მიუხედავად ანა კალანდაძის მეტაფორებისა და ეპიტეთების სიმსუბუქისა და ჰაეროვნებისა, მის მრავალ ლექსში არის მეორე შრე, მეორე ფენა, რომელსაც სამყაროს „ბნელ ხვეულებში“ შევყავართ. ზოგჯერ მისი ლექსის ფრთიანობა და ჰაეროვნება მაცდუნებელიც კია. იაკობ ნიკოლაძის მასწავლებელი, ფრანგი როდენი, ამბობდა, რომ ხელოვნების ნაწარმოები უნდა იყოს ისეთი, არახელოვანი კაცი რომ შეხედავს, თქვას, ეს რა არის, ამას მეც გავაკეთებო. აბა, ერთი სცადოს და გააკეთოს. აბა, ერთი სცადეთ და დაწერეთ ანა კალანდაძის ლექსი. კიდევ მეტსაც გეტყვით, ანა კალანდაძის ლექსებზე პროფესიული მსჯელობა ძალზე ძნელია. აკი ნოდარ დუმბაძემაც თქვა – ანა კალანდაძის კილვას რა უნდა, მისი ქებაა ძნელიო. „მოდიოდა ნინო მთებით“, „ქეთევან დედოფალი“, „ლოცულობს გველი“, „მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“, „ჭექდა მაზურკა,“ „სასაფლაოზე ქარი დაძრწის“, „ამ სურით სვამენ“, „შორია თამარ“, „კარში გამო, ჭია-ჭია მაია“, „ო, იდუმალი არხევს კიპაროსს“, „რა ამბავია ყვავილთ სასახლეს?“ ის ლექსებია, რომლებითაც მათი ავტორი კლასიკოსის რანგში ამაღლდა. ამ ლექსებში პოეზიის იდუმალი სამყაროა განფენილი. აქ არის ცრემლიც და ნაღველიც, სიხარულიც და აღმაფრენაც, მაგრამ აქ არ არის ჯოკონდას ღიმილი. აქ არის ის, რასაც უაილდის პროფილიანმა „ცისფერყანწელთა“ ლიდერმა ტიციანმა „მგლოვიარე ტუჩებზე“ ღიმილი უწოდა. ასეთია დედისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელსაც საკმაოდ პათეტიკური სათაური – „ჭექდა მაზურკა“ აქვს. მე და ჩემს მკითხველსაც კარგად მოგვეხსენება, რომ დედაზე „ახალი“ ლექსის შექმნა, სხვათა ვარიაციისა თუ რემინისცენციების გარეშე, ერთეულ რჩეულთა ხვედრია. მე ხაზს ვუსვამ „ახალს“, ე. ი. განსაკუთრებულს, ამაღლებულს, რომელშიც ბევრი პოეზია იქნება, თორემ დედაზე ლექსი ვის არ დაუწერია?! ყველა ლექსი ხომ არ არის პოეზია?! შედეგი ყოველთვის არ არის მცდელობის ადეკვატური. ახლა ვინმემ რომ გამოსცეს კრებული „მსოფლიოს პოეტები დედას“, მასში უთუოდ უნდა შევიდეს ანა კალანდაძის ლექსი. იგი 1946 წელს დაიწერა. ურთულესი და უნატიფესი პოეტური სახეები ის ძვირფასი ქვებია, რომლითაც მგლოვიარე დედის პოეტური სასახლე აღიმართა. ურთულესი და უნატიფესი-მეთქი, ვამბობ. „შემოქმედებას სირთულე უყვარს, მაგრამ გასაგები ენით ნათქვამი“, – ეს სიმონ ჩიქოვანია, რომელმაც თავის დროზე, როცა ანა კალნადაძის თავზე შავი ნისლი ჩამოწვა, მშობლიური მზრუნველობა გამოიჩინა. ახლა ისევ დედასა და ლექსზე. აქ არის პოეტური ხილვები, საოცრად განცდისმიერი, დედაშვილური მაგიით გაცისკროვნებული, რომლის მსგავსიც ქართულ პოეზიაში არ მოგვეპოვება.

შენ გაგითეთრდა თმები მას უკან,
ძვირფას კაბას კი...
ერთი მორჩი შერჩა სუსამბრის...
დეზთა წკარუნით
გაგიწვევდათ ქალწულთ ჰუსარნი
და დიდ დარბაზში ჭექდა მაზურკა...
როკავდნენ წყვილნი,
ვით გედები იისფერ ტბაში...
ბრწყინვა კანდელთა
ჰგავდა ბრწყინვას ვარსკვლავთ მირიადთ...
შმაგი სინათლე
თვალებს სჭრიდა მკერდზე ბრილიანტს
და იაგუნდი ტიროდა თმაში...
ლამაზი კაბა იასამნის სურნელს აკმევდა,
ეცილებოდა
თვით სანთელთაც უბრწყინვალეს შუქს...
მაღალი მხრები იმშვენებდნენ ინდურ აბრეშუმს...
ბრინჯაოს ქალი
სულ შიშველი იდგა სარკესთან...
შენ გაგითეთრდა თმები მას უკან
და ძვირფას კაბას
ერთი მორჩი შერჩა სუსამბრის...

ჩემი თვალთახედვით, ლექსი დახუნძლულია შესაშური, პოეტური სახეებ-ით, სადაც არა მარტო ტუჩები (ტიციანი), თვალებიც მგლოვიარეა. აქ არის გუ-ლის ძარღვის ჩაწყვეტამდე კონკრეტული და, ამავე დროს, ფანტასტიკურად გან-ზოგადებული დედის მხატვრული სახე.

„შენ გაგითეთრდა თმები მას უკან, ძვირფას კაბას კი... ერთი მორჩი შერჩა სუსამბრის“... მას უკან თმების გათეთრება ის მომენტია, როცა დედას თეთრი კა-ბები გაუშავდა. მხატვრულ სახეს არ უყვარს ჩაღრმავებული დაკონკრეტება. მკითხველმა უკვე იგრძნო ლაიტმოტივი. პოეტი არაფერს ამბობს, თუ რატომ გა-უთეთრდა დედას თმები. და სწორადაც იქცევა. სამაგიეროდ, იშვიათ მეტაფო-რულ ხატებში წარმოგვიდგენს უკვე ჭაღარა დედის ქალწულობის წლებს, რო-მელსაც დრომ, ამ ულმობელმა რჯულმდებელმა, თავისი დაღი დაასვა. დედის თმები იმიტომ გათეთრდა, რომ მგლოვიარეა, დედის კაბები იმიტომ გაშავდა, რომ თმები გაუთეთრდა.

ახლა ვნახოთ მხატვრული სახეების ანუ სახისმეტყველების ნიმუშები, რომლებიც მარგალიტებივითაა ასხმული კომპოზიციურ მძივზე. „დეზთა წკარუნით გაგიწვევდათ ქალწულთ ჰუსარნი“, „როკავდნენ წყვილნი, ვით გედები იისფერ ტბაში“, „და იაგუნდი ტიროდა თმაში“, „ლამაზი კაბა იასამნის სურნელს აკმევდა“,„მაღალი მხრები იმშვენებდნენ ინდურ აბრეშუმს“, „ბრინჯაოს ქალი სულ შიშველი იდგა სარკესთან“... მე ამ მეტაფორების გავლენა არაერთხელ ამოვიცანი სამოციანი თუ სამოცდაათიანი წლების პოეზიაში. კარგია თუ ცუდი? იქნებ, ორივე ერთად. ამაზე საუბარს აღარ გავშლი.

თავისთავად კარგ მეტაფორაში „როკავდნენ წყვილნი, ვით გედები იისფერი ტბაში“, არის შედარების იშვიათი ნიმუში. წყვილების ცეკვა რომ გედებთან ასოცირდება, მომგებიანი შედარებაა, მაგრამ „იისფერი ტბა“ ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ეს სულაც არ არის „იისფერი თოვლის“ ასოციაცია. იისფერი ტბა სხვა არაფერია, თუ არა მოცეკვავე ქალთა კაბების, ამ შემთხვევაში კი, იის ფერი. ლექსი საინტერესოა როგორც კომპოზიციურად, ასევე ფორმითა და შინაარსით. ამ შემთხვევაში, ოცდაორი წლის ანა კალანდაძემ დედის სახეს ისეთი ფოკუსი მოუძებნა, საიდანაც არც მანამდე და არც მის შემდეგ, არც ერთ პოეტს არ შეუხედავს. ვერაფრით დავიჯერებ, რომ ადამიანმა ეს ლექსი ყურადღებითა და გააზრებულად წაიკითხოს, ხანდაზმულობაშიც კი, და თავისი დედის ყმაწვილქალობა არ წარმოიდგინოს. აქ არის მხატვრულ მეტაფორებში გადაწყვეტილი სამეჯლისო ფეიერვერკებისა და ტრაგიკული განცდების ორგანული შერწყმა. იგი მკითხველის სულში იღვრება და თავის ნაკვალევს ტოვებს.

მაქვს უდიდესი ადამიანური ბედნიერება ამ ფანტასტიკური მეტაფორების ავტორს ახლოს ვიცნობდე. მასთან ეპიზოდური შეხვედრები და საუბრები მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ იგი მკითხველს წარვუდგინო როგორც უაღრესად გაწონასწორებული პიროვნება, რაც პოეზიაში იშვიათი და ბედნიერი გამონაკლისია, რომლისთვისაც წარმოუდგენელია, რას ნიშნავს „კალაპოტიდან ამოვარდნა“. არა და... იგი ავტორია ლექსისა „მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“, „ლოცულობს გველი“ და „ამ სურით სვამენ“. ჩემი აზრით. ეს არის შემოქმედებითი ფსიქოლოგიის უნიკალური შედევრი, როცა პოეტზე ისე ჩვეულებრივად მოქმედებს დედამიწის მიზიდულობა, როგორც ყველა მოკვდავზე. აქ უწონობა გამორიცხულია, მაგრამ... მას ეს სულაც არ უშლის ხელს შედევრების წერაში. ანა კალანდაძისაგან შორსაა პოეტური „გადავარდნა“, კალაპოტიდან ამოვარდნა და სხვა.

როცა ტიციან ტაბიძე მიმართავდა თამუნია წერეთელს – „ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“, ამ დროს იგი „ამოვარდნილია“ ჩვეულებრივობის კალაპოტიდან. როცა ლადო ასათიანი ამბობს „ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე, პირს მა-

რიდებენ ქალიშვილები“, ისიც „გადავარდნილია“ სხვა სამყაროში. ვერც ტერენტი გრანელი იტყოდა ჩვეულებრივ მდგომარეობაში „რომ ვერ შევძელი გასვლა მიწიდან, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“. როცა ანა კალანდაძე ამბობს: „ხეები ღვინოს სვამენ ფოთლებით და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან“, იგი მაშინაც მიწაზე დგას და ჩვეულებრივ წონა აქვს და მაშინაც, როცა იტყვის „და მშობლიურ ნანინასავით ჯვრებთან გოდება ისმის ქარისა... აქ ჩაესვენა ერთი ვარსკვლავი, აქ, შარავანდის დიად გვარისა“. აქ ანა კალანდაძე უპირისპირდება პლატონს, რომელიც შთაგონების წყაროდ „სიმშაგესა“ და მისტიკურ რელიგიურ ასპექტებს ასახელებდა.

იყოს ჩემი სუბიექტური აზრი, იქნებ ანა კალანდაძის გარეშე არ ყოფილიყო სრულყოფილი ჩვენი პოეზია. მართალია ისიც, რომ ძალიან ძნელი მისაწვდომია, სად გადის საზღვარი (სრულყოფილების – შ. ზ.)?! მეჩვენება, რომ როცა ანა კალანდაძე საერთოდ არ არსებობდა ბუნებაში, მოყოლებული წარსული საუკუნეებიდან, მისი ადგილი ქართულ პოეზიაში მაშინაც კი ცარიელი იყო.

ანა კალანდაძის გამოჩენა ქართულ პოეზიაში, რაღაცით კი არა, მთელი არსით წმინდა ნინო კაპადოკიელის საქართველოში ვაზის ჯვრით შემოსვლას ჰგავს. მე ახლა არ განვსჯი, რამდენად ელოდა საქართველო ნინო კაპადოკიელის გამოჩენას თავის მიწაზე და როგორ შეხვდა მას ორ ზღვას შუა მოქცეული ქვეყანა, მაგრამ ანა კალანდაძის დაბადება უკვე გარდაუვალი ფაქტორითაა განპირობებული. მთავარი ის იყო, თუ საით გადაიხრებოდა დროის სასწორი, ვთქვათ, ასე ნახევარი საუკუნით იქით თუ აქეთ, წინ თუ უკან. თავისუფლად შეეძლო იგი წარმოეშვა მეცხრამეტე საუკუნესაც და პირიქით, ადვილი შესაძლებელი იყო მისი გამოჩენა XXI საუკუნის ზღურბლთან. „ამ სურით სვამენ“, „თუთა“, „მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“, „ლოცულობს გველი“, „მოდიოდა ნინო მთებით“ და ბევრი სხვა ისეთი ლექსებია, რომლებიც შეიძლებოდა დაწერილიყო XIX საუკუნეშიც, მეოცეშიც და ოცდამეერთეშიც. სწორედ ეს ფაქტორი აფართოებს მათი მნიშვნელობის რადიუსს დროსა და სივრცეში.

საბედნიეროდ, ღმერთმა მძაფრი სულიერი კრიზისის დროს გადმოგვხედა „მოწყალების თვალით“ და მსოფლიო მნიშვნელობის კატაკლიზმების ჟამს, როცა უღმერთობის იდეოლოგია აპოგეას აღწევდა, წმინდა ნინოსავით მოგვივლინა კურთხეული პოეტი, რომლის ადგილიც, ვიმეორებ, საუკუნეების მანძილზე ცარიელი იყო.

ანა კალანდაძის პოეზიაში წმინდა ნინოს საკმევლის სურნელი დგას, წმინდა სანთლის შუქი ანთია და მისი ცა მუდამ კრიალა და მოწმენდილია. მწერალ ჯანსუღ ღვინჯილიას თქმით, გალაკტიონის, ვაჟას, აკაკის, ილიას, ბარათაშვილის, გურამიშვილის და რუსთაველის პოეტურ ესთეტიკას ხელოვნური ფორმებით

ვერაფერს შემატებ, მაგრამ საკუთარი ხმის შეცნობასა და უპრეტენზიოდ რეალიზაციაში არის განუმეორებელი ხიბლი, ე. წ. სინატიფეს ქართული სულისას ძალდაუტანებელი მდინარების ფორმა მოუძებნა და ამით არის იგი ჩვენთვის ძვირფასი და განუმეორებელი. აქ ბოლო სიტყვა არც შემთხვევითი და არც მორიგი ფრაზაა. იგი კანონზომიერი განსჯის შედეგია. აზრის სიცხადისათვის აღვნიშნავ, რომ მომავალში დაიბადებიან მასშტაბური პოეტები, ღმერთმა ნუ წამართვას ამის რწმენა, მაგრამ ანა კალანდაძე საქართველოში აღარ განმეორდება.

ანა კალანდაძე ქართულ პოეზიაში არ ქმნის მიმართულებას, რაც უკვე, გარკვეული აზრით, მიმართულებაცაა. იგი ექსპერიმენტს კი არ ეძებს, არამედ აღრმავებს ტრადიციას. ამიტომაც, ახლა იგი თავად არის ანგარიშგასაწევი ტრადიცია, რომელსაც, გარკვეული წლების შემდეგ, ორმაგი ფასი დაედება. სხვა შემთხვევაში არც ეს განუმეორებელი სტრიქონები დაიწერებოდა: „ბერა საზანდარს როცა მომართავს, სევდა რად მიპყრობს გაუგონარი, აუ, აფრინდა გუნდი ყორანთა, ვაი, ვის გულმკერდს დაფლეთს ყორანი?!“ ამ სტროფში ყველაფერი ტრადიციულია, გარდა პოეტური მაგიისა, გარდა პოეტური ხანძრისა, რომლის ჩაქრობა შეუძლებელია. აქ ისეთ პოეტურ საიდუმლოებასთან გვაქვს საქმე (იქნება, მიგნებასთან სჯობია – შ. ზ.), როცა ლექსის საგანი აღარ იგრძნობა და ზეიმობს მხოლოდ პოეზია. ეს აზრი ჯანსუღ ღვინჯილიას ეკუთვნის.

სწორედ ეს არის ის ზებუნებრივი ძალა, რომელიც უნებურად აღძრავს მკითხველში ანას პოეზიასთან განმეორებით შეხვედრის წყურვილს, რომელიც ამ პოეზიასავით დაუშრეტელია. ეს ის წყურვილია, რომელსაც ვერასდროს ვერ მოიკლავ, პირიქით, რამდენადაც ეწაფები წყაროსავით ანკარა პოეზიას, კიდევ უფრო ღრმავდება და მძაფრდება წყურვილის შეგრძნება.

„მიაშურა მტერთა ბანაკს ზოგმა, მტერთა ჩემთა საკრებულოდ დგანან... მესალმება იეზიდი გოგო: – გამარჯობათ, ქალბატონო ანა! სჯის თემიდა, შეთქმულებიც ბორგვენ... იღრუბლება, ვარსკვლავებიც ჩანან... მესალმება იეზიდი გოგო: – გამარჯობათ, ქალბატონო ანა!“

ანა კალანდაძე უკვე გამარჯვებული პოეტია. მის პოეზიაში მარადიული ნათელი ბუდობს. მისი პოეტური ქვეყანა სვეტიცხოველივით მაღალი ტაძარია, იმ განსხვავებით, რომ იგი მცხეთაში კი არა, მთაწმინდის ბორცვზე დგას და სულიერ სიწმინდეს აშუქებს ყველა მიმართულებით.

ნანი გუგუნავა
*ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის,
დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის
კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
პედაგოგიკის მეცნ.დოქტორი*

ხულოში მცხოვრებ ქალთა ფერიცვალება

ხულოს რაიონის ქალთა საბჭო, ამჟამად ქალთა დარბაზი, ყოველთვის მიზანმიმართულ მუშაობას ეწეოდა და ეწევა ხულოელი ქალბატონების შრომის, ყოფა-ცხოვრების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურული დონის ამაღლებისათვის. წლების განმავლობაში ხეობის ქალთა დარბაზს ქალბატონი ეთერი დეკანაძე ხელმძღვანელობს. აჭარის მთიანეთის ფერიცვალებაში დიდია გარმჯე, მკლავმოუღლელი ქალების წვლილი. ისინი, დედობრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ყოველთვის ღირსეული, პატივდებული ქალბატონები მოღვაწეობდნენ. ქალთა საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ თითოეული სოფლის წინაშე მდგომ პრობლემებს, გადასაწყვეტ, მოუგვარებელ საკითხებს, წარსულის მავნე ტრადიციების, წეს-ჩვეულებების დაძლევას. ხულოს ქალთა რაიონული საბჭოს აქტივის ზონალური თათბირ-სემინარებისა და შეხვედრების დროს გამოთქმული სურვილები და წინადადებები საფუძვლად ედებოდა რაიონული საბჭოს სამუშაო გეგმას, რომლის შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალთა რაიონული საბჭოს წევრები, აქტივი. კონტროლი წესდებოდა მიღებული დადგენილების თითოეული პუნქტის შესრულებაზე.

რაიონის ქალთა საბჭოს ყურადღებით იყო გარემოცული მარტოხელა დედები, მარჩენალდაკარგული ბავშვები. მზრუნველობით იყვნენ გარემოცული დედათა და ბავშვთა ცენტრში აღრიცხული ბავშვები. მენჯ-ბარძაყთა ამოვარდნილობის გამო ბავშვები იგზავნებოდნენ თბილისის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრში. ასევე სხვადასხვა დაავადებათა გამო ბავშვები გადაუდებელი ოპერაციებისათვის იგზავნებოდნენ თბილისისა და ბათუმის სამედიცინო კლინიკებში, სისტემატიური კონტროლი იყო დაწესებული ენდემური ჩიყვითა და ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვებისთვის.

XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, მთავრობის მხარდაჭერით, ხულოში თანამედროვე უახლესი ტექნიკით აღჭურვილი დედათა და ბავშვთა ცენტრი აიგო, რომელიც დაკომპლექტდა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით. შედეგად, საგრძნობლად იკლო რესპუბლიკის წამყვან კლინიკებში ბავშვთა მკურნალობის მიზნით გაგზავნილთა რაოდენობამ, რაც მთავარია, ახალშობილთა სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

დღეისათვის ხულოს მოსახლეობას 24-საათიან რეჟიმში ემსახურება მედიცინის 120 ადგილობრივი მუშაკი, რომელთაგან 100 ქალია. იყო დრო, როცა ხულოს საავადმყოფოს ხან კარდიოლოგი არ ჰყავდა, ხან ოფთალმოლოგი და ხანაც ენდოკრინოლოგი. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში, ავადმყოფი ხულოდან ბათუმში უნდა გადმოეყვანათ საოპერაციოდ ან სამკურნალოდ. დღეისათვის, ხულოს რაიონის სამედიცინო სამსახურში ეს ხარვეზი აღმოფხვრილია. ხაზგასმას იმსახურებს ის, რომ ამ სფეროში ქალბატონები აქტიურობენ. რაიონში ვინ არ იცნობს ენდოკრინოლოგ მაია ბერიძეს, ოფთალმოლოგ ცირა წულუკიძეს, კარდიოლოგ როენა თავართქილაძეს.

ქალთა საბჭო (შემდეგში ქალთა დარბაზი) ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა მრავალშვილიანი, ნაკლებად უზრუნველყოფილი, მარტოხელა და ინვალიდი ბავშვების ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლას და შუამდგომლობდა ადგილობრივი და რაიონული რგოლის ორგანოებში, რათა დროულად გაეწიათ მათთვის მატერიალური დახმარება. ყოველწლიურად დაახლოებით 125-150 ოჯახი იღებდა ფულად დახმარებას.

ქალთა ადგილობრივი და რაიონული ორგანოების მიზანმიმართული, გეგმაზომიერი მუშაობის შედეგია, რომ რაიონში არასოდეს ყოფილა უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები, არ იყო მცირეწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. თუმცა ეს თვითდამშვიდების უფლებას არ იძლეოდა. სისტემატიურად ტარდებოდა როგორც აღმზრდელობითი, ისე პროფილაქტიკური ღონისძიებები, ლექცია-საუბრები, დისპუტები, შეხვედრები.

ქალთა რაიონული და ადგილობრივი საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ წარსულის მავნე ტრადიციების, წესებისა და ჩვეულებების დაძლევას და ახალი დღესასწაულების დაწესებას. დაძლეულ იქნა ღორჯომისა და აგარის ხეობაში, მცირეწლოვანი გოგონების სკოლებიდან გამოყვანისა და დაოჯახების ფესვგადგმული ტრადიცია.

არაერთი სასოფლო და რიაონული ქალთა კრება გაიმართა თემაზე „ქალი, დედა, ერისა და ქვეყნის ბურჯი.“ რომელზეც გულახდილად ვსაუბრობდით იმ აქტუალურ პრობლემებზე, რომელიც ხულოელ ქალს, დედას აწუხებდა. ვიხსენებ ღორჯომისა და თხილვანის ქალთა თავყრილობას, რომელ-

საც ესწრებოდნენ ორთავე სოფლის ქალბატონები, აჭარის ქალთა რესპუბ-ლიკური საბჭოს წევრები: ნანი გუგუნავა, ცისანა ანთაძე, შუშანა ფუტკარაძე, ნათელა დუმბაძე, ჩიტო ომერაძე, გულიკო კიკნაძე, ლამარა ბოლქვაძე. მათთან გულახდილმა საუბრებმა, შეხვედრებმა, პრობლემების გადაჭრის გზების დასახვამ შედეგი გამოიღო. ძველებურად აზროვნება და მოქმედება აღარ შეიძლებოდა. რომ ქალი „ჩადრში“ შებურული და მოძველებული უცხოტომელთა თავსმოხვეული ადათის, წესის მსხვერპლი აღარ უნდა ყოფილიყო, რომ არ შეიძლება გარიგებით მცირეწლოვან შვილს ოჯახის ტვირთი აჰკიდო. უნდა მისცე საშუალება ისწავლოს, დაეუფლოს პროფესიას და დაიკავოს ღირსეული ადგილი ოჯახში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გაწეული მუშაობის შედეგად, ღორჯომის ხეობის საშუალოგანათლებული ათეულობით ქალიშვილები ირიცხებოდნენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. თანდათანობით ადგილობრივი ქალი ემატებოდა სოფლის ინტელიგენციის რიგებს. ღორჯომელი ნარგიზ სირაძე – საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია რაიონმა, სოფელმა. ყინულის საბოლოო გალღვობას მაინც დიდი ძალისხმევა და ყოველდღიური გეგმაზომიერი მუშაობა დასჭრდა. ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით ხულოელ ქალბატონებს: მუხთერ ბოლქვაძეს, ეთერ დეკანაძეს, ეთერ აბულაძეს, ლუთბიე დეკანაძეს, გალინა რიჟვაძეს, ლილი ნიჟარაძეს, თინა ჯორბენაძეს, ზაირა ზოიძეს, ნაზი და იზოლდა სურმანიძეებს, ნაზიბროლა აბულაძეს, ლეილა ზოიძეს, გუგული სოლომონიძეს, ნათელა ლაბაძეს, მერი და მარო გობაძეებს, გუგული და ჰურიე ჯაყელებს, თამარ და ჟოლიე ბოლქვაძეებს, ნაზი ცეცხლაძეს, ჟუჟუნა რიჟვაძეს, ნაზიბროლა პაქსაძეს, ციალა სურმანიძეს, ლილი ხოზრევანიძეს, მერი გელაძეს, იზოლდა ირემაძეს, თალიკო მახარაძეს და სხვებს. მათი პირადი მაგალითი სტიმულს აძლევდა ქალბატონებს და ისინიც ცდილობდნენ მათთვის მიებაძათ და „მონურად ქედი აღარ მოეხარათ მოძალადის მიერ თავსმოხვეული ჩვეულებებისადმი.“

სიმართლე უნდა ითქვას, – საქართველოზე დატეხილმა ყველა უბედურებამ ხულოელთა ეზოებზე გადიარა. ამასთან, მტერმა აქაურებს ენისა და მამულის სიყვარული ვერ შეაცვლევინეს. ხულოელმა დედამ ჩადრქვეშ დამალა ყველაზე დიდი და უძვირფასესი განძი – დედაენა – სიტყვა ქართული მრავალგზის ცეცხლსა და მეხთატეხას გამოარიდა და ჩვენამდე გაუხუნებლად მოიტანა.

ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები ყოველთვის ამბობენ თავიანთ სიტყვას მუნიციპალიტეტის ყველა სფეროს განვითარებაში, პირველ რიგში ქალი განსაზღვრავს დედის ფენომენს, ამ მხრივ ხულო განსა-

კუთრებულია, ამჟამად ხულოში ცხოვრობს 41 გმირი (10 და მეტი შვილი) და 1700-მდე მრავალშვილიანი დედა (5 და მეტი შვილი). მთაში არსებული ცხოვრებისეული სიძნელეების მიუხედავად, დედები ბოლომდე იხარჯებიან შვილების ღირსეულად აღზრდისა და მათი ცხოვრებისათვის მოსამზადებლად. ქვეყნის განვითარებასთან ერთად ფერიცვალება განიცადა ქალთა მდგომარეობამ. მთლიანად შეიცვალა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოვლენილი კადრები ადგილობრივი კადრებით – განვითარების ყველა სფეროში.

განათლების სფეროში ხულოს მუნიციპალიტეტის 49 საჯარო სკოლაში დასაქმებული 1100 ადგილობრივი პედაგოგიდან 600-მდე პედაგოგი ქალია, მათ შორის 51 – სერტიფიცირებული. 6 ქალი სკოლის დირექტორია, რომელთა ღვაწლიც ფასდაუდებელია მოსწავლე-ახალგაზრდობის მომზადებისა და მთიანი აჭარის განვითარების საქმეში. ასევე სკოლამდელი აღზრდის 16 დაწესებულებაში დასაქმებული 220 მუშაკიდან 173 ქალია, მათ შორის 40 პედაგოგია და 7 მენეჯერი.

კულტურის სფეროში – მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრსა და სოფლის კულტურის სახლებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში დასაქმებულია 148 ხელოვნების მუშაკი, მათ შორის 45 ქალი. ისინი დღენიადაგ ზრუნავენ ხელოვნებისა და ფოლკლორის ნიმუშების ახალგაზრდობისათვის გადასაცემად და შესანარჩუნებლად.

სოფლის მეურნეობაში – ქალი ყველა დროში ამბობდა თავის სიტყვას, მოწინავე მეთამბაქოე ქალბატონები თანამედროვე ცხოვრებაში შეცვალეს ფერმერმა ქალბატონებმა. სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა დარგი (მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა და ერთწლიანი კულტურები) გახდა წამყვანი, პრიორიტეტული ოჯახების ეკონომიკური სიმყარის საფუძველი. მუნიციპალიტეტში უკვე მოღვაწეობს 45-მდე ფერმერი ქალბატონი, 40-მდე ინდმეწარმე. ქალთა ძალისხმევით მოეწყო და ტურისტებს მასპინძლობს უამრავი საოჯახო სასტუმრო, ფუნქციონირებს რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო „ცეზარი", რომლის დირექტორიც ქალია. ღორჯომში, სოფელ ადაძეებში მოღვაწეობს ორი მქსოველი ქალბატონი, მათ შორის ერთი 70 წელს მიღწეული შუშანა გორგაძეა. ისინი, ხელით დამზადებულ ხის დაზგებზე, ხელით ქსოვენ ხალიჩებსა და ფარდაგებს. ამასთან, ქსოვის საიდუმლოებას ასწავლიან ახალგაზრდა ქალბატონებს.

ხულოს შეუძლია იამაყოს შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ქალბატონებით.

მაღალმთიანი აჭარის სოფელ რაქვთის ულამაზესი, ლაღი ბუნების პირმშოა ჩვენი სახელმოხვეჭილი პოეტი ქალბატონი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ლევან გელაძისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის პრემიების ლაურეატი, **ჟუჟუნა შაინიძე**. იგი ჩინებული ლექსების ავტორი, ჩინებული მეცნიერიცაა. მისი სადოქტორო დისერტაციის თემა ზურაბ გორგილაძის შემოქმედებაა.

ორი პოეტური კრებულის ავტორია ნიჭიერი პოეტი ქალბატონი **გულიკო გაბაიძე**, სოფელ ხიხაძირის მკვიდრი.

გაბაიძეთა გვარის ნიჭიერება მრავალ შემოქმედებით სფეროში აისახა. მაგრამ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ ქალბატონ **მანანა გაბაიძეზე**, ბათუმის №6 სამუსიკო სკოლის დირექტორზე, მუსიკოს პედაგოგზე, 60-ზე მეტი სიმღერის ავტორზე, მომღერალზე, საზოგადო მოღვაწეზე...

ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილების მცხოვრებია ჟურნალისტი ნარგიზ დეკანაძე. იგი დღეისათვის გაზეთ „ხულოს“ პასუხისმგებელი მდივანია.

იზოლდა სურმანიძე – ეს სახელი ცნობილია სრულიად საქართველოში. ცნობილია საზოგადოებრივი მოღვაწეობით, საქმიანი თვისებებით, გამორჩეული პირადული ღირსებებით.

სხვადასხვა პერიოდში, იზოლდა სურმანიძე იყო ხულოს რაიონის სოფელ ყინჩაურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სოფელ სხალთის სასფოლო საბჭოს თავმჯდომარე, სხალთის თემის საკრებულოს გამგებელი.

მისი მოღვაწეობისას, აქ აშენდა საკრებულოს ადმინისტრაციის ახალი შენობა, სოფლების – ყინჩაურისა და წაბლანის საშუალო სკოლა-ინტერანტი, ამავე სოფლების ბაგა-ბაღის შენობები, საუბნო საავადყმოფოს ახალი კაპიტალური შენობა. სრული რესტავრაცია ჩაუტარდა მე-12-13 საუკუნის ბრწყინვალე ძეგლს – სხალთის ტაძარს. ასევე სრული რესტავრაცია ჩაუტარდა შერიფ ხიმშიაშვილის ყოფილ საცხოვრებელ სახლს.

იზოლდა სურმანიძის დამსახურებაა, ზამლეთ-სხალთის მიმართულებით გამავალი 8-კილომეტრიანი სამანქანე გზის გაყვანა.

1996-2001 წლებში იზოლდა სურმანიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატია, 2002 წლის 29 სექტემბრიდან შერიფ ხიმშიაშვილის სხალთის სახლ-მუზეუმის გამგეა. წლების მანძილზე იზოლდა სურმანიძე იყო სხალთაში ქალთა საბჭოს თავმჯდომარე. ამჟამად ქალთა დარბაზს ხელმძღვანელობს.

ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოებულია მედლებითა და საპატიო სიგელებით.

ეთერ დეკანაძე – 1974-1991 წლებში ხულოს რაიონის ქალთა საბჭოს ხელმძღვანელი გახლდათ. 1996 წლიდან დღემდე ხულოს ქალთა დარბაზის თავმჯდომარეა.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა: ხულოს რაიონის სოფელ კორტოხის საშუალო სკოლაში (ისტორიის მასწავლებლად), საქართველოს ალკკ ხულოს რაიკომის სააღრიცხვო-საფინანსო სექტორის გამგედ, რაიოკმის მეორე მდივნად, პირველ მდივნად; ხულოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასწავლებლის პედაგოგად, ამავე სასწავლებლის პრორექტორად; ხულოს გამგეობის აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარ სპეციალისტად, რეფერენტის მოვალეობის შემსრულებლად; ხელმძღვნელობდა ხულოს რაიონში ადამიანთა უფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის კომისიას.

არჩეული იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად (სტუდენტობის წლებში), მშრომელთა დეპუტატების ხულოს რაიონული საბჭოს დეპუტატად, ხულოს რაიონული საკრებულოს წევრად.

დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, სიონის ღვთისმშობლის ხატით (ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის საქმეში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმარტებებისათვის). ამჟამად ეთერ დეკანაძე ხულოს სასულიერო სასწავლებელში მოღვაწეობს.

არარეთი სატელევიზო გადაცემა, დოკუმენტური ფილმი, წიგნი და ჟურნალისტური ნარკვევი მიეძღვნა ხულოს მკვიდრ ქალბატონთა ცხოვრებას, საუკუნის ფონზე მათ საოცარ ფერიცვალებას. საინტერესოდაა გაშუქებული ეს თემა დოკუმენტურ მასალათა კრებულში „აჭარის ქალთა საბჭოს ისტორიიდან“ (ნანი გუგუნავა, ლამარა ბოლქვაძე, ს.ს. „გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2010).

1985 წელს საქართველოს ტელევიზიის (თავ-რე ნუგზარ ფოფხაძე, მოადგილე ივლიტა მესხიშვილი) მხარდაჭერით, „იავნანას“ რედაქციამ (ხელმძღვანელი ნუნუ ხავთასი, ოპერატორი ჯუმბერ კუპატაძე, მხატვარი შალვა მურუსიძე, ხმის ოპერატორი ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ასისტენტი ლალი რაზმაძე), 55-წუთიანი სატელევიზიო გადაცემა მიუძღვნა ხულოში გამართულ დედის დღეს და სრულიად საქართველომ იხილა ხულოელი გმირი დედების სამადლობელი სადიდებელი.

საქართველოში ოფიციალურად დედის დღე 1993 წელს დაწესდა. ხულოელებმა 10 წლით ადრე მიაგეს პატივი ქალს-დედას და 1983 დააწესეს მისი პატივსაცემი დღესასწაული.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან თანადანობით იკლო რაიონში მრავალშვილიანი ოჯახების რიცხვმა. თუ მანამდე, ყოველწლიურად 1050-ზე მეტი ბავშვი იბადებოდა, ეს ციფრი თანდათან ასე მცირდება: 700-600-500... ახლა მთის სოფლებში ნაკლებია 5 და მეტი შვილის აღმზრდელი ოჯახები, მთაშიც 1-2 შვილი საკმარისად მიაჩნიათ, რადგან მათი მოვლა-პატრონობა ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე უჭირთ.

ვიმედოვნებთ, რომ მთის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ხულოს რაიონისა და ხულოელ ქალთა სასიკეთოდ ბრწყინვალე ფერიცვალება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება.

ნაილე მიქელაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი

წმინდა ანდრია პირველწოდებული და მასთან დაკავშირებული თქმულებები

ქრისტიანული სარწმუნოების პირველი ქადაგება საქართველოში წერილობითი წყაროების მიხედვით, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთმა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, სწორედ აჭარიდან დაიწყო. წყაროს ცნობით, იგი „შევიდა ქვეყანა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების... და აღაშენა ეკლესია მშვენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმინდისა ღვთისმშობლისასა... წარმოემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის ჯუარი... შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღვართა სამცხისასა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების **ზადენბორე**“... („ქართლის ცხოვრება“ I, თბილისი, 1955: 39).

ნიკიტა პაფლაღონელის წერილობითი წყარო სწორედაც იმავეს ადასტურებს. ამ წყაროზე დაყრდნობით გიორგი მთაწმინდელი (XIს.) საქართველოს ეკლესიის დამფუძნებლად ანდრია მოციქულს მიიჩნევს და ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობის დროს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებას ამ ცნობის საფუძველზე **ამტკიცებს. შემდეგში ეს ცნობა ეფრემ მცირემ შეუთანხმა წმ. ნინოს** მოღვაწეობის ფაქტს და საქართველოში ქრისტიანობის მეორეგზის ქადაგების აუცილებლობას განმარტება მოუძებნა, რაც დააკანონა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1105)(საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007: 70).

ისტორიულმა გადმოცემამ, რომ საქართველოში მოციქულებმა I საუკუნეში ნამდვილად იქადაგეს ქრისტიანობა, მეცნიერთა წრეში პოლემიკა გამოიწვია, თუმცა არსებობს წყაროები, რომლებიც ამტკიცებენ ამ ცნობას.

პ. ინგოროყვა წერდა: „სამხრეთით მდებარე ტრაპეზუნტი არის ის პუნქტი, სადაც იქადაგა ანდრიამ და საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში. ამ ქვეყნის შუა ნაწილში მდებარე აფსარი არის ადგილი, სადაც გადმოცემით, ანდრია პირველწოდებულის თანამოღვაწე მოციქული მატათაა დასაფლავებული...” (ინგოროყვა, 1954: 225).

გიორგი მთაწმინდელმა (1009-1065), თევდოსი ანტიოქიელ პატრიარქთან დისპუტის დროს (1057წ), „მიმოსვლის“ ბერძნული ტექსტი („მიმოსვლა ანდრია მოციქულისა”) გამოიყენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად, როგორც მოციქულთა ქადაგების უტყუარი დოკუმენტი: „პირველ წარკითხვისა ჰრქუა ბერმან პატრეარქსა: წმინდაო მეუფევ, შენ იტყვ, ვითარმედ თავისა მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისსა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი; და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყვი კანანელსა – ქუეყანასა ჩუენსა მოციქულთა განათლებულნი ვართ” (ხალვაში, 2009: 50).

ქრისტეს ჯვარცმისა და ამაღლების (ახ. წ. 33 წ.) შემდეგ, ქრისტეს მოძღვრების გავრცელების მიზნით, მოციქულებმა იმდროინდელი მსოფლიო კენჭისყრით გაინაწილეს. „ყოვლადწმიდასა ღვთისმშობელსა”, ე. ი. წმ. მარიამს ამ განაწილებით გასაქრისტიანებლად საქართველო ჰრგებია. ამ დროს მას გამოცხადებია თავისი შვილი, ქრისტე ღმერთი და უთქვამს: „დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერთი იგი საზეპურო უფრო ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა, შენითა მათთვს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა წარატანე ხატი შენი ვითარიცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკვდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა”, უფლის კარნახით საქართველოში უნდა წამოსულიყო წმ. ანდრია, რომელსაც „შემწედ და მეოხად” თან უნდა წამოეღო წმ. მარიამის ხატი.

წმ. მარიამმა უთხრა მოციქულსა ანდრიას: „შვილო ანდრია, დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ქუეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. დეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას, წილად ჩემსა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხვდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილ-ხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ”.

წმ. ანდრიამ, რა თქმა უნდა, თანხმობა განაცხადა და უთხრა: „ყოვლადწმიდაო, ნება სახიერისა ძისა შენისა და შენი იყავნ ყოველსა ჟამსა”. მაშინ წმ. მარიამმა მოითხოვა ფიცარი, „დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვსსა. და გამოისახა ხატი ესევითარი, რომელ წიაღთა თვსთა ეტვრთა განხორციელებული ჩჩვლი, ყოვლად სახიერი სიტყვაი ღმრთისა, რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი **ყოვლადწმიდისა//აწყუერისა ღვთისმშობე-**

ლისა” და მისცა წმ. ანდრიას, რომელიც სიხარულით „წარემართა ქადაგებად სახარებისა”(ქართლის ცხოვრება 1955: 38)

როგორც ისტორიულად ცნობილია, ანდრიამ, სანამ მათ ქრისტიანულ რელიგიაზე მოაქცევდა, უფლის შემწეობით ღვთიური სასწაული მოუვლინა: „ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად. რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა, აღმოეცენა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი, რომელი-იგი ვიდრე დღესცა დაუწყუედელად აღმოსდის. და შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით კერძო მკჳდრნი მის ქუეყანისანი, და ნათელ-სცა ყოველთა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და დაადგინნა მღუდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღუარი სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისასა. და ვითარცა ენება წმიდასა მოციქულსა მიერ წარსლვა, ევედრებოდეს და არა უტევებდეს წარსლვად, არამედ ეტყოდეს: „უკეთუ შენ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა აქა დაგჳსვენე, სასოდ და მცველად ჩუენდა“. ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატსა მას ზედა. და მეყუსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა მის და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დაისვენეს ეკკლესიასა შინა თჳსსა პატივით, რომელი-იგი ვიდრე დღეს-აქამომდე ჰგიეს. ხოლო წმიდასა მოციქულსა მისცეს მშჳდობა და მოწლედ მოიკითხეს, ამბორს უყვეს და წარმოგზავნეს” (ქცა I: 39).

ამგვარად, წმ. ანდრია პირველწოდებულმა დიდაჭარა, არა მარტო გააქრისტიანა, არამედ ღვთის შეწევნით იქ მაკურნებელი წყაროც აღმოაცენა, რომელშიც ხალხი მონათლა, სოფელში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ააგო, აკურთხა მღვდლები და დიაკვნები, ბოლოს კი საქართველოს პირველ ქრისტიანულ ტაძარში დედა ღვთისას ხელთუქმნელი ხატის – აწყურის ღვთისმშობლის ხატის ასლი დაასვენა.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ანდრია პირველწოდებულის ქადაგებამდე დიდაჭარლები წარმართები ყოფილან, შემდეგ კი გაქრისტიანებულან. ოსმალოს შემოსვლის მერე ძალით გაუმუსლიმანებიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისინი მაინც ქრისტიანულ მსახურებას აგრძელებდნენ, რასაც არსებული მასალები ადასტურებს: „დიდაჭარაში ხანგძლივი დროის მანძილზე მოქმედებდა ეკლესია. აქ დღემდე შემონახულია ადგილებთან დაკავშირებული სახელები, სადაც მოსახლეობა ეკლესიის არსებობას ვარაუდობს. ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე დიდაჭარაში შავაძეთა საგვარეულოში (ბუდე-ნათესაობის სახელწოდება ფითნანთი) გა-

მოთხოვილი ხანდაზმული ქალები მამაკაცებისაგან მალულად, მისტიკურ გარემოში, საკრალურ ადგილს ესტუმრებოდნენ. იკრიბებოდნენ სოფლის გა-ნაპირას ამაღლებულ ბორცვზე, ე. წ. „ნაკაფის სერზე“ მდებარე ნაეკლესია-რის მიდამოებში და დაბალ ხმაზე გალობდნენ (მთხრობელთა განმარტებით მღეროდნენ). ამ ადგილს „თარანგელოზის ყელი“ (მთავარანგელოზის ყელი) ეწოდება (მგელაძე, ფაღავა, 1999: 139).

ეს ხეობა კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრს რომ წარმოადგენდა, ამას არაერთი თქმულება-გადმოცემა მოწმობს. თამარ მეფეზე, სოფელ გობაძეებში შემორჩენილია ერთი საინტერესო თქმულება: „სოფელ გობაძეებს ესაზღვრება შავაძეების სამზიარედ, გრძელდება ტყემალათი, ტყემალათის ქვემოთ არის გობაძეების უბანი, ამ უბნის ზემოთ არის ნაკაფი, სადაც აღმოჩენილია ეკლესიის ნანგრევები, როცა მუსლიმანობა იყო შემოსული, აქ ჩუმად ადიოდნენ ჯერ კიდევ ქრისტიანული რწმენის ადამიანები ქრისტეს სალოცავში, აქ ასასვლელ გზას რქმევია „თარანგელოზი”. ამ გზისთვის (ბილიკისთვის) ეს სახელი იმიტომ დაურქმევიათ, რომ უძველეს დროში ამ ეკლესიაში ასვლა და ლოცვა მოუწადინებია თამარ მეფეს და მის ამალას. იქ ასასვლელი გზა ხეირიანი (წესიერი) არ ყოფილა, ამიტომაც იქაურებს ტყე გაუკაფავთ და ამ გზისთვის **„თარანგელოზის გზა” // „ხანუმის გზა”** (დედოფლის გზა) დაურქმევიათ, დღესაც ეძახიან ამ სახელს, ისინი ხანუმში თამარ მეფეს მოიაზრებენ.

„ნანეფვარი // ნეფიკალო” ამ სახელით სოფელ უჩხოში, ერთ-ერთი გორა-კის მდელოს მოიხსენებენ, სადაც თურმე თამარ მეფე დადიოდა. იქ ახლოს ყოფილა „თამარის ხიდიც”. ხიდის ზემოთ მდელოს კი რქმევია – **„საყდრი სერი” // „თარანგელოზი**. ამ მთიდან (საყდრი სერი//თარანგელოზიდან), გზა სამად ნაწილდება: ერთი გზა- გურიაში მიდის. მეორე გზა მაჭარელათში, ხოლო მესამე – სოფელ უჩხოსკენ. **„საყდრი სერი” // „თარანგელოზი**” თამარ მეფის აშენებული ყოფილა და მეფე ხშირად დადიოდა. ამავე სოფლის სახელწოდებაც კავშირშია სამი გზისა და ხევის სახელდებასთან. **უჩხო**-თურქულია, უჩ-სამი, რაც ქართულად „სამ ხევს” ნიშნავსო. თამარის ხიდიდან ერთი გზა გურიაში, მეორე ხირხათის ყალესკენ (ხიხანის ციხე) და მესამე სოფლისკენ მიდის (მთქმელები: ო. აბულაძე, დაბადებული და მცხოვრები სოფ. უჩხოში. 75 წ; ძირკვაძე თ. დაბადებული და მცხოვრები სოფ. უჩხოში, 49 წ. ცნობა ჩაწერილია ჩემ მიერ 2011 წ. პირადი არქივი). ამ ხეობაში ვერ ნახავთ სოფელს, რომელთა გეოგრაფიულ ტოპონიმებს კავშირი არ ჰქონდეს თამარ მეფის სახელთან. ისინი კი ამტკიცებენ, ამ ადგილს თამარ

მეფე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ტაძარში აივლიდა, „ილოცავდა" და გზას ისე გააგრძელებდა.

როგორც დიდაჭარის მკვიდრი თ. წულუკიძე წერს: „დიდაჭარა ძველთაძველი სოფელია, ამიტომაც იყო, რომ სწორედ სავანე I საუკუნეში ანდრია პირველწოდებულმა ამ სოფელში ჰპოვა... ადგილს, სადაც სავარაუდოდ, უნდა აგებულიყო პირველი ეკლესია საქართველოში და არა მარტო საქართველოში, ამჟამად **„თარანგელოს"** ვუწოდებთ. ვფიქრობ, რომ ანდრია პირველწოდებულის მიერ აგებული ტაძარი ძელისა უნდა ყოფილიყო და შემდგომად იმ ადგილას უნდა აღმართულიყო ახალი ტაძარი მთავარანგელოზის სახელობისა" (წულუკიძე, 2009: 12).

„ქართლის ცხოვრებიდან" ასევე ვგებულობთ, რომ ანდრია პირველწოდებულმა დიდაჭარის გაქრისტიანების შემდეგ „გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების **რკინის ჯუარი** და თქმულ არს, ვითარმედ **ჯუარი**. იგი თვთ ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართულ არს. ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების **ზადენ-გორა**" (ქართლის ცხოვრება, 1955: 38).

შუახევის რაიონის მარეთის ხეობაში „სანალიას მთაზე არის ადგილი, რომელსაც **„რკინის ჯვარს"** ეძახიან. ჟურნალისტ ოთარ ფუტკარაძეს ტოპონიმ **„რკინის ჯვართან"** დაკავშირებით მნიშვნელოვანი კვლევები ჩაუტარებია, ავტორი სვამს კითხვას – აქ ხომ არ იგულისხმება მდინარე სანალიის წყლის სათავესთან ახლომდებარე **რკინის ჯვრ**ის გადასასვლელი, რომელიც **სანალიის საიალაღო სადგომს გადმოჰყურებს**. მით უმეტეს, რომ მასზე გამავალი გზა ოდითგანვე **აჭარას შავშეთ-ერუშეთთან და ტაო-კლარჯეთთან,** აქედან **ფოცხოვის ხეობით** კი მესხეთთან აკავშირებდა.

ზეკარზე ამახვილებს ყურადღებას პროფესორი იური სიხარულიძე და აღნიშნავს, რომ დაბალი გადასასვლელის გამო იგი მგზავრთათვის ზამთარზაფხულ მოსახერხებელი იყო. მის ნაშრომში "შავშეთ-იმერხევი" ვკითხულობთ: „ყვირალას უღელტეხილი – შავშეთის ქედზე. აქედან ერთი გზა დემურ-ყაფით მიდის (მარეთის ხეობა), ხოლო მეორე ყარა-გოლზე (სხალთის ხეობისკენ). თურქული სახელწოდება დემურ – ყაფი – რკინის კარი – აქ რკინის ჯვრის სახენაცვალი ფორმა ხომ არ არის? (ფუტკარაძე, 2013: 84).

სანალიის მთაზე 2001-2002–წლებში მოეწყო ექსპედიციები. მეცნიერებმა რკინისჯვართან ახლომდებარე „კილდის ქვაბები" გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ აქ უძველესი ადამიანების (ენეოლითიდან ნეოლითზე გარდამავალი პერიოდის) ცხოვრების კვალი აღმოაჩინეს. გამოქვაბულების ახლობელ სერებზე ქვაკაცებია აღმართული, როლებიც წარმართული ხანის სალოცავებს

წარმოადგენს. რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ამ ადგილებს უძველეს დროში მნიშვნელოვანი დანიშნულება ჰქონია (დიასამიძე, ებრალიძე, 2011: 54-55). სამომავლოდ, ფართომაშტაბიანი ძიება დაადგენს ტოპონიმების კავშირს არსებულ სინამდვილესთან.

ღვთიურ სასწაულებს პარალელები ეძებნება როგორც ძველ აღთქმაში, ასევე ახალი აღთქმის იგავებში. კერძოდ, მოსეს მიერ სინას უდაბნო რეფიდიმში გაყვანილი ისრაელები, უფლის შემწეობით მოსემ წყურვილისგან იხსნა: „უფლის ბრძანებით, ისრაელთაგან იახლა უხუცესი, ხორების კლდეზე დაჰკრა კვერთხი, საიდანაც გადმოვიდა წყალი და ისრაელთ მოუკლა წყურვილი (გამოსვლა, თ. 16-18) (ბიბლია 1989: 73).

იმავე თქმულებებს შეიძლება დავუკავშიროთ ერთობ საინტერესო თქმულება, რომელსაც ოსმალოს თვითმპყრობლური რეჟიმის მიუხედავად, პირვანდელი, ბიბლიური სახე არ დაუკარგავს, კერძოდ, შუახევის რაიონის სოფელ შუბნის მკვიდრ იოსებ ებრალიძის (70წ) გადმოცემით: „სანალიის მთაზე არის ადგილი, რომელსაც „ფეიღამბრის წყალს“ უწოდებენ. ფეიღამბერს, მთასთან კლდეზე ხელი მიუდვია და იქიდან (კლდის შუა ნაწილიდან) გადმოსულა წყალი. მას შემდეგ ამ ადგილს „ფეიღამბრის წყალს“ უწოდებენ (მთქ. ებრალიძე იოსებ, დაბადებული და მცხოვრები სოფ. შუბანში, ჩაიწერა და მასალა მოგვაწოდა ნათია ებრალიძემ, 2005).

აჭარული თქმულების ვარიანტში მთავარი სასწაულმოქმედი ფეიღამბერია, მაგრამ მთქმელი ვერ აკონკრეტებს, თუ რომელ მოციქულზეა საუბრი. საფიქრებელია, „რკინი ჯვრისა“ და „ფეიღამბრის წყლის“ – სასწაულმოქმედი პიროვნება ერთი და იგივე წმინდანი იყო, ანუ წმინდა ანდრია, რომელმაც ამ მხარეში იმოგზაურა, ღვთის შეწევნითა და მადლით მრავალი სასწაული მოახდინა და აჭარა გააქრისტიანა.

ამრიგად, აღნიშნული წყაროების მიხედვითაც ირკვევა, რომ აჭარაში ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა. ამ მნიშვნელოვან წყაროს გარდა ქართლის მატიანეში მრავლად ვხვდებით აჭარის ფოლკლორისათვის დამახასიათებელ ტოპონიმებს, რომლებიც საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ ლიტერატურულ წყაროსა და ფოლკლორული მასალების იდენტურობა.

Naile Mikeladze – PH Doctor of Philology

St. Andrew the First-Called and Legends Connected to Him

(Thesis)

According to the written sources the first preaching of Christianity in Georgia, one of Apostles of Jesus Christ – Andrew the First-called started in Adjara. According to sources: "shevida kuekhanasa kartlisasa, romelsa did-achara etsodebis… da aghashena eklesia mshvenieri sakhelsa zeda khovlad-tsmindisa ghvtismshoblisasa… tsarmoemarta da gardamovlo mta, romelsa etsodebis rinis juari… shtavlo kheli odzrakhisa da movida sazghvarta samtskhisasa, daivana sofelsa, romelsa etsodebis zadenbore"... ("Georgian Chronicles" I, Tbilisi, 1955: 39).

Thus, according to written and historical sources, Christianity in Adjara was spread by St. Apostle Andrew. According to the existed data, Christianity was spread in the territory of the Black Sea during the period of apostles.

In Shuakhevi region Mareti Valley, on "Sanalia" mountain there is a place which is called "Rkinis Jvari" (metal cross). In connection to this, there is a saying that in the ancient period there was a metal cross there which was put up by their ancestor. That is the reason why that place was called this name.

According to the sources it is confirmed that Andrew the First-Called preached Christianity n Adjara. Apart from this important source, in this chronicle we meet lots of toponyms typical for Adjarian folklore, which give us the basis to think about the identity of literary source and folkloric materials.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბიბლია 1989:** „ბიბლია„ საქართველოს საპატრიარქო გამომცემლობა თბილისი.

2. **დიასამიძე 2011:** ბიჭიკო დიასამიძე, ტარიელ ებრალიძე, „ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა", წიგნში „მარეთის ხეობა" (ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები) ს.ს.„გამომცემლობა აჭარა", ბათუმი.

3. **ინგოროყვა 1954:** ინგოროყვა პ, გიორგი მერჩულე.

4. **საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი: 2007:** საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბილისი.

5. **მგელაძე 1999:** მგელაძე ნუგზარ, ფაღავა მამია, „ანდრია პირველწოდებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები აჭარაში", ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა", №3.

6. **მთაწმინდელი 1982:** მთაწმინდელი ექვთიმე, ქართული ვერსია, მ. საბინინის გამოცემა, „საქართველოს სამოთხე", თბილისი.

7. **ფუტკარაძე 2013:** ფუტკარაძე ოთარ, „სად მდებარეობს მთა, სადაც ანდრია პირველწოდებულმა რკინის ჯვარი აღმართა", ჟურნალი „ჭოროხი" №1, 2013.

8. **ფუტკარაძე 2013: ფუტკარაძე ოთარ, ინტერნეტ ვებ-გვერდი** (**www.litklub.ge.-biblioteka-publicistika.0.futkaradze.maretis xeobis narkvevi**

9. **ქართლის ცხოვრება 1955**: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, სახელგამი, თბილისი.

10. **წულუკიძე 2009:** წულუკიძე როსტომ, „დიდაჭარობა„ საქართველოს საპატ-რიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სხალთის ეპარქია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა

11. **ხალვაში 2009:** ხალვაში რამაზ, „ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოგზაურობების მარშუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა" საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია, ხულო-დიდაჭარა მასალები

შრომები გამოდის წელიწადში ერთხელ

სარედაქციო კოლეგია შრომებში გამოქვეყნებული მასალების შინაარსსა და სიზუსტეზე პასუხს არ აგებს. პასუხისმგებლობა ავტორებს ეკისრებათ.

მისამართი:
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
6010 ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.12.2018
ფიზიკური თაბახი 26.4
ტირაჟი 100

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12